პროფესორი გიორგი აკაკის ძე ხუნდაძე

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა და მისგან გამოსვლის აქტუალური პრობლემები

თბილისი - 2019

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა და მისგან გამოსვლის აქტუალური პრობლემები

პროფესორი გიორგი აკაკის ძე ხუნდაძე

ISBN 978-9941-8-1725-0

გამომცემლობა „გეორგიკა“, 2019

თბილისი - 2019

შინაარსი

პირველი თავი

ქართული პოლიტიკა როგორც საგონაღლებრივი მოვლენა

პირველი პარაგრაფი. საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა, მისი წარმოშობისა და განვითარების ეტაპები 8

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკის არსი და მისი განხორციელების კატასტროფული შედეგები 11

მესამე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკის სუბიექტები და ობიექტები, პოლიტიკური ურთიერთობანი და მათი პრობლემები 21

მეოთხე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკისა და პირიქნების ურთიერთობის პრობლემები 25

მეხუთე პარაგრაფი. საქართველოს პოლიტიკური ლიდერი და მისი მოღვაწეობის პრობლემები 28

მეექვსე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთობის პრობლემები 92

მეშვიდე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართების პრობლემები 101

მერვე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკა და მეცნიერება, მათი თანაფარდობის პრობლემები 107

მეორე თავი

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ხელისუფლება და მისი მოღვაწეობის კატასტროფული შედეგები

პირველი პარაგრაფი. ახალი სოციალური ხელისუფლების ფორმირება და მისი არსი 127

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლება და მისი მოღვაწეობის ნეგატიური შედეგები 131

მესამე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული სახელმწიფო ხელისუფლების არსი, თავისებურებანი და მოღვაწეობის ტრაგიკული შედეგები 139
მეოთხე პარაგრაფი. ქართული სახელმწიფო ხელისუფლების საფუძვლები და მათი დეტერმინირებადი როლი ხელისუფლების ტიპის მიმართ 157
მეხუთე პარაგრაფი. ქართული სახელმწიფო ხელისუფლება, კანონიერება და დისციპლინა, მათი კატასტროფული მდგომარეობა 166
მეექვსე პარაგრაფი. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებებისა და განვითარების პრობლემები 172

მესამე თავი

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, მისი კატასტროფული მდგომარეობის დაძლევის ოპტიმალური გზები და საშუალებანი

პირველი პარაგრაფი. ქართული პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ელემენტების თანამედროვე მდგომარეობა 184
მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული დემოკრატია და მისი ფუნქციონირების კატასტროფული შედეგები 188
მესამე პარაგრაფი. საქართველოში დემოკრატიისა და დისციპლინის თანაფარდობის დარღვევის ტრაგიკული შედეგები 205
მეოთხე პარაგრაფი. საქართველოში მრავალპარტიულობისა და პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში არჩევნების ჩატარების ნეგატიური შედეგები და მათი თავიდან აცილების გზები და საშუალებანი 208
მეხუთე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული ოპოზიცია და მისი საქმიანობის ნეგატიური შედეგები 212

მეექვსე პარაგრაფი. ლობიზმი ქართული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი საქმიანობის ნეგატიური შედეგები 221
მეშვიდე პარაგრაფი. ელიტები პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი საქმიანობის ნეგატიური შედეგები 228
მერვე პარაგრაფი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი საქმიანობის კატასტროფული შედეგები 235
მეცხრე პარაგრაფი. პოლიტიკური რეჟიმი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი მოდერნიზაციისა და განვითარების პრობლემები 246

მეოთხე თავი

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციონირების ნეგატიური შედეგები

პირველი პარაგრაფი. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის არსი, სტრუქტურა და სახეები 259

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებანი .268

მესამე პარაგრაფი. სახელმწიფო თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში 274

მეოთხე პარაგრაფი. პოლიტიკური პარტიები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში 332

მეხუთე პარაგრაფი. სამართალი ქართული პოლიტიკურ სისტემაში 350

მეექვსე პარაგრაფი. საქართველოს პოლიტიკური სისტემის თავისებურებანი და პრობლემები 354

მეხუთე თავი

პოლიტიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში

პირველი პარაგრაფი. პოლიტიკური პროცესის ლოგიკური ანალიზის შინაარსი და მისი სახეები თანამედროვე საქართველოში 358
მეორე პარაგრაფი. პოლიტიკური მონაწილეობა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში 377
მესამე პარაგრაფი. სოციალიზმამდელი სოციალური უთიერთობების რესტავრაციული პროცესების აუცილებლობა თანამედროვე საქართველოში 380
მეოთხე პარაგრაფი. საარჩევნო პროცესი როგორიცაა ქართული პოლიტიკური პროცესის სახე და პოლიტიკური მონაწილეობის ფორმა 398
მეხუთე პარაგრაფი. პოლიტიკური კონფლიქტები და კრიზისები თანამედროვე საქართველოში და მათი გადაწყვეტის სახელმწიფო-სამართლებრივი მეთოდები და ხერხები 405

მეექვსე თავი

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური იდეოლოგია

პირველი პარაგრაფი. პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების ცნება და მათი მეთოდოლოგიური ფუნქცია ქათულ პოლიტიკური ურთიერთობების შემეცნებაში ..417
მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკუტი ცნობიერების ფორმები 426
მესამე პარაგრაფი. რელიგია და პოლიტიკური ცნობიერება თანამედროვე საქართველოში 445
მეოთხე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდეოლოგია 455
მეხუთე პარაგრაფი. ძირითადი იდეოლოგიური მიმართულე-

ბანი თანამედროვე საქართველოში *463*
მეექვსე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური იდეოლოგია *497*

მეშვიდე თავი
თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურა

პირველი პარაგრაფი. პოლიტიკური კულტურის არსი, სტრუქტურა და მნიშვნელობა ქართული საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაში *511*
მეორე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკური კულტურის ტიპი და ფუნქციები *528*
მესამე პარაგრაფი. პოლიტიკური სოციალიზაცია თანამედროვე საქართველოში *534*
მეოთხე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური კულტურის ზოგიერთი თავისებურება და პრობლემა *538*

მერვე თავი
თანამედროვე საქართველოს ეროვნული ურთიერთობანი და ეროვნული პოლიტიკა

პირველი პარაგრაფი. ქართული ეროვნული მოძრაობის მოძღვრებათა განვითარების ისტორიული ასპექტები *545*

მეორე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკური ხელისუფლება და ეროვნული ერთობანი თანამედროვე საქართველოში *564*

მესამე პარაგრაფი. ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შედეგები და პრობლემები თანამედროვე საქართველოში *571*

მეოთხე პარაგრაფი. ეროვნებათაშორისი წინააღმდეგობანი და კონფლიქტები. მათი გადაწყვეტის გზები და მეთოდები თანამედროვე საქართველოში *578*

პირველი თავი
ქართული პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი მოვლენა

პირველი პარაგრაფი. საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა. მისი წარმოშობისა და განვითარების ეტაპები

საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა ვლინდება ქართული პოლიტიკური ცხოვრების ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება საქართველოს პოლიტიკური დაშლით, პოლიტიკური სტრუქტურების ფუნქციონირების დარღვევითა და მოშლით, მათი ფუნქციების შეუსრულებით.

საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა არის სოციალური ცხოვრების სრული კატასტროფის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც მოიცავს სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკურ სფეროს ყველა სტრუქტურას და ინსტიტუტს. პოლიტიკური იდეოლოგიის დარგში ის ვლინდება მის გახსნაში, საზოგადოებაში მის უცხო იდეურ სხეულად გადაქცევაში. პოლიტიკური ხელისუფლების სფეროში ის ვლინდება მისი სისტემის ელემენტების კავშირების ერთობისა და სიმყარის დარღვევაში, ხელისუფლების მექანიზმის მოქმედების შეწყვეტაში. ქართული პოლიტიკური ხელისუფლება პარალიზებული იყო და არის, მის ფუნქციებს ვერ ასრულებდა და ვერც ასრულებს.

ხელისუფლების პარტიები, როგორც საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტები და როგორც სახელმწიფო მეთაურის ირგვლივ დაჯგუფებული ინსტიტუტების, სტრუქტურებისა და გაერთიანებების ერთობლიობა, ვერ ახორციელებდა და ვერ ახორციელებს ოფიციალურ კურსს, ვერ მონაწილეობდა

სახელმწიფო მიზნებისა და ამოცანების, მისი სტრატეგიის რეალიზაციაში.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოში უკვე ორნახევარ ათეულ წელზე მეტია სახეზეა უმძიმესი პოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც ადეკვატურად გამოხატავს ტერმინები „დაღუპვა„ და „კატასტროფა„.

საქართველოს პოლიტიკური კატასტროფის თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ადრე მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებადი პოლიტიკური ხელისუფლება ამჟამად ლოკალიზებულია არაანექსირებულ მცირე ტერიტორიაზე. ახლანდელი პოლიტიკური ხელისუფლების იურისდიქცია სივრცეში შეზღუდულია საქართველოს ტერიტორიაზე იმიგრანტ უცხოტომელთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირები გამო,რის შედეგად ისინი პოლიტიკური სტრუქტურებით გასულია საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედებს კანონიერი სივრციდან.

საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურმა კატასტროფულმა მდგომარეობამ თავისი ევოლუციის პროცესში განვლო რამდენიმე ეტაპი, მისი განვითარების პირველი ეტაპია 1991 წ. საქართველოში შედარებით მშვიდობიან ფორმაში გამარჯვებული პოლიტიკური ნეობურჟუაზიული რევოლუციის შედეგად დეკლარირებული საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის წანამძღვრებისა და ფაქტორების მოუმზადებლობის გამო, მოყვა სამოქალაქო ომი, საზღვარგარეთული რუსული ინტერვენცია, ქვეყნის პოლიტიკური დაშლა, ადამიანების დიდი მსხვერპლი და სხვა უამრავი უბედურება აღსანიშნავია, აგრეთვე, ახალი არაკვალიფიციური, პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებისთვის აბსოლიტურად მოუმზადებელი პოლიტი-

კური სტრუქტურების შექმნა, ქვეყნის მთელი პოლიტიკური აპარატის სომეხიზაცია, რაც საქართველოს პოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგო მოვლენა იყო და არის. საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა რევოლუციამ ვერცერთი მის წინაშე მდგომი ამოცანა ვერ გადაწყვიტა და დამარცხდა. საქართველოს კატასტროფის პირველი ეტაპი ყველაზე მძიმე და ტრაგიკული პერიოდია საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში.

ქართული პოლიტიკური კატასტროფის მეორე ეტაპი დაიწყო ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პროცესით. ამ ეტაპზე განხორციელებულმა გარკვეულმა ღონისძიებამ ქვეყანაში ანარქიისა და ქაოსის ლიკვიდაციისთვის, პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებისთვის, ქვეყნის ელემენტალურად გაორივრული ხელმძღვანელობისთვის და სხვა უმნიშვნელო შედეგი გამოიღო. პოლიტიკური კატასტროფა გაგრძელდა.

საქართველოს პოლიტიკურ კატასტროფის საგარეო-პოლიტიკური ასპექტისათვის დამახასიათებელია ძალზე უმნიშვნელო ეფექტი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ქართულ არაკომპეტენტურ კრეატურას უკვე ორ აოეულ წელზე მეტია ატყუებენ, დახმარებას პირდებიან საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დაცვასა და პოლიტიკურ განვითარებაში, მოითხოვენ განხორციელდეს ისეთი საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც ამრავლებს მის საგარეო მტრებს.

საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა გრძელდება.

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკის არსი და მისი განხორციელების კატასტროფული შედეგები

თანამედროვე ქართული პოლიტიკა, როგორც სოციალური ცხოვრების მოვლენა, ახალი პოლიტიკური ფენომენია და შემუშავებულთა თვისებრივად ახალი სოციალური ურთიერთობების სისტემაში, რომელიც არსებითად განსხვავდება ადრე არსებული საზოგადოების ტიპებისგან და ფორმისაგან. უშუალოდ წინამდებარე, სოციალისტურ საზოგადოებაში ამჟამინდელისაგან თვისებრივად განსხვავებული პოლიტიკური ხელისუფლება, სოციალური სისტემა და იდეოლოგია გარეშე და შინაგანი მტრების ერთობლივი ძალისხმევით მოსპობილი იქნა და მათ ნაცვლად საზოგადოებაში წარმოიშვა ამჟამად ფუნქციონირებადი სოციალური წყობილება და მისი შესაფერისი პოლიტიკური ხელისუფლება და პოლიტიკა.

ისევე, როგორც საერთოდ პოლიტიკას ქართულსაც ბევრი თვისება, გამოვლენა და გამოხატვის ფორმა გააჩნია, მდიდარი და მრავალფეროვანია მისი სუბიექტური შემადგენლობა. ის ცვალებადია, დინამიური და ყველგან მსუფევი მოვლენაა: ეს ართულებს მისი მეცნიერული დეფინიციის შემუშავებას, მაგრამ ყველაზე ზოგადი სახით, პოლიტიკა არის ადამიანის მოღვაწეობა, რომელიც გამოიხატება ურთიერთმოქმედებაში სოციალურ ერთობებს, კლასებს, ერებს, ხალხებს, პარტიებს, სახელმწიფოებს, მოქალაქეებს და მათ გაერთიანებებს შორის პოლიტიკური ხელისუფლების გამო ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი და მსოფლიო წესრიგის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკის ამ განსაზღვრებაში სინთეზირებულია

მისი ყველაზე მნიშვნელობანი ნიშნები და ასპექტები. ისინი ახასიათებს ყველა ერიოვნულ პოლიტიკას, მათი ინტერნაციონალური ნიშნებია.

პოლიტიკა საერთოდ და კერძოდ ქართული ძალზე რთული და მრავალფეროვანი მოვლენაა, ტევადი ცნებაა. მისი კლასიფიკაცია ხდება შინაარსისა და ხასიათის მიხედვით. ამ მხრივ არსებობს პროგრესიული, რეაქციული, მეცნიერულად დასაბუთებული და ვოლუნტარისტული პოლიტიკა. დიდად სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა პროგრესიულობისა და მეცნიერული დასაბუთებულობის მიხედვით სრულებითაც არ გამოირჩევა. უმოკლეს დროში საზოგადოებრივი საკუთრების პრივატიზაციით მდიდართა პარაზიტული კლასი წარმოშვა, მოსახლეობის უმრავლესობა გაღარიბდა. დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობები არ მომზადდა. ასეთ პირობებში დამოუკიდებლობის და დემოკრატიისთვის ბრძოლას ქვეყნის კატასტროფა მოყვა, ამიტომ განხორციელებული პოლიტიკა ნაკლებად პროგრესიულია, ვოლუნტარისტულია.

საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების მიხედვით ქართული პოლიტიკა იყოფა ეკონომიკურ, სოციალურ, მეცნიერულ, ეკოლოგიურ, სამხედრო და ა.შ. პოლიტიკად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების, ვინაიდან ძლიერი ეკონომიკა ჩვენი ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის ძირითადი პირობაა, ხალხის მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესების, ქვეყნის დაცვის, გაძლიერების საფუძველია.

საქართველოს პოლიტიკა მიმართულების მიხედვით არის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამ სფეროებში ბევრი უნებური შეცდომაა დაშვებული, ბევრი წინასწარგანზრახ-

ვით, შეგნებულად ანტიქართული ქმედებაა ჩადენილი. ისინი გამოკვლეული და გამოძიებული უნდა იქნეს, დამნაშაეები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

ქართული პოლიტიკა პრიორიტეტულობის მიხედვით არის ნეიტრალური, ღია კარების, ეროვნული შერიგების და კომპრომისების პოლიტიკა, უნდა მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას, რომლის ძალით საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული იქნება ომის წარმოება, უცხო სამხედრო ძალების განლაგება.

ქართული პოლიტიკა გამოიხატება, მისი მატერიალიზება ხდება პოლიტიკური სუბიექტების მოღვაწეობაში იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს ესა თუ ის შედეგი. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა თავის გამოხატულებას პოულობს, მისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებში. საქართველოს სტრატეგიული კურსის შემუშავება და რეალიზაცია შეუძლებელია პოლიტიკური პარტიების, აგრეთვე სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების მოღვაწეობის გარეშე. საქართველოში პოლიტიკურ მოღვაწეობებში მონაწილეობს მრავალი სუბიექტი, რომელსაც ნაკლებად ახასიათებს სისტემურობა და მრავალფეროვნება, თეორიული და პრაქტიკული დონე არ არის მაღალი.

ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებენ სხვადასხვა მიზნების და ინტერესების მქონე პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ მთავარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ეს ურთიერთმოქმედება შეიძლება განხორციელდეს კოორდინაციის, მოღვაწეობის სუბორდინაციის პოლიტიკური თანხმობისა და ურთიერთდაპირისპირების პრინციპების საფუძველზე. სწორი პოლიტიკა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას როცა პოლიტიკური სუბიექტები ურთიერთმოქმედებენ, ხვსებენ ერთმანეთს, არ ანადგურებენ ერთმანეთს.

საერთოდ პოლიტიკის, ისევე როგორც ქართულის არსებითი და ღრმა ნიშანია მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი პოლიტიკურ ხელისფლებასთან, რითაც განსხვავდება სხვა პოლიტიკური მოვლენებისაგან პოლიტიკური ხელისუფლების ირგვლივ მოძრაობენ და ურთიერთმოქმედებენ პოლიტიკური სუბიექტები.

აღსანიშნავია ის, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა არის პოლიტიკურად განათლებული, პოლიტიკური მუშაობის უნარის მქონე ადამიანების, ძლიერი პოლიტიკოსების მოღვაწეობა, ის ქვეყნის პროგრესის ერთ-ერთი ძირთადი ფაქტორია. დიდად სამწუხაროდ, ძლიერი პოლიტიკური ლიდერისათვის აუცილებელი თვისებები საქართველოს მაღალი თანამდებობის პირებს არ გააჩნდათ და არ გააჩნიათ, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს კატასტროფა.

სამწუხაროდ, მეცნიერებაში, საჯარო გამოსვლებში და პრესაში გავრცელებულია პოლიტიკის არასწორი დახასიათებები, მათ შორის აღსანიშნავია ასეთიც: „პოლიტიკა ბინძური საქმეა„ „პოლიტიკა უზნეოა„. ასეთი დახასიათებები შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ შფოთიანი პოლიტიკური გარდატეხების დროს. პოლიტიკა თავისი არსით არ შეიძლება იყოს ბინძური და ამორალური მოვლენა, ის ძირითადად მაინც სამართლიან და აღმშენებლობით დადებით საქმიანობას ეწევა. ბინძური და ამორალურია ხშირად, მოტივები და მიზნები იმ დემაგოგი კარიერისტისა, რომელიც პოპულიზმით, ტყუილებით, ეშმაკობით იძენს პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობას და ამით პოლიტიკას აქცევს პოლიტიკანობად. სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკანები ქართულ პოლიტიკაში საკმარისზე მეტია.

ქართული საზოგადოების განვითარების სპეციფიკისა და მასში დემოკრატიული ინსტიტუტის მეტნაკლებად

ნაადრევად, ზომაზე მეტად დანერგვის გამო შესაძლებელზე მეტად გაფართოვდა პოლიტიკური მოქმედების სივრცე. ამჟამად საქართველოს ყველა მოწიფული მოქალაქე არის პოლიტიკის, პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტები. მათ უფლება აქვთ გამოხატონ თავიანთი ნება არჩევნების დროს ელექტორატის სახით, მონაწილეობენ ხელისუფლების ინსტიტუტების ფორმირებაში. რეფერენდუმში მონაწილეობით შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, რეალიზაცია გაუკეთონ მათ კუთვნილ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ამავე დროს, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ღონისძიებების განხორციელება საქართველოს მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის, საზოგადოებაში ისეთი ინტელექტუალური ვითარების შექმნისათვის, როცა ჩვენს ადამიანებს შეეძლებათ თავისთვის და საქართველოსთვის სასარგებლო საქმეების გაკეთება. ამ მხრივ, ამჟამად ბევრი აქტუალური პრობლემაა გადასაწყვეტი. ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, საქართველოსა და ჩვენი თავისთვის სასარგებლო საქმეს არ გავაკეთებთ.

საქართველოში მოსახლეობის საერთო და პოლიტიკური განათლებისა და კულტურის არასაკმარისმა დონემ და დემოკრატიული ტრადიციების არარსებულობამ ნეგატიური როლი ითამაშა თანამედროვე კატასტროფული მდგომარეობის შექმნაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში გამოიყენება ტერმინი „საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება„. ეს ტერმინი გამოიყენება იმ პოლიტიკური ცნების აღსანიშნავად, რომლის ლოგიკური შინაარსია პოლიტიკურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ ადამიანებს შორის პოლიტიკურ კავშირებს, ეხებიან პოლიტიკური ხელისუფლების მოპო-

ვებისა და ფუნქციების პრობლემებს. ამ ტერმინის გამოყენებასთან დაკავშირებით მეცნიერებმა შეიძლება გამოთქვან სხვა აზრიც, კერძოდ, ტერმინ „საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებასთან„ ერთად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტერმინიც „საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმა„ რომლებიც თავისი შინაარსის მიხედვით თითქმის იდენტურები არიან, მაგრამ მაინც ტერმინი „საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმა„ უფრო ზუსტად ასახავს შესაბამისი ცნების ლოგიკურ შინაარსს.

ამავე დროს, მეცნიერულად დაუსაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს აზრი იმის შესახებ,რომ მხოლოდ სახელმწიფო არის საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკას არ გააჩნია ის მეცნიერული თეორიული საფუძვლები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თანდათანობით უნდა შემუშავებულიყო გამოჩენილი მეცნიერი პოლიტოლოგების და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ,მისი ჭეშმარიტობა და ეფექტურობა უნდა შემოწმებულიყო პრაქტიკული პოლიტიკური გარდაქმნების პროცესში, ძლიერი პოლიტიკური მოღვაწეების ხელმძღვანელობით. საქართველოში კი თითქმის სამი ათეული წელია არაკომპეტენტური პოლიტიკოსების მიერ ხორციელდება უცხო სახელმწიფოთა ხელმძღვანელობის მიერ ნაკარნახები, მეცნიერულად ყოვლად დაუსაბუთებელი პოლიტიკური დოქტრინა და პრაქტიული პოლიტიკა, რომლის სავალალო, ტრაგიკული შედეგია საქართველოს ამჟამინდელი კატასტროფული მდგომარეობა. საზღვარგარეთის დაზვერვის მიერ საქართველოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნულ არაქართულ და ქართველ პოლიტიკანებს არ

შეეძლოთ შეემუშავებინათ ქვეყნის მეცნიერულად დამტკიცებული გენერალური ხაზი და განეხორციელებინათ ის. საქართველოს ამჟამინდელი კატასტროფული მდგომარეობა სრულებითაც არ არის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ობიექტურად გარდაუვალი პოლიტიკური შეცდომების შედეგი, ის საქართველოს მტრების პირდაპირი განზრახვით მოქმედების შედეგია.

ქართულ პოლიტიკას, როგორც უკვე აღინიშნა, გააჩნია მრავალი თვისება, გამოვლენა, გამოხატვის ფორმები. მისი სუბიექტური შემადგენლობა მდიდარი და მრავალფეროვანია. საჭიროა მისი გადაქცევა მოქნილ, დინამიკურ და ყველგან მსუფევ მოვლენად. ქართული პოლიტიკისთვის მათი სუბიექტური მრავალფეროვნება სრულებითაც არ არის საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობაში პოზიტიური მოვლენა. თანამედროვე ქართული პოლიტიკის სუბიექტები სრულებითაც არ არიან მომზადებულნი საქართველოსათვის დადებითი და სასარგებლო აღმშენებლობითი საქმიანობისთვის, რასაც მოწმობს მათი „საქმიანობის" შედეგად შექმნილი ქართველი ხალხის უამრავი უბედურება. აუცილებელია ამ სუბიექტების რაოდენობის შემცირება, ვისაიდან მათი, უახლოეს დროში, დადებითი და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობისათვის მომზადება შეუძლებელია.

ქართული პოლიტიკა ესება ადამიანთა დიდი მასების ინტერესებს და ამიტომ მრავალმიზნიანია. ჩვენი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარი და მუდმივი მიზანი უნდა იყოს ადამიანთა გაერთიანება ცხოვრების გაუმჯობესებისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად მხოლოდ ასეთ პოლიტიკას დაუჭერენ მხარს ადამიანები. რევოლუციას, დამოუკიდებლობის, დემოკრატიის და სხვა მოდურ ფრაზებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ისინი ადამიანთა ცხოვრე-

ბის პირობების გაუმჯობესებას იწვევენ. ის პოლიტიკა, რომელიც იწვევს მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკებას, არღვევს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, რეაქციულია და მისი განმახორციელებლები რევოლუციისთვის დამახასიათებელი სისასტიკით უნდა დაისაჯონ. ქართველმა ხალხმა კი ისინი ჯერ კიდევ არ დასაჯა.

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს ქვეყანაში მშვიდობის, უშიშროების, სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ჩვენმა პოლიტიკოსებმა ვერც ეს ამოცანა გადაწყვიტეს. საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი ომები მოხდა, მასობრივი ანარქია და ქაოსი გავრცელდა, რითიც ისარგებლეს დამნაშავეებმა, ქვეყანა გაძარცვეს, გამდიდრნენ და ნაძარცვის ნაწილი საზღვარგარეთ მათ დამცველებს მიართვეს. ყველა სუბიექტი არნახულ აქტივობას ავლენს, მაგრამ მათი აქტივობა სასარგებლოა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა კვალიფიცირებული და კომპეტენტური პოლიტიკური სტრუქტურები სასარგებლო საქმეებს აკეთებენ საზოგადოებისთვის. ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ამიტომ საჭიროა ღონისძიებების განხორციელება პოლიტიზაციის შესანელებლად და საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიზაციისა და რაციონალიზაციის გასაძლიერებად.

თანამედროვე საქართველოში გენერალური პოლიტიკური კურსის შემუშავებას წინასაარჩევნო პროგრამების ფორმაში ეწევიან პარტიები, პოლიტიკური ლიდერები. წინასაარჩევნო კომპანიის მსვლელობაში ეს პროგრამები განემარტება საზოგადოებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ამომრჩევლები ხმას აძლევენ ამა თუ იმ პარტიას და ირჩევენ გარკვეულ პოლიტიკურ კურსს. არჩევნების შედეგად ხდება საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და

ალმასრულებელი (სამთავრობო) ორგანოების ფორმირება. არჩევნებში გამარჯვებული პარტია ქმნის მთავრობას, რომელიც სტრატეგიული კურსი უნდა გაატაროს ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დემოკრატიულ წესს დადებითი, ქვეყნისთვის სასარგებლო შედეგების მოტანა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული ტრადიციების და თანამედროვე ზოგადი და პოლიტიკური განათლებისა და კულტურის მქონე ქვეყნების მოსახლეობაში. ჩვენ კი, დიდად სამწუხაროდ, ასეთი არ ვართ და სანამ ჩვენ არ ვართ მომზადებულნი ძლიერი, კვალიფიციური და ზნეობრივი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისთვის და მისი ხელმძღვანელობით პატიოსანი შრომისა და ცხოვრებისთვის, საჭიროა პოლიტიკურმა მეურვემ მოგვამზადოს ამ ამოცანის წარმატებითი გადაწყვეტისათვის. ჩვენ აუცილებლად უნდა დაუჭიროთ მხარი პროგრესული საერთაშორისო მეურვის ხელმძღვანელობით მოქმედ ქართულ სახელმწიფო ხელისუფლებას, ვინაიდან, ის უფრო კვალიფიციური იქნება, ვიდრე ჩვენი პოლიტიკური ორგანოები და გაერთიანებები. ამიტომ ასეთი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი საერთაშორისო მეურვის შემუშავებული ქვეყნის განვითარების გენერალური ხაზი და მის განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებანი სრულებითაც არ იქნება ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების შელახვა, როგორც თვლის ზოგიერთი მეცნიერი.

საზოგადოება, რომელშიც არსებობს მტკიცე დემოკრატიული ტრადიციები, პოლიტიკის სტრატეგიას შეიმუშავებენ, ოპტიმალური პოლიტიკური კურსს ირჩევენ პოლიტიკური პარტიები, მთელი საზოგადოება. ჩვენს საზოგადოებაში კი ასეთი ტრადიციები სამწუხაროდ არ არსებობს და ამიტომ დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები მექანი-

კურად არ უნდა გადმოვიღოთ. სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ეფექტური საშუალებაა, რასაც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯურების გამოყენებით, მართვისა და იძულების აპარატის მეშვეობით. თუ ამ საკითხს ისტორიული ასპექტით და თანამედროვე არადემოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობის გათვალისწინებით განვიხილავთ გაირკვევა, რომ ყველა ქვეყანაში პოლიტიკისა და სახელმწიფოს ურთიერთმოქმედება. სრულებითაც არ იყო და არ არის ოპტიმალური. პოლიტიკაში ფუნქციების განაწილების ოპტიმალური ვარიანტიდან ძირითადი გადახრა პარტიებს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო დომინირებს პოლიტიკის სფეროში, ის შეიმუშავებს და რეალიზაციას უკეთებს სტრატეგიულ კურსს. ეს დემოკრატიულად განვითარებად ქვეყანაში, ობიექტური აუცილებლობით არის გამოწვეული. საზოგადოებისთვის სასარგებლო ქმედებაა, ვინაიდან მასობრივი ანარქიისა და ქაოსის დადგომას ეწინააღმდეგება. განუვითარებელ ქვეყნებში ასეთი „გადახრით" შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაში ასეთი საქმიანობით სახელმწიფო სრულებითაც არ ლახავს ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს, როგორც ფიქრობს ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი.[1] პირიქით, სახელმწიფო ქმნის აუცილებელ პირობებს მომავალში დემოკრატიის მაქსიმალური გაფართოებისათვის.

ასეთი პოლიტიკა უნდა განახორციელოს თანამედროვე ქართულმა სახელმწიფომაც დემოკრატიის მაქსიმალური გაფართოებისათვის აუცილებელი პირობების მოუმზადებლობის გამო.

---

1 Политология, Издательство Норма, М. 2003, стр. 50

მესამე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკის სუბიექტები და ობიექტები. პოლიტიკური ურთიერთობები და მათი პრობლემები

საბჭოთა პერიოდის პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკისა და პოლიტიკური ურთიერთობების ძირითად სუბიექტებად ითვლებოდნენ საზოგადოებრივი კლასები. ეს საბჭოთა პოლიტოლოგიური დებულება ჭეშმარიტი და მეცნიერულად დასაბუთებულია, ვინაიდან საზოგადოებრივი კლასები მართლაც წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ პოლიტიკის ძირითად სუბიექტებს, მაგრამ ამით პოლიტიკის სუბიექტების პრობლემა სრულებითაც არ არის სრულად გამოკვლეული.

პოლიტიკის სუბიექტის ლოგიკური კატეგორიის შინაარსის მიხედვით ქართული პოლიტიკის სუბიექტები არიან სოციალური და ეროვნული ერთობები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებსაც გააჩნიათ უნარი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მიაღწიონ მათ რეალიზაციას, შეცვალონ საზოგადოებრივი ურთიერთობანი მათი ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად. პოლიტიკის სუბიექტები აქტიური მიზანმიმართული და დასაბუთებული მოქმედების მატარებლებია. აუცილებელია ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როცა საქართველოს პოლიტიკის სუბიექტები გახდებიან სწორი, დასაბუთებული და სასარგებლო ღონისძიების ავტორები.

ქართული პოლიტიკის სუბიექტები შეიძლება კლასიფიცირებული იქნენ სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან სოციალური და ნაციონალური სახიათის სუბიექტები, რომლებიც ხელისუფლების პირველწყაროს წარმოადგენენ, ესენია: სოციალური ერთობები, კლასები, ჯგუფები, ელიტები,

ინდივიდები და სხვ. მეორე ჯგუფში შედიან პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუციური მატარებლები, სახელმწიფო და მისი ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობანი. ესენი არიან პოლიტიკის მუდმივად მოქმედი სუბიექტები,რომლებიც მას ახორციელებენ ცხოვრებაში. ქართული პოლიტიკის სუბიექტების მესამე ჯგუფია ფუნქციონირებადი პოლიტიკური სუბიექტები: ოპოზიცია, ლობი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და სხვ. ისინი იბრძვიან პოლიტიკური ხელისუფლებისთვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ მის განხორციელებაში.

ქართული პოლიტიკის სუბიექტების ინიციატივები და მოქმედებები აშკარა ან ფარული სახით განპირობებულია გარკვეული სახის ინტერესებით. იმის მიხედვით თუ რამდენად პოლიტიკური კურსი გამოხატავს ხალხის ინტერესებს პოლიტიკა არის ხალხური ან ანტიხალხური.

პოლიტიკური ურთიერთობანი არის საზოგადოებრივი ურთიერთობების სახესხვაობა, მაგრამ პოლიტიკურ ურთიერთობებს გააჩნიათ გარკვეული სპეციფიკა, რითაც ისინი განსხვავდებიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სახეებისგან.

პოლიტიკური სუბიექტების რაოდენობის მხრივ საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანია პოსტსოციალისტური ქვეყნებს შორის არსებული ინფორმაციის მიხედვით, თითქოს, ამჟამად საქართველოში ორ ასეულზე მეტი პოლიტიკური ორგანიზაცია არსებობს. დიდად სამწუხაროდ, მათ ჯერ-ჯერობით ქვეყნისათვის დადებითი და სასარგებლო საქმე თითქმის არ გაუკეთებიათ. ქართული პოლიტიკის მამოძრავებელი ძალაა ადამიანის, სოციალური ერთობების, ჯგუფების, ერების და სხვ. ინტერესები. ამ ინტერესებს გამოხატავენ

და იცავენ პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოები. სოციალური ინტერესის გარეშე პოლიტიკა უმოქმედო და უსიცოცხლოა.

საერთოდ პოლიტიკაში,ისევე როგორც ქართულ პოლიტიკაში მისი ობიექტურად გარდაუვალი ცვალებადობისა და დინამიურობის გამო არ არიან მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები,არის მხოლოდ და მხოლოდ მუდმივი ინტერესები რომელთა ობიექტური საფუძველია მოთხოვნილება. ყველა მოთხოვნილებათა შორის განსაზღვრელია ეკონომიკური მოთხოვნილებები.

დიდად სამწუხაროდ, ქართველმა და არაქართველმა პოლიტიკანებმა დაიჯერა საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელთა თვალთმაქცი დაპირებები საქართველოს დაცვისა და მასთან მუდმივი მეგობრობის შესახებ. ეს მოხდა მაშინ, როცა ისინი დაუფარავად აცხადებდნენ,რომ მათ არ ჰყავთ მუდმივი მოკავშირეები,გააჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ მუდმივი ინტერესები, მიაღწიეს რა თავის მიზნებს, ვერაგულად მიატოვეს საქართველო, ხელში ჩაუდეს შურისმაძიებელ ოკუპანტს.

ჩვენდა საუბედუროდ ქართველი და არაქართველი ვაიპოლიტიკოსები გამოირჩევიან თავიანთი მატერიალური ინტერესების უშრომელად, და უკანონოდ დაკმაყოფილების მიღწევისათვის მგლური მეთოდების გამოყენებით. ქართული ხალხისა და მისი კეთილმყოფელების ნაშრომის, სამშობლოს ბუნებრივი სიმდიდრეების დატაცებისა და მითვისების და სხვა დანაშაულთა ჩადენის გზით სასწრაფოდ გამდიდრებულები, ხელისუფლებაში ურთიერთშეთანხმებისა და დათმობით ცვლიან ერთმანეთს გამდიდრებისათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით.

ქართული პოლიტიკის ობიექტებია: სოციალური ერთობები, ჯგუფები, ერები, გაღატაკებული ადამიანები და მათი გაერთიანებები. სამწუხაროდ პოლიტიკა მოქმედებს დანაშაულის გზით გამდიდრებული და პოლიტიკურად გაბატონებული ადამიანთა ინტერესების დაცვის მიზნითაც. საქართველოში პოლიტიკის სუბიექტებისა და ობიექტების დაახლოების ტენდენცია ამჟამად არ შეიმჩნევა.

საქართველოში პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთობანი წარმოიშვებიან პოლიტიკური სტრატეგიული კურსის შემუშავების პროცესში და წინასაარჩევნო ბრძოლის მსვლელობაში ხელისუფლების დაუფლებისათვის. მისი რეალიზაციის პროცესში ქართული პოლიტიკური ურთიერთობანი ხასიათდება რიგი თავისებურებებით. კერძოდ, ისინი წარმოიშვებიან დიდი პოლიტიკური ერთობების – ერების, პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების და სხვ. შორის სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლისა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი, ცდილობენ წარმოადგინონ თავი სოციალური ჯგუფების, კლასების და ხალხის ძირეული ინტერესების გამომხატველად. ყველაზე მძაფრად ეს ვლინდება ბრძოლაში სახელმწიფო ხელისუფლების თავიანთი ინტერესებისათვის გამოსაყენებლად. პოლიტურთიერთობანი წარმოადგენენ პოლიტიკური შეხედულებების და მრწამსის, პოლიტიკური ინსტიტუტების რეალიზაციის ფორმას.

ქართული პოლიტიკური ურთიერთობანი არასტატიკურია, ისინი რთული და მოძრავი ფენომენებია, წარმოადგენენ ობიექტურობისა და სუბიექტურის სტიქიურისა და შეგნებულის ეროიაონობას.

მეოთხე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემები

ქართული პოლიტიკური ურთიერთობების მონაწილეებს შორის ძირითადი ადგილი უჭირავს პიროვნებას, როგორც ქართული პოლიტიკური პროცესის უმნიშვნელოვანეს სუბიექტს. ქართული პოლიტიკის, რომელიც ხორციელდება ჩვენი მოქალაქეების მეშვეობით ძირითადი მიზანი უნდა იყოს მათი კეთილდღეობის მიღწევა. ქართული პოლიტიკური ურთიერთობების, მისი ფორმებისა და ინსტიტუტების სისტემა უნდა მოღვაწეობდეს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების მიღწევის მიზნით. სახელმწიფო სამართალი, მთელი სოციალური სისტემა უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს და არა თავის თავს, როგორც ხშირად ხდება საქართველოში და საზღვარგარეთ.

ჩვენს ადამიანებს როგორც პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტებს გააჩნიათ პოლიტიკური ცნობიერება და გარკვეული პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებანი. მათ უფლება აქვთ წერილობით ან ზეპირად გამოთქვან ისეთი პოლიტიკური იდეები, რომლებიც აკრძალული არ არის კანონის მიერ. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც აკრძალულია საქართველოს კანონის მიერ და იწვევენ სოციალურ, რასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ, ენობრივ სიძულვილსა და მტრობას, აგრეთვე, ეროვნული უპირატესობის იდეის გავრცელებას.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობის მნიშვნელოვანი პირობაა მათი უფლება შეიძლნენ სხვადასხვა პარტიებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებში, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს

მართვაში. ნებადართულია აგრეთვე პოლიტიკური აქციების ჩატარების კოლექტიური ფორმა – ადამიანთა უფლებები შეკრიბონ მშვიდობიანად, იარაღის გარეშე ჩაატარონ კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები, კოლექტიური სვლები და პიკეტირება.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან ყველა არჩევითი ორგანო, მიანიჭონ მათ ხელისუფლებრივი უფლებამოსილებანი, მოთხოვონ ანგარიში მათ საქმიანობის შესახებ.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევა უშუალო, პირდაპირი დემოკრატია, რომელიც გამოიყენება რეფერენდუმებისა და არჩევითი კომპანიების სახით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში პირდაპირი დემოკრატიის შესაძლებლობის რეალიზაცია ხდება ძალზე არადამაკმაყოფილებლად. არ ხორციელდება სახალხო კონტროლი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, ასეთი კონტროლის ორგანოები ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში არ არსებობს. უკონტროლობამ კი გამოიწვია ბიუროკრატიზმისა და კორუპციის და უპასუხისმგებლობის გავრცელება სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე.

ამჟამად საქართველოში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლისა და კანონიერების განმტკიცების პრობლემამ, რომლის წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია საზოგადოების ცოცხალი ძალების აქტიური მონაწილეობის, პირდაპირი დემოკრატიის გამოყენების გარეშე. კანონებმა უნდა განახორციელონ თავისი ფუნქციები, დაიცვან პიროვნების ღირსება და ხელშეუხებლობა დანაშაულებრივი ხელყოფისგან.

ჩვენს საზოგადოებაში კანონიერება თავისით არ დამყარდება. ამ პრობლემის გადაჭრის ძირითადი პირობა და საშუალებაა თვითონ ხალხის აქტიური ბრძოლა საზოგადოებაში წესრიგის დასამყარებლად კანონიერება არის უდიდესი სიკეთე საზოგადოებისთვის, ადამიანისათვის: თვითნებობა და უკანონოება რეალურ საშიშროებას უქმნის პიროვნებას, ყველა ადამიანი უნდა იყოს დაინტერესებული კანონის დაცვაში და ეს ინტერესი უნდა გამოვლინდეს მის რეალურ საქმეში. ამჟამად გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ახალ საფუძველზე სახალხო რაზმების აღორძინება, როგორიც საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ქმედი საშუალება.

ამჟამად საქართველოში გარკვეული აქტუალობა მოიპოვა საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობის პრობლემამ. ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობის ეითარებაში წარმოშვა ასეთი აქტიურობის წინააღმდეგობრივი ფორმები. ერთის მხრივ, ადგილი აქვს მოსახლეობის სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ პროტესტებს, სამთავრობო დაწესებულებების პიკეტირებებს, შიმშილობებს და სხვ. მეორე მხრივ ადგილი აქვს მოსახლეობის ნაწილის უარისთქმას არჩევნებში მონაწილეობაზე, აბსენტიზმს და სხვ. ეს კი აღრმავებს ხალხისა და სახელმწიფო ორგანოების დაპირისპირებას.

დიდად სამწუხაროდ, გამართლდა ზოგიერთი საზღვარგარეთელი პოლიტიკური მოღვაწისა და მეცნიერის აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ ავჩქარდით დემოკრატიისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი საქართველოს მოქალაქეებისათვის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების სრული კომპლექსის ერთბაშად მიცემით, რომელიც სრულებითაც არ იქნა და არც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული საქართველოს სასარგებლოდ.

მეხუთე პარაგრაფი. საქართველოს პოლიტიკური ლიდერი და მისი მოღვაწეობის პრობლემები

საქართველოს ეროვნული კატასტროფა. გარკვეულწილად განაპირობა სუბიექტურმა ფაქტორებმაც. ქართული სახელმწიფოს თვითლიკვიდაციის ღღვარზე მისვლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელობის მცდარი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია, მის საფუძველზე განხორციელებული ვოლუნტარისტული ქმედებები, არაკვალიფიციურობა და არაკომპეტენტურობა. მათ არ იცოდნენ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, მსოფლიოს პოლიტიკური პრაქტიკით აპრობირებული დებულება იმის შესახებ, რომ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შექმნისათვის, სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციისთვის და სხვ. საჭიროა საზოგადოებაში წინასწარ შეიქმნას და მომწიფდეს საშინაო და საგარეო, ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტორები, წანამძღვრები და საფუძვლები, რომ ასეთი პირობების გარეშე, ცარიელ ადგილზე რადიკალური გარდაქმნების განხორციელება პოლიტიკური ავანტურაა, რაც ქვეყანას კატასტროფაში ჩააგდებს, ადამიანთა დიდ მსხვერპლის გამოიწვევს. რეალური დამოუკიდებლობა, სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაცია და სხვა პროგრესული სოციალური შედეგები მიღწეული არ იქნება. ასე მოხდა მათი ხელმძღვანელობის დროს ჩვენი მხარდაჭერით საქართველოში.

ჩვენ და ჩვენს ხელმძღვანელებს ფორმალური, დეკლარირებული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციის გამოცხადების გარდა, არც ერთი რაციონალური ღონისძიება არ გაგვიხორციელებია, უარვყავით და მოვსპეთ ის უდიდესი

ღირებულებანი, რომლებიც საქართველოს ჰქონდა წინა პერიოდში და რომელთა სოციალური შედეგები ჩვენ თვითონვე ვართ. ჩვენ და ჩვენი საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო, ახლაც კი დიდი ხნით წერა-კითხვის უცოდინარი, ნახევრად მშიერი, ჩაუცმელ-დაუხურავი, ხელ-პირ დაუბანელი, ქოხებში მცხოვრები, თურქეთისა და გერმანიის მუდმივი მონები უნდა ვიყოთ. ისინი კი ქვეყნის მმართველებად მოგვევლინენ დემაგოგიური, არარეალური დაპირებებით და ხალხის მოტყუილებით, გაუნათლებელი და უმადური ახალი მჩაგვრელები, ეროვნული, საზოგადოებრივი ქონების მითვისება მტაცებლობის გზით შექმნილი ექსპლუატატორების ინტერესებს იცავენ.

ეს ვაუბატონები ათეული წლებია ატყუილებენ საქართველოს მოსახლეობას დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით, სინამდვილეში კი მთელი მათი საქმიანობა თანამდებობის დაკავებისა და მათი გამოყენებით გამდიდრებისკენ იყო და არის მიმართული.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისთვის საჭირო, აუცილებელი ფაქტორების. მოუმწიფებლობის და მოუმზადებლობის გამო ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საშუალებანი და მეთოდები არაეფექტური აღმოჩნდა, მიზანი მიუღწეველი დარჩა, ქვეყანა დაიშალა და დაქუცმაცდა და ადამიანთა დიდ მსხვერპლს აქვს ადგილი, რასაც არავითარი და არანაირი გამართლება არ აქვს, ბოროტებაა საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საჭირო ობიექტური და სუბიექტური, საშინაო და საგარეო ფაქტორებისა და წანამძღვრების მომზადების გარეშე ჩვენი ქვეყანა დის-

იდენტპოლიტიკანებს ჩვენი მხარდაჭერით არ უნდა გამოეყვანათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. იმ პერიოდში და ვითარებაში შესაძლებელი იყო თანდათანობით, ეკოლოციური განვითარების გზით ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევისთვის და სხვა სოციალური გარდაქმნების განხორციელებისთვის საჭირო საფუძვლებისა და წანამძღვრების მომზადება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ქვეყანა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, შენდებოდა ეკონომიური პროფილის საწარმოები. მაღლდებოდა სალხის ცხოვრების ეკონომიური და კულტურული დონე, მზადდებოდა კვალიფიციური კადრები გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური უფლებები. რუსი ხელმძღვანელები უკვე აღარ იყვნენ დაინტერესებული სსრკ არსებული ფორმით შენარჩუნებით, როგორც რუსეთისათვის არასასარგებლო მოვლენისა.

ამჟამად საქართველოს სოციალურ-ეკონომიური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების მომზადება, ვინაიდამ საქართველო განიცდის მათ მწვავე დეფიციტს. არის შემთხვევები, როცა ხელმძღვანელი სახელმწიფო თანამდებობაზე პოლიტიკურად გაუნათლებელი, ზნედაცემული პოლიტიკანები არიან მოკალათებულნი, რომლებიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ქართველ ხალხს და მის კეთილმოსურნეებს. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ საქართველოზე პოლიტიკური მეურვეობის დამყარებას იმ ქვეყნის სახით, რომელსაც გააჩნია წარმატებული პოლიტიკური მეურვეობისათვის საჭირო გამოცდილება, კვალიფიცირებული, ქვეყნის მართვის უნარის მქონე ხელმძღვანელების მომზადების მხრივაც ქართველი ხალხის საუბედუროდ, მას ძლიერი პოლიტიკური ლიდერი არ ჰყავს, ქვეყნის ხელმძღვანელობაში სუსტი პოლიტიკოსების მოსვლა განაპირობა მთელმა რიგმა მიზეზებმა.

პირველი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფოებრიეი მართვის ხანგრძლივი და ძლიერი ეროვნული ტრადიციები, ვინაიდან საქართველოს მისი ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებში მართავდნენ ველური დამპყრობლები. ქართველი ხალხი, მისი გაბატონებული სოციალური ფენები ჩამოცილებული იყვნენ ქვეყნის მმართველობას, ზოგ მათგანს კი ფორმალურად ეკაეათ ხელმძღვანელი თანამდებობები. საქართველოში საკუთარ, ეროვნულ, საფუძველზე შექმნილი საზოგადოების მართვის მეცნიერება არ არსებობდა. ამ მიზეზის გამო, გაბატონებული ფენების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ საზოგადოების მართვის მეცნიერების საფუძველზე ემართათ ქვეყანა, საზოგადოება. მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა გამოემუშავებინათ ქვეყნის მართვისათვის საჭირო ორგანიზატორული და ადმინისტრაციული მუშაობის უნარჩვევები. ამიტომ ჩვენგან, ამ ადამიანების შთამომავლებიდან მოკლე დროში, დაჩქარებული ტემპებით ძლიერი პოლიტიკური ხელმძღვანელები არ შეიძლებოდა გამოსულიყო და არც გამოვიდა ორიოდე უძლიერესი მსოფლიოს წინაშე დიდად დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწის გარდა. ჩვენი ხალხისა და მისი ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების მიზნით საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებანი უშედეგო აღმოჩნდა, ხოლო პოლიტიკურად გაუნათლებელი და პოლიტიკურ კულტურას მოკლებული ადამიანები ახალ სახელმწიფო ხალისუფლებას ურცხვად დაეუფლნენ. იმ ადამიანების პოლიტიკური განათლების დონე და ხარისხი, რომლებიც დამოუკიდებლობის ფორმალური გამოცხადების შემდეგ ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ ძალზე დაბალი აღმოჩნდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს კატასტროფული მდგომარეობა.

შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ ხელისუფლებაში სუსტი ლიდერის მოსვლა განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ დიდი ხნის განმავლობაში სოციალიზმის პირობებში პარტია ქართველ ხალხს, მის ახალგაზრდობას უნერგავდა იმ პოლიტიკურ იდეოლოგიას, ქვეყნის პოლიტიკური მართვის იმ თეორიას, რომლებიც შექმნილი იყვნენ არაქართულ ნიადაგზე, არა საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე სოციალური რეალობის ასახვისა და ანალიზის საფუძველზე, არამედ ევროპის ცივილიზებული ქვეყნების – ინდერლანდების, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ან პოლიტიკური რეალობის, განათლებული და კულტურულ მუშათა კლასის იდეოლოგიის საფუძველზე. ამიტომ ის თავისი ხასიათით სრულიად მიუღებელი იყო კაპიტალისტური განვითარების საწყის სტადიაზე მდგომი, გლეხურ-წვრილბურჟუაზიულო საქართველოს მოსახლებისთვის, მისი ახალგაზრდობისთვის. ისინი პრინციპულად არ ცნობდნენ მარქსისტულ საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რომელთა იდეური, წყაროები არის ადრინდელი ქრისტიანობის სოციალურ-პოლიტიკური იდეები, იტალიელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა ხალხებს გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნეების პროგრესული პოლიტიკური თეორია და საზოგადოების მეცნიერული მართვის იდეები, რომლებითაც საქართველოში ეროვნული პოლიტიკური მართვის მეცნიერების განუვითარებლობის პირობებში უნდა ეხელმძღვანელათ თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობაში. ისინი კი მტრულად ეკიდებოდნენ პროგრესილი იდეების საფუძველზე შექმნილ პოლიტიკურ სისტემას, მისი სტრუქტურული ელემენტების აღმშენებლობით საქმიანობას, უსაფუძვლოდ, ლიტერატურულ დონეზე აკრიტიკებდნენ და ცილს სწამებდნენ მას, ხოლო მათი ხელმძღვანელობით და უშუალო პრაქ-

ტიკული მონაწილეობით შექმნილ მატერიალურ ღირებულებებს ურცხვად ითვისებდნენ და მდიდრდებოდნენ. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მათ ვერ მიიღეს თანამედროვე პოლიტიკური განათლება და კულტურა, ვერ გამოიმუშავეს დადებითი, აღმშენებლობითი საქმიანობის ორგანიზატორული და ადმინისტრაციული უნარები, პოლიტიკური ეთიკის ნორმების დარღვევით დაიკავეს ხელმძღვანელი სახელმწიფო თანამდებობები, დაუშვეს ბევრი ავანტურისტული, ვოლუნტარისტული და სხვა სახის შეცდომები, რომლებმაც ქართველი ხალხის კატასტროფა გამოიწვია.

ამ ტრაგიკული მდგომარეობიდან ქართველი ხალხის გამოყვანის, მისი ფიზიკური განადგურებისგან ხსნის ერთადერთი გზა და საშუალებაა საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარება, რომლის პირობებში შესაძლებელი გახდება სახელმწიფოს მართვის მეცნიერების მცოდნე, ორგანიზატორული და ადმინისტრაციული მუშაობის უნარის მქონე კადრების მომზადება და ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურება.

ძლიერი, კვალიფიციური პოლიტიკური ლიდერების მომზადებისთვის აუცილებლად საჭირო იყო საქართველოს მოსახლეობის, მისი მუშებისა და გლეხების, როგორც მათი სოციალური ბაზის განათლებისა და კულტურის მაღალი დონე. მათი წრიდან ამზადებდნენ ბოლშევიკები კადრებს. ისეთი კულტურული სოციალური საფუძველი, რომლის წრიდან შესაძლებელი იყო ძლიერი ხელმძღვანელების მომზადება საქართველოში არ არსებობდა, ვინაიდან 1897 წ. აღწერის მონაცემებით ქართული მოსახლეობის 76% წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ჩვენდა სამარცხვინოდ, მუშებისა და ღარიბი გლეხებისგან ხელმძღვანელი კადრების მომზადება 1919 წ. ვ. ი. ლე-

ნინის მიერ შედგენილი დებულებებით „რსფხრ უმაღლესი სასწავლებლების შესახებ“ დავიწყეთ, რომელიც საქართველოში 1921 წ. თებერვლიდან ამოქმედდა. ეს დებულება მოითხოვდა უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტებას საფუძვლად დადებოდა კლასობრივი პრინციპი, პირველ რიგში, მიეღოთ მუშები და მათი შვილები.

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეკომენდაციით უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალმა წესებმა პროფესორ-მასწავლებელთა პროტესტი გამოიწვია. მუშები და ღარიბი გლეხები მშრომელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ, მატერიალურ დოვლათს ქმნიდნენ, წითელი არმიის მეომართა ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ და სხვა. ამავე დროს, მათი უმრავლესობა გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი იყო და მათგან ბრიდადულ-ლაბორატორიული წესით მომზადებით, მუშათა ფაკულტეტებზე სწავლით, წითელი პროფესურის ინსტიტუტის დამთავრებით, კომკავშირული და სხვა ლიმიტებით, პრაქტიკული მუშაობის სტაჟით, რეპრესირებულთა და ჩრდილოეთის რაიონებში მომუშავეთა შვილობით, არმიაში ნამსახურებით და პრაქტიკული მუშაობის სტაჟით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვით არ შეიძლებოდა შეგვეძინა ის ცოდნა, რაც საჭირო იყო კვალიფიცირებული ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მომზადებისათვის. ეს ხდებოდა დაჩქარებული ტემპით სტალინური ხუთწლედებში და შემდეგ პერიოდშიც.

საჭირო იყო ქვეყნის ხანგრძლივი განვითარების პერიოდი, ოჯახში და სკოლაში აუცილებელი, ნორმალური განათლებისა და კულტურის მიღება და ბევრი სხვა, იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო კვალიფიციური და კომპეტენტური ხელმძღვანელები, როგორც საქართველოს პროგრესის მნიშვნელოვანი სუბიექტური ფაქტორი. უმაღლესი განათლების

კერძო სისტემის დანერგვამ, მნიშვნელოვანწილად შეუშალა ხელი კვალიფიციური პოლიტიკოსების მომზადების საქმეს. ასეთი სასწავლებლების დადებითი საქმიანობისთვის საქართველოში არ იყო მომზადებული არცერთი აუცილებელი წინაპირობა, მათ დიდ უმრავლესობას არ გააჩნდა ნორმალური უმაღლესი საწავლებლისთვის დიდად აუცილებელი და საჭირო არცერთი ნიშან-თვისება-არც ელემენტალურად განათლებული აბიტურიენტები არც კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მრავალი სხვა წინაპირობა. და შესაძლებლობა. ხშირ შემთხვევაში დიპლომის გაცემის ერთ-ერთი პირობა იყო სწავლის ფულის გადახდა, რაც არის წმინდა წყლის სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელი, მავნებლური საქმიანობა უმაღლესი განათლების სფეროში. ასეთი, ყოელად მიუღებელი მეთოდებით მომზადებული კადრების ნაწილი ახლა ქვეყანას „მართავენ" რომლებმაც თავიანთი პოლიტიკური გაუნათლებლობით და უკულტურობით, ორგანიზატორული და ადმინისტრაციული მუშაობის უნარის უქონლობით, უშრომელი შემოსავლით, გამდიდრებით და სხვა, საქართველო კატასტროფაში ჩააგდეს.

საქართველოში კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსების რეკომენდატორების და ორგანიზატორების ბოროტი ზრახვები, უკეთურება აშკარად გამოვლინდა. ამჟამად საქართველოში სუსტი პოლიტიკური ლიდერების სოციალური და ინტელექტუალური საფუძველი ჩვენი, ქართველი ხალხი,ს ზოგადი და პოლიტიკური განათლების დაბალი დონეა. ასეთ პირობებში ჩვენი წრიდან ძლიერი პოლიტიკური ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ გამოვლენ. ძლიერი პოლიტიკური ლიდერის მომზადებაში, მნიშვნელოვან წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოს საერთაშორისო მეურვეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სუსტი პოლიტიკური ხელმძღვანელების ფორმირებაში და დაწინაურებაში ქართველ ხალხსაც, ჩვენ ყველას გვეკისრება ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა. მსოფლიოს არალეგალური მთავრობის, სამასთა კომიტეტის და სომხური დიასპორის მიერ საქართველოში შერჩეული პოლიტიკური კრეატურის სახელმწიფო მმართველობა იურიდიულად ფორმირდებოდა არჩევნებით, არჩეულებს მხარს უჭერდა და უჭერს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელსაც არ შეეძლო გამოეკლინა მათი მჩაგვრელური, მტაცებლურ-მიმთვისებური და ქარაფშუტა ხასიათი. ამ მხრივ, ჩვენ, ქართველებს ისეთი სახელმწიფო ხელმძღვანელობა გვყვავდა და გვყვავს, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიმსახურებდით ჩვენი პოლიტიკური გაუნათლებლობით და უკულტურობით, ბრბოსათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანთვისებით, რომლებითაც საკმაოდ ეფექტურად სარგებლობდნენ დემაგოგი-კარიერისტები თავიანთ გასამდიდრებლად. მსოფლიოს თანამედროვე ლიდერს – აშშ მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდად, მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა გამოენახა შედარებით უფრო ძლიერი და მორალურად უფრო სუფთა ხელმძღვანელები, თუმცა ძლიერი ქართველი პოლიტიკური ლიდერი საქართველოში შესაძლოა არც კი არსებობდა. ამ მხრივ, თვით ქართველ ხალხს, როგორც ამომრჩეველთა ძირითად ნაწილსაც გვეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა სუსტი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნაში მონაწილეობისთვის, მდარე პოლიტიკური ხელმძღვანელების დაწინაურებაში, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს კატასტროფა.

ქართული პოლიტიკური ლიდერების სისუსტე, მათი არაკომპეტენტურობა და კვალიფიკაციის დაბალი დონე დე-

ტერმინირებულია იმითაც, რომ ისინი ზოგადთეორიული და სპეციალურ-პოლიტოლოგიური თვალსაზრისით დაბალ დონეზე იდგნენ და დგანან. არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ ისტორიაში არსებულ პოლიტიკური მსოფლმხედველობების შესახებ.

ქართველი ანტიმარქსისტი – პოლიტიკოსები მარქსიზმს აკრიტიკებენ და გმობენ, მაგრამ თავიანთი გაუნათლებლობის გამო არ იცოდნენ ის, რომ მარქსისტულ მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომუნისტური მოძღვრების იმ იდეებსა და დებულებებს, რომელიც აღებულია და გადმოტანილია ადრინდელი ქრისტიანობიდან.

მათ არ იცოდნენ ან შეგნებულად უარყოფდნენ მეცნიერების ცნობილ დებულებებს იმის შესახებ, რომ ადამიანები ასეული საუკუნეების განმავლობაში პირველყოფილი კომუნიზმის პირობებში ცხოვრობდნენ, კერძო საკუთრების კლასობრივი ჩაგვრის, სახელმწიფოს და სხვ. გარეშე. სოციალური ცხოვრების ეს პრინციპები შეითვისა ადრინდელმა ქრისტიანობამ, რომელიც გახდა მარქსიზმის უძველესი იდეური წყარო. ძნელი წარმოსადგენია ადამიანები, რომლებმაც ადრინდელი, ნამდვილი ქრისტიანობის ეს დებულებანი იციან და ამავე დროს ანტიმარქსისტები არიან, თუნდ ანტიმარქსისტები ჰგონიათ. სინამდვილეში კი ანტიქრისტიანები, მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგები არიან.

ცნობილია, რომ ადრინდელი ქრისტიანები მკაცრად აკრიტიკებენ მონათმფლობელურ სოციალურ წყობილებას მის ეკონომიკურ საფუძველს მონათმფლობელურ კერძო საკუთრებას[2], მოითხოვდნენ მის ლიკვიდაციას და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას, პირად საკუთრებას გადასცემდნენ თავიანთი სექტებისა და თემების განკარგულე-

2 История политических и правовых учений, М. Норма, стр. 56-57.

ბაში. კერძო საკუთრების დაგმობა და საზოგადოებრივი საკუთრების აღიარება შემდეგში მარქსიზმის ფუნდამენტური დებულება და მოთხოვნა გახდა და საფუძვლად დაედო სოციალისტურ ეკონომიკურ წყობილებას. ამიტომ დისიდენტ-„დემოკრატების" მხრივ კერძო საკუთრების აპოლოგია და აღდგენა პრივატიზაციის გზით, რომელმაც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ახალი, სასტიკი ფორმა შექმნა, აშკარად ანტიხალხური, რეაქციული მოვლენაა, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს ნამდვილ ქრისტიანობასთან.

ადრინდელი ქრისტიანობის ეკონომიკური დებულება და მოთხოვნაა, აგრეთვე, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის აღიარება და განხორციელება, რომელიც გამოიხატა ისეთ მოთხოვნებში როგორიც არის „ყველა მიიღებს თავის ჯილდოს თავისი შრომის მიხედვით", „ვისაც შრომა არ სურს, არც ჭამს"[3] ეს ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნა შეითვისა მარქსიზმმა და სოციალიზმის დროს შრომის მიხედვით განათლების პრინციპის თეორიული საფუძველი გახდა. ჩვენი ანტიმარქსისტი ვაჟბატონები მარქსისტული თეორიული და რეალური სოციალიზმის ამ სამართლიან დებულებას გმობდნენ და ვერ გაეცნობიერებინათ, რომ ამით ადრინდელი, ნამდვილი ქრისტიანობის აღნიშნულ სამართლიან მოთხოვნასაც უარყოფენ ახალი პარაზიტი ექსპლუატატორების კლასების წარმოშობასაც უწყობდნენ ხელს. გამოძიება ვალდებულია დაადგინოს უვიცობით ხდებოდა ეს, თუ განზრახვით.

ცნობილია, აგრეთვე, ადრინდელი ქრისტიანობის პროგრესული იდეა ისეთი სოციალური წყობილების შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელშიც არ იქნება სოციალურ-კლასობრივი ჩაგვრა, მდიდრები და ღარიბები მონათმ-

3 იქვე გვ.57

ფლობელები, მონები[4]. მარქსიზმმა ეს იდეაც შეესისხლხორცა და ახალ პირობებში მეცნიერულად განსაზღვრა სოციალურ-კლასობრივი ექსპლუატაციის მოსპობის გზები და საშუალებანი, მათი პრაქტიკული განხორციელებისთვის იბრძოდნენ და იბრძვიან მარქსისტული პარტიები.

ადრინდელი ნამდვილი ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ეკონომიური დებულება და მოთხოვნაა, აგრეთვე, შრომის ვალდებულების საყოველთაო პრინციპის აღიარება. ეს პროგრესიული პრინციპი გაიხსიარა მარქსმა და საბჭოთა ხელისუფლებამ საკანონმდებლო წესით დაადგინა მისი აუცილებლობა სოციალისტურ საზოგადოებაში. ადრინდელი ქრისტიანობიდან შეითვისა მარქსიზმმა ყველა ადამიანის ფაქტობრივი თანასწორობისა და ნამდვილი თავისუფლების იდეები, რასაც მიეძღვნა ადრექრისტიანული სამართლებრივი იდეოლოგიის მთელი რიგი მაქსიმები პიროვნების ყოველმხრივი განვითარება კი მარქსიზმ-კომუნიზმის მიზნად დასახა. დიდად სამწუხაროდ, ადრექრისტიანული რელიგიური მოძღვრების იდეური პრინციპები დაამახინჯეს, მიაწერეს მას ისეთი აზრები, რომლებიც უცხოა მისთვის ყოველგვარი ხელისუფლების ღვთაებრივი ხასიათი, ძალლადობისათვს წინააღმდეგობის გაუწევლობა, ოფიციალურ, სახელმწიფო ხელისუფლებასთან კავშირის იდეა და სხვა იდეები. ბურჟუაზიული და მარქსისტული მსოფლმხედველობა ქრისტიანულ რელიგიაში ნამდვილი ქრისტიანობის დამახინჯებების და სამღვდელოების რეაქციული საქმიანობის წინააღმდეგნი იყვნენ, გმობდნენ მას.

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს „დემოკრატმა" ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ ადრინდელი, ნამდვილი ქრისტიანობის კავშირი და მიმართება მარქსიზმთან, რა-

4 იქვე, გვ. 57

მაც გამოიწვია მარქსიზმის ზერელე, უსამართლო კრიტიკა გარკვეულწილად მის იდეურ საფუძველზე შექმნილი სოციალური წყობილების ლიკვიდაცია, რომლის პროგრესული საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში არ არსებული პრინციპები იყო. ადამიანების საცხოვრებელი ბინებით უფასოდ უზრუნველყოფა, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო სწავლება და ბევრი სხვა დიდი სოციალური სიკეთე. ასეთმა უსამართლო და უმადურმა დამოკიდებულებამ სოციალიზმისა და მარქსიზმისადმი განაპირობა ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია და შესაძლოა ზოგიერთის ფიზიკური განადგურებაც კი.

მარქსისტული მსოფლმხედველობის ადრექრისტიანული იდეების კრიტიკა და უსამართლო დაგმობა, ზოგიერთი პოლიტიკოსის გაუნათლებლობისა და რეაქციულობის მაჩვენებელია.

საქართველოში მარქსისტული თეორია დიდი ხნის განმავლობაში სასწავლო დაწესებულებებში, ასპირანტურებში ისწავლებოდა და სამეცნიერო კვლევა წარმოებდა მის თეორიული წყაროებთან მჭიდრო კავშირში, ერთიანი სასწავლო დისციპლინის ფარგლებში. მათ შემოქმედებით განვითარებას და გაგრძელებას ახალ პირობებში წარმოადგენს მარქსიზმი, რომლის შესწავლაზე ჩვენი მომავალი პოლიტიკოსების ფაქტობრივად უარის თქმამ, ლიტერატურულ და ჟურნალისტიკურ დონეზე შეფასებამ გამოიწვიეს მარქსიზმის თეორიული წყაროების – გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის, ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის და ფრანგული უტოპიური სოციალიზმის სრული უცოდინარობა. ეს მაშინ, როცა მარქსიზმის თეორიული წყაროები წარმოადგენენ მსოფლიო ფილოსოფიისა და მეცნიერების, ზოგადსაკაცობრიო კულტურის განვითარე-

ბის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, მათში აკუმულირებულია ის ცოდნა რომელიც დააგროვა კაცობრიობამ მისი ხანგრძლივი განვითარების მანძილზე. მარქსიზმის თეორიულ წყაროებში დაგროვილი ცოდნა, მისი ძირითადი დებულებები და იდეები წარმოადგენენ ერთიანი მარქსისტული თეორიის ძირითად წყაროს. მარქსიზმის თეორიული წყაროების, შემადგენელი ნაწილების – მარქსისტული ფილოსოფიის, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის და მეცნიერული კომუნიზმის თეორიის უცოდინარობამ, აბუჩად აგდებამ, განაპირობა ზოგიერთი პოლიტიკოსის გაუნათლებლობა, დაბალი ლიტერატურულ-ჟურნალისტური დონის აზროვნება, ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები.

დამოუკიდებლად კი ჩვენს ხელმძღვანელ პოლიტიკოსებს, როგორც მათი გონების ვიწრო არედან და აზროვნების დაბალი დონიდან ჩანს პოლიტიკური მოღვაწისათვის დიდად საჭირო სოციალური მეცნიერებანი არ უსწავლიათ და არც იცოდნენ, ეს კი მათი პოლიტიკური სისუსტის მიზეზია.

ძლიერი ნებისყოფა, როგორც პოლიტიკური ცნობიერების ქმედითი მხარე აძლევს პიროვნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას, არის ძლიერ ხელმძღვანელად ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური იდეების გადასვლას პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ქართულ სახელმწიფოს ხელმძღვნელობის პოლიტიკური სისუსტე მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებულია იმითაც, რომ მათ ვერ გამოიმუშავეს მტკიცე და ურყევი ნებისყოფა ხელისუფლების სათავეში მისვლამდე. მათ არ გაუვლიათ რევოლუციონერის უმძიმესი და ურთულესი გზა, მოწინააღმდეგესთან ხანგრძლივი იდეური და პრაქტიკული

რევოლუციური ბრძოლის პერიოდი, როცა ყალიბდება და იწრთობა პოლიტიკური ნებისყოფა. ისინი ადვილად მოვიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა რევოლუციამდელი პოლიტიკური რეჟიმის მიმტევებლობამ და დამთმობლობამაც.

ძლიერი პოლიტიკური ნებისყოფა უნდა გახდეს ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ძირითადი თვისებათაგანი, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს პოლიტიკურ ლიდერობასთან, განაწყოს ქართველები აქტიური მოქმედებისათვის მათი გადარჩენის მიზნით.

სავსებით მოსალოდნელია ქარიზმატულმა პიროვნებამ მოახდინოს დიქტატორული ხასიათის ცეზარისტული ან სტალინური „გარღვევა" რისთვისაც საქართველოში მომზადებულია თითქმის ყველა მიზეზობრივი საფუძველი. ასეთი დიქტატურულ „გარღვევას" შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქართველი ხალხის განადგურებისაგან გადარჩენაში.

ზ. გამსახურდიას მოუმზადებელი და სუსტი „გარღვევის" მცდელობა მარცხით და საქართველოს კატასტროფით დამთავრდა. „გამრღვევის" დიქტატორული თვისების, კერძოდ, ძლიერი პოლიტიკური ნებისყოფის უქონლობის გამო. მას მისი თანამემამულე ი. სტალინისთვის უნდა მიებაძა და არა საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლისთვის, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მყოფმა, ვერავითარი „გარღვევა" ვერ მოახდინა დიდი სურვილის მიუხედავად, დარწმუნებულმა იმაში თუ ის „გაქრებოდა, საფრანგეთს მოელოდა წინანდელი არეულობა, ახლო მომავალში კატასტროფაც კი".

დიდად პატივცემულმა ექსპრეზიდენტმა მთელი თავისი ცხოვრება სოციალიზმისა და კომუნისტური პარტი-

ის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა და როდესაც ამისთვის საშუალებით კანონიერად ლმობიერი სამართლებრივი სანქცია შეუფარდეს საბჭოთა ტელევიზიით მთელი მსოფლიოს გასაგონად მონანიებითი სიტყვა წარმოთქვა და თავისი ანტისაბჭოთა ქმედებები დაგმო, რითაც თავისი მომხრეების აღშფოთება გამოიწვია, საკუთარ დისკრედიტაციას შეუწყო ხელი. სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველ ხელისუფალთა უნებისყოფობა იმაშიც გამოვლინდა, რომ როცა ყოველგვარი მომზადებისა და შესაძლებლობის გარეშე „დამოუკიდებლად" დეკლარირებული საქართველოს აშშ მთავრობის ოდნავი უკმაყოფილების გამოხატვის შემდეგ ქვეყანა მას მიანდეს სამართავად, რაც თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა. ქართველი პოლიტიკოსები კი საქართველოს ფაქტობრივად დამოუკიდებლად თელიან. ქართველ ხელმძღვანელ პოლიტიკოსთა უნებისყოფობის ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. ასეთი „ნებისყოფის" პოლიტიკოსები პოლიტიკური ლიდერები ვერ გახდებოდნენ და ვერც გახდნენ, ხელმძღვანელი სახელმწიფო თანამდებობები კი დაუმსახურებლად და ხარბად დაიკავეს.

ჩვენი ვაუბატონი პოლიტიკოსები სახელმწიფო თანამდებობების დაკავებამდე ვალდებულნი იყვნენ გამოემუშავებინათ და გამსჭვალულიყვნენ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, რომელსაც დიდი მასტიმულირებელი როლი აქვს პოლიტიკური ურთიერთობების ორგანიზაციაში და რეგულირებაში. პასუხისმგებლობის გრძნობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიურ ფორმას და მჭიდროდ არის დაკავშირებული რწმენასთან, როგორც თვითკონტროლისა და თვითდისციპლინის გამოვლენასთან. ქართველი პოლიტიკური ხელმძღვანელი პასუხისმგებლობის ძლიერი გრძნობის შესაბამისად ვალდებული იყო და არის გათვალისწინოს

თავისი ქმედებების, გადაწყვეტილების და ქცევის შედეგები, კრიტიკულად შეაფასოს ისინი ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფართო ლოგიკური ცნება გულისხმობს პოლიტიკოსის თავისთავისადმი და სხვებისადმი მომთხოვნელობის მოვალეობის, არსებობას, თავისი ქცევების, მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგების გათვალისწინებას და მზადყოფნას პასუხი აგოს მათთვის ადამიანების წინაშე, ანგარიში ჩააბაროს მათ.

საყოველთაოდ ცნობილია და აღიარებულია წესი, რომლის თანახმად თუ თანამდებობების პირების ქმედებებისა და გადაწყვეტილებების შედეგებს დიდი ზიანი მოაქვთ სახელმწიფოსა და ხალხისთვის, მათ მიმართ განხორციელებული უნდა იქნეს იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი ხასიათის ზომები და სანქციები. სამწუხაროდ, საქართველოში თანამდებობის პირები აღწევენ პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას. ჯერ კიდევ პასუხი არ ვაგებინეთ იმ თანამდებობის პირებს, რომელთა ხელმძღვანელობის დროს საქართველო დაიშალა და დაქუცმაცდა, დიდი რაოდენობით ქართველი დაიღუპა უშედეგოდ და უაზროდ, განხორციელდა ველური და მტაცებლური პრივატიზაცია, რასაც შედეგად მოყვა დამნაშავეებისთვის და პარაზიტებისთვის ხალხის მიერ თავისთვის შექმნილი ქონების დარიგება, დატაცება და მითვისება, ახალი მჩაგვრელი კლასის და კრიმინალურ-მაფიოზური ბაზრის წარმოშობა, მასობრივი ქაოსი, დამარცხებისთვის განწირული ომი და ბევრი სხვა უბედურება და ბოროტება. ამჟამად არ არსებობს პოსტსოციალისტური ქვეყანა, რომელშიც მისი ხელმძღვანელების არაკვალიფიციურობის და უზნეობის გამო იმდენი ბოროტება მომხდარიყოს, როგორც საქართველოში, ამიტომ აუცილებლობას

წარმოადგენს საქართველოშიც კატასტროფაში დამნაშავეე პირების მიმართ იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი სანქციების გამოყენება, დამნაშავეების დასჯა.

თანამედროვე საქართველოს უმძიმეს მდგომარეობაში, მისი სრული კატასტროფის პირობებში, პოლიტიკური გარდაქმნები იღებენ აშკარად გამოხატულ პიროვნულ ელფერს, პოლიტიკური ხელისუფლება გარკვეულწილად პერსონიფიცირებულია, არ არის ანონიმური. ამიტომ დიდად იზრდება პოლიტიკოსის პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე მისი პოლიტიკურ მოქმედებათა შედეგების გამო.

საქართველოს მძიმე და მწარე გამოცდილების შესაბამისად გადაუდებელ აუცილებლობას წამოადგენს საკანონმდებლო წესით დაწესდეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის. სამართლებრივი ინსტიტუტი, განისაზღვროს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საფუძვლები, პროცედურა და სანქციები. შეიქმნას ეფექტური სახალხო კონტროლის სისტემა, გადაჭრით აღმოიფხვრას უპასუხისმგებლობა და დაუსჯელობა, რომლებიც რყვნიან თანამდებობის პირებს და აუნაზღააურებელი ზიანი მოაქვთ ქართველი ხალხისთვის.

ქართული პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორიტეტს, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როცა მისი მოღვაწეობა შეესაბამება ადამიანების მოლოდინსა და იმედებს. პოლიტიკური ხელმძღვანელის მოქმედებას ჩვენი ადამიანები ჩვეულებრივ აფასებენ თავიანთი ღირებულებით – ზნეობრივი მოლოდინებიდან და იმედებიდან გამომდინარე. თუ ისინი მართლდება და დასტურდება პოლიტიკური ხელმძღვანელის ქცევით, მაშინ მის მიმართ ნდობა და პატივისცემა გადაიზრდება ავტორიტეტში, საყოველთაოდ აღიარებულ გავლენაში. თუ ეს არ მოხდება, მაშინ მის მიმართ ნდობა და პატივისცემა არ შეიქმნება ან არასაკმარისი იქნება.

დიდად სამწუხაროდ, ზოგიერთმა ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ უზრუნველყო სიტყვის და საქმის ერთიანობა, მოწყდა თაყიანთ სოციალურ ბაზას, რამაც გამოიწვია მათი პოლიტიკური „სიბრმავე" და „სიყრუე". ამიტომ ისინი ხშირად მიმართავენ სიცრუეს, ძალადობას, ავანტიურიზმს, ურცხვ დემაგოგიას და სხვა. ისინი ჩამოცილდნენ ქართველ ხალხს, არ ასრულებენ დაპირებებს უკეთესი ცხოვრების შექმნის შესახებ და ამიტომ სწრაფად მიდიან პოლიტიკურ არაყოფიერებაში, განიცდიან სრულ პოლიტიკურ ბანკროტობას.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელმძღვანელი პოლიტიკოსები ყველაფერში კოპირებენ დასავლეთს, ცდილობენ იქედან მექანიკურად გადმოიტანონ და დანერგონ ის სოციალური ურთიერთობანი და პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელთა მოქმედებისათვის საქართველოში არ არსებობს არცერთი აუცილებელი საფუძველი და წინაპირობა. ამიტომ ისინი უცხო სხეულები არიან ჩვენთვის, ბევრი უბედურება მოუტანეს ქართველ ხალხს. ამის საბედისწერო მაგალითებია ევროპული კაპიტალიზმისა და დემოკრატიის მექანიკური შემოტანისა და დანერგვის მცდელობა, პრეზიდენტის ინსტიტუტის, პრეფექტის თანამდებობის და ბევრი სხვა მექანიკური გადმოტანა საქართველოში აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია ის უკეთური ტრადიცია, რომლის თანახმად ჩვენ უზომოდ ვადიდებთ მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსებს, ვამართლებთ ყველა მათ მოქმედებას და გადაწყვეტილებას, მაგრამ როცა ისინი ჩამოდიან პოლიტიკური არენიდან ვაკრიტიკებთ და ვამხელთ მათ.

მთავარი მიზეზი კი არის სხვადასხვა დონის პოლიტიკოსების უპასუხისმგებლობა და დაუსჯელობა. ამ მხრივ, სამწუხაროდ ტონს იძლევა მაღალი რანგის ზოგიერთი პოლი-

ტიკოსი, რომელთა მაგალითი ნეგატიურ გაელენას ახდენს ხელისუფლების მთელ მექანიზმზე.

ქართველი ხალხის უფლება კონტროლი გაუწიოს ყველა თანამდებობის პირს, სახელმწიფოს ყველა ორგანოს საქმიანობას. აბსოლიტური და უდავოა ეს უფლება გამომდინარეობს იქედან, რომ საქართველოში სუვერენი და ხელისუფლების ერთადერთი წყარო, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად არის მისი მრავალეროვანი მოსახლეობა მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული როგორ, რა გზებით და საშუალებებით სუვერენი ან სხვა ორგანო ახორციელებს კონტროლს სახელმწიფოს მეთაურის საქმიანობაზე და როგორი წესით აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. ეს ხარვეზები უნდა გამოსწორდეს. საჭიროა დაინერგოს და ამოქმედეს დემოკრატიის ისეთი ძირითადი პრინციპი, როგორიცაა სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობაზე ხალხის კონტროლის ისეთი სახე, როგორიცაა უშუალო დემოკრატიის ფორმები რეფერენდუმი, თავისუფალი არჩევნები და სხვ. უნდა აღდგეს სახალხო კონტროლის ინსტიტუტი, დეპუტატის გაწვევის უფლება.

ქვეყნის მართვის ორგანიზატორულ და ადმინისტრაციულ უნარს ჩვენი პოლიტიკოსები გამოიმუშავებდნენ საზოგადოების სასარგებლოდ აღმშენებლობით შრომაში და ბრძოლაში, საქართველოს განვითარებისთვის მებრძოლი ორგანიზაციების შექმნისა და ხელმძღვანელობის პროცესში, ქართველი ხალხისა და მისი კეთილმოსურნეების მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლებისა და კულტურის განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნისთვის პრაქტიკული ბრძოლის პროცესში. ისინი ვალდებული იყვნენ შეესწავლათ სამხედრო საქმე და მიღებული ცოდნა გამოეყენე-

ბინათ საქართველოს სასარგებლოდ მტრებთან ბრძოლაში და მრავალი სხვა. მხოლოდ ასეთ პირობებში გამომუშავდებოდა და განვითარდებოდა ახალი, უფრო პროგრესული სოციალური ურთიერთობების სისტემის, მათი რაციონალური ორგანიზაციისა და განსხვავებულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მოძებნის აუცილებელი, სპეციალური უნარი, ნიჭი, მოხერხება, სიმარჯვე და სხვ. ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები ასე არ მოიქცნენ და შედეგიც კატასტროფულია მათი სურვილების საწინააღმდეგოდ ზოგიერთი მათგანი უნივერსიტეტის შენობის წინ არსებული დიდი ხრამის ამოვსებისათვის მომუშავე, ყაზახეთი ყამირი მიწების ათვისებისათვის მიმავალ სტუდენტებს დაგვცინოდნენ და კომკავშირის მონებს გვეძახდნენ. სამხედრო მეცადინეობისგან ბოლშევიკების მიერ გაინტელიგენტებული მამიკოების წყალობით. თავისუფლდებოდნენ და უნივერსიტეტის ბაღში ლაზღანდარობდნენ, პოლიტიკური და სამხედრო საქმის მთლიანად უცოდინარმა დილეტანტებმა თავიც დაღუპეს და საქართველოც. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულების შექმნა ორგანიზატორული და ადმინისტრაციული საქმიანობის უნარების გამოსამუშავებლად. საერთაშორისო მეურვეობის დამყარების შემთხვევაში მეურვე ქვეყანაში მათი გაგზავნა და სხვა ღონისძიებების სასწრაფო განხორციელება.

საქართველოს ტრაგედია მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ მის მმართველ თანამდებობის პირებს მცირე ცოდნა ჰქონდათ საზოგადოებაში პოლიტიკური ლიდერის მნიშვნელობისა და როლის პრობლემაზე, როგორც სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს სუბიექტურ ფაქტორზე.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირის დიდი როლი და მნიშვნელობა უნდა გამოვლენილიყო მის მოღვაწეობაში საზოგადოების ინტეგრაციისთვის, რომლის ხარისხი გამოხატავს საზოგადოებრივი სისტემის პროგრესული განვითარების დონეს, წარმოადგენს მის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს. ინტეგრაცია, როგორც სოციალური მოვლენა ასახავს ცალკეული, დიფერენცირებული ნაწილების მთლიანობით კავშირს და მისი წამოქმნის რთულ პროცესს. სოციალური ინტეგრაცია გამოხატავს ინდივიდების, სოციალური ფენებისა და ჯგუფების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, სახელმწიფოებისა და სხვა მოწესრიგებული ურთიერთობათა ფაქტს, რაც საქართველოს სინამდვილეში, დიდად სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს. მისი მიღწევის უზრუნველყოფა აუცილებელი პირობების შექმნის საფუძველზე პოლიტიკური ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

სხვადასხვა დონეზე და მასშტაბში ინტეგრაცია განსხვავებული მნიშვნელობით არის წარმოდგენილი. პიროვნების დონეზე ინტეგრაცია ინტელექტუალური, მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოხატავს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების არსებობის ფაქტს, პიროვნების ხასიათის მთლიანობას, პრინციპული და მტკიცე ხასიათის პიროვნების არსებობას რომლის ფორმირებისთვის საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა გააერთიანებინა ადამიანები მისი აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობების შესაქმნელად. სოციალური სისტემის დონეზე გადაუდებელ ღონისძიებებს წარმოადგენენ ისეთები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდის შერწყმას სოციალურ მთელთან, საზოგადოებრივ სისტემასთან, რომელიც თავისი ხასიათით პროგრესიულია. რეაქციულ, ექსპლუატატორულ

მთელთან პიროვნების ინტეგრაცია პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა არ უნდა დაუშვას, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენა.

მეცნიერულად დადგენილი უნდა იქნეს ინტეგრაციის თავისებურებანი ინდივიდის, სოციალური ფენებისა და ჯგუფების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, სახელმწიფოსა და სხვა დონეზე, განხორციელდეს ღონისძიებანი მისი უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ ქვეყანაში ეკონომიური ინტეგრაციის განხორციელებისათვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სამეურნეო კომპლექსების ურთიერთდაახლოების, შეთანწყობისა და შეზრდის ობიექტად განპირობებულ პროცესს, რომელსაც სახელმწიფო წარმართავს.

ხელმძღვანელებს უნდა გაეთვალისწინებინათ ის, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველია წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გაძლიერება, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური ურთიერთკავშირის განმტკიცება და გაფართოება, მატერიალური წარმოების ერთ საზოგადოებრივ პროცესად გაერთიანება. ის განაპირობებს დაჩქარებულ ეკონომიკურ პროგრესს, ხელს უწყობს მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიღწევას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის მაქსიმალურ გადიდებას, ეკონომიკური რეგიონების უზრუნველყოფას ნედლეულით, თანამედროვე მოწყობილობით, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას და სხვა. საჭიროა ინტეგრაციული ტენდენციების მაქსიმალური მხარდაჭერა. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელები ვალდებულნი იყვნენ მიეღწიათ ქვეყნის პოლიტიკური ინტეგრაციისთვის,

რაც სამწუხაროდ ვერ განხორციელდა მისი ხელმძღვანელების ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული უუნარობის, სეპარატიზმის, შუასაუკუნეობრივი პოლიტიკური დაქუცმაცებულობისაკენ მიდრეკილების და სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც გამოიწვია საქართველოს კატასტროფა. საჭირო იყო აუცილებელი ინტეგრაციული ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვა სფეროებშიც.

საქართველოსა და ქართული საზოგადოების ინტეგრაციის ორგანიზაციისა და ეფექტური ხელმძღვანელობის მისაღწევად ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება სჭირდებოდათ, რომლის შეძენა მათ არ სურდათ და ამიტომ არ ჰქონდათ ცნობილ ლიტერატორებს.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოვითხოვოთ საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარება, რომლის პირობებში შესაძლებელი იქნება ქართული საზოგადოების ინტეგრაცია, ქვეყნის კატასტროფიდან დახსნა.

საქართველოს ხელმძღვანელი პირების დანიშნულება იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ უნდა უზრუნველყონ ადამიანების მობილიზაცია მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის, თავი მოუყარონ ძალებსა და საშუალებებს და აამოქმედონ ისინი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ინდივიდუალური, პირადი საქმიანობით შეუძლიათ დაიცვან და განავითარონ საქართველო, შეუქმნან ადამიანებს ცხოვრების საუკეთესო პირობები, გაანადგურონ საქართველოს მტრები და სხვ.

ასეთი აზრი ჭეშმარიტებას მოკლებულია, საზოგადოებისთვის საზიანოა, ვინაიდან ის ხელმძღვანელებისგან

მოითხოვს იმის გაკეთებას, რაც აღემატება მათ ფიზიკურ და ინტელექტურ შესაძლებლობებს, იდეალისტური და ვოლუნტალისტურია. კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს არ შეუქმნია ის კარგი ცხოვრების პირობები, რომლებსაც მისგან მოითხოვდნენ, ვინაიდან ეს შეუძლებელი იყო. პოლიტიკური ლიდერის დანიშნულებაა განახორციელოს საზოგადოების მეცნიერული მართვა, დარაზმოს ადამიანები მათი ცხოვრების პირობების მაქსიმალური გაუმჯობესებისთვის. ქართველი და სხვა ხალხები კი ვალდებულნი არიან პატიოსნად და ინტენსიურად იშრომონ თავიანთი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის. მხოლოდ ასეთ პირობებში ამაღლდება ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე და სხვ. ამჟამად საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მთავარი პირობა და საშუალებაა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების შექმნა, რომელიც ადამიანებს შრომის სტიმულებს ჩაუნერგავს და განავითარებს, რაც საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას და ეფექტურობას გაადიდებს, მატერიალური დოვლათის რაოდენობას და მოცულობას გაზრდის, ახალი მატერიალური ღირებულებების შექმნას შეუწყობს ხელს. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების ტიპის და ფორმის მრავალფეროვნებას, რაც თანამედროვე ქართველ საზოგადოებაში შრომის სტიმულირების დანერგვისა და განვითარების ძირითადი მეთოდი და საშუალებაა.

ქართულ კერძო-მესაკუთრულ საზოგადოებაში ნაადრევად, დეკრეტებით ლიკვიდირებული კერძო საკუთრების რესტავრაცია, კერძო მესაკუთრული ობიექტების შექმნის, შეძენისა და საქმიანობის უფლების აღიარება, რომელშიც მდგომარეობს ჩვენი ადამიანების სოციალური არსი, და

ბუნება არის მათი მამოძრავებელი ძალა განვითარების თანამედროვე პირობებში.

ქართული რევოლუციის შემდგომი პერიოდის ხელმძღვანელები ვალდებულნი იყვნენ სცოდნოდათ, რომ საქართველოს სახალხო ქონების უსამართლო დარიგება ველური პრივატიზაციის გზით იმათთვის, ვისაც მის შექმნაში არაკითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და რაც კი გააჩნიათ საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე აქვთ პარაზიტულად მიღებული მათ მიერ ექსპლუატირებულ მასებში შრომის სტიმულებს არ განავითარებდა, მატერიალური დოვლათის წარმოებას, მისი პროდუქციის მოცულობას არ გაადიდებდა, სამწუხაროდ ეს ქართველი ხალხის მწარე და ტრაგიკული სინამდვილეა.

საქართველოს პოლიტიკური ლიდერი ვალდებულია წარმართოს. ადამიანების საქმიანობა მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, იზრუნოს მათი საცხოვრებელი ბინით უფასოდ დაკმაყოფილებისთვის, რაც სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და მიღწევა იყო, რომლის რეალიზაციის საფუძველზე ქოხებში მცხოვრებმა ადამიანებმა სოციალისტური სახელმწიფოს დახმარებით თანამედროვე კეთილმოწყობილი ბინები უფასოდ მივიღეთ. ჩვენს „დემოკრატიულ" საზოგადოებაში ამჟამად ეს ჭეშმარიტად სახალხო სახელმწიფო ღონისძიება უარყოფილია, როგორც „ავადსახსენებელი" დროისთვის დამახასიათებელი, ჯერჯერობით ადამიანთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მათთვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ უფასოდ მიცემული ბინები, მაგრამ მათი ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ ადამიანთა დიდი რაოდენობა უბინაოდ დარჩება, რაც ჩვენს მოქალაქეებს უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს. აუცილებელია ამ უბედურების თავიდან აცილების მიზნით

გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება. საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირი ვალდებული იყო გაეერთიანებინა ჩვენი საზოგადოების წევრების ძალები და საშუალებანი მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, შემუშავებინა ღონისძიებანი. მათი ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. საქართველოს ისტორიაში პირველად სოციალიზმის პირობებში განხორციელებული მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო დაწესებულებაში უფასო კვება ჩვენი ხალხის უდიდესი მონაპოვარი იყო, რამაც საქართველოს ისტორიაში ქართველთა არნახული ბუნებრივი მატება გამოიწვია, ადამიანთა ჯანსაღი თაობები შექმნა და სხვ. ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ეს უდიდესი ღირებულებაც უარყვეს, ფასიანი სამედიცინო მომსახურება შემოიღეს, რამაც ავადმყოფობით ადამიანთა დიდი რაოდენობით დაღუპვა, სიკვდილიანობა გაზარდა. ესეც, თურმე, „დამოუკიდებლობისა" და „დემოკრატიზაციის" პროცესებისთვის ყოფილა დამახასიათებელი ასეთი „გარდაქმნები„ რომლებმაც გამოიწვია მძიმე, ტრაგიკული შედეგები სრულებით არ არის აუცილებელი, რეაქციულია. თანამდებობის პირები, რომელთა ხელმძღვანელობის დროს აღნიშნული და სხვა ბევრი უბედურება დატრიალდა საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ შეძლეს ადამიანების მობილიზაცია მათი განათლებისა და კულტურის დონის შემდგომი ამაღლებისთვის: უკვე სამი ათეული წელი ხდება, რაც ზოგიერთმა ჩვენმა კარიერისტმა და დემაგოგმა პოლიტიკანმა მოსწავლეებისა და სტუდენტების დიდი რაოდენობა სწავლას მოწყვიტა, ქუჩა-ქუჩა დაატარებენ და აყვირებენ მათი მხარდამჭერი ლოზუნგებით. მოსახლეობაში ცოდნის გამაერცელებელი ორგა-

ნიზაციები გააუქმეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით არაობიექტურ ინფორმაციას, სიცრუეს და ჭორებს ავრცელებენ. მათ ბევრი სხვა, მოსახლეობაში ჭეშმარიტი ცოდნის გავრცელების საწინააღმდეგო ქმედებანი ჩაიდინეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ სულ რამდენიმე ათეული წლის წინ მასობრიულად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები გაანათლა და საქართველოში მსოფლიოში განთქმული მეცნიერები და ხელოვნების მუშაკები მოამზადა აუცილებელი პირობების შექმნით და სხვა. ჩვენი ხელმძღვანელი პოლიტიკოსების ინიციატივით შექმნილ „დემოკრატიულ" საზოგადოებაში კი ადამიანთა განათლებასა და კულტურის დონე მნიშვნელოვნად დაქვეითდა. მათი და ჩვენი გაუნათლებლობითა და უკულტურობით, არაკომპეტენტურობის გამო ქვეყანა კატასტროფაში ჩავაგდეთ, რომლისგან მისი გამოსვლა ძალზე საეჭვოა: შესაძლოა საქართველოს კატასტროფის მაგალითზე მართლდება ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ პატარა და სუსტ ქვეყნებს მომავალი არ აქვთ.

დიდი გულისტკივილით არის აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს ადამიანების მობილიზაცია მათი ცხოვრების ისეთი პირობების გაუმჯობესებისთვის, როგორიცა არის სოციალური უზრუნველყოფის განვითარება, მომსახურების სფეროსა და შრომის პირობების გაუმჯობესება და მრავალი სხვა. მათი ხელმძღვანელობის პერიოდში მოხდა ხალხის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება. ზოგმა ჩვენმა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა უარყოფითი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ისტორიაში. მათ მოშალეს საზოგადოების წყობილების საუკეთესო, ჭეშმარიტად პროგრესული პრინციპები და პირობები საკუთარი კარიერისტული მიზნების მის-

აღწევად და გამდიდრებისთვის. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ნამდვილი პოლიტიკური ლიდერი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. თავისი არსით მათი საქმიანობა უფრო მეტად პოლიტიკანობა იყო.

ქართველი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების გაუარესება ახლო მომავალში აუცილებლად გახდება პოლიტიკური და სოციალური რევოლუციების მიზეზი, რასაც სავსებით სამართლიანად მოყვება ახალი მჩაგვრელი კლასის ლიკვიდაცია. ასეთია სოციალური რევოლუციების საერთო კანონზომიერება.

საქართველოს პოლიტიკური ლიდერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული იყო განეხორციელებინა აუცილებელი ღონისძიებანი ადამიანების დასაცავად უკანონობისგან და ბიუროკრატიისგან.

სრულებითაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს, სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირს პირადად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ აღმოფხვრას უკანონობა და ბიუროკრატიზმი. სინამდვილეში კი მაღალი თანამდებობის პირს თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე შეუძლია და ვალდებულიც არის უხელმძღვანელოს რაციონალური ღონისძიებების შემუშავებას და განახორციელოს ეფექტური ღონისძიებანი აღნიშნული მოვლენების აღმოსაფხვრელად წარმართოს ადამიანების სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების და სხვათა მუშაობა, და მიაღწიოს დადებით შედეგებს. ამაში მდგომარეობს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის როლი და მნიშვნელობა უკანონობის აღმოფხვრისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

საქართველოს ინტელექტუალური პოლიტიკური ლიდერი ვალდებულია გამოთქვას თავისი თვალსაზრისი სახელ-

მწიფოს და სამართლის ზოგადი თეორიის სადისკუსიო პრობლემებზე, კერძოდ, იმის შესახებ რომ თითქოს შეუძლებელია ბოლომდე და მთლიანად სამართლებრივი სახელმწიფოს, არსებობა და ფუნქციონირება[5], ვინაიდან ქვეყანა სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის მოულოდნელ და განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდის და ამიტომ სახელმწიფოს ოპერატიული მმართველობის პროცესში გარკვეულ შემთხვევებში წარმოიშობა სამართლის დარღვევის ობიექტური აუცილებლობა საზოგადოების სასარგებლოდ. კერძოდ, ომის, საზოგადოებრივი უწესრიგობის, ბუნებრივი უბედური შემთხვევებისა სხვა პირობებში.

ქართველი პოლიტიკური ლიდერი პოლიტოლოგიური პრობლემების ცნობილი მკვლევარი უნდა იყოს.

საქართველოს პოლიტიკურ ლიდერს უნდა გამოეთქვა პირადი აზრი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში საკმაოდ გავრცელებულ თვალსაზრისზე, რომლის თანახმად არსებულ გარდამავალ პერიოდში, თითქოს, შეუძლებელია შექმნას მოქმედების უნარის მქონე კონსტიტუცია სპეციფიკური პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირების დაუმთავრებლობის გამო. კონსტიტუციის მაგივრად, თითქოს, შესაძლებელია და უნდა შეიქმნას დროებითი კონსტიტუციური აქტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში პოლიტიკური ლიდერების უკანონობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის მნიშვნელოვან ხელისშემშლელ სუბიექტურ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის სამართლებრივი ნიჰილიზმი, რომელიც უარყოფს სამართლის სოციალურ ღირებულებებს. მისი დაცვის აუცილებლობას, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ანარქიისა და ქა-

5 М. Н. Маргоненко. Теория государства и нрава. 2-е издание, издательство Проспект. Из-ство Московского университета, 2004, стр. 433

ოსის გავრცელებას. ეს საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა მენიერული კვლევის მნიშვნელოვან პრობლემად უნდა დასახონ ქართულ საზოგადოებაში სამართლებრივი ნიჰილიზმის წარმოშობის, განვითარებისა და დაძლევის პრობლემა, რომლის მეცნიერული გადაწყვეტა საქართველოს კატასტროფიდან გამოყვანას შეუწყობს ხელს.

ქართულ საზოგადოებაში სამართლებრივი ნიჰილიზმის გავრცელების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე საქართველოს მრავალრიცხოვანი დამპყრობელი სახელმწიფოები თავიანთ აგრესიულ პოლიტიკას ანხორციელებდნენ თავისივე სამართლის მეშვეობით, რომელიც მიუღებელი იყო ქართველი ხალხისთვის, ეწინააღმდეგებოდა მის ინტერესებს და სამართლიანად იწვევდა უცხო სამართლის ნორმების დარღვევებს, ამ სამართლისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, ვინაიდან ის შექმნილი იყო აბსოლიტურად უცხო სამართლებრივი იდეოლოგიის ბაზაზე. მას ახორციელებდა ქართველი ხალხისადმი მტრულად განწყობილი ხელისუფლება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რამდენადმე ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობებშიც კი ქართველი კანონმდებლები ქმნიდნენ „სამართლის წიგნთა კრებულებს", რომლებშიც რატომღაც შეჰქონდათ უცხოური კანონები. მაგალითად, ებრაული კანონები „მოსეს კანონების„ სახით, ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) კანონები „სამართალი ბერძნულის" სახით, გადმოქართულებული და გადამუშავებული სომხური კანონები „სამართალი სომხურის" სახით და სხვა.

საქართველოში ისტორიულად სამართლებრივი ნიჰილიზმის გამომწვევი მიზეზი იყო აგრეთვე, ისიც რომ მე-19

ს. მეორე ნახევარშიც კი ქართული სამართალი ექსპლუატატორების მხრივ მოსახლეობის უმრავლესობის სასტიკი ჩაგვრის იარაღი და ველური ბატონყმური ურთიერთობების განმტკიცების მთავარ საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ მისი ნორმები საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო. სამართლებრივი ნორმების მაშინდელი უარყოფა გადმოეცა მომავალ თაობებს და ახლაც გავრცელებულია ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოს პოლიტიკურ ლიდერს უნდა განეხორციელებინა ღონისძიებანი საქართველოს მოსახლეობის ბიუროკრატიისაგან დასაცავად. როგორც აღინიშნა ის პირადი შესაძლებლობით ვერ შეძლებდა ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას, მაგრამ როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელს გააჩნდა ქმედითი საშუალებანი ბიუროკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად – სახელმწიფოს აპარატი, სამართალდამცავი ორგანოები სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციები, მოწინავე საზოგადოებრივი აზრი და მრავალი სხვა.

საქართველოში ბიუროკრატიზმის ფართოდ გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი დიდი ხნის მანძილზე უცხო და მტრული სახელმწიფოების ველური დიქტატორული მეთოდებით ბატონობამ, სახელმწიფო აპარატის მჩაგვრელურმა ბუნებამ და უსამართლობამ, ხალხის პოლიტიკური განათლების და კულტურის დაბალმა დონემ და სხვა გარემოებებმა.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არაკვალიფიციურმა, პოლიტიკურად მთლიანად გამოუცდელმა და გაუნათლებელმა მოხელეთა ჯგუფმა, რომელიც მთლიანად მოწყვეტილი იყო სოციალურ ცხოვრებას, ქვეყნის ხელმძღვანელი ახალი მჩაგვრელი კლასის წარმოშობისა და გაბატონებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად მიიღო

ანტიხალხური გადაწყვეტილება ტანჯვა-წამების წლებში ხალხის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ქონების კერძო საკუთრებად გადაქცევის შესახებ. ამის საფუძველზე შეიქმნა ანტიხალხური საპრივატიზაციო კანონმდებლობა, რომელიც თითქოს, ხელს შეუწყობდა კერძო ინიციატივისა და შრომის სტიმულირების განვითარებას, მატერიალური დოვლათის მოცულობისა და ხარისხის გადიდებას და გაუმჯობესებას, რაც სინამდვილეში არ მოხდა. საზოგადოებრივი ქონების მტაცებლებს და მიმთვისებლებს კი დამატებით კერძო საკუთრებად დაურიგდა საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მშრომელი და პატიოსანი ადამიანების შექმნილი ჩვენი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კაცობრიობის ისტორიაში გამდიდრების წყაროებისა და მეთოდების მიხედვით მონათმფლობელების ანალოგიური კლასი. მან შექმნა თავისი უფლებების დამცველი სახელმწიფო, რომლის აპარატი ძირითადად მაინც საკუთარ გამდიდრებაზე ზრუნავს საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისა და მითვისების გზით.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების: ბიუროკრატიული საქმიანობის სავალალო შედეგია ზოგიერთი „გარდაქმნა„ და „რეფორმა„, რომელთა რეალური განხორციელებისთვის ქვეყანაში არ არსებობს აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობები და წანამძღვრებები, ამიტომ ისინი ფორმალური ხასიათის, საზოგადოებაში განუხორციელებელი მოვლენებია. მათ შორის აღსანიშნავია საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის მიზნით განხორციელებული არაზომიერი, მოუმზადებელი გარდაქმნებიც, რომელთა შედეგია საზოგადოებრივი ანარქია და ქაოსი და არა სახელმწიფოს მართვაში კვალიფიციური და ეფექტური მონაწილეობა. ბიუროკრატიზმი პოლიტიკური ხელისუფლების დისკრიმ-

ინაციის მთავარი მიზეზთაგანია და ამიტომ საჭიროა მისი სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადება.

სოციოლოგიაში გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, თითქოს, ბიუროკრატიზმი ყოველგვარი სოციალური ორგანიზაციის „ბუნებრივი„ და „აუცილებელი„ ფორმაა და მისი დაძლევა შეუძლებელია, არ შეეფერება ჭეშმარიტებას და პოლიტიკურად მავნეა. საჭიროა ამ თვალსაზრისის ღრმა მეცნიერული კრიტიკა პოლიტიკური ლიდერის მხრივაც.

საქართველოში ჩინოვნიკური პრივილეგირებული კასტის, ბიუროკრატთა ფენის საქმიანობა, ბატონობა არის საქართველოს კატასტროფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

საქართველოს ლიდერის სტატუსის სოციალური დანიშნულება იყო და არის საზოგადოებაში წესრიგის დამყარება, რაშიც მათი როლის შესრულება და დანიშნულების განხორციელება ვლინდება.

საქართველოში ბურჟუაზიული რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პროცესში და მათი დამთავრების შემდეგ ფართოდ გავრცელებული საზოგადოებრივი ქაოსისა და ანარქიის შედეგად, რომლებიც ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელების პოლიტიკური გამოუცდელობისა და არაპროფესიონალიზმის მიზეზითაც შეიქმნა. საჭირო იყო ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების დამყარება, რომლის ძირითადი ამოცანა და ფუნქცია უნდა ყოფილიყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო და არის ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება.

---

6 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, გვ. 417, თბ. 1977.

საზოგადოებრივი წესრიგი, როგორც ფაქტობრივი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის წესი უნდა შექმნილიყო და განმტკიცებულიყო სამართლებრივი და მორალური ნორმების, ეროვნული ჩვეულებებისა და სხვა არასამართლებრივი სოციალური ნორმების საფუძველზე და მათი მეშვეობით, რაც დარაზმავდა და გააერთიანებდა ადამიანებს, მოაწესრიგებდა საზოგადოებრივ საქმეებს, თავიდან აიცილებდა ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობის შექმნას.

საქართველოს პოლიტიკური ლიდერის ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო ახალი მართლწესრიგის შექმნა და დაცვა, როგორც იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემისა, რომელიც დაფუძნებულია, კანონზე და სამართალზე და საზოგადოებრივი წესრიგის, როგორც რთული სოციალური კომპოზიტის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ის მყარდება კანონიერების პრინციპის გატარების საფუძველზე და სოციალურ ცხოვრებაში ამ პრინციპის განხორციელებაა.

საზოგადოებაში ახალი მართლწესრიგის ფორმირებისათვის, საჭირო იყო ახალი კანონმდებლობისა და მის საფუძველზე სამართლებრივ ნორმათა სისტემის შექმნა, რომლებიც ქვეყნის განვითარების მოთხოვნილებათა ამსახველი უნდა ყოფილიყო. და საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში დასახული ამოცანების ეფექტური გადაჭრის ქმედითი საშუალება უნდა გამხდარიყო.

ახალი სამართლებრივი ნორმების სისტემის მომზადება ზუსტად უნდა პროგნოზირებულიყო და გათვალისწინებულიყო ის პოზიტიური და მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები იმ მოთხოვნების რეალიზაციის დროს, რომლებსაც შეიცავს ეს სისტემა.

საჭირო იყო იმის გათვალისწინება, რომ სამართლის ხარისხი და დონე მისი ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად და ყოველმხრივ არის გათვალისწინებული საზოგადოებაში არსებული ობიექტური და სუბიექტური პირობები. ჩვენ ეს მოთხოვნა არ გავითვალისწინეთ. შექმნის პროცესში მყოფი სამართლებრივი ნორმების სისტემის საფუძველი უნდა გამხდარიყო ობიექტური ფაქტორები და პირობები – ერთტიპიური ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა პირობები და „პროექცირებულნი" უნდა ყოფილიყვნენ მათზე. ეს გამორიცხავდა სამართლებრივი ნორმების გონებაჭვრეტით „კონსტრუირებას", სტიქიურობასა და ცალკეული პირების თვითნებობას. კანონმდებლობასა და საზოგადოებაში არ გაჩნდებოდა ილუზიები იმის შესახებ, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვა.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა სუბიექტური ფაქტორების მომზადებაც, მეცნიერულად დასაბუთებული სამართლებრივი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, გამოჩენილი სპეციალისტ-იურისტების აქტიური მონაწილეობა და სხვა, რაც არ განხორციელდა.

ქართული სახელმწიფო – სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა დაყრდნობოდა ისეთ პრინციპებს, რომ გორიც არის დემოკრატიზმი მხოლოდ ისეთი ზომით და ისეთ ფორმებში, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა საზოგადოების განვითარების დონე, პოლიტიკური კულტურა, საზოგადოების დემოკრატიზაციისთვის აუცილებელი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი საფუძვლები და წანამძღვრები და სხვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, სამართლებრივ ნორმებში ჰუმანიზმის პრინციპების მოთხოვნათა დაცვას,

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის, მათი მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნებს და მრავალი სხვა.

აუცილებელი იყო აგრეთვე პროფესიონალიზმის პრინციპის დაცვა, სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა სტადიაზე კვალიფიცირებული, მაღალპროფესიული სპეციალისტების მონაწილეობა, მათ შორის განვითარებული ქვეყნებიდანაც.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოში სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობის არც ერთი მეცნიერული პრინციპი არ იქნა დაცული, რამაც განაპირობა არარეალური, არაქმედითი და არაეფექტური სამართლებრივი ნორმების შექმნა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემის, ისეთი საზოგადოებრივი ვითარების შექმნა, რომლებიც ობიექტურად აუცილებელი და გარდაუვალია საქართველოს პროგრესისთვის და რომელიც ქვეყნის კატასტროფის გამომრიცხველი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდებოდა.

ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისთვის აუცილებელი საფუძვლებისა და წანამძღვრებების მომზადებისა და მათ საფუძველზე ამ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პრობლემის გადაჭრისთვის ენერგიული და კვალიფიციური შრომის მაგივრად პოლიტიკანებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავებისა და მათი მეშვეობით გამდიდრებისათვის საქართველოს ბუნებრივი და სოციალური სიმდიდრეების გაყიდვისა და მტაცებლობა-მითვისების გზით.

საქართველოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი კრეატურის დამნიშნავი საზღვარგარეთელი ბატონები სოციალური დემოკრატიის ტრადიციების არმქონე ხალხს

„დამოუკიდებლობას", „დემოკრატიას" და სხვა ისეთ ორ-ულ, ამჟამად საქართველოში მიუღწეველ ღირებულებებს პირდებოდნენ, სინამდვილეში კი ალენ დალესის დოქტრინის საფუძველზე აშშ მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდნენ ზრუნავდნენ. საქართველოს აზიური გუბერნიის სტატუსით ფორმირებაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეროვნულ-პოლიტიკური რევოლუციის, სამოქალაქო ომის პროცესში და მის შემდეგ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება შექმნილი უმძიმესი და ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ურთულესი პრობლემა იყო, რომლის გადასაჭრელად ძლიერ პოლიტიკურ ხელისუფლებას უნდა გაერთიანებინა საქართველოს მოსახლეობა და რაც მთავარია მოეთხოვა თავისი დაპირებების აღმსრულებელი საერთაშორისო მეურვის დანიშვნა, რაც სამწუხაროდ, არ გააკეთეს.

საქართველოს ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ მორალის, როგორც სოციალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ფორმის, ადამიანთა ურთიერთობებისა და ქცევა-მოქმედებების ეფექტურად მარეგულირებელი და წარმართველი მოვლენის განვითარებისთვის, მისი დიდი, სამართალზე მეტი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო.

თანამედროვე ქართულ ანტაგონისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ერთმანეთს უპირისპირდება შედარებით მყარი, ექსპლუატატორული სოციალური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცების ტენდენციის მქონე და პერსპექტიული, პროგრესიული ტენდენციის გამომხატველი სოციალური ურთიერთობები. საქართველოს პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის პროგრესული ხასიათი გამოვლინდება იმაში, თუ მხარს დაუჭერს პროგრესუ-

ლი ტენდენციის გამომხატველ. სოციალურ ურთიერთობებს სამართლიანი კანონმდებლობის შექმნისა და სხვათა სახით.

საქართველოს პოლიტიკური ლიდერი ვალდებულია დარაზმოს ადამიანები საზოგადოებაში სოციალური თანხმობის მისაღწევად, განახორციელოს მასზე დამოკიდებული ორგანიზატორული და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებანი.

სოციალური კონსესუსი მიღწეულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ინდივიდები და მათი ორგანიზაციები შეთანხმდებიან სადავო პოლიტიკური და სხვა ხასიათის პრობლემების გადაწყვეტისას იხელმძღვანელონ ურთიერთგაგების, ურთიერთმოქმედებისა და ერთსულოვნების გრძნობით და პრაქტიკულად განახორციელებენ მათ პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში მუდმივი და სრული სოციალური თანხმობისთვის ბრძოლა უშედეგო მოქმედებაა, ვინაიდან ადამიანებს გააჩნიათ ერთმანეთზე დომინირების ტენდენცია, ერთმანეთის ჩაგვრის და აგრესიულობის გრძნობა მათ ცხოველებისგან გამოყვათ. მათ მიერ საკუთარ ისტორიაში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი სიკეთის ჯამზე გაცილებით მეტია. ამიტომ ადამიანებს შორის მუდმივი და სრული სოციალური კონსესუსის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ დროებითი საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა შესაძლებელია.

საქართველოში სოციალური თანხმობის მიღწევის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ის გარემოება, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია მისი ტრადიციები და გამოცდილება. საქართველოს მრავალრიცხოვანი დამპყრობლები და ქართველი ექსპლუატატორული კლასები თავიანთი პოლიტიკური ბატონობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად საუკუნეების

მანძილზე ახორციელებენ „გაყავი და იბატონეს" პოლიტიკას, ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდნენ ადამიანებსა და მათ ორგანიზაციებს პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობისა და მისი მეშვეობით გამდიდრებისთვის და სხვა. ასეთ პირობებში შექმნილი სოციალური ანტაგონიზმის გამო სოციალური კონსესუსის მიღწევა შეუძლებელი იყო, ქართულ საზოგადოებას ის არ ახასიათებდა.

დროებითი სოციალური თანხმობის მიღწევის მიზნით პოლიტიკური ლიდერი ვალდებულია განახორციელოს ადეკვატური ღონისძიებანი: მობილიზაცია გაუკეთოს მოსახლეობის ფართო მასებს საქართველოს ბუნებრივი რესურსების მითვისებისა და გასხვისების, ქაროველი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მტაცებლობისა და მითვისების აღსაკვეთად, მითვისებული ეროვნული სიმდიდრეების ხალხისთვის დასაბრუნებლად და მისი კეთილდღეობისთვის გამოსაყენებლად, სახალხო ქონების მტაცებლობისა და მითვისების გზით შექმნილი მჩაგვრელი კლასის ლიკვიდაციისათვის და სხვა.

საჭიროა, აგრეთვე უფასოდ ადამიანის ბინებით უზრუნველყოფის, უფასო სამედიცინო მომსახურებისა და სწავლის, ადამიანისთვის შეღავათიან ფასებში დასვენებისა და სხვა მრავალი სიკეთის დაუყოვნებლივი აღდგენა და განვითარება. ეს სიკეთეები ჩვენს საზოგადოებაში სულ სამი ათეული წლის წინ რეალურად ფუნქციონირებდნენ, რომლებმაც განაპირობეს ქართველების ეთნიკური გამრავლება, მათი მატერიალური ცხოვრების პირობების რადიკალური გაუმჯობესება, განათლებისა და კულტურის უპრეცედენტო განვითარება და მრავალი სხვა დიდი მიღწევა. ჩვენ კი, კარიერისტმა დემაგოგებმა ყველაფერი ეს უარეყავით, დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, თავისუფლების და თანასწო-

რობისთვის აბსოლიტურად მოუმზადებლებმა ისინი ფორმალური, უტოპიური ლოზუნგებით შევცვალეთ, საზოგადოებრივი ანტაგონიზმი დავნერგეთ და ქვეყანა კატასტროფაში ჩავადგეთ, რისთვისაც პასუხი უნდა ვაგოთ.

საქართველოში ამჟამად შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და შესაბამისად საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს და განავითაროს აღნიშნული მატერიალური და სულიერი სიკეთენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამძვინვარებული ხალხი სამოქალაქო ომში გაანადგურებს მისი ნაშრომის მითვისებით გამდიდრებული ადამიანთა ჯგუფებს და მათ პოლიტიკურ ხელისუფლებას. საქართველოს მტრები კი ქვეყანას დაიპყრობენ და ფიზიკურად გაგვანადგურებენ შინაგანი მტრების აქტიური მხარდაჭერით.

დიდად სამწუხაროდ, ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით ჩვენს წინაშე მდგომ ვერცერთ სოციალურ პრობლემას და ამოცანას ვერ გადავწყვეტთ, ამიტომ ჩვენი გადარჩენისა და განვითარების მიზნით უნდა სასწრაფოდ მოვითხოვოთ საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარება,როგორც ერთადერთი პოლიტიკური პანაცეა.

საქართველოს ქართველი ლიდერი ვალდებულია განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი საქართველოში მცხოვრები მრავალრიცხოვან ქართველებთან თანხმობის მიღწევის უზრუნველსაყოფად. საქართველოში სრული და საბოლოო ეროვნებათაშორისი თანხმობის მიღწევა ურთულესი პოლიტიკური პრობლემაა, თითქმის შეუძლებელიც კი, მაგრამ, პოლიტიკური ლიდერი მაინც ვალდებულია შეიმუშაოს ასეთი თანხმობის მიღწევის კონცეფცია. მობილიზაცია გაუკეთოს მასებს მისი განხორციელების მიზნით.

ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებებმა განაპირობა ქვეყანაში უკიდურესად რთული და ანტაგონისტური ეროვნული კონგლომერატის ფორმირება, მისი მოსახლეობის უკიდურესი, არაერთგვაროვნება და სიჭრელე, რომელთა წარმოშობის მთავარი მიზეზია შემდეგი: **პირველი**. ეელური დამპყრობელი სახელმწიფოების მიერ მათი მოსახლეობის ნაწილის ჩამოსახლება საქართველოში მათი ბატონობის ეროვნულ-სოციალური ბაზის შესაქმნელად. **მეორე**. თვით საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მიერ უცხოელთა ჩამოსახლება, თითქოს, ხელოსნობის და ვაჭრობის განვითარების მიზნით, აგრეთვე, გარეშე მტრებთან ბრძოლაში დახმარების აღმოსაჩენად. **მესამე**. უცხოტომელთა თვითნებური დასახლება და მათ მიმართ გამოჩენილი ქართული ზღვარგადასული ტოლერანტობა, ქართველების მიმართ მომავალში მათ მიერ ჩადენილი მტრული დამოკიდებულების ქარაფშუტული გაუთვალისწინებლობა და სხვა ეროვნული უბედურების მიზეზები.

აღნიშნულმა გარემოებებმა, ძირითადად განაპირობეს ქართული სახელმწიფოს მხრივ ქართველთა ინტერესების სასარგებლოდ ქვეყნის მართვის უკიდურესი გართულება, სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების პარალიზება. არაქართველთა ნაწილის ანტიქართულმა ცნობიერებამ და მტრულმა ქმედებებმა ძირითადად განაპირობეს საქართველოს როგორც ქვეყნისა და მისი სახელმწიფოს კატასტროფა.

საქართველოში სრული და საბოლოო ეროვნებათაშორისი თანხმობის მიღწევა უკიდურესად გართულებულია მთელი რიგი მიზეზების გამო.

ჯერ ერთი, ქართველების მცირე რიცხოვნების გამო 1984 წ. აღწერის მონაცემებით საქართველოში სულ ცხოვრობდა 5 მლნ 800 ათასი ადამიანი, აქედან 3 მლნ 600 ათასი ადამიანი იყო ქართველი, რამაც განაპირობა მისი პოლიტიკური სახელმწიფოს სისუსტე. ეს გარემოება მრავალ არაქართველს, რომლებიც საქართველოში იმავე წლის აღწერის მონაცემებით მილიონ ექვსასი ათასი იყო აძლევს ქართველებზე გაბატონების რეალურ შესაძლებლობას. უცხო სახელმწიფოების დახმარებით მათ უკვე მიაღწიეს თავიანთ მიზნებს ქართველების მიწაზე თავიანთი სახელმწიფოების შექმნას. მათგან ქათველების გამოძევებას.

საქართველოს პოლიტიკურ ლიდერს აუცილებლად უნდა გააჩნდეს სახელმწიფო ხელისუფლებიდან ხალხის გაუცხოების თავიდან აცილების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სიმტკიცის, საზოგადოებრივი სტაბილურობის ძირითადი ფაქტორის აუცილებელი უნარი და მისი თანამედროვე საქართველოს სპეციფიკურ ვითარებაში შემოქმედებითი გამოყენების ტალანტი.

ხალხის სახელმწიფო ხელისუფლებისგან გაუცხოების პროცესი, როგორც ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთობის საერთო-სოციალური კანონზომიერება ქართველის „დემოკრატების" ბრწყინვალე დაპირებების მიუხედავად ყველა მისი ფორმით მთლიანად გამოვლინდა საქართველოს თანამედროვე სოციალურ ყოფიერებაში.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში გაუცხოება გამოხატავს საზოგადოების წანაამღდგობებს, ძირითადად გამოწვეულს დამოუკიდებლობის მრავალრიცხოვანი ფაქტორების მოუმზადებლობით და ის კატასტროფული შედეგებით ვლინდება ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებებიდან მის გათიშვაში, რომელიც

გამოიწვია კაპიტალისტური ურთიერთობების ფორმირების სტიქიურმა ფორმამ, რომელიც არ ემორჩილება ადამიანთა კონტროლს და მისი მოქმედების შედეგები გაუცხოებულია ინდივიდებისგან, ვლინდება როგორც უცხო, ადამიანებზე თავმოხვეული მოვლენები. ეკონომიკური გაუცხოება ჩვენს საზოგადოებაში გამოწვეულია შრომის ანტაგონისტური დანაწილებით და განპირობებულია ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი კერძო საკუთრებით, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს მისი ბუნებრივ-ისტორიულ წარმოშობის პროცესთან და ფუნქციონირების მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან კანონებთან.

საქართველოში კერძო საკუთრება დამყარდა სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში დემაგოგიური დაპირისპირებით მოქცეული, „საბჭოთა ბურჟუების" მიერ დაწერილი საზოგადოებრივი საკუთრებისა და ქონების პრივატიზაციის კანონის საფუძველზე, რომლის განხორციელების პროცესში სახელმწიფო ორგანოებმა პატიოსანი ადამიანების მიერ თავდადებული შრომის შედეგად შექმნილი, მათი კეთილდღეობის მატერიალურ-ეკონომიკური საფუძველი ფაქტობრივად დაურიგა მის მომხრეებს, რამაც გამოიწვია ხალხის ეკონომიური მდგომარეობის უკიდურესი გაუარესება და ბევრი სხვა უბედურება. ამ მდგომარეობამ განაპირობა გაუცხოების ერთ-ერთი ფორმის – თვითგაუცხოების წარმოშობა, რომლის ფსიქიკურ-ემოციური გამოხატულებაა საზოგადოების წევრების სურვილების, მიზნების და მოლოდინების გათიშვა სახელმწიფოს მიერ დადგენილი იურიდიული ნორმებისგან, ადამიანების მიერ მტრული ხასიათის გაცნობიერება შექმნილი სოციალური სინამდვილისა, თვითიზოლაციისკენ მიდრეკილება, მშობლიური ქვეყნის მასობრივი მიტოვება და ბევრი სხვა.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებული, არაბუნებრივი გზით შექმნილი კერძო საკუთრების პირობებში ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, გაუცხოებულნი არიან ეკონომიკურად, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი იძულებულნი არიან თავიანთი შრომით შექმნილი და სახელმწიფოს ინიციატივით მითვისებული საწარმოებისა და დაწესებულებების მესაკუთრე პარაზიტ ექსპლუატატორებს მიყიდონ სამუშაო ძალა. სახეზეა დაქირავებული შრომის სასტიკი ექსპლუატაცია, შრომის მძიმე პირობები, მასობრივი უმუშევრობა, თვითნებურად, კანონის საწინააღმდეგოდ გახანგრძლივებული სამუშაო დრო, ხელფასის სისტემატურად დაგვიანებული გაცემა და ბევრი სხვა. ასეთი უმძიმესი მატერიალური ცხოვრების პირობებში ადამიანები იბრძვიან მათი ანტაგონისტის, მჩაგვრელთა კლასის ინტერესების დამცველი ადამიანთა ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც მიუღებელია მათთვის, როგორც „უცხო სხეული".

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლებისგან ხალხის პოლიტიკური გაუცხოების ძირითადი მიზეზია ფუნქციონირებადი პოლიტიკური ხელისუფლების მოღვაწეობა, მისი დიდი შეცდომების უმძიმესი შედეგები. მისი შექმნისათვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები მოუმზადებელი იყო. გაუცხოების პოლიტიკური ფორმის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო საკუთარ, ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეროვნული პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი პოლიტიკური ორგანიზაციები, გამოცდილი პოლიტიკური მოაზროვნეები და ორგანიზატორები, რომლებიც შეძლებდნენ ეროვნული რევოლუციის კვალიფიციურ ხელმძღვანელობას, ფაქტო-

ბრივი დამოუკიდებლობის მიღწევას. ჩვენი მაშინდელ ხელმძღვანელებიდან მთლიანად ჩვენ ასეთები სრულებითაც არ ვიყავით.

თანამედროვე მსოფლიოს ლიდერის, დიდად პატივცემული აშშ მთავრობის რჩევით ქართველი და არაქართველი „დემოკრატების" მიერ მექანიკურად შექმნილი ჟამრავი „პოლიტიკური" ორგანიზაციის და დაწესებულების, რომელთა ქვეყნისთვის სასარგებლოდ საქმიანობის არავითარი პირობები არ იყო მომზადებული და არც პოლიტიკური ნება არსებობდა ეგოისტური მოსაზრებებით გაცემული დემაგოგიური დაპირებები, ბუნებრივია, არ შესრულდა. ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა პოლიტიკური ხელისუფლების დისკრედიტაცია, მისი წარმოდგენა რაღაც უსარგებლო, „უცხო სხეულად".

საქართველოში ხალხის სახელმწიფოებრივი ხელისუფლებიდან პოლიტიკური გაუცხოების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ფაქტობრივი მიუღწეველობა და ასეთ პირობებში მისი გამოცხადება „დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ."

ჩვენი „დემოკრატი" ვაჟბატონები საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობას უნერგავდნენ ქართველ ხალხს ისეთ პირობებში, როცა ამ მიზნის მიღწევისთვის საჭირო არცერთი ფაქტორი და პირობა არ იყო მომზადებული, ამიტომ ის მიღწეული არ იქნა, ერთი ბატონი მეორემ სხვა ფორმებში შეცვალა. ჩვენ კი დამოუკიდებლობის კრიტერიუმად გამოვაცხადეთ ჩვენს მიერვე დაწერილი და ხელმოწერილი დამოუკიდებლობის აქტი, რაც სრული ფორმალობაა და სრულებითაც არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. ამ მდგომარეობამ, ბუნებრივია, გამოიწვია სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ხალხის უნდობლობა,

დაუმორჩილებლობა, მისგან გაუცხოება. კოვანოვების, ჩურკინების, ზემლიანსკების და სხვათა მაგიერ ამჟამად საქართველოს სხვა არაქართველები, ქართველებად გადაღებილი ადამიანები მართავენ. ასეთ მდგომარეობას კი არავითარი საერთო არ აქვს ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან, მის სუვერენიტეტთან.

მე-20 ს. ჩვენ ორჯერ, ყოველგვარი მომზადების გარეშე, ცარიელ ადგილზე შევეცადეთ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევას და ორივეჯერ ვერ მივაღწიეთ მიზანს. პოლიტიკური ავანტურისტობისა და გაუნათლებლობის გამო ვერ გავითვალისწინეთ ბრძნული აზრი – ცუდად გამოყენებული თავისუფლება თავისუფლების უქონლობაზე უარესია. საქართველოს დამოუკიდებლობა ორივეჯერ სასურველ ილუზიად დარჩა, დიდი მსხვერპლი კი გავიღეთ, რასაც არავითარი გამართლება არ გააჩნია. ამისთვის კი პასუხი უნდა ვაგოთ ჩვენი ყოფილი ხელმძღვანელობის წინააღმდეგობით.

სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციისთვის აბსოლიტურად მოუმზადებელ ქვეყანაში დემოკრატიული მართვა-გამგეობის შექმნა დავიწყეთ, მაშინ, როცა ამ მიზნის მისაღწევად არავითარი პირობა და შესაძლებლობა არ იყო მომზადებული და ამიტომ დამყარდა ეგრეთწოდებული ბიზნესმენთა პრიმიტიული დიქტატურა, რაც ხალხის მიზნებს და მოლოდინს ეწინააღმდეგება, გამოიწვია ხალხის ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, მისი არასასურველ მოვლენად წარმოდგენა, მასობრივი ქაოსი და ანარქია.

ეკონომიკური და პოლიტიკური გაუცხოება ქართულ საზოგადოებაში გახდა გაუცხოების სხვა ფორმების, მათ შორის იდეოლოგიური გაუცხოების საფუძველი და წინაპირობა, გაყალბებული და დამახინჯებული ცნობიერების, იდეებისა და შეხედულებების მატერიალური საფუძველი. ისინი რეალური საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ასახვის შედეგია.

ხალხის მასების სახელმწიფო ხელისუფლებიდან გაუცხოება არ არის მხოლოდ თანამედროვე ქართული ანტაგონისტური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი. ის წარმოადგენს ყველა ტიპის საზოგადოების ამა თუ იმ ფორმით და ხარისხით გარდაუვალ მოვლენას. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ის ინტენსიურად განვითარდა კულმინაციისკენ და ახლო მომავალში შეიძლება გახდეს სოციალური რევოლუციის სოციალურ-პოლიტიკური წინამძღვარი.

საქართველოს პოლიტიკური ლიდერი ვალდებულია გაუცხოების მოხსნა გახადოს სახელმწიფო პოლიტიკის არსებითი და ძირითადი მიმართულება საზოგადოების მართვის პერპექტივის გენერალური პრინციპის შესაბამისად განახორციელოს გადაუდებელი და ქმედითი ღონისძიებანი ქართულ საზოგადოებაში გაუცხოების გამომწვევი ფაქტორების დადგენისა და მისი დაძლევის მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრისა და განხორციელებისთვის, საჭიროა მთლიანად სახელმწიფოსა და მისი აპარატის გარდაქმნა ხალხის ინტერესების გამომხატველ და დამცველ პოლიტიკურ ორგანოდ, გაწმინდოს სახელმწიფო აპარატი კანონისა და მორალის დამრღვევი ადამიანებისგან. გააერთიანოს ადამიანები, მობილიზაცია გაუკეთოს მასებს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებით მატერიალური დოვლათის შესაქმნელად და გამოიყენოს ის მოსახლეობის უფასოდ საცხოვრებელი ბინების, უფასო სამედიცინო მომსახურებისა და სწავლების აღსაღდგენად, ფასების შესამცირებლად, პენსიების გასადიდებლად და სხვა.

სახელმწიფო ხელისუფლებასა და ხალხს შორის არსებული გაუცხოების ლიკვიდაციისთვის საჭიროა რეალური სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური

ხასიათის ღონისძიებების განხორციელება, მარტო პროპაგანდისტული მოწოდებანი ამ დაპირისპირებას ვერ მოხსნის.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებადი პოლიტიკური სახელმწიფოს ტიპი და ფორმა საზღვარგარეთელ მოწინააღმდეგე ანტიქართველების დაკვეთით მათმა კრეატურამ შექმნა ქართველი ხალხის სურვილი წინააღმდეგ. მის საქმიანობაში ბევრია ანტიქართული, რის გამოც ჩვენს ხალხს აქვს კანონიერი და მორალური უფლება თავიდან მოიცილოს ასეთი მმართველები, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი სასტიკად დასაჯოს მჩაგვრელები, რაც მათგან გაუცხოების კანონზომიერი შედეგი იქნება.

პოლიტიკური ლიდერისადმი მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი ცოდნის შეძენის მაგივრად ჩვენმა ზოგერთმა კარიერისტმა მმართველმა თავი გამოიჩინა ხელისუფლების უსაზღვრო სიყვარულით, მისი პირადი გამდიდრებისათვის გამოყენების დიდი უნარით და სხვა დანაშაულებრივი და უზნეო ქმედებებით.

ზოგიერთი ხელმძღვანელი პოლიტიკოსი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ხელმძღვანელი სახელმწიფო თანამდებობის დაკავება მათ ავტომატურად გახდიდა პოლიტიკურ ლიდერად, რაც სრულებით არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, საქართველოში ფუნქციონირებადი პოლიტიკური ლიდერების სისუსტე განაპირობა იმანაც, რომ ისინი სუსტი ნებისყოფით, არამტკიცე, რბილი ხასიათით გამოირჩევიან. ზღვარგადასულად ემოციურები არიან, ცივი გონებით მოვლენათა ანალიზისა და შეფასების უნარის დეფიციტს განცდიან, რაც ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების რაციონალური გადაწყვეტის დიდად ხელშემშლელი ფაქტორია და მძიმე ნეგატიურ შედეგებს განაპირობებენ. მათი მოღ-

ვაწეების მძიმე, უარყოფითი შედეგების მიზეზია აგრეთვე, ისეთი ზღვარგადასული, ზომიერებას მოკლებული თვისებები, როგორიც არის მიმდობლობა„ მიამიტობა, გაუმართლებელი მიმდობლობა, მპატიებლობა და სხვ. ზოგად-საკაცობრიო მორალის თვალსაზრისით ქართველი ხელმძღვანელების დადებითი თვისებები ქართველი ხალხის მოწინააღმდეგეებმა თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენეს, ქართველი ხალხის მიწა-წყალი თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს და მათზე ეგრედწოდებული „დამოუკიდებელი სახელმწიფოები" შექმნეს, ქართველები საკუთარი მიწიდან აყარეს და გამოაძევეს.

ამჟამად საქართველოს სჭირდება ქარიზმატული ლიდერი, რომელიც მოახდენს „ქარიზმატულ გარღვევას" და დაიქცევა ცეზარისტული ან ბონაპარტისტული ტიპის ლიდერად დადგება კლასებზე, სტატუსებზე და დემაგოგიურ პოლიტიკაზე მაღლა, რაციონალური პოლიტიკის განხორციელებით შეძლებს საქართველოს კატასტროფიდან გამოყვანას, ხელმძღვანელობას.

საქართველოში პოლიტიკური ხელმძღვანელების სისუსტე დეტერმინირებულია აგრეთვე იმითაც, რომ საქართველოს საზღვარგარეთელი მტრების დაკვეთით, საქართველოს სახელმწიფოს მმართველებმა, რომლებიც ფაქტობრივად საზღვარგარეთული კრეატურა იყო და არის რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგად და პოლიტიკურ განათლებას მოკლებული, სახელმწიფოს მართვის მეცნიერების არმცოდნე, გამოუცდელი, კარიერისტი და დემაგოგი, ეროვნულად არაქართველი, ქართველთა ერთგულების არმქონე ადამიანები მათგან ძლიერი, ქართველი ხალხის დამცველი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა შეუძლებელი იყო და არის. მათი მოვალეობაა მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოების მორბედობა - წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკურად განადგურ-

დებიან. ამიტომ მის დირექტივებს მარიონეტები ზუსტად და უსიტყვოდ ასრულებენ, მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ.

მსოფლიოს თანამედროვე ლიდერმა აშშ სახელმწიფომ რატომღაც შეარჩია ქვეყნის მართვის უცოდინარი, არაქართველი ადამიანები, ძირითადად სომხები, მაშინ როცა ქართველი ხელმძღვანელები უფრო მეტად ერთგულები იქნებოდნენ.

ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელების პოლიტიკური სისუსტე განპირობა აგრეთვე, მათი პიროვნული ხასიათის ისეთმა ნეგატიურმა თვისებამ, როგორიც არის პოლიტიკური ავანტიურიზმი. ის გამოვლინდა საქართველოს თანამედროვე განვითარების სოციალური კანონზომიერებების, მისი რეალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, პოლიტიკური ჯგუფების თანაფარდობისა და სოციალური ინტერესების გათვალისწინების გარეშე პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელებაში, რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური სასიათის მძიმე შედეგები. ამ ვაჟბატონებმა საქართველო, რომელსაც საკუთარი ნედლეულით, ტექნიკით და სხვა მატერიალური დოვლათის წარმოების შესაძლებლობა არ ჰქონდა, დამოუკიდებლობის მიღწევისა და დაცვისთვის საჭირო შეიარაღებული ძალები არ ჰყავდა და სხვა დამოუკიდებლობისთვის აბრძოლეს და, ბუნებრივია, სასტიკად დამარცხდნენ. იმათ კი ვინც დამოუკიდებლობის მიღწევისთვის გვაქეზებდა ასეთ არახელსარელ პირობებში ძლიერი რუსეთის წინააღმდეგ, მიაღწიეს რა თავიანთ მიზნებს. საქართველო ბედის ამარად მიატოვეს. საქართველოს პოლიტიკური ავანტურისტების ნაწილი კი, სამწუხაროდ, ფიზიკურად განადგურდა.

ჩვენი სახელმწიფოს ხელისუფლების სისუსტე დეტერმინირებულია აგრეთვე იმითაც, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მყოფმა

ზოგიერთმა ხელმძღვანელმა და სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკებმა თავიანთი ექსპლუატატორული ბუნების გამო ჩაიდინეს პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის სავსებით შეუფერებელი, დანაშაულებრივი ქმედებები. საქართველოს ბუნებრივი რესურსების, საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მითვისების და გაყიდვის სახით, საზღვარგარეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარების, და საერთაშორისო სესხების მითვისების, კორუფციის, მექრთამეობისა და სხვა დანაშაულის სახით, რამაც განაპირობა სახელმწიფო მმართველობის სახელის გატეხვა, ამ ადამიანებს სახელმწიფოს მართვის მორალური უფლება აღარ ჰქონდათ, სრული დისკრედიტაციის გამო, მათ „ხელმძღვანელობას" არავინ არ იღებდა და ცნობდა. ჩვენმა ზოგიერთმა მმართველმა თანამდებობიდან გაძევების შემდეგ სახალხო ქონების ნაწილი საზღვარგარეთ წაიღო და თავისი კერძო ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის გამოიყენა, ნაწილი კი თავის საზღვარგარეთ მფარველებს ჩაუჯიბა.

ქართველი ხალხის საუბედუროდ, საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ ხელმძღვანელი პოლიტიკური თანამდებობები დაიკავეს არა ქვეყნისა და სახელმწიფოს მართვის გამოცდილმა პირებმა, არამედ მართვის გამოცდილების არ მქონე, პოლიტიკურად გაუნათლებელმა, დილეტანტმა ლიტერატორებმა, მუსიკოსებმა, სპორტსმენებმა და მისთანებმა, რომლებსაც მათი განათლების დაბალი დონიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნდათ სახელმწიფოს ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი თვისებები, ეს არის საქართველოს ყველა სახის პოლიტიკური ხელმძღვანელების დისიდენტების, „დემოკრატების", ნაციონალების და სხვების პოლიტიკური პორტრეტის საერთო ნიშანი.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ, ქართველი ხალხისადმი საუკეთესო სურვილებით გამსჭვალულმა, სუბიექტურად დიდმა პატრიოტმა, ინგლისური ფილოლოგიის გამოჩენილმა სპეციალისტმა, დიდად სამწუხაროდ, მე-20 ს. დასასრულს პოლიტიკური მეცნიერებისა და კულტურისთვის მიუღებელი ზოგიერთი იდეა წამოაყენა და ქმედება განახორციელა.

პირველი. თანამედროვე პირობებში, რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა თითქოს სავსებით შესაძლებელია, საჭიროა თავდადებული ბრძოლა მიზნის მისაღწევადო. სინამდვილეში კი მაშინ და ახლაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეცნიერების მიერ დასაბუთებული და მსოფლიო პოლიტიკური პრაქტიკით აპრობირებული არცერთი იმ მრავალრიცხოვანი წანამძღვრებიდან და პირობიდან, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად მომზადებული და მომწიფებული არ იყო. ამიტომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა მიღწეული არ იქნა, დიდ ადამიანურ მსხვერპლს და ქვეყნის ნგრევას აქვს ადგილი, ქვეყანა კატასტროფაშია ჩაყარდნილი.

პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრეების საფუძველზე წინასწარ, ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, როგორც ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ან არსებულ დონეზე შენარჩუნებისა და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის ობიექტური საფუძველი. საზოგადოების მართვის გენერალური პერსპექტივის

პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად ეხრუნა ამ და სხვა საფუძვლებისა და პირობების შესაქმნელად, რაც, დიდად სამწუხაროდ, არ განხორციელდა.

მაშინ სსრკ ხელმძღვანელობის რუსი ეროვნების ნაწილი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ღარიბ რესპუბლიკებს რაც კი გააჩნიათ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებით არის შექმნილი, ზოგიერთი კი რუსეთის არმიის მიერ არის ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილიო. ისინი კი, უმადურები, ჩვენ კოლონიზატორებად გვთვლიანო. ასეთი მდგომარეობა ჩვენთვის მიუღებელი არისო. ამიერიდან ყველამ თავისი შესაძლებლობით იცხოვრონ და დაიცვან თავიო.

ასეთ პირობებში საუსებით შესაძლებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი პირობების მომზადება და მისი თანდათანობით მიღწევა.

პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად წინასწარ საჭირო იყო ძლიერი შეიარაღებული ძალების შექმნა და განვითარება, რაც არ მოხდა. ამიტომაც დამარცხდა საქართველო ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ომში. საქართველოს ისეთ მდგომარეობაში, მას ერთი თანამედროვე იარაღით აღჭურვილი, ბრძოლაში გამოცდილი და გაწვრთნილი პოლკიც კი არ ჰყავდა კვალიფიციური სამხედრო მეთაურით რუსეთის ძლიერი არმიისადმი დაპირისპირება მართლაც რომ სამხედრო ავანტიურა იყო, დამარცხება და სხვა ტრაგიკული შედეგი კი-გარდაუვალი.

მეორე. პატიუცემულმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ განვითარების მაშინდელ ეტაპზე შესაძლებელი იყო საქართველოში სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაცია, დემოკრა-

ტიული წყობილების შექმნა. სინამდვილეში კი ასეთი წესწყობილების შექმნა ჩვენში შეუძლებელია იყო, ვინაიდან არ იყო მომზადებული საჭირო მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური პირობები და ფაქტორები. ამ მიზეზის გამო ქვეყანაში რეალური დემოკრატიული წესწყობილება ვერ დამყარდა, საზოგადოებაში ქაოსი და ანარქია გამეფდა, რასაც ეკონომიკური ნგრევა და ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოყვა.

პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას უნდა გაეთვალისწინებინა მეცნიერების ის დებულება, რომლის თანახმად ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად და მართვის განსახორციელებლად საჭიროა ხალხის ზოგადი და პოლიტიკური კულტურის წინასწარ განვითარება, დემოკრატის პირობებში ცხოვრების წესების, ნორმების, შეხედულებების და სხვა თანდათანობითი ფორმირება და განვითარება ეს გათვალისწინებული არ იქნა.

ძნელი წარმოსადგენია რომ პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ არაკვალიციურობის გამო არ იცოდა აღნიშნული, მსოფლიო მეცნიერების მიერ დასაბუთებული დებულებანი და დასკვნები. მან განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღო, როცა აუცილებელი სასწავლო დისციპლინების, ზოგადსაგანმანათლებლო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთი ძირითადი დებულება იყო და არის სოციალურ განვითარებაში, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დიდი მნიშვნელობის შესახებ, ამ ფაქტორების მოუმზადებლობის პირობებში გარდაქმნების დაუშვებლობისა გარდაუვალი ტრაგიკული შედეგების შესახებ. ეს დებულებანი და იდეები ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მეცნიერების მიერაც არის აღიარებული.

პრეზიდენტ ზ. გამსახურდიაზე დიდ იდეურ ზემოქმედებას ახდენდნენ საქართველოს და მისი საზღვარგარეთელი არაკეთილმოსურნეები და მისი გარემოცვის, ქვეყნის მართვის აბსოლიტურად უცოდინარი, შარლატანი არაქართველი და ქართველი პოლიტიკანები, რომლებიც მხოლოდ თანამდებობის დაკავებაზე და მათი გამოყენებით გამდიდრებაზე ზრუნაობდნენ, რასაც მიაღწიეს კიდეც.

მესამე. დიდად სამწუხაროდ ზ. გამსახურდიამ თანამედროვე პირობებში ყოვლად მიუღებელი აზრი გამოთქვა – „კანონი მე ვარ"[7] რომელიც ფორმალურად ოდნავ განსხვავდება საფრანგეთის მონარქის ლუი XIV მიერ მე-17 საუკუნეში გამოთქმულ იდეისაგან „სახელმწიფო მე ვარ„ რომელიც მაშინ ჭეშმარიტებასთან ახლოს იყო. სინამდვილეში კი, კანონის არსება თვით კანონშია და არა პიროვნებაში, ვინც არ უნდა იყოს ის. პრეზიდენტს კეთილი უნდა ენება და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმალტიული აქტები დაეცვა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ეზრუნა ქვეყანაში ანარქია და ქაოსი არ დაეშვა. მათი ერთ-ერთი მიზეზი ასეთი განცხადება და შესაფერისი ქმედებები გახდა.

მეოთხე. დიდი გაოცება და გარკვეულწილად გულისტკივილიც კი გამოიწვია ზ. გამსახურდიას განცხადებამ – „მე პოლიტიკოსი არ ვარ", ალბათ მსედველობაში ჰქონდა მისი ფილოლოგიური, პოლიტიკური განათლებიდან ძალზე შორსმდგომი განათლება და პოლიტიკური სახელმწიფო მოღვაწეობის გამოცდილების არ ქონა, რაც სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ ასეთ ვითარებაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ხელმძღვანელი მდგომარეობა არ უნდა დაეკავებინა, საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ თა-

7 იხ. ინტერვიუ თ. სიგუასთან, გუმბათი №22 (138) 7-13 ივნისი, 20.10.

ნამდებობის დაკავება'ზე უარი უნდა ეთქვა, ვინაიდან არა-პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწეობაში გამოუცდელი ქვეყანას გონივრულად ვერ მართავს, ქვეყანა კატასტროფაში ჩავარდება, რაც სამწუხაროდ მოხდა კიდეც.

მეხუთე. ბატონმა ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ პრეზიდენტი ჯ. ბუში მხარს უჭერს კომუნისტურ ტირანიას და მოჩვენებით რეფორმებს, ხოლო ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ნაციონალიზმის სახიფათო გამოვლენას უწოდებსო. იმასაც ამბობდნენ, რომ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას სურდა 1991 წ. 9 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში ჩაეწერა მოწოდება ამერიკელი ხალხისადმი გადაერჩიათ უღირსი პრეზიდენტი, მაგრამ ვერ შეძლო.[8]

ასეთმა განცხადებამ, ბუნებრივია, გამოიწვია საქართველოს მაშინდელი მფარველის პრეზიდენტ ჯ. ბუშისა და აშშ მთავრობის ნეგატიური რეაქცია. საქართველოსთვის შეღავათიანი სესხების შეჩერება. მაშინ აშშ პრეზიდენტმა განაცხადა საქართველოს პრეზიდენტი დინების წინააღმდეგ მიდისო. ზ. გამსახურდიას ეს განცხადება შესაძლოა სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ჯ. ბუში საბჭოთა კავშირის და მისი ხელმძღვანელი კომპარტიის მტერი იყო, ვინაიდან, ისინი აშშ მთავრობას მსოფლიო ბატონების დამყარებაში დიდად უშლიდნენ ხელს. ამიტომ მათ დაშალეს და ხელისუფლებიდან გააძევეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა სხვა ხალხების წინაშე, მისი ხელმძღვანელობით მსოფლიოს სლავი და ზოგიერთი სხვა ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.

მეექვსე. პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ ბრძანა, რომ საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკის დაშლა საქართ-

---

8 იქვე

ველოსთვის საშიშროებას არ წარმოადგენსო, ჩვენ წყლის გაყიდვითაც კი ვირჩენთ თავსო. ამ განცხადებას მაშინ ზოგიერთი ხელმძღვანელი თანამდებობის პირიც იზიარებდა. მაგრამ თუ ობიექტურად ვიმსჯელებდით ქართული წყლის საზღვარგარეთ გაყიდვით მიღებული თანხები სრულებითაც არ იქნებოდა საკმარისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, მისი ძლიერი ვერაგი მტრებისაგან დასაცავად საჭირო შეიარაღებული ძალების შექმნისთვის, ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის და სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის. საჭირო იყო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების და რესურსების საფუძველზე მატერიალური დოვლათის წარმოების განვითარება და სხვა მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის ღონისძიებებს განხორციელება.

მეშვიდე. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ექსპრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ მთლიანად აღიარა მის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით საშიში დანაშაული. მან განაცხადა: „1974 წელს ჩემი მოსკოველი ნაცნობების მეშვეობით მე დავამყარე და ვაგრძელებდი კონტაქტებს მოსკოვში უცხოური დიპლომატიური წარმომადგენლობის რიგ თანამშრომლებთან. კერძოდ, სსრკ-ში აშშ საელჩოს შიდაპოლიტიკური სექციის პირველ მდივანთან იგორ ბელოუსოვიჩთან. მისგან მე ვიღებდი უცხოეთში გამოცემულ ანტისაბჭოთა ლიტერატურას, რომელიც შემოტანილი იყო ჩვენს ქვეყანაში გასავრცელებლად. გამოძიებისას მე დაწვრილებით მოვუყევი ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მინდა ავღნიშნო, რომ ხანგრძლივი განსჯის შემდგომ მე მიეხვედი, რომ ღრმად ვცდებოდი და რომ ჩემი მოღვაწეობა ბევრ შემთხვევაში ზიანის მომტანი იყო. ამიტომ მე გულწრფელად ვწუხვარ ჩადენილს და ვგმობ ჩემს ჩადენილ დანაშაულს.

მინდა აგრეთვე აღვნიშნო – რამდენადაც ვალდებული ვარ, მამაჩემმა – კონსტანტინე გამსახურდიამ არაფერი იცოდა ჩემი საქმიანობის შესახებ.

მამა ყოველთვის მინერგავდა აზრს საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის უპირატესობაზე სხვა სახელმწიფოებრივი სისტემის მიმართ და ამას იგი კონკრეტული მაგალითებით აჩვენებდა. ესლა მე ღრმად ვწუხვარ, რომ არ დავუგდე ყური მამაჩემის ხმას და ანტისაბჭოთა საქმიანობის გზაზე დავდექი.

მე არასდროს დავივიწყებ მამაჩემის სიტყვას: „ჩვენი ხალხის, მისი კულტურისა და ენის სამსახური მხოლოდ ღიად და პატიოსნადაა შესაძლებელი„[9]

მიღებული წესის თანახმად, ამ შემთხვევაში ზ. გამსახურდიას თვალსაზრისი უნდა შევაფასოთ ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნებული გამოსვლის ტექსტის მიხედვით, რომელიც მას შემდეგ არ უარყვია.

პატივცემული ექსპრეზიდენტი აღიარებს, რომ მან პირადად ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოხატა საზღვარგარეთიდან საბჭოთა კავშირში შემოტანილი ანტისაბჭოთა ლიტერატურის მიღებაში, რაც ზიანის მომტანი იყო და გულწრფელად წუხს ჩადენილზე. ინანიებს მას და გმობს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

როგორც შემდეგ მ. კოსტავამ აღნიშნა, ზ. გამსახურდია არა მარტო იღებდა ანტისაბჭოთა ლიტერატურას, არამედ პირადად ამრავლებდა და ავრცელებდა მას. ზ. გამსახურდიას მიერ ჩადენილი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაული იყო, ამიტომ ის გაასამართლეს მოქმედი სისხლის სამართლის ნორმების შესაბამისად, მათი დაცვით და გადაასახლეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს

9 გაზ. ასავალ-დასავალი, 2011 წ. 11-17 აპრილი 15 (862)

რეპრესიას, რაც კანონის მიხედვით არის მასობრივი, კანონსაწინააღმდეგო დევნა სახელმწიფო ორგანოების მხრივ. ზ. გამსახურდიას მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლებრივი სასჯელის ზომა არის კანონისა და სამართლის ნორმების სრული შესატყვისი.

ზ. გამსახურდიას მიმართ გამოყენებულ სისხლის სამართლებრივ სანქციას მისი მომხრეები თვლიან რეპრესიად, რაც სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ისიც ცნობილია, რომ საზღვარგარეთიდან ანტისაბჭოთა ლიტერატურის შემომტანი პირები, ეს ბელოუსოვიჩები და სხვები აშშ სადაზვერო სამმართველოს აგენტები იყვნენ და არიან:

მ. კოსტავამ განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტს არ გაუცია თანამზრახველები. ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ვ. რაზმაძემ კი განაცხადა, რომ მან ამხილა მასთან კავშირში მყოფი პირები, რომლებიც ამარაგებდნენ ანტისაბჭოთა ლიტერატურით.

პატიოსანმა ექსპრეზიდენტს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა თავისი მამის, დიდი მწერლის კ. გამსახურდას შეგონება: „ჩვენი ხალხის, მისი კულტურისა და ენის სამსახური მხოლოდ ღიად და პატიოსნადაა შესაძლებელი.„

ბატონ ზ. გამსახურდიას დაუფარავად, ღიად ხალხის სამსახურის უფლებას და შესაძლებლობას აძლევდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კანონები, ერთა თვითმმართველობის უფლება და მაშინდელი საბჭოთა მთავრობის შედარებით ლიბერალური ეროვნული პოლიტიკა. ამიტომ იმ პერიოდშიც სრულებით არ იყო აუცილებელი „ტაქტიკურ-პოლიტიკური მანევრი თუ ხრიკი„ (ბესარიონ გუგუშვილი) ის რაც გაიძვერული ხერხით რისამე მისაღწევად გამოიყენება.[10] სრულებითაც არ იყო საჭირო, აუცილებელი

10 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ. 1986,

აშშ მოსკოვის საელჩოს თანამშრომლებთან, როგორც წესი, ცენტრალური სადაზღვეო სამმართველოს აგენტებთან პირადი კავშირი, ზ. გამსახურდიას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერსა და მორალისტს თავი უნდა აერიდებინა ასეთი ქმედებისგან, რომელიც ყველა ქვეყანაში დანაშაულად ითვლება.

ბატონ ზ. გამსახურდიას საჯარო გამოსვლაში თეორიული ხასიათის უზუსტობაც არის დაშვებული. ზ. გამსახურდია იყენებს ტერმინს „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია„ რაც არ არის სწორი. კ. მარქსმა შექმნა და გამოიყენა ტერმინი „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია„ როგორც ადამიანთა კავშირის ფორმა, რომელიც გამომუშავდა სოციალური რევოლუციის პროცესში. ეს ტერმინი ზუსტად ასახავს ისტორიულ მატერიალიზმის ძირითად და ფუნდამენტალურ „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის„ კატეგორიის ლოგიკურ შინაარს. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ტერმინის აღნიშნული ურთულესი „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის„ კატეგორიის ლოგიკური შინაარსის კრიტიკოსებმა სრული ფიასკო განიცადეს და უკვე აღარ არის სადისკუსიო პრობლემა.

აქ შეიძლება აღინიშნოს ისიც რომ ექსპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მისდამი დაქვემდებარებულმა მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ საქართველოს მრეწველობა არ სჭირდებაო, რასაც მოჰყვა ჩვენი ძლიერი მრეწველობის დანგრევა და გაპარტახება, მისი საწარმოო ობიექტების დარიგება პარაზიტებისათვის, ახალი ექსპლუატატორისათვის. მეცნიერების მიერ დასაბუთებული დებულება მრეწველობის, როგორც ეკონომიკის ძირითადი დარგის გადამწყვეტი მნიშვნელობის

შესახებ ქვეყნის განვითარებაში, მისი დამოუკიდებულების მიღწევაში და განმტკიცებაში და სხვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი დებულება, მისი ძირითადი ამოცანა და ფუნქცია უნდა ყოფილიყო. ჩვენ კი წინაპრების უკიდურესად დაძაბული შრომის შედეგად სახელმწიფოსათვის მისესხებული და მისგან არ-დაბრუნებული ფულადი თანხების გამოყენებით შექმნილი, ჩვენი არსებობის მატერიალური საფუძველი პარაზიტ-მჩაგვრელებს დავურიგეთ, ახალი ექსპლუატატორული კლასი შევქმენით.

ექსპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას შეცდომად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქართულ სახელმწიფო აპარატში არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური პირების დანიშვნა, საქართველოს ამომრჩეველთა მიერ პარლამენტში არჩეული რამდენიმე ათეული კომუნისტი-დეპუტატის უკანონოდ დათხოვნა, არაკორუმპირებული, ღირსეული ქართველი ინტელიგენციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რომელთა ძველმა ნაწილმა წერა-კითხვა გვასწავლა და ქალამნები გაგვხადა, პირადი ჰიგიენის საშუალებანი დაგვიმზადა და სხვა ბევრი სასიკეთო საქმე გაგვიკეთა.

სამწუხაროდ, საქართველოს ექსპრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მოღვაწეობის შეფასებისას სუბიექტური მიზეზების გამო გამოთქმულია ტენდენციური აზრები და შეხედულებები. ასეთი სავალალო მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ მისი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობის ამსახველი მასალები უცნობია მკვლევართათვის, ფართო საზოგადოებისთვის. ზოგი მათგანი განადგურებულია მოწინააღმდეგეების მიერ, გასაიდუმლოებულია არქივებში, შეგნებულად ფალსიფიცირებულია მემუარულ ლიტერატურაში, გაყალბებულია პირადი და პოლიტიკური მოწინააღმდეგეე-

ბის მიერ და სხვა. ამ მიზეზების გამო მეცნიერება მოკლებულია ობიექტური კვლევისთვის საჭირო მასალებს. ის ძირითადად მაინც ხელმძღვანელობს ემპირიული მასალით, ექსპრეზიდენტის საქმიანობაზე პირადი დაკვირვების შედეგად მიღებული წარმოდგენებით, როგორც ამ შრომის ავტორი, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მონაცემებით, რომლებიც, მოკლებულია ობიექტურობას და ხშირ შემთხვევაში ტენდენციურია.

აუცილებელია აქტიურად ვიმოქმედოთ იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ ექსპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მთელი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალების გამოქვეყნებას, მისი მოღვაწეობის ობიექტურ შეფასებას, ცილისმწამებლების, ფალსიფიკატორების გამოვლენას და დასჯას. ექსპრეზიდენტის მოღვაწეობის ამსახველ მასალებს ობიექტურად ჩვენ ადამიანები თვითონ შევაფასებთ.

ექსპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის ობიექტური შეფასებისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მას უხდებოდა მოღვაწეობა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც კარნახობდნენ განეხორციელებინა ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც არ შეესაბამებოდა მის სუბიექტურ სულიერ სახესა და იდეალებს. მას როგორც დამოუკიდებლობისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი და სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ქვეყნის ხელმძღვანელს არ გააჩნდა საშუალებანი და შესაძლებლობანი მეტი ეფექტურობით ემოღვაწა საქართველოს სასარგებლოდ მიუხედავად დიდი სურვილისა.

ჩვენ პატიოსნად უნდა შევასრულოთ ზნეობრივი მოვალეობა, მიუკერძოებლად შევავსოთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობა,

ვამხილოთ ფალსიფიკატორები და ცილისმწამებლები, ვიბრძოლოთ იმისთვის რომ ექსპრეზიდენტს ხელოვნურად არ გაუხანგრძლივდეს დრო, რომელიც საჭირო მონაჭორების ლიკვიდაციისთვის, ისტორიაში მისი კუთვნილი ადგილის დაკავებისთვის.

დიდი გულისტკივილით გვიხდება იმის კონსტანტირება, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა ჩვენდა საუბედუროდ, ვერ შეძლეს საქართველოს სწორი ხელმძღვანელობა. მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ ძლიერი პოლიტიკური ლიდერები ახლო მომავალშიც არ გამოჩნდებიან. სუსტი ხელმძღვანელების ერთ ჯგუფს კიდევ უფრო სუსტი ხელმძღვანელები ცვლიდნენ და შეცვლიან, როგორც ხშირად ხდება. ამ უმძიმესი მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალია მოვთხოვოთ საქართველოს ახლანდელ ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ მიმართონ უშიშროების საბჭოს თხოვნით – დაამყაროს საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობა, გამოგვიყოს ძლიერი, ცივილიზებული, პრინციპული ქართველების პატივისმცემელი მეურვე – სახელმწიფო.

დადგენილი წესის თანახმად ის ვალდებული იქნება უზრუნველყოს საქართველოში ზოგადად და პოლიტიკურად განათლებული, ზნეობრივად სუფთა, ქვეყნის მართვის მეცნიერების მცოდნე და უნარის მქონე, გამოცდილი პატრიოტი ქართველი პოლიტიკური ლიდერის მომზადება.

მეექვსე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართების პრობლემები

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა იურისპუდენციაში მრავალი წლის განმავლობაში გაბატონებული იყო პოლიტიკის პირველობის თეზისი სამართალთან, კანონებთან შედარებით. მთავარ ღირებულებად აღიარებული იყო პოლიტიკა, ეკონომიკა, იდეოლოგია, უკიდურესად ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირის დაჩქარებული ტემპებით განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა. სამართალი განიხილებოდა როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების იურიდიულად გაფორმების წესი და არა როგორც დამოუკიდებელი სოციალური და კულტურული ღირებულება. საზოგადოებრივ ცნობიერებაში დანერგილი იყო აზრი სამართლის ნაკლებ-მნიშვნელოვანი როლის შესახებ, როგორც ისეთი ბრძანებისა, რომელიც მოდის ზემოდან, როგორც პოლიტიკური ბელადების სავალდებულო მითითება. სამართლის დანიშნულება დაიცვას მოქალაქეები თვითნებობისგან, მათი ღირსება და ხელშეუხებლობა მიჩუმათებული იყო. სამართალი არ განიხილებოდა როგორც რეალური ძალა, რომელსაც აქვს უნარი მოაქციოს პოლიტიკა გარკვეულ საზღვრებში და როცა საჭიროა „ალაგმოს„ ის. ამან თავის მხრივ, განაპირობა საყოველთაო სამართლებრივი ნიჰილიზმი, სკეფსი! კულტივირებდა მომავალში სამართლის „კვდომის„ მისი კომუნისტური საერთო ცხოვრების ნორმებით შეცვლის პროგრესული, მაგრამ აბსოლიტურად უტოპიური იდეა.

საბჭოთა კავშირში სამართლისადმი ასეთი უკიდურესად სკეპტიკური დამოკიდებულება განაპირობა 1917 წ. რუსეთის იმპერიის, როგორც ყველაზე ჩამორჩენილი ევრო-აზიუ-

რი ქვეყნის ნამგალისა და უროს, 75% წერა-კითხვის უცოდინარი, კბენარიანი (ლენინი) ქვეყნის მდგომარეობამ, რომლის აზიური პროვინცია იყო საქართველო. სოციალიზმის პროგრესული თეორიის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, რუსეთის ბოლშევიკების ავანტურისტული, უტოპიური პოლიტიკის შედეგად განხორციელდა სოციალიზმზე გადასვლის მცდელობა, რომლის განხორციელებისთვის რუსეთის იმპერიაში, ხოლო 1921 წლიდან საქართველოში, არავითარი აუცილებელი მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური პირობები და ფაქტორები არ იყო მომზადებული. სოციალიზმის აშენება შესაძლებელი იყო და არის მხოლოდ კაპიტალისტური ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს დონეზე მყოფ, კულტურულ ქვეყანაში. ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე მის ერთ-ერთ ჩამორჩენილ, 76% წერა-კითხვის უცოდინარ საქართველოში იძულებითი, არასამართლებრივი მეთოდებით ახალი, პროგრესული სოციალისტური წყობილების მშენებლობის დაწყება, მძიმე მრეწველობის შექმნის და გაუნათლებლობის მოსპობის სხვა გარდაქმნების განხორციელება, რომლებსაც ობიექტურად არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ და მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანების მიერ ლიკვიდირებული იქნა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

საბჭოთა კავშირში როგორც, ევრაზიის უკიდურესად ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც მე-20 ს-ს 30-იან წლების დასაწყისში საუკუნე ნახევრით ჩამორჩებოდა ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებს, სოციალისტური წყობილების შექმნისთვის, საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, მისი სლავური ხალხების ფიზიკური განადგურებისგან, სხვების კი მუდმივი მონობისგან, გადარჩენის მიზნით, ბოლშევიკების აზრით, აუცილებელი იყო მუშათა კლასის რკინისებუ-

რი დიქტატურა, მისი დიქტატორული ძლიერი სახელმწიფო, რომლებიც არავითარი კანონებით და სამართლით არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის უკიდურესი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მოსპობა შეუძლებელი იქნებოდა, ისინი საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდნენ მე-20 ს. სამოციან წლებამდე. მუშათა კლასის დიქტატურამ უდიდესი წინააღმდეგობების გადალახვის შედეგად შეასრულა თავისი ისტორიული მისია – განავითარა საბჭოთა კავშირი, მისი შემადგენელი ნაწილები და გადაარჩინა ისინი გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხრივ ფიზიკურ განადგურებასა და ზოგი კი მუდმივი მონობისგან. ამ ბრძოლებში რუსეთის მუშათა კლასი კი ფიზიკურად განადგურდა, რომელსაც თანამედროვე უმადურები მადლიერი სიტყვითაც კი არ იხსენებენ.

საბჭოთა კავშირსა და მის შემადგენელ ნაწილში – საქართველოშიც საუკუნობრივი ჩამორჩენილობის დაძლევისა, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ამოცანამ განაპირობა მუშათა დიქტატურის და მისი პოლიტიკის სამართლებრივი შეუზღუდველობა, მისი პირველადობა და პრიმატი სამართალთან შედარებით, რაც იმ პერიოდში დადებითი და აუცილებელი მოვლენა იყო.

პოლიტიკისა და სამართლის ანალოგიური ურთიერთკავშირი ახასიათებდა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ხელისუფლებასაც მის დიქტატურას მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდშიც. პოლიტიკის პრიმატი სამართალთან შედარებით ყველა სოციალური რევოლუციის საერთო კანონზომიერებაა, ვინაიდან რევოლუციებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ნგრევის, სამოქალაქო ომის, საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენციის და სხვა ანალოგიური მოვლენების არსებო-

ბისას სამართლის ახალი ტიპის შესაქმნელად, და მის საფუძველზე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისათვის, არაერთი რეალური შესაძლებლობა არ არსებობს. პოლიტიკური ხელისუფლება მოქმედებს ხელისუფლების სათავეში, რევოლუციის გამარჯვების შედეგად მოსული ახალი რევოლუციური კლასის პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგიის პრინციპების საფუძველზე, სახელდახელოდ მიღებული ადმინისტრაციული აქტების მიხედვით. ამიტომ ადგილი აქვს თვითნებობის, ადამიანთა ხელშეუხებლობის დარღვევისა და სხვა ფაქტებს.

საქართველოში მე-20 ს. 90-იანი წლებში ნეობურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საზოგადოებრივ ცნობიერებაში აქტურად ინერგებოდა ადრებურჟუაზიული ბუნებითი სამართლის თეორიის დებულება იმის შესახებ, რომ, თითქოს, სამართალი საზოგადოებრივად უფრო მნიშვნელოვანი ფენომენია ვიდრე პოლიტიკა და მაღლა დგას სახელმწიფოსა და მის პოლიტიკაზე.

აღნიშნული ორივე კონცეფცია პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართების შესახებ გარკვეული ხარისხით ურთიერთდაპირისპირებული მოვლენებია. პრაქტიკაში კი პოლიტიკისა და სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთდაპირისპირებას აუცილებლად მივყავართ მათ ურთიერთდასუსტებამდე. სინამდვილეში კი პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთკავშირი უფრო რთულია და მრავალასპექტოვანი. მათი ოპტიმალური ურთიერთგავლენის მიღწევა სოციალურად და პოლიტიკურად აუცილებელია.

საქართველოში პოზიტიური სამართლის პოლიტიკური წანამძღვარია მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტის – სახელმწიფოს და მისი პოლიტიკის არსებობა და ფუნქციონირება. სტრატეგიული პოლიტიკური კურსი, რომელსაც საქართვე-

ლოს მოსახლეობა მხარს დაუჭერს არჩევნების დროს არის საკანონმდებლო მოღვაწეობის კონცეპტუალური საფუძველი. ქართული სახელმწიფო კი იურიდიულად აფორმებს მას, აჰყავს კანონის რანგში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოს როლი სამართლის რეალიზაციის საქმეებში. სამართალს, რომელიც არ მოქმედებს, არავითარი ღირებულება არ აქვს, ის უსიცოცხლოა სახელმწიფო აპარატის გარეშე, რომელსაც შეუძლია აიძულოს ადამიანები დაიცვან სამართლის ნორმები. მაგრამ, ამავე დროს, სამართლებრივი ნორმების მოქმედება არ შეიძლება დაყვანილი იქნას იძულებაზე. ისინი მოქმედებას იწყებენ მაშინ, როცა სამართლის სუბიექტები მოქმედებენ კანონსაწინააღმდეგოდ. სამართლის მოქმედება, მისი ცხოველმყოფელობა მდგომარეობს არა იმდენად იძულებებში, არამედ საზოგადოების, სახელმწიფოსა და ინდივიდების ნებისა და ინტერესების დამთხვევაში, როცა ისინი სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან. ასეთ ფაქტებს ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში თითქმის არ აქვს ადგილი.

როგორც ყველა სამართლის ეროვნულ ტიპს, ქართულ სამართალსაც აქვს თავისი ძირითადი, პოლიტიკური შინაარსი. ამიტომ დებულება კანონი არის პოლიტიკური ზომა, პოლიტიკა პირველ ნაწილში შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ კანონისა და პოლიტიკის გაიგივების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან პოლიტიკა შეიძლება იყოს არასამართლებრივი, ავანტურისტული და სხვა.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებადი სამართლის ტიპის პოლიტიკური შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: **პირველი**. ქართული ნეობურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის პროგრამა არის ძველი, სოციალისტური სამართლის ლიკვიდაციისა და ახალი ტიპის სამართლის

იდეური საფუძველი და წანამძღვარი, ის შეიქმნა ქართული ბურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. **მეორე**. ახალი სამართლის ტიპის იდეურ-პოლიტიკური დანიშნულება არის პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში ამჟამად მყოფი ადამიანთა ჯგუფის ხელისუფლების განმტკიცება. **მესამე**. ახალი კაპიტალისტური ეკონომიკური, სოციალური პოლიტიკური ურთიერთობების ასახვა სამართალში მისი განვითარებისა და განმტკიცების ფუნქცია, ქართული სამართლის პოლიტიკური კვინტესენცია, მისი ძირითადი არსია. მეოთხე, ახალი საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების შინაარსის და განხორციელების სახელმწიფო-პოლიტიკური მეთოდების ასახვა სამართალში და მათი განმტკიცების ფუნქცია და სხვა.

თანამედროვე საქართველოს ახალი ბურჟუაზიული ტიპის სამართლის პოლიტიკური შინაარსი წარმოადგენს ქართული იდეოლოგიის ერთ-ერთ ფორმას, სამართლებრივ იდეოლოგიას, რომელიც წარმოიშვა ამ იდეოლოგიის ფორმირების პროცესში და ვითარდება მასთან ერთად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ნეობურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების დროს სამართლის ახალი, ბურჟუაზიული ტიპის ფორმირების თეორიული პრობლემები მეცნიერულად არ იყო დამუშავებული, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბევრი, ჯერ-კიდევ გადაუწყვეტელი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის იურიდიული პრობლემების წარმოშობა.

ქართული სამართალი სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედებს შემდეგი მიმართულებებით. უპირველეს ყოვლისა, სამართლის მეშვეობით ხდება არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების განმტკიცება. ის განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის

სტრუქტურული ელემენტების სამართლებრივ სტატუსს. სამართლის პოლიტიკაზე ზემოქმედების შედეგად პოლიტიკური საქმიანობის ყველა სახე ხორციელდება როგორც შესაბამისი სუბიექტების უფლებები და მოვალეობები და არა მათი ძალის, ავტორიტეტის ან სხვა თვისების გამოვლენა.

ქართული სამართალი პოლიტხელისუფლებას და მის გადაწყვეტილებებს აძლევს ლეგიტიმურობას, ცდილობს ხელისუფლების ორგანოებისადმი ხალხის მხარდაჭერის მიღწევას, სამწუხაროდ, მაშინაც კი როცა მიღებული გადაწყვეტილებები არაპოპულარული და საზოგადოებისათვის სასარგებლო არ არის.

სამართლებრივ ფორმაში და მის ფარგლებში ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობანი, სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებანი, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობანი.

ქართული სამართალი არეგულირებს აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთკავშირებს.

სამართალი აძლევს პოლიტიკას შედარებით უფრო პუმანურ, ეფექტურ და სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებრივი მოვლენის ხასიათს.

მეცნიერულად დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს აზრი იმის შესახებ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ოდნავ მაინც გადაჭარბებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე სამართლის ზემოქმედების ზომა და ხარისხი.[11]

საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო და მისი სამართლებრივი პოლიტიკა წარმოადგენს სამართლის ერთადერთ **დემიურგს**. სახელმწიფოს პოლიტიკა საშინაო და საგარეო

11 Политология. Издательство Норма. Москва, 2003 стр. 61

ურთიერთობის დარგში, მისი შინაარსი და ხასიათი განსაზღვრავს სამართლის იდეურ-სოციალურ და პოლიტიკურ შინაარსს, რომელიც აკუმულირებულია სამართალში. სახელმწიფო განსაზღვრავს მის დანიშნულებას, ამოცანებს და ფუნქციებს. არ არსებობს სამართლის თეორიისა და პრაქტიკის არც ერთი საკითხი, რომელიც დაკავშირებული არ იყოს სახელმწიფოსთან, გადაწყვეტილი არ იყოს მის მიერ. ამიტომ სახელმწიფოსა და სამართალს შორის ურთიერთობის მთავარი და ძირითადი მხარეა მხოლოდ სახელმწიფო. ამიტომ სრულებითაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს სამართალს ენიჭება პირველობა სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკასთან მიმართებაში.

სახელმწიფოს და სამართლის თანაფარდობისა და ურთიერთობის ისტორია, მათი ადგილისა და ურთიერთანაფარდობის პრაქტიკა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მათ თანაფარდობაში სახელმწიფოს პირველადობა აღიარებული იქნეს.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური მავანი აღშფოთებულია ქართული სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობით. მისი აზრით, კანონიერების უხეში დარღვევებით სახელმწიფოს ორგანოების მხრივ. მავანი ხშირად იყენებს ტერმინებს „პოლიტიკური პატიმარი„ „პოლიტიკური დევნა„ „პოლიტიკურად მოტივირებული პატიმარი„ და სხვა.

აპრიორულად შეიძლება გამოითქვას აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში მომავალში აუცილებლად იარსებებს სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა უკანონო სისხლის სამართლებრივი დევნის, დაპატიმრების ფაქტები, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. მაგრამ, ამავე დროს, ტერმინი „პოლიტიკური პა-

ტიმარი„ გამოყენებული უნდა იქნეს სწორად, სრული შესაბამისობით სამართალთან. კანონის მიხედვით, პოლიტიკური პატიმარია პირი, რომელიც განიცდის სისხლისსამართლებრივ დევნას, მოთავსებულია საპატიმროში არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეებისთვის ისეთი მეთოდებით და საშუალებით, რომლებიც აკრძალულია სახელმწიფოს მიერ. არსებობს აგრეთვე კანონიერი პოლიტიკური ბრძოლა, რაც ნიშნავს კანონით დადგენილი მეთოდებით და საშუალებით მოქმედებას სახელმწიფოს ფორმირებაში, მის მოღვაწეობაში მონაწილეობისათვის. ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულია მავანის მიერ კანონიერად წარმოდგენილი უკანონო ქმედებები – პოლიტიკური ცილისწამებები და ბევრი სხვა ანტისამართლებრივი ქმედებები.

ასეთი ქმედებებისათვის საპატიმროში მოთავსებული სისხლის სამართლის წესით დასასჯელი პირები ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან, სავსებით სამართლიანად დასასჯელები. აქ კანონის დარღვევას ადგილი არ აქვს. პოლიტიკურ ოპონენტს არასწორად აქვს გაგებული „პოლიტიკური პატიმრის„ ცნების შინაარსი. კანონის მიხედვით, იმ პირთა მიმართ, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობდნენ კანონის მიერ დადგენილი წესით და მაინც დასჯილნი იქნენ, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ტერმინი „პოლიტიკური რეპრესირებული„ რომელიც ადეკვატურად ასახავს ამ ცნების ლოგიკურ შინაარსს, პიროვნების დაუსაბუთებელ და კანონსაწინააღმდეგო დევნას სახელმწიფო ორგანოების მხრივ.

მეშვიდე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართების პრობლემები

პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართების პრობლემები, პოლიტიკის მორალური ასპექტები თანამედროვე პირობებში მსოფლიო და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად აქტუალური პრობლემებია, ვინაიდან სოციალური ცხოვრების პროგრესული ორგანიზაცია და განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მოწინავე მორალის პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკისა და მორალის ცნების თანაფარდობის, პოლიტიკის მორალიზაციის მნიშვნელობის, პოლიტიკისა და მორალის პოლიტიკურ რეჟიმთან მიმართების, მათ შორის ოპტიმალური ურთიერთკავშირის პრობლემების მეცნიერულ კვლევას, მისი შედეგების რეალიზაციას.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს სრული კატასტროფა მნიშვნელოვნად განაპირობა ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ნაწილის მოწყვეტამ მოწინავე ზოგადსაკაცობრიო და ქართული ზნეობის პრინციპებისა და ნორმებისგან, პოლიტიკის ნაკლებად მორალურმა ფუნქციონირებამ, რამაც განაპირობა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ნაწილობრივი დისკრედიტაცია, მისი სოციალური ბაზის დასუსტება, სახელმწიფოს ფუნქციების შეუსრულებლობა და სხვა უკიდურესად ნეგატიური მოვლენები.

ამჟამად საქართველოში სოციალური სიტუაცია რთული, წინააღმდეგობრივი და ძნელად პროგნოზირებადია. ასეთ ვითარებაში გართულდა და გამწვავდა წინააღმდეგობა პოლიტიკასა და მორალს შორის, იქმნება შთაბეჭდილება,

თითქოს ისინი ერთმანეთთან შეუთავსებელი და ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. პოლიტიკასა და მორალს შორის ასეთი ურთიერთმიმართება სოციალურად მავნე მოვლენაა, საჭიროა სწრაფად, ეფექტურად მოქმედი ღონისძიებების განხორციელება მათ შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობების დასაძლევად, ჰუმანური და სამართლიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა პოლიტიკის იდეური საფუძველი გახდება მორალის პრინციპები და ნორმები, პოლიტიკის მორალიზაციაზე ზრუნვა, მისი საზოგადოებაში დანერგვა, მოწინავე პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

ასეთი მიდგომა პოლიტიკისა და მორალის თანაფარდობის პრობლემისადმი ჰუმანიზმისა და სამართლის თვალსაზრისით იდეალურია იმ შემთხვევაში, როცა მათ ექნებათ შესაძლებლობა იმოქმედონ, როგორც საერთო-საზოგადოებრივ მოვლენებმა და ერთიანად დააკმაყოფილონ ნება და სურვილი არა მდიდარ მჩაგვრელი ადამიანთა ჯგუფებისა, არამედ მთელი საზოგადოებისა, მისი ყველა წევრისა, რაც ჩვენს საზოგადოებაში სამწუხაროდ არ ხდება.

ჩვენს ქვეყანაში არსებული უკიდურესად მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ ჩვენი გაბატონებული კლასებისთვის და მათი დამცველებისათვის არის უმაღლესი ზნეობა. კერძოდ, არაპროფესიონალი და არაკვალიფიციური ადამიანების მიერ ხელმძღვანელი თანამდებობის მითვისების გზით გამდიდრება, სოციალური ესპლუატაციის ახალი ფორმების დანერგვა, ბიუროკრატიზმი, უსამართლობა, ურცხვი დემაგოგია და სხვა. ამორალური ქმედებები ჩვენი მჩაგვრელები და მათი ჩაგვრის ქვეშ მყოფი საზოგადოების წევრთა ნაწილი ზნეობრივად თელის ისეთ

მდგომარეობას, რომელიც არსებითად განსხვავდება საკაცობრიო პროგრესული მორალისგან.

პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მდგომ ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს თავიანთ ხელში აქვთ საკანონმდებლო ბერკეტები, სამართალშემოქმედებით საქმიანობაში ცდილობენ დანერგონ უპირატესად თავისი წარმოდგენები ზნეობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, რომელზედაც გამოიყენება სხვისი შრომის ექსპლუატაცია შეუნიღბავად, არსებობს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული მორალური სისტემა – მდიდარი მჩაგვრელობისა და ღარიბი ჩაგრულების ზნეობრივი ნორმები. სასწრაფოდ გაქრა ილუზია ერთიანი განუყოფელი მორალის შესახებ. ამჟამად საქართველოში არსებობს მორალი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ხელისუფლების სათავეში მყოფი ჯგუფების, მათი ოპოზიციისა და სხვა ჯგუფების ინტერესებს.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ხელისუფლება კი ცდილობს გაბატონებული მდგომარეობა დააკავებინოს უშრომელად ეკონომიკურად გაბატონებულ ადამიანთა ჯგუფების მორალურ ნორმებს, შესედულებებს, რომლებიც ზოგად საკაცობრიო მორალის თვალსაზრისით ზნეობას მოკლებული არიან.

უზნეობის კლასიკური გამოვლინებებია ანტისოციალისტური რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული ადამიანების მხრივ. საქართველოს მოსახლეობის მიერ ტანჯვა-წამების წლებში დაძაბული შრომით შექმნილი საერთო-სახალხო ქონების კერძო საკუთრება დარიგება, რამაც განაპირობა ახალი მჩაგვრელი კლასის, ადამიანის მიერ

ადამიანის ექსპლუატაციის ახალი მონათმფლობელური ანალოგიური ფორმის წარმოშობა, მოსახლეობის გაღატაკება. ამორალიზმის კლასიკური მაგალითია აგრეთვე საზღვარგარეთული სესხების მითვისება, სახელმწიფო ბიუჯეტის გაძარცვა, კორუფცია და მექრთამეობა და მრავალი სხვა.

დიდად ცდება ჩვენი ზოგიერთი ვაჟბატონი ხელმძღვანელი, თუ ფიქრობს, რომ მჩაგვრელი ადამიანები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ ცხოვრებაში, ვიდრე პატიოსნები. ახლა ასე არ არის, ვინაიდან ხალხის შეგნებულობისა და კულტურის განვითარების დონე შედარებით მაღალია.

საქართველოში პოლიტიკასა და ზნეობას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით მწვავდება საარჩევნო კამპანიების დროს, ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავებისათვის. ბრძოლის პერიოდში, მავანი პოლიტიკოსის აზრით თურმე, თანამდებობის დაკავებისა და მისი მეშვეობით გამდიდრებისათვის ბრძოლა უზნეო მეთოდებითაც დადებითი მოვლენა ყოფილა.

თანამედროვე, ისტორიულად წარმავალი გავრცელებული მორალის გარდა ჩვენს საზოგადოებაში არსებობს წარუვალი ზოგადსაკაცობრიო მორალის ნორმებიც – „არ მოკლა„ „არ მოიპარო„ „არ მოატყუილო„ „პატივი ეცი ახლობელს როგორც თავისთავს„ „შეასრულე უფროსების რჩევა„ „უსურვე ბედნიერება სხვებს, როგორც თავისთავს„ და სხვ.

ზოგადსაკაცობრიო მორალის აღნიშნული პრინციპები და ნორმები ფორმალურად განსახიერებულია ქართულ ეროვნულ სამართალში, მაგრამ მათ ჩვენ არ ვასრულებთ.

საზოგადოებაში საჭიროა განხორციელდეს რადიკალური ზომები პოლიტიკისა და სამართლის მორალიზაცი-

ის, სამართლის ზნეობის ნორმებზე დაფუძნების, ადამიანების მორალური აღზრდის მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქართული საზოგადოების დაშლა, რაც საესებით მოსალოდნელია. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ ჩვენში საზოგადოებაში რიგი აზრი მორალს უფრო მნიშვნელოვან და ეფექტურ მოელენად თვლის ვიდრე სამართალს და პოლიტიკას. ამიტომ მიღწეული უნდა იქნეს მისი ფაქტობრივი სოციალური პირველობა. შეიქმნას მორალის პრობლემების კვლევის სამეცნიერო დაწესებულება.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ღონისძიებების განხორციელება იმ მიზნით, რომ დაძლეული იქნეს ანტაგონისტური წინააღმდეგობა პოლიტიკასა და ზნეობას შორის, მათი მაქსიმალური დაახლოების მიზნით. ეს რთული პრობლემა გადაწყდება იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფლება მთლიანად და სრულიად გახდება ზნეობრივი, შეწყვეტს მხოლოდ თავის თავზე ზრუნვას, იმოქმედებს საზოგადოების მორალიზაციის, ადამიანის ზნეობრივი აღზრდის მიზნით. მხოლოდ ზნეობრივი ხელისუფლების ასეთ ღონისძიებებს დაუჭერს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს. თავის მხრივ, მორალიც მხარს დაუჭერს ხელისუფლებას თავისი პოლიტიკის განხორციელებაში, მისი სოციალური ბაზის განმტკიცებაში. ამაში გამოელინდება საერთო და სპეციფიკური ურთიერთობაში, საქართველოს განვითარებისთვის მოღვაწეობაში.

მაგრამ ასეთ მდგომარეობას სრულებითაც არ აქვს ადგილი ჩვენს საზოგადოებაში. თანამედროვე ქართული სახელისუფლების პოლიტიკა, რომელიც უპირველესად გამოხატავს მდიდრების ნებასა და ინტერესებს ნაკლებად შეეს-

აბამება იმ წარმოდგენებს სიკეთესა და სამართლიანობაზე, რომლებიც გააჩნია ექსპლუატირებულ მასებს.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ზნეობის ძირითადი ელემენტი უნდა გახდეს ექსპლუატირებულთა ქრისტიანული მორალის პრინციპები. კერძოდ, საზოგადოებაში საერთო-საზოგადოებრივი ქონების დაბრუნება მისი შემქმნელებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობა; შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის აღდგენა. ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია და სხვა ქრისტიანული მორალის პრინციპები.

ქართველმა ხალხმა და მისმა კეთილისმყოფელებმა უნდა უზრუნველყონ ქართულ ეროვნულ მორალში დაპირისპირებული პრინციპებს ბრძოლაში. პროგრესული მორალის გამარჯვება: ამ მიზნის მიღწევა საქმის რაციონალური ორგანიზაციის პირობებში სრულებითაც არ არის უტოპიური ფანტაზიორობა, ქვეყნისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეა.

მერვე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკა და მეცნიერება, მათი თანაფარდობის პრობლემები

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის მეცნიერების ყოველმხრივი განვითარება და მისი მიღწევების დანერგვა საქართველოს განვითარებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ქართულმა სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ორგანიზაციას, რომელიც გამიზნული იქნება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ ახალი ცოდნის ფორმირებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. კერძოდ, მეცნიერთა მომზადება, მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მეცნიერული შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის განხორციელება, სამეცნიერო დაწესებულებების, საექსპერიმენტო და ლაბორატორიული მოწყობილობის შექმნა. სამეცნიერო ინფორმაციის სისტემის შექმნა, საზოგადოებრივი წარმოების წამყვან ძალად მეცნიერების გადაქცევა და სხვა. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, როცა მეცნიერებაში მოღვაწეობენ გამოჩენილი მეცნიერები, რაც გამორიცხავს თანამედროვე საზოგადოებრივი პროგრესის ძირითად სფეროში არა-პროფესიონალების საქმიანობას ლიტერატურულ და ჟურნალისტიკურ დონეზე. ქართულმა სახელმწიფომ მეცნიერებს უნდა მისცეს შესაძლებლობა მათი ინტელექტის, ზემოქმედებითი უნარისა და აზროვნების მაქსიმალურ განვითარებისთვის.

საჭიროა სასწრაფო ზომების განხორციელება მეცნიერთა მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ჩვენდა სამარცხვინოდ, საქართველოში ეროვნული ქონების მტაცებლები და მიმთვისებლები, ე.წ. „ბიზნესმენები„

ჭუჭუნებაში ცხოვრობენ. საქართველოს განვითარებული პატრიოტი მეცნიერები კი სიღატაკეში ბევრი მათგანი კი ასეთ პირობებში დაიღუპა. თურმე ეს ყოფილა „დემოკრატიული ცხოვრების„ წესი...

ქართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების მიღწევების დანერგვა მატერიალური წარმოების სფეროში, პოლიტიკურ ურთიერთობებში, მართვის სფეროში, განათლების სისტემაში. საჭიროა სასწრაფოდ განხორციელდეს ღონისძიებანი მეცნიერების უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებისათვის, ვიდრე ცნობიერების სხვა დარგისა, რაც საქართველოს კატასტროფიდან გამოყვანისა და მისი პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

საჭიროა ჩვენმა სახელმწიფომ მთელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას თავი მოუყაროს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, სადაც მათ დიდი საქმეები გააკეთეს, ჩამორჩენილი საქართველოსთვის მოკლე დროში განავითარების მეცნიერული საფუძვლები შექმნეს.

მეცნიერებათა აკადემიის მნიშვნელობის უარყოფა არის დადებითი მოვლენა საქართველოსთვის. ის მეცნიერების ძირითადი შემქმნელია.

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა გადააქციოს მისი პოლიტიკა ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზად, მიაღწიოს პოლიტიკაში მეცნიერების და ხელოვნების ერთიანობას, არ დაუშვას პოლიტიკის ამ ორი მხარის დაპირისპირება. პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთება შეიცავს თავის თავში ხელოვნების მომენტს, ოსტატობას, სინამდვილის მრავალფეროვანი ფაქტების და მოვლენების თეორიული ანალიზის მოქნილობას და მრავალმხრივობას. მეცნიერულად დასაბუთებულად გამომუშავებული გენერალური ხაზის საბოლოო ბედი დამოკიდებულია მის

ცხოვრებაში გატარების ხარისხზე, რაც პოლიტიკური მართვის ხელოვნებას წარმოადგენს, ამავე დროს, ვერავითარი „ხელოვნება“, ვერავითარი ეშმაკობა და ხრიკი ვერ გადაარჩენს გარდაუვალი დამარცხებისგან ისეთ პოლიტიკას, რომელიც მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას, არ ითვალისწინებს საზოგადოების განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებსა და ხალხის ინტერესებს. ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი პოლიტიკისაგან დიდად როდი განსხვავდება ჩვენი თანამედროვე ქართული პოლიტიკა.

ქართულმა სახელმწიფომ უპირატესად უნდა განავითაროს მეცნიერების ის დარგები, რომლებიც იკვლევენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებს, რომელთა მიღწევები გამოყენებული იქნება მატერიალური დოვლათის წარმოების გადიდებისთვის, მისი ქართველი ხალხის სასარგებლოდ და სასიკეთოდ გამოყენებისათვის. ქართულმა მეცნიერებამ ქართველ ხალხს უნდა ემსახუროს, დაეხმაროს მას მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში. ეს არის მისი დანიშნულება.

ქართველი მეცნიერები და ფილოსოფოსები ვალდებულნი იყვნენ გაეგრძელებინათ წარსულის ფილოსოფიური, პოლიტეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიური ისტორიული და სხვა მოძღვრებების მეცნიერული კვლევა, ეჩვენებინათ მათი აუცილებლობა და პროგრესული ხასიათი, კატეგორიულად მოეთხოვათ ჩვენი ზოგადად და პოლიტიკურად ნაკლებად განათლებული პოლიტიკოსებისათვის შეეწყვიტათ ცილისმწამებელი მსჯელობები მათ შესახებ, ეხელმძღვანელათ წარსულის მეცნიერული და ფილოსოფიური აზრის მიღწევით. დიდად სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერები და ფილოსოფოსები ასე არ მოიქცნენ: საჭიროა ასეთი პოზიციის მიზეზების დადგენა. ალბათ, ეს გამოწვეულია ახალი სახელმწიფო მმართველობის შიშით შესაძლებელი შეცდომებით.

ქართველი მეცნიერები და ფილოსოფოსები ვალდებული იყვნენ გაენათლებინათ ქართველი პოლიტიკოსები, საჯაროდ განემარტად მათთვის, რომ მარქსიზმის შემქმნელები ემყარებოდნენ საკაცობრიო კულტურის ფართო პლასტს, რომ მათ მოახდინეს ადრინდელი კაპიტალური გამოკვლევების კრიტიკული გადამუშავება. სინთეზირება და გაღრმავება, შეაერთეს ჰეგელის დიალექტიკური ფილოსოფია, ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია (სმიტი, რიკარდო), ფრანგული სოციალიზმი (სენ-სიმონი, ფურიე, პრუდონი, ბლანკი, ბლანი) და იმდროინდელი გამოჩენილი ისტორიკოსების (ტიერი, გიზო) შრომები. მარქსიზმის ფუძემდებლების მოძღვრების მიზანი იყო მოეცათ სინამდვილისა და სოციალური ისტორიის მეცნიერული ახსნა, აესახათ მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური პრაქტიკა. მარქსიზმის ძირითადი პრობლემა გახდა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის გამოკვლევა, ექსპლუატაციისაგან მისი განთავისუფლების ძალდატანებით მეთოდების აღიარება, რომლებსაც იყენებდა ბურჟუაზიაც თავის რევოლუციურ ბრძოლაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი ბურჟუა-პოლიტიკოსებისთვის ამის ცოდნა რომ მოეთხოვათ ისინი მუშათაკლასისა და მის მიერ შექმნილი, სოციალიზმის მიმართ შავი უმადურობით არ გამოიჩენდნენ თავს, წინაპრებს მადლობას ეტყოდნენ, რომლებმაც ცხოვრების საშინელი პირობებიდან გამოიყვანეს, მათ განათლებას და გაკულტურებას შეეცადნენ.

ჩვენი პატივცემული ლექტორები უმაღლეს სასწავლებლებში პროტექციითა და დანაშაულებრივი გზით მოწყობილ ბევრ სტუდენტს ცოდნას-ყოფიერების, მატერიის, დიალექტიკის, ბუნების, ადამიანის, პრაქტიკის, ცნობიერების, შემეცნების, მეცნიერების, საზოგადოების, პროგრესის, კულტურის,

პიროვნების, კაცობრიობის მომავლისა და სხვ. შესახებ. უფასოდ ცდილობდნენ მიეცათ ისინი კი დასცინოდნენ ცნობილ მეცნიერებს, მათი განათლებისათვის მზრუნველ დიდებული იდეების მიმწოდებლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. შემდეგ კი ამ ვაუბატონებმა ეროვნული რევოლუციისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მონდომება, რაზედაც წარმოდგენაც კი არ ქონდათ.

მეცნიერებს რომ მომავალი პოლიტიკოსისათვის მოეთხოვათ ადრინდელი ქრისტიანობის სოციალური-პოლიტიკური იდეების შესწავლა, შესაძლოა მათ ყურად ელოთ ეს შეგონება, გაეგოთ, რომ მარქსიზმის მათებური „კრიტიკით„ ისინი სინამდვილეში ადრინდელ, ნამდვილ ქრისტიანობას აკრიტიკებენ, რომლის მიმდევრებად თავს თვლიან. ეს იდეური კურიოზის კლასიკური მაგალითია.

ქართველ მეცნიერებს უნდა განემარტათ ჩვენი დემაგოგი და კარიერისტი პოლიტიკოსებისთვის,რომ სოციალური წყობილებისა და პოლიტიკური ხელისუფლების რესტავრაციები ყველა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციას ახასიათებს, მაგრამ საბოლოოდ მოწინავე სოციალური სისტემის გამარჯვება გარდაუვალია. ამ მხრივ საქართველო არ იქნება გამონაკლისი.

თანამედროვე ქართული ხელისუფლების პოლიტიკის ტრაგიკული შედეგების ძირითადი მიზეზია ჩვენს საზოგადოებაში ობიექტურისა და სუბიექტურის ადგილის, როლის და ურთიერთკავშირის ფილოსოფიური კონცეფციის გაუთვალისწინებლობა. მეცნიერებას და ფილოსოფიას უნდა განეხორციელებინა ობიექტური, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი, გაგვეთვალისწინებინა სოციალური განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნები, პოლიტიკური ძალების რეალური თანაფარდობა, განეხორ-

ციელებია საქართველოს შესაძლებლობების მეცნიერული ანალიზი. ეს ცოდნა უნდა გათვალისწინებულიყო ქართული პოლიტიკის სუბიექტების სტრატეგიისა და ტაქტიკის. შემუშავების პროცესში პოლიტიკას, როგორც ხელოვნებას კავშირი აქვს სოციალური პროცესების სუბიექტურ მხარესთან. ამ მხრივ, აღსანიშნავია მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე, ხელმძღვანელობის უნარი დაეუფლონ პოლიტიკური მართვის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს, გაითვალისწინოს არსებული სოციალური წინააღმდეგობები, გამოიმუშაოს პოლიტიკური ძალების ურთიერთობაში ცვლილებებზე რეაგირების უნარი და სხვ.

აქ მთლიანად მისაღებია სოციალურ განვითარებაში ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის ზოგადი დიალექტიკა. ობიექტური ფაქტორები განმსაზღვრელი გადამწყვეტია, მაგრამ სუბიექტური ფაქტორებიც მოქმედებენ პოლიტიკაზე და ობიექტური პირობების არსებობისას შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ. პოლიტიკურ პროცესებზე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკური ლიდერის ხასიათის თვისებამაც, მაგალითად, შევარდნაძის გამსახურდიას და სხვ.

ქართული პოლიტიკის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მომზადებისთვის საჭირო იყო ძირითადი სუბიექტური ფაქტორის ინტენსიური მოღვაწეობა მისი ამოცანებისა და ფუნქციების წარმატებით შესრულების მიზნით სტიქიურობა დაუშვებელი იყო და არის.

პოლიტიკაში ობიექტურისა და სუბიექტურის რთული შერწყმა, რომელშიც ჩაბმულია ადამიანთა დიდი ჯგუფები თავიანთი ინტერესებით, ვნებებით, ცრურწმენებით და სხვა მათი ჭეშმარიტი მიზნებისა და მისწრაფებების ანალიზის აუცილებლობა განაპირობებს საქართველოში ისეთი პოლი-

ტიკური ლიდერების აუცილებლობას, რომლებსაც აქვთ უნარი სხვებზე უკეთ გაერკვნენ ამ ურთიერთობათა ლაბირინთში, მოძებნონ ოპტიმალური პოლიტიკური გადაწყვეტილებანი.

პოლიტიკა რთული, დინამიური მოვლენაა. ის, რაც გუშინ იყო სწორი და უდაო დღეს, შეცვლილ პირობებში, უკვე აღარ არის სწორი და სასარგებლო სახოგადოებისთვის. ამიტომ სწორი მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავება რთული პრობლემაა.

საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა ქართველი მეცნიერებისა და ფილოსოფოსების ქვეყნის სოციალურ განვითარებაში ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის პრობლემით დაუინტერესებლობამ, მათი თანაფარდობის კვლევისგან თავის არიდებამ.

ქართული მეცნიერები და ფილოსოფოსები ვალდებულები იყვნენ საქართველოს არაკვალიფიციური ხელმძღვანელებისთვის განემარტათ რომ მათ საქმიანობას აუცილებლად მოყვება მძიმე, კატასტროფული შედეგები ქვეყნის საერთო-ეროვნული კატასტროფა იმის გამო, რომ არ არის მომზადებული რევოლუციური გარდაქმნებისთვის აუცილებელი მრავალფეროვანი ობიექტური ხასიათის პირობები და საფუძვლები, რომელთა არსებობაზე არის დამოკიდებული სუბიექტური ფაქტორების მდგომარეობა, მათი შეზღუდული შესაძლებლობანი, არასწორი პოლიტიკური ქმედებები. საზოგადოებაში მომზადებული ობიექტური პირობებისა და საყუძვლების არსებობა გახდებოდა პოლიტიკური მართვის სუბიექტის მხრივ რაციონალური და ეფექტური მართვის წინაპირობა. დიდად სამწუხაროდ, ჩვენში ასე არ მოხდა.

ქართველ მეცნიერებს და ფილოსოფოსებს უნდა მოეთხოვა პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის თავიანთ საქმი-

ანობაში გაეთვალისწინებინათ ისეთი ობიექტური პირობები, როგორიც არის საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული სიმცირე, სიპატარავე, მისი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური ჩამორჩენილობა, ქვეყანაში საერთო ეროვნული რევოლიციური კრიზისის არ არსებობა, ქართველთა რიცხობრივი სიმცირე და სხვა ობიექტური პირობები და გარემოებები. ამ ობიექტური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს დამარცხება აგრესორების წინააღმდეგ წარმოებულ სამართლიან ომებში, მიზნის მიუღწეველად ქართველთა დიდი რაოდენობით დაღუპვა, მისი დაშლა-დაქუცმაცება, ქართველთა დიდი ემიგრაცია და სხვა ბევრი უბედურება.

საქართველოს მეცნიერების და ფილოსოფოსების მოვალეობა იყო განეხორციელებინათ ქვეყანაში შექმნილი ობიექტური სიტუაციის მეცნიერული კვლევა-ძიება, რომელიც რეალურად გარკვეულწილად კარნახობდა ამა თუ იმ სუბიექტურ ქმედებას, გარკვეულ შეზღუდვებს საჭიროების შემთხვევაში, სოციალური საქმიანობის ვარიანტულ შესაძლებლობებს. ისინი მოწოდებულნი იყვნენ გამოენახათ ობიექტური მიზეზების გამო შექმნილი კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსვლის სწორი გზა, რაც სამწუხაროდ ვერ შეძლეს ან არ მოისურვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტური ფაქტორების არსებობა სოციალური პანაცეა სრულებითაც არ არის, მათი აბსოლუტიზაცია ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. მეცნიერებაში და ფილოსოფიაში დადგენილია სოციალურ განვითარებაში ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის ზოგადი დიალექტიკა. როცა ობიექტური ფაქტორები მომწიფებული არიან სუბიექტური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე. გარკვეუ-

ლი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, პოლიტიკური ლიდერის თვისებებსაც, რომელსაც გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ ქართველი პოლიტიკოსები.

ფილოსოფიის და მეცნიერების ეს აქსიომები ქართველმა ზოგიერთმა არაკვალიფიციურმა და დემაგოგმა პოლიტიკოსმა არ იცოდა, მათი შესწავლის სურვილიც კი არ გამოუჩენიათ.

ქართველი ფილოსოფოსი და მეცნიერი რენეგატები მშვიდად უცქერდნენ დრამატიზმით სავსე მოვლენებს მაშინ, როცა ვალდებულნი იყვნენ ელემენტალური განათლება მაინც მოეთხოვებათ თავიანთი გუშინდელი სტუდენტებისთვის, რომლებიც მათ განვითარებულ ქვეყანას და თავისთავსაც ღუპავდნენ პირწმინდად.

ქართველი მეცნიერებისა და ფილოსოფოსების უმრავლესობის რენეგატორობისა და პასიურობის გამო ქართულ სახელმწიფო ხელისუფლებას არ მიეცა ინტელექტუალურ-ინფორმაციული ხასიათი, იმ ობიექტებზე და გარემოზე სრული და უტყუარი ცნობები რომლებშიც, იმყოფებოდა და იმყოფება ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება. მეცნიერება და ფილოსოფია ვალდებული იყო გაეანალიზებინათ ქვეყანაში და საზღვარგარეთ შექმნილი მდგომარეობა, დაემუშავებინათ ქართული საზოგადოების მართვის მეცნიერული პრინციპები და კატეგორიულად მოეთხოვა პოლიტიკანებისთვის მათ შესაბამისად ემართათ ქვეყანა.

ქართველი ფილოსოფოსები ვალდებული იყვნენ ჩვენი მომავალი პოლიტიკანებისთვის მოეთხოვათ კლასიკური ფილოსოფიის შესწავლა. ეს მათ მისცემდა კაცობრიობის მიერ დაგროვილი სიბრძნის ცოდნას, რაც დიდად დაეხმარებოდა რაციონალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც ძალზე ცოტაა მათ პოლიტიკურ საქმიანობაში.

საქართველოს ფილოსოფოსებს მარქსისტული დიალექტიკის ზოგადი თეორიული წყაროს ცოდნა რომ მოეთხოვათ პოლიტიკოსებისთვის, მათ დეტერმინიზმის პრინციპის მოთხოვნებიც ეცოდინებოდათ. რეალური ბუნებრივი, საზოგადოებრივი და ფსიქიკური მოვლენები დეტერმინირებულია, წარმოიშვებიან, ვითარებიდან და წყვეტენ არსებობას კანონზომიერად, კონკრეტული მიზეზების მოქმედების შედეგად, ამიტომ აუცილებელია მიზეზობრივი საფუძვლის ყველა ელემენტის მომზადება და მომწიფება, რომლის გარეშე სასურველი სოციალური და პოლიტიკური მოვლენა არ წარმოიშობა და არ განვითარდება. მიზანი მიუღებელი დარჩება დიდი ადამიანური მსხვერპლით, როგორც საქართველოში.

ჩვენი ფილოსოფოსების და მეცნიერების წაყრუებით, ჩვენმა პოლიტიკოსებმა ქართველი ხალხი კაპიტალისტური სოციალური წყობილების დასამყარებლად, ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად. სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციისთვის და სხვა აბრძოლეს ისეთ პირობებში, როცა მათი მიღწევისათვის არცერთი პირობა და მიზეზი არ იყო მომზადებული, მომწიფებული. ამიტომ სამარცხვინოდ დავმარცხდით. ბევრი ქართველი უშედეგოდ დაიღუპა, რასაც არავითარი გამართლება არ აქვს. პოლიტიკური ავანტურისტები უნდა დასჯილიყვნენ.

ქართველი მეცნიერები და ფილოსოფოსები ვალდებულნი იყვნენ ღრმა ზოგადთეორიული ანალიზი გაეკეთებინათ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მოღვაწეობის პირობებისათვის ესწავლებინათ ჩვენი პოლიტიკოსებისათვის, რომ შედეგიანი მოღვაწეობისათვის საჭირო არის ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ხალხისა და მისი პოლიტიკური მოღვაწეების პოლიტიკური კულტურისა და განათლების მაღალი დონე და პოლიტიკური გამოცდილება, დემოკრატი-

ული ტრადიციების არსებობა, პოლიტიკური ინსტიტუტების სრულყოფილება, მიდრეკილება პოლიტიკური პროტესტის სანქციონირებული ფორმირებისადმი, საარჩევნო სამართლის ნორმების დაცვა და სხვა მოვლენები. ისინი მოწოდებული იყვნენ დაედგინათ ამ მოვლენების არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნისათვის აუცილებელი გზები, მეთოდები და საშუალებანი. კატეგორიულად მოეთხოვათ პოლიტიკანებისთვის ეხელმძღვანელათ ფილოსოფიური და პოლიტიკური სიბრძნით. ქართულ პოლიტიკურ სფეროში კი დაპარპაშობდნენ ჩვენი ლიტერატორები და ჟურნალისტები.

საქართველოს სრული და შესაძლებელია საბოლოო კატასტროფაში დიდი ნეგატიური როლი ითამაშა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების პასიურობამ. ისინი ვალდებულნი იყვნენ გაეგრძელებინათ ეკონომიკური მეცნიერების პრობლემების კვლევა.

მათ ჩვენი პოლიტიკოსებისათვის უნდა გაეგებინებინათ, რომ მარქსიზმის ეკონომიკური თეორია არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ეკონომიკური ცოდნის ახალ პირობებში განვითარება და გაგრძელება, რომ გენიალური ინგლისელი ეკონომისტების ა. სმიტის დ რიკარდოს და სხვათა მიერ შექმნილი შრომითი ღირებულებების თეორია არის მარქსისტული ეკონომიკური თეორიის ძირითად ნაწილის, ზედმეტი ღირებულების თეორიის იდეურ-თეორიული წყარო, მისი განვითარება ახალ პირობებში.

ჩვენს მეცნიერ ეკონომისტებს უნდა დაერწმუნებინათ პოლიტიკოსები, რომ მარქსისტული ეკონომიკური თეორიის კრიტიკა და ლიტერატურის დონეზე მისი უარყოფა არის მისი თეორიულ წყაროს კრიტიკა და უარყოფა. მან კლასიკური კაპიტალიზმის მეცნიერული ანალიზი განახორციელა და ამიტომ მისი ცოდნა აუცილებლად სჭირდებოდათ ქა-

რთული კაპიტალიზმის აპოლომეტ ვაჟბატონებს, ისინი კი მითებს თხზავდნენ საქართველოში კაპიტალიზმის დამყარების პროცესში მარქსისტულ ეკონომიკურ თეორიაზე.

ქართველი მეცნიერი-ეკონომისტები ვალდებული იყვნენ განემარტათ ჩვენი ვაიპოლიტიკოსებისათვის, რომ გენიალურ ეკონომისტს კ. მარქსს ინგლისის დედაქალაქ ლონდონში ძეგლი და რამდენიმე თვის წინ სხვაგანაც, იმიტომ დაუდგეს, რომ მან ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა კაპიტალიზმს. საქართველოში კი სადაც მარქსისტული ეკონომიკური თეორია დიდად სჭირდებოდათ კაპიტალიზმზე ზედაპირული წარმოდგენების მქონე პოლიტიკანებს, ის ასწავლიდა მათ, რა, როდის და როგორ უნდა გაეკეთებინათ.

ქართველი მეცნიერი ეკონომისტები ვალდებულნი იყვნენ განემარტათ პოლიტიკანებისთვის, რომ მათ მიერ დაპირებული და განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნებისათვის აუცილებელი მრავალრიცხოვანი წანამძღვრებისა და ფაქტორების არარსებობის გამო ხალხსა და სახელმწიფოს მავნე შედეგები მოყვება. მათ მიერ საზღვარგარეთელი ანტისოციალისტების, არტისტებისა და სანტექნიკების რეკომენდაციებით განხორციელებული ე.წ. „ეკონომიკური გარდაქმნები„„ ქართველი ხალხისათვის დამღუპველია საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის დაცემა, სახალხო ქონების დარიგება საქართველოში მათი მხარდამჭერებისთვის, ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობების გაუარესება. ეს მოვლენები მომავალში სასტიკი რევოლუციების ფაქტორები გახდება, ასე ხდებოდა და მომავალშიც მოხდება მსოფლიო ისტორიაში.

პოლიტოლოგები ვალდებულნი იყვნენ გაეგრძელებინათ სოციალიზმის თეორიისა და მისი თეორიული წყ-

არის – ფრანგული უტოპიური სოციალიზმის პრობლემების კვლევა.

ჩვენი წვრილი ბურჟუა, ჟურნალისტიკის დონის პოლიტიკოსებისთვის, უნდა გაეგებინებინათ რომ სოციალისტური თეორია არის მთელი კაცობრიობის თეორიული აზროვნების მნიშვნელოვანი მიღწევა, რომ მას რამდენიმე ათასწლეული ისტორია აქვს. კაცობრიობა ასეული საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა კომუნისტური იდეების გავლენის ქვეშ, და მათ საფუძველზე შექმნილ წყობილებაში ბევრი იდეა და დებულება ადრინდელი ქრისტიანობის მიერ არის შექმნილი, ეს ჩვენი მეცნიერების მოვალეობა იყო.

სოციალიზმი თანამედროვეობის დიდი და პოპულარული მოძღვრებაა, მას შვიდი მიმართულება გააჩნია. რიგ ცივილიზებულ ქვეყნებში გაბატონებული კონცეფცია და იქ ფუნქციონირებადი პოლიტიკური ხელისუფლების იდეოლოგიური საფუძველია. კაპიტალიზმი სრულიადაც არ არის მუდმივი, მარადიული წყობილება, ის ისევე წარმომავალი სოციალური სისტემაა, როგორც სხვა სოციალური სისტემები. განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაზე ის ამოწურავს თავის თავს და შეიცვლება სოციალიზმით. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს შეესაბამება მითვისების არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი ფორმა.

ქართველი მეცნიერი-პოლიტოლოგები მოწოდებულნი იყვნენ განემარტათ პოლიტიკოსებისთვის, რომ ადრინდელი ქრისტიანობის იდეები ძირითადად არის სოციალისტური იდეები. ასეთებია კერძო საკუთრების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობის და ბევრი უკვე აღნიშნული იდეა.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკურმა მეცნიერებამ ვერ განსაზღვრა საქართ-

ველოს პოლიტიკური განვითარების გენერალური ხაზი და მიმართულება, მისი რეალიზაციის სტრატეგია და ტაქტიკა.

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები სამი ათწლეულია საქართველოს ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების სისტემაში ჩართვას მოითხოვენ მაშინ, როცა ამისთვის მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრებიდან და ფაქტორებიდან მომზადებული არცერთი არ არის.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებადი სოციალური წყობილება წარმოიშვა და ფუნქციონირებს ქართულ ეროვნულ ნიადაგზე და ძირითადად თვითმყოფადი სოციალური ფენომენია და თავისი ხასიათით ისეთია, როგორიც ობიექტურად უნდა იყოს კაპიტალისტურად ძალზე მძიმედ განვითარებად თანამედროვე საქართველოში.

ქართველი პოლიტოლოგები ვალდებულნი იყვნენ განემარტათ ვაი-პოლიტიკოსებისთვის, რომ თანამედროვე ევროპის კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში სულ სხვა, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებია, ვიდრე საქართველოში. ასეთი პირობები შეიქმნა საუკუნეობრივი ევოლუციური და რევოლუციური განვითარების შედეგად, რომლებმაც განაპირობა არსებული ტიპის საზოგადოებრივი წყობილების ფორმირება. ასეთი სოციალური გარემო და პირობები ამჟამად საქართველოში არ არის და მათ შექმნას ევოლუციური განვითარების საუკუნეები სჭირდება. იმ ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი და სტრუქტურები, რომელიც მისი სოციალური და პოლიტიკური განვითარების დაბალი დონის გამო თანამედროვე განვითარებული ევროპის სოციალურ ურთიერთობებს ვერ შეეგუება, მის სტრუქტურებს და ცხოვრების წესს არ მიიღებს,

ევროპაში უცხო სხეული იქნება. ჩვენ, ქართველები, მსოფლიო სოციალისტური, სისტემის ნაწილი უკვე ვიყავით, ახლაც საკმაოდ ბევრნი ვართ ევროპაში, მაგრამ აუტორიტეტი არ დაგვიმსახურებია, საქართველოს დისკრიმინაციას კი დიდად შევუწყვეთ ხელი. ისეთი პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს ობიექტურად აუცილებელი, გასაველელი ფაზების და ეტაპების გამოტოვებას, მათზე გადახტომას უფრო მაღალი ურთიერთობებისა დანერგვის მიზნით არის „შემარცხვენეობის საყმაწვილო სენი„ ქართულ პოლიტიკაში. მას მავნე შედეგები მოყვა საქართველოსთვის. ცნობილია, რომ ასეთი იდეებისა და პოლიტიკური ქმედებებისთვის აკრიტიკებდნენ გამოჩენილი მოაზროვნეები დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს, მათ შორის პეტრე პირველის – ჟ. ჟ. რუსო – სხვები კი – ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს და სხვა.

ქართველ პოლიტოლოგებს ჩვენს პოლიტიკოსებისათვის უნდა განემარტათ, რომ ევროპულმა და ამერიკულმა პოლიტიკურმა და სამხედრო სტრუქტურებმა, რომლებიც ისტორიულად თავიანთი აგრესიული პოლიტიკას წარმართავდნენ პატარა და სუსტი ხალხების – ლათინური ამერიკის ხალხების ინდიელების და სხვათა წინააღმდეგ საყოველთაო ზიზღი დაიმსახურეს და აუცილებლად პასუხს აგებინებდნენ ჩადენილი დანაშაულისათვის. ხალხების განადგურება აუცილებლად ისჯება.

ამჟამად ქართული პოლიტიკური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა უნდა გახდეს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პრობლემა. არსებული თვალსაზრისის მიხედვით ნატოში ინტეგრაცია საქართველოსთვის არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის აგრესიული სამხედრო პოლიტიკური ბლოკია. ნატოს სამხედრო აქციები, როგორი ჰუმანიტარულ-პოლიტიკური მოსაზრებებით არ უნდა შეეცადონ მათ

გამართლებას იურიდიულად იყო და არის აგრესიული აქტები, გაეროს წესდებისა და ჰელსინკის 1975 წ. აქტის დარღვევა, რამაც მილიონების სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოს მთავრობამ ნატოს ომებში მონაწილეობით ქართველებს ბევრი საშიში მტერი გაუჩინა მუსულმანი და სხვა ხალხების სახით, ბევრი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. აგრესორის პარტნიორის სამარცხვინო სახელი დაიმკვიდრა, რისთვისაც მომავალში სამაგიეროს აუცილებლად გადაგვიხდიან. ნატოში კი საქართველოს არ მიიღებენ იმის გამო რომ რუსეთის უძლიერეს სახელმწიფოსთან ურთიერთობას არ დაძაბავენ. რუსეთის მთავრობა კი მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებისთვის სასტიკად დაგვსჯის, როგორც 1921 წ. თებერვალში.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა იმის მეცნიერული დასაბუთება, რომ საქართველოს პროგრესი უნდა განხორციელდეს საკუთარ, ეროვნულ საფუძველზე, მისი ბუნებრივი და სოციალური შესაძლებლობების გამოყენებით. საზღვარგარეთული იდეები საქართველოს სოციალურ სინამდვილეში უნდა დაინერგოს იმდენად, რამდენადაც ისინი განვითარების ამ ეტაპზე სასარგებლოა საქართველოსთვის მისაღებია ქართული ეროვნული სულისათვის. ქართველი პოლიტოლოგები ვალდებულნი იყვნენ დაესაბუთებინათ ეს დებულება და დაერწმუნებიათ პოლიტიკანები ვაჟბატონები, იმაში რომ ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს არა უცხო ქვეყნების სტრუქტურებში შერწყმა, არამედ საქართველოს განვითარება, თვითმყოფადობა, ქართველი ხალხის ბედნიერება.

ქართველი ხალხისთვის, უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული გარდაქმნებიდან ბევრ მათგანს დადებითი შედეგები არ მოყოლია, მათ გამოიწვიეს საქართველოს სრუ-

ლი და შესაძლოა საბოლოო კატასტროფა. თანამედროვე ქართული პოლიტიკა მსოფლიოს და ქართული ეროვნული პოლიტიკის ისტორიაში ჩვენდა საუბედუროდ შევიდა, როგორც გონიერებას მოკლებული და აგანტურისტული პოლიტიკა, როგორც საკუთარი ხალხის ტრაგედიის მიზეზი.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ქართული საზოგადოების მართვის მეცნიერების თეორიული პრობლემის კვლევა, რაც სამწუხაროდ არ განხორციელდა. საჭირო კი იყო ასეთი ხასიათის კვლევა შედეგების ქართველი პოლიტიკოსებისთვის გაცნობა და კატეგორიული მოთხოვნა გამოეყენებინათ ისინი თავიანთ პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

თანამედროვე საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მისი ბევრი პოლიტიკური ხელმძღვანელის სახელმწიფოს მართვის მეცნიერების უცოდინრობა, მართვის უნარის უქონლობა, რომლებიც მათ არასდროს არც უსწავლიათ და არ შეუძენიათ. პოლიტიკურად უპატრონო ქვეყანაში კი გამდიდრების მიზნით ბევრი მათგანი თანამდებობებს დაეხარბენ, რასაც მოყვა ქვეყნისა და პირადად მათთვის საბედისწერო შედეგები. თვითდაჯერებამ დაღუპა ბევრი მათგანი.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს მართვის ხელოვნება პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა, პოლიტიკა ცნების ლოგიკური შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეტიმოლოგიურად პოლიტიკა ხომ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს. მეცნიერულად დასაბუთებული, სწორი გენერალური ხაზის საბოლოო ბედი დამოკიდებულია მის ცხოვრებაში გატარების უნარსა და მართვის ხელოვნებაზე.

პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთებულობა შეიცავს ოსტატობას, სინამდვილის ფაქტებზე მოქნილ რეაგირებას.

პოლიტიკური მოღვაწე ვალდებულია იყოს პოლიტიკის თეორეტიკოსი, იცოდეს, რომ პოლიტიკა დაკავშირებულია სოციალური პროცესის სუბიექტურ მხარესთან, გაითვალისწინოს ხალხის პოლიტიკური კულტურის დონე, დაეუფლოს პოლიტიკური მართვის ფორმებსა და მეთოდებს, იქონიოს პოლიტიკური ძალების თანაფარდობაში ცვლილებებზე რეაგირების უნარი და სხვა აუცილებელი თვისებები.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოში გარდაუვალი გარდაქმნები დამახინჯდა და ანტიხალხური შედეგები გამოიღო მათი უუნარო განხორციელების გამო, მათი განმხორციელებელი სხვადასხვა ჯურის „დემოკრატების", ნაციონალების და მისთანების ფაქტობრივად მავნე საქმიანობის გამო.

ანტისაბჭოთა პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ, რაც ქაროველი მეცნიერების ნაწილის მხარდაჭერითაც მოხდა, ხელისუფლებაში მოსულმა არაკომპეტენტურმა და არაკვალიფიციურმა ხელმძღვანელებმა პოლიტიკა მთლიანად მოწყვიტა მეცნიერებას, საზოგადოების მეცნიერულ მართვას. მათ მაგივრად დანერგეს „სინჯისა და შეცდომების", პოლიტიკური იმპროვიზაციების მეთოდები, საზღვარგარეთის რეცეფტების დაუფიქრებელი და მექანიკური გადმოღება, ვოლუნტარიზმი. ქართველი „რეფორმატორის" ნაწილმა თვითდაჯერებულად შეთხზა მმართველობითი ფორმულა. „გვსურდა უკეთესად, გამოვიდა როგორც ყოველთვის". დიდი გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რევოლუციური გარდაქმნებისა და რადიკალური რეფორმების განხორციელების პერიოდში შეცდომების, შესაძლოა წინასწარი განზრახვით ჩადენილი ქმედების, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები იმდენად უარყოფითია, რომ სერიოზული ეჭვის ქვეშ დგება მათი განხორციელების აუცილებლობა

და მიზანშეწონილობა. ასეთი მდგომარეობა ბევრ ადამიანში იწვევს გულგრილ დამოკიდებულებას გარდაქმნებისადმი, აქტიურ წინააღმდეგობას ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესების, ქვეყნის დაშლისა და დაქუცმაცების, ახალი ტიპის მჩაგვრელების წარმოშობის და სხვა სოციალურ უბედურებათა გამო. ყოველთვის აუცილებელი, სხვადასხვაგვარი რეფორმები ჩვენში დამახინჯებული იქნა, კატასტროფული შედეგები მოყვა, ვაი-რეფორმატორების არაკომპეტენტურობისა და შესაძლოა წინასწარი განზრახვის გამო.

საქართველოს თანამედროვე ტრაგიკულ პერიოდში ყოველად გაუმართლებელი პასიურობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა „სოციალისტური" ინტელიგენციის ნაწილმა მეცნიერების, ფილოსოფოსების და სხვათა სახით. მეცნიერებამ უნდა გამოიკვლიოს მათი ასეთი პოზიციის მიზეზები. შესაძლოა სწორია აზრი იმის შესახებ, რომ ინტელიგენტად „შექმნისათვის" არცერთი აუცილებელი პირობა – არც სოციალური წარმოშობა და აღზრდა, არც წინასწარი აუცილებელი განათლება, არც უმაღლესში მიღებული ცოდნა, არც სამეცნიერო ხარისხის მისაღებად აუცილებელი განათლება, არც მეცნიერული ეთიკა და ბევრი სხვა. ჩვენ არ გაგვაჩნდა და არც შეიძლება გვქონოდა. ჩვენ ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნია უშრომელად, დაუმსახურებლად მოცემულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ჩვენი შრომით არ შეგვიქმნია, ენერგია არ დაგვიხარჯავს. ამიტომ გული არ მათზე მათზე და დემაგოგ დისიდენტებს დაეხმარეთ საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში, ჩვენი კატასტროფული მდგომარეობის შექმნაში.

ქართულმა სახელმწიფომ ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარებას უნდა მიაქციოს განსაკუთრებუ-

ლი ყურადღება მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო .ჩვენი რამდენიმე ათეული წლის გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენ ლიტერატორ ქართველებს, მეცნიერების ისტორიული ტრადიციების არქონის გამო დამოუკიდებლად ამ პრობლემის გადაჭრა არ შეგვიძლია. ამ სავალალო მდგომარეობის შექმნაში უარყოფითი როლი ითამაშა ბოლშევიკების სამეცნიერო პოლიტიკამაც, რომელიც შეეცადა იმ ადამიანების „გამეცნიერებას" რომლებსაც ამისთვის საჭირო მონაცემები არ გააჩნდა.

შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალია ჩვენზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარება. მეურვე ალბათ შეასრულებს საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, გვიხელმძღვანელებს იმ პირობების შესაქმნელად, რომლებიც საჭიროა საქართველოში მეცნიერების განვითარებისთვის. ეს კატასტროფიდან გამოსვლის უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება.

მეორე თავი
თანამედროვე ქართული პოლიტიკური ხელისუფლება და მისი მოღვაწეობის კატასტროფული შედეგები

პირველი პარაგრაფი. ახალი სოციალური ხელისუფლების ფორმირება და მისი არსი

თანამედროვე საქართველოში ფუნქციონირებადი სოციალური ხელისუფლება წარმოიშვა ნეობურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ის ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების მთლიანობა და მართვადობა. საზოგადოებრივი წესრიგი უნდა იყოს ორგანიზებულობისა და საზოგადოებრივი ცხოველმყოფლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებადი სოციალური ხელისუფლება თავისი ბუნებისა და სტრუქტურის მიხედვით რთული საზოგადოებრივი ფენომენია. მას ორი ძირითადი სახე აქვს – პოლიტიკური და არაპოლიტიკური. პირველი მოიცავს სახელმწიფო, პარტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების და მოძრაობების ხელისუფლებას. ხელისუფლების მეორე სახე მოიცავს პირად, საოჯახო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არაფორმალური ლიდერების გაერთიანებების და ჯგუფების ხელისუფლებას.

როგორც საერთოდ, ასევე ქართული სოციალური ხელისუფლების არსება დეტერმინირებულია ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათით, საზოგადოების ეკონომიკური ბაზისით, მაგრამ მას არ შეუძლია ფუნქციონირება ადამიანის ნებისა და ცნობიერების გარეშე. ნება საერთოდ ყველა და ყოველგვარი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელისუფლებო

ურთიერთობების არსებისა და ბუნების გაგება. ეს გამოიხატება იმაში, რომ ხელისუფლება მოქმედებაში, მისი სუბიექტი თავის ნებას გადასცემს მის ხელქვეითებს, ხოლო, მეორეს მხრივ, აუცილებელია მათი დამორჩილება ამ ნებისათვის. ნება მტკიცედ აერთიანებს ხელისუფლებას მის სუბიექტთან. ხელისუფლება მიეკუთვნება ჩვენი საზოგადოების სოციალური წარმონაქმნს, პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფებს, რომელთა ნება განსახიერებულია მას'ში საერთოდ, უსუბიექტო ხელისუფლება, რომელიც არავის არ ეკუთვნის ფიქციაა, ამიტომ პოლიტიკურ მოძღვრებაში ხელისუფლების შესახებ, მის თეორიაში მნიშველოვანი ადგილი უჭირავს ცნებას, „ხელისუფლების სუბიექტი", რომელიც მისი პირველწყარო, პირველმატარებელია.

ქართული სოციალური ხელისუფლება შეუძლებელია ზემოქმედების ობიექტის გარეშე. მისი ობიექტებია – ინდივიდები, მათი გაერთიანებები, სოციალური ჯგუფები და კლასები, მთლიანად ქართული საზოგადოება. სოციალური ხელისუფლების სუბიექტსა და ობიექტის დამთხვევის გამონაკლის შემთხვევებს ქართულ საზოგადოებაში ადგილი საერთოდ არ აქვს, ის ახასიათებს მხოლოდ უშუალოდ საზოგადოებრივ ხელისუფლებას. ჩვენს საზოგადოებაში ხელისუფალნი და ხელქვეითები აშკრად განსხვავებულნი არიან და სხვადასხვა სოციალური მდგომარეობა უჭირავს საზოგადოებაში.

თანამედროვე ქართული სოციალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია ძალა, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია გამოავლინოს თავისი ფიზიკური ძალის სახითაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობა'შია „ძალა„ სოციალური აზრით, კერძოდ, „კანონის ძალა„„ჩვეულების ძალა„. ჩვენი სოციალური ხელისუფლება

საერთოდ სუსტია, მაგრამ ძალის არმქონე ის გადაიქცევა ფიქციად, ვინაიდან არ ექნება შესაძლებლობა გააჩაროს ცხოვრებაში სახელმწიფო-ხელისუფლებრივი ნება.

ჩვენი სოციალური ხელისუფლების სიძლიერის საფუძველია ქართველი ხალხის ნდობა, ავტორიტეტზე დაყრდნობა. სამწუხაროდ, ქართული ხელისუფლებრივი სუბიექტი არც თუ იშვიათად იყენებს სიცრუესა და პოპულისტურ დაპირებებს. ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ხელისუფლებას გააჩნია ძალის საგნობრივ-მატერიალური წყაროები, იძულების ორგანოები, ადამიანთა შეიარაღებული ორგანიზაციები და სხვა.

სოციალური ხელისუფლება განუწყვეტლივ ზემოქმედებს საზოგადოებრივ პროცესებზე და თვით გამოიხატება ურთიერთობათა განსაკუთრებულ სახეში, ხელისუფლებრივ ურთიერთობებში, რომლის არსება მდგომარეობს ორი გამოვლენის ერთობაში. პირველი, ხელისუფლებრივი ნების გადაცემაში, თავზე მოხვევაში ხელქვეითებისადმი და მათ დამორჩილებაში. ამ ნებისადმი ხელისუფლებრივი ურთიერთობანი გამოირჩევიან აშკარად გამოხატული მიზანმიმართულებით და ორგანიზებულობით.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებადი სოციალური ხელისუფლება დეფინიცირებული შეიძლება იყოს ორი პოზიციიდან. **პირველი**. სუბიექტური თვალსაზრისით ჩვენი ხელისუფლება არის მისი სუბიექტის უნარი და რეალური შესაძლებლობა განახორციელოს, აუცილებლობის შემთხვევაში კი თავს მოახვიოს სხვებს თავისი ნება, **მეორე**. ობიექტური მნიშვნელობით ხელისუფლება არის ერთი სუბიექტების, ხელქვეითების დამორჩილების ურთიერთობის სისტემა სხვა სუბიექტების ნებისადმი ავტორიტეტის, კანონისა და იძულების გამოყენებით. ხელისუფლების ძირითადი

ნიშანია მისი სუბიექტის უნარი თავს მოახვიოს გარშემო მყოფთ თავისი ნება, იბატონოს ხელქვეითებზე. ფუნქციონირებადი ხელისუფლების არსებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ნეგატიური მხარე, რომელიც გამოიხატება მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაში. ასეთ დანაშაულებრივ ქმედებებს, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი საქართველოში ფუნქციონირებადი სოციალური ხელისუფლების საქმიანობაში, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი დისკრედიტაცია.

პოლიტიკურ მეცნიერებაში აღიარებული ხელისუფლების სუბიექტების ლეგიტიმური ბატონობის საფუძვლებიდან – ტრადიციული, ქარიზმატული და ლეგალური საქართველოში უფრო ძლიერი ლეგიტიმირდება ქარიზმატული ბატონობა. ის გულისხმობს რწმენას ქარიზმატიკის პირად, არაჩვეულებრივ ნიჭში, მის მიმართ პირად ერთგულებას. საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ეს თავისებურება, რომელიც საზოგადოების მართვის ეფექტურობას აამაღლებს. ლეგალურ-რაციონალურ ბატონობაზე გადასვლა უნდა განხორციელდეს თანდათანობით აუცილებელი წანამძღვრებების ფორმირების პირობებში. საქართველოს ხელმძღვანელების ერთ-ერთი შეცდომა იყო და არის ამ პრინციპის უარყოფა, რომლებმაც გამოიწვია ტრაგიკული შედეგი.

პოლიტოლოგიაში გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ლეგიტიმურობის ერთ-ერთი საფუძველია მისი საკრალურობა ე.ი. იდუმალება და მისტიკურობა, რაციონალურობას მთლიანად მოკლებული არ არის.

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლება და მისი მოღვაწეობის ნეგატიური შედეგები

საქართველოში 1991 წ. ნეობურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების შედეგად დამყარებული ბურჟუაზიული ხელისუფლების თავისებურებას წარმოადგენს მისი ფორმირება უპირატესად მშვიდობიან, არაძალდატანებით ფორმაში. შემდეგ კი რევოლუცია გაგრძელდა არამშვიდობიან ფორმაში, რაც გამოვლინდა სამოქალაქო ომში და საზღვარგარეთულ სამხედრო ინტერვენციაში.

ამჟამად ქართული პოლიტიკური ხელისუფლება არის ის ღერძი, რომლის ირგვლივ ტრიალებს პოლიტიკური ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში. ის არის ფუნდამენტალური, მრავალ ასპექტროვანი მოვლენა და კატეგორია. მისი შინაარსი ვითარდება სხვა პოლიტოლოგიურ კატეგორიებში, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აკონტკრეტებენ პოლიტიკური ხელისუფლების ამა თუ იმ მხარეს.

საერთოდ პოლიტიკური ხელისუფლება,ისევე როგორც ქართული ძნელად შესამცნებელი სოციალური ფენომენია, რომელიც გააჩნია იდუმალება. ცნებებში „პოლიტიკური ხელისუფლება„ „სახელისუფლებო ურთიერთობანი„ ასახულია ადამიანური ყოფიერების მნიშვნელოვანი მხარეები,კლასების, ერების,პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების პოლიტიკური ბრძოლის მკაცრი ლოგიკა. ამიტომ შემთხვევითი არ არის ისეთი მდგომარეობა,როცა პოლიტიკური პრობლემები აღელვებენ მეცნიერებს,პოლიტიკოსებს,მწერლებს,ფილოსოფოსებსა და ღვთისმეტყველებსაც კი.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლება ფუნქციონირებს სტრუქტურულად რთულ, შინაგანად წინააღმდეგობრივ

საზოგადოებაში. ის მოწოდებულია შეასრულოს თავისებური „ლითონის სალტის„ როლი და დაიცვას ჩვენი საზოგადოება თვითლიკვიდაციისაგან, რომელსაც სწრაფი ტემპით მოუახლოვდა წარმოადგენს რა სოციალური ხელისუფლების სახესხვაობას, პოლიტიკურ ხელისუფლებას გააჩნია ყველა მისი თვისება, მაგრამ ამავე დროს აქვს რიგი თავისებურებანიც.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლება განუყოფლად არის დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოსთან, რომელიც ისტორიულად მასთან ერთად წარმოიშვა, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია არასწორია, ვინაიდან პირველი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეორე. სოციალურ ცხოვრებაში წარმოშობილმა ახალმა მოვლენებმა განაპირობეს პოლიტიკური ხელისუფლების გამოვლენის სტრუქტურისა და ფორმების გართულება.

საქართველოში ფუნქციონირებად პოლიტიკურ ხელისუფლებას თავისი მოღვაწეობის თანამედროვე დონეზე გააჩნია გამოვლენის ორი ფორმა. ის ხორციელდება სახელმწიფო-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლების სახით.

ჩვენდა საუბედუროდ, ქართული პოლიტიკური ხელისუფლება ამჟამად ძლიერ შეზღუდულ ფარგლებში ვრცელდება, მისი ობიექტია საქართველოს არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა. საქართველოში ხელისუფლების დაყოფის პრინციპის შესაბამისად კონსტიტუციურად დადგენილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.[12]

პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში გამოთქმულია თვალსაზრისით, რომლის მიხედვით სასამართლო ხელისუფლება არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი.

12 Дж. Локе. Два трактата о правлений. Соr. в 3 томах Т. 3. М, 1988

ჯ. ლოკის, როგორც პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ადამიანის ბუნებრივი უფლებისა და კონსტუციონალიზმის თეორიის შემქმნელის აღნიშნული კონცეფცია ორიგინალურია, საჭიროა მისი გათვალისწინება მეცნიერებაში, როგორც სადისკუსიო პრობლემისა.

ქართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება არ არის სხვადასხვა ტიპის ხელისუფლება, არამედ წარმოადგენენ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებას.

ზოგიერთი მეცნიერი აღიარებს მუნიციპალური ხელისუფლების[13] არსებობას, რაც არ არის მეცნიერულად დასაბუთებული მუნიციპალური ხელისუფლების თვალსაზრისი ეფუძნება ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მდგომარეობას, და მისი გამოყენების პრაქტიკას. მუნიციპალური ხელისუფლება არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლება არის ერთი და ხორციელდება ყველას მიმართ მთელი ქვეყნის ფარგლებში. სახელმწიფო ხელისუფლების მუნიციპალურ დონეზე გამოვლენის განსხვავებული ნიშანია მისი რეალიზაციის ფორმა თვითმმართველობის სახით.

საერთოდ და კერძოდ, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლების სპეციფიკა იმაში მადგომარეობს,რომ ის ვრცელდება მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებზე და ხორციელდება წევრობის ფარგლებში. პრაქტიკულად არსებობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირების რამდენიმე დონე და ქვესისტემა. ის წარმოადგენს კონკრეტული და მოძრაობების პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების ხელისუფლებას.

---

13 Политология. Издательство Норма. М. 2003, стр. 70

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების შექმნის მანიით შეპყრობილი ქართველი პოლიტიკოსები პირველ ადგილზეა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. სამწუხაროდ, ამ უამრავმა პარტიამ ვერ შეძლო თავისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის შესრულება – ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან, მისი კატასტროფიდან გამოყვანის გზებისა, მეთოდების და საშუალებების დადგენა და რეალიზაცია, მათ მეტოქეობაში დამანგრეველი მომენტები უფრო მეტია, ვიდრე აღმშენებლობითი, რაც ჩვენი ქვეყნის კრახის ერთ-ერთი ფაქტორია.

აღნიშნული სახის პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაცია ხდება ორგანიზაციული ხელმძღვანელი სტრუქტურების მეშვეობით. ეს ინსტიტუციური დონე არის ყველაზე მეტად თვალსაჩინო და რეალური. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლების სისტემა ვერტიკალის მიხედვით შედგება ადგილობრივი და ცენტრალური ქვესისტემებისაგან.

საქართველოში ფუნქციონირებად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხელისუფლებაში გამოიყოფა აგრეთვე ხელისუფლების კოალიციური დონე, რომელიც გამოხატავს რამდენიმე სოციალურად ერთგვაროვანი პოლიტიკური ორგანიზაციების ბლოკის, პოლიტიკური პარტიების, ან პარტიებისა და გაერთიანებების ბლოკის სახელისუფლებო მისწრაფებათა ერთობლიობას, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალური ერთობის ინტერესებს.

ასეთ შემთხვევაში ხელისუფლების რეალიზაცია ხდება მრგვალი მაგიდის ტიპის დროებითი ან მუდმივი ორგანოების, საპარლამენტო ფრაქციების საბჭოების მეშვეობით. პოლიტიკური ძალების კოალიცია ფუნქციონირებს რეგიონებში და მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გამოყოფილი უნდა იქნეს საქართველოსთვის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლების დონეც. აქ

კონცენტრირებულია პოლიტიკური კონსესუსის რეზულტატი, რომელიც მიღწეულია სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მეტოქეობის ან თანამშრომლობის პროცესში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთმოქმედებათა შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რეზულტატები აისახება ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, მაშინ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლება დაემთხვევა სახელმწიფო-პოლიტიკურ ხელისუფლებას და მისი რეალიზაცია მოხდება სახელმწიფოს მიერ სხვა პირობებში, მაგალითად, რევოლუციური სიტუაციის პერიოდში ახალი წყობილების ფორმირების პროცესი და სხვა. რეალიზდება პერიოდულად მოქმედი პოლიტიკური ორგანოების მიერ, მაგალითად: სახალხო ფრონტის მიერ.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლება წყვეტს რა მის წინაშე მდგომ ამოცანებს, განუწყვეტლივ მოქმედებს სოციალურ პროცესებზე და თვით ვლინდება ურთიერთობათა განსაკუთრებულ ფორმაში – სახელმწიფო ურთიერთობებში, ისინი ქმნიან საზოგადოების თავისებურ პოლიტიკურ სამართლებრივ ქარგას, ვინაიდან რეგულირდებიან სამართლებრივი ნორმებით, სახელისუფლებო ურთიერთობების მეშვეობით პოლიტიკური ხელისუფლება უკავშირდება რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ის არის სოციალურ პროცესებში მისი რეალიზაციის ძირითადი საშუალება.

ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებად სახელისუფლებო ურთიერთობებს გააჩნიათ თავისი შინაგანი აგებულება. ამ ურთიერთობების მხარეებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტი და ობიექტი, ხელქვეითები. მისი შინაარსია ხელისუფლების სუბიექტის ნების და ხელქვეითებზე გადაცემის ან თავზე მოხვევის ერთობლიობა და ნებაყოფლობითი ან იძულებითი დამორჩილება ამ ნებისადმი.

პოლიტიკური ხელისუფლების სუბიექტებია, როგორც აღნიშნული იყო, სოციალური და ეროვნული ერთობები, კლასები, ხალხი, რომელთა სახელით მოქმედებს ქართული სახელმწიფო.

პოლიტიკური ხელისუფლების ობიექტებია ინდივიდები, მათი გაერთიანებები, ფენები და ერთობები, კლასები, საზოგადოება.

სახელისუფლებო ურთიერთობების არსებობა მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლების მატარებელი, ერთი მხარე თავის ნებას, როგორც წესი კანონში აყვანილს და იურიდიულად აუცილებელს თავს ახვევს მეორე მხარეს, წარმართავს მათ ქცევას და მოქმედებებს სამართლებივი ნორმებით დადგენილ ფარგლებში.

ამრიგად, ქართული ისევე როგორც საერთოდ პოლიტიკური ხელისუფლება არის ადამიანთა ურთიერთობების განსაკუთრებული თვისება და შედეგი, მისი სოციალურ-სამოქალაქო განპირობებულობა შერწყმულია ადამიანთა ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ და სხვა უნარებთან და შესაძლებლობებთან ის ხორციელდება სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურების მეშვეობით, რომელთაც აქვთ უნარი გააერთიანონ დაინტერესებული ჯგუფების, ფენების და კლასების სოციალური ძალა და ნება. ხორციელდება სპეციალური ორგანოებისა და თანამდებობის პირების მეშვეობით, რომელთა გადაწყვეტილებანი უნდა იყოს ნორმატიული ხასიათის, გააჩნდეთ ფორმალიზებული დოკუმენტირებული ხასიათი, რომლებიც ექვემდებარება გარეგან კონტროლს.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლება თავისი გამოვლენისა და სტრუქტურის მიხედვით რთული ფენომენია. მისი პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესები და მიზნები შეიძლება დაემთხვას ერთმანეთს, მაგრამ ძირითადად

მაინც გააჩნიათ სხვადასხვა ღირებულებითი ორიენტაციები, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების სხვადასხვა მეთოდები და საშუალებანი, მაგრამ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების ყველა გამოვლენისთვის აუცილებელია ლეგიტიმიურობა. ყველაფერი, რაც არის ლეგიტიმიურობის ფარგლებს გარეთ ანტისოციალური ანტიხალხურია.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლების ობიექტივიზაცია ხდება სახელისუფლებო ურთიერთობების სისტემაში საზოგადოების ხელმძღვანელობის პროცესში. ამავე დროს,ის წარმოადგენს ხელისუფლების სუბიექტის მიზნების მიღწევის იარაღს სახელმწიფოს მეშვეობით, კონფლიქტების გადაჭრისა და სოციალური ინსტიტუტებისა და პროცესების მყარი განვითარების საშუალებას.

მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში დომინირებადი ხელისუფლებრივი სუბიექტის ნებას დამოკიდებულია მხარეების ინტერესებზე და ნებულობით პოზიციაზე, თუ ხელისუფალთა და ხელქვეითთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, რაც შეუძლებელია ამჟამინდელ ჩვენს საზოგადოებაში, მაშინ სახელმწიფო ურთიერთობანი მიმდინარეობენ შეუფერებლად, გარედან ზემოქმედების გარეშე. როცა ხელისუფლებისა და ხელქვეითთა პოზიციები დაპირისპირებულია, მაშინ გამოიყენება სახელმწიფო იძულების მეთოდი.

მთლიანად ქართული სამოქალაქო საზოგადოებისთვის და ქვეყნის მთელი ტერიტორიის ფარგლებში პოლიტიკური ხელისუფლება არის სახელმწიფო ხელისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლება კი ყოველთვის არის პოლიტიკური ხელისუფლება. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ხელისუფლება მისი გამოვლენის ყველა ფორმაში ახალი სოციალური კლასის ბატონობის იარაღია. ქართველი დის-

იდენტების, „დემოკრატების", ნაციონალების და მათთანების ბრწყინვალე დაპირებების იდეალური პოლიტიკური ხელისუფლების შექმნის შესახებ ქვეყანაში დამყარდა და ფუნქციონირებს ანტიხალხური, საკუთარი გამდიდებისათვის აშკარად, ურცხვად და მგლური მეთოდებით მებრძოლი ადამიანთა ჯგუფების ხელისუფლება.

ახალმა მჩაგვრელებმა შექმნეს სახელმწიფო აპარატი და სასწრაფოდ შეუდგნენ საქართველოს ბუნებრივი და სოციალური სიმდიდრეების მითვისებას და დატაცებას. შექმნეს მონათმფლობელი სახელმწიფო ხელისუფლების ანალოგიური ხელისუფლება, რომელიც ურცხვად და თავხედურად უწოდებს თავის თავს სოციალურს, სახალხო ხელისუფლების. მათ მიერ ორგანიზებული ყველა გარდაქმნების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებულია, უპირველეს ყოვლისა, მათი გამდიდრებისა და პოლიტიკური ბატონობის უზრუნველსაყოფად. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს მჩაგვრელებს ქართულ საზოგადოებაში არცთუ ცოტა აპოლიგეტი ჰყავს, რაც, ალბათ, გაპირობებულია ქვეყნის მოსახლეობის წერილურჟუაზიული ხასიათით, რომლის დამახასიათებელი ნიშანია სხვისი შრომის შედეგის მითვისების გამართლება, გამდიდრებისათვის თავგანწირული ბრძოლა.

მესამე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული სახელმწიფო ხელისუფლების არსი, თავისებურებანი და მოღვაწეობის ტრაგიკული შედეგები

საერთოდ სახელმწიფო ხელისუფლებას და, კერძოდ, ქართულ ხელისუფლებასაც, მისი გენეზისის, ბუნებისა და გარემოსთან ურთიერთზემოქმედების გათვალისწინებით ახასიათებს, აღნიშნულის გარდა, სხვა ნიშნებიც.

ჯერ ერთი, საჭიროა აღინიშნოს მისი საზოგადოებრივად აუცილებელი ხასიათი, რომელიც გამომდინარეობს ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკიდან და გამოიხატება ორგანიზაციის დონისა და მოწესრიგებულობის ხარისხის განუწყვეტელ ამაღლებაში სოციალურ სივრცეში. სახელმწიფოს სოციალურობა იმაშიც ვლინდება, რომ ის ფორმირდება გარკვეული სოციალური ფენის, ჯგუფის ან კლასის ინტერესების დასაცავად, მაგრამ ამავე დროს იძულებულია დაიცვას საზოგადოების ინტერესებიც მისი ტერიტორიული ორგანიზაციის ფარგლებში და მის გარეთაც. დიდად სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო ხელისუფლება თავის თავზე გაცილებით მეტად ზრუნავს, ვიდრე ჩვენს საზოგადოებაზე, რაც შეიძლება მძიმე შედეგებით დამთავრდეს მისთვის, ჩვენი დადებითი სურვილების მიუხედავად.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ-ნებისმიერობითი ხასიათში ვლინდება მისი აქტიური, მოქმედი მმართველობითი ასპექტები. ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი ამოცანები უნდა იყოს ადამიანების მართვა, მოწინავე სოციალური ურთიერთობების ორგანიზაცია, სოციალური პროცესების კონტროლი და სხვა მრავალგვარი და მრავალრიცხოვანი ამოცანები. ხელისუფლების ორგანიზებადი ხასიათი იძლევა საშუალებას გათვალისწინებული

იქნეს სხვადასხვა სოციალური ერთობების ინტერესები, გამომუშავებული იქნას სოციალური წინააღმდეგობების გადაჭრის მეთოდები, აკუმულირებული და რეალიზებული იქნეს საზოგადოების წევრების საერთო ნება სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით. დიდად სამწუხაროდ ჩვენი ხელისუფლება ხშირად ფაციფუცობს, ვიდრე მართავს, საქმიანობის იმიტირებას ახდენს, ვიდრე მოქმედებს. არ იქნა გათვალისწინებული ბრძნული აზრი იმის შესახებ, რომ წესრიგი ხელისუფლებაში არის ქვეყანაში წესრიგის მთავარი წანამძღვარი და პირობა.

სუსტი და განუვითარებელი არის აგრეთვე ქართული სახელმწიფო ხელისუფლების საინფორმაციო-ინტელექტუალური ხასიათი. სახელმწიფო მართვის ყველა პროცესი მოითხოვს მეცნიერულ-საინფორმაციო უზრუნველყოფას იმ გარემოზე და ობიექტებზე სრული მეცნიერული ცნობების არსებობას, რომლებშიც უხდება მას მოღვაწეობა. მეცნიერული ინფორმაცია უზრუნველყოფს ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობას და სიმტკიცეს. ის ხელისუფლების რაციონალური ფუნქციონირების უმთავრესი პირობა და წანამძღვარია. მეცნიერული ინფორმაცია არის აგრეთვე სახელმწიფოს ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირების ეფექტური საშუალება, ხელისუფლების რაციონალური რეალიზაციის ძირითადი საფუძველი, ვინაიდან მეცნიერული ცოდნის გარეშე შეუძლებელია რაციონალურად და მიზანმიმართულად წარმართოს სახელმწიფოს პოლიტიკა.

პოსტსოციალისტური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განმასახიერებელი პირების დაბალი განათლების გამო, რომლებსაც ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენი საზოგადოების შესახებ, მასში მიმდინარე პროცესებზე და ტენდენციებზე. შეუძლებელი იყო ქვეყ-

ნის შემდგომი განვითარება. მათ მიერ განხორციელებული მეცნიერული ინფორმაციისგან მოლიანად მოწყვეტილი პოლიტიკა ეოლუნტარისტული და ავანტურისტული იყო და არის. საქართველო, რომელშიც ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევისთვის არცერთი აუცილებელი წინაპირობა არ არის მომზადებული დამოუკიდებლად გამოაცხადეს და უბედნიერესი სახით განაცხადეს აღსრულდაო. საქართველოს, რომელიც ველური კაპიტალიზმისთვისაც კი არ არის მომზადებული კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიაზე მყოფი ქვეყნების გაერთიანებაში შეყვანას აპირებენ, სადაც მას ხელზე მოსამსახურედ ყოფნას უმზადებენ და სხვა.

მეცნიერული ინფორმაციის მნიშვნელობის არცოდნამ, ანტიინტელექტუალური ქმედებების ჩადენამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ ჩვენს მიერ დასახული არცერთი მიზანი არ არის მიღწეული, ქვეყნის კატასტროფა კი ტრაგიკული რეალობაა.

განუვითარებელია ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ-ძალოვანი ხასიათი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა კონცენტრაცია გაუკეთდეს ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს, მისცეს სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებებს ძალა და სიძლიერე დასახული მიზნების მისაღწევად. ქართულ საზოგადოებრივ, ურთიერთობების ძალოვანი რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია სიტუაციების მრავალფეროვნებით, ჩვენი საზოგადოების განვითარების უკიდურესი წინააღმდეგობრივი ხასიათით, დაპირისპირებული სოციალური და ეროვნული ინტერესების არსებობით და სხვა.

ქართული ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამჟამად და მომავალში გამოყენების მიზნით დაგროვილი დიდი

რაოდენობის მატერიალური რესურსები დაქსაქსა და მიითვისა, უცხოტომელებს მიყიდა და საზღვარგარეთ გაიტაცა. მეცნიერებისა და ხალხის გონებრივი განვითარების დონე უსაფუძვლო წაბაძვით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად უკიდურესად დასცა.

აღნიშნული და სხვა ანტიქართული ქმედებანი ხდება ქართველების საზღვარგარეთელი და შინაური მოწინააღმდეგეების ინიციატივით და რეკომენდაციებით. ქართველთა სოციალური და ეროვნული სხნის სახალხო ფრონტმა უნდა გამოიძიოს ეს მდგომარეობა და დასაჯოს ქართველების მოწინააღმდეგეები.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური ხასიათში აისახება ხელისუფლებრივი სუბიექტისა და ხელქვეითთა, როგორც ობიექტების ურთიერთმიმართებათა სპეციფიკა ის გულისხმობს ერთის უნარს დაიმორჩილოს,ორგანიზება გაუკეთოს და დათრგუნოს,ხოლო მეორის უნარს კი დაემორჩილოს სხვის ნებას, შეიგნოს დამორჩილების აუცილებლობა, და დაინახოს ხელისუფლების სიძლიერისადმი წინააღმდეგობების გაწევის უშედეგობა და უსარგებლობა. იდოლოგიურ ასპექტში იგულისხმება ხელისუფლების სუბიექტის მისწრაფება მოამზადოს ხელქვეითები ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად, გაამრთლოს უკვე გაკეთებული, აუხსნას მასებს იძულების განხორციელების აუცილებლობა და მიზნები.

ქართული ხელისუფლების ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური ასპექტი რადიკალურ გარდაქმნების განხორციელებას მოითხოვს. ის იმორჩილებს და თრგუნავს მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ხშირად სამართლისა

და პოლიტიკური ეთიკის ნორმების დარღვევით მოქმედებენ. ხელისუფლებამ უნდა დასაჯოს ქართველი ხალხის არსებობისა და განვითარების მოწინააღმდეგეები, დაუმორჩილოს ისინი ქართველი ხალხის ნებას, აუხსნას ქართველ ხალხს მათდამი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობა.

თანამედროვე ქართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ინტენსიური ფსიქიკურ-იდეოლოგიური საქმიანობა გააჩაღა მისი ბატონობს განსამტკიცებლად, სოციალური ბაზის გასაძლიერებლად და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების სისტემური ხასიათი ვლინდება იმაში,რომ ის წარმოადგენს სისტემა-წარმოქმნელ ფაქტორს, აკავშირებს და აერთიანებს სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურებს, ადგენს მათ ურთიერთდამოკიდებულების იერარქიას, ახშობს სოციალურ კონფლიქტებს და სხვა. სახელმწიფო ხელისუფლების სისტემურობის საფუძველია მისი ობიექტის-სოციალური სისტემის სისტემურობა, იმ მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო ფუნქციების განსახორციელებლად.

ამჟამინდელი ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის ნეგატური თვისება იმასში გამოიხატება, რომ ის ხანდახან ახშობს სოციალურ კონფლიქტებს, რომლებიც სავსებით სამართლიანად წარმოიშობიან ხელისუფლების შეცდომების გამო. ის,რაც ბოლომდე სისტემურია,მისი რგოლები ზუსტად არიან გაერთიანებული სისტემა-წარმომქნელი კავშირებით.

აღსანიშნავია, აგრეთვე საერთოდ სახელმწიფოს, მათ შორის ქართულის პოლიტიკური ხასიათი, ის გამოიხატება იმაში,რომ სახელმწიფო საზოგადოებაზე მაღლა დგას,საზო-

გადოების სახელით გამოდის, რომელშიც მას გააჩნია სოციალური საყრდენი კლასების, ფენების სახით. სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს მმართველთა სპეციალური აპარატი და იძულების ძალით არის უზრუნველყოფილი. სახელმწიფო ხელისუფლება თავისი არსებით ყოველთვის პოლიტიკურია.

სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური, საჯარო ხასიათი მეცნიერებაში არ არის ერთნაირად გაგებული და განმარტებული. ჩვეულებრივ მას განიხილავენ როგორც სახელმწიფოს ძირითად ნიშანს, მის სინონიმს, როგორც ხელისუფლებისა და მართვის აპარატს ადამიანთა შეიარაღებული რაზმებით და იძულების სხვა დაწესებულებებით. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ზოგიერთი გამოჩენილი მკვლევარი თვლის,რომ პირველყოფილ – თემურ საზოგადოებაში ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი ხელისუფლება განვითარების უკანასკნელ სტადიაზე შეიცვალა პოლიტიკური, ანუ საჯარო ხელისუფლებით.[14]

ამ შემთხვევაში საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ეტიმოლოგიის როგორც მეცნიერების, რომელიც სწავლობს სიტყვების წარმომავლობას, შემადგენლობას და თავდაპირველ მნიშვნელობას დებულებებით. მეცნიერებაში აუცილებელია ტერმინების შინაარსის მეცნიერული გაგებით ხელმძღვანელობა.

როგორც ცნობილია, ტერმინი „საზოგადოებრივი" ნიშნავს საზოგადოებისთვის დამახასიათებელს და მასში არსებულს, საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობასთან დაკავ-

14 გ. ინწკირველი: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ. 1997, გვ. 28, М. Н. Марченко. Теория государства и права М. 2004, с. 56

შირებულს და სახოგადოების კუთვნილს, საზოგადოების ინტერესების შესაბამის[15] ტერმინი „საჯარო" ნიშნავს საზოგადოებისთვის განკუთვნილს, საზოგადოს, სახალხოს, საქვეყნოს, საზოგადოების წინაშე ყველას დასანახად და გასაგონად.[16]

ამ ტერმინების შინაარსის შედარებიდან ცხადი ხდება, რომ ისინი სინონიმებია და ერთნაირად ასახავენ ერთი და იგივე საგნის და მოვლენის შინაარსს, მათში განსხვავებული შინაარსის ჩადება არასწორია. გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი, საჯარო ხელისუფლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული პროცესი. პირველყოფილ – თემურ წყობილებაში ფუნქციონირებადი ხელისუფლება თავისი სოციალური ბუნებით საზოგადოებრივი, საჯარო იყო. სახელისუფლებო ფუნქციები ხორციელდებოდა თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, კრებებსა და სხვა გაერთიანებებში უშუალო მონაწილეობით. ისინი არჩევითი და შენაცვლებადი იყო და საზოგადოების წევრების ინტერესებს გამოხატავდნენ. ხელისუფლებას საზოგადოებრივი, საჯარო ხელისუფლების ყველა ნიშანი ჰქონდა.

სოციალურ-ისტორიული განვითარების მომდევნო ეპოქაში საზოგადოება რეაქციული მიმართულებით განვითარდა. პირველყოფილი საზოგადოებრივი, საჯარო ხელისუფლება თანდათან შეიცვალა, კლასობრივი, პოლიტიკური ხელისუფლებით, რომლის მატარებელია სახელმწიფო. ბერძნულიდან პირდაპირი თარგმნით პოლიტიკური ნიშნავს ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, პოლისთან. ის არის კლასობრივი, არასაზოგადოებრივი, არასაჯარო დაწესებულება ამიტომ პოლიტიკური და საჯაროს იდენტიფიკაცია

15 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1986, 386.
16 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ. 1986, 405.

არასწორია, პოლიტიკურმა ხელისუფლებამ, მთელ მსოფლიოში, საქართველოში ადრე მის მიერ მოსპობილი დიდებული პრინციპის მქონე წყობილების მაგივრად ექსპლუატატორული წყობილება შექმნა, ხალხი გააღატაკა, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ურცხვად დემაგოგობდა და ატყუებდა ხალხს, ამიტომ შეუძლებელია ჩვენს თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლებას ჰქონდეს საჯარო, საზოგადოებრივი ხასიათი, იგი კლასობრივია, პოლიტიკურია.

თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლების საზოგადოებრივი ხასიათის ფორმირებისათვის საჭიროა ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა ხელისუფალთა და ხელქვეითთა საზოგადოებრივი მისწრაფებანი და ინტერესები დაემთხვევა ერთმანეთს. თანამედროვე მოსახლეობა ხელისუფლებას არ ენდობა. სახელმწიფოების გამოცემული კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, ადამიანების ბუნებრივ უფლებებსა და სოციალურ მოთხოვნებს ფორმალურად შესაბამება, ხელისუფლება თვითონ არ ასრულებს მათ.

თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლებას სამართლებრივი ხასიათის არც-ერთი ნიშან-თვისება რეალურად არ გააჩნია. განცხადებები მათი არსებობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება, ფიქციაა. ამის მიზეზია ის, რომ დაბალია სამართლებრივი კულტურისა და შეგნების დონე. ხალხი და მისი სახელმწიფო არ ემორჩილებიან კონსტიტუციურ კანონებს, მოსახლეობაში მაღალია სამართლებრივი ნიჰილიზმის დონე და ხარისხი და სხვა.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ტრაგიკული მდგომარეობა განაპირობებს სახელმწიფო ხელისუფლების არსებობას აუცილებლობას, მოღვაწეობის ობიექტური და

სუბიექტური ხასიათის ფაქტორებით განპირობებულ მოღვაწეობას. ქართული ხელისუფლება არის ჩვენი სახელმწიფოს თვისება, მისი ძლიერება და ძალა, ბატონობისა და დაქვემდებარების ურთიერთობა, როგორც საზოგადოების მართვა და ხელმძღვანელობა, როგორიც სხვების დამორჩილების ნება და სხვა.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო ხელისუფლება ობიექტური თვალსაზრისით არის ორგანიზაციულ-ნებელობითი ურთიერთობის სისტემა, რომელიც წარმოიშვა სახელმწიფო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და მოქალაქეებს შორის და რომლებიც კონცენტრირებულად ასახავენ პირველ რიგში გაბატონებული ქართული ნეობურჟუაზიის ინტერესებს, უზრუნველყოფილია სახელმწიფოს სიძლიერით და იძულების ძალით და მიმართულია საზოგადოებაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისაკენ.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლება ვლინდება მრავალგვარად, მისი გამოვლენის ერთ-ერთი ასპექტია სახელმწიფო სუვერენიტეტი, როგორც ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი თვისება, რომელიც ვლინდება სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობაში ქვეყნის შიგნით და მის დამოუკიდებლობაში სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, სუვერენიტეტის რთული ლოგიკური ცნების შინაარსის ძირითადი იდეები და დებულებებია: სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა ქვეყნის შიგნით და საგარეო ურთიერთობებში; სახალხო სუვერენიტეტისა და ეროვნული სუვერენიტეტის იდეა. ეს იდეები და დებულებანი ერთიანობაში ქმნიან სუვერენიტეტის სხვადასხვა ფორმებს.

სახელმწიფოს თეორიის კვლევის პროცესში მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სახელმწიფო არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, მეტაფიზიკური მოვლენა, არამედ დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა. კერძოდ, იცვლებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ტიპები; გაერთიანებული საქართველოს პირობებში ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და საერთო ქართული სახელმწიფო ხელისუფლება იყო. დაქუცმაცებულობის პერიოდში ჩვენი სახელმწიფოს უფლებამოსილება ვრცელდებოდა და ახლაც ვრცელდება მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე და ის ფაქტობრივად საერთო-ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლება არ იყო და არ არის. ქვეყნის ნაწილების ანექსიის პერიოდში ის საერთოდ წყვეტდა ფუნქციონირებას ამ ტერიტორიაზე, ხშირად კი მისი „დამოუკიდებლობა" აშკარად ფორმალური იყო. სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული მისი დირექტივებით მოქმედებდა და სამწუხაროდ ახლაც მოქმედებს.

საქართველოს სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის თეორიის საგნისა და ობიექტის ცვალებადობა არა მარტო აძნელებს, არამედ უსაფუძვლოსა და უაზროს ხდის მცდელობას მიღწეული იქნეს საბოლოო განსაზღვრა მათი შინაარსისა, როგორიც რაღაც უცვლელი ფენომენებისა:

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი სუვერენიტეტის ობიექტური საფუძველია საერთო კანონზომიერებანი, რომლებიც ასახავენ მათ წარმოშობას, ფუნქციონირებას და განვითარებას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, რომლებიც ცვლილებებს განიცდიდ-

ნენ. ქართული ხალხის ბრძოლა მისი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთვის, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო სუვერენიტეტის მიღწევისთვის და სხვ. ობიექტური პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების ცვალებადობის შესაბამისად ხდებოდა, აგრეთვე, გასათვალისწინებელია ცვლილებები საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებაში, სახელმწიფოს ხელისუფლების და მისი სუვერენიტეტის თეორიის პრობლემებზე, სუვერენიტეტის მიღწევის გზებზე, საშუალებებზე და მეთოდებზე.

აღსანიშნავია, რომ წინათ სახელმწიფოს თეორიულ მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ტიპისა და ფორმის პრობლემებს, საერთო-სახალხი სახელმწიფოს და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიის პრობლემებს და სხვა აქტუალურ მოვლენებს. ამჟამად ეს პრობლემები უკვე აღარ არიან აქტუალური. აღნიშნული პოლიტიკური პრობლემების სანაცვლოდ უფრო აქტუალური გახდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოს, მოქალაქეთა ბუნებრივ-სამართლებრივი უფლებებისა და თავისუფლებათა და სხვა იდეები და პრობლემები.

ამჟამად არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ზოგადად სახელმწიფოს, ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო, ხელისუფლებისა და მისი სუვერენიტეტის პრობლემებზე გააჩნია ობიექტური ხასიათი, რაც დეტერმინირებულია კვლევის მატერიის წინააღმდეგობრივი შინაარსით. ეს საკმაოდ ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის მატერია თავისი ბუნებით და ხასიათით არის ასეთი.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების საშინაო სუვერენიტეტი შეიცავს სახელისუფლებო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, რომელთა მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივი სარგებლიანობა, ინტერესები და საერთო ნება. ამ მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ქვეყნისათვის ზოგიერთ სასარგებლო გადაწყვეტილებასთან ერთად მიღებული იქნა ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებმაც გამოიწვია საქართველოს კატასტროფა. დამღუპველი აღმოჩნდა კანონი პრივატიზაციის შესახებ, ზოგიერთი კონსტიტუციური მითი და სხვა, ამჟამად რეალიზაციის შესაძლებლობას მოკლებული ილუზორული გადაწყვეტილებანი.

ასეთი სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიღების მოტივები უნდა ვეძებოთ საქართველოს საზღვარგარეთელი მტრების მიზნებში და ქმედებებში, აგრეთვე, თვით ხელისუფლებაში მყოფი არაქართველებისა და ზოგიერთი ქართველის გამდიდრებისათვის ბრძოლის მგლურ ხასიათში.

საშინაო სუვერინეტეტი შეიცავს აგრეთვე სახელისუფლებო გადაწყვეტილებების გავრცელების აუცილებლობას მთელ მოსახლეობაზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ჩვენი სახელმწიფოს იურისდიქცია კი ფაქტობრივად არ ვრცელდება საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიაზე მისი დაშლისა და სამი სახელმწიფო წარმონაქმნის წარმოშობის გამო.

ქართული სახელმწიფოს საშინაო სუვერენიტეტი შეიცავს აგრეთვე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ანტიეროვნული გადაწყვეტილების აკრძალვის პრეროგატივას. ამჟამინდელ ქართულ სახელმწიფო ხელისუფლებას ეს უფლება შეუძლია განახორციელოს ნაწილობრივ, მის ნანგრევებზე წარმოშობილ და ფუნქციონირებად

სახელმწიფოებრივ ერთეულებში აღნიშნულის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების საშინაო სუვერენიტეტი შეიცავს მონოპოლიას ლეგიტიმურ ძალადობაზე. ასეთი სახის ძალადობაზე ის ფაქტობრივად მონოპოლიას ახორციელებს მხოლოდ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ნაწილის ფარგლებში, მისი განხორციელება ჩამოშორებულ ტერიტორიებზე უკვე აღარ შეუძლია.

სახელმწიფო ხელისუფლების შინაგანი სუვერენიტეტი შეიცავს იძულების საშუალებების – არმია, პოლიცია, საპყრობილეები და სხვა, ყოლისა და გამოყენების მონოპოლიას. ამ შესაძლებლობას ის ანხორციელებს არაოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისი გამოყენების მცდელობები მარცხით დამთავრდა და, შესაძლოა, ახლო მომავალშიც ასე მოხდეს.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს საშინაო სუვერენიტეტი მნიშვნელოვანწილად იძულებით შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ. ეს საეალალო მდგომარეობა დეტერმინირებულია მრავალრიცხოვანი და მრავალგვაროვანი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით, რომელთა შორის ძირითადია საქართველოს როგორც ქვეყნის სიმცირე და სისუსტე, ძლიერი შეიარაღებული ძალების არყოლა, რომელიც შეძლებდა ქვეყნის დაშლის თავიდან აცილებას. ამ ფაქტორებმა განაპირობა ხელისუფლების საშინაო სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი შეზღუდულობა:

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების არსი საშინაო სუვერენიტეტთან ერთად ვლინდება, აგრეთვე, საგარეო სუვერენიტეტშიც.

ქართველი სახელმწიფოს საგარეო სუვერენიტეტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვლინდეს დამოუკიდებლად მის მიერ საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

სინამდვილეში კი თანამედროვე მსოფლიო ლიდერის მიერ საქართველოში მოძებნილი და სახელმწიფო ხელისუფლებაში მოთავსებული არაქართველი და ქართველი კრეატურა დამოუკიდებლად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ იღებდა და ვერც იღებს. მას გადაწყვეტილებებს კარნახობენ საზღვარგარეთის სახელმწიფოების ჩინოვნიკები. ყველაზე საშიში ის არის, რომ ეს გადაწყვეტილებები მოითხოვენ ფაქტობრივად ანტიქართული საქმიანობის განხორციელებას მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად. რუსეთის მთავრობამ ადრე სასტიკად დასაჯა და მომავალშიც დასჯის წამქეზებლის მიერ მიტოვებულ საქართველოს, მასში მოქმედ კრეატურას კი თავის აპარატში ჩარიცხავს.

ქართული სახელმწიფოს საგარეო სუვერენიტეტი მოიცავს აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების დაუმორჩილებას სხვა ქვეყნის სახელმწიფოს კანონმდებლობისადმი. ესეც ჩვეულებრივი არარეალური, მაღალფარდოვანი ფრაზაა, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებაში მოკალათებულ ადამიანთა ჯგუფებს აღნიშნული მოთხოვნის შესრულების სურვილიც კიდევაც რომ გააჩნდეთ, მიზანს მაინც ვერ მიაღწევენ. ფიზიკურ – გეოგრაფიულად მცირე, მცირერიცხოვანი ქართული მოსახლეობით, ეკონომიკურად ჩამორჩენილი და სუსტი შეიარაღებული ძალების მქონე და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი საქართველო და მისი სახელმწიფო ძლიერი, სახელმწიფოსაგან და მისი

კანონმდებლობისგან რეალურად დამოუკიდებელი ვერ გახდება.

საქართველოს ხელისუფლების საგარეო სუვერენიტეტი თავის თავში შეიცავს აგრეთვე სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების არაგანსჯადობას, მათგან ბრალის დადებისა და სამართალში მიცემის შეუძლებლობას. ესეც საგარეო სუვერენიტეტის ფორმალური, არარეალური გამოხატულებაა, ვინაიდან პატარა და სუსტ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას არ აქვს შესაძლებლობა, თავი დაიცვას ძლიერი სახელმწიფოების სასამართლო ხელისუფლებისაგან და სურვილის შემთხვევაში ის ყოველთვის, ძალის გამოყენებითაც შესძლებენ განსასჯელის სკამზე მის დასმას და თავისთვის სასარგებლო განაჩენის გამოტანას, ფიზიკურ ლიკვიდაციასაც კი.

საქართველოს საგარეო სუვერენიტეტი შეიცავს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ ნორმებისადმი დაუმორჩილებლობას, რომლებიც არღვევენ ქვეყნის უშიშროებას, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს. საგარეო სუვერენიტეტის ეს მოთხოვნა ქართული სახელმწიფოს თავისთავადობასა და ნებისყოფას გამოხატავს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ შემთხვევაში მას ექნება ურთიერთობა საერთაშორისო სამართლისა და ხელშეკრულებების ფაქტიურ სამართლებრივ-პოლიტიკურ დემიურგთან,უძლიერეს სახელმწიფოებთან და ამიტომ მათი ნებისადმი დამორჩილებლობამ შეუძლია უფრო მეტი ბოროტება მოუტანოს საქართველოს, ვიდრე მისმა შესრულებამ. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში, მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ, მოქნილი, მოხერხებული მოქმედებების განხორციელებით.

ჩვენდა საუბედუროდ, თანამედროვე ქართულ სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ქვეყნის ხელისუფლების საშინაო და საგარეო სუვერენიტეტი ფაქტობრივად შეზღუდულია, მას მართავს, როგორც ყოველთვის სუსტ ქვეყნებს, უძლიერესი და ამიტომ მსოფლიოს ბატონი სახელმწიფო, მისი დამოუკიდებულება მოჩვენებითია. კატასტროფაში მყოფი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება როგორც ყველა სხვა, კარს მიღმა ელოდება მის გადაწყვეტილებებს და განაჩენს ასე მოქმედებდა ყოველთვის ძლიერი სახელმწიფოები.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ფაქტობრივი საშინაო და საგარეო სუვერენიტეტის მომავალში შესაძლებელი მიღწევის ერთადერთი საშუალებაა საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარება ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ ქვეყნის მხრივ. შესაძლოა ამ ღონისძიებამ ჩვენი პოლიტიკური მამლაყინწაობით კატასტროფაში ჩაგდებული საქართველო გამოიყვანოს უმძიმესი მდგომარეობიდან.

ძლიერი იმპერიალისტი და შოვინისტი სახელმწიფოს ხელმძღვანელების წინააღმდეგ ბრძოლაში სუსტი საქართველოს პოლიტიკოსებს უნდა გამოეყენებინათ ყველა ხერხი და მეთოდი, მათ შორის ამ მდგომარეობაში სამწუხაროდ აუცილებელი თვალთმაქცობა, ორპირობა, ტყუილი და მისთანები, რომლებიც საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად სრულებითაც არ არის ამორალური დასაგმობი ქცევები.

ქართველი ხელმძღვანელი პოლიტიკოსები სამსახურებრივად ვალდებული იყვნენ გამოენახათ ახალი გზები, მეთოდები და ხერხები ქვეყნის კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, დაუფლებოდნენ ქვეყნის პოლიტიკური

მართვის რთულ ხელოვნებას. ისინი კი ლიტერატორობდნენ, მოლექსეობდნენ, რამაც ქართველები თვითლიკვიდაციამდე მიიყვანა.

ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელები რუსეთის შოვინისტურ-იმპერიალისტურ მთავრობას საერთაშორისო სამართლისა და ზოგადსაკაცობრიო მორალის ნორმების შესრულებას მიამიტად თხოვდნენ, აშშ-ის მთავრობას და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ეხვეწებოდნენ და ეხვეწებიან დახმარების აღმოჩენას, რისი გაკეთება მათ, უამრავი დაპირებების მიუხედავად სრულებითაც არ სურდათ და არც სურთ. ისინი თავიანთი ქვეყნების კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, მსოფლიოს ბატონობისათვის ზრუნავენ. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა კლინტონმა ობიექტურად არაორაზროვნად აღიარა: „შევარყიეთ რა სსრკ იდეოლოგიური საფუძვლები, ჩვენ შევძელით მსოფლიოს ბატონობისათვის ომიდან უსისხლოდ გამოგვეყვანა სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენდა ამერიკის ძირითად კონკურენტს".[1]

შესაძლოა, ფილოსოფიის მიერ დასაბუთებული მომავლის სამი ალტერნატივიდან ამჟამად მართლაც შეიქმნა პირობები იმ ალტერნატივის ფაქტობრივი შესაძლებლობისა, როცა უნდა დამყარდეს ტოტალიტარული, ტექნოკრატიული წყობილება, რომელშიც მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღმოჩნდება პროვილეგირებული, ტექნოკრატიული, გაბატონებული ელიტის ბატონობის ქვეშ.

აშშ, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი სახელმწიფო უკვე გახდა მსოფლიოს ბატონი. ზოგადსაკაცობრიო

---

17 Огни Кавказа, 1996, 5стр. За СССР, 1996.

მორალის და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ის ვალდებულია დაიცვას სუსტი და პატარა საქართველო იმპერიალისტური და აგრესიული მთავრობისაგან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების კეთილობის გამო მცხოვრებ უცხოტომელებს თაყიანთი „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნაში ეხმარება კრიმინალურ-მაფიოზური სტრუქტურების გამოყენებით, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლისა და მისი მეშვეობით გამდიდრებისათვის მგლებივით იბრძვიან. საქართველოს მთავრობებმა აშშ-ის მთავრობას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია კავკასიაში მისი ბატონობის გავრცელებაში. და ამიტომ ისიც ვალდებულია დაიცვას ქართველი ხალხი ოკუპანტებისაგან.

ამჟამად საქართველოში შექმნილ უკიდურესად მძიმე ვითარებაში პოლიტიკური პანაცეაა საქართველოზე დამყარდეს საერთაშორისო მეურვეობა, რაც შესაძლებლობას მისცემს მას განვითარდეს დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური პროგრესის მიმართულებით.

მეოთხე პარაგრაფი. ქართული სახელმწიფო ხელისუფლების საფუძვლები და მათი დეტერმირებადი როლი ხელისუფლების ტიპის მიმართ

ჭეშმარიტად დიდი მეცნიერული აღმოჩენაა იდეა, რომლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლება საბოლოო ანგარიშით, დეტერმინირებულია ეკონომიკური ხელისუფლებით და კონკრეტულად გამოხატავს სოციალური ხელისუფლების ეკონიმიკურ ინტერესებსა და მოთხოვნებს. პოლიტიკური ხელისუფლება არის ეკონომიკური ხელისუფლების ასახვა, რომლის წყაროა სიმდიდრე და ფული, რომელთა მფლობელები ამჟამად ფაქტობრივად მართავენ საქართველოს.

პოლიტიკური ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეკონომიკური ხელისუფლება თითქოს თავს არიდებს ყოველგვარ გარეგან ატრიბუტიკას, აშკარად არ აჩვენებს თავის თავს, მაგრამ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანების ქცევას პოლიტიკურ სცენაზე. ასეთი ფარული და რთული გაელენის წესი შესაძლებლობას აძლევს ეკონომიკურ ხელისუფლებას იმოქმედოს ეფექტურად.

გამოჩენილმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ეკონომიკური ხელისუფლების ნამდვილი ბუნება. მათ დაამტკიცეს, რომ საზოგადოების ერთ პოლუსზე სიმდიდრის დაგროვებას აუცილებლად მოჰყვება ადამიანთა გაღარიბება მეორე პოლუსზე, რის გამოც იზრდება სოციალური დაძაბულობა, კლასობრივი ანტაგონიზმი, წარმოიშობა რევოლუციის წანამძღვრები. მჩაგვრელების ლიკვიდაცია ხდება.

ისტორიულმა გამოცდილებამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ ღარიბთა რიცხვის, დისპარიტეტის შემცირება სიმდიდრესა

და სიღარიბეს შორის განაპირობებს საზოგადოების სტაბილიზაციას, ემსახურება სოციალურ პროგრესს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საქართველოში რაციონალური, პროგრესული გარდაქმნების განხორციელება, ვინაიდან ისინი ობიექტური აუცილებლობაა.

უკიდურესად საშიში სოციალური დისპარიტეტი საქართველოში წარმოიშვა მოკლე დროში ეროვნული ქონების მძარცველური პრივატიზაციისა და სტიქიური ბაზრის მოქმედების შედეგად. 30 წლის წინ საქართველოში ის იყო 1:6. ამჟამად კი შეადგებს 1:30, რამაც შექმნა დაძაბული სოციალური ვითარება. ჩვენმა „დემოკრატმა“ საქმოსნებმა უნდა შეიგნონ, რომ ასეთ შემთხვევაში არავითარი მოწოდებანი სოციალური კონსენსუსის შესახებ შედეგებს არ გამოიღებს და ჩვეულებრივი ყბედობაა. საჭიროა იმ მიზეზების მოსპობა, რომლებმაც ეს ბოროტება გამოიწვია.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლება ფუნდამენტალური ხასიათის უნდა გახდეს. მან უნდა შეძლოს აქტიურად და ეფექტურად იმოქმედოს ეკონომიკურ ხელისუფლებაზე, გახდეს ქვეყნის რაციონალური ხელმძღვანელი დაწესებულება, განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი რეფორმები, რომლებიც სასარგებლოა ქართველი ხალხისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური საფუძველია ახალგამომცხვარი და უკიდურესად პარაზიტული ნეობურჟუაზია და მისი პოლიტიკური მოკავშირე წვრილი ბურჟუაზიის სახით. საქართველოში მძარცველური პრივატიზაციის გამო სოციალურ-კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი სწრაფად დამთავრდა, საზოგადოება ანტაგონისტურ კლასებად და ფენებად დაიყო. საჭიროა სახელ-

მწიფო ხელისუფლების რეორგანიზაცია, მისი გადაქცევა მორალურად სუფთა, აქტიურ ხელისუფლებად იმ მიზნით, რომ ანტაგონისტურად დაპირისპირებულმა სოციალურმა წარმონაქმნებმა არ დაშალონ სოციუმი ნაწილებად, არ ჩააგდონ ინტერესების „გარკვევის" მორევში მოუთოკავი ძალების გამოყენებით, რაც სავსებით მოსალოდნელია.

სოციალური წინააღმდეგობის გადასაჭრელად, ადამიანებს, ჯგუფებს, კლასებს შორის არსებული ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, სხვადასხვა ინტერესების ჰარმონიზაციის მისაღწევად ქართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს საზოგადოების მხარდაჭერას, რაც განაპირობებს ხელისუფლების სოციალურ ლეგიტიმურობას, რაც მისი სტაბილურობის მნიშვნელოვანი პირობაა. ხელისუფლებისადმი პატივისცემა არის მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური დედაარსი. ამაში მდგომარეობს ხელისუფლების განხორციელების ღრმა საიდუმლოება, რაც მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს.

მოსახლეობის მხრივ სახელმწიფო ხელისუფლების მხარადჭერა შეიძლება იყოს გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი. პირველი ეყრდნობა სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობის შედეგების ობიექტურ შეფასებას, გაცნობიერებას, მეორე კი მითებს, ემოციებს, კომფრომიზმსა და სხვა. აუცილებელია ქართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ მიაღწიოს მოსახლეობის გაცნობიერებულ მხარდაჭერას.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობს შექმნას საზოგადოებაში წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ის არის ზნეობრივი, სამართლიანი. მისი ზნეობრივი იდეალები უნდა იყოს არსებობა და მოღვაწეობა მხოლოდ საერთო სიკე-

თის მისაღწევად, სამართლიანობის დასაცავად, პიროვნების ყოვლისმხრივი განვითარების მისაღწევად. ხელისუფლება, რომელიც იყენებს მეთოდებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ იდეალებს და ღირებულებებს, ითვლება ამორალურად, ზნეობრივ ავტორიტეტს მოკლებულად. სასურველია საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება წარმოადგენდა გამონაკლისს.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების სრულფასოვნება დიდად არის დამოკიდებული ქართველი ხალხის ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ და ეროვნულ ტრადიციებზე. თუ ხელისუფლება დაეყრდნობა ტრადიციებს, მაშინ ის იქნება მყარი და სტაბილური. ამიტომ ჩვენი ხელისუფლება მზრუნველობით უნდა მოეპყრას ტრადიციებს, თავის ისტორიულ, ეროვნულ და სოციალურ-კულტურულ სათავეებს. ეს შესაძლებლობას მისცემს მას იყოს ავტორიტეტული და პატივცემული ხალხის თვალში. ასეთ შემთხვევაში მას სულ უფრო ნაკლებად მოუხდება გამოიყენოს იძულებითი მეთოდები თავისი მრავალრიცხოვანი ფუნქციების განხორციელებაში.

ევროპომანიით შეპყრობილი ქართული სახელმწიფო ხელისუფლება კი ჩვენს საზოგადოებაში იმ უცხოელების ტრადიციებსა და ზნეობას ნერგავს, რომლებმაც დიდი-ბოროტებანი ჩაიდინეს სხვა ხალხების წინაშე. ფიზიკურად გაანადგურეს რიგი ხალხები – აბორიგენები ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. მოსპეს ბევრი ებრაელი, რუსი, პოლონელი და სხვა. გერმანელი ნაცისტები გერმანელი ხალხის ფანატიკური მხარდაჭერით სლავი ხალხების, ებრაელების და სხვა მთლიანად მოსპობას აპირებდნენ. ამჟამად კი გაერ-

თიანებული ძალებით აგრესიულ ომებს აწარმოებენ, რომლებშიც ბევრი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ქართველებიც. ასეთი ადამიანების ზნეობა საქართველოში არ უნდა „გადმოვიტანოთ" და გავავრცელოთ.

ახლანდელი სახელმწიფო ხელისუფლება არ არის მტკიცე და ძლიერი უფრო მეტადაც თავის თავზე ზრუნავს მაშინ, როცა საჭიროა ქართელი ხალხის განვითარებაზე ზრუნვა, დარწმუნება მისი ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობაში. ამიტომ მას ობიექტურად სჭირდება იდეოლოგია, იმ იდეების სისტემა, რომლებიც მტკიცედ დაკავშირებულია ხელისუფლებრივი სუბიექტის ინტერესებთან. ასეთი იდეოლოგიით ჩვენი ხელისუფლება ცდილობს გაამართლოს თავისი მიზნები, მათი მიღწევის მეთოდები და ხერხები. იდეოლოგია ცდილობს ხელისუფლებას მოუპოვოს გარკვეული ავტორიტეტი, დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესები და ამოცანები მთლიანად შეესაბამება ხალხის მიზნებსა და ამოცანებს.

თანამედროვე ქართული იდეოლოგია არის ნაკლებ პროგრესული და ნაკლებ სამართლიანი იდეების სისტემაა. ის პოპულისტურია ვინაიდან საერთო სახალხო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემა გაამართლა, რაც ახალი ტიპის ექსპლუატატორების წარმოშობის საფუძველი გახდა, ამართლებს აგრესიულ ომებში საქართველოს დამღუპველ მონაწილეობას. დამახინჯებულად ასახავს რეალობას, ხელს არ უწყობს მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარებას.

საქართველოში ველური კაპიტალიზმის პირობებში, დემოკრატიული განვითარების საწყის სტადიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ობიექტი და სუბიექტი ანტაგონისტურად დაპირისპირებული ფენომენებია, მათი დაახლოების

ტენდენციაც კი არ შეინიშნება. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ ყველა მოქალაქე არის მხოლოდ ქვეშევრდომი, ამიტომ, როგორც საზოგადოების წევრი ის ფაქტობრივად არ არის ხელისუფლების პირველმატარებელი და პირველწყარო. მას ფორმალურად აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არჩევით, წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებაში, წამოაყენოს და აირჩიოს კანდიდატები ამ ორგანოში, გააკონტროლოს მათი საქმიანობა, გახდეს მათი დათხოვნის ინიციატორი. ჩვენს მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს რეგიონალური და სხვა გადაწყვეტილებების მიღებაში უშუალო დემოკრატიის მეშვეობით. სამწუხაროდ, აღნიშნული უფლებები ჩვენი ადამიანების პოლიტიკურად ნაკლები განათლებულობისა და ნაკლები კულტურის გამო სწორად არ გამოიყენება. ჩვენს საზოგადოებაში არიან მხოლოდ ხელისუფალნი და ქვეშევრდომები; მათ შორის თანდამთხვევას არ აქვს ადგილი. ამიტომ საზოგადოებაში ხელისუფლების ზნეობრივ-იდეოლოგიური ლეგიტიმურობა დაბალია.

ამჟამად საქართველოში არსებობს იდეოლოგიის ორი ძირითადი სახე. პირველი არის რელიგიური იდეოლოგია, რომელიც დამყარებულია რელიგიურ მოძღვრებებზე და მითებზეც კი. ის ცდილობს წარმოადგინოს სახელმწიფო ხელისუფლება როგორც იდუმალი და შეუცნობადი, მისტიკური და საკრარული ფენომენი. ადამიანებს უნერგავს აზრს მისი ღვთიური წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ. ეს აზრები ცივილიზებულ საზოგადოებაში საუკუნეების წინ უარყოფილი და დაგმობილი იყო დიდი ბურჟუაზიული რევოლუციების მიერ საფრანგეთში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ჩამორჩენილობამ, ფილოსოფიისა და მეცნიერების განუვითარებლობამ განაპირობა რელიგიური მსოფლმხედველობის უზომოდ დიდი გავრცელება. ქართველებს არ ჰყავდა რელიგიის გამოჩენილი კრიტიკოსები, როგორც ფრანგებს, ინგლისელებს და ევროპის სხვა ცივილიზებულ ხალხებს, რომლებმაც აღმოაჩინეს რელიგიის მიერ სამყაროსა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობისა და ბუნების არაობიექტური ანალიზი და შეფასება.

ქართველებს არ მოუხდენიათ ანტიფეოდალური და ანტირელიგიური რევოლუციები, როგორც ეს გააკეთა თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების მოსახლეობის წინა თაობებმა, რომლებმაც რელიგია და ხუცები სამართლიანად გააკრიტიკეს და დაგმეს, ობიექტური რეალობის დამახინჯებულად ასახვისა და ხალხის მჩაგვრელი მებატონე ფეოდალებთან თანამშრომლობისა და მათი დაცვისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია და მისი იდეოლოგების მოღვაწეობა.

ამჟამად ადამიანების მატერიალური ცხოვრების პირობების ძლიერმა გაუარესებამ და სხვა პირობებმა გამოიწვიეს მათი შიში, დაძაბუნება და მფარველობისათვის მიმართეს ზებუნებრივ ღვთაებრივ ძალებს, რომლებიც მათივე ფანტაზიით არის შექმნილი.

იქმნება შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის ნაწილს არასწორი წარმოდგენა აქვს რელიგიური სასამართლოს — ინკვიზიციის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეების, ფილოსოფიისა და მეცნიერების წარმომადგენელთა მიმართ;

ანტიფეოდალური და ანტირელიგიური რევოლუციების შესახებ ცივილიზებულ ქვეყნებში განმანათლებლობისა და რენესანსის ეპოქების შესახებ; სამრეწველო და მეცნიერული რევოლუციის შესახებ ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში; თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და გამოჩენილი ათეისტების მოღვაწეობის შესახებ და სხვა.

აღნიშნული და სხვა ანალოგიური მოვლენების წარმოშობისა და განვითარების პროცესში ადგილი ჰქონდა რელიგიის ზოგიერთი დებულების მეცნიერულად დასაბუთებულ უარყოფას, ეკლესიისა და ხუცების საქმიანობის კრიტიკას რომლებიც ახლაც მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში.

აუცილებელია, ქართველმა პროგრესულმა მოღვაწეებმა და ინტელიგენციამ მიმართოს ჩვენს უგანათლებულეს პატრიარქს თხოვნით იმის შესახებ, რომ რელიგიურმა ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში თავი არ შეიკავონ ფიდეიზმის, ობსკურანტიზმის, კლერიკალიზმის გამოყენებისაკენ. ნუ ჩაერევიან სახელმწიფო ხელისუფლების მოღვაწეობაში; ნუ შეუშლიან ხელს ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რომელთა შედეგებით თვითონაც და მორწმუნეებიც სარგებლობენ; სწორი, ობიექტური მსოფლმხედველობითი ინფორმაცია გაავრცელონ ხალხის მასებში და მორწმუნეთა შორის; ნუ ისარგებლებენ მსოფლმხედველობითი კონიუქტურით, კარგი ქართველი ხალხის მიმდობლობით და მიამიტობით, რაც დროებითი მოვლენა არის; ნუ დავიყვანთ ქართველ ხალხს შუასაუკუნეების დონეზე.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების იდეოლოგია უნდა იყოს საერო იდეოლოგია, როგორც პოლიტიკური,

სამართლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფილოსოფიური იდეების სისტემა. უნდა განახორციელოს ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ საერო იდეოლოგია გახდეს მაქსიმალურად მეცნიერული, ქვეყნის განვითარების იდეურ-თეორიული საფუძველი. მან მიზნად უნდა დაისახოს ისეთი მითების უარყოფა, როგორიც არის უმოკლეს დროში იდეალური საზოგადოების შექმნა, კაპიტალიზმის მუდმივად საზოგადოებრივ წყობილებად გამოცხადება. უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებადი ეკლესიური კაპიტალიზმის გამოვლინებების შესაკეცად და უვნებელსაყოფად. ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მოსასპობად და სხვა. საერო ხასიათის მითებმა გარკვეულწილად შეუწყვეს ხელი ჩვენი ხელისუფლებისთვის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერას. ამჟამად საქართველოში დიდია საერო იდეოლოგიის როლი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის აუცილებლობის დასაბუთება, რომელიც განპირობებულია იმითაც, რომ მოსახლეობა მოუმზადებელია დემოკრატიული რეჟიმისათვის; ის უკვე ოცდაშვიდი წელია ანარქიასა და ქაოსში, კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა მოსახლეობაში დაინერგოს საერო ხელისუფლების კულტური ფორმა, რომელიც დარაზმავს, გააერთიანებს ადამიანებს, რომლებმაც თვითლიკვიდაციამდე მივიყვანეთ თავი.

მეხუთე პარაგრაფი. ქართული სახელმწიფო ხელისუფლება, კანონიერება და დისციპლინა, მათი კატასტროფული მდგომარეობა

ქართული სახელმწიფო ხელისუფლება და კანონიერება ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული მოვლენები და ცნებებია. სამწუხაროდ, მათი თანაფარდობა ჩვენს მეცნიერებაში გამოკვლეული არ არის, რაც მეცნიერთა გაუმართლებელი უყურადღებობის შედეგია. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ გამოსწორებული უნდა იქნეს.

ქართული კანონიერება შეიძლება განსაზღვრული იქნეს, როგორც კანონების დაცვა და აღსრულება ყველას მხრივ, როგორც მათი თანმიმდევრული და განუხრელი გატარება ცხოვრებაში, ადამიანების ქცევაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მოქმედებაში. კანონიერების ცნებაში შეტანილია აგრეთვე თვით კანონების მაღალი ხარისხი.

სამწუხაროდ, ჩვენი ადამიანების ნაწილის მიერ კანონი სრულებითაც არ აღიქმება როგორც კრებითი სახე, რომელიც განასახიერებს სიბრძნეს, სიკეთეს, სამართლიანობას, კოლექტიურ გონებას და სხვა. ეს განპირობებულია იმით, რომ ქართული კანონები მნიშვნელოვანწილად მოკლებული იყო აღნიშნულ ღირსებებს. აქედან წარმოიშვა კანონის წმინდანობისა და უზენაესობის უგულებელყოფის აზრი და მისი შესაფერისი ქცევა, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენა ქართულ საზოგადოებას.

თანამედროვე საქართველოში კანონიერება ფორმალურად წარმოადგენს ქართული სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მოღვაწეობის კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის საფუძველზე სახელმწიფოს ყველა ორგანო იქმნება კონსტი-

ტუციის და სხვა კანონების საფუძველზე, ისინი ფუნქციონირებენ მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. აქ გამოიყენება სამართლებრივი რეგულირების ნებადამრთველი ტიპი – აკრძალულია ყველაფერი გარდა იმისა, რაც პირდაპირ ნებადართულია კანონით. კანონი კი ნებას რთავს სახელმწიფო ორგანოებს იმოქმედონ მკაცრად განსაზღვრულ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სახელმწიფო და მისი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებანი, აღკვეთონ თვითნებობა და უკანონობა. ქართული კანონიერება არის აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უმნიშვნელოვანესი მეთოდი, რაც მდგომარეობს კანონების მომზადებასა და მათ ცხოვრებაში განუხრელ გატარებაში იმ მიზნით, რომ საზოგადოებაში მიღწეული იქნეს ორგანიზებულობა და წესრიგი.

კანონიერებასთან უშუალოდ დაკავშირებულია საკანონმდებლო ხელისუფლება, რომლითაც თავის თავს გამოავლენს კანონებში. ამიტომ კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების პირველი სუბსტანცია. კანონების მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლება არსებით ცვლილებას განიცდის. კანონებში და კანონების მეშვეობით ის თვითნებობიდან ხდება საყოველთაო და სავალდებულო ნორმა. ქართულ სახელმწიფო ხელისუფლებას ობიექტურად სჭირდება კანონიერება, რომელიც მას გახდის მტკიცედ, სავალდებულოდ, გაადიდებს მის სიძლიერეს და შემოქმედებით შესაძლებლობებს.

ეკონომიკის სადირექტივო და პირდაპირი გეგმიანი ხელმძღვანელობის გაუქმების შემდეგ საჭირო გახდა მასზე ზემოქმედების ახალი მეთოდი – ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება კანონის მეშვეობით, მაგრამ კანონების რეალიზაციის რეალობა ქართულ სახელმწიფოსთვის აღ-

მოჩნდა აქილევსის ქუსლი, მან ვერ შეძლო კანონების აღსრულება.

უსუსური აღმოჩნდა სასამართლო ხელისუფლება. კანონები ცოცხლობენ და მოქმედებენ იმდენად, რამდენადაც ეფექტურად მოქმედებს მათი რეალიზაციის უზრუნველმყოფელი სასამართლო ხელისუფლება. ამჟამად საქართველოში კანონიერების კრიზისი ვლინდება სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხშირ შეუსრულებლობაში, დამნაშავეობის ზრდაში, სამართლებრივი ნიჰილიზმის მაღალ დონეში. ქართველი საზოგადოება მიუახლოვდა სამართლებრივი ბერკეტების სრულ დევალვაციას. კანონიერების სისტემური კრიზისი არის სახელმწიფო ხელისუფლების კატასტროფული მდგომარეობის ნიშანი, მისი აშკარა გამოხატულება.

ძლიერი, აქტიურად მოქმედი, ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება არის კანონიერებისა და მართლწესრიგის პოლიტიკური გარანტი. მხოლოდ მას შეუძლია შეაჩეროს ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდა, თვითნებობა და სხვა.

სახელმწიფო ხელისუფლებისაგან განუყოფელია დისციპლინა. მეცნიერებაში დისციპლინის არსებით ნიშნად მითითებულია დაქვემდებარების ურთიერთობანი. მართლაც, დაქვემდებარების გარეშე შეუძლებელია დისციპლინა, რომელიც ყველაზე ზოგადი სახით შეიძლება განსაზღვრული იქნეს როგორც საზოგადოებრივი კავშირი, რომელიც გამოხატავს დაქვემდებარებას. მაგრამ დისციპლინის ასეთი დახასიათება არ არის საკმარისი, ვინაიდან არ ითვალისწინებს მის ბუნებას. დაქვემდებარების ურთიერთობანი, დაქვემდებარებულობა გამომდინარეობს ხელისუფლებიდან ან ავტორიტეტიდან. ამიტომ დისციპლინა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ხელისუფლების გამოვლენისა და რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმა საზოგადოებრივ ცხოვრე-

ბაში. მისი მიზანი და დანიშნულება არის უზრუნველყოს ადამიანების ერთობლივი შეთანხმებული მოღვაწეობა.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ფუნქციონირებს სახელმწიფო (პოლიტიკური) და სამოქალაქო (სამოქალაქო საზოგადოების არაპოლიტიკური) ხელისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებულია სახელმწიფო-სამართლებრივი დისციპლინა, რომელიც წარმოქმნილია ქართული სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, სამართლისაგან, უფრო ზუსტად, იურიდიული ვალდებულებებისაგან, როგორც აუცილებელი ქცევის საზომი. ამიტომ იურიდიული ვალდებულებანი წარმოადგენენ დისციპლინის სამართლებრივ გამოვლენას.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ჩვენს საზოგადოებაში დისციპლინის პრობლემები მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ სავსებით მოგვწყებულია. ქვეყანაში ადგილი აქვს მასობრივ უდისციპლინობას, რაც საქართველოს კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზია. საეჭვოა ასეთი მდგომარეობა გამოწვეული იყოს ქართული სულის უდისციპლინო, ანარქისტული ხასიათიდან, როგორც ჩიჩინებენ მისი მტრები. ასეთი მდგომარეობის შექმნის ერთ-ერთი მიზეზია ქართველი ხალხის შინაგანი და საგარეო მტრების საქმიანობა იმ მიზნით, რომ საქართველოში გავრცელებულიყო ომის ახალი ტიპი სრული ანარქია და ქაოსი, მმართველობაში რომელთა პირობებში საქართველოს მტრებს ქართველი ხალხის და მისი ხელისუფლების უწესრიგობის, დაბნეულობის გამო მიეცემოდა შესაძლებლობა, მიეღწია საქართველოს დაშლისა და ქართველი ხალხის რაოდენობრივი შემცირებისათვის.

დიდ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოება ჩავარდა უკიდურესობაში 20-ე საუკუნის

ბოლოს გაიტაცა გვიანი შუა საუკუნეების, ადრებურჟუაზიული ლიბერალიზმის იდეებმა. ჩვენ'ში დიდი მონდომებით და გატაცებით ადიდებდნენ და ადიდებენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, თავგამოდებით მოითხოვდნენ და მოითხოვენ მათ დაწესებას და განხორციელებას, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს საზოგადოებაში მოვალეობების ეთიკური კატეგორიის ხსენებაც კი არ არის. ადამიანები მრავალრიცხოვან ვარიანტებში ზეპირად და წერილობით იმეორებენ პოსტულატებს „უფლება არის თავისუფლების საზომი", „სამართალი არის უფლებები". და თითქოს, შეგნებულად საზოგადოების მიმართ ბოროტი განზრახვით უარყოფენ დიდი ხნის წინათ დამტკიცებულ ჭეშმარიტებებს იმის შესახებ, რომ უფლება არის არამარტო თავისუფლების საზომი, არამედ უფლებებისა და აუცილებლობის საზომიც, რომ სამართალი არის არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობების განუყოფელი ერთიანობა. სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციაშიც დაშვებულია უფლებებისა და მოვალეობების დისბალანსი, მის მეორე თავში აკურატულად ჩამოთვლილია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუციაში ჩამოთვლილი მაინც უნდა იყოს ადამიანის ძირითადი მოვალეობებიც და მითითებული მათი შესრულების უაცილებლობაც. რაც უფრო მეტია უფლებები, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოვალეობებიც. მთავარი კი ის არის, რომ ხელისუფლებამ იზრუნოს უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის გარანტიებზე, დააფიქსიროს ეს აზრი სახელმწიფოს უზენაეს კანონში.

უფლებებსა და მოვალეობებს, დემოკრატიასა და დისციპლინას შორის რაციონალური თანაფარდობის დარღვევამ ჩააგდო ჩვენი საზოგადოება ქაოსისა და ანარქიის მორევ-

ში, განაპირობა სახელმწიფო-სამართლებრივი დისციპლინის მოშლა, სახელმწიფო მმართველობის პარალიზება.

ქართველი და არაქართველი მავანი, რომელსაც თავი უსაშველოდ კულტურული და განათლებული ჰგონია, არღვევს სამართლის ნორმებს, ყრის რკინიგზის რელსებს, კეტავს საავტომობილო გზებს და მოქალაქეებს არ აძლევს გადაადგილების შესაძლებლობას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ურცხვად ხმარობს უწმაწურ, უბინძურეს სიტყვებს, ხულიგნობს და შეურაცხყოფას აყენებს ადამიანებს, არღვევს დაწესებულებათა შინაგანაწესს, სასწავლო და სამხედრო დისციპლინას და სხვა. შიმშილობის გამოცხადება მთავრობის სახლთან წამოწოლა გახდა თანამდებობების მიღების მეთოდი და საშუალება.

დისციპლინის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტებით, რაც სრულებითაც არ გამოიყენება დისციპლინის დამრღვევი ადამიანების მიმართ იმის შიშით, რომ „არადემოკრატებად“ ჩაგვთვლიანო. დანავარდობს ანარქიისა და ქაოსის შემქმნელი დისციპლინის დამრღვევი ადამიანთა დიდი ჯგუფები, რომლებიც თავის თავსაც ღუპავენ და საქართველოსაც.

მეექვსე პარაგრაფი. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცების პრობლემები

საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურად გამოცხდების შემდეგ დაიწყო ახალი პოსტსოციალისტური სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესი. ეს პროცესი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის აბსოლუტურად მოუმზადებლობის გამო მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მძიმედ, წინააღმდეგობრივად, რომელსაც თან ახლავს დიდი, ადამიანური დანაკარგები და სხვა კატასტროფული მოვლენები. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ მიზანს ვერ მიაღწია, ქვეყანა გაძარცვეს, დანაწევრდა და სრული კრახი განიცადა.

საქართველოს ახალი სახელმწიფო ხელისუფლება არადამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის ფუნქციებს შემდეგი მიზეზების გამო. **პირველი**, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ადამიანთა ჯგუფებს არ ჰქონდათ არსებული საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის რევოლუციურად გარდაქმნის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, მათი იდეებისა და წინადადებების განხორციელება მაშინ შეუძლებელი, არარეალური იყო და ამიტომ ისინი მნიშვნელოვანწილად დეკლარაციად დარჩა.

ახალი, პროგრესული და ქმედითი სახელმწიფო ხელისუფლების შესაქმენლად საჭირო იყო ძველი სახელმწიფო ხელისუფლების რევოლუციური გარდაქმნის ობიექტური აუცილებლობის დასაბუთება, მისი მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი შედეგების მეცნიერული ანალიზი და შეფასება, ახალი ხელისუფლების ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა და მოღ-

ვაწეობის პროგრამის წარდგენა საზოგადოებისათვის, ახალი სახელმწიფო ხელისუფლების უპირატესობების ჩვენება სოციალისტურ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან შედარებით. ახალი, ანტისაბჭოთა იდეები და დებულებანი უნდა გაერთიანებულიყო ერთიან თეორიულ კონცეფციაში, როგორც ამას მოითხოვს მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია.

ხელისუფლებისათვის მგლური მეთოდებით მებრძოლმა ადამიანებმა კი საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია და ახალი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა დაიწყეს მეცნიერული პროგრამის გარეშე ლიტერატურულ ჟურნალისტიკურ დონეზე, ამიტომ მიზანს ვერ მიაღწიეს.

მეორე. საბჭოთა და ფორმირებად ბურჟუაზიულ ხელისუფლებას შორის არ იყო შენარჩუნებული ისტორიული მემკვიდრეობა, მოხდა ძველი ხელისუფლების სრული უარყოფა. საბჭოების მწყობრი სისტემა ცუდად არ იყო შეწყობილი ჩვენი ქვეყნის მართვასთან, მაგრამ საბჭოები შეცელილი იყო პარტნომენკლატურით. საჭირო იყო ასეთი ურთიერთობის შეცვლა. ელემენტარული პოლიტიკური წინდახედულობა იმაში მდგომარეობდა, რომ სრულეყოთ საბჭოების სისტემა და არ დაენგრიათ ის. პოლიტიკური გარდაქმნების შედეგად ის ახალ შინაარსს შეიძენდა. საქართველოს მმართველობის ახალი სისტემა სრულებითაც არ სჯობნის წინანდელს. ის ზორზოხია, სუსტია მისი რგოლების სისტემაწარმომქმნელი კავშირები, ცუდად ურთიერთობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ა.შ. დიდად სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი დრო დავხარჯეთ ნგრევაზე და ამიტომ არ გვყოფნის ძალები აღმშენებლობით საქმიანობაზე.

მესამე. დიდი ზიანი სახელმწიფოსა და საზოგადოებას მიაყენა ქართველი დისიდენტების, „დემოკრატების“ და მისთანების მითებმა კრიზისული ეკონომიკის ავტომატურად

გაჯანსაღების შესახებ ბაზრისა და გაუპიროვნებელი მონეტარიზმის მეშვეობით. ჩვენმა სახელმწიფოს მართვის აბსოლუტურად უცოდინარმა ვაუბატონებმა ქართველ ხალხს თავს მოახვიეს ცრუ ალტერნატივა: ან წინანდელი სახელმწიფო, დირექტიული ეკონომიკა ან სახელმწიფოსაგან მთლიანად დამოუკიდებელი ბაზარი. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს მოხდა მე-20 საუკუნის ბოლოს, როცა სახელმწიფო ხელისუფლება ყველა სხვა ქვეყანაში აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური პროცესების რეგულირებასა და წარმართვაში. საქართველოსთვის ამ დამღუპველმა ალტერნატივამ დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფო ხელისუფლების როლის დაცემას და დასუსტებას.

მეოთხე. ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეების პოლიტიკური შეცდომა, იმაშიც გამოვლინდა, რომ მათ არ ჰქონდათ შემუშავებული ახალი სახელმწიფო აპარატის ფორმირების მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა. სახელმწიფო აპარატში ძველი ნომენკლატურის ადგილები დააკავებინეს უფრო დაბალი რანგის ასეთივე ნომენკლატურას ხელისუფლებაში მოვიდა ბევრი დისიდენტი, თვითდაჯერებული დილეტანტი და შარლატანი, დემაგოგი და კარიერისტი, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ სახელმწიფოზე და მისი მართვის მეცნიერებაზე, რის გამოც საქართველომ სრული კატასტროფა განიცადა. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ვითარების შექმნა, როცა ქართველი ხალხი დემაგოგებსა და კარიერისტებს, სხვისი შრომის მითვისებით გამდიდრების ვნებით შეპყრობილ ადამიანებს სახელმწიფო ხელისუფლებაში არ დაუშვებს, ხოლო იქ უკვე მოკალათებულებს გააძევებს და პასუხს აგებინებს. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა ხალხის პოლიტიკური შეგნებულებისა და პასუხისმგებლობის გამომუშავება და ამაღლება, ამ მიზნით მისი გაერთიანება.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის პერიოდული წმენდის მეთოდის შემუშაება და დანერგვა, რაც აამაღლებს სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტს, დაძლეული იქნება საზოგადოებაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ, თითქოს ხელისუფლება მარტო ბოროტებაა, რომ საჭიროა სახელმწიფო მმართველობის შეკვეცა, შემდეგ კი სახელმწიფოს მოსპობა.

მეხუთე. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კატასტროფული დაცემა, მოსახლეობის გაღატაკება. ამ და სხვა მოვლენებმა შეარყიეს ახალი სახელმწიფო ხელისუფლების საფუძვლები, დაასუსტეს ისინი. ადამიანთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ისეთი „გარდაქმნები", რომლებსაც პირობების მოუმზადებლობის გამო ტრაგიკული შედეგები მოჰყვა, სრულებითაც არ იყო საჭირო და სასარგებლო ქართველი ხალხისათვის. ისინი ანტიხალხური, რეაქციული, მისი ორგანიზატორებს პასუხი უნდა მოთხოვონონ.

მეექვსე. თანამედროვე მსოფლიოს ბატონის, დიდად პატივცემული აშშ მთავრობის პოზიცია რომელმაც საქართველოში შექმნილი სომხური ხელისუფლება არ აიძულა ნაწილობრივ მაინც დაეცვა ქართველი ძველი. ქართველმა ხელმძღვანელებმა გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა და მარშალმა ლ. პ. ბერიამ დიდი დახმარება აღმოუჩინეს აშშ და მის მთავრობას. ეს ის მე-6 არმიამ გამანადგურებელი მარცხი მიაყენა მოკავშირეებს: ამერიკელმა სარდალმა, მომავალმა პრეზიდენტმა გენერალმა მიზანჰაუერმა დაკარგა ჯარების მართვა, ხოლო ინგლისელი სარდალი ფელდმარშალ მამონტმომერმა ყოველგვარი კაშირი დაკარგა მის დაქვემდებარებულ ნაწილებთან, ვერ შეძლეს მისი პოვნა. ინგლის-ამერიკს ჯარებს ზღვაში იგადაყრას უპირებდნენ. უინ-

სტონ ჩერჩილმა მარშალი ი.ბ. სტალინისგამოუგზავნა დეპეშა: "თუ ღერთი გწამთჩაერიეთ, თორემ ჩვენს ჯარებს ზღვაშიგადაყრიანო. მარშალი ი. სტალინის ბრძანებით დაიწყომასირებული შეტევა საბჭოთა კავშირ-გერმაის ფრონტზე, სადაც მისმა მეომრებმა თავები დადეს. თანამედროვე ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ტიპი და ფორმა ქართველი ხალხის თანამედროვე განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისია. ამიტომ მისი რევოლუციური გზით შეცვლა დადებით შედეგებს არ გამოიღებს. საჭიროა მან განახორციელოს რაციონალური საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხელი შეუწყოს სოციალური სამართლიანობის დამყარებას, იბრძოლოს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისთვის და სხვა პროგრესული ღონისძიებების განხორციელებისათვის. მხოლოდ ასეთი ღონისძიებების გამტარებელი სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა, იყოს ძლიერი და აქტიური ხელისუფლება, დაიმსახუროს ხალხის მხარდაჭერა და შეძლოს მისი სახელმწიფოებრივი ფუნქციების განხორციელება. მხოლოდ ძლიერი, ხალხის სასარგებლოდ მოღვაწე, რაციონალური გადაწყვეტილებების მიმღები სახელმწიფო ხელისუფლება შეძლებს საქართველოსთვის სასარგებლო მოღვაწეობას, რასაც მომვალი თაობები დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ.

ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე არ შეიქმნება სოციალურად ორიენტირებული, ხალხის მატერიალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ეკონომიკა, არ იქნება დაცული საკუთრების მიზანშეწონილი და აუცილებელი ფორმები, არ აღორძინდება ქართველი მეცნიერება და კულტურა, არ დამყარდება სოციალური სამართლიანობა, კანონიერება და ზნეობრიობა. ძლიერ სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია დაიცვას მოქალაქეთა უშიშროება და

სიმშვიდე. ის არის სტაბილურობის მტკიცე და რეალური გარანტი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების და განმტკიცების ერთადერთი საშუალება.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების განტკიცების პრობლემები საგანგებოდ აქტუალური და რთული პრობლემაა. საჭიროა გამოვლენილი და მოსპობილი იქნეს ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს სახელმწიფო ხელისუფლების უკიდურესი დასუსტება. ასეთი მიზეზებია: ეკონომიკის კატასტროფული დაცემა, სოციალური უსამართლობის ახალი ფორმების წარმოშობა, ახალი ექსპლუატატორული კლასის წარმოშობა, შინაგანი და გარეშე მტრების ანტიქართული საქმიანობის გაძლიერება, ძლიერი შეიარაღებული ძალების არქონა, ქართველი ხალხის მასობრივი აპათია და სხვა.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერების მნიშვნელოვანი საშუალებაა მისდამი ხალხის ნდობის შეძენა. წლების განმავლობაში სახელმწიფო ორგანოები, უპირატესად უმაღლესი, საესებით წინდაუხედავად კარგავდნენ ხალხის ნდობას, რის გამოც კატასტროფულად სუსტდებოდა მათი სოციალური ლეგიტიმურობა. ამჟამად სიტუაციამ კრიტიკულ მომენტს მიაღწია. მიუხედავად ხალხის აღშფოთებისა, ხელისუფლება მაინც თავს არიდებს გადაუდებელ საჭირო ზომების განხორციელებას. საჭიროა შეიქმნას ისეთი სახელმწიფო აპარატი, რომელიც იმუშავებს სახოგადოების სამსახურის პრინციპით და არა თავისი კეთილდღეობის მიღწევისათვის. შექმნილი კატასტროფული მდგომარეობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება დეპუტატებს, მოსამართლეებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარების მეცნიერული პროგრამის შემუშავება,

რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ ქართული სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი საფუძველებია ხალხურობა, სულიერება, პატრიოტიზმი და ქართველი ხალხის წამყვანი როლი ქვეყნისა და სახელმწიფოს მართვაში და სხვა.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო აპარატის მუშაკების პროფესიონალიზმზე. საჭიროა მისი სისტემატური სრულყოფა იმ მიზნით, რომ გაამართლოს თავისი დანიშნულება, ხარისხიანად შეასრულოს თავისი ფუნქციები. სახელმწიფო აპარატმა უნდა უზრუნველყოს იმ საკითხების დროული და ხარისხიანი გადაწყვეტა, რომლებიც მის კომპეტენციაში შედიან. საჭიროა ქართული სახელმწიფო აპარატი დაკომპლექტდეს სახელმწიფოს თეორიის, მისი მართვის მეცნიერების მცოდნე სპეციალისტებით. სახელმწიფო უნდა მართონ გამოცდილმა პოლიტიკოსებმა, ვინაიდან ის პოლიტიკური დაწესებულება არის, იურისტებმა, ვინაიდან ის საკანონმდებლო, ორგანო არის. ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ნაკლებკვალიფიციურობა და ნაკლებკომპეტენტურობა განაპირობა იმანაც, რომ მას მართავდნენ ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკური საქმიანობის არავითარი გამოცდილება, ორგანიზატორული და ადმინისტრაციული მუშაობის არავითარი უნარი არ ჰქონდათ. არ მოდგენა არ ჰქონდათ. მათთვის პოლიტიკური ეთიკა ხომ მთლიანად უცხო სხეული იყო. ამ მხრივ რეკორდი დაამყარეს სახელმწიფო აპარატში მოკალათებულმა ლიტერატორებმა, ჟურნალისტებმა და მისთანებმა რომელთა პროფესია, პოლიტიკური საქმიანობა არ არის სახელმწიფო აპარა-

ტის . სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი. კერძოდ, სახელმწიფო აპარატისა და მისი შენახვის ხარჯების შეკვეცა იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნეს ოპტიმალური რიცხობრივი თანაფარდობა მმართველებსა და მართულებს შორის. გასათვალისწინებელია ის, რომ სახელმწიფო აპარატს გააჩნია თვითგადიდების ტენდენცია; პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობის გაზრდა მათთვის მინდობილი საქმისათვის; მუშაობის ისეთი სტილის შემუშავება, რომელშიც შერწყმული იქნება კომპეტენტურობა, დისციპლინირებულობა და გაბედული ინიციატივა; ნორმატიული და სტიმულირებად-ორგანიზაციული საფუძვლების შექმნა სახელმწიფო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შრომის შესაფასებლად; ყველა ორგანოს და მისი შინაგანი ქვედანაყოფების კომპეტენციის და ფუნქციების ზუსტი და გარკვეული სამართლებრივი რეგლამენტაცია, მმართველობითი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემოღება; სახელმწიფო მოსამსახურეების დისციპლინარულ და მატერიარულ პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძვლებისა და პროცედურის შემუშავება; შესრულების შემოწმების კონტროლის გაძლიერება; აღსრულებითი დისციპლინის განმტკიცება; ანტიკორუფციული მექანიზმების ფუნქცინირებაზე კონტროლი; შემოსავლების მკაცრად აუცილებელი დეკლარაცია, კონტროლი სახელმწიფო თანხების ხარჯვაზე, მოსამსახურეთა ატესტაცია და საკონკურსო შერჩევა.

შტატების დაუსაბუთებელი გადიდება ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნამდვილი ჭირი და უბედურებაა. სახელმწიფო აპარატის საერთო რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდე-

ბა, რაც მისი ბიუროკრატიზაციისა და სახელმწიფო მმართველობის დონის დაქვეითების აშკარა ნიშანია.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის პერიოდული წმენდის მეთოდისა და პრაქტიკის შემუშავება და დანერგვა. ეს აამაღლებს სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტს, დაძლეული იქნება საზოგადოებაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ, თითქოს სახელმწიფო ხელისუფლება არის მხოლოდ რეაქციული პოლიტიკური ფენომენი და საჭიროა მისი თანდათანობითი ლიკვიდაცია.

საქართველოში არაეფექტურია კონტროლი მართვის ხარისხზე, თუმცა არსებობს უწყებრივი და არაუწყებრივი მაკონტროლებელი ორგანოები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ ასეთივე ორგანოს კონტროლი არ შეიძლება იყოს ქმედითი, ვინაიდან მაკონტროლებელ და კონტროლორებად ორგანოებს მიდრეკილება აქვთ აპარატის ისეთი თვისებებისადმი, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, უპასუხისმგებლობა და კორუფცია. ჩვენს ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატი გამოყვანილია წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ხალხის კონტროლიდან, სახეზეა კორუფცია და ჩინოვნიკური თვითნებობის პარპაში.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირებაში აღინიშნება პოზიტიური მოვლენებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ ძალზე არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს კონსტიტუციური დებულებების რეალიზაცია სასამართლო ხელისუფლების ფორმირებისა და სრულყოფის შესახებ. სულ უფრო ეფექტური ხდება

საზოგადოებაში ფუნქციონირებადი ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტები. ჩვენდა საბედნიეროდ, ყურადღება მახვილდება ადამიანის მიერ მოვალეობების შესრულების პრობლემაზე. რომლის გარეშე ჩვენ უმძიმესი მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. სახელმწიფო სამართლებრივი საშუალებებით იწყებს ზემოქმედებას ეკონომიკაზე; კონსტიტუირება ხდება ხელისუფლებრივი სტრუქტურების პოლიტიკური შეთანხმების ახალი ფორმებისა - კონსულტაციები, მრგვალი მაგიდები. სულ უფრო დინამიური, სოციალურად მნიშვნელოვანი ხდება საკანონმდებლო პროცესი; დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელებული გარდაქმნების არატენდენციურად შეფასების პროცესი; გაძლიერდა სახელმწიფო აპარატის კორუმპირებული მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

განვითარების პროცესში მყოფ პოზიტიური მოვლენების მრავალრიცხოვან საშიშაო და გარეშე მტრებს შეუძლიათ შეაჩერონ აღნიშნული პროცესები, გააძლიერონ კატასტროფული მოვლენები. საჭიროა მათი გამოვლენა და სასტიკი დასჯა.

სახელმწიფო აპარატის არსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისები. ზოგიერთი მეცნიერი მას აიგივებს საზოგადოების პოლიტიკურ სისტემასთან[2]. სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოების პოლიტიკური სისტემის თანაფარდობის შესახებ გამოთქმული ეს თვალსაზრისი მეცნიერულად დასაბუთებული არ არის.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცნება ფარ-

2 М.Н.Мареенко, Теория государства и права Изд-во МГУ, 2004, стр. 343

თო და მრავალასპექტიანი ცნებაა, მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო აპარატის ცნებასთან, მაგრამ თავისი ლოგიკური შინაარსით სრულებითაც არ ემთხვევა მას, განსხვავებული ცნებაა. ეს ცნება მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებისა და ორგანოების მთელ კომპლექსს, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კომპონენტებია აგრეთვე პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმები, ჩვეულებები, ტრადიციები. პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც მყარდება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის; პოლიტიკური ურთიერთობანი, რომლებიც მყარდება არასახელმწიფო გაერთიანებებს შორის; ცალკეული ინდივიდების, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციების წევრების პოლიტიკური მოღვაწეობა; პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც ასახავს პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

განსხვავებული ლოგიკური შინაარსი გააჩნია სახელმწიფო აპარატის ცნებას. ის ასახავს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ურთიერთკავშირს რომელიც თავის მხრივ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი ელემენტია. სახელმწიფო აპარატის ცნებაში ასახულია სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოთა სისტემა, როგორც საკანონმდებლო საქმიანობის განმხორციელებელი ორგანოების და მათი სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ძიმართება; აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა, რომლებიც აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ეწევიან; სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, რომ-

ლის ძირითადი ფუნქცია არის მართლმსაჯულების განხორციელება, აგრეთვე პროკურატურის სახედამხედველო ორგანოები და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სადისკუსიოა აგრეთვე სახელმწიფო აპარატისა და სახელმწიფო მექანიზმის თანაფარდობის პრობლემაც. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თითქოს სახელმწიფო მექანიზმებისა და სახელმწიფო აპარატის ცნებები იდენტურია[3].

საერთოდ სახელმწიფოს მექანიზმი და, კერძოდ, ქართულის წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო ხელისუფლების მატერიალური საშუალებების ერთობლიობას. სახელმწიფო აპარატი კი არის მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების სისტემა. ამიტომ სახელმწიფო მექანიზმის ცნება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო აპარატის ცნება, მათი იდენტიფიკაცია არ არის მეცნიერულად დასაბუთებული.

---

3 Х. Лопанюк В.Н. Теория государства и права Изд-во М. 1993, стр.100-101

მესამე თავი
თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, მისი კატასტროფული მდგომარეობის დაძლევის ოპტიმალური გზები და საშუალებანი

პირველი პარაგრაფი. ქართული პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ელემენტების თანამედროვე მდგომარეობა

ისევე როგორც ყველა სხვა, ქართული პოლიტიკური ცხოვრებაც მოიცავს პოლიტიკის გამოვლენის ყველა ფორმას, ყველაფერ იმას, რაც ხდება საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში.

პოლიტიკურ ხელისუფლებას და პოლიტიკას გააჩნია ძლიერი დინამიკური უნარი და შესაძლებლობანი. ისინი არიან საზოგადოების პოლიტიკური სფეროს ყველა ელემენტის მამოძრავებელი ფაქტორები, სისტემატურად წარმოქმნიან პოლიტიკურ კავშირებსა და მოვლენებს, ხელს უწყობენ პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტურად ფუნქციონირებას, შინაარსობრივად ავსებენ საარჩევნო სისტემებს და დემოკრატიის ფორმებს, სტიმულს აძლევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობას. თავის მხრივ პოლიტიკური ცხოვრება სტაბილურ ხასიათს აძლევს მთლიანად საზოგადოებას, ხელს უწყობს მის მართვადობასა და წესრიგის დამყარებას.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას გააჩნია მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები.

პირველი. ის პირდაპირ დაკავშირებულია პოლიტიკურ ხელისუფლებებთან, რომელიც განსაზღვრავს მისი მოღვაწე-

ობის შინაარსს, უზრუნველყოფს საზოგადოებაში მისი გამოვლენას, რეალიზაციას.

მეორე. პოლიტიკური ცხოვრება ვლინდება პოლიტიკურ კავშირებში და ურთიერთობებში, რომლებიც ქმნიან მის მატერიალურ-პრაქტიკულ საფუძვლებს. თავისი არსებით პოლიტიკური ურთიერთობანი მრავალფეროვანია, რომელთაგან აღსანიშნავია: ურთიერთდამოკიდებულება მართვის სუბიექტების – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის; დამოკიდებულება მათსა და მოსახლეობას შორის; დამოკიდებულებანი მმართველთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის და სხვა.

მესამე. პოლიტიკური ცხოვრება ეყრდნობა პოლიტიკურ გამოცდილებასა და პოლიტიკურ ტრადიციებს, ადამიანისა და ცალკეული სოციალური ჯგუფების ქცევის მოტივიზაციას. მასში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანების მოთხოვნებსა და ინტერესებს, მათ სოციალურ ღირებულებებსა და ღირებულებით ორიენტაციებს, მიზანდასახულებებს. ისტორიული გამოცდილებით დადასტურებულია აზრი იმის შესახებ, რომ, როგორც ეპყრობა ხელისუფლება ქვეშევრდომების მოთხოვნებსა და ინტერესებს, ისეთნაირადვე ეპყრობა ქვეშევრდომები ხელისუფლებას.

მეოთხე. საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების დონე პირდაპირ დამოკიდებულებაშია პოლიტიკურ ცნობიერებასთან, ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ კულტურასთან, რომლის დონე ჩვენში დაბალია. სამწუხაროდ, პოლიტიკური ხელისუფლება ნაკლებად ცდილობს მის ამაღლებას, რაც სავსებით სამართლიანად მის ერთგულებაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. ასეთი სავალალო მდგომარეობა საქართველოს ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზია.

მეხუთე. ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული სოციალური საზღვრები. მას აქვს უნარი შეაღწიოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, შეიტანოს ცვლილებები მათში, მოაწესრიგოს ისინი. თავის მხრივ კი, პოლიტიკური ცხოვრების სფეროში წესრიგი მთელი საზოგადოების სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცხოვრება ყველაზე უფრო კონცენტრირებული სახით ვლინდება შემდეგში. პირველი, ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების ფუნქციონირებაში. მეორე, პოლიტიკურ დემოკრატიაში, რომელიც აკავშირებს მოქალაქეებს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ ცხოვრებასთან; მესამე, მოქალაქეების მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციაში; მეოთხე, პოლიტიკურ რეჟიმსა და პოლიტიკური ძალების მეტოქეობაში.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცხოვრება არ არის მისი ელემენტების მექანიკური ჯამი. ის ორგანულად მთლიანი, პოლიტიკური ფენომენია, რომლის ელემენტები მუდმივად ურთიერთკავშირში არიან, სუბორდინაციისა და კოორდინაციის ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. ამიტომ მათი ერთმანეთისაგან იზოლირებად განხილვა არ იძლევა შესაძლებლობას მეცნიერულად დადგენილი იქნეს მათი არსება, განაპირობებს პოლიტიკური ცხოვრების დამახინჯებულად წარმოდგენას.

ქართული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება განსაზღვრულია საზოგადოების პირველსაფუძვლით, მისი სუბსტანციით, რომელიც არსებობს ობიქტური ხასიათის მოვლენებში. ამ მხრივ განმსაზღვრელია ეკონომიკური, ბაზისური ხასიათის ურთიერთობანი, რომლებიც წარმოადგენენ

იმ ობიექტურ ეკონომიკურ ფუნდამენტს, რომელზედაც დამყარებულია საზოგადოების მთელი პოლიტიკური ცხოვრება.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცხოვრების ღრმა ფესვები მდგომარეობს მასში მონაწილე მრავალფეროვანი პოლიტიკური ძალების, კლასების, სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების და სხვათა მოღვაწეობაში. ამ პოლიტიკური ძალების უკან დგანან სასწრაფოდ უკანონოდ გამდიდრებულ ადამიანთა ჯგუფები, მათი აპოლოგეტები, მოსახლეობის ღარიბი ფენები, მათი დამცველი ორგანიზაციები და ინდივიდები.

ქართულმა სახელმწიფო-პოლიტიკურმა ხელისუფლებამ და მისმა იდეოლოგებმა პოლიტიკური ცხოვრების სუბსტანცია უნდა ეძებონ არა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში მოღვაწე იდეალისტ-ფილოსოფოსის პლატონის მიერ შექმნილ მოძღვრებაში საზოგადოების სუბიექტური საფუძვლის შესახებ, არამედ თანამედროვე ფილოსოფიისა და მეცნიერების თვალსაზრისში საზოგადოების ობიექტური საფუძვლების შესახებ და იხელმძღვანელონ მათი დებულებებითა და დასკვნებით ჩვენი სახელმწიფოს რაციონალურად მართვის მეცნიერული საფუძვლებით.

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული დემოკრატია და მისი ფუნქციონირების კატასტროფული შედეგები

საზღვარგარეთულ და ქართულ მეცნიერებაში ძნელად მოინახება ისეთი ტერმინი, რომელიც ისე ხშირად გამოიყენებოდეს, როგორც ტერმინი „დემოკრატია“, რომელიც მე-19 და მე-20 საუკუნეებში გაბატონებული ტერმინი გახდა. ამასთან ერთად, მან დაკარგა მკაფიოდ გამოხატული მყარი ხასიათი, ამჟამად ცნება და ტერმინი „დემოკრატია” ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაურკვეველი და ფალსიფიცირებული ცნება და ტერმინებია.

დემოკრატიის ფუნდამენტალური ცნების ასეთი სავალალო მდგომარეობა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

პირველი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ საზოგადოებაში პოლიტიკურად გაბატონებულმა მდიდართა ფენამ და სახელმწიფო ხელისუფლების განმხორციელებელმა ადამიანთა ჯგუფმა საქართველოს მოსახლეობას დაჰპირდა ბევრი სოციალური და პოლიტიკური სიკეთე, მათ შორის სახელმწიფო მმართველობის დამოკრატიული ფორმის დამყარება. ამ დაპირების რეალიზაცია შეუძლებელი იყო რიგი ობოექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო. პირველი, საქართველოს მოსახლეობა აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო საზოგადოების დემოკრატიული მმართველობის ფორმისათვის. მეორე, საბჭოთა დემოკრატიის შენარჩუნება ახალი მმართველებისათვის შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს ხელს უშლიდა მოპარული ქონების გამოჩენას. სახალხო ქონების დიდი რაოდენობით მიმტაცებლებს სიკვდილითაც კი სჯიდნენ. მესამე, ფაქტობრივი დემოკრატიის დამყარების შემთხვევაში სახელმწიფო

ხელისუფლება ვერ შეძლებდა მისი და მის უკან მდგომი სოციალური საყრდენის ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის უზრუნველყოფას.

თანამედროვე საქართველოს მრავალრიცხოვანი „დემოკრატები", პოლიტიკანები და მისთანები მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობენ დამახინჯებულად წარმოუდგინონ საზოგადოებას პოლიტოლოგიის ისედაც ბუნდოვანი დემოკრატიის ცნება კარიერისტული, უტილოტარისტული მოსაზრებებით.

დემოკრატიის თეორიულ პრობლემებს შორის ზოგიერთი ვაუბატონი განსაკუთრებული მონდომებით ცდილობს გააყალბოს პოლიტიკური დემოკრატიის სოციალური არსი და ბუნება, წარმოადგინოს ამჟამად საქართველოში არსებული პოლიტიკური დემოკრატია საერთო-სახალხო ფენომენად. დაამტკიცოს, რომ, თითქოს, ქართველი ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების პირველწყარო არის, რომ, თითქოს, ხელისუფლება ხორციელდება ხალხის მიერ ხალხის ინტერესების შესაბამისად.

საერთო-სახალხო დემოკრატია კაცობრიობისა და საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში არასდროს არ არსებულა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ის დიდ განმანათლებელ სოციალისტთა უტოპიურ ოცნებად დარჩა. საზოგადოების მდიდარი, მჩაგვრელი ნაწილი კანონსაწინააღმდეგო მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე აღწევს თავისი ვიწროკლასობრივი დემოკრატიის დამყარებას. ჩვენში რეალური დემოკრატია არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობის ფორმალური თანხმობის პირობებში.

ამჟამად ქართულ საზოგადოებაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებულმა კლასმა აქცენტი გადაიტანა

დემოკრატიის პიროვნულ ასპექტზე – ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე, თითქოსდა, როგორც ადამიანის ენერგიის, თავისუფალი შემოქმედებითი და აღმშენებლობითი გამოყენებისათვის პირობების შექმნაზე, რაც ჩვეულებრივი ფიქცია და მორიგი სიცრუეა: ფორმალური უფლებები და თავისუფლებანი არაფრით გარანტირებული არ არის, მათი განხორციელების არავითარი პირობა არ არსებობს ჩვენს საზოგადოებაში.

საქართველოში ფორმალური, ფსევდოდემოკრატიის არსებობა განაპირობა რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია ახლო წარსულში ჩვენი ქვეყნის დიდი სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა; თანამედროვე ფაქტობრივი დემოკრატიის დანერგვისათვის აუცილებელი ტრადიციების არარსებობა, დემოკრატიული მართვაზე ბუნებრივი, თანდათანობითი გადასვლის ზოგადსაკაცობრიო კანონზომიერების დარღვევა, მოსახლეობის პოლიტიკური განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან პოლიტიკური ინსტიტუტების მექანიკური გადმოღება და სხვა მოვლენები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ხელისუფლება იძულებული იყო, დემოკრატიის კლასიკური ცნების ლოგიკურ შინაარსში შეეტანა „განეთავსებია“ მთელი რიგი ფორმალური, არარეალური ხასიათის დაპირებები, რომელთა პრაქტიკული რეალიზაციისათვის საზოგადოებაში არანაირი საფუძვლები და მატერიალური შესაბამისობანი არ არსებობდა. მოხდა დემოკრატიის, ცნების შინაარსის მნიშვნელოვანი შეცვლა, გამოფიტვა და გადაქცევა არაფრისმთქმელ პროპაგანდისტულ ლოზუნგად.

დემოკრატიის ცნების ლოგიკური შინაარსის ფალსიფიკაციაში სამარცხვინო როლი შეასრულა ზოგიერთმა

მეცნიერმაც. სხვისი ნაშრომის დატაცებისა და მითვისების გზით სასწრაფოდ გამდიდრებული ადამიანთა ხელისუფლების დაკვეთით. ისინი ამ ადამიანების კლასობრივ დემოკრატიას საერთო-სახალხო დემოკრატიად აცხადებენ, ფაქტობრივად სახელმწიფოს მართვის პრიმიტიულ დიქტატორულ ფორმას დემოკრატიულ ფორმად აცხადებენ, ხოლო დიქტატორული სახელმწიფო რეჟიმს – დემოკრატიულ რეჟიმად. ზოგიერთი მათგანი კი დემოკრატიული მმართველობის ფორმისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელ ხალხს დემოკრატიული მართვა-გამგეობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ; ამიტომ შედეგები კატასტროფულია.

საქართველოში ფუნქციონირებადი სახელმწიფო მმართველობის ფორმა ქართველებს ჭეშმარიტ დემოკრატიად გაყალბებულად წარმოუდგინეს საზღვარგარეთელმა პოლიტიკურმა მტრებმაც. იმაში დარწმუნებულნი, რომ თანამედროვე საქართველოში ფაქტობრივი დემოკრატიისათვის საჭირო პირობების არარსებობის გამო ასეთი სახის დემოკრატია ვერ დამყარდებოდა. ისინი შეგნებულად აცხადებდნენ და აცხადებენ მას ნამდვილ დემოკრატიად და მოუწოდებდნენ ჩვენს ხალხს მისი აღიარებისკენ. ანარქიისა და ქაოსის პირობებში მათი ანტიქართული მიზნების მიღწევა ადვილი იყო და არის.

ქართული, ისევე, როგორც საერთოდ პოლიტიკური დემოკრატია რთული, მრავალასპექტიანი ფენომენია. მისი ცნების შინაარსი და მოცულობა წარმოადგენენ ამ ცნებაში განზოგადოებულ და ასახულ პოლიტიკურ მოვლენათა არსებითი ნიშნების ერთობლიობას,რომელთა მიხედვით ხდება მოვლენათა განზოგადება და გამოყოფა დემოკრატიის ცნებაში.

პოლიტიკური დემოკრატიის ცნებაში ფორმალურად ასახულია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შემდეგი

ძირითად მოვლენათა არსებითი ნიშნები: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების, სახელმწიფო მმართველობის ფორმის, საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის მასების მონაწილეობის უზრუნველყოფის, ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების, მისი ინტერესების შესაბამისად და სხვა ძირითადი ნიშნები.

საერთოდ, დემოკრატიას და კერძოდ, ქართულ დემოკრატიას ოპონენტებიც ჰყავს, მაგრამ, როგორც პოლიტიკური ფენომენი ის მაინც ადამიანის გენიის დიდი გამოგონება არის. თანამედროვე პირობებში მისი მნიშვნელოვანი დისკრედიტაცია განპირობებულია იმით, რომ ჩვენი ფეხის ხმას აყოლილი ე.წ. „დემოკრატები" მის დანერგვას ცდილობენ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც დემოკრატიის დადებითი ფუნქციონირებისათვის აბსოლუტურად არ იყო და არ არის მომზადებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი პირობები და შესაძლებლობები. ამიტომ ის ამჟამად ხალხისთვის სასარგებლო მოვლენა არ არის, ბევრი უბედურების მიზეზია, ვინაიდან საზოგადოებრივი ანარქია და ქაოსი გამოიწვია საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეების გაკეთების მაგიერ.

საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ფორმის დანერგვის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ მას ჩვენში არავითარი ისტორია და ტრადიცია არ გააჩნია. ქვეყნის ჩამორჩენილობის გამო ჩვენ'ში მე-20 საუკუნის 120-იან წლებშიც კი აბსოლუტური, გაუნათლებელი მონარქია არსებობდა, მანამდე კი მფარველად რუსეთის ნახევრადველური იმპერიის მონარქიული სახელმწიფო მოვიწვიეთ. ქართველებს ისტორიულად არავითარი, დემოკრატიული გარდაქმნა არ გაგვიხორციელებია, მე-20 საუკუნის დასაწყის'შიც კი მეფის ილუზიები გაგვაჩნდა:

ერთადერთი გამონაკლისია მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმის შემოღება. 21-ე საუკუნის დასაწყისშიც კი ქართველი „დემოკრატი“ – პოლიტიკანი საზღვარგარეთ დაეძებდა ძველი ქართული მონარქიის წარმომადგენლებს და საქართველოში ბაგრატიონთა გვარის დიდად საეჭვო მატარებლებს კომიკური ქორწინებაც კი გაუმართეს.

დემოკრატიის ცნების ლოგიკური შინაარსის თავისებური გაგება ჰქონდათ ბოლშევიკებს. ამ ცნებების ბოლშევიკურ ინტერპრეტაციაში ძირითადი იდეა იყო ხალხის მასების მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. სინამდვილეში კი პოლიტიკური დემოკრატიის ცნების მეცნიერულ შინაარსში მთავარია. სახელმწიფო ორგანოების შექმნაში, ხოლო შემდეგ მმართველობისგანხორციელებაში ხალხის მასების მონაწილეობის იდეა.

დემოკრატიის ცნების ბოლშევიკური ინტერპრეტაცია განპირობებული იყო იმით, რომ ნახევრადველური რუსეთის იმპერიაში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხები არ შეიძლება გამხდარიყო სახელმწიფოს მმართველობის დემოკრატიული ფორმის შემქმნელი და მისი განხორციელების აქტიური მონაწილეები. ამ ხალხებს, მათი აზრით, მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ პროლეტარული დემოკრატიის განხორციელებაში, რომლის მიზანი უკიდურესად ჩამორჩენილი ქვეყნის განვითარება იყო. ასეთი დემოკრატია თანდათან უნდა გაფართოებულიყო და საბოლოოდ კომუნისტური თვითმმართველობა უნდა დამყარებულიყო.

დემოკრატიულ სახელმწიფო მმართველობაში ხალხის, საზოგადოების განვითარების მაღალი დონის დიდი მნიშვნელობის არ ცოდნის გამო ჩვენ ქვეყნისათვის ბევრი საზიანო იდეა და ქმედება წამოვაყენეთ და განვახორციელეთ,

ქვეყნაში ანარქია და ქაოსი, ოხლოკრატია დავნერგეთ, ხელი შევუწყეთ ჩვენი ქვეყნის კატასტროფას. არ ვიცოდით ან შეგნებულად არ გავითვალისწინეთ აზრი იმის შესახებ, რომ ყოველგვარი დემოკრატიული გარდაქმნის აუცილებლობის კრიტერიუმია მისი სოციალური სარგებლიანობა, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და ბევრი სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო მოვლენა, რაც ჩვენ არ გავაკეთეთ. მეცნიერებაში აღიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ თუ დემოკრატიულ გარდაქმნებს არ მოჰყვება ქვეყნისა და ხალხისთვის სასარგებლო შედეგები, მაშინ ისინი კარგავენ ყოველგვარ აზრს და მათი განხორციელება სრულებითაც არ არის საჭირო, ატარებენ აშკარად რეაქციულ ხასიათს[4] მიუხედავად გარდაქმნების ავტორების კეთილი განზრახვისა. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი, საფუძვლებისა და წანამძღვრების ფორმირებამდე საქართველოში უნდა დამყარებულიყო სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც შეესაბამებოდა ჩვენი პოლიტიკური განათლების დონესა და ხასიათს, ხელს შეუწყობდა ხალხის კეთილდღეობასა და სოციალურ პროგრესს. სამწუხაროდ, ჩვენ ასე არ მოვიქეცით და ჩვენი წინდაუხედავი, ქარაფშუტული ქმედებებით ქვეყანა პირწმინდად დავღუპეთ.

დემოკრატია და თვითმმართველობა არის ადამიანების მასობრივი აღზრდისა და განათლების უმნიშვნელოვანესი საშუალება, ვინაიდან ხდება მოქალაქეების პოლიტიკური ცნობიერებისა და პოლიტიკური კულტურის ფორმირება, ადამიანის სულიერი ცხოვრების გამდიდრება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე დემოკრატიის როლი საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში, საკადრო საკითხ-

4 М.Н. Марпенко. Теория государства и права Изд-во МГУ, 2004, стр. 208

ების გადაწყვეტაში, ადამიანების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნისა და წარმომადგენლობით ორგანოებში წამოყენების პრინციპების განხორციელებაში. ამ პრინციპებს გააჩნიათ ღირსებები და ნაკლოვანებებიც.

დანიშვნის პრინციპის ძირითადი ღირსება არის ოპერატიულობა და ორგანიზაციული სიმარტივე. სახელმწიფო მმართველობის რიგ სფეროებში ეს პრინციპი შენარჩუნებულია და სავსებით სამართლიანად შეინიშნება მისი დადებითი როლი;

ამავე დროს, მას გააჩნია ზოგიერთი უარყოფითი მხარეც, არადემოკრატიულობა. ადამიანებს საქართველოში თანამდებობებზე ნიშნავენ ძირითადად პრუტექციით, პირადი ერთგულების, ნათესაობის, კუთხური მიკუთვნებულობის, ქუჩაში მოწყობილ აქციაში მონაწილეობის რაოდენობით, ყვავი-ჩხიკვის მამიდობით და სხვა ანალოგიური ნიშნების მიხედვით. თანამდებობებზე დანიშნულები სახელისუფლებო უფლებამოსილებას იღებენ არა ხალხიდან, არამედ ზემდგომი ხელმძღვანელებიდან, რომელიც წარმოშობს საზოგადოებრივი კავშირებისა და დამოკიდებულებათა არაბალანსირებულებას: დანიშნული პირის დამორჩილებაში ხვდება ასობით და ათასობით ადამიანი, რომლებისაგან ის დამოუკიდებელი ხდება. აქედან მას უვითარდება, ასე ვთქვათ, სოციალური მხედველობა და სმენა, რომლებიც მიმართულია ზევით სამსახურებრივ კიბეზე, აგრეთვე გარკვეული სიყრუე და სიბრმავე მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ადამიანების მიმართ. ეს არის კონსერვატიზმის, ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობისა, მლიქვნელობის და სხვა ანალოგიური მოვლენების საფუძველი.

თეორიულად არჩევითობა წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებისა და საკადრო პრობლემების გად-

აჭრის ერთადერთი შესაძლებელი გზა არის. არჩეულმა ხელმძღვანელმა უნდა განიცადოს ემოციური კმაყოფილება იმის გამო, რომ მას ენდნენ და პატივი სცეს, აგრეთვე დიდი მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. ამან უნდა გამოიწვიოს საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი მომთხოვნელობის გაზრდა.

თეორიულად ხელმძღვანელობის არჩევითობის იდეამ და პრაქტიკამ უნდა შეცვალოს რიგითი მუშაკების ფსიქოლოგიური განწყობა და სტერეოტიპები უფროსობის კატეგორიისა და თავისი საკუთარი სტატუსის მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ადამიანების ხელისუფლებისა და მმართველობისაგან თვითგასხვისების ფსიქოლოგიური განწყობა, რაც ჩვეულებრივ, მასობრივ ცნობიერებაში გამოიხატება ფორმულით „უფროსობამ უკეთ იცის",„ჩვენ პატარა ადამიანები ვართ,ჩვენ არ გვეკითხებიან".

აღნიშნული ფორმულების ნაცვლად აუცილებელია საზოგადოებაში დამკვიდრეს პრინციპულად სხვა აზრები. კერძოდ, „ხალხი უკეთ ხედავს", „ჩვენ გვეკუთვნის ხელისუფლება", „ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ" და სხვა ანალოგიური ხასიათის იდეები. ასეთი იდეები უნდა წამოაყენონ საქმის მცოდნე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებმა.

აღნიშნული ორი განწყობის არსებობა ასახავს ჩვენი დროის საქართველოში არსებული მდგომარეობის წინააღმდეგობრივ ხასიათს. ცნობილია, რომ ფსიქოლოგიური განწყობები ინერტულია და ძნელია მათი დაძლევა, მაგრამ რაც უფრო ინტენსიურად განვითარდება საქართველო დემოკრატიული აქტიური განწყობების მიმართულებით, მით უფრო დაჩქარდება მისი პროგრესი.

ალტერნატივის „არჩევა-დანიშვნა" ანალიზისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ არჩევნები საკადრო

პოლიტიკის გადაწყვეტის უფრო რთული გზაა, რომლის დადებითი და უარყოფითი მხარეები დიდად არის დამოკიდებული მათი ჩატარების რაციონალურ ორგანიზაციაზე. თეორიულად არჩევნების ღირსება არის ქვემოდან ინიციატივის საფუძველზე წამოყენების დემოკრატიული მექანიზმი, პროფესიული, კვალიფიკაციური, გამოცდილი და ზნეობრივად სუფთა ადამიანების მმართველობის ყველა დონეზე, მათ შორის პოლიტიკური ლიდერობისაც. თუ აღნიშნული მოთხოვნები არ იქნება დაცული, ყველა მისი ღირსება მთლიანად უკვალოდ გაქრება.

საკადრო პოლიტიკის აქტუალური პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა არჩევნებისა და დანიშვნის მეთოდების შეხამება.

დემოკრატიული მართვა-გამგეობისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელ საქართველოში საჭიროა არჩევითი ორგანოების რაოდენობრივი შემცირება, ზოგიერთი მათგანის სანახევროდ არჩევით ორგანოებად გადაქცევა, მათი იურისდიქციის შეღწუდვა. ეს განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკური განათლებისა და კულტურის შეძენის დაწყებით სტადიაზე მყოფი საქართველოს მოქალაქენი არჩევით ორგანოებში ღირსეულ ადამიანებს ვერ ირჩევენ და ვერც აირჩევენ და ამიტომ კატასტროფული პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენი პარლამენტიც კი ნაწილობრივ არჩევით ორგანოდ უნდა გადაიქცეს.

საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი დანიშვნობადობის ტენდენციის გასაძლიერებლად. ეს პრინციპი უნდა დაინერგოს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა სისტემაში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში წესრიგისა და დისციპლინის დამყარებას, ქვეყნის განვითარებას.

დემოკრატიის სოციალური ღირებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის არის ერთ-ერთი შესაძლებელი სა-

შუალება ხალხის ნების გამოვლენისა და აკუმულაციისა, მისი კანონში აყვანისა, კანონების ცხოვრებაში გატარების მნიშვნელოვანი გარანტია.

საქართველოში საკადრო პრობლემის გონივრული გადაწყვეტის მნიშვნელოვანი პირობაა აგრეთვე, ძველი და ახალი კადრების რაციონალური შესამების და თანაფარდობის უზრუნველყოფა.

ელემენტარული გონიერება მოითხოვს იმას, რომ კადრები შერჩეული იქნეს არა მათი ახალგაზრდობის, „გადადექის" ხმამაღალი ძახილის, არამედ მათი კვალიფიკაციის, კომპეტენტურობისა და ზნეობის მიხედვით. მხოლოდ ასეთი თვისებების მქონე კადრებს შეუძლია საზოგადოებისათვის დადებითი საქმეების გაკეთება. ასეთი კადრები მცირე რაოდენობით მაინც იარსებებს ჩვენში.

ქართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ქვეყნის მმართველობაში მოიყვანა სახელმწიფოს მართვის აბსოლუტურად უცოდინარი დილეტანტები, რომლებმაც ქვეყნის მმართველობიდან დაითხოვეს უკიდურესად ჩამორჩენილი საქართველოს განვითარებაში დიდად დამსახურებული სპეციალისტები, რომლებმაც საქართველოს მსოფლიოში გაუთქვეს სახელი. შინაგან საქმეთა მინისტრად ახალგაზრდა მოჭიდავე დანიშნეს, ჯანდაცვის მინისტრად – რიგითი ექიმი, რომელმაც, როგორც ამბობენ სახალხო ქონების ნაწილი საზღვარგარეთ გაიტაცა; განათლების მინისტრად მთლიანად გამოუცდელი „ანტისოვეტჩიკობით" ცნობილი ლიტერატორი დანიშნეს, რომელსაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დიდი მეცნიერების ხელმძღვანელობაც ევალებოდა. სპეკულაციური ფილოსოფიის წარმომადგენელი ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორად განაწესეს, რომლისთვისაც მთლიანად შეუფერებელი იყო. მხატვარს

თავდაცვის მინისტრის მეტად საპასუხისმგებლო პოსტი ჩააბარეს. ახალგაზრდა კადრებმა საქმის უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის დაცემას, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას, გამოიწვიეს ქართველთა დიდი მსხვერპლი დასახული მიზნების მიუღწეველად. საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში ასეთ შემზარავ მოვლენას ჯერჯერობით არ ჰქონია ადგილი.

საქართველოს საკონსტიტუციო კანონმდებლობამ საზღვარგარეთის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობიდან მექანიკურად გადმოიღო მათი დემოკრატიის პრინციპები. მან არ გაითვალისწინა ის ძირითადი აქსიომა, რომლის თანახმად პოლიტიკური დემოკრატიის მხრივ უკიდურესად ჩამორჩენილ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში განვითარებული ქვეყნების დემოკრატიის პრინციპები ვერ იმოქმედებდნენ; მათი მექანიკური დანერგვის მცდელობა საზოგადოებაში ქაოსსა და ანარქიას როგორც ომის ახალ ტიპს გამოიწვევდა და არა წინსვლას და პროგრესს.

ქართველმა პოლიტიკურმა მავანმა თავმომწონედ განაცხადა, რომ ჩვენ ექმნით სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ დემოკრატიულ ფორმას, რომელიც ცნობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებსო. ის შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალური ნიშნებით და წარმოადგინა ისინი ქართული სოციალური ცხოვრების პირობებისაგან, საქმის ფაქტიური მდგომარეობისაგან მოწყვეტით. აღნიშნულის შედეგად წარმოიშვა იდეა ე.წ. „წმინდა“ დემოკრატიის შესახებ, რომელიც გაიზიარა საზოგადოების წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. საზოგადოების ყველა

სოციალური ჯგუფის მიერ მართული საზოგადოება შეუძლებელია არსებობდეს. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების აღიარებით საქართველოს კანონმდებლობა ერთ-ერთ პირველ ადგილზეც კი დგას. ოფიციალურად აღიარებული, კანონებით დადგენილი ფართო უფლებები და თავისუფლებანი მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური რეალიზაციის შესაძლებლობებს მოკლებული, კონსტიტუციურად დეკლარირებული პროპაგანდისტული ლოზუნგია, რომელსაც ჯერჯერობით გარკვეული დადებითი შედეგები არ მოჰყოლია ქართველი საზოგადოებისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო კანონმდებლობა აღიარებს, რომ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო მომსახურება, რაც სრულებითაც არ არის საკმარისი ავადმყოფებისათვის. საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტმა უნდა აიძულოს ხელისუფლება უპირობოდ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღადგინოს ყველასთვის მისაწვდომი უფასო სამედიცინო მომსახურება, საავადმყოფოში უფასო კვება და სხვა. საქართველოში ავადმყოფობით ბევრი ადამიანი დაიღუპა ფასიანი სამედიცინო მომსახურების დაწესების გამო. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ.

საქართველოს კონსტიტუციის შემქმნელებმა 52-ე მუხლში დააფიქსირეს, რომ „საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია“[5].

აღნიშნული კონსტიტუციური დებულება სოციალურად მიზანშეწონილი და საზოგადოებისთვის სასარგებლო სრულებითაც არ არის. ამ შემთხვევაში საქართველოს

21 საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 1995. გვ.52

პარლამენტის ზოგიერთ წევრს მინიჭებული აქვს სრულიად შეუფერებელი და დაუმსახურებელი სტატუსი, რომელსაც გარკვეული ნაწილი არ იმსახურებს. მათ აკლიათ ზოგადი და პოლიტიკური განათლება და კულტურა, პოლიტიკური მუშაობის უნარი და გამოცდილება, ზნეობრიობა. ზოგისა-პარლამენტო დებატები შეიცავს არაკვალიფიციურ და არაკომპეტენტურ მსჯელობებს, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ეთიკისათვის შეუფერებელ ქცევებს, ანტისამართლებრივ ქმედებებს და სხვა.

ასეთი თვისებების მქონე ჩვენი პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი თავის მნიშვნელოვან სამსახურებრივ მოვალეობებს ღირსეულად ვერ შეასრულებს და ამიტომ საჭიროა კონსტიტუციამ დააწესოს მისი გაწვევის უფლება.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ქართული დემოკრატიის სახესხვაობის პრობლემა. საჭიროა გამოკვლეული იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ დემოკრატიის რომელ სახესხვაობა – სახალხო დემოკრატია, სოციალურ-კლასობრივი, ჯგუფურ (პლურალისტურ), ინდივიდუალისტური (ლიბერალურ) სახესხვაობებია მიზანშეწონილი და სასარგებლო ქართველი ხალხისათვის.

მოძღვრებას სახალხო დემოკრატიის შესახებ მეცნიერული საფუძვლები ჩაუყარა ჟ.ჟ. რუსომ სახალხო სუვერენიტეტის კონცეფციაში, რომლის შემადგენელი ნაწილია იდეა სახალხო დემოკრატიის შესახებ. ცნება „სახალხო დემოკრატია“ თავისი ლოგიკური შინაარსით შედარებით მცირე მოცულობისაა, ვიდრე ცნება „სახალხო სუვერენიტეტი“, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ ქვეყნის მთელი მოსახლეობის უფლებასა და ფაქტობრივ შესაძლებლობას, თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ქვეყნის პრობლემები, საკუ-

თარი სურვილის მიხედვით წარმართოს მის მიერვე შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლება და მისი იდეოლოგები არაჩვეულებრივი თავგამოდებით ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ჩვენ'ში ამჟამად ფუნქციონირებს სახალხო დემოკრატია. მისი არსება, თურმე, იმაში მდგომარეობს, რომ მისი პირველწყარო, სოციალური სუბსტანცია არის მთლიანად ქართველი ხალხი და, თურმე, ის ხორციელდება ქართველი ხალხის მიერ მისივე ინტერესების შესაბამისად.

სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად არ ფუნქციონირებს სახალხო დემოკრატიის პრინციპები, არ არსებობს უმრავლესობის ხელისუფლება. სახელმწიფო მმართველობა არის ველური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი უმცირესობის ბატონობა უმრავლესობის ფორმალური თანხმობის პირობებში. სახეზეა აშკარა სოციალური-კლასობრივი, თანამედროვე ქართველი დაუმსახურებელი მდიდრების პრიმიტიული დემოკრატია, მათი პოლიტიკური ბატონობა.

თანამედროვე ქართულ დემოკრატიას ახასიათებს ძველი ლიბერალიზმის ზოგიერთი თვისებაც, აქცენტის გადატანა დემოკრატიის პიროვნულ ასპექტზე, ადამიანის და მოქალაქის ხელშეუვალ უფლებებზე და თავისუფლებებზე. ყველა ადამიანის თანასწორობაზე კანონისა და სამართლის წინაშე. მაგრამ ტერმინი „თანასწორობა" გაგებული უნდა იქნეს სწორად; არ უნდა იქნეს გაიგივებული გათანაბრებასთან. ადამიანებს აქვთ განსხვავებული უნარები, მაგრამ სხვადასხვა ზომით ისინი ყველას გააჩნია. ისინი ადამიანებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი შრომის მიხედვით გათანაბრებაც იწვევს არსებული ხელისუფლების დისკრედიტიზაციას.

ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია სამართლის მეშვეობით დაარეგულიროს ეკონომიკური და სოციალური პროცესები. ქართულ საზოგადოებაში კი ბობოქრობს ყოველისმომცველი, მასობრივ უბედურებათა გამომწვევი სოციალური სტიქია. ეს უნდა გაეთვალისწინებინა ქართველ ვაუბატონ ლიბერალებს.

როგორც ყველა, ქართული დემოკრატიაც არსებობს განსაზღვრულ ორგანიზაციულ და სამართლებრივ ფორმებში. ამიტომ მისი ორგანიზაციული და სამართლებრივი გაფორმების პრობლემები ყოველთვის აქტუალური იყო და არის. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ხერხების, მისი მატარებლებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით ჩვენი დემოკრატია ყლინდება ორ ძირითად ფორმაში: წარმომადგენლობით და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის ფორმებში. საქართველოში წარმომადგენლობითი დემოკრატია არის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა. მას განახორციელებენ არჩევითი კოლექტიური და ერთპიროვნული ორგანოები და არჩეული თანამდებობის პირები, რომლებიც მოქმედებენ მათი ამრჩევი მოქალაქეების სახელით. ასეთი მიდგომით დემოკრატია შეიძლება გაგებული იქნეს როგორც შეუწყვეტლივ მოქმედი და ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებელი მმართველობა. ამჟამად საქართველოში ერთპიროვნული წარმომადგენლობითი ორგანო უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი და აჭარის რესპუბლიკის პრეზიდენტი. კოლეგიალური საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანო არის და უნდა იყოს პარლამენტი. წარმომადგენლობითი კოლეგიალური ორგანოები და თანამდებობის პირები მოქმედებენ ადგილობრივ თვითმმართველობებშიც.

თანამედროვე საქართველოში უშუალო (პირდაპირი) დემოკრატია კანონმდებლობის მიხედვით უნდა ვლინდებოდეს იმაში, რომ მოქალაქეები პირადად ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას. კერძოდ, ირჩევდნენ დეპუტატებს წარმომადგენლობით ორგანოებში, იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და სხვა. ხალხის ნების, მისი ხელისუფლების უშუალო გამოვლენას წარმოადგენს რეფერენდუმი და თავისუფალი არჩევნები. უშუალო დემოკრატია საშუალებას იძლევა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმული იქნეს მთელი მოსახლეობა. განხორციელდეს ეფექტური კონტროლი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე. მაგრამ მას არ შესწევს უნარი განახორციელოს განუწყვეტელი და პროფესიული სახელმწიფო მმართველობა, რაც უშუალოდ დემოკრატიის სუსტი მხარეა. ამჟამად აუცილებელია ძლიერი პრეზიდენტის ერთპიროვნული მმართველობა.

მესამე პარაგრაფი. საქართველოში დემოკრატიისა და დისციპლინის თანაფარდობის დარღვევის ტრაგიკული შედეგები

სამწუხაროდ, საქართველოში დარღვეულია დემოკრატიისა და დისციპლინის ერთიანობისა და ურთიერთმოქმედების პრინციპი, რამაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია თანამედროვე საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა.

ჭეშმარიტი დემოკრატია ეყრდნობა დისციპლინას, მისი ფუნქციონირება შეუძლებელია ხალხის მასების შეგნებული დისციპლინის გარეშე. დიალექტიკური ურთიერთკავშირი ამაღლებს მათ სოციალურ ღირებულებას, როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებაში.

არც თუ იშვიათად, დემოკრატიასა და დისციპლინას უპირისპირებენ ერთმანეთს, განიხილავენ მათ როგორც შინაგან წინააღმდეგობაში მყოფ დაპირისპირებული თვისებების მქონე მოვლენებს.

აღნიშნულ ნეგატიურ მოვლენას ღრმა მიზეზები გააჩნია. ცნობილია, რომ საქართველოში მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ველური დამპყრობლებისა და ქართველი მჩაგვრელი კლასების ბატონობის პერიოდში დემოკრატია ქართველი ხალხისთვის მთლიანად უცნობი მოვლენა იყო. რეაქციული ძალები უკიდურესად დიქტატორული, ველური მეთოდებით თავიანთი პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებასა და გამდიდრებაზე ზრუნავდნენ, მძვინვარებდა გაუნათლებელი აბსოლუტიზმი. უკიდურესად დაჩაგრული, გაუნათლებელი ადამიანები სავსებით სამართლიანად აგრესორთა და ადგილობრივ მჩაგვრელთა სახელმწიფოს სამართლებრივ აქტებს უარყოფდნენ, მათ მოთხოვნებს არ ასრულებდნენ, რამაც განაპირობა სახელმწიფო დისციპლინ-

ის ტრადიციების არარსებობა, მასობრივი უდისციპლინობა. ბოლშევიკებმა კი მრეწველობის შექმნისა, წერა-კითხვის უცოდინარების ლიკვიდაციისათვის და სხვა აუცილებელი გარდაქმნებისთვის სასტიკი, დიქტატორული მეთოდებით ბრძოლა დემოკრატიის „ახალ, უმაღლეს ტიპად“ გამოაცხადეს, აიძულეს ადამიანები უმკაცრესი დისციპლინის ქვეშ ეშრომათ. ეს გახდა შემდეგში მათი ხელისუფლებიდან ჩამოშორების ერთ-ერთი პირობა.

თეორიულად დემოკრატია და დისციპლინა ერთნაირად ეყრდნობა ყოველგვარი სოციალური მართვის ფუნდამენტალურ პრინციპს – გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობას. ყველაზე სწორად, დემოკრატიულად მომზადებული და მიღებული გადაწყვეტილებანი საჭირო დისციპლინის გარეშე „ჰაერში არის გამოკიდებული“, გამოუყენებელი შესაძლებლობაა. ამჟამად ზოგი კარგი კანონი, მთავრობის დადგენილება, პრეზიდენტის განკარგულება და სხვა არ სრულდება უკიდურესად დაბალი სააღმსრულებლო დისციპლინის გამო. დემოკრატია დისციპლინის გარეშე არის შიშველი მბრძანებლობა, ადმინისტრირება და დატუქსვა. დემოკრატია აძლევს დისციპლინას შეგნებულ და ნებაყოფლობით ხასიათს, ვინაიდან დემოკრატიულად მიღებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ აქტს პიროვნება შეგნებულად, იძულების გარეშე უნდა ასრულებდეს.

ქართული საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილს დემოკრატია წარმოდგენილი აქვს როგორც პირადი სურვილისა და ნების შესაფერისი ქმედება და მისი შედეგები, ვერ ანსხვავებს მას ანარქიისა და ქაოსისაგან. არ ცდილობს მიიღოს პოლიტიკური განათლება და კულტურა, არ ეცნობა დემოკრატიის ისტორიასა და თეორიას, საარჩევნო სამართალს, უსიტყვოდ ასრულებს დემაგოგებისა და კარი-

ერისტების მითითებებს, ხმას აძლევს არა საქმიანი, არამედ თანამდებობის დაკავების, პირადი კეთილდღეობის მიღწევისა, ნათესაობისა, მოყვრობის და ჩვენი საზოგადოებისათვის სხვა საზიანო ნიშნის მიხედვით.

თანამედროვე საქართველოს სოციალური და ეროვნული დრამის ერთ-ერთი მიზეზია მე-20 საუკუნის ბოლოს მავანი დისიდენტებისა და დემოკრატების შუა საუკუნეების ადრებურჟუაზიული ლიბერალიზმითა და ინდივიდუალიზმით წინდაუხედავი და უზომო გატაცება, რაც სოციალურ-პოლიტიკური ანაქრონიზმია და ამჟამად სრულებით არ არის სასარგებლო ქართველი ხალხისათვის. მან გამოიწვია დემოკრატიისა და დისციპლინის, თავისუფლებისა და წესრიგის ერთიანობისა და რაციონალური ურთიერთმიმართების დარღვევა, უკიდურესად დაასუსტა და გააუფასურა ისინი. სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური, დემოკრატიული ფორმისათვის, რომელთა დანერგვას ჩვენ ნაადრევად უზომოდ ვცდილობთ სავსებით მოუმზადებლები ვართ. ჩვენი ეროვნული ტრაგედია ამითაც არის გამოწვეული. ასეთ ვითარებაში საქართველოს კატასტროფიდან ხსნის ძირითადი საშუალებაა დიქტატორული სახელმწიფო ხელისუფლება ძლიერი მეურვე სახელმწიფოს ხელმძღვანელობით.

მეოთხე პარაგრაფი. საქართველოში მრავალპარტიულობისა და პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში არჩევნების ჩატარების ნეგატიური შედეგები და მათი თავიდან აცილების გზები და საშუალებანი

ქართული ნეობურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინეს მათი საზღვარგარეთელი ბატონების დირექტივების შესრულებაში, რომელიც მოითხოვდა დემოკრატიისათვის მთლიანად მოუმზადებელ ქართულ საზოგადოებაში მრავალპარტიულობისა და პოლიტიკური პლურალიზმის დანერგვას და არჩევნების ჩატარებას. დირექტივა შესრულებული იქნა, რის შედეგად ჩვენი საზოგადოება დაიყო ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯგუფებად და ფენებად, საზოგადოება დანაწევრდა. გაჩნდა ძალზე ბევრი ორგანიზაცია, გაერთიანება და სხვა, რომლებსაც საკუთარი ეგოისტური მიზნები ამოძრავებდათ. ამ მოვლენამ გამოიწვია ქვეყნისა და მისი სახელმწიფოს დასუსტება და ბევრი სხვა ტრაგიკული შედეგი. ისტორიულად ასეთი მდგომარეობა შეიქმნა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროსაც, რაც გამოსწორებული იქნა გენერალ ნ. ბონაპარტის სამხედრო დიქტატურის მეშვეობით, რომელმაც ფრანგული საზოგადოება გააერთიანა, ქვეყანა დაიცვა ოკუპანტებისაგან.

შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაში საჭირო იყო ხელისუფლების რკინისებური ნებისყოფისა და დისციპლინის პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც თავისი მისიის შესრულების შემდეგ ტრანსფორმირებული იქნებოდა დემოკრატიულ პოლიტიკურ ორგანიზაციად.

ჩვენმა სახელმწიფოს მართვის უცოდინარმა, ფეხის ხმას აყოლილმა „დემოკრატებმა" ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ქართული საზოგადოება არ არის მომზადებული პოლიტიკური პლურალიზმისათვის მისი ისტორიული ტრადიც-

იების არქონისა და თანამედროვე პოლიტიკური განათლებისა და კულტურის ნაკლებობის გამო. ამ მიზეზით ჩვენში შეუძლებელი იყო კანონით განმტკიცებული ორგანიზებული ინტერესებისა და ძალების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რომელთა წონასწორობა უზრუნველყოფილი იქნებოდა ხელისუფლების დაყოფის სისტემით და მრავალპარტიულობით. ასევე ამჟამად მიზანშეუწონელია ხელისუფლების დაყოფის, პარლამენტარიზმის, დემოკრატიის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების პრინციპის ისეთი დანერგვა, რომლებიც ერთობლიობაში გამორიცხავენ ხელისუფლებაზე ყოველგვარ მონოპოლიას. საქართველოში ამჟამად შექმნილ უკიდურესად მძიმე პირობებში აუცილებელია ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველი დიქტატორის, ძლიერი პიროვნების მონოპოლია.

ქართულ კანონმდებლობაში აღიარებულია მოქალაქეთა საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპი, რაც თეორიულად დადებითი მოვლენა არის. მაგრამ დემოკრატიისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელმა ადამიანებმა არ გავითვალისწინეთ ის, რომ მოქალაქის საყოველთაო საარჩევნო უფლების დეკლარირება არ შეესაბამება ჩვენს სინამდვილეში არსებულ პირობებს და ამიტომ მისი აქ განხორციელება დადებით შედეგებს არ მოგვცემს. მისი რეალიზაციის ძირითადი პირობაა გარანტირებულობა, რაც ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს. არ არსებობს ამ უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობები და არც პოლიტიკური ნება, ამიტომ მისი განხორციელების მცდელობამ ხელი შეუწყო დესტაბილიზაციას, ანარქიისა და ქაოსის წარმოშობას საზოგადოების მართვაში.

ქართველმა პოლიტიკოსებმა ჩაწერეს რა კანონმდებლობაში დიდი ხნის წინათ ცნობილი მოქალაქის საარჩევნო უფლებები, მოინდომეს ჩვენი ხალხის რკინისებური მუშათა დიქტატურიდან საერთო-სახალხო დემოკრატიაში გადახ-

ტომა და იქვე თხრილში გადაიჩეხენ, ბევრი უბედურება და საშინელება მოუტანეს ქართველ ხალხს.

დემოკრატიის ისტორიისა და თეორიის ცოდნა, ელემენტარული პოლიტიკური წინდახედულება მოითხოვდა დემოკრატიის წარმოშობისა და განვითარების ზოგადსაკაცობრიო კანონზომიერების ცოდნას და გათვალისწინებას, რომლებიც აპრობირებულია კაცობრიობის პოლიტიკური პრაქტიკით.

ერთ-ერთი ასეთი საერთო-საკაცობრიო კანონზომიერება არის დემოკრატიის განვითარების ევოლუციური ხასიათი, თანდათანობითი, რაოდენობრივი ცვლილებები დიქტატორული მმართველობის ფორმაში, რაც ამზადებს თვისებრივ ცვლილებებს დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე გადასასვლელად.

საქართველოში ჭეშმარიტი,რეალური დემოკრატიის არ არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზობრივი საფუძველია მოსახლეობის პოლიტიკური განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, მისი მოუმზადებლობა საყოველთაო საარჩევნო უფლების გონივრული გამოყენებისათვის. ასეთი მდგომარეობის შეცვლის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა პოლიტიკური განათლების ცენზის დაწესება, რომელიც კლასიკური ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო. პოლიტიკურად ნაკლებგაუნათლებულმა და პოლიტიკურ კულტურას მოკლებულმა ადამიანებმა არ ვიცით პოლიტიკური დემოკრატიის არსი, როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს ასარჩევ თანამდებობის პირებს. სახელმწიფო მმართველობაში გონივრული წინადადებები და რეკომენდაციები ვერ შეგვაქვს, დეპუტატისა და თანამდებობის პირის ფუნქციონალურ მოვალეობებს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად ვერ ვასრულებთ, რითაც ქვეყანას დიდ ზიანს ვაყენებთ.

აუცილებელია გამოვლენილი იქნეს პოლიტიკური გაუნათლებებისა და უკულტურობის მიზეზით ადამიანების

მიერ საქართველოსათვის მიყენებული ზიანი და ამის შესახებ ინფორმირებული იქნეს საზოგადოება: სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ასეთი მოვლენების ინიციატორთა დასასჯელად.

საქართველოს ბურჟუაზიული კანონმდებლობით გათვალისწინებულია არჩევნების მომზადების და ჩატარების ფინანსირება, რომელიც წარმოებს შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტების ხარჯზე. ყოვლად გაუმართლებელი და უსამართლო იყო იმ დეპუტატობისა და პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდების გამოყოფა, რომლებმაც თანამდებობებზე ყოფნის დროს საქართველოს სახალხო ქონება თავიანთ მხარდამჭერებს დაურიგეს პრივატიზაციის სახით და მათგან სასტიკი მჩაგვრელი ადამიანთა დიდი ჯგუფი შექმნეს. ჩვენს ბიუროკრატ ჩინოვნიკებს ერთი წინდახედული, ჭკვიანი სიტყვა არ უთქვამთ საზოგადოებისათვის, ერთი სასარგებლო საქმე არ გაუკეთებიათ, ქვეყანა კი კატასტროფაში ჩააგდეს. საჭიროა მათ ასარჩევად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების ხალხისათვის დაბრუნება.

ქართველმა ბურჟუა-დეპუტატებმა და თანამდებობის პირებმა თავიანთ კანონმდებლობაში ნება დართეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ნებაყოფლობით გაიღონ გარკვეული ფულადი შენაწირები. აღნიშნული უფლება შესაძლებლობას იძლევა გაძლიერდეს ფულის გავლენა საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე და არჩევნების შედეგებზე. ზოგიერთი კანდიდატი შენაწირებს იყენებს ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით და აგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას. მეორეს მხრივ, დაფინანსებელი სამაგიეროდ მოითხოვს მფარველობას დამფინანსებული თანამდებობის პირიდან და ფაქტიურად იღებს კიდევაც. აუცილებელია დაწესდეს გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვები და მკაცრი კონტროლი ამ სფეროში.

მეხუთე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული ოპოზიცია და მისი საქმიანობის ნეგატიური შედეგები

ქართულ პოლიტოლოგიაში პოლიტიკური ოპოზიციის პრობლემა აქტუალური თეორიული და პოლიტიკური პრობლემაა, რომელიც რიგი მიზეზების გამო არ არის მეცნიერულად გამოკვლეული. აღნიშნული ნაკლოვანების დაძლევა პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. პრობლემის აქტუალობა განსაზღვრულია იმით, რომ სოციალისტური სისტემის აჩქარებულად, მოუმზადებლად დანგრევამ გამოიწვია პოლიტიკური ოპოზიციის, მოუმზადებელი, ხელოვნური წარმოშობა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართული პოლიტიკური მეცნიერების ამოცანაა პოლიტიკური ოპოზიციის წარმოშობის მიზეზების, მოღვაწეობის მეთოდების კვლევა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა და სხვა აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა.

პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი მოვლენა არის. საუკუნეების განმავლობაში ველური დამპყრობლებისა და ქართველი რეაქციონერების სასტიკი დიქტატურის პირობებში პოლიტიკური ოპოზიციის ოფიციალური არსებობა შეუძლებელი იყო, ხოლო არალეგალურ ოპოზიციონერთა მცირე ჯგუფები იდეურად უსუსური და ორგანიზაციულად სუსტი იყვნენ და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის გაკეთება არ შეეძლოთ. საბჭოთა პერიოდში კი მმართველი ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც ეკონომიკის ძირითადი დარგის – მძიმე მრეწველობის და მასობრივი სიბნელის – წერა-კითხვის უცოდინარობის და სხვა დაჩქარებული ტემ-

პებით შექმნისა და მოსპობის შეუძლებლობას ამტკიცებდნენ, საქართველოსთვის არაკეთილმოსურნე ადამიანთა ჯგუფი იყო. საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის ტრადიციების არარსებობამ განაპირობა თანამედროვე ქართული ოპოზიციის სისუსტე და მისი არსებობის მიზანშეუწონლობაც კი.

თანამედროვე ქართული ნაკლებკვალიფიციური და ნაკლებკომპეტენტური ოპოზოციის შეფასება როგორც კანონზომიერი და ქვეყნისთვის სასარგებლო მოვლენისა არ არის გამართლებული. ის ხელს უშლის საზოგადოების ნორმალურ ცხოველ მოქმედებას და განვითარებას, იწვევს ისედაც არამონოლითური ქართული საზოგადოების დიფერენცირებას ანტაგონისტურ ნაწილებად, ასუსტებს სოციუმს და მთელ საზოგადოებას. ფორმალურად ჩვენს საზოგადოებაში დაშვებულია სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მრავალფეროვნება, ნებადართულია სხვადასხვა პოლიტპარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სხვა შექმნა, მაგრამ რეალურად საზოგადოებაში გაბატონებულია ხელოვნურად, უშრომელად შექმნილი მდიდარ ადამიანთა ჯგუფი მის მიერ შექმნილი ორგანიზაციების სახით.

საეროოდ, საზოგადოებაში და მათ შორის ქართულ საზოგადოებაშიც პოლიტიკური ოპოზიციის წარმოშობის მიზეზები მრავალრიცხოვანი და მრავალგვარია. ძირითადი მიზეზებიდან აღსანიშნავია ჩვენი საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობრიობა, საზოგადოებაში, სწრაფი ტემპებით მიმდინარე სოციალურ ფენებად დიფერენციაცია, რომელიც იწვევს სოციალურ დისპარიტეტს, სოციალური სამართლიანობის იგნორირებას, ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ერთი ნაწილის დაუო-

კებელ ბრძოლას გამდიდრებისათვის ხელისუფლებაში მოხვედრით, რისთვისაც ფორმალურად „ოპოზიციონერობს", თავის თავს ჩაგრულთა სოციალურ დამცველად წარმოადგენს, დემაგოგობს, უტიფრად ცრუობს და სხვა. ამ გზით ხელისუფლების დაუფლების შემდეგ მის მიერ ხელისუფლებიდან გაძევებულ მჩაგვრელზე უარესი ექსპლუატატორი, მტაცებელი ხდება.

ქართული პოლიტიკური ოპოზიცია სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მოითხოვს ხელისუფლების მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსის შეცვლას ისეთი კურსით, რომელიც აკმაყოფილებს მას. ეს არის შიგასახელმწიფოებრივი პოლიტიკური ოპოზიცია, ადამიანების ჯგუფი, რომელიც თავის ხშირად არასწორ შეხედულებებსა და პოლიტიკას უპირისპირებს ხელისუფლების უფრო სწორ თვალსაზრისს და პოლიტიკას და ცდილობს მის რეალიზაციას.

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ლოიალობის ხარისხის მიხედვით არსებობს ზომიერი და რადიკალური (შეურიგებელი) პოლიტიკური ოპოზიცია. პირველი სახის ოპოზიცია თავისი ბუნებით კონსტრუქციულ-კრიტიკულია, რომელიც ხშირად მზად არის შეუთანხმდეს ხელისუფლებას. მეორე სახის ოპოზიცია კი კატეგორიულად მოითხოვს არსებული სტრატეგიული კურსის შეცვლას თავისი პოლიტიკური სტრატეგიის რეალიზაციის მიზნით.

ქართველმა ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს ისეთ პოლიტიკურ ოპოზიციას, რომელიც მოღვაწეობს მხოლოდ საქართველოს განვითარებისა და ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ქართულმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ თავის იდეურ-თეორიულ მოღვაწეობაში უნდა გამოიყენოს მეცნიერების ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ საერთოდ საზოგადოე-

ბის და, კერძოდ, ქართული საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობა თავის თავში შეიცავს არსებული სოციალური მატერიის შემდგომი ევოლუციის რამდენიმე ვარიანტს, მისი განვითარების განსხვავებულ ალტერნატივებს. თანამედროვე საქართველოს „განვითარება შესაძლებელია ადრინდელი ველური კაპიტალიზმის, გვიანი „მონოპოლისტური“ კაპიტალიზმის, თანამედროვე სოციალ-დემოკრატიზმის ან კიდევ რაღაც სხვა „იზმის“ მიმართულებით.

საქართველო არსებული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების პირობებში და ზეგავლენით ვითარდება ველური კაპიტალიზმის მიმართულებით, როგორც ამჟამად მისი სოციალური განვითარების აუცილებელი ეტაპი.

პირველი. ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი პოლიტიკური ოპოზიცია ვალდებულია დაიცვას ის აღნიშნული წყობილების რეაქციული მხარეებისა და ნიშნების გამოვლენისაგან, იმოქმედოს სახელმწიფო ხელისუფლებაზე ველური კაპიტალიზმის ბუნების მთლიანი გამოვლენის შესამცირებლად და შესასუსტებლად.

მეორე. ჩვენმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ უნდა დაარწმუნოს სახელმწიფო ხელისუფლება სოციალური მეცნიერების იმ უმნიშვნელოვანესი დებულების ჭეშმარიტებულობაში, რომლის თანახმად არ არსებობს მთლიანად იდეალური სოციალური წყობილება, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ და სოციალისტურ წყობილებებს ახასიათებს როგორც პროგრესული, სახალხო პრინციპები, ასევე რეგრესული საწყისებიც. თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის აპოლოგეტებს არ მოეპოვებათ არავითარი საფუძველი, რომ დაამტკიცონ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის განსაკუთრებულობა, უმაღლესი ღირებულებანი და სრული, მაქსიმალური პროგრესულობა.

აღნიშნული ეხება კაპიტალისტურ წყობილებასაც, რომელმაც მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე სრულებითაც ვერ დაამტკიცა მისი იდეალურობა, ბევრი უბედურება და საშინელება მოუტანა ხალხებს. სოციალიზმმა კი როგორც სოციალურმა წყობილებამ ნეგატიურ მოვლენებთან ერთად ბევრი სიკეთეც მოუტანა ხალხებს. ყველაზე დიდი სიკეთე კი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმისა და მისი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ გაჩაღებულ მეორე მსოფლიო ომში სოციალისტურმა წყობილებამ და მისმა სახელმწიფო ხელისუფლებამ კაცობრიობის ერთი ნაწილი ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა, მეორე კი – გერმანიისა და მისი მოკავშირეების მუდმივი მონობისაგან, ადამიანების მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მესამე. ინტელექტუალი პოლიტიკური ოპოზიცია ვალდებულია დაარწმუნოს სახელმწიფო ხელისუფლება იმაში, რომ ქართული ცივილიზაციის გადარჩენის გზაა სოციალიზმის პროგრესული ნიშნების შეერთება დასავლური კაპიტალიზმის ანალოგიურ ნიშნებთან და ამ საფუძველზე ქვეყნის კატასტროფიდან დახსნა, მისი სოციალური პროგრესი. ეკონომიკის სფეროში საჭიროა მოინახოს მოქმედი ეფექტური კომპრომისები სოციალისტურ ეკონომიკურ წყობასა და თავისუფალ მეწარმეობას შორის. ეს შესაძლებელს გახდის სახელმწიფო საწარმოთა შექმნას, ეროვნული მატერიალური დოვლათის გადიდებას, ხალხის გამოყვანას მატერიალური სიდუხჭირიდან. საჭიროა უფასოდ ბინების უზრუნველყოფის, უფასო სამედიცინო მომსახურების, უფასოდ სწავლების, ხალხის მასობრივი დასვენების აღდგენა, რომლებიც ჩვენს კაპიტალისტურ წყობილებას არ ახასიათებს, ისინი ქართული სოციალიზმის პროგრესული, უკეთილშობილესი პრინ-

ციპები იყო სამი ათეული წლის წინათ.

მეოთხე. პოლიტიკური ოპოზიცია ვალდებულია კატეგორიულად მოთხოვოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სახალხო ქონების დატაცებისა და მითვისების გზითადამიანთა ჯგუფების ინტერესების დაცვა მათ მიერ მითვისებული სახალხო ქონების მისი შექმნელებისათვის დაბრუნება და მათ სასარგებლოდ გამოყენება.

მეხუთე. მოთხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საზღვარგარეთულ სამხედრო ოპერაციებში ქართული შეიარაღებული ძალების მონაწილეობა, რამაც საქართველოს ბევრი მტერი გაუჩინა რომლებიც მომავალში სასტიკად დასჯიან მას, შეიმუშაოს და განახორციელოს საქართველოს შესაძლებობების შესაფერისი სამხედრო პოლიტიკა, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამხედრო პოლიტიკური ყოყლოჩინობა.

მეექვსე. გამოიჩინოს ინიციატივა, დაარწმუნოს საქართველოს მოსახლეობა სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის შექმნის აუცილებლობაში, მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის მოღვაწეობაში ქართველების გადასარჩენად.

მეშვიდე. მოთხოვოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს თხოვნით, საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარების შესახებ, ვინაიდან ქვეყანას სჭირდება კატასტროფიდან გამომყვანი ძლიერი სახელმწიფოს მეურვეობა.

ქართულმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გარდამავალ პერიოდებში, როცა საზოგადოებაში მიმდინარეობდა ღრმა რევოლუციური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები. ასეთ

პოლიტიკურ სიტუაციაში წარმოიშვა ძალადობის გამოყენების შესაძლებლობა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. სახელმწიფო ხელისუფლებას ოპერატიულად უნდა განახორციელებინა და უნდა განახორციელოს უკუკავშირის მექანიზმის ფორმირება და პოლიტიკური ინსტიტუტების მოდერნიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკურ ოპოზიციას შეუძლია კანონსაწინააღმდეგოდ გააქტიურდეს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ნეგატიური ანტისაზოგადოებრივი შედეგები.

პოლიტიკური ოპოზიციის სახეებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ლეგალური და არალეგალური პოლიტიკური ოპოზიცია. ლეგალური ოპოზიცია მოქმედებს აშკარად, კონსტიტუციისა და სხვა კანონების ფარგლებში. არალეგალური, იატაკქვეშა ოპოზიცია კი მოქმედებს ფარულად, არც თუ იშვიათად იყენებს კანონსაწინააღმდეგო მეთოდებს. ქართული პოლიტიკური ოპოზიცია ხანდახან ეძებს მფარველებს საზღვარგარეთ, მათი დახმარებით მოაწყო შეთქმულება და სახელმწიფო გადატრიალება. ამ მხრივ ე.წ. "ვარდების რევოლუციის" დროს დიდად აქტიურობდნენ ათ მანეთად ქართული გვარის მიმღები არაქართველი ოპოზიციონერები.

ქართული პოლიტიკური ოპოზიციის დანიშნულება სრულებითაც არ არის მხოლოდ გადაუჭრელი პრობლემის აღმოჩენა,მათზე საჯაროდ მსჯელობა და სახელმწიფო ხელისუფლების კრიტიკა. მისი მოვალეობა,მისი საჭიროებისა და სარგებლიანობის ძირითადი პირობა არის საკუთარი, ხელისუფლებისაგან განსხვავებული, მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისის შემუშავება ქვეყნის პროგრესის პრობლემებზე, მისი რეალიზაციისათვის აქტიური ბრძოლა.

ქართული პოლიტიკური ოპოზიციის აქილევსის

ქუსლია სწორედ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური პროგრამისა და პოზიციის არქონა. ამიტომ ის სახელმწიფო ხელისუფლებაზე ინტელექტუალურად დაბალი დონისაა, ზნეობრივადაც არ არის მასზე სუფთა. მისი ძირითადი ნეგატიური თვისება ის არის, რომ აკრიტიკებს რა ხელისუფლებას ზერელე წარმოდგენა აქვს ხელისუფლების მოღვაწეობის ნეგატიური მხარეებისა და შეცდომების გამომწვევი ფაქტორებისა და პირობების შესახებ, და რაც მთავარია, მათი აღმოფხვრის მეთოდებისა და საშუალების შესახებ. ამაში მდგომარეობს ქართული პოლიტიკური ოპოზიციის ძირითადი ნაკლოვანება, რამაც განაპირობა მისი არაეფექტურობა და სოციალური უსარგებლობა.

ქართული პოლიტიკური ოპოზიციის დისკრედიტაცია განაპირობა იმანაც, რომ მის საქმიანობაში დარღვეულია სიტყვისა და საქმის ერთიანობა, წინააღმდეგობამ მათ შორის კულმინაციას მიაღწია. ოპოზიცია ერთმანეთის საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხველი სიტყვისა და საქმის უდიდესი სპეციალისტი გახდა. დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, თავისუფლების, თანასწორობის, ბედნიერების და სხვა დიდებული ლოზუნგებით პოლიტიკურად ნაკლებგანათლებულ, მიამიტ და მიმნდობ ადამიანებს უკვე ოცდაათი წელია ურცხვად გვატყუილებს. დემაგოგიური დაპირებებით იკავებს ხელმძღვანელ თანამდებობებს და მეორე დღეს უკვე აღარ იხსენებს უხვად დარიგებულ დაპირებებს და უდიდესი თავგამოდებით იწყებს სახალხო ქონების მტაცებლობას და მითვისებას. ზოგიერთი ამ გზით გამდიდრების უდიდესი სპეციალისტი გახდა. დიდი ქონება დააგროვა რაიონებიდან ამისთვის ჩამოსულმა ოპოზიციონერებმა.

დიდად სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციას, ქვეყნისათვის სასარგებლო პოლიტიკური ორგანი-

ზაციისთვის აუცილებელი ნიშან-თვისება არ გააჩნია. ამიტომ აუცილებელია ისეთი როცა ის ვერშეძლებს საზოგადოებისათვის უსარგებლო საქმიანობის განხორციელებას, იბრძოლებს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ ჩანასახ მდგომარეობაში მყოფი ქართული დემოკრატიის დამსახურება მაინც არის საზოგადოებაში მრავალგვარი სოციალური ინტერესების კანონიერების აღიარება, პოლიტიკური ოპოზიციის ლეგალური არსებობის დაშვება და სხვა, რომელსაც ჩვენი მიზეზით, მოუმზადებლობის გამო ბევრი ნეტაგიური მოვლენა მოყვა, მათ შორის, ყველაზე ტრაგიკული – ადამიანების დიდი უშედეგო მსხვერპლი, ქართველების დიდი ნაწილის ემიგრაცია, საზოგადოების დიდი ნაწილის პაუპერიზაცია და სხვა მრავალი ბოროტება.

მეექვსე პარაგრაფი. ლობიზმი ქართული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი საქმიანობის ნეგატიური შედეგები

საქართველოში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი საფუძვლებისა და წანამძღვრების არარსებობის პირობებში საერთო-სახალხო დემოკრატიის დანერგვის მცდელობამ გამოიწვია ისეთი პოლიტიკური მოვლენის წარმოშობა, როგორიც არის ლობიზმი: ეს ტერმინი და მის მიერ ასახული მოვლენა თანდათანობით დამკვიდრდა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის აღნიშნავს საკანონმდებლო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან არსებული სააგენტოებისა და სხვა ორგანიზებული ჯგუფების სისტემას, რომელიც კანონმდებლობაზე ანხორციელებს ზეწოლას მის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციების ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეს ტერმინი გამოიყენება ორი მნიშვნელობით – ნეიტრალურ-პოზიტიური და ნეგატიური მნიშვნელობით. პირველი მნიშვნელობით ლობიზმი არის პოლიტიკური ცხოვრების ნორმალური მოვლენა, დემოკრატიული პროცესის ერთ-ერთი ელემენტი. ის წარმოადგენს საკანონმდებლო და მმართველობით პროცესებზე „ზეწოლის ჯგუფების“ კანონიერი გავლენის ფორმას იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს განსაზღვრული სოციალური სტრუქტურების და მოსახლეობის ფენების ინტერესები. ნეგატიური მნიშვნელობით თავისი შინაარსით ლობიზმი ახლოს დგას „პროტექციონიზმთან“, „მოსყიდვასთან“, „ხმების მოსყიდვასთან“ ადამიანთა ჯგუფების ანგარებითი ან ეიწრო-პარტიული ინტერესების შესაბამისად.

ნეგატიური ლობირების უარყოფითი გამოვლენაა კანონმდებლებზე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენ-

ლებზე კანონსაწინააღმდეგო ზეწოლა, მექრთამეობა, კორუფცია, რომელთა გამოყენებით მიიღებიან გადაწყვეტილებანი ადამიანთა რომელიმე ჯგუფის ან პირების ინტერესების სასარგებლოდ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო, „რაციონალური ლობიზმის", როგორც დემოკრატიის აუცილებელი ელემენტის წარმოშობისათვის საჭიროა რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის საფუძვლები და პირობები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ქართულ საზოგადოებაში ინტერესების დიდი მრავალფეროვნება, რომელიც გამოწვეულია მისი ინტენსიური სოციალური დიფერენციაციით. საზოგადოებაში ახალი ჯგუფებისა და ფენების წარმოშობას თან ახლავს მრავალი განსხვავებული ინტერესების წარმოშობა და მათი დაკმაყოფილებისათვის ინტენსიური ბრძოლა.

ოცდამეერთე საუკუნეში ქართული საზოგადოებრივი ქონების მიმთვისებელი და დამტაცებელი ადამიანთა ჯგუფები და მათ მიერ ექსპლუატირებული მრავალრიცხოვანი ფენები უმკაცრეს სოციალურ ომში არიან ჩაბმული ერთმანეთთან. სახეზეა „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ".

მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის მასების ჩაბმა პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე. ცნობილია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ერთდროულად დააკმაყოფილოს ყველა სოციალური წარმონაქმნის ინტერესები. ამიტომ ობიექტურად წარმოშობა რიგითობის, სოციალური ფენის ამა თუ იმ ინტერესის განხორციელების პრიორიტეტის პრობლემა. აღნიშნული განაპირობებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მისწრაფებას მოახდინოს გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკაზე იმ მიმართულებით, რომ ის წარმართული იქნეს მისი ინტერესების

სასარგებლოდ. დიდად სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ადგილი აქვს ფარულ, უკანონო ლობირებას, ამა თუ იმ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ასეთი კანონპროექტი და თვით კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

ლობიზმის ბუნების დადგენისათვის საჭიროა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ღრმა ანალიზი და მისი ძირითადი ნიშნების მიხედვით ამ მოვლენის არსების დადგენა.

ქართველი საზოგადოებისათვის სასარგებლო რაციონალური ლობიზმის პოზიტიური ნიშნები შემდეგში მდგომარეობს. ჯერ ერთი, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხზე, აძლევს მართვას მნიშვნელოვან დინამიკას და მოქნილობას; არის სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ კანონპროექტის საზოგადოებრივ მხარდაჭერას ან ოპოზიციას; გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისით ლობიზმი დემოკრატიის თავისებური მეტოქეა; შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს უმცირესობის ინტერესები, ვინაიდან ის არის პოლიტიკური პლურალიზმის გამოვლინების ფორმა: მისი მეშვეობით ხდება არასახელმწიფო სტრუქტურების, ინსტიტუტების და სხვა თავისუფლების დემოკრატიული პრინციპის რეალიზაცია, მათ შესაძლებლობა ეძლევა თვითონვე დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები; ასრულებს პოლიტიკური პროცესების გამოვლინების სტიმულატორის როლს; აფართოებს მისაღები გადაწყვეტილებების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ ბაზას, მიაპყრობს საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. მიაწოდებს სახელმწიფო

ხელისუფლების ორგანოებს ინფორმაციას იმ საკითხებზე, რომლებიც მოსმენილი უნდა იქნეს პარლამენტის სხდომაზე, კანონმდებლების ყურადღებას მიაქცევს იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვებიან საზოგადოების დაბალ სოციალურ დონეებზე; ასრულებს სხვადასხვა სოციალური ინტერესების კომპრომისის მიღწევის ფუნქციას, ხელს უწყობს განსხვაებული ძალების წონასწორობის, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას ურთიერთკავშირისა და კონსენსუსის მიღწევას.

ლობიზმის აღნიშნული თეორიული ღირებულებები შესაძლებელია გამოვლინდეს და პრაქტიკულად განხორციელდეს მხოლოდ კლასიკური კაპიტალიზმისა და განვითარებული ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში. ასეთი პირობები ამჟამად საქართველოში არ არსებობს, მათი დაახლოებითი მიღწევისათვის საქართველოს და მის საზოგადოებას საუკუნეები სჭირდება: კლასიკური, ბურჟუაზიული პოლიტიკური ლობიზმის გაუცნობიერებლად, წაბზერიობით გადმოღებამ საქაროველოში დიდი ზიანი და ზარალი მიაყენა მრავალტანჯულ ქართველ კეთილ ხალხს.

ლობიზმის არსების დასადგენად საჭიროა მისი საზოგადოებისათვის მავნე, ნეგატიური მხარეების გამოკვლევა, რომელთა ჯამი, ჩვენდა საუბედუროდ და ჩვენი მიზეზით, გაცილებით მეტია და უკიდურესად საშიშია ხალხისათვის, ვიდრე მისი პოზიტიური მხარეების ჯამი და ეროვნული სარგებლიანობა.

დემოკრატიისათვის მოუმზადებელ საქართველოში ლობიზმი უკვე გახდა საზღვარგარეთის სახელმწიფოების ინტერესების პრიორიტეტული დაკმაყოფილების ინსტრუმენტი, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ. ანტიქართველი ლობისტების საქმიანობამაც გამოიწვია ქართველი ხალხის

რაოდენობრივი შემცირება, მისი მასობრივი ემიგრაცია, საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება, მისი ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვა და სხვა კატასტროფული მოვლენები. ამჟამად, ქართველების საუბედუროდ, დათარეშობს სომხური ლობი, რომელსაც ანხორციელებს საზღვარგარეთის სომხების მიერ შერჩეული, ქართველად გადაღებილი, ათ მანეთად გვარშეცვლილი სომეხი ლობისტები, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიულ ტერიტორიებს სომხურად აცხადებენ და შესაძლოა, ახლო მომავალში ქართველები საქართველოდან კიდევაც გაგვასახლონ.

სომხების ანტიქართულ, ლობისტურ საქმიანობაში გამოკვეთილია ასეთი კანონზომიერება: რაც უფრო მეტ, მთელ მსოფლიოში სარეველასავით მოდებულ სომხებს ადგილობრივი, მოსახლეობისადმი მტრული საქმიანობისათვის გამოაძევებენ, მით უფრო ძლიერდება მათი ანტიქართული საქმიანობა საქართველოში. მეთოდურად, ვერაგულად ჩაგრავენ ქართველებს სომეხი ლობისტები.

ქართველი პოლიტიკანი კი, სასწრაფოდ სახალხო ქონების მტაცებლობისა და მითვისების გზით გამდიდრებული, მოწინააღმდეგესთან ბრძოლის მაგივრად ხელებს შლის და როგორც წინათ, ურცხვად აცხადებს – თუ მოწინააღმდეგებს შევებრძოლებით, ნაციონალისტებად, „არალიბერალებად“ ჩაგვთვლიანო. ასეთმა აზრმა ათქმევინა დიდ ქართველ პატრიოტს, თავად გ. ერისთავს – „ჩვენ გუვერნიორი გვჭირდება, ბატონებო”, ამჟამად ჩვენ ძლიერ გუვერნიორთან ერთად გვჭირდება ძლიერი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც არ შეიძლება არ არსებობდნენ ჩვენს საზოგადოებაში. ისინი ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა

მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, დარაზმონ ქართველები თავის გადასარჩენად, მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად. ისინი კი ყოველად გაუმართლებლად პასიურობენ. საქართველოსთვის მავნე ლობისტური საქმიანობა განახორციელა, ძირითადად ქართველმა ლობისტებმა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ დეპუტატებზე და თანამდებობის პირებზე, საქართველოში ახალგამომცხვარი მჩაგვრელების ინტერესების შესაბამისად. ლობისტური ჯგუფების საქმიანობამ გაამწვავა სოციალური სამართლიანობის პრობლემა საქართველოში. ეს არის საქართველოში მოქმედი არაქართველი და ქართველი ლობისტების განსაკუთრებით საშიში დანაშაული საქართველოს მოსახლეობის წინაშე. სასწრაფოდ, უშრომელად მოსახლეობის ამ ნაწილმა სახალხო ქონების მტაცებლობისა და მითვისების გზით დიდი ფული იშოვა, ქვეყნის მოსახლეობა კი გააღატაკა. მდიდრების ლობისტურ ჯგუფები პრაქტიკულადაც ანხორციელებენ ფულის გამოყენებას თავიანთი შემდგომი გამდიდრებისათვის, ქართველი ხალხისა და მისი კეთილმოსურნეების გაღატაკების გზით.

საქართველოში ლობიზმის უარყოფითი მხარეა აგრეთვე ისიც, რომ ის ემსახურება უწყებრივ, ადგილობრივ, ნაციონალისტურ და სხვა ინტერესებს. აღნიშნული, ნეგატიური მოვლენის მიზეზია ის, რომ ჩვენში კიდევ არ არის ფორმირებული ერთიანი, მტკიცე სახელმწიფო მმართველობა, არსებობს პარტიკულარიზმის ძლიერი გამოვლინებები, ქვეყანა მრავალფეროვანია, რაც იწვევს ნაციონალისტურ ტენდენციებს და სხვა.

თეორიულად ლობიზმის ნეგატიური ნიშან-თვისებაა აგრეთვე ისიც, რომ მას შეუძლია შეარყიოს ხელისუფლების

დემოკრატიული საწყისები, გადააქციოს ფორმალურად დემოკრატიული ინსტიტუტები ცალკეული სახელისუფლებო სტრუქტურების, ჩინოვნიკების ძლიერ იარაღად. ეს თვისებაც ინტენსიურად გამოვლინდა საქართველოში, რის შედეგად დამყარდა ქვეყნის მართვის უნარს მოკლებული პრიმიტიული დიქტატურა.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ლობიზმის დანერგვის დასაწყის ეტაპზე საჭირო იყო მისი საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება, იურიდიული რეგლამენტაცია იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მისი ნეგატიური მოვლენების ნიველირება და პოზიტიურის გაძლიერება, რაც სამწუხაროდ არ მოხდა.

ლობიზმმა და ლობისტებმა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ნეგატიური როლი შეასრულა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნისთვის დადებითი შედეგები არ მოაქვს.

აუცილებელია იმ ლობისტების საქმიანობის გამოძიება, რომლებმაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჩაიდინეს და მათ მიმართ იურიდიული სანქციების გამოყენება.

მეშვიდე პარაგრაფი. ელიტები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი საქმიანობის ნეგატიური შედეგები

ყველა საზოგადოებაში, მათ შორის ქართულშიც ბუნებრივი მოვლენაა პროგრესული და განათლებული ელიტების არსებობა, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის უმცირესობას, შესწევს უნარი მართოს უმრავლესობა, მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებანი ქვეყნის განვითარების მიზნით. მოსახლეობის ეს უმცირესობა, მმართველი ელიტა არის შედარებით დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული პოლიტიკური ცნობიერება, მტკიცე ერთობა პოლიტიკურ საქმიანობაში, ნებისყოფა და სხვა ანალოგიური თვისებები.

გასათვალისწინებელია ის სამწუხარო რეალობა, რომ ადამიანები ბუნებრივად არ არიან თანასწორნი, რაც იწვევს ყველა საზოგადოების დაყოფას ელიტებად და ჩვეულებრივ მასებად. ნამდვილი ელიტა არის სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალა. სამწუხაროდ, ადამიანთა ერთი ნაწილის დომინირება სხვებზე და სხვების მორჩილება გარდაუვალია. მმართველი უმცირესობა სრულუფლებიანი უნდა იყოს და მისი ბატონობა უმცირესობაზე აუცილებელია. მასა პასიური და ამორფულია. ის ისტორიულ პროცესებზე არ ახდენს პოზიტიურ ზემოქმედებას, დამანგრეველი ინსტინქტის შემცველია. ის ადვილად შეიძლება გამოყენებული იქნას მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევების საწიაღმდეგოდ. ისტორიის შემქმნელია არა ამორფული მასა, არამედ კრიტიკულად მოაზროვნე, გამოჩენილი ძლიერი პიროვნებები. აზრი მასის გადამწყვეტი როლის შესახებ ისტორიაში დემაგოგიური და პროპაგან-

დისტული ლოზუნგია. დებულება მასის ნეგატიური როლის შესახებ მთლიანად დადასტურდა საქართველოს ისტორიაში და მის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. დიდად სამწუხაროდ, სწორედ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის, მხარდაჭერით მოხვდა სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში პოლიტიკურად მთლად გაუნათლებელი, სახელმწიფო მართვის მეცნიერების მთლიანად უცოდინარი, დემაგოგი და კარიერისტი, გამდიდრებისათვის მგლური განწყობით მებრძოლი ზოგიერთი ხელმძღვანელი „პოლიტიკოსები". მათი „დამსახურებაა" საქართველოს თანამედროვე, როგორც ჩანს, საბოლოო კატასტროფა.

თეორიულად, განათლებული და ზნეობრივი ელიტარიზმი და დემოკრატია საესებით შეთავსებადი პოლიტიკურ-ზნეობრივი მოვლენებია, ვინაიდან დემოკრატიისათვის მომზადებულ ხალხს აქვს უფლება ამოირჩიოს საუკეთესო, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებს შორის. ამიტომ ელიტის მომხრეები სრულებითაც არ ეწინააღმდეგებიან დემოკრატიის შესახებ თანამედროვე მოძღვრებებს და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპებს. ჭეშმარიტი დემოკრატია ადამიანთა საზოგადოებაში არასდროს არ არსებულა და არც ახლა არსებობს. აზრები მათი ოდესმე, მომავალში შესაძლო არსებობის შესახებ პოლიტიკური მითებია, კარიერისტებისა და დემაგოგების მონაჭორია თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე.

თანამედროვე ქართული ელიტის წარმომადგენლობის პრეტენზიების მქონე პირებს უნდა გააჩნდეს პოლიტიკური მეცნიერების მიერ დადგენილი „ელიტის" ცნების შინაარსში გათვალისწინებული ნიშნები. კერძოდ, განსაკუთრებული, რაციონალური პოლიტიკური ცნობიერება ყველა მისი ელემენტით, პოლიტიკურ მოღვაწეობაში მტკიცე ერთიანი ნებისყო-

ოფა და ბეერი სხვა საქართველოსთვის სასარგებლო თვისებაა. მათ შორის მთავარია ფლობდეს ქართული სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას, ჰქონდეს სახელმწიფოს მართვის უნარი და გამოცდილება. სწორედ ამ თვისებების არქონამ დაღუპა საქართველო და ისინი, ვინც არაკვალიფიციურად შეეცადნენ ემართათ ქართული საზოგადოება. ამჟამინდელი და ადრე არსებული ზოგიერთი ქართველი მმართველი იყო და არის ჩვეულებრივი, მასობრივი ცნობიერების მატარებლები, იდეურად დიფერენცირებული და ანტაგონისტური ადამიანთა ჯგუფები. მათ მაღალი თანამდებობები, სოციალური სტატუსი მოპოვებული აქვთ არა პირადი დამსახურების და პატიოსანი შრომით, არამედ საზოგადოებრივი საკუთრების მითვისებით, დემაგოგიით. ეს არის ექსპლუატატორთა ჯგუფი და ამიტომ საჭიროა მათ მიმართ იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი სანქციების გამოყენება. თანამედროვე ქართული პოლიტიკური „ელიტის“ ნაწილი ისეთი მმართველი ადამიანთა ჯგუფია, რომელსაც არ გააჩნია ორგანიზატორული მუშაობის უნარი, მმართველობითი ტალანტი და პროფესიონალიზმი. ასეთი თვისებების უქონლობის გამო მათი მიზეზით საქართველო დაიშალა და დაქუცმაცდა, ქვეყნის მოსახლეობა გაღატაკდა, დიდმა ნაწილმა სამშობლო მიატოვა, უცხო თესლი კი გაიშალა და სარეველასავით მოედო ქვეყანას.

ამჟამად გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს ზოგიერთი მმართველ ადამიანთა ჯგუფის დეგრადაციის საწინააღმდეგო ღონისძიების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია მათი სრული და საბოლოო გადაგვარება. კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტი, რომელმაც

უნდა დაამყაროს ყოველდღიური, მკაცრი კონტროლი ჩვენი ასეთი „პოლიტიკური ელიტის“ საქმიანობაზე.

დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი ჩვენში პოლიტიკური პლურალიზმის მაქსიმალურად დანერგვისათვის ე.წ. „ელიტის“ მიმართ თავისუფალი კონკურენციის განხორციელების მიზნით.

მიაღწეული იქნეს სახელმწიფო მექანიზმში ჯერ კიდევ არსებული ხელისუფლების დაყოფის პრაქტიკული რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების დიფერენციას, პოლიტიკური ინსტიტუტების ოპტიმალურ შერწყმას, კოორდინაციასა და კოოპერაციას. ეს ღონისძიება ხელს შეუშლის მმართველი ჯგუფის სრულ და საბოლოო დეგრადაციის თავიდან აცილებას.

უნდა განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი კანონიერების, დემოკრატიული და სამართლებრივი პრიცედურების დაცვისათვის.

საქართველოს ე.წ. „პოლიტიკურმა ელიტამ“, სანამ ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში იმყოფება, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ქვეყნის კატასტროფული მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით. მისი საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმები თეორიულად შემდეგში მდგომარეობს: საქართველოს პროგრესისა და ხალხის კეთილდღეობის მიღწეული დონე; საზოგადოებაში სტაბილურობა და წესრიგი; ეროვნული უშიშროება; ოპტიმალური თანაფარდობა ფორმირებად სამოქალაქო საზოგადოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის. საუბედუროდ, ჩვენი მმართველი ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობის არც ერთი კრიტერიუმი, არც ერთი ნიშან-თვისება ამჟამად ჩვენს საზოგადოებაში არ არის რეალიზებული.

საერთოდ და კერძოდ საქართველოში ელიტების სტრუქტურებში გამოიყოფიან ტრადიციული და თანამედროვე ელიტები. ტრადიციული ელიტების ხელისუფლება ჩვეულებრივ ემყარება რელიგიებს, სიმდიდრეს, ჩვეულებებს და სხვა არებულ სტერეოტიპებს. თანამედროვე ეპოქაში რელიგიური სტრუქტურების ხელისუფლება საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე მნიშვნელოვანწილად შესუსტდა. საქართველოში კი რელიგია დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ზოგიერთი რელიგიური ლიდერი აშკარად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს სახელმწიფო ჩინოვნიკებზე მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია კანონით გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. თავის მხრივ, საქართველოს ზოგიერთი ლიდერი ცდილობს მიაღწიოს რელიგიური ელიტის მხარდაჭერას მისი მასებზე მნიშვნელოვანი გავლენის გამო. გაძლიერდა სხვა ტრადიციული ელიტების, მათ შორის გვარის მეთაურის ხელისუფლებაც, რაც სრულებითაც არ არის ჩვენი პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელი.

საქართველოში თანამედროვე პოლიტიკური ელიტების სტრუქტურაში შედის ჩინოვნიკობა, განათლებული პოლიტიკური ლიდერები, ბიზნესმენები, მეცნიერული წრეების წარმომადგენლები, ტექნოკრატები, ყველა ისინი, ვინც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, აქვთ შესაძლებლობა გავლენა იქონიონ სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ქართულ ელიტურ ჯგუფში შედიან „მაღალი და საშუალო", აგრეთვე „ადმინისტრაციული" ელიტები.

უმაღლესი ელიტის წარმომადგენლები არიან მაღალი თანამდებობის პირები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებიდან. ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხებიან დიდი რაოდენობის ადა-

მიანებს. საქართველოში ასეთი ახალგამომცხვარი ელიტის წარმომადგენლები მილიონ ადამიანზე გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ქართულ პოლიტიკურ სტრუქტურაში მომდევნო ადგილი უკავიათ „საშუალო ელიტებს“, რომლებშიც შედიან ადამიანები, რომლებიც შეადგენენ ხუთ პროცენტიან ხედაფენებს სამი კრიტერიუმის მიხედვით – შემოსავლების, პროფესიული სტატუსის და განათლების მიხედვით. აღსანიშნავია ისეთი მდგომარეობა, როცა ადამიანები, რომელთა განათლების დონე მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე შემოსავალი, უფრო კრიტიკულები, დემოკრატები და რადიკალები არიან თავიანთ რწმენაში. ადამიანები, რომელთა შემოსავალი გაცილებით მეტია, ვიდრე განათლება, უკმაყოფილო არიან თავიანთი მდგომარებით და პრესტიჟით, მაგრამ პოლიტიკური რწმენით ცენტრიდან მარჯვნივ იხრებიან.

ადმინისტრაციულ ელიტებში შედიან მაღალი წრის სახელმწიფო მოსამსახურეები, ჩინოვნიკები, რომელთაც მაღალი თანამდებობები უკავიათ სახელმწიფო ორგანოებში. ესინი არიან განათლებული და გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც, როგორც წესი, ნეიტრალური პოზიცია უკავიათ ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიტიკურ ლიდერებს შორის. ადმინისტრაციული ელიტის ეს ჯგუფი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოში საჭიროზე გაცილებით მეტია ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, წამყვანი პოზიციები უკავიათ ეკონომიკაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში და დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს ხელმძღვანელობაზე, მართავენ ქვეყანას. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკაშიც მმართველ

ელიტებს აკლიათ ყველაზე არსებითი აუცილებელი ნიშანთვისებები.

აღნიშნული სავალალო მდგომარეობა განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური პირობებით. კერძოდ, რუსეთის ნახევრადველური იმპერიის შემადგენლობაში დიდი ხნის განმავლობაში მყოფ წერა-კითხვის უცოდინარ იმ ხალხებში, რომლებიც კულტურული განვითარების ტემპების მიხედვით ახლაც წერა-კითხვის უცოდინარები უნდა იყვნენ. საუკეთესოდ არჩეული ადამიანები, ელიტა მოკლე დროში არ შეიქმნებოდა, მის ფორმირებას საუკუნეები სჭირდებოდა, ბოლშებიკებმა კი ისინი 15 წელიწადში "შექმნა".

შემდეგ უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოში შეგნებულად მოწინააღმდეგის რეკომენდაციით არ მომზადებულა მაღალკვალიფიციური კადრები, გამოშვებული იქნა ბევრი დაბალი რანგის დილეტანტი, რომლებმაც ვერ შეძლეს ქვეყნის გონივრული მართვა და ქვეყანა კატასტროფაში ჩააგდეს. ამიტომ საქართველოს მმართველი ადამიანთა ჯგუფები სრულებითაც არ არიან საზოგადოების საუკეთესო, ყველაზე კარგი ნაწილი. ტერმინ „ელიტის" გამოყენება ჩვენს მიმართ სრულებითაც არ არის გამართლებული.

მერვე პარაგრაფი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი საქმიანობის კატასტროფული შედეგები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მ.ი.ს. საერთოდ პოლიტიკური ცხოვრების, მათ შორის, ქართულისაც მნიშვნელოვანი ატრიბუტია. მათ, კერძოდ, პრესამ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს და ასრულებს თანამედროვე პირობებშიც. საფრანგეთში იმ ეპოქაში წარმოიშვა პრესის უპრინციპობის კლასიკური მაგალითი გენერალ ნ. ბონაპარტის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ის პირველი გადასახლებიდან გამოქცევის დროს პრესის მიერ შეფასებული იქნა, როგორც საზღვარგარეთელი კორსიკელი უზურპატორი და კაცისმჭამელი, ხოლო პარიზის ტიულრის სასახლეში ტრიუმპალური დაბრუნების შემდეგ, როგორც საფრანგეთის გადამრჩენელი, დიდი მხედარმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე.

მეცნიერებაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების „მეოთხე“ შტოს სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ის არის ხატოვანი გამონათქვამი, რომელიც მეცნიერული მოღვაწეობის სფეროში არ უნდა გამოიყენებოდეს.

ისინი არ არიან ოფიციალური სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელნი, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ის ნიშან-თვისებები, რომლებიც საჭიროა ხელისუფლების შტოს დანიშნულებისა და ფუნქციების შესასრულებლად. კერძოდ, მათ არ გააჩნიათ სახელმწიფო ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი ძალა და ძლიერება, არ არეგულირებენ ბა-

ტონობისა და დამორჩილებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს; ვერ ანხორციელებენ საზოგადოების მართვის ფუნქციებს, არ აქვთ შესაძლებლობა და უნარი შეათანხმონ ანტაგონისტური ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესები, დაუმორჩილონ ისინი ერთიან ნებას იძულებისა და დარწმუნების მეთოდებით და სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს „მეოთხე“ ხელისუფლებად თვლიან მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლისა და ფუნქციების გამო. კერძოდ, ისინი ძლიერ გაელენას ახდენენ ხალხის მასებზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, საზოგადოების მმართველი ჯგუფის ან კონკრეტული პირების დადებითი ან უარყოფითი იმიჯის შექმნაზე და სხვა.

სახელმწიფო-პოლიტიკური ხელისუფლების „მეოთხე“ შტოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ ჩაითვლებიან იმიტომაც, რომ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი თავიანთი ბუნებით და ორგანიზაციული კუთვნილების მიხედვით არ წარმოადგენენ ერთი ტიპის, ერთფეროვანი ინფორმაციის საშუალებებს. სახელმწიფო-პოლიტიკური ორგანიზაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი თავიანთი ხასიათით და ორგანიზაციული კუთვნილების მიხედვით მ.ი.ს. სახელმწიფო ჯგუფს მიეკუთვნებიან, ასახავენ მათ მრავალმხრივ საქმიანობას და შეხედულებათა სისტემას. ამიტომ აცხადებენ პრეტენზიას „მეოთხე“ ხელისუფლებაზე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მის თავიანთი ბუნებით და ორგანიზაციული კუთვნილების მიხედვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სპეციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და ასეთი სტატუსით ფუნქციონირებენ, ასახავენ მათ საქმიანობასა და შეხედულებებს.

ზოგიერთი სახის მ.ი.ს. კი აბსოლუტურად არაპოლიტიკური, სუფთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საინფორმაციო საშუალებაა.

საერთოდ, მასობრივი ინფორმაციის არც ერთი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების შტოს არ წარმოადგენს, ვინაიდან მათი დანიშნულება არ არის საზოგადოების მართვა. მათ არ გააჩნიათ ამის შესაძლებლობა. მისმა მესვეურებმა მითიურ „მეოთხე“ ხელისუფლებაზე კი არ უნდა განაცხადონ პრეტენზიები, არამედ კომპეტენტურად და ობიექტურად უნდა შეასრულონთავიანთი სოციალურად მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციები.

ამჟამად ზოგიერთი ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალების არაობიექტური, ტენდენციური საქმიანობის ერთ-ერთი მიზეზია მათი მესვეურებისა და თანამშრომლების ზოგადი და პოლიტიკური განათლების და კულტურის ნაკლებობა, აუცილებლობისა და თავისუფლების ლოგიკური კატეგორიების შინაარსზე და ურთიერთკავშირზე არასწორი წარმოდგენა ან შეგნებული დამახინჯება. აღნიშნული კატეგორიები გამოხატავენ ობიექტურად არსებულ ურთიერთკავშირს მ.ი.ს და სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, მათი მესვეურები კი აღნიშნულ კატეგორიებს განიხილავენ ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების გარეშე, როგორც ორიათასი წლის წინათ.

ქართულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აუცილებლობის როგორც მოვლენისა და ლოგიკური კატეგორიის როლი და მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს. ისინი თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში დაკავშირებული არიან სოციალური ცხოვრების კონკრეტულ, რეალურად არსებულ პირობებთან, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, არსებულ მატერიალ-

ურ-ტექნიკურ საშუალებებთან და სხვა ამიტომ ისინი არ არიან თავისუფალი თავიანთი მოღვაწეობის ობიექტური პირობების შერჩევაში.

ამავე დროს, გარკვეულწილად თავისუფალი არიან მათი მოღვაწეობის მიზნების განხორციელებაში, ვინაიდან ყოველთვის არსებობს რამდენიმე მოქმედებიდან არჩევის აუცილებლობა და შესაძლებლობა. ამიტომ თავისუფლება არ არის აბსოლუტური, ის ხორციელდება როგორც აუცილებლობის გამოვლენა გარკვეული მიზნებისა და მოქმედებების გეგმის მიხედვით. ის მეტია მაშინ, როცა ინფორმაციის საშუალებებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი რეალური შესაძლებლობანი, როცა უფრო მეტი საშუალებაა მათ განკარგულებაში, როცა უფრო მეტად შეუძლიათ გამოიყენონ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური ტენდენციები და სხვა.

რეალურ სინამდვილეში სოციალური აუცილებლობა და ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთმოქმედებენ. თავისუფლება ავლენს აუცილებლობას, შედის მასში და გროვდება არჩევის თავისუფლების განუწყვეტელი რიგის სახით. დეტერმინიზმი გულისმობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას, ამავე დროს, მოითხოვს როგორც მისი რეზულტატის თავის თავში ჩანერგვას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოღვაწეობის ობიექტური პირობები პირველადია, განმსაზღვრელია, ხოლო მათი ცნობიერება, ნება — მეორადი, წარმოებული. აღსანიშნავია, რომ აუცილებლობა, როგორც მოვლენა მის საქმიანობაში ობიექტური მოვლენისა და პროცესების ფორმით არსებობს. რაც უფრო ღრმად წვდება ისინი ობიექტურ მოვლენებსა და პროცესებს, მით უფრო თავისუფალი, ობიექტური და სოციალურად სასარგებლო ხდება მათი საქმიანობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება არის ობიექტური აუცილებლობის შემეცნება, მისი ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, მოღვაწეობაში შემეცნების შედეგების გათვალისწინება. მათ მოღვაწეობაში თავისუფლება მდგომარეობს ობიექტური რეალობის კანონზომიერებათა შემეცნებაში, მეცნიერებისა და ფილოსოფიის შემეცნებითი მიღწევების გამოყენებაში, მათ საფუძველზე სუბიექტური აზრების შემუშავებაში. როგორც ცნობილმა ფილოსოფოსმა ბრძანა, „მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ცოდნით“. აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ რეალურ ურთიერთობებში ქცევის წესის გონივრული არჩევის უნარი და სხვა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზოგიერთი მესვეურის აზრით, თავისუფლება არის სულის თვითგანსაზღვრა, ნების აბსოლუტური თავისუფლება, როგორც შესაძლებლობა, მოიქცეს ნების კარნახით, თვითნებურად, რაც ტერმინირებული არ არის ობიექტური მიზეზებით. დეტერმინიზმის იდეა, რომელიც მის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირით განპირობებულებას ადგენს, უარყოფილია. მიზეზობრივი საფუძვლის არმქონე, არაფრით განსაზღვრული, უპირობო თავისუფლება წარმოადგენს ქართული, მის არასწორად გაგებულ თავისუფლების შინაარსს.

მ.ი.ს. თავისუფლების აღიარების გარეშე არ შეიძლება მსჯელობა მათი საქმიანობის იურიდიული და მორალური პასუხისმგებლობის შესახებ. თუ მათ არ გააჩნიათ თავისუფლება და მოქმედებენ მხოლოდ აუცილებლობის მიხედვით, მაშინ მათი პასუხისმგებლობის საკითხი კარგავს ყოველგვარ აზრს, ხოლო „დამსახურების მიხედვით მიზღვა“ გადაიქცევა თეთნებობად.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მ.ი.ს. თავისუფლებას ზღუდავს, მათზე ძლიერ უარყოფით ზემოქ-

მედებას ახდენენ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მოწინააღმდეგე რეაქციული და გამდიდრებისათვის უსაფუძვლოდ და უკანონოდ დაუნდობლად მებრძოლი ადამიანები.

დიდად სამწუხაროდ, აუცილებლობისა და თავისუფლების კატეგორიების ლოგიკური შინაარსი ქართული მის საქმიანობაში გათვალისწინებული არ იქნა. ჩვენს ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა იმ გარემოებამ, რომ მის თავიანთ საქმიანობაში ვერ ანხორციელებენ პუბლიკაციების საგნისა და ობიექტის მეცნიერულ შემეცნებას, მათზე უკვე დაგროვილი ცოდნის შეთვისებასა და სწორად შეფასებას. მეცნიერული შემეცნების უარყოფით, სპეკულაციური ტიპის აზროვნებით ფორმირებულ იდეებს „თავისუფალი აზრები" უწოდეს და როგორც ჭეშმარიტი წარუდგინეს ჩვენს საზოგადოებას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელებული იქნეს რამდენიმე ჟურნალისტური დონისა და ხასიათის მითი. საქართველოს ველური კაპიტალიზმის დასაწყის ეტაპზე მყოფ ქვეყანას ცივილიზებული კაპიტალისტური ქვეყნების სისტემაში შესვლისაკენ მოუწოდებენ; აშშ აზიურ გუბერნიას სუვერენულ სახელმწიფოდ აცხადებენ, ევროპულ ქვეყნად თვლიან. საქართველოს, პრიმიტიული, ანტიხალხური დიქტატურის ქვეყანას დემოკრატიულ სახელმწიფოდ აცხადებენ. ფეოდალური დაქუცმაცებულობის მსგავსად დანაწევრებულ საქართველოს ერთიან და განუყოფელ ქვეყნად აცხადებენ, მაშინ, როდესაც საქართველო მის ბუნებრივ და იურიდიულ საზღვრებში არც კი არსებობს. 2003 წლის სომხურ სახელმწიფო გადატრიალებას „ვარდების რევოლუციად" თვლიან, საქართველოსათვის სასარგებლო მოვლენად აცხადებენ. ქართველი ხალხის ბუნებრივი და სოციალური სიმდიდრეების მიმთვისებლებსა და მტაცებლებს „ბიზნეს-

მენებად“ თელიან. საზღვარგარეთიდან თანამდებობებზე დანიშნულ ქართველების მოწინააღმდეგე არაქართველებს საქართველოს პატრიოტებად და ქართველი ხალხის კეთილმოსურნეებად წარმოგვიდგენენ და მხარს უჭერენ. მსოფლიო ისტორიის უდიდეს პიროვნებებს, რომელთა გენიალური ხელმძღვანელობით გერმანელების მუდმივ მონობას გადავრჩით. წერა-კითხვა ვისწავლეთ, ჩავიცვით და დავიხურეთ, უფასოდ ბინა და ბევრი სხვა სიკეთე მიეცით, ქართველების მტრებად აცხადებენ. მაოძედუნის „კულტურული რევოლუციის“ მსგავსი მოვლენა არის განსახორციელებელი უმადურებისა და ახალი მჩაგვრელის მიმართ. ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომლებიც აღნიშნული უდიდესი სიკეთეების დანერგვას ეწინააღმდეგებოდნენ და სასტიკი მეთოდებით ებრძოდნენ, ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველად აცხადებენ, პატრიოტებად თელიან.

ბევრი სხვა მითი შექმნა ქართული მის. ეს მითები თავიანთი ხასიათით ბერძნულ და რომაულ ანტიკურ მითებსაც კი არაფრით არ ჩამოუვარდებიან, ფანტასტიკური სიცრუით გამოირჩევიან.

ზოგიერთმა მის წარმომადგენლებმა ფილოსოფიურ და მეცნიერულ კატეგორიას შეუცვალა იდეური შინაარსი, დადებით მოვლენებს მისცა ნეგატიური შეფასება, რითაც მოახდინა საკუთარი თავისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელოვანი დისკრედიტაცია. დიდად სამწუხაროდ, მის თავისუფლების მაგივრად ჩვენში სახეზეა აშკარა თვითნებობა.

საქართველოს ამჟამინდელ უმძიმეს პირობებში საჭიროა საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტმა მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იყოლი-

ოს, მ.ი.ს. ქართველი ხალხის მსახურად აქციოს ისინი. იმის გამო, რომ საქართველოში არსებობს მ.ი.ს. საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი გავლენის პირობები და შესაძლებლობანი, საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი მათი საქმიანობის რადიკალური გარდაქმნის მიზნით. საჭიროა კვალიფიციური კადრების მომზადება საზღვარგარეთ. ამჟამად საქართველოში ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს.

საქართველოს მ.ი.ს. ზოგიერთი თანამშრომელთის ნეგატიური საქმიანობა ვლინდება აგრეთვე მათ მიერ სამართლისა და მორალის ნორმების დარღვევაში. პერიოდულ გამოცემებში, რადიო და ტელეგადაცემებში და სხვა არც თუ იშვიათად ადგილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებს, – ცილისწამებას, შეურაცხყოფას, ხულიგნობას და სხვა დანაშაულს. არც თუ იშვიათად ადგილი აქვს აშკარად ამორალურ ქცევებს, უწმაწური და ქუჩური სიტყვების გამოყენებას, ლანძღვა-გინებას ხელისუფლების დაუმსახურებლად კრიტიკასაც კი.

ადამიანთა გარკვეულ ნაწილს გულწრფელად სჯერა და მხარს უჭერს მის გამოთქმულ აზრებს, შეხედულებებს და მოქმედებენ მათ შესაბამისად. ამიტომ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა მ.ი.ს. დისციპლინის დამყარებისა, მათ მიერ ჩადენილ ანტისამართლებრივ და უზნეო ქმედებებზე უნდა განხორციელდეს საპასუხო, დასაბუთებული სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ზნეობრივი სანქციები.

ცნობილი სპეციალისტის საქართველოს მინისტრის ყოფილი მოადგილის აზრით, აფხაზეთში ომის დროს მ.ი.ს. ზოგიერთი წარმომადგენელი სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებებს ამჟღავნებდა პრესაში.

საკმაოდ სახელგატეხილი მ.ი.ს. მათ შორის ჟურნალ-

ისტიკის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებანი მისი საქმიანობის თეორიული დონის ამაღლების, მეცნიერების მიღწევების დანერგვის, ინფორმაციის ობიექტურობის უზრუნველყოფის, საერთო და პოლიტიკური კულტურის ამაღლების და სხვა მიზნით.

ალბათ, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ზოგიერთი ფორმალური ხასიათის ღონისძიებაც: მ.ი.ს. კერძოდ, ჟურნალისტიკაზე საზოგადოებრივი აზრის დადებითად შეცვლის მიზნით მას ეწოდოს პუბლიცისტიკა, ხოლო ჟურნალისტს პუბლიცისტი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გააჩნია უნარი პირდაპირი კავშირი დაამყაროს საზოგადოებასთან, ისეთი ტრადიციული კავშირების ინსტიტუტების გვერდის ავლით, როგორიც არის ეკლესია, სკოლა, პოლიტიკური პარტიები და სხვა ორგანიზაციები. მათი ეს თავისებურება გამოიყენება პოლიტიკური მოღვაწეებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ მათი პროგრამების მასობრივი მხარდაჭერის მიღწევის მიზნით.

ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოწოდებულნი არიან გამოამზეურონ უშრომველად გამდიდრებულთა პოლიტიკის ფარული ზამბარები, მიაქციონ საზოგადოების ყურადღება მათი მოღვაწეობის ოდიოზურ მოვლენებზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსვლაში.

ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში დიდ ადგილს იკავებენ წინასაარჩევნო კამპანიის საკითხები, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ელექტორატზე. ამიტომ პოლიტიკოსები და თანამდებობისათვის მებრძოლი კანდიდატები ხშირად სამართლებრივად

და ზნეობრივად აკრძალულ ხერხებსაც კი იყენებენ მათი მსარდაჭერის მისაღწევად.

ქართული მ.ი.ს. ზედაპირულად აშუქებენ წინასაარჩევნო კამპანიის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, ზედაპირულად ხდება დეპუტატობის კანდიდატების პირადი თვისებების, ნაკლოვანებებისა და ღირსებების შეფასება შემდეგი თვალსაზრისით: აქვთ თუ არა მათ მეტად აუცილებელი ზოგადი და სპეციალური პოლიტიკური განათლება და კულტურა, პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება და უნარი; არიან თუ არა პირადად ზნეობრივი, სუფთა ადამიანები; არის თუ არა ქართველი, რომლადაც ზოგიერთი თვალთმაქცურად თვლის თავის თავს, ზიანს აყენებს ქართველებს; არის თუ არა ქართველი ხალხის კეთილმოსურნე; არის თუ არა საზღვარგარეთის სახელმწიფოების კრეატურა, ადგილობრივი რეაქციონერების აგენტი; არის თუ არა ქართველების რელიგიური მოწინააღმდეგე. ბევრი სხვა აუცილებელი ნიშნის მიხედვით უნდა შეფასდეს ადამიანები, საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევისას, ხელმძღვანელ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნისას. ამ მხრივ ჩვენს მ.ი.ს. ბევრი რეალური შესაძლებლობა გააჩნიათ, რასაც სამწუხაროდ არ იყენებენ. მის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე არჩევნების ფაქტობრივი შედეგების დადგენას და მათ შესახებ ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ ამომრჩევლებს. ასეთ შემთხვევას საქართველოში, ალბათ, ჯერ კიდევ არ ჰქონია ადგილი.

ქართველი ხალხისა და მისი არაქართველი კეთილმოსურნეების საუბედუროდ, ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არასახარბიელო, უხეირო მდგომარეობის ძირითადი მიზეზია ქართული სახელმწიფოს მიერ მათი „თა-

ვისუფლების“ უზომო გაფართოების წინდაუხედავი ანქარება. ჩვენ ხომ ამ სფეროში არავითარი ტრადიციები, არავითარი გამოცდილება არ გაგვაჩნია და ამიტომ ჩვენი ქმედებების შედეგებიც საეალალოა. ასეთი შედეგები განპირობებულია აგრეთვე ქართველი ხალხის საზღვარგარეთელი მტრების და საქართველოში თვით ქართველების მიერ შემოსახლებული ზოგიერთი არაქართველის მტრულიდეური და პრაქტიკული რეკომენდაციებით. ზოგიერთმა მათგანმა, თავიანთი სამშობლოდან გამოძევებულმა საქართველოში დანაშაულის ჩადენით – სპეკულიანტობით, მტაცებლობით, მითვისებით და სხვა დიდი ფული დააგროვეს და საქაროველოს ქართველების საწინააღმდეგოდ ფარულად მართავდნენ და მართავენ, რაც ძლიერი პატრიოტული და კვალიფიციური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არსებობის პირობებში ვერ შეძლებდნენ.

მეცხრე პარაგრაფი. პოლიტიკური რეჟიმი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი მოდერნიზაციისა და განვითარების პრობლემები

პოლიტიკური ხელისუფლების ერთ-ერთი მატერიალურ-პრაქტიკული განზომილება, რომელიც გამოიხატება იმაში, თუ როგორ ფუნქციონირებს ის რეალურად, არის პოლიტიკური რეჟიმი. ის ავლენს პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონალურ ასპექტს და მოიცავს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მთლიან სპექტრს. დიდია აგრეთვე პოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ცხოველმყოფელობაში. საზოგადოებათა პოლიტიკური ცხოვრების ისტორია გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახელმწიფო მმართველობის ფორმა უცვლელი რჩება, პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებები იწვევს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სადისკუსიო პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება თვით პოლიტიკური რეჟიმის ცნება.

პოლიტიკური რეჟიმის ყველაზე უფრო გავრცელებული დეფინიცია იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას[6]. ასეთი განსაზღვრება არის ცალმხრივი, არ გამოხატავს პოლიტიკური რეჟიმის არსებას, მის დინამიზმსა და მრავალმხრივობას. პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებს მართლაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება პოლიტიკურ რეჟიმთან, მაგრამ თვით ეს მეთოდები, მათი კონკრეტული სახეები და შინაარსი დამოკიდებული

6 გიეი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997, გვ. 38

არიან ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების თანაფარდობასთან, ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთბრძოლასთან, საზოგადოებაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ასეთი ვითარება იქმნება სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების შედეგად. აღნიშნული მოვლენების როგორც მნიშვნელოვანი დეტერმინერებადი ფაქტორების პოლიტიკური რეჟიმის ცნებაში დაფიქსირების გარეშე ის მეცნიერულად არასრულყოფილია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური რეჟიმი შეიძლება განისაზღვროს როგორც ხელისუფლების განხორციელების მეთოდები, ხერხები და საშუალებანი, შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა საზოგადოებაში, რომელიც წარმოიშვა პოლიტიკური ძალების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდაპირისპირების შედეგად და ხასიათდება დემოკრატიზმით და ანტიდემოკრატიზმით.

საზღვარგარეთისა და ქართულ პოლიტიკურ ლიტერატურაში ხშირად პოლიტიკური და სახელმწიფო რეჟიმი იდენტიფიცირებულია ერთმანეთთან. ასეთი თვალსაზრისის ჭეშმარიტებულობა დამსახურებულ და სამართლიან ეჭვს იწვევს. სახელმწიფოს თეორიაში ისტორიულად პოლიტიკური რეჟიმის სახელმწიფო რეჟიმთან იდენტიფიკაციის შემთხვევები არ არსებობს. სახელმწიფო რეჟიმი ითვლებოდა და ახლაც ითვლება პოლიტიკური რეჟიმის შემადგენელ ნაწილად, რომელიც მოიცავს არამარტო სახელმწიფო მმართველობას, არამედ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა შემდგენელი ელემენტების. მმართველობას პოლიტიკური რეჟიმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა და ლოგიკური ცნება ზოგადი და მოცულობით უფრო ტევადია, ვიდრე სახელმწიფო რეჟიმი. მის შინაარსში შედის არამარტო სახელმწიფო

ხელისუფლების განხორციელების მეთოდები, ხერხები და საშუალებანი, არამედ არასახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების სახელისუფლებო პრეროგატივების რეალიზაციის მეთოდები და საშუალებანი. პოლიტიკური რეჟიმის მთლიანი შინაარსია ის, თუ როგორი მეთოდებით და საშუალებებით ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებაში. ქართული პოლიტიკური რეჟიმის ძირითადი ნაწილია სახელმწიფო რეჟიმი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური რეჟიმის ძირითად შინაარსს და ხასიათს.

პოლიტიკური რეჟიმი განხორციელების მეთოდებისა და ხასიათის მხრივ არის პროგრესული და რეაქციული პოლიტიკური რეჟიმები. ძნელია ქართული პოლიტიკური რეჟიმის სრული პროგრესულობის მისაღწევად ბევრი აუცილებელი პოლიტიკური გარდაქმნა არის განსახორციელებელი.

სახელმწიფოს თეორიაში საკისკუსიოა აგრეთვე, პოლიტიკური რეჟიმისა და სახელმწიფო წყობილების თანაფარდობის პრობლემა. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს აიგივებს ერთმანეთთან, განიხილავს მათ როგორც იდენტურ მოვლენებს[7].

აღნიშნული თვალსაზრისის ჭეშმარიტებულობა სამართლიან ეჭვს იწვევს. სახელმწიფო წყობილება და სახელმწიფო რეჟიმი რთული პოლიტიკური ფენომენის, სახელმწიფოს ფორმის ელემენტებია, ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამავე დროს, სახელმწიფო წყობილება გაცილებით უფრო რთული, მრავალასპექტიანი მოვლენაა, ვიდრე პოლიტიკური რეჟიმი. მათი სტრუქტურული ელემენტები განსხვავებული მოვლენებია. სახელმწიფო წყობილების სტრუქტურის ელემენტებია: სახელმწიფოს

7. Ориу М. Основы публизного права.М. 1929 с. 296, 305.

შინაგანი აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოს როგორც მთელსა და მის ნაწილებს შორის; ურთიერთდამოკიდებულება ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის. ამ ნიშნების მიხედვით ქვეყნები იყოფიან მარტივ და რთულ სახელმწიფოებად. სახელმწიფო რეჟიმი კი, როგორც აღინიშნა, არის ხელისუფლების განხორციელების მეთოდები, ხერხები და საშუალებანი. მისი ძირითადი ნაწილებია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული მეთოდები და ხერხები და ამ მეთოდების განხორციელების შედეგად ქვეყანაში დამყარებული წესრიგი.

აქ აღნიშნული სადისკუსიო თეორიული პრობლემების მეცნიერული კვლევა მეცნიერ-პოლიტოლოგთა და მეცნიერ-იურისტთა მოვალეობაა.

ქართული, ისევე როგორც ყველა სხვა პოლიტიკური რეჟიმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის არის საზოგადოებაში ბოლო პერიოდში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რომელიც ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტის და ინსტიტუტის ფუნქციონირების შედეგად. პოლიტიკური ვითარების მუდმივი ცვალებადობა იწვევს პოლიტიკური რეჟიმის მრავალ შესაძლებელ ვარიანტს. თანამედროვე საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალების მყარი ბალანსი, არ არის მიღწეული პოლიტიკური სისტემის მთავარი ელემენტების თანხმობა საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებზე. მაშინაც კი, როცა ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა იცვლება, პოლიტიკური რეჟიმი არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

თანამედროვე საქართველოში გაბატონებული ადამიანთა ჯგუფების მიერ შექმნილი სახელმწიფო რეჟიმი არის სახელმწიფო ფორმის ყველაზე უფრო დინამიკური ნაწილი, რომელიც მგრძნობიარედ რეაგირებს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე და პროცესებზე. სახელმწიფო რეჟიმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე სახელმწიფო ფორმის ინდივიდუალიზაციის პროცესზე. გარკვეულწილად განსაზღვრავს მის როლს სახელმწიფო-სამართლებრივ მექანიზმში, მის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, მიუთითებს მის ორგანიზაციულ დასრულებულობაზე. აღნიშნული გარემოებების, სახელმწიფო რეჟიმის ხასიათის გათვალისწინების გარეშე ძნელია გაგებული იქნეს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსი, მისი სოციალურ-პოლიტიკური დანიშნულება.

ქართული სახელმწიფო რეჟიმი, როგორც ზოგადად სახელმწიფო რეჟიმის სახესხვაობა არ წარმოშობილა სპონტანურად, შესაფერისი ფაქტორების მოქმედების გარეშე. აღსანიშნავია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორები.

ეკონომიკური ფაქტორებიდან ძირითადია თვით ეკონომიკის ხასიათი. ქართული ცენტრალიზებული სოციალისტური ეკონომიკის დეცენტრალიზებული, არაგეგმიური საბაზრო ეკონომიკით შეცვლით ქართველმა პოლიტიკოსებმა ყოველგვარი მომზადების, აუცილებელი საფუძვლების და წინამძღვრების გარეშე ეკონომიკური საწარმოები გააკერძოვეს, რამაც განაპირობა ეკონომიკის სფეროდან სახელმწიფო პოლიტიკის იზოლაცია. შეიქმნა არქაულ-ნეოლიბერალისტურის მსგავსი ნაკლებინტენსიური ეკონომიკა, რომლის ნიშნებია: სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრების დონის მკვეთრი

დაცემა, ბუნებრივი ნედლეულის არაეკონომიური გამოყენება, შეზღუდული წარმოების ანარქია და ქაოსი, მრავალი ათეული წლების წინათ.

ლიკვიდირებული და დისიდენტური კანონმდებლობით აღდგენილი კერძო საკუთრება, საზოგადოებრივი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების ტემპების შემცირება და სხვა ეკონომიკური მოვლენები და პროცესები. ქართული ეკონომიკის, როგორც ბაზისური მოვლენის ობიექტური ნიშნები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ქართული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოყენებული ეკონომიკურ მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა მიზანია მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა თანამედროვე ქართული ნეობურჟუებისთვის.

ქართული სახელმწიფო რეჟიმის დეტერმინირებადი ფაქტორებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სუბიექტური ხასიათის ფაქტორები. კერძოდ, თანამედროვე ქართული საზოგადოების მმართველი სოციალური ძალის და მისი სახელმწიფოს ინტერესები და ნება.

საქართველოში ეკონომიკურად გაბატონებული ადამიანთა ჯგუფები გამოირჩევა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი განსაკუთრებით ძლიერი, დაუოკებელი მიდრეკილებით და ლტოლვით, მათ მიერ გამოყენებული მმართველობის მეთოდებისა და საშუალებების სისასტიკით, ვერაგობით და თვალთმაქცობით. ეს სამწუხაროდ განსაზღვრავს თანამედროვე სახელმწიფო რეჟიმის თავისებურებას. საქართველოში სასწრაფოდ გამდიდებული ადამიანები სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მოითხოვენ ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს მათი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებას, მათი სიმდიდრის დაცვას, საზოგადოების სოციალური განვითარებას მათი

იდეალების შესაბამისად, საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაში მდიდარ-მჩაგვრელთა ჯგუფის წამყვანი როლის განსამტკიცებლად, მისი პრივილეგიების დასაცავად. ქართული სახელმწიფო რეჟიმის ხასიათის განსაზღვრაზე მნიშვნელოვან გაჟღენას ახდენენ აგრეთვე იდეოლოგიური ხასიათის ფაქტორები, საზოგადოებაში ფუნქციონირებადი ტრადიციები, ხელისუფლების სათავეში მდგომი ადამიანთა ჯგუფების იდეები, წარმოდგენები და სხვა თავისებურებანი.

ქართული სახელმწიფო რეჟიმის არსებისა და ხასიათის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უმთავრესი სუბიექტური ხასიათის სოციალურ ფაქტორს ქართველი ხალხის ნების სახით. საერთოდ ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის სულისა და ნების კატეგორია ძალზე ზოგადი, საკმაოდ განუსაზღვრელი და ამავე დროს ძალზე დელიკატური მატერია არის.

უდიდესი გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი კულტურის შემქმნელი, დიდებული სულიერი თვისებების მქონე ქართველი ხალხი საკუთარი და უცხო ჯიშის ზოგიერთი „დემოკრატებად“ და „პატრიოტებად“ გადაღებილი მძარცველების, დემაგოგების და კარიერისტების მიერ განხორციელებული მტრული მოქმედებების შედეგად დეზორგანიზებულია, პასიურია, აპატიურია. მასში შესუსტებულია ძლიერი ნება, მიზანმიმართულება. უფრო მეტი დოზით წარმოდგენილია ანარქიზმი, უდარდელობა, ცინიზმთან შერეული ალტრუიზმი.

ამიტომ, ამოსავალ თეზისად ჩვენშიც რჩება მეცნიერების დებულება იმის შესახებ, რომ როგორიცაა ჩვენი სული და ნება ისეთია, საბოლოო ანგარიშით, მისი მონაწილეობით შექმნილი სახელმწიფო და სახელმწიფო რეჟიმი. ეს მოე-

ლენები წარმოადგენენ ქართული სახელმწიფოს და მისი რეჟიმის უშუალო, სუბიექტურ წანამძღვრებს, განსაზღვრავენ მათ სოციალურ ბუნებასა და დანიშნულებას. ჩვენ, ზოგადი განათლებისა და კულტურის მაღალი დონე რომ გვქონდეს, საზოგადოების მმართველი ფენაც შედარებით განათლებული და ზნეობრივად სუფთა იქნებოდა, ჩვენს მიერ შექმნილი სახელმწიფო და მისი რეჟიმი უფრო პროგრესული და ოპტიმალური იქნებოდა, ქართველი ხალხი უამრავ ტრაგედიებსა და დრამებს გადარჩებოდა.

საერთოდ და კერძოდ საქართველოში ფუნქციონირებადი სახელმწიფო რეჟიმის ხასიათი ვლინდება მრავალრიცხოვან მოვლენებში და პროცესებში. კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების მეთოდებში და ხერხებში, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის განაწილების წესში და მეთოდში, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელების ხარისხში, საზოგადოების ცხოვრებაში სამართლის როლში, სახელმწიფო მექანიზმში, არმიის, პოლიციის და უშიშროების ორგანოების ადგილსა და როლში, მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალური მონაწილეობის ხარისხში, საზოგადოებაში წარმოშობილი სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტის მეთოდებსა და ხერხებში და სხვა.

თანამედროვე საქართველოში გაბატონებული ადამიანების მიერ დეკლარირებული, რეალურად მოქმედი რეჟიმის ნიშან-თვისებებიდან ბევრი მათგანი აშკარად ფორმალურია და ჩვენი მიზეზით გამო არც შეიძლება იყოს რეალური, მაგალითად, სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების „დემოკრატიული“ მეთოდები და საშუალებანი. ზოგიერთის

განხორციელება ობიექტურად შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს მათი რეალიზაციის მატერიალური და სხვა შესაძლებლობანი, მაგალითად, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების რეალური განხორციელება. ზოგიერთი მათგანი არადამაკმაყოფილებლად მაგალითად სახელმწიფო მექანიზმში ზოგიერთი კომპონენტის საქმიანობა.

საქართველოში ამჟამად არსებული ბურჟუაზიული სახელმწიფოს ანალოგიური ტიპისა და სახელმწიფო ფორმის მიერ შინაარსობრივად დეტერმინირებული სახელმწიფო რეჟიმი მოქმედებს ბუნებრივი კაპიტალიზმისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელ საქართველოში მისი „შემოღების" მიზნით, როცა ჩვენში არ არსებობს კაპიტალიზმისათვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობები; წინა თაობების მიერ შექმნილ დადებით სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს მთლიანად უარყოფით მატერიალური და სხვა ღირებულებებით კი ურცხვად ვსარგებლობთ; ისტორიაში ყველაზე ექსპლუატატორული, პარაზიტული და ხარბი მტაცებლების გამდიდრებისათვის პირობების შესაქმნელად მოქმედებთ მოსახლეობის გაღატაკების გზით; ბიუროკრატიული, გამდიდრების მანიით შეპყრობილი ჩინოვნიკების გამდიდრებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად; ვსაქმიანობთ, ექსპლუატირებულ მოსახლეობას ვარწმუნებთ იმაში, რომ მდიდრების ხელისუფლება პროგრესულია, დემოკრატიულია და ხალხზე ზრუნავს.

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო რეჟიმის სოციალური ბაზაა ხელოვნურად, სახალხო ქონების დარიგებით გამდიდრებულ ადამიანთა ჯგუფები, მათი ხელმძღვანელები და მხარდამჭერები, რომლებიც სახალხო ქონების მითვისებისა და მტაცებლობის გზით გამდიდრდნენ; საბჭოთა პერიოდში დანაშაულის გზით გამდიდრებული „მუშათა

არისტოკრატიის“ „კომუნისტური პარტიის“ ბობოლები და ბევრი სხვა. ყველა ისინი „მოღვაწეობენ“ თანამდებობების დაკავებისა და მათი მეშვეობით გამდიდრებისათვის.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო რეჟიმის შემქმნელმა მდიდარმა კლასებმა, მმართველი ადამიანთა ჯგუფებმა საზღვარგარეთელი მბრძანებელთა მითითებებით მათივე მიზნები მისაღწევად გამოიყენა ძალადობისა და თაფლაკვერას საკმაოდ ეფექტური მეთოდები – მუშათა კლასის და სხვა ღარიბი ფენების მიმართ დათმობებზე უარის თქმა, რეფორმების ფორმალური აღიარება, პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების ფორმალური გამოცხადება. ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება „ლიბერალიზმის“ ისეთი მეთოდებიც, რომლებიც სასარგებლოა მდიდართა დამცველი მმართველი ადამიანების ჯგუფებისათვის, მათ შორის თაფლაკვერას დარიგება და მისით გამასპინძლება.

ცნობილია, რომ პოლიტიკური რეჟიმის შეფასების მთავარი კრიტერიუმია დემოკრატია, რეჟიმი ზომავს დემოკრატიის „დოზას“ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუ ეს თანაფარდობა არის დემოკრატიის სასარგებლოდ, მაშინ არსებობს დემოკრატიული რეჟიმი, თუ პირიქით ხდება, მაშინ ჩნდება ტოტალიტარული რეჟიმის ნიშნები, როცა დემოკრატიის „დოზა“ არამკაფიო და გაურკვეველია, მაშინ სახეზეა შერეული რეჟიმი. ამჟამად საქართველოში აუცილებელია ტოტალიტარული რეჟიმი დემოკრატიის მცირე „დოზით”.

საბჭოთა კავშირის დაშლით დაინტერესებულმა, მსოფლიო ბატონობისათვის მებრძოლმა სახელმწიფოებმა საქართველოს დისიდენტები და „დემოკრატები” შეაგულიანა დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და ყოველგვარი მომზადების საფუძვლისა და შესაძლებლობის გარეშე დაემყარებინათ „დემოკრატიული“ სახელმწიფო რეჟიმი. საქართველო-

სათვის ამ მიუღებელი დირექტივის შესრულებას მოჰყვა ქართველების დიდი მსხვერპლი, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება, ქართველების დიდი რაოდენობით ემიგრაცია და სხვა ბევრი უბედურება. ამჟამად საქართველოში არ არის დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმის დამყარების და ფუნქციონირების არავითარი შესაძლებლობა, ამიტომ ამ სფეროში განხორციელებულ, დემოკრატიულ გარდაქმნებს არავითარი აზრი არა აქვს, ქართველი ხალხისათვის ისინი სასარგებლო არ არის. დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმის მოსამზადებლად გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიც არის: პოლიტიკური განათლების ცენზის შემოღება, მოქალაქეთა ფორმალური უფლებებისა და თავისუფლების ნაწილობრივი შეზღუდვა, ყბედი პოლიტიკური ოპოზიციის გაუქმება, პოლიტიკური პარტიების რაოდენობის შემცირება და სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

დიქტატორული ხელისუფლებისა და მისი პროლეტარული სახესხვაობის ისტორიისა და თეორიის, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი დიქტატორი ხელმძღვანელების პოზიტიური მოღვაწეობის უცოდინარობისა და ჩვენი შავი უბედურების გამო ხმაშეწყობილად ურცხვად ვგმობთ საქართველოს მუშათა დიქტატორულ სახელმწიფოს და მის რეჟიმს, რაც კი გაგვაჩნია ყველაფერი მათი წყალობით რომ გვაქვს.

ელემენტარული ობიექტურობა, სამართლიანობა და მადლიერების გრძნობა კი მოითხოვს საქართველოში მუშათა სახელმიფს პოლიტიკური რეჟიმის დამყარების საშინაო და საგარეო ფაქტორების მეცნიერულ ანალიზს, მისი ისტორიული მისიის შედეგების ობიექტურ შეფასებას. ქართულმა მუშათა სახელწმიფომ და მისმა რეჟიმმა უკიდურესად ჩამორჩენილი, ი. ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ უსწრაფესი ტემ-

პებით განაგითარა, წერა-კითხვის უდროცინარი ხალხი მსოფლიოში უმაღლესი განათლების მხრივ პირველ ადგილ'ზე გამოიყვანა, ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნა გერმანელებისა და თურქების მუდმივ მონობას გადაარჩინა და სხვა. საქართველოში ასეთი დიადი საქმეები არც ერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ მადლიერების გრძნობით მოვისხენიოთ საქართველოს მუშებისა და ღარიბი გლეხების სახელმწიფო ხელისუფლება და მისი რეჟიმი. როგორც ისტორიაში ხდება მჩაგვრელებს, ცილისმწამებლებს და უმადურებს ექსპლუატირებული მასები მათი შრომის შედეგებს ჩამოართმევენ, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი დასჯიან. როგორც მათ ჩვევიათ ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთ გაიქცევა, ეროვნულ სიმდიდრეს თან წაიღებს და მათ საზღვარგარეთელ დამცველებს ძღვნად მიართმევს, როგორც ეს ადრე გაუკეთებიათ.

თანამედროვე საქართველოში ყველაზე აქტუალური და საარსებო პოლიტიკური პრობლემაა დიქტატორული სახელმწიფოსა და მისი რეჟიმის ფორმირების პრობლემა. ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა, გაბატონებული მდიდრების ანტიხალხური საქმიანობა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვენ ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმის დამყარებას. ამ რადიკალური პოლიტიკური გარდაქმნის აუცილებლობა განპირობებულია მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორებით. ტოტალიტარული რეჟიმის დასამყარებლად საჭიროა სუპერპრე'ხიდენტური ხელისუფლება, ძლიერი პიროვნების, თეორიტიკოსისა და ორგანიზატორის პირადი დიქტატურა. საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის გამგეობამ უნდა უზრუნველყოს ამ ღონისძიებების განხორციელება.

ქართული თეორიული სოციალური მეცნიერება მოწოდებულია დაამტკიცოს იმ აზრის მცდარობა, რომლის მიხედვით თითქოს ტოტალიტარიზმი და ფაშიზმი იდენტური მოვლენები და ცნებებია. სინამდვილეში კი, მიუხედავად მცირე მსგავსებისა, მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება. ისინი წარმოიშობიან და ფუნქციონირებენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე. ფაშიზმის დამახასიათებელი თვისებაა უკიდურესი შოვინიზმი და რასიზმი, სხვა ერების დამონებისა და ლიკვიდაციის პოლიტიკა. ის არის აშკარა ტერორისტული დიქტატურა, უარყოფს ყოველგვარ დემორატიას, კანონიერებას. ტოტალიტარიზმს კი ახასიათებს ერების თანამშრომლობა, ინტერნაციონალიზმი, მათ ყოველმხრივ განვითარებაზე ზრუნვა, ხალხის ფართო მასების კეთილდღეობაზე ზრუნვა და ბევრი სხვა დადებითი საქმიანობა. უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის დიქტატორს და მის ახლო გარემოცვას, ადგილი აქვს კანონიერების დარღვევას და თვითნებობას. მაგრამ ის ძირითადად მაინც დადებითი პოლიტიკური რეჟიმია. მსოფლიოს წინაშე მისი ყველაზე დიდი დამსახურებაა ხალხების გადარჩენა ფიზიკური მოსპობისა და დამონებისაგან; მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამიტომ ხალხები დიქტატორებს მადლიერებით იხსენებენ რუსი ხალხი კი სულ უფრო და უფრო მტკიცედ მოითხოვს ძლიერ დიქტატორულ ხელს ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის[8].

ეს მოთხოვნა უკვე რეალიზებულია, რუსეთში დამყარდა გენერალ ვ. პუტინის ავტოკრატიული საპრეზიდენტო მმართველობა, რომელმაც ის განავითარა და გადააქცია მსოფლოს დიდ სახელმწიფოდ.

---

8 Политилогия. Издательство Норма . М, 2003, стр. 100.

მეოთხე თავი
თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციონირების ნეგატიური მედეგები

პირველი პარაგრაფი. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის არსი, სტრუქტურა და სახეები

მეცნიერებაში და ფილოსოფიაში საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, მისი კატეგორიის ბუნების ინტენსიური და მრავალმხრივი კვლევის მიუხედავად, სხვადასხვა მიდგომებისა და გამოყენებული კრიტერიუმების გამო არსებობს ხვადასხვა თვალსაზრისი მისი კატეგორიები, გარკვეულწილად ხელს უშლის საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კვლევის მეცნიერულ პრინციპებზე დაფუძნებას და რაციონალურ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

საერთოდ, პოლიტიკური სისტემის კატეგორიისა და კერძოდ, ქართული პოლიტიკური სისტემის მეცნიერული განსაზღვრისას აუცილებელია ისეთი ცნებების გამოყენება, როგორიც არის: სიმრავლე, ელემენტი, კავშირი, მიმართება, სტრუქტურა, მთლიანობა. მაგრამ ელემენტების ნებისმიერი სიმრავლე არ ქმნის პოლიტიკურ სისტემას. აუცილებელია ელემენტებს შორის არსებობდეს ისეთი კავშირები და მიმართებანი, რომლებიც ქმნიან ახალ პოლიტიკურ მთლიანობას, რომელიც განსხვავდება მისი შემადგენელი ელემენტებისაგან. სისტემის პოლიტიკური თვისებები არ დაიყვანება ელემენტების ცალკეულ თვისებებზე, მათ ჯამზე, პოლიტიკური ელემენტებიც დამოკიდებულია პოლიტიკურ სისტემაზე. მათი ადგილი პოლიტიკურ სისტემაში განისაზღვრება განხორციელებული ფუნქციებით, რომლებსაც ისინი პოლიტიკურ მთლიანობაში ანხორციელებენ, ამიტომ საზოგადოების

პოლიტიკური სისტემა მისი პოლიტიკური ხასიათის ელემენტების ორგანული კავშირია და არა უბრალო ჯამი.

პოლიტიკური სისტემა რთული ფენომენია და ამიტომ მას ახასიათებს გარკვეული სტრუქტურა, რომელიც მისი არსებითი ნიშანია. მისი მეშვეობით პოლიტიკური ელემენტები ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული. პოლიტიკური სტრუქტურა პოლიტიკური სისტემის აღნაგობის მაჩვენებელია. ამავე დროს, პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სტრუქტურა ერთმანეთს არ ემთხვევა. პოლიტიკური სტრუქტურა დამოკიდებულია ელემენტების კონკრეტულ ბუნებაზე. ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკურ ელემენტებს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი სტრუქტურა და პირიქით. პოლიტიკური სისტემის ხასიათი დამოკიდებულია პოლიტიკური ელემენტებისა და სტრუქტურის თვისებებზე. პოლიტიკური სისტემის ელემენტები არიან პოლიტიკური მოვლენები. ამიტომ პოლიტიკური სისტემის ცნება სავსებით სამართლიანად გამოიყენება პოლიტიკური სინამდვილის სფეროში. ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემა არსებული სოციალური სისტემის ნაწილია.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა არის ინსტიტუციონალური წარმონაქმნების კომპლექსი, რომლებიც ავლენენ სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, ფორმირებას და ორგანიზაციას უკეთებენ ადამიანთა ურთიერთმოქმედებას საჯარო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის კატეგორიების თანაფარდობის

შესახებ. ზოგიერთი ავტორი მათ თვლის სინონიმურ მოვლენებად[9].

აღნიშნული თვალსაზრისის მეცნიერული ჭეშმარიტებულობა სამართლიან ეჭვს იწვევს. როგორც აღინიშნა, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის არსებითი ნიშანია მასში გაერთიანებული პოლიტიკურ ელემენტებს შორის ორგანული კავშირი და მაქსიმალურად შეთანხმებული მოღვაწეობა დასახული მიზნის მისაღწევად საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში ეს მომენტები მაქსიმალური ხარისხით არის წარმოდგენილი, მაგრამ პოლიტიკურ ელემენტთა მაქსიმალური შეთანხმებულობა და შეთავსებადობა მიღწეულია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის დომინირებადი ელემენტების — ეკონომიკურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობაში. ამიტომ პოლიტიკური სისტემა უნდა ეწოდოს იმ საზოგადოების სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთობლიობას, რომელიც შექმნილია და შეუფერხებლად ფუნქციონირებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების არსებულ ტიპში.

ფორმირებად საზოგადოებრივ სისტემებში, მათ შორის ქართულშიც ჩაგრული კლასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები შედარებით მეტი სისტემურობით ხასიათდებიან, მაგრამ, როგორც წესი, მათ მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ შეთანხმებული აქტიურობა მნიშვნელოვნად კლებულობს.

საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია სახელმწიფოს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობლიობაა, რომელშიც გაერთიანებულია ანტაგონისტური

9 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 8. თბილისი, 1984, გვ. 643. Долгих А. К. Политическая организация сосилистического общетва. Ленинград, 1971, стр. 152

კლასების პოლიტიკური ორგანიზაციები. მათი სისტემურ-შეთანხმებული მოღვაწეობის დონე და ხარისხი მინიმალურია, საზოგადოებაში სოციალური ანტაგონიზმის მაქსიმალური განვითარების გამო. ამიტომ შესაძლოა დასაბუთებად ჩაითვალოს აზრი იმის შესახებ, რომ გარკვეული ტიპის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების შექმნის პროცესში მყოფ ქვეყნებში ფუნქციონირებად ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთობლიობას ეწოდოს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას და საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას გააჩნია რიგი საერთო ნიშანთვისებები, მაგრამ ამავე დროს არსებობს მათი განმასხვავებელი ნიშნებიც. ამიტომ მათი იდენტიფიკაცია მეცნიერულად დასაბუთებული არ არის.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ პოლიტიზირებული კლასობრივი ბრძოლის საზოგადოებაში შეუძლებელია ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა. მათი აზრით, ვინაიდან ანტაგონისტურ საზოგადოებაში ადგილი აქვს შეურიგებელ სოციალურ-კლასობრივ ბრძოლას ანტიგონისტურად დაპირისპირებულ სოციალურ წარმონაქმნებს შორის, მათი პოლიტიკური ორგანიზაციები არ შეიძლება გაერთიანდნენ უფრო ფართო პოლიტიკურ ორგანიზაციაში.[10]

ამ შემთხვევაში ანალიზის ობიექტია ანტაგონისტური საზოგადოება, რომელშიც არსებობს ობიექტური და სუბიექტური პირობები განსხვავებული, ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობისა და ფუნქციონირებისათვის. ისინი საზოგადოების პოლიტიკური ატრიბუტებია. საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური ორგანიზაციის შინაგანი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი,

10 Политическая организация советского общества изд-во „Наука", М, 1967, стр. 9.

დაპირისპირებული მხარეები და ტენდენციები ერთმანეთთან ობიექტური აუცილებლობით არიან დაკავშირებული და ამავე დროს უარყოფენ ერთმანეთს, რაც მათი განვითარების წყარო და მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მთელი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობის საწინააღმდეგო ფაქტორი.

დებულება ანტაგონისტური პოლიტიკური ორგანიზაციების ერთიან პოლიტიკურ ორგანიზაციად ფორმირების შეუძლებლობის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულია მხოლოდ საზოგადოების ნაწილის, სოციალური კლასების პოლიტიკური სისტემის მიმართ, რომლის ელემენტი ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს ანტაგონისტი კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც საპირისპირო ინტერესები გააჩნია და მათი რეალიზაციისათვის მთელი შესაძლებლობებით იბრძვის. ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემა თავისი სტრუქტურის მიხედვით რთული პოლიტიკური ფენომენია, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკური ქვესისტემების, ბლოკების და კომპონენტების ორგანულ ერთობლიობას.

ქართულ პოლიტიკურ სისტემაშიც ძირითადი პიროვნულ-ორგანიზაციული ბლოკია, რომელიც გამოხატავს ადამიანისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირს. ჩვენი საზოგადოების ყველა წევრი სხვადასხვა ხარისხით განიცდის პოლიტიკურ ზემოქმედებას სხვადასხვა ფორმებში. ამ ურთიერთობის მეორე მხარეა ის, რომ პოლიტიკურად აქტიური ადამიანები სხვადასხვა ორგანიზაციულ-პოლიტიკური ფორმების მეშვეობით აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკური იდეების ფორმირებაში, პოლიტიკური ხელისუფლების შექმნაში. ადა-

მიანები, როგორც დეპუტატები, პარტიულ ორგანიზაციათა ლიდერები და სხვა ქმნიან პოლიტიკას, რეალურ გაელენას ახდენენ საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაზე, აბსოლუტურად გენიალურია აზრი - როგორიც არიან ადამიანები, ისეთივეა მათ მიერ შექმნილი პოლიტიკა და პოლიტიკური სისტემა. ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ჩვენ ადამიანებმა, ჩვენმა გაერთიანებებმა მისცა შესაძლებლობა პოლიტიკანებს, დემაგოგებს, გამდიდრებისათვის დაუნდობელი მეთოდებით მებრძოლ კარიერისტებს გაეუარესებინათ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობები, ებრძოლებიათ ხალხი და სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის და სხვა მაშინ, როცა მათი მიღწევა არსებულ პირობებში გამოყენებული მეთოდებით რეალურად შეუძლებელი იყო და არის. ვოლუნტარისტული, ავანტიურისტული ქმედებების შედეგად ქვეყანა კატასტროფაში ჩავაგდეთ ქართველები დიდი რაოდენობით უშედეგოდ დაღუპეს.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ბლოკია ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური ბლოკი, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ გაერთიანებებს და მოძრაობებს. ამ ერთობლიობაში განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ სახელმწიფოს, რომლის სოციალური ტიპი და ფორმა განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის არსს, სახეებსა და ფუნქციებს. პოლიტიკური პარტიები კი გამოხატავენ კლასების, ერების, ეთნიკური ჯგუფების, კონფესიების, მოსასხლეობის ყველა ჯგუფის, ცალკეული ჯგუფების, ხარიზმატული ლიდერების და სხვა ინტერესებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, რომლებსაც თავიანთი წევრების ინტერესები შეუძლიათ დააკმაყოფილონ

მხოლოდ პოლიტიკაში, სახელმწიფოს საქმიანობაში მონაწილეობით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ქართული პოლიტიკური სისტემის ნორმატიულ-რეგულატორული ბლოკი, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ და სამართლებრივ ნორმებს, ჩვეულებებს, ტრადიციებს. ვინაიდან სამართლებრივი ნორმები შექმნილია სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან მთლიანად ხალხის მიერ, ისინი ამავე დროს წარმოადგენენ პოლიტიკურ ნორმებსაც. ზოგიერთი პოლიტიკური ნორმა კი შექმნილია პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ და ამიტომ ისინი არ არიან სამართლებრივი ხასიათის. პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური ნორმების დანიშნულება ორგანიზაციული და რეგულატორული ფუნქციის შესრულებაა, ისინი ფორმალური ხასიათის არიან, დოკუმენტირებული და უზრუნველყოფილი არიან კონტროლირებადი მექანიზმით და პოლიტიკური პასუხისმგებლობით.

ქართული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მოქმედებს აგრეთვე ორგანიზაციულ-მოღვაწეობითი ბლოკი. ამ ბლოკს გააჩნია რამდენიმე დონე: პოლიტიკური ურთიერთობანი, რომლებიც არსებობენ სახელმწიფოსა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის პოლიტიკურ ხელისუფლებაში მონაწილეობასა და განხორციელებასთან დაკავშირებით; პოლიტიკური ურთიერთობანი არასახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის; პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც მოიცავს კონკრეტული ადამიანების მოქმედებებს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს ან წევრებს.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ქართული პოლიტიკური სისტემის აღნიშნული კომპონენტების საქმიანობის ისეთი ორგანიზაცია, როცა დასახული იქნება

და პრაქტიკულად მიღწეული საქართველოს ყოველმხრივი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

ქართული პოლიტიკური სისტემის ინტელექტუალური-ფსიქოლოგიური ბლოკი, პოლიტიკური ცნობიერება ასახავს პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ნიშნებს. თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის, მისი ცალკეული ნაწილების და ინდივიდების პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება სამწუხაროდ ხდება ადრინდელი ლიბერალიზმისა და ველური კაპიტალიზმის მნიშვნელოვანი გავლენით. ასეთი სახის პოლიტიკური ცნობიერება არის ქართული პოლიტიკური წყობილების ფორმირების ერთ-ერთი პირობა, რაც დასაგმობია და აღკვეთილი უნდა იქნეს. ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ასახულია ქართული პოლიტიკური ცხოვრება თეორიულ და ემპირიულ დონეებზე ცოდნის, შეფასებების, შეხედულებების, ემოციების ფორმით. დიდად სამწუხაროდ,ქართული პოლიტიკური ცნობიერება არ არის ფორმირებული როგორც ერთიანი სულიერი წარმონაქმნი, რომელიც უნდა შეიქმნას ქართული პოლიტიკური ცხოვრების ღრმა და ყოველმხრივი მეცნიერული, ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე, აისახოს მის თეორიულ კონცეფციაში, რაც არ ხდება. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ტონს იძლევა მხატერული ლიტერატურა და უურნალისტიკა. გაბატონებულია მათი ჭეშმარიტებულობისა და საზოგადოებრივი სარგებლიანობის იდეები, ხოლო მეცნიერული და ფილოსოფიური აზრი, ჩვენდა საუბედუროდ, ირონიულ ღიმილს იწვევს.

პოლიტიკური ცნობიერება არის პოლიტიკური წყობისა და პოლიტიკური კულტურის ფორმირების ძირითადი პირობა.

ქართული პოლიტიკური სისტემის ელემენტია აგრეთვე ინფორმაციული ბლოკი.

ყველა აღნიშნული ბლოკი მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ და შეადგენენ მთლიან პოლიტიკურ სისტემას. შეუძლებელია ცალკეული პიროვნებების იზოლაცია პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, ხოლო მათი – პოლიტიკური იდეებიდან, ნორმებიდან, ურთიერთობებიდან.

პოლიტიკური სისტემები მათ შორის ქართულ მოქმედებენ კონკრეტულ დროში და სივრცეში, ვინაიდან წარმოადგენენ სოციალურ-კლასობრივი მატერიის მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნისა და საფუძვლის მიხედვით. კერძოდ, პოლიტიკურ რეჟიმთან დამოკიდებულებით, ქართული პოლიტიკური სისტემა უნდა იყოს ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა თავისი არსის მიხედვით. ქართული პოლიტიკური სისტემა არის განვითარებადი ნეობურჟუაზიული პოლიტიკური სისტემა. გეოგრაფიული და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით საქართველოში ფუნქციონირებს აზიური პოლიტიკური სისტემა, რომელიც მთელი საუკუნით ჩამორჩება ევროპის ცივილიზებული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს, რომლებშიც ჩასარიცხად „დემოკრატებს“ თავგამოდებით მივყავართ ფოსტალიონის როლის შესასრულებლად. თვით ქართული ერთიანი პოლიტიკური სისტემის შიგ თავისებური პოლიტიკური სისტემების სახით არსებობს სტრუქტურული ელემენტები – სახელმწიფოს ორგანოთა სისტემა, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების და მოძრაობების და სხვა სისტემები.

მეორე პარაგრაფი. ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებანი

ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კანონზომიერების ცნება შეიცავს საერთოდ პოლიტიკური სისტემის კანონზომიერების ცნების ძირითად ნიშნებს, აგრეთვე თვით ქართული პოლიტიკური სისტემის როგორც მოვლენის მთავარ ნიშან-თვისებებსაც. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კანონზომიერებათა დეფინიცირება შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კანონზომიერებანი არის ობიექტური, მყარი, განმეორებადი კავშირები, რომლებიც ახასიათებენ ქართული პოლიტიკური მოვლენების არსობრივ ერთობას და დინამიზმს პოლიტიკური ყოფიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ისინი წარმოადგენენ ჩვენი,ადამიანების სუბიექტური საზოგადოებრივ-ისტორიული მოღვაწეობის ობიექტურ შედეგებს, რომლებიც ფორმირებული არიან მრავალი შემთხვევითობის გავლენით კონკრეტულ მტკიცე ტენდენციებად.

ისევე, როგორც ყველა სხვა ეროვნული პოლიტიკური სისტემა, ქართული პოლიტიკური სისტემაც რთული ფენომენია, რომელიც შედგება ურთიერთდაპირისპირებული ანტაგონისტური წინააღმდეგობებისაგან, რომელთა გადაწყვეტა წარმოადგენს მისი თვითგანვითარების შინაგან წყაროს.

ქართული პოლიტიკური სისტემის განვითარების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია ობიექტური ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობანი. ასეთი სახის წინააღმდეგობების გადაწყვეტა ნიშნავს არა რომელიმე მოწინააღმდეგე მხარის ლიკვიდაციას, არამედ მის მიერ თვისებრივად ახალი, უფრო

მაღალი ფორმის შეძენას. ამ მხრივ საჭიროა გაძლიერდეს სახელმწიფოს მოღვაწეობა ჩვენი კლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი წინააღმდეგობის – სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის წინააღმდეგობის დასაძლევად. სახელმწიფომ უნდა შექმნას სამოქალაქო საზოგადოების ზომიერად დემოკრატიული ინსტიტუტები და რეგულირების რეჟიმები, რომლებიც მოწოდებულნი არიან შექმნან პირობები პიროვნების თავისუფლებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ჩვენს საზოგადოებაში თვითმმართველობისათვის ჯერ კიდევ მოუმზადებელი ხალხის მასების საქმიანობა კვალიფიციურმა სახელწმიფომ უნდა წარმართოს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, განახორციელოს ღონისძიებანი სტიქიურობის დასაძლევად და შეგნებულობის ასამაღლებლად.

თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერებაა აგრეთვე სუბიექტური ხასიათის წინააღმდეგობების დაძლევა. კერძოდ, წინააღმდეგობისა, რომელიც გამოწვეულია ცალკეული პირების, ორგანიზაციების, იდეურ-პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი მიზანდასახულობათა დაუმთხვეველობით საზოგადოებაში არსებულ მორალთან, კანონიერებასთან და მართლწესრიგთან. ეს წინააღმდეგობა უნდა გადაილახოს ან მისი ნეგატიური გამოვლინებების მოსპობის გზით, ან დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევის შედეგად. ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების პოლიტიკურ სფეროში წინააღმდეგობების გამოვლენა და გადაწყვეტა რეალური პროცესია, რომელიც განაპირობებს პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებათა სიმყარეს.

მეცნიერებაში პოლიტიკურ კანონზომიერებათა კლასიფიკაციის მრავალი საფუძველი არსებობს. მათ შორის ყველაზე ზოგადია ისეთი კრიტერიუმი, როგორიც არის ინსტიტუციონალობა, რომლის არსება იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური კანონზომიერება როგორც მოვლენა გადაქცეულია ორგანიზებულ დაწესებულებად, პოლიტიკურ ინსტიტუტად, ფორმალიზებულია. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს, რომლის ტიპსა და ფორმაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თვით პოლიტიკური სისტემის არსი და ფუნქციები.

თანამედროვე საქართველოს, როგორც სრულ კატასტროფაში მყოფი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალობა განსაკუთრებული ფორმით უნდა განხორციელდეს. აუცილებელია საერთო ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გააერთიანებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ქართველების სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის სახით.

ამ საერთო-ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის მიზანი და დანიშნულება უნდა გახდეს ქართველი ხალხის გადარჩენა მისი არაქართველი და ქართველი მოწინააღმდეგებისაგან. თანამედროვე პირობებში ეს ორგანიზაცია ქართველი ხალხის აპატიურობის და გულგატეხილობის, პატრიოტული გრძნობების და საქმიანობის შესუსტების, მიმდობლობის, კონფორიზმის და სხვა ნეგატიური მოვლენების გამო თავისი ძალებით ვერ შეძლებს ქართველების გადარჩენას მრავალრიცხოვანი ვერაგი მოწინააღმდეგებისაგან. ამიტომ ქართველების სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა მიმარ-

თოს გაეროს უშიშროების საბჭოს თხოვნით საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარების შესახებ. მეურვედ დაგვინიშნოს აშშ.

ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კანონზომიერებათა კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია აგრეთვე მათი მოქმედების სიღრმე და უნივერსალობა. ეს კრიტერიუმი ვლინდება პოლიტიკურ კანონზომიერებათა მოქმედების ინტენსიურობაში და ხარისხში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედებაში და მათ საყოველთაობაში.

თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური სისტემის კანონზომიერებათა კლასიფიკაციის საფუძვლები თვით პოლიტიკური სისტემის არასრული ფორმირებისა და არასტაბილურობის გამო არ არის მყარი და ქმედუნარიანი.

ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სფეროში მოქმედებს აგრეთვე პოლიტიკურ კანონზომიერებათა კლასიფიკაციის გავრცელებადობის კრიტერიუმი. პოლიტიკური სისტემის კანონზომიერებანი, როგორც პოლიტიკური მოვლენები მოიცავენ მთელ საზოგადოებას, გავრცელებული არიან და მოქმედებენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურირებადობის კრიტერიუმი ვლინდება ქართული საზოგადოების სოციალური წარმონაქმნების, პოლიტიკური ორგანიზაციების რაოდენობაში და ფუნქციონირებაში, რითაც თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი პოლიტიკური სისტემის ისტორიული კანონზომიერებებიც, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ფარგლებში და ახასიათებდნენ სოციალურ მატერიას მოძრაობის პოლიტიკურ ფორმებს. ეს არის პოლიტიკური მოვლენების გან-

პირობებულება ეკონომიკური და სოციალურ-კლასობრივი ფაქტორებით. საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურირებადობის გაძლიერება: პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ურთიერთმოქმედება, სამართლის როლის ამაღლება და სხვა.

მოქმედებს აგრეთვე ფორმაციათაშორისი პოლიტიკური კანონზომიერებანი, რომელიც ახასიათებს ორი ან რამდენიმე ტიპის საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას. თანამედროვე საქართველოში ასეთი პოლიტიკური კანონზომიერებაა ინტენსიურად მოქმედი ეროვნებათაშორისი კონფლიქტები, სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობანი, არსებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში პოლიტიკური გადატრიალებები, არამშვიდობიან და შედარებით მშვიდობიან ფორმებში. ერთ-ერთ მათგანს ჩვენ „ვარდების რევოლუციაც" კი ვუწოდეთ.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს აგრეთვე განვითარებადი ბურჟუაზიული პოლიტიკური სისტემის კანონზომიერებანი, რომლებიც ასახავენ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს შორის არსებით, მყარ კავშირებს. ფაქტობრივად ეს არის ახალგამომცხვარი, უკიდურესად პარაზიტული ქართველი ბურჟუაზიის" ცუდად შენიღბული დიქტატურის სისტემა, ფორმალურად კი პლურალისტური დემოკრატია, მრავალპარტიულობა და ხელისუფლების დაყოფა. არც ერთ ამ მოვლენას საქართველოსთვის დადებითი შედეგები ჯერჯერობით არ მოუტანია. მათი არსებობისათვის აუცილებელი საფუძვლების არ არსებობის გამო.

შეიძლება გამოყოფილი იქნეს ზოგიერთი პლანეტარული ხასიათის პოლიტიკური კანონზომიერებანიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია ქართული პოლიტიკური სისტემის კანონზომ-

იერება, რომელიც ვლინდება სხვა ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებთან მშვიდობიან თანაარსებობაში, მისწრაფებაში საერთო-პოლიტიკური, სახელმწიფოთა შორის ორგანიზაციებში გაერთიანებისაკენ და სხვა.

ქართული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში ფუნქციონირებენ საერთო სისტემური კანონზომიერებანი, რომლებიც მთლიანობაში ახასიათებენ სისტემის და შიგაორგანიზაციული კანონზომიერებანი, რომლებიც გამოხატავენ კავშირებს, მის სტრუქტურულ ელემენტებსა და კომპონენტებს შორის. ასეთ კანონზომიერებათა რიცხვს განეკუთვნება: პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტის ინტეგრაციის აუცილებლობა, პოლიტიკური პარტიების ფორმირების განპირობებულობა საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფით, სახელმწიფო აპარატის განუწყვეტელი გადიდება და ბიუროკრატიზაცია და სხვა მოვლენები.

ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცალკეული ელემენტებისა და კომპონენტების კანონზომიერებანი ორგანულ კავშირშია ეროვნულ, საერთო-სისტემურ პოლიტიკურ კანონზომიერებებთან. მათი ურთიერთდამოკიდებულება არ ყალიბდება მხოლოდ მთელსა და ნაწილის თანაფარდობის საფუძველზე, არამედ გამოხატავენ სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კავშირების რთულ ურთიერთკავშირსა და ურთიერთმოქმედებას.

მესამე პარაგრაფი. სახელმწიფო ქართული პოლიტიკურ სისტემაში

ისტორიული თვალსაზრისით ქართული სახელმწიფო არის საზოგადოების პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართულ და საზღვარგარეთის მეცნიერებაში ტერმინი „სახელმწიფოთი“ აღინიშნება სრულიად სხვადასხვა სახის საგნები და მოვლენები. ყველაზე ჭართო გაგებით, ტერმინი სახელმწიფო გამოიყენება საზოგადოების ან მისი რომელიმე განსაკუთრებული ფორმის აღსანიშნავად. ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება ვიწრო გაგებითაც, კერძოდ, რომელიმე განსაკუთრებული ორგანოს ან საზოგადოების ორგანოების აღსანიშნავად. მაგალითად, მმართველობის ორგანოების ან სუბიექტების აღსანიშნავად. ტერმინი,„სახელმწიფო“ გამოიყენება აგრეთვე ერის ან ტერიტორიის აღსანიშნავად, რომელზედაც ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა.

პოლიტიკური თეორიის, როგორც ძირითადად სახელმწიფო თეორიის ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ სახელმწიფოს თეორიის მკვლევარნი „სახელმწიფოს“ ტერმინს, როგორც აღინიშნა, იყენებენ სავსებით სხვადასხვა მნიშვნელობით, სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის მოვლენების აღსანიშნავად. სახელმწიფოს თეორიის ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა საჭიროა დაძლეული იქნეს ზოგადი-ფილოსოფიური და სპეციალური, იურიდიული გნოსეოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. სრულებითაც არ არის აუცილებელი „სახელმწიფოს“ ტერმინის გამოყენება ფართო და ვიწრო გაგებით, სხვადასხვა განსხვავებული მნიშვნელობებით.

თავისი არსებით, სახელმწიფო არის ქვეყნისა და საზოგადოების მართვის, მათი ხელმძღვანელობის ორგანო, დაწესებულება. ამიტომ ტერმინი „სახელმწიფო“ გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ ამ მნიშვნელობით.

საზღვარგარეთულ და ქართულ საზოგადოებრივ მეცნიერებებში და საკანონმდებლო აქტებში ქვეყნის ტერმინის სინონიმად არაზუსტად იყენებენ სახელმწიფოს ტერმინს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ „საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო“.[11]

აღნიშნული კონსტიტუციური დებულების ჭეშმარიტებულობა სამართლიან ეჭვს იწვევს. ქვეყნის და სახელმწიფოს ტერმინების შინაარსი დეტერმინირებულია მათ მიერ ასახული მოვლენების და ცნებების შინაარსით. მათი შინაარსობრივი იდენტურობა წარმოადგენს შესაბამისი ტერმინების იგივეობის საფუძველს. ამ პირობის გარეშე ტერმინების იდენტურობა გამორიცხულია. ტერმინები „ქვეყანა“ და „სახელმწიფო“ ადექვატურად უნდა გამოხატავდნენ ისეთი უზოგადესი ცნებების შინაარსს, როგორიც არის „ქვეყნისა“ და „სახელმწიფოს” ცნებები, რომლებიც შინაარსობრივად იდენტურები უნდა იყვნენ. ქვეყანა კი არსებითად განსხვავებული მოვლენა, ცნება და ტერმინია, ვიდრე სახელმწიფო. ის არის ბუნების ურთულესი ნაწილი მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რომლებიც ასახულია ქვეყნის ლოგიკურ ცნებაში. ქვეყანა მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად.

პირველი, ქვეყანა როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ტაქსონომიური ერთეული, მატერიკის ნაწილი. ქვეყანა განლაგებულია გარკვეულ ტერიტორიაზე და ხასიათდება ერთიანი გეოსტრუქტურით, მაკრორელიეფის ერთ-

11 საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995, გვ. 3.

ფეროვნებით, ატმოსფერული პროცესებისა და მაკროკლიმატით.

მეორე, ქვეყანა არის ჰორიზონტის მხარე. ის წარმოადგენს ჰორიზონტის ოთხი მთავარი წერტილის – ჩრდილოეთის, სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთ-ერთ წერტილს. ქვეყნის, როგორც მატერიალური მოვლენის აღნიშნული და სხვა ნიშნები ასახულია მის ცნებაში და გამოხატულია შესაფერისი ტერმინით.

ქვეყნის და სახელმწიფოს,როგორც მატერიალური მოვლენების მეცნიერულად ნაკლებდასაბუთებული იდენტიფიკაციის შედეგია ქვეყნის ცნების შინაარსის ხელოვნური გაფართოება, რომელშიც ასახულია მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი და სხვა არსებითი ნიშნები. მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ტერმინის გამოყენება ქვეყნის აღსანიშნავად ასევე ხელოვნურად აფართოებს სახელმწიფოს ცნების შინაარსს.

ქვეყნის როგორც მატერიალური მოვლენის ცნების შინაარსში უნდა აისახოს არამარტო მისი, როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული მოვლენის არსებითი ნიშნები, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული სტრუქტურები და მათი მახასიათებლები.

ქვეყნისა და სახელმწიფოს, როგორც მოვლენებისა და ცნებების შინაარსობრივი განსხვავებულობის შესაბამისად მათი ამსახველი ტერმინებიც ეტიმოლოგიურად სხვადასხვა წარმომავლობის და მნიშვნელობის არიან. ეტიმოლოგიურად სიტყვა „სახელმწიფოს“ ფუძეა ტერმინი „ხელმწიფე“, დანიშნულებადი, ხასიათის აფექსის „სა-ო“ გამოყენების შედეგად წარმოიქმნა ტერმინი „სახელმწიფო“, რომელმაც არაზუსტად გარკვეული ადგილის, ტერიტორიის და ქვეყნის მნიშვნელობა შეიძინა. ამ შემთხვევაში ტერმინი „ქვეყანა“

აღნიშნავს ადგილს, ტერიტორიას, რომელზედაც იმყოფება და მართავს ხელმწიფე. ამ გარემოებით არის გამოწვეული ის,რომ ზოგიერთი მეცნიერი და პოლიტიკოსი სახელმწიფოს ტერმინს იყენებს ქვეყნის აღსანიშნავად.

ცნობილი ავსტრიელი იურისტი გ. კელზენი საუკუნეების წინათ თვლიდა, რომ სახელმწიფოს ტერმინის გამოყენება სხვადასხვა მნიშვნელობით არის პოლიტიკური თეორიის, რომელიც ძირითადად სახელმწიფოს თეორიაა „არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა“. ე.ი. მეცნიერულად დაუსაბუთებელი და არაჭეშმარიტია.

აღნიშნული თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ ვინაიდან სახელმწიფო აგებულია ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, მისი ტერმინი თითქოს შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ქვეყნის ტერმინის სინონიმი. ქვეყნის ცნების აღმნიშვნელი ტერმინის სახელმწიფოს ტერმინის სინონიმად გამოყენება გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტერმინები ანალოგიური მოვლენების არსებითი ნიშნების ამსახველი ცნების ტერმინები იქნებოდა. სინამდვილეში კი, ვინაიდან ქვეყანა და სახელმწიფო არსებითად განსხვავებული მოვლენებია, მათი ცნებები და შესაბამისად ტერმინებიც განსხვავებული მოვლენებია. ქვეყნის როგორც მოვლენის ბუნებრივი ტერმინია „ქვეყანა“, ხოლო სახელმწიფოს-ტერმინი „სახელმწიფო“. ტერმინ „ქვეყნის“ სახელმწიფოს ტერმინის სინონიმად გამოყენების და პირიქით, სახელმწიფოს ტერმინის – ქვეყნის ტერმინად გამოყენების აუცილებლობა მეცნიერებაში და კანონმდებლობაში არ არსებობს. მათი სინონიმებად გამოყენება არ შეესაბამება გნოსეოლოგიის მკაცრ მოთხოვნებს, ცნებებისა და ტერმინების მეცნიერული შინაარსის განსაზღვრის და ასე გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ამსახველი ტერმინის სახელმწიფოს ამსახველ ტერმინად და, პირიქით, სახელმწიფოს ტერმინის ქვეყნის ტერმინად გამოყენების შეუძლებლობა მეცნიერებაში არ იქნება მიღებული, მაშინ საჭიროა სახელმწიფოს ტერმინს დაერთოს სიტყვა „პოლიტიკური“, როგორც საჭიროდ მიაჩნდა უდიდეს ფილოსოფოსს გ. ვ. ჰეგელს ამ შემთხვევაში, აღიარებული იქნება სახელმწიფოს როგორც მატერიალური მოვლენის, მისი სამიევე შტოს პოლიტიკური, თვითმყოფადობა, მისი ქვეყნის ტერმინის სინონიმად გამოყენების დაუშვებლობა.

იმ თვალსაზრისის საფუძველზე, რომლის მიხედვით ქვეყანას, როგორც მატერიალურ მოვლენას, მის ლოგიკურ ცნებას და ტერმინს გააჩნიათ სახელმწიფოსაგან განსხვავებული თვითმყოფადი, სპეციფიკური შინაარსი შეიძლება ჭეშმარიტად ჩაითვალოს აზრი იმის შესახებ, რომ დებულება „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“ შეიცვალოს დებულებით, „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი ქვეყანა“. ხოლო დებულება „სახელმწიფოს დაცვა“ შეიცვალოს დებულებით „ქვეყნის დაცვა“, ჩვენ სახელმწიფოს თავისი თავის დაცვის გარდა უფრო მეტად ეკისრება ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის დაცვა მტრებისაგან.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში, მათ შორის ქართულშიც მოცემულია სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი განსაზღვრება, რაც განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო რთული, მრავალასპექტოვანი მოვლენა არის, რაც იწვევს მისი კვლევის სირთულეს. გასათვალისწინებელია აგრეთვე მეცნიერთა და იდეოლოგთა აპოლეგიტურობა. ჩვენი და სხვა ქვეყნის გაბატონებული კლასების ზოგიერთი წარმომადგენე-

ლი, მოსყიდვით, დაშინებით, ცდილობს სოციალური ექსპლუატაციის უძველესი, უძლიერესი და ვერაგი დაწესებულება ადამიანებს წარმოუდგინონ როგორც სამყაროს ღვთაებრივი დემიურგის მიერ შექმნილი, საერთო-სახალხო, საყოველთაო კეთილდღეობის და სხვა სიკეთეთა მიღწევის საშუალებად. სამწუხაროდ, ვერც ერთმა დიდმა და რადიკალურმა რევოლუციამ, რომელმაც მატერიალურად პირწმინდად მოსპო ფუნქციონირებადი სახელმწიფო, ვერ შეძლო მისი შემცვლეს ექსპლუატატორული ბუნების მინიმალიზაციაც კი. ადამიანთა უმრავლესობის ექსპლუატატორულმა და ასოციალურმა ბუნებამ დიდად შეუწყო ხელი ამ აუცილებელი ბოროტების არსებობას. მომავალში მოსალოდნელია მისი გადაქცევა ტოტალიტარულ სამხედრო დიქტატურად, რის შედეგად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მოექცევა პრივილეგიური მჩაგვრელი ელიტის უღელქვეშ. სამწუხაროდ, ასეთია თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკური მომავალის ერთ-ერთი ალტერნატივა.

სახელმწიფოს ცნებების შინაარსში ასახულია მისი როგორც პოლიტიკური ორგანოს და დაწესებულების არსებითი ნიშნების ერთობლიობა. სახელმწიფოს ცნების მოცულობა წარმოადგენს მასში განზოგადებული საგნის, როგორც ერთგვაროვანი მოვლენის არსებითი ნიშნების შინაარსობრივი მოცულობის გამოხატულებას. სახელმწიფოს უზოგადესი ცნების მოცულობა შეიძლება დაიყოს ცალკეულ სახეებად ასახული მოვლენის ასპექტების შესაბამისად, სახელმწიფოს ცნების გაყოფა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე მისი რომელიმე ნიშნის ცვალებადობის მიხედვითაც.

ქართული სახელმწიფოს ცნების მოცულობა მისი ძირითადი ნიშნებისა და თვისებების მიხედვით შეიძლება გაიყოს შემდეგ სახეებად.

პირველი. ქართული სახოგადოებრივი ცხოერების ორგანიზაციის განსხვაებული მრავალრიცხოვანი ფორმების სისტემაში ადგილისა და როლის მიხედვით. ამ მხრივ, ქართული სახელმწიფო წარმოადგენს სახოგადოებრივი ცხოერების ორგანიზაციის ერთ-ერთი, პოლიტიკური ფორმის ძირითად კომპონენტს.

მეორე. სახოგადოებაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ხელისუფლების სისტემაში ადგილის მიხედვით ამ მხრივ ქართული სახელმწიფო არის ამ სისტემის ძირითადი ელემენტი, პოლიტიკური ხელისუფლების სახელმწიფო ფორმა. გაბატონებული ქართული ბურჟუაზიის პოლიტიკური ხელისუფლების სისტემისა და მისი სახელმწიფო ორგანიზაციის იდენტიფიკაცია მეცნიერულად გაუმართლებელია, რასაც ხშირად აქვს ადგილი სამეცნიერო ლიტერატურაში. სახელმწიფოს გარდა ნეობურჟუაზიის პოლიტიკური ხელისუფლების სისტემაში შედის სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიც, მაგალითად, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ პოლიტიკურ სისტემაში.

მესამე. ქართული სახელმწიფო მისი სოციალური არსისა და დანიშნულების მიხედვით არის ეკონომიურად გაბატონებული ნეობურჟუაზიის ნებისა და ინტერესების გამომხატველი და დამცველი, ვინაიდან მან შექმნა ფუნქციონირებადი სახელმწიფო, დააკომპლექტა ის ქართველი და არაქართველი ბურჟუა-თანამშრომლებისაგან, რომლებმაც შექმნეს ქართული ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, რომელიც მართავს მას. ამავე დროს იძულებულია დაიცვას ქართული საზოგადოების ინტერესებიც მისი ტერიტორიული ორგანიზაციის ფარგლებში და მის გარეთაც. ეს არის თანამედროვე სახელმწიფოს როლი ხელისუფლების სოციალურობა.

მეოთხე. ქართული სახელმწიფო თავისი მექანიზმის მიხედვით. წარმოადგენს განსაკუთრებული ორგანოებისა და პოლიტიკური დაწესებულებების სისტემას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფოს ფუნქციები.

მეხუთე. ქართული სახელმწიფო დემოკრატიის ნიშნის მიხედვით. წარმოადგენს საზოგადოებაში ყოველმხრივ გაბატონებული ნეობურჟუაზიის კლასობრივ დემოკრატიას. დემოკრატიის თეორიასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებული ყველა საკითხი – დემოკრატიის არსება და დანიშნულება, არჩევნების მომზადება და ჩატარება, მისი დაფინანსება, არჩევნების შედეგების განსაზღვრა და სხვა მთლიანად და საბოლოოდ წყდება ქართული ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფოს აპარატის მიერ მათი ინტერესების შესაბამისად.

მეექვსე. ქართული სახელმწიფო ფორმის მიხედვით არის ბურჟუაზიული რესპუბლიკა. ის საპრეზიდენტო რესპუბლიკა ფორმირებული, რომელიც ამჟამად აუცილებელი საქართველოსათვის საზოგადოების საზიანოდ ტრანსფორმირებული იქნა საპარლამენტო რესპუბლიკად.

ქართული სახელმწიფოს ცნების გაყოფის შედეგად მიღებული აღნიშნული სახეები არ ამოწურავენ სახელმწიფოს ცნების მოცულობას, ისინი მხოლოდ ძირითადი სახეებია.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო შეიძლება დეფინიცირებული იქნეს შემდეგნაირად: ქართული სახელმწიფო არის ფუნქციონირებადი პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც აუცლებელია, როგორც კლასობრივი ამოცანების, ასევე საზოგადოებრივი ინტერესებს დასაცავად რომლებიც გამომდინარეობენ ყველა საზოგადოების ბუნებიდან. ეს განსაზღვრება ზუსტად ასახავს არა მარტო ქართული სახელმწიფოს ცნებას, არამედ მის სოციალურ

დანიშნულებასაც, როგორც ინსტიტუტისა, რომელიც ემსახურება ქართველი ეკონომიკურად გაბატონებული კლასის და ნაწილობრივ საზოგადოების ინტერესებსაც.

ქართული სახელმწიფო თავისი სოციალური არსებით ისეთია, როგორიც შექმნილ პირობებში ობიექტურად უნდა იყოს. მისი არსება, საქმიანობის ხასიათი განსაზღვრულია სოციალური გარემოს მძიმე მდგომარეობით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობით. ასეთი მდგომარეობის სუბსტანცია არის ჩვენი მოსახლეობის პოლიტკური განათლებისა და კულტურის დაბალი დონე. ჩვენშიც გამოვლინდა ფილოსოფიური სიბრძნე, რომლის თანახმად ადამიანებს ისეთი სახელმწიფო აქვთ, როგორსაც იმსახურებენ. ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება ძირითადად ისეთია, როგორიც ჩვენ თვითონვე ვართ. ცივილიზებული ადამიანების რომ ყოყოთ, ასთიევე სახელმწიფო ხელისუფლება გვექნებოდა, რეაქციული, გაუნათლებელი, მსაგვრელი და ჩვენს ხარჯზე გამდიდრებული ადამიანთა ჯგუფები ძალზე ცტა გეყოლებოდა.

ცივილიზებული ხალხი შემთხვევით ხელისუფლებაში მოხვედრილ დემაგოგებს და კარიერისტებს გააძევებს და დანაშაულისათვის სასტიკად დასჯის. კი ასეთ ადამიანებს უსმენთ და ნაწილობრივ მხარსაც კი უჭერთ.

საერთოდ სახელმწიფოს, ისევე როგორც ქართულის ტიპოლოგია არის სახელმწიფო-ისტორიული პროცესის შემეცნების ობიექტურად აუცილებელი, კანონზომიერი მეთოდი. ის წარმოადგენს სახელმწიფოს ერთი ტიპის მეორეთი შეცვლის პროცესის ასახვას, სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების პროცესის შემეცნების ხერხსა და საშუალებას.

ზოგად თეორიული და კონკრეტული მეცნიერული თვალსაზრისით ქართული სახელმწიფოს ტიპოლოგის მნიშვნელობა კონკრეტულად შემდეგში მდგომარეობს. ჯერ ერთი, ამ პროცესში წარმოიშობა ქართული სახელმწიფოს არსების, ფორმებისა და ფუნქციების ცვალებადობის, პოლიტიკურ სისტემაში მისი ადგილისა და როლის მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობა. მეორე, სახელმწიფოს ტიპოლოგია შესაძლებლობას იძლევა ორგანულად შერწყმული იქნეს სახელმწიფოს საერთო კანონზომიერებათა კვლევა იმ თავისებურებებთან, რომლებიც დამახასიათებელია ქართული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის. მესამე, სახელმწიფოს ტიპოლოგია საშუალებას აძლევს მკვლევარებს დაადგინონ სახელმწიფოს განვითარების პროცესის შინაგანი ლოგიკა და კანონზომიერებანი, წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს მომავლის მეცნიერული განსაზღვრის საფუძველს. მეოთხე, სახელმწიფოს ტიპიზაციის პროცესში წარმოიქმნება ყველა აუცილებელი წანამძღვარი და შესაძლებლობა იმ ფაქტობრივი და მეცნიერული მასალის ფართოდ განზოგადებისათვის, რომელიც ეხება სახელმწოფოს წარმოშობისა და განვითარების ყველა მხარეს, მათ თანდათანობით გადასვლას ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე. მეხუთე, ქართული სახელმწიფოს ტიპოლოგიის პროცესში შესაძლებელი ხდება დადგენილი იქნეს განსხვავება სახელმწიფოს მეცნიერულ და ფსევდომეცნიერულ თეორიებს შორის, განხორციელებული იქნეს სახელმწიფოს განვითარება მეცნიერულ საფუძველზე.

თანამედროვე კაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში არსებულ ქართულ სახელმწიფოს გააჩნია თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებითაც ის ემსგავსება ამ ფორმაციაში არსებულ სახელმწი-

ფოებს და განსხვავდება საქართველოში ადრე არსებული სახელმწიფოესაგან. ეს საერთო ნიშნებია: საერთო ეკონომიკური საფუძველი, საკუთრების კაპიტალისტური ტიპი, რომელიც წარმოადგენს კაპიტალისტური ფორმაციისათვის დამახასიათებელ წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს. სხვა სახელმწიფოების მსგავსი სოციალური შინაარსი, რომელიც წარმოადგენს ანალოგიური სოციალური კლასების ბატონობის უზრუნველყოფის საშუალებას, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალისა.

ქართული საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან არსებობდა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ყველა ტიპი. ამ ფორმაციებში გაბატონებული იყვნენ განსხვავებული კლასები – მონათმფლობელები, ფეოდალები, კაპიტალისტები და მუშათა კლასი. ფორმაციები თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს და შესაბამისად იცვლებოდნენ გაბატონებული კლასები, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის იარაღი სახელმწიფოც.

სახელმწიფოს ტიპოლოგიის საკითხისადმი კლასობრივი მიდგომა, რაც დამახასიათებელია მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის, ჩვენს ბურჟუა-იდეოლოგებს თანამედროვე პერიოდში მიუღებლად მიაჩნიათ. პოლიტიკურ მეცნიერებაში ცდილობენ უპირატესობა მისცენ სხვა კრიტერიუმებს. მათი აზრით, ერთგვარ ცალმხრივობას აქვს ადგილი, როდესაც სახელმწიფოს არსში განსხვავების აღსანიშნავად, სახელმწიფოს ტიპების კლასიფიკაციის პროცესში მხოლოდ კლასობრივ კუთვნილებას ექცევა ყურადღება, სხვა ფაქტორები კი უგულებელყოფილია. მკვეთრად დაპირისპირებული ორი კლასის გარდა არ არის გათვალისწინებული სხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობა, ინტერესები და მიზნები.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს კლასიფიკაციის კლასობრივი კრიტერიუმი შექმნილია ბურჟუაზიის ბატონობის ადრინდელ ეპოქაში, თვით ბურჟუაზიის იდეოლოგების მიერ, როცა სახელმწიფოს არსი და დანიშნულება ბურჟუაზიის როგორც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის მიზნებისა და ინტერესების გამოხატვა და დაცვა იყო. ეს იდეა ძირითადი და მთავარი იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ კონცეფციაში. ამიტომ ის სამართლიანად აისახა მაშინდელი სახელმწიფოს თეორიულ თვალსაზრისში და ჭეშმარიტად ითვლება თანამედროვე სახელმწიფოს კონცეფციაშიც.

სახელმწიფოს ტიპოლოგიის პროცესში ხდება სხვადასხვა საკვალიფიკაციო საფუძვლების გარკვეული შეერთება იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე უფრო აინტერესებს მეცნიერებს კონკრეტული სახელმწიფოს არსის დადგენისას.

მეცნიერებაში წარმოიშვა და გავრცელდა შეხედულება სახელმწიფოს ტიპოლოგიის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს სპეციფიკური ნიშნები და თვისებები, რომელთა შესაბამისად ხდება სახელმწიფოს კლასიფიკაცია. მაგალითად, ცივილიზებული და არაცივილიზებული სახელმწიფო, ავტოკრატიული და დემოკრატიული, სამართლებრივი და არასამართლებრივი სახელმწიფო და სხვა.

ისტორიული ტიპის ყველა სახელმწიფო თავის არსის იგივეობის მიუხედავად მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან მთელი რიგი ნიშნებით, რაც მოითხოვს მათ კლასიფიკაციას თვით ისტორიული ტიპის შიგნითაც.

ამ განსხვავების გამო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სახელმწიფო ფორმის ცნება, რომლის მიხედვით გარკვეული პრინციპებითა და ნიშნებით ხდება საერთოდ სახელმწიფოსა და კერძოდ ქართული სახელმწიფოს კლასიფიკაცია მისი ტიპის შიგნით.

თანამედროვე სახელმწიფოს ტიპი შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს. ქართული სახელმწიფო თავისი ფორმით ემსაგვსება სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ ის შინაარსით სახელმწიფოს კაპიტალისტურ, თავისებურ, ნეობურჟუაზიულ ტიპს მიეკუთვნება. იურიდიულ მეცნიერებაში სახელმწიფოს ფორმის ცნებას უკავშირებენ ორ დამოუკიდებელ ცნებას: მართვა-გამგეობის ფორმისა და სახელმწიფო წყობილების ფორმის ცნებებს.

ქართული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო რეჟიმი. მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით ქართული სახელმწიფო არის რესპუბლიკა.

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმა უშუალოდ დაკავშირებულია მის ბურჟუაზიულ ტიპთან, მის კონკრეტულ კლასობრივ შინაარსთან. თავის მხრივ, სახელმწიფოს ტიპი მკაცრად განსაზღვრულია ფუნქციონირებადი კაპიტალისტური წყობილების წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით. თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმის შემადგენელი ნაწილებია სახელმწიფო მმართველობის ფორმა, სახელმწიფო წყობილების ფორმა და სახელმწიფო რეჟიმი.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისი ფორმის პრობლემაზე, რომლის მიხედვით, თითქოს „ფორმის" ტერმინი მოძველდა და საჭიროა ის შეიცვალოს „სახის" ცნებით.[12] თუ ფილოსოფიაში ტერმინი „ფორმა" ჩაითვლება მოძველებულად, მაშინ მისი გამოყენება კონკრეტულ მეცნიერებებში დაუსაბუთებელი იქნება, ფორმის ტერმინით გამოხატული ფორმის ცნების

12 Введение в философию. м, 1989, стр. 452

ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური დებულებები გამოიყენება სპეციალურ მეცნიერებაში.

ქალაქ ტალინში 1991 წლის იანვარში გამართული პოლიტოლოგიის საერთაშორისო სკოლისა და იმავე წლის 11-15 მარტს მოსკოვში გამართული პოლიტოლოგიის საერთაშორისო სკოლის მასალებში სახელმწიფოს ფორმის ტერმინის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი „სახელმწიფოს სახეები“. ტერმინი „სახელმწიფოს სახეები“ გამოყენებულია პოლიტოლოგიის ზოგიერთ სასწავლო პროგრამაშიც.[13]

აღნიშნული თვალსაზრისი არ უნდა იყოს მეცნიერული ვინაიდან სახის ცნებასა და ტერმინს არ გააჩნია ფილოსოფიური შინაარსი. ამ მხრივ ყველაზე უფრო ფილოსოფიურად და მეცნიერულად დასაბუთებულია „ფორმის” ცნება და ტერმინი, ვინაიდან ისინი საგნისა და მოვლენის ყოფიერების, მათი შინაარსის მოწესრიგებულობისა წესის უფრო სრული და უფრო შესაბამისი გამომხატველია, ვიდრე “სახის” ცნება და ტერმინი.

საქართველოში ფუნქციონირებადი სახელმწიფოს ფორმა შეიცავს უმაღლესი და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ფორმირების და ფუნქციონირების წესს, აგრეთვე, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულებისა და მოსახლეობასთან ურთიერთობის წესებსა და ფორმებს.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო ფორმის არსება და ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება ფორმალურად ეკუთვნის მოსახლეობის მიერ არჩეულ ორგანოს, რომელიც ხელისუფლების მატარებელია. ამიტომ არის ჩვენი სახელმწიფოს ფორმა რესპუბლიკა.

ხელისუფლებაში განმკარგულებელ მმართველ პირთა საქმიანობის ხასიათისა და რაოდენობის მიხედვით ფაქ-

13 ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროგრამა პოლიტოლოგიაში. გაზეთი „თაობა“, 1991, 7/VI №17 (901).

ტობრიულად ქართული სახელმწიფოს მმართველობის ფორმა არის ბურჟუაზიული დიქტატურა, ვინაიდან მმართველი ფენის უმნიშვნელო ნაწილი დგას ხელისუფლების სათავეში. მაგრამ აღნიშნული რაოდენობრივი კრიტერიუმი სრულებითაც არ არის სახელმწიფოს მმართველობის ფორმების კლასიფიკაციის ერთადერთი და მთავარი კრიტერიუმი. ამ მხრივ, აუცილებლად გათვალისწინებულია სხვა კრიტერიუმებიც. კერძოდ, ქვეყნის განვითარება, საერთო-სახალხო ინტერესების დაცვა, პოლიტიკური სიბრძნე, სიკეთე და სათნოება. აღსანიშნავია, აგრეთვე, იურიდიული კრიტერიუმებიც, კერძოდ, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მმართველთა იურიდიული სტატუსი. ისინი იურიდიულად და პოლიტიკურად ლეგიტიმური და პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მოსახლეობის წინაშე. საქართველოს კი ერთპიროვნულად მართავდნენ ადამიანები, რომლებმაც დემაგოგური დაპირებებით ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, არაკვალიფიციური დილეტანტები. დიდად სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფოს რესპუბლიკურ ფორმაში, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფოს აღნიშნული კრიტერიუმები ფორმალურად არიან ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფოს აღნიშნული კრიტერიუმები ფორმალურად არიან გამოცხადებული. მათი ფაქტობრივი ფუნქციონირება მეტად საეჭვოა მომავლის პოლიტიკურ სისტემებშიც.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო-პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციურ კანონმდებლობაში შემოტანილია საზღვაგარეთის კანონმდებლობიდან, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში დადებითი მოღვაწეობისთვის არ გააჩნია არც ისტორიული ტრადიციები, არც თანამედროვე აუცილებელი და საჭირო წინაპირობები. ქართული პარლამენტი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული პოლიტიკური ფენომენია. მან სამ-

წუხაროდ საკმაოდ ხშირად ვხვდებით მისი ფრანგული ტერმინოლოგიური სახელწოდება, როგორც „სალაპარაკო ადგილმა“, „მოლაპარაკე დაწესებულებამ“. ზოგჯერ ადგილი აქვს გაუთავებელი, უსაგნოდ ლაპარაკს და ყაყანს მაღალფარდოვან, უშინაარსო ფრაზებს, ალოგიკური მსჯელობები, შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლური გამონათქვამები და სხვა ანალოგიური მოვლენები.

დიდად სამწუხაროდ, ქართულ პარლამენტში ზოგჯერ ადგილი აქვს რეგლამენტის დარღვევის შემთხვევებს. ის არ არის მოქნილი, ოპერატიული და ჩქარი კონცენტრაციის უნარის მქონე სახელმწიფო დაწესებულება. ეს თვისებები ჩვეულებრივ ახასიათებდა და ახასიათებს თვითოლიგვიდაციამდე მისულ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს.

მისი არსებობის 30 წლის მანძილზე მიღებული კანონების მნიშვნელოვანი ნაწილი რეალური მოქმედების უნარმოკლებულია და ფორმალური, ვინაიდან მოწყვეტილნი არიან ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, დამოუკიდებლობისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი ქვეყნის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ, რაც ამჟამად ობიექტურად შეუძლებელია. საჭირო იყო აუცილებელი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი პირობებისა და წანამძღვრების თანდათანობითი მომზადება. ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი აშკარად ანტიხალხურია. მაგალითად, კანონი პრივატიზაციის შესახებ, რომელმაც ხალხი გააღატაკა და ახალი მჩაგვრელი კლასის შექმნის ეკონომიკური საფუძვლები გახდა. კანონიერების და სამართლის ნორმების გარკვეული ნაწილი პარანორმიულია; დეპუტატების ნაწილი არ შეესაბამება დაკავებულ მდგომარეობას; გაუნათლებელი, უკულტურო და ზნედაცემულია, პარლამენტის მიერ თავისი

კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩეული, დანიშნული და დამტკიცებული თანამდებობის პირების ნაწილი არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური და ამორალური ადამიანებია.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ჩვენს ქვეყანაში, რომელშიც კაპიტალისტური წყობილების დამყარებისთვის საჭირო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი საფუძვლები და წანამძღვრები სრულებითაც არ იყო შექმნილი, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა და მის მოკლე ვადაში დამთავრების შესახებ თავდაჯერებულად, ამაყად განაცხადა საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთმა ყოფილმა თავმჯდომარემ, სინამდვილეში კი საქართველოში ნამდვილი, ბუნებრივი კაპიტალიზმის წარმოშობისთვის შესაფერისი საფუძვლები, წინამძღვრების მომზადებისთვის საუკუნეებია საჭირო. ბევრი ასეთი საკანონმდებლო სამართლებრივი ხასიათის „მარგალიტი“ შექმნა ჩვენმა პარლამენტმა.

საქართველოში პარლამენტის არსებობისა და ეფექტური მოღვაწეობისათვის საჭირო პირობების არსებობის გამო აუცილებელია მისი რეორგანიზაცია. კერძოდ, დროებით უნდა დადგინდეს პარლამენტის ნაწილობრივი არჩევის წესი. პარლამენტის წევრთა ნახევარი მაინც პოლიტიკურად განათლებული, კულტურული, სახელმწიფო მართვის სპეციალისტები უნდა დანიშნოს საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის გამგეობამ. შემდეგ, საჭიროა დროებით შეიკვეცოს ჩვენი პარლამენტის პრეროგატივები. სახელისუფლებო უფლებამოსილება ნაწილობრივ დელეგირებული იქნას აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებაში ძლიერი სახელმწიფო მოღვაწის, ქართველი, ზნეობრივად სუფთა პრეზიდენტის მეთაურობით. ასეთი

მდგომარეობა უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ ჩვენი პარლამენტი არ გახდება მისი სოციალურად მეტად აუცილებელი, მძიმე მოვალეობის წარმატებით შემსრულებელი. მოლაპარაკე დაწესებულებიდან არ გახდება ფაქტობრივად საქმის გამკეთებელი კვალიფიციური დაწესებულება.

საჭიროა აგრეთვე საქართველოს წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოს სისტემის დაწესებულებებს ეწოდოს ერთგვაროვანი, სახელები. სრულებითაც არ არის გონივრული საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს სახელწოდება იყოს ფრანგული სახელი „პარლამენტი“, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა – მოძველებული ქართული ტერმინი „საკრებულო“.

ჩვენ ვალდებული ვართ არატენდენციურად შევაფასოთ ისტორიული მოვლენები. ტერმინი „საბჭო“ ქართული სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი ორგანოს ყველაზე სწორი სახელწოდებაა. საბჭოების ხელისუფლების დროს ჩვენ ხომ წერა-კითხვა ვისწავლეთ, ჩაეცვით და დავიხურეთ, ბევრი სხვა კარგი საქმე გაგვიკეთეს. ჩვენი საგიურთი უმადური ხელმძღვანელის ინიციატივით თვითლიკვიდაციის ზღვარზე მისული საზოგადოება აუცილებლად საჭიროებს ახალი შინაარსის ერთიანი საბჭოთა ხელისუფლების არსებობას აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებით.

ასეთი მდგომარეობა განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური პირობებით. ძირითადი დეტერმინირებადი ობიექტური ფაქტორია აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების ბუნება და ხასიათი. კერძოდ, ის თავისი სახელმწიფო მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში მობილურობის უნარის მქონე ხელისუფლებაა, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის უნარის მქონე ორგანოთა სისტემაა; პრაქტიკული ამოცანების ოპერატიული გად-

აწყვეტის უნარის მქონე ხელისუფლებაა; ქმედითი, შედეგიანი და ეფექტურია; აქვს სწრაფი კონცენტრაციის, მატერიალური, სულიერი, ფინანსური და სხვა საშუალებების ეფექტური გამოყენების უნარი, საზოგადოების ოპტიმალური მართვის შესაძლებლობანი.

აღნიშნული თვისებების მქონე ქართულ აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელება შეუძლია საქართველოს კატასტროფიდან გამოყვანის მიზნით.

საჭიროა დროებით მაინც შევაჩეროთ ხელისუფლების დაყოფის ფორმალურ-იურიდიული პრინციპის მოქმედება. კატასტროფაში მყოფ საქართველოში სახელმწიფოს ხელისუფლების ყველა შტო უნდა მოქმედებდეს უფლებამოსილებისა და ფუნქციების დიფერენციის გარეშე ძირითადი ამოცანის – საქართველოს კატასტროფიდან ხნის უზრუნველსაყოფად. საჭიროა, ქვეყანაში აღდგენილ იქნეს ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება, პრეზიდენტის ხელში შეერთებული იქნეს სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებანი. არ იქნეს დაშვებული მთავრობის საპარლამენტო პასუხისმგებლობის ინსტიტუტი; დაწესდეს მთავრობის ფორმირების ნაწილობრივად წესი; დაწესდეს მთავრობის პასუხისმგებლობა პრეზიდენტის წინაშე; პრეზიდენტის ხელში თავმოყრილი იქნას პოლიტიკური, სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური ხელისუფლება; არ იქნეს დაშვებული პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი; დაწესდეს, რომ პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის გამგეობასაც, რომლის კანდიდატურას მხარი უნდა დაუჭიროს ყველა პატრიოტმა მოქალაქემ.

საქართველოში პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლების შემოღების აშკარა მოწინააღმდეგეები და ფარული ოპონენტები თავიანთი პოზიციის დასაბუთების მიზნით იყენებენ ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებებს. კერძოდ, საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის ტრადიციების არარსებობას, იმას, რომ „პრეზიდენტალიზმის“ ინსტიტუტი გადმოღებულია საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო-სამართლებრივი თეორიიდან და პრაქტიკიდან და საქართველოში მისი ფუნქციონირება დადებით შედეგებს არ გამოიწვევს და სხვა. ეს მოსაზრებანი სრულებითაც არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან საქართველოში მრავალი ათწლეულის მანძილზე არსებობდა და ფუნქციონირებდა ტოტალიტარული თავისი ხასიათით და ბუნებით დიქტატორული ხელისუფლება, რომელმაც უკიდურესად ჩამორჩენილი, ნამგლისა და უროს საქართველო განვითარებულ ქვეყნად აქცია.

ამჟამად, საჭიროა გადაჭრით უარეყოთ ფორმალურ-იურიდიული და პოლიტიკური სილოგისტიკა და საქართველოში დავამყაროთ უძლიერესი, სუპერპრეზიდენტული ხელისუფლება, რომელიც შექმნილ ვითარებაში აუცილებელია საქართველოსათვის, მისი კატასტროფიდან დახსნისა და განვითარებისათვის.

საქართველოში ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება დამყარდა არაბუნებრივად ბურჟუაზიული სახელმწიფოს ტიპის ფორმირების პროცესში აშშ-ის მმართველი წრეების გავლენით, საფრანგეთისა და აშშ-ის საპრეზიდენტო ხელისუფლების მსგავსად ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა თავმომწონედ გააუქმა ქვეყნისათვის აუცილებელი საპრეზიდენტო

ხელისუფლება მომავალში შეცდომებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. მან ვერ გაითვალისწინა ის, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის პროცესში შეცდომების დაშვების ობიექტური შესაძლებლობა მმართველობის ყველა ფორმის დროს არსებობს და მომავალშიც იარსებებს. იგივე შეიძლება ითქვას ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაზეც. ძლიერი პოლიტიკური მოღვაწის საპრეზიდენტო მოღვაწეობასთან დაკავშირებული აღნიშნული ნეგატიური მოვლენები გაცილებით ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე საქართველოს კატასტროფა და მასთან დაკავშირებული უამრავი უბედურებანი.

აშშ ახლაც კი ამახვილებენ ყურადღებას ხელისუფლების დანაწილების დისბალანსზე და პრეზიდენტის ზღვარგადასულ უფლებამოსილებაზე, მაგრამ ქვეყნის დაცვისა და განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი განაგრძობენ არსებობას და მტკიცდებიან.

საქართველოს ამჟამინდელი კატასტროფული მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური საშუალება არის საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ძლიერი, ზნეობრივად სუფთა, ქართველი, პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილებისა და უნარის მქონე კანდიდატურის შერჩევა, მისი არჩევა და მისდამი უსიტყვო დამორჩილება, პრობლემის ასეთი გადაწყვეტის აუცილებლობა დამტკიცებულია პოლიტიკურ მეცნიერებათა მიერ და დადასტურებულია ძლიერ ისტორიულ პიროვნებათა პოლიტიკური მოღვაწეობის საუკუნეობრივი პრაქტიკით. აღორძინების ეპოქის უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე ნ. მაკიაველი თვლიდა, რომ დაპყრობილ და დაქუცმაცებულ იტალიას გააერთიანებს მხოლოდ სატანური ბოროტმოქმედიო.

საქართველოს კატასტროფული მდგომარეობიდან

ხსნის ოპტიმალური და ეფექტური საშუალება, შეიძლება გახდეს საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის სახალხო ფრონტის მიერ შექმნილი დირექტორია ძლიერი სახელმწიფო მოღვაწის დირექტორობით შექმნილი მთავრობა, ისევე როგორც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი საფრანგეთში, უკრაინაში, უფაში და სხვა ქვეყნებში.

გასათვალისწინებელია ის გარემობა, რომ პოლიტიკის ისტორიაში გამოჩენილი პიროვნებები თაყიანთი ქვეყნების დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლაში ისეთ მეთოდებსა და საშუალებებს იყენებდნენ, რომლებსაც დადებითი შედეგების მოტანა შეეძლო და მიზანსაც აღწევდნენ. დიქტატორული მეთოდების ხალხის სასარგებლოდ, ეფექტურად გამოყენებისათვის მათ ისტორიამ „დიდის" წოდება მიანიჭა. ჩვენ კი დიქტატორის აუცილებლობის ქვეყანაში ჩვენი პოლიტიკური პანაცია უარვყავით მოწინააღმდეგების წაქეზებით ამუამად კი ჩვენთვის უსარგებლო დემოკრატიაზე ქარაფშუტული ლაპარაკით პირწმინდათ დავიღუპეთ თავი.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოს ცენტრალური ადგილი განპირობებულია მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით.

ჩვენი ქართული ნეობურჟუაზიული სახელმწიფო ძირითადად მაინც ასრულებს მრავალრიცხოვანი დაპირისპირებული ინტერესების მქონე სოციალურ და ეროვნულ წარმონაქმნებს შორის გამანადგურებელი ბრძოლის თავიდან აცილების ფუნქციას. დემოკრატიისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი საზოგადოების შემადგენელი კლასების, ნაციონალური, რელიგიური და სხვა წარმონაქმნების გააფთრებულ ბრძოლაში ქართულმა სახელმწიფომ შეძლო მათი ურთიერთმოსპობის თავიდან აცილება, რაც მისი პოზიტიური, სასარგებლო ქმედებაა.

ამაყე დროს, სამწუხაროდ, ქართულმა სახელმწიფომ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი პირობების არარსებობის ვითარებაში ჩააბა თავისი მოქალაქეები აბსოლუტურად მოუმზადებელ ბურჟუაზიულ ასოციალურ და ეროვნულ რევოლუციაში, რასაც მოჰყვა გამანადგურებელი სამოქალაქო ომი, საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენცია, სახალხო მეურნეობის დანგრევა, ქართველთა დიდი მსხვერპლი, მასობრივი ემიგრაცია და საბოლოოდ კი ქვეყნის კატასტროფა, მიზნები კი მიუღწეველი დარჩა. აღნიშნული ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელების არაეროვნული საქმიანობაა, რისთვისაც მან პასუხი უნდა აგოს. მათი აზრი, ჩვენ კარგი გვინდოდაო, სრულებითაც არ არის თავის გამამართლებელი, მისაღები.

ქართული სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმა, რომელიც მართავს საზოგადოებას, ერთობლიობა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა, რომელთა მეშვეობით რეალიზდება სახელისუფლებო ფუნქციები საქართველოს შეკვეცილი ტერიტორიის ფარგლებში და განსაზღვრავს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ურთიერთობების ბაზას. სახელმწიფოსთან ინდივიდების მრავალრიცხოვანი კავშირები კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობენ „მოქალაქეობის“ პოლიტიკურ-სამართლებრივ კატეგორიაში. ჩვენი საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინტერესებულია ქართული სახელმწიფოს არსებობით, ვინაიდან მათი პირადი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ოჯახისა და საკუთრების დაცვა, უშიშროების გარანტია გარედან პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან ასე თუ ისე მაინც ხორციელდება ქართული სახელმწიფოს მიერ. როგორც მოქალაქე, ჩვენი საზოგადოების წევრი იძენს პირველად მყარ პოლიტიკურ თვისებებს, რომლებიც წარ-

მოადგენენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საფუძველს. სახელმწიფოს მეშვეობით ადამიანები ებმებიან საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამავე დროს, სახელმწიფოსა და ცალკეულ ადამიანებს შორის მათი კლასობრივი კუთვნილების მიუხედავად არსებობს წინააღმდეგობათა კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითად შინაგან წინააღმდეგობას. ასეთი წინააღმდეგობანია: წინააღმდეგობა დემოკრატიასა და ბიუროკრატიას შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში; თვითმმართველობის განვითარების ტენდენციასა და მისი განხორციელების შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის; ინდივიდების ანარქიასთან მოსაზღვრე თავისუფლების მოთხოვნებსა და სახელმწიფოს უარყოფით პოზიციას შორის და სხვა წინააღმდეგობანი.

აღნიშნული წინააღმდეგობანი მასშტაბურია ჩვენს საზოგადოებაში, ღრმა და უკიდურესად დაძაბულია. მავანს სწავლისა და სამუშაოს დროს აკრძალულ ადგილას შეკრება და მსვლელობის მოწყობა თავისუფლება ჰგონია, მაშინ, როცა ეს ანარქიასა და ქაოსს იწვევს, რამაც საქართველო კატასტროფაში ჩააგდო.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებადი ბურჟუაზიულის მსგავსი სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ ფენებად არაბუნებრივი, ხელოვნური დაყოფა, უშრომელად გამდიდრებული მჩაგვრელი კლასის ხელოვნური წარმოშობა. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ასეთნაირად არასდროს არ წარმოშობილან. ჩვენი ამჟამად მოქმედი სახელმწიფო აპარატი ნაწილობრივ მაინც წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებული, პატიოსანი ადამი-

ანების ნაშრომის მითვისებით გამდიდრებული ადამიანების საქმეების მართვის კომიტეტს. როგორც ჩანს, ახალგამომცხვარ მდიდრებს შორის არაქართველები ქართველებზე მეტია.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მარქსისტული დახასიათება სახელმწიფოს კლასობრივი არსისა, როგორც დათრგუნვის ორგანოსი სწორად ასახავს საზოგადოებაში ისეთ განსაკუთრებულ მდგომარეობას, როცა მასში წარმოიშობა კლასობრივი დაძაბულობა, გამოწვეული სამხედრო კონფლიქტებით, ეკონომიკური კრისისებით, რომელთაც შეუძლიათ ააფეთქონ საზოგადოება, ჩააგდოს ის ქაოსის მდგომარეობაში.[14]

ცნობილი მეცნიერების აღნიშნული თვალსაზრისის მეცნიერული ჭეშმარიტებულობა საფუძველიან ეჭვს იწვევს.

სახელმწიფოს კლასობრივი არსის გამოვლენის უკიდურესი ფორმაა მოწინააღმდეგე კლასის შეიარაღებული წინააღმდეგობის შეიარაღებული დათრგუნვა, ჩახშობა. ამაეე დროს, სახელმწიფოს კლასობრივი არსი ძირითადად ვლინდება ადრე გაბატონებული კლასის მიერ შექმნილი და განმტკიცებული სოციალური წყობილების ლიკვიდაციისა და ახალი წყობილების შექმნისათვის განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელებაში.

გაბატონებული კლასი თავისი სახელმწიფოს მეშვეობით ქმნის ახალ ეკონომიკურ სისტემას – სპობს საზოგადოებაში არსებულ საკუთრების ტიპსა და ფორმებს და ქმნის ახალს, ახორციელებს ღონისძიებებს ქვეყნის განვითარებისათვის, ხალხის ეკონომიკური ცხოვრების ახალი პირობების შექმნისათვის, ახალი იდეოლოგიის გაერცელებისათვის.

სახელმწიფო ახორციელებს გარდაქმნებს სოციალურ

14 Политология. Учебник для вузов. м, 2003, стр. 129.

სფეროში სპობს პირობებს, რომლებიც იწვევენ წინათ გაბატონებული კლასის პრივილიგიებს, ახორციელებს ღონისძიებებს ამ კლასის საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობის მოსასპობად და ახალი კლასის საზოგადოებაში ხელმძღვანელი მდგომარეობის დასამყარებლად.

ახორციელებს აგრეთვე ღონისძიებებს განათლებისა და კულტურის სფეროში გაბატონებული მსოფლმხედველობის, იდეოლოგიისა და ზნეობის ახალი ფორმებით შესაცვლელად, მოსახლეობის კულტურული განვითარებისათვის და სხვა.

ახალი ტიპის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რევოლუციური გარდაქმნები ხორციელდება ადრე საზოგადოებაში გაბატონებული კლასის გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში. მის წინააღმდეგ განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნებში ვლინდება სახელმწიფოს კლასობრივი არსი. ამიტომ ის არ ვლინდება მხოლოდ კლასობრივი დაძაბულობის დროს დათრგუნვის ორგანოდ ფუნქციონირებაში, რომელიც არ არის მისი კლასობრივი არსის გამოვლენის ერთადერთი ფორმა.

დიდად სამწუხაროდ, საზოგადოებრივი საკუთრების ფაქტობრივად მითვისებისა და მტაცებლობის გზით სასწრაფოდ ზღაპრულად გამდიდრებული ადამიანების მიერ შექმნილმა თანამედროვე ქართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ მისი კლასობრივ-ექსპლუატატორული არსი სრულად გამოავლინა, როგორც ტრადიციულ, ასევე მის მიერვე შექმნილ ახალ ფორმებში. სოციალური ბაზის შექმნის მიზნით, ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს შეუქმნა პირობები – საზოგადოებრივი საკუთრების მძარცველური პრივატიზაცია, სტიქიური ბაზრის მოქმედება და სხვა სასწრაფოდ გამდიდრებისათვის, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი გააღატაკა. რო-

ყორიც არის ჩვენი სახელმწიფოს სოციალური დემიურგი, ისეთივეა მის მიერ შექმნილი პოლიტიკური ხელისუფლების სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია კლასობრივი კერძო ინტერესების დაცვაზე, რაც სამწუხაროდ მისი ხანმოკლე არსებობის ობიექტური ფაქტორია, რაც ჩვენთვის სრულებითაც არ არის სასურველი.

ქართული სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი აკავშირებს მას სხვა პოლიტიკურ მოვლენებთან. ამიტომ სახელმწიფოსა და პოლიტიკურ სისტემას რეალურად გააჩნია ანალოგიური ამოცანები. ისინი ვალდებული არიან კლასობრივი ბრძოლა წარმართონ ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიისა და სამართლის პრინციპებზე; დაპირისპირებული ფენების, კლასების და მათი პოლიტიკური ორგანიზაციების ძალისხმევა წარმართონ საერთო-სოციალური და ერთდროულად კლასობრივი პრობლემების გადასაჭრელად. ხალხის ცხოვრების დონე აიყვანო საბჭოთა პერიოდის დონემდე მაინც.

თანამედროვე ქართული საზღვარგარეთის სახელმწიფოების დაკვეთით შექმნილი სახელმწიფო ძირითადად მაინც წარმოადგენს მე-20 საუკუნის დასასრულის საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური სურვილებისა, განხორციელებისა და მოღვაწეობის შედეგს, რომელიც სპეციალური წესით არის ორგანიზებული და ეხება კონკრეტული სოციალური ფენებისა და ჯგუფების ინტერესებს. ამიტომ მას გააჩნია პრეტენზიები პოლიტიკური მოვლენების მთლიან მოცვაზე და რეგულირებაზე, სხვადასხვა სოციალური წარმონაქმნების პოლიტიკური ორგანიზაციის როლზე.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო, ფაქტობრივად, შეუძლებელია იყოს სხვადასხვა ნაციონალური პოლიტიკური წარმონაქმნების თანაცხოვრების ერთიანი, რეალური

პოლიტიკური ორგანიზაცია. ქართული სახელმწიფოს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა საქართველოში ჩამოასახლა მრავალი უცხოტომელი, რომლებმაც ქართველების სისხლით მორწყულ მიწაზე თავიანთი „სახელმწიფო" შექმნეს, იქედან ქართველები გამოაძევეს და თავიანთი მიზნების მისაღწევად ქართველების მტრების დახმარებით წარმატებით იბრძვიან, მაგალითად ოსები და მათი ხელმძღვანელები. მათ ორგანიზებულად არ დაუგმიათ ანტიქართული საქმიანობა. მათთან თანაცხოვრება შეუძლებელია და არც არის საჭირო. ისე უნდა მოეპყრან როგორც ვოლგოგრადში.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო არის ქართული კლასობრივი საზოგადოების ყოფიერების პოლიტიკური ფორმა. მაგრამ ის გარკვეულწილად ასრულებს ზეკლასობრიული არბიტრის როლსაც. კერძოდ, საკანონმდებლო წესით ადგენს „თამაშის წესებს" პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ცდილობს ასე თუ ისე თავის პოლიტიკაში გაითვალისწინოს მათი მრავალფეროვანი ინტერესების სპექტრი, რომელიც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია. მან უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანი პოლიტიკური თანაცხოვრება, სახელმწიფო ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა, როცა წარმოიშვება ამის ობიექტური აუცილებლობა. ქართული სახელმწიფო როგორც პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმა ტერიტორიის მიხედვით ემთხვევა ქართული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას. თავისი შინაარსობრივი და ფუნქციონალური ნიშნებით ის არის პოლიტიკური სისტემის ელემენტი.

ქართული სახელმწიფო წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ინტეგრარულ ფაქტორს, რომლის დანიშნულებაა მთლიანობაში დააკავშიროს საზოგადოების პოლიტიკური სისტემა

და სამოქალაქო საზოგადოება. სოციალური დანიშნულების მიხედვით მან უნდა წარმართოს საზოგადოების საერთო საქმეები. მოსალოდნელი რევოლუციის, მისი დამხობის თავიდან აცილების მიზნით ის ვალდებულია იზრუნოს საერთო-სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე. თავისი აპარატისა და ნივთიერი დანამატების მეშვეობით ვალდებულია შეინარჩუნოს პოლიტიკური სისტემის მთლიანობა, დაიცვას საზოგადოებრივი მართლწესრიგი და ა.შ.

ქართული სახელმწიფოს მოღვაწეობის პროცესში წარმოიშვა მთელი რიგი წინააღმდეგობანი, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის ჰიპერტროფიული გაგება და ცალკეული პიროვნების როლის გაზვიადება. თანამედროვე საქართველოში ჩვენი სახელმწიფოსათვის ასეთი როლისა და მნიშვნელობის მინიჭება ობიექტური აუცილებლობაა, ხოლო ძლიერი პიროვნებების როლის ჰიპერტროფია ჩვენი დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების აბსოლუტურად მოუმზადებლობისა და ასოციალურობის გამო პოლიტიკურად სასარგებლო და აუცილებელია.

ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემისათვის მნიშვნელოვანი კონსოლირებადი როლი გააჩნია სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენულ ხასიათს. მხოლოდ ქართულ სახელმწიფოს აქვს უფლება გამოვიდეს ქვეყნის შიგ და გარეთ ხალხისა და საზოგადოების სახელით. საქართველოს პოლიტიკური სისტემის შესვლა ევროპის პოლიტიკურ თანამეგობრობაში დიდად არის დამოკიდებული ქართული სახელმწიფოს სუვერენული თვისებების რეალიზაციაზე. დიდად სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფოს სუვერენული თვისებების რეალიზაციის პროცესი ევროპულ პოლიტიკურ თანამეგობრობასთან ინტეგრაციისათვის ამჟამად

სრულებითაც არ არის მომზადებული და საქართველოსათვის სარგებლობის მომტანი. ეგოისტი და უპრინციპო ბატონების ყოლას ისევ ძველი ბატონის მმართველობის ქვეშ ყოფნა სჯობს, რომლის ქმედებებში ბოროტების ჯამი სიკეთის ჯამზე ნაკლებია.

ქართული პოლიტიკური სისტემა მთელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მუდმივი ცვალებადობის გამო განუწყვეტლივ განიცდის ცვალებადობას. თითქოს, ყველა მისი ელემენტი და კომპონენტი მოქმედებს თანაბარი ხარისხით, ცდილობენ შეათანხმონ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და კლასების ინტერესები, გამოიმუშაონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები. საგანგებო სოციალური სიტუაციის წარმოშობის პირობებში ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეასრულოს განსაკუთრებული როლი.

ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მარტო მატერიალური, ფიზიკური სახელმწიფო, როგორც ორგანიზაციების და დაწესებულებების ერთობლიობა, არამედ მისი არსობრივი სუბსტანციური გამოვლენა – სახელმწიფო ხელისუფლება. მხოლოდ ლეგიტიმურ სახელმწიფო ხელისუფლებას ძალუძს განახორციელოს შედარებით მშვიდობიანი გადასვლა ხელისუფლების თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე.

საზოგადოებაში ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა, საბოლოო ანგარიშით დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლებასთან. შეიძლება მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა განუწყვეტლივ იკამათონ იმაზე, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს სახელმწიფოს წარმოშობა, ვის ინტერესებს გამოხატავს თანამედროვე ქართული სახელმწიფო, მაგრამ აქსიომაა ის, რომ ჩვენი ადამიანების, მათი გაერთიანებების პოლიტიკური მოღვაწეობის კვინტესენცია შედეგი სახელმწიფო ხელისუფლება: იდეოლოგების მიერ შექმნილი სო-

ციალურ-პოლიტიკური თეორიების ძირითადი პრობლემა არის სწორედ სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლების, მისი შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემა. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ ყველაზე არსებითი ქვეყანაში არის არა ადამიანთა გაერთიანების შესაძლებლობა, არა ტერიტორია, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლება. ამიტომ ქართული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებისა და განხორციელების ზუსტი და შეუფერხებლად მოქმედი სოციალური პირობების და სამართლებრივი მექანიზმების შექმნას.

საქართველოში პოსტსოციალისტური სახელმწიფო ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისმა ორგანიზატორებმა 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერეს: „საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა დაამკვიდრონ... სოციალური სახელმწიფო“.[15]

დიდად სამწუხაროდ, ამ ბრწყინვალე მიზნის მისაღწევად საქართველოში ჯერჯერობით არაფერი არ გაკეთებულა და მნიშვნელოვანწილად კონსტიტუციურ დეკლარაციად დარჩა.

სოციალური სახელმწიფოს, რომლის ერთ-ერთი პირვანდელი სახელწოდებაა „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ მოღვაწეობაში მთავარია არაკლასობრივი, საერთო-სახალხო ხასიათი და მიზანი, საზოგადოების ყველა წევრის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნაზე ზრუნვა, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მხარდაჭერა და საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დანერგვა და სხვა.

სოციალური სახელმწიფოს კონცეფციის ფუძემდე-

15 საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995, გვ. 3

ბლებმა დ. ჯეინსმა, ჯ. გელბრეიტმა და სხვებმა დაამტკიცეს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოქალაქეთა დასაქმება, ეკონომიკური კრიზისების დაძლევა, ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება, შემოსავლების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის სამართლიანი გადანაწილება.

სოციალური სახელმწიფოს ცნების ლოგიკური შინაარსი თანდათანობით ფართოვდებოდა ახალი პირობების შესაბამისად, ხდებოდა მისი მოდერნიზირება. თანამედროვე გაგებით ის მოწოდებულია, განახორციელოს შემდეგი ფუნქციები ეკონომიკურ დარგში: უზრუნველყოს ეკონომიკის მრავალწყობიანობა; დაიცვას საკუთრების კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ფორმები; უზრუნველყოს ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების გეგმიანი და საბაზრო მექანიზმების შერწყმა სოციალურ სფეროში: უზრუნველყოს პიროვნების პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური და სოციალური უფლებების გარანტირება; იზრუნოს მოსახლეობის სრული დასაქმებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად; შექმნას ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემები; მხარი დაუჭიროს მოქალაქეთა ხელმოკლე კატეგორიებს; ეფექტურად იბრძოლოს დამნაშავეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლენათა წინააღმდეგ. შეიმუშაოს და განახორციელოს სახელმწიფო პროგრამები, მიმართული სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად.

ასეთი ამოცანებისა და ფუნქციების მქონე სახელმწიფო თეორიულად მართლაც არაჩვეულებრივი სახელმწიფოა. საზოგადოების ისტორიაში ის არასდროს არსებულა და არ არსებობს. დიდად საეჭვოა შორეულ მომავალში ასო-

ციალურმა ადამიანებმა შექმნან ის, ჩაგრულები კი მისი შექმნისათვის ყოველთვის აქტიურად იბრძოლებენ.

სოციალური სახელმწიფოს აღნიშნული ამოცანები და ფუნქციები გარკვეულწილად თეორიულადხ ანალოგიურია სოციალისტური სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციებისა. კერძოდ, ის ეფექტურად ახორციელებდა ისეთ ფუნქციას, როგორიც არის ეკონომიკის მრავალწყობიანობა. ეკონომიკაში არსებობდა მეურნეობის სახელმწიფო, საკოლმეურნეო-კოოპერაციული და პირადი საკუთრების ფორმები. არ არსებობდა მხოლოდ მეურნეობის კერძო-მესაკუთრული წყობა, რომლის დროს საქართველო უკიდურესად ჩამორჩენილი, ნამგლისა და უროს, ღარიბ-ღატაკი, წერა-კითხვის უცოდინარი ქვეყანა იყო, ამიტომ კერძომესაკუთრული ფორმის არსებობა სრულებითაც არ იყო აუცილებელი. კერძო საკუთრებების ფორმის დაშვებამ საქართველოს მოსახლეობა გააღატაკა და კატასტროფაში ჩააგდო; უზრუნველყოფდა ეკონომიკის გეგმიან ხასიათს, რის შედეგად საქართველომ რუსეთის ნახევრად-ველური იმპერიის ახიურმა პროვინციამ მოკლე დროში დაძლია საუკუნებრივი ჩამორჩენილობა. ეკონომიკის საბაზრო მექანიზმებმა კი საქართველოს საერთო განვითარების დონე კატასტროფულად დასწია, ქვეყანა დაქუცმაცდა და დაიშალა; უზრუნველყოფდა მოქალაქეთა მრავალუფლებიანობას და რაც მთავარია, ქმნიდა მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის გარანტიებს; სოციალისტურმა სახელმწიფომ ბრწყინვალედ შეასრულა ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ფუნქციები. გახადა ისინი სავალდებულო და რაც მთავარია, უფასო, რამაც განაპირობა ქართველი ხალხის გამრავლება, მსოფლიოში ათას ადამიანზე უმაღლესი განათლებით პირველ ადგილზე გამოსვლა, რაც საქართველოს

სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი დამსახურებაა ქართველი ხალხის წინაშე; წარმატებით ანხორციელებდა მოსახლეობის სრული დასაქმების ფუნქციას სამუშაო ადგილების შექმნით და შრომის აუცილებლობის მოთხოვნით. ჩვენი, „დემოკრატიული“ სახელმწიფო ფუნქციონირების პირობებში კი უმუშევრობა ჩვენი ხალხის ნამდვილი ჭირი და უბედურება გახდა. ეფექტურად ანხორციელებდა მცირერიცხოვანი ხელმოკლე ადამიანების დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციას, მის დროს საქართველოში არ იყვნენ ღარიბ-ღატაკი ადამიანები, მათხოვრები და მისთანები; სისტემატურად მცირდებოდა ფასები პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებზე; ეფექტური ბრძოლა მიმდინარეობდა დამნაშავეებისა და სხვა ანტისაზოგადოებრიეი გამოვლინებების წინააღმდეგ. ამჟამად კი ველური კაპიტალიზმის „დემოკრატიული“ სახელმწიფოს პირობებში დამნაშავეები თარეშობენ ქვეყანაში, ქვეყანა გაძარცვეს, ნაძარცვის ნაწილი საზღვარგარეთ გაიტანეს.

სოციალისტური სახელმწიფო ქმნიდა და ახორციელებდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამებს, რომელთა შესრულების შედეგად საქართველო ამჟამად მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყანა იქნებოდა.

აღნიშნულის გამო რეალურად ქართული სოციალისტური სახელმწიფო თავისი არსებით უთუოდ სოციალური სახელმწიფო იყო, რომელიც საესებით სამართლიანად იწოდებოდა „საერთო-სახალხო“ სახელმწიფოდ.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სოციალური სახელმწიფოს არსის პრობლემაზე გამოთქმულია სხვადახვა თვალსაზრისი. ზოგიერთი მეცნიერი მას თვლის სახელმწიფოს

დემოკრატიულ ტიპად[16] და არ მიაკუთვნებს ისტორიაში არსებულ სახელმწიფოს არც ერთ ტიპს. თვალსაზრისი სოციალური სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფოს ტიპის შესახებ მეცნიერულად ნაკლებდასაბუთებულია და ადეკვატურად არ ასახავს რეალობას.

სოციალური სახელმწიფოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ წარმოიშვება უშუალოდ პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. ასეთი რევოლუციის შედეგად მყარდება რევოლუციის ჰეგემონის კლასობრივი ტიპის კანონით შეუზღუდველი დიქტატორული სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფო მისი შემქმნელი სოციალური კლასის ნებისა და ინტერესების საფუძველზე ახორციელებს ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოსახლეობის ნაწილის ინტერესებს. ასეთი მდგომარეობა იწვევს ადამიანთა ამ ნაწილის გააფთრებულ წინააღმდეგობას და ბრძოლას ახალი გაბატონებული კლასისა და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს აიძულებს ახალ სახელმწიფოს განახორციელოს ზოგიერთი უმნიშვნელო რეფორმა და გარდაქმნა. მაგრამ ამავე დროს მთელი თავისი შესაძლებლობებით თრგუნავს თავის ანაგონისტებს, აიძულებს თავის იდეოლოგებს კლასობრივი ბატონობის თავისი სახელმწიფო მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველ სოციალური ტიპის სახელმწიფოდ წარმოადგინოს.

კაცობრიობის ისტორიაში არსებული მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული სახელმწიფოები ეკონომიკურად გაბატონებული, მდიდარი ადამიანთა ჯგუფების, ინტერესების დამცველი დიქტატორული სახელმწიფოები ყოც უმნიშვნელოდ ტრანსფორმირებული ფორმით. ეს სახელ-

16 Политология. изд-во норма. м, 2003, с. 356.

მწიფოები, როგორც ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც სახელისუფლებო ფუნქციას ახორციელებდნენ თავიანთი წრიდან გამოსული ან დაქირავებული პირების მეშვეობით ეკონომიკურად გაბატონებულმა ადამიანთა ჯგუფებმა შექმნა. მათ განახორციელეს პოლიტიკური რევოლუციები, ხელში აიღეს სახელმწიფო ხელისუფლება, სამოქალაქო ომებში და ინტერვენციებში დაიცვეს ის და დიდი რაოდენობითაც თვითონაც დაიღუპნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვით სახელმწიფოების ტიპის სახელწოდებაც მათი შემქმნელი საზოგადოებრივი კლასების სახელთან არის დაკავშირებული.

ამიტომ პოლიტიკური სახელმწიფოები მთელი თავიანთი არსებობის განმავლობაში არსებითად დარჩებიან მათი შემქმნელი კლასების ინტერესების დამცველ სახელმწიფოს ტიპებად გარკვეულწილად „გასოციალებული" სახელმწიფოებადის არ არის სახელმწიფოს ტიპი, არამედ უმნიშვნელოდ გადემოკრატებულიდა გასოციალებული სახელმწიფოა თანამედროვე ქართულ სახელმწიფო სოციალური სახელმწიფოს არცერთი ნიშანთვისება არ გააჩნია, მისი შემქმნელი ადამიანთა ჯგუფების თანამედროვე მეთოდებით ცუდად შენიღბული დიქტატურის სახელმწიფოა. ის ზრუნავს ძირითადად მხოლოდ თავისთავზე, თავისი სოციალური ბაზის განმტკიცებაზე და გამდიდრებაზე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო. ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას დაიცვას ხალხის ინტერესებიც, ის იძულებული იქნება თავისი ინტერესების განხორციელებასთან ერთად მომავალში მაინც შეიძინოს სოციალური სახელმწიფოს ზოგიერთი უმნიშვნელო ნიშან-თვისება.

აღსანიშნავია, რომ სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას ბევრი ოპონენტი ჰყავს, განსაკუთრებით თანა-

მედროვე ლიბერალების სახით. ამ კონცეფციას განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებენ სტიქიური საბაზრო ეკონომიკის მომხრეები, ფ. ფონ ხაეკის სახით. ამავე დროს, ბევრი გამოჩენილი მეცნიერი თვლის, რომ თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებისკენ დაბრუნება თანამედროვე პირობებში შეუძლებელია და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სრულებითაც არ არის მიზანშეწონილი.

ზოგადად სახელმწიფოს და კერძოდ ქართული სახელმწიფოს არსება ვლინდება იმ საკითხის გარკვევით, თუ ვის ეკუთვნის ხელისუფლება, ვისი ინტერესების შესაბამისად ხორციელდება ის. სახელმწიფოს თეორიაში ამ საკითხზე გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანი. სოციალურ-ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, მარქსისტული, ლიბერალ-დემოკრატიული და სხვა კონცეფციების სახით ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწეობის მეცნიერული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთებული იქნას შემდეგი დასკვნა ქართული სახელმწიფოს არსის შესახებ. ქართული სახელმწიფო გამოხატავს არაბუნებრივი, არატრადიციული გზით შექმნილი ე.წ. ქართული ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელთა რეალიზება ხდება მისი დიქტატორული სახელმწიფოს მეშვეობით. სახელმწიფო სტრუქტურები ფორმირდება ადამიანთა ამ ჯგუფის წარმომადგენლებისაგან ან მის მიერ დაქირავებული პირებისაგან. ქართული სახელმწიფო აგრეთვე გამოხატავს მოსახლეობის ვიწრო ინტერესებსაც და წყვეტს საერთო-საზოგადოებრივი პრობლებსაც. მისი ნაკლებპოპულარობა, მხარდამჭერთა სიმცირე და ნაკლებეფექტურობა გამოწვეულია სახელმწიფო ხელისუფლების განმხორციელებელი ადამიანთა სპეციალური ფენის ეგოისტური ბუნებით, რაც განაპირობებს მის მიმართ ხალხის უნდობლობას.

მეცნიერება'ში გამოთქმულია და გავრცელებულია

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, თითქოს, სახელმწიფო არის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმა.[17]

საერთოდ საზოგადოების და კერძოდ, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს საზოგადოების ისტორიულად განსაზღვრულ ტიპს, ერთგვაროვან სოციალურ ურთიერთობათა ურთულეს სისტემას. ის არის სხვადასხვა ელემენტებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებათა მყარი ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მთლიანობაში საზოგადოების ტიპს. სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის მრავალი ფორმიდან ერთ-ერთი მთავარი ფორმა არის პოლიტიკური ფორმა, რომელიც თავის მხრივ მრავალასპექტოვანი ფენომენი და სისტემა არის. ამ სისტემის ძირითადი ელემენტებია: პოლიტიკური კულტურა და მეცნიერება, სახელმწიფო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, პოლიტიკური ტრადიციები, მიზანდასახულებანი, ორიენტაციები, ყველა პოლიტიკური ხასიათის მოვლენა და პროცესი. პოლიტიკური ფორმის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კომპონენტები ერთმანეთთან დიალექტიკურ კავშირში არიან და ქმნიან ერთიანი პოლიტიკური ფორმის სისტემას, რომლის შინაარსი დეტერმინირებულია მატერიალური ფაქტორებით. ამავე დროს, სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმის ელემენტების ერთტიპიურობა არ წარმოადგენს მათ ერთ-ერთ, თუნდაც მთავარ კომპონენტზე გადაყვანის საფუძველს. ასეთი მთავარი კომპონენტია საზოგადოების უძველესი და მთავარი პოლიტიკური ორგანიზაცია სახელმწიფოს სახით. ამიტომ „საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკური

17 Большая советская энсиклопедия, 1972, м, стр 176.

ფორმა“ თავისი შინაარსით გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფოს ცნება, რომელიც შინაარსობრივად შედის „პოლიტიკური ფორმის“ ცნების ლოგიკურ შინაარსში.

სოციალური ცხოვრების პოლიტიკურ ფორმად მხოლოდ სახელმწიფოს წარმოდგენის შემთხვევაში იქნება შესაძლებლობა მისი პოლიტიკურ უნივერსალად გამოცხადებისათვის. პოლიტიკურ უნივერსალად სახელმწიფოს გამოცხადება არ ასახავს რეალურ სინამდვილეს და ჭეშმარიტებას მოკლებულია.

საერთოდ ყველა საზოგადოებაში არსებობს ობიექტური და სუბიექტური პირობები პოლიტიკური წარმონაქმნების წარმოშობისა და არსებობისათვის, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური სახე აქვთ სპეციფიკური ამოცანებითა და ფუნქციებით.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურღვევი წესია დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო... საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.[18]

სახელმწიფოს თეორიის ზოგიერთ პრობლემაზე სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიაში გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი. ერთ-ერთი სადისკუსიო პრობლემა არის „ბოლომდე“ და სრული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის შესაძლებლობის პრობლემა.[19]

მეცნიერულ-იურისტთა ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული საკითხი არ არის სადიკუსიო პრობლემა. ყველა

18 საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, გვ. 3.

19 М. Н. Маргенко. Теория государства и права. Издательство МГУ. 2004. стр. 435.

სახელმწიფო ვალდებულია განუხრელად დაიცვას მისი ინიციატივით მიღებული, მისი ინტერესების გამომხატველი და დამცველი კანონები და სამართალი, იმოქმედოს მათი სრული შესაბამისობით. სახელმწიფოს როგორც იურიდიულ აბსოლუტს თავის განკარგულებაში აქვს დიდი მატერიალური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური სხვა შესაძლებლობანი, რომელთა გონივრული გამოყენებით ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი შეუძლია უზრუნველყოს თავისი მოღვაწეობა მის მიერვე შექმნილი სამართლის შესაბამისად და მის ფარგლებში. ქვეყნის საზოგადოების განვითარებაში ზოგჯერ წარმოიშობოდა ობიექტური მიზეზები და გარემოებანი, რომლებიც აიძულებდნენ პოლიტიკურ სახელმწიფოს დაერღვია მის მიერ შექმნილი სამართლის ნორმები. მათი დაცვა და არდაცვა სახელმწიფოებრივი ნებაა. სამართლის უგულებელყოფა პოლიტიკური სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოს კრახის ერთ-ერთი ფაქტორია.

მეცნიერებაში სახელმწიფოს მხრივ სამართლის დარღვევის აუცილებლობის დასაბუთებული თვალსაზრისი არ არსებობს. მაგრამ წარმოიშვა სახელმწიფოს მიერ სამართლის „ბოლომდე“ და მთლიანად დაცვის პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრობლემა. ამ პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასარგებლოა თუ არა სახელმწიფოსა და ქვეყნისათვის მოქმედი სამართლის სრული და „ბოლომდე“ დაცვა მათთვის საგანგებოდ მძიმე მდგომარეობაში, როცა სამართლის დაცვა ამძიმებს მდგომარეობას და საზიანოა თვით სახელმწიფოს და საზოგადოებისათვის. სამართალში შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფოსთვის საშიში ყველა მოვლენა, რომელიც მომავალში წარმოიშობა.

ამ მეტად აქტუალურ პოლიტიკურ და იურიდიულ პრობლემას სახელმწიფოები ისტორიულად და ამჟამადაც

ხშირად ნეგატიურად წყვეტდნენ და წყვეტენ: ასეთი პოლიტიკური პოზიცია განპირობებულია რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სახელმწიფოსა წარმოშობის მიზეზების რეაქციული, ამორალური ხასიათი. კაცობრიობის ისტორიაში პირველი სახელმწიფოების წარმოშობის ასეთმა მიზეზებმა გარკვეულწილად განსაზღვრა მათი რეაქციული ბუნება და ხასიათი მომავალშიც.

საერთოდ ყველა პირველი სახელმწიფო, მათ შორის, ქართულიც მორალის უგულებელყოფით, მისი ნორმების დარღვევის შედეგად წარმოიშვა. მან შექმნა პირველი ექსპლუატატორული სოციალური წყობილება და ათეული საუკუნეების განმავლობაში ანვითარებდა და ხელმძღვანელობდა ასეთ სოციალურ სისტემებს საკუთარი ეგოისტური მიზნების მისაღწევად. მან უარყო ზოგადსაკაცობრიო მორალის პრინციპები და ნორმები, რომლებიც შემდეგ ქრისტიანულ ეთიკაში აღორძინდნენ და ხელმძღვანელობდა, ახლაც კანაგრძობენ არსებობას. ძალადობის გზით წარმოშობილი, ხალხის მასების ექსპლუატაციისა და ძარცვით გამდიდრებული ყაჩაღი სახელმწიფო[20] არ შეიძლება ყოფილიყო სამართლებრივ-პოლიტიკური დაწესებულება. მას აძევებდნენ საზოგადოებიდან და სპობდნენ მის მიერ დაჩაგრული ადამიანები.

პირველ სახელმწიფოებს, მათ შორის ქართულსაც, ისტორიულად არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და წანამძღვარი, მათი იმ პერიოდში საერთოდ არარსებობის გამოც სახელმწიფო წარმოიშვა თემური საზოგადოების არაპოლიტიკური მართვის დაწესებულებათა ნების და აქტების უგულებელყოფის გზით. პირველყოფილი საზოგადოების არაპოლიტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებ-

20 Шаршеневич Г. Ф. Общая теория права Т1, Вып. 1. М. 1995. С. 263

მა მოახდინეს სახალხო ხელისუფლების უზურპაცია, გახადეს ის თავისი ეგოისტური ინტერესების დამცველი, სისხლში ჩაახრჩვეს ხალხების ბრძოლა არსებული სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების შენარჩუნებისათვის. ასეთი სახელმწიფოები არა „ბოლომდე“, არამედ მთლიანად, მთელი არსებით უსამართლო, აბსოლუტურად ზნედაცემული სახელმწიფოები იყვნენ, რომელთა პოლიტიკური ეპიგონია ზოგიერთი თანამედროვე სახელმწიფო. მათ საქმიანობაში ბოროტების ჯამი გაცილებით მეტია, ვიდრე სიკეთის ჯამი. ადამიანთა ნაწილის არასრულფასოვნებისა და სხვა მიზეზების გამო, თანამედროვე ზოგიერთი უზნეო და არასამართლებრივი სახელმწიფო სოციალურად აუცილებელი ბოროტება გახდა. სამართლებრივი სახელმწიფოს ლოზუნგს ამოფარებულების მისწრაფებათა და მოღვაწეობის საბოლოო მიზანი პოლიტიკური ხელისუფლების დაუფლება და მისი გამოყენებით უსაზღვრო გამდიდრებაა. ამ მხრივ, ქართული სახელმწიფო აპარატის ზოგიერთი წევრიც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

განსაკუთრებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ სახელმწიფოს მხრივ არასამართლებრივი საქმიანობის შესაძლებლობას, წარმოიშვებიან ერთი სოციალური წყობილებიდან მეორეზე გარდამავალ პერიოდში, რომელშიც ახლახან იმყოფებოდა საქართველო.

ამ მიზეზებიდან აღსანიშნავია ის, რომ გარდამავალ პერიოდში და ახლაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არაერთგვაროვანი და მრავალწყობიანია სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა ანტაგონისტური, საზოგადოების იდეოლოგია დაპირისპირებული ინტერესებისა და იდეალების შემცველია საზოგადოების პოლიტიკური სისტემა ანტაგონისტური

იყო. საზოგადოებაში მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა ხელისუფლებისა და მისი გამოყენებით გამდიდრებისათვის. საქართველოში გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომს, პოლიტიკურ ტერორს, საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენციას და სხვა უკიდურესად მძიმე მოვლენებს.

ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოსულმა ადამიანთა ჯგუფმა დაიწყო ახალი ტიპის სამართლის შექმნა. სამართლებრივი აქტების შემუშავება ხდებოდა მწვავე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში. ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობანი განუწყვეტელ ცვალებადობას განიცდიდნენ, მათი მეცნიერული შემეცნება გართულებული იყო და არის. ამიტომ მათი რეგულირებადი სამართლებრივი აქტები მეცნიერულად ნაკლებდასაბუთებულია, ნაჩქარევად მომზადებული და მიღებულია. ისინი არ გამოხატავენ მათ მიერ რეგულირებადი ურთიერთობების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს, არსებით მხარეებსა და განვითარების ტენდენციებს. ხელისუფლების ანტაგონისტი სოციალური ძალებისათვის ახალი კანონები და სამართალი მიუღებელია იყო და არის, ვინაიდან არ გამოხატავენ მათ იდეალებსა და ინტერესებს. ისინი კანონით აკრძალული ქმედებებითაც კი იბრძოდნენ მათი ინტერესების გამომხატველი სამართლის შესაქმნელად.

სახელმწიფოს „ბოლომდე" სამართლებრივი ფუნქციონირების მიღწევა მაქსიმალურად გაძნელებულია ისეთი ტიპის გარდამავალ პერიოდებში, რომლებშიც ძველი სახელმწიფოსა და სამართლის არსებობისათვის უფრო მეტი ხელსაყრელი პირობებია მომზადებული, ვიდრე ახლისათვის. ასეთი პირობები იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე

გარდამავალ პერიოდში ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. ანალოგიური პირობებია სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, რომელშიც დიდად გაძნელებულია „ბოლომდე“ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა და ფუნქციონირება.

თანამედროვე სოციალურ სიტუაციაში ჩვენს საზოგადოებაში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირებისათვის მოუმზადებელია ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ხასიათის პირობები და საფუძვლები, ამიტომ სამართალი არასრულყოფილი და ნაკლებეფექტურია. მისი დემიურგი ქართული სახელმწიფო ზოგჯერ მოქმედებს სამართლის გვერდის ავლით, არღვევს მისივე შექმნილ კანონმდებლობას, ირღვევა საკონსტიტუციო, საერთაშორისო, სისხლის სამართლის და სხვა ნორმები.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ სახელმწიფოს, მათ შორის ქართულის მხრივ სამართლის დარღვევა ბევრ შემთხვევაში მაინც სიტუაციის მიხედვით ხდება. ანტისამართლებრივი მოქმედება ძირითად მაინც თვითმიზანი არ არის. სახელმწიფო ამ ზომას მიმართავს, როგორც წესი, განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაში, როცა სამართლის მოთხოვნის დაცვა საზიანოა მისთვის და ზოგ შემთხვევაში საზოგადოებისთვისაც.

პროგრესული სახელმწიფოს სოციალური შინაარსი განაპირობებს მის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ამოცანებსა და მიზნებს, საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროებში. მისი დანიშნულებაა განახორციელოს გარდაქმნები ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ამ პროგრესული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში სახელმწიფოს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ძველი საზოგადოე-

ბის მმართველი კლასები. ახალი სამართლისა და საკაცობრიო მორალის დარღვევით რეაქციული ზომების განხორციელებით ცდილობენ ძველი წყობილების აღდგენას. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითებია ახალ დროში ნიდერლანდებში, ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთის იმპერიაში და სხვა ქვეყნებში მათი რეაქციული საქმიანობა სამოქალაქო ომები, რევოლუციონერთა მასობრივი მოსპობა, „სტოლიპინის ჰალსტუხი“ და სხვა. ექსპლუატატორული კლასების უსამართლო და რეაქციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში საესებით სამართლიანად პროგრესული სახელმწიფო იძულებულია იმოქმედოს ფორმირებადი, ახალი სამართლის დარღვევით. ასეთი ქმედება სრულებითაც არ არის ზნეობრივად დასაგმობი საზოგადოებისათვის. მიუღებელი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის დამცველი, მისი მეშვეობით გამდიდრებული და პოლიტიკურად გაბატონებული ადამიანთა ჯგუფები ლიკვიდირებული იქნენ როგორც კლასები, არასამართლებრივი ზომების განხორციელებითაც კი.

მჩაგვრელები მათ მარჩენალ და ჩაგრულ, უკიდურესად მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფ ადამიანებს „გლახებს“, „ტყლაპურჭიან გლეხებს“, ჩანჩურებს, ხელპირდაუბანელ სიფათს მუტრუკს უწოდებენ. ურცხვად ითვისებდნენ მშრომელი ადამიანების შრომის შედეგებს, ცრუობდნენ, დემაგოგობენ და სხვა. ასეთ ადამიანთა ჯგუფების მიმართ სავსებით სამართლიანად განხორციელებული იქნა შემთხვევაში არასამართლებრივი ზომებიც.

საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი, არ არის განსაკუთრებით უარყოფითი მოვლენა, როდესაც მისი დაცვა საზიანოა ქვეყნის და მისი სახელმწიფოსათვის.

სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზი

და აშკარად ჩანს, რომ მას უხდება მოღვაწეობა ურთულესი პრობლემების გადაწყვეტაში მეტად რთულ, წინააღმდეგობრივ სიტუაციაში, რაც მოითხოვს ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების უკიდურესად დაძაბვას, უმძიმესი და ურთულესი სიტუაციებიდან გამოსაყვლის დიდ ნიჭსა და უნარს. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს ქვეყნისათვის სასარგებლო ღონისძიებები, რომლებსაც ხანდახან სამართლებრივი ნორმის დარღვევას მოყვება, მაგრამ ეს შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია.

ქართული სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს მის მიერ შექმნილი კანონებისა და სამართლის დაცვით, მათი ზუსტი შესაბამისობით, მაგრამ მის მიერ მართვად საზოგადოებაში ხანდახან ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც არ არიან რეგულირებული სამართლებრივი ნორმებით და წარმოადგენენ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებს. მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო სამოქალაქო სამართალში უშვებს ანალოგიის ინსტიტუტს, მისი გამოყენების შესაძლებლობას.

სახელმწიფოს მხრივ სამართლის „ბოლომდე" დაუცველობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ არსებობს და მოქმედებს პოლიტიკური თვითშენახვის სოციალურ-ბიოლოგიური პრინციპი, რომელიც ახასიათებს ყველა სიცოცხლისუნარიან სახელმწიფოს და განსაკუთრებული ფორმებით ვლინდება სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში. გაბატონებული სოციალური კლასი და მისი სახელმწიფო, როცა მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბატონობას შეექმნება ძლიერი საშიშროება, მიმართავენ არასამართლებრივ ქმედებებს მათი პოლიტიკური გადარჩენისა და ბატონობის შენარჩუნების მიზნით.

ისტორიული გამოცდილება, სახელმწიფოს მოღვაწეობაში ზოგადის, განსაკუთრებულისა და სპეციფიკურის გამ-

ოვლენა და მეცნიერული ანალიზიდან ნათლად ჩანს ის, რომ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენით არც ერთი ადრე და ამჟამად ფუნქციონირებადი სახელმწიფო არ ყოფილა და არ არის „ბოლომდე“ სამართლებრივი. ამ მხრივ არც ქართული სახელმწიფო იყო გამონაკლისი.

მსოფლიო ისტორიის ახალ დროში ფორმირებული ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგია, ეპოქის თვალსაჩინო განმანათლებლები მოითხოვდნენ სამართლის მკაცრ დაცვას. სახელმწიფოს არასამთლებრივი ქმედებები განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიის კლასობრივი ანტაგონისტის, ფეოდალების სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი, რეაქციული მოვლენა, რომელსაც ბურჟუაზია საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა. ბურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციების გამარჯვების შემდეგ შექმნილ ვითარებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომებს, პოლიტიკურ ტერორს, საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენციებს, ბურჟუაზიამ დაარღვია თავისი დაპირებანი, დაამყარა სამხედრო დიქტატურები, რომლებიც ანხორციელებდა არასამართლებრივ ღონისძიებებს ქვეყნის სასარგებლოდ თავისი პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებისა და მისი მეშვეობით სიმდიდრის დასაგროვებლად. ამ მხრივ გამოირჩეოდა საფრანგეთში მოქმედი სამხედრო დიქტატურები.

ამჟამადაც რუსეთში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაში წესრიგის დამყარების მიზნით რუსი ხალხიც მოითხოვს ძლიერ დიქტატორულ ხელს, რომელიც სამართლით ნაკლებ შეზღუდული იქნება.

ხალხები, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მიაღწიონ სახელმწიფოთა სამართლებრივი საქმიანობის მაქსიმუმს. ამ მეტად რთული და აქტუალური პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა რეალ-

ური ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა, რომელთა რეალიზაცია საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შესაძლებელი სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია შემდეგი.

პირველი. ქართველი ხალხისა და მისი კეთილმოსურნეების ზოგადი და სამართლებრივი განათლებისა და კულტურის მაღალი დონის მიღწევა. ჩვენი დაბალი განათლებისა და კულტურის მიზეზით შესაძლებელი გახდა ქართული სახელმწიფოს ტოტალიტარული საქმიანობის აუცილებლობა ისტორიულად და ამჟამად სამართლის ნორმების დარღვევა. აქ გამოვლინდა ზოგადი ხასიათის კანონზომიერება: რაც უფრო დაბალია ხალხის განათლებისა და კულტურის დონე, მით უფრო მეტია სახელმწიფოს არასამართლებრივი საქმიანობის ხარისხი. დიდად სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობას ნაკლებ გაცნობიერებული აქვს სამართლის დაცვის დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მისი მიღწევის გზები და საშუალებანი. ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებანი ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო და სამართლებრივი განათლებისათვის. ეს ჩვენი სახელმწიფოს კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია არის და აუცილებლად საჭიროა მისი განხორციელება. ხალხის ზოგადი და სამართლებრივი განათლებისადმი უყურადღებობა, რასაც ახლა აქვს ადგილი, დაუშვებელია.

მეორე. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელოვანი წანამძღვარია აგრეთვე ადამიანებში სახელმწიფოს მართვაში აქტიური მონაწილეობის მოთხოვნილებების გამომუშავება. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს შემდეგი წინააღმდეგობების დაძლევას. ჯერ ერთი, ადამიანი საერთოდ, მათ შორის ქართველებიც ანტაგონისტურ წინააღმდე-

გობაშია პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, სახელმწიფოსთან. მისი მამომძრაველი ძალა და იდეალია უფრო მეტად პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა, საჭიროა იურიდიული განათლების მქონე ადამიანების შერჩევა, ჩვენი სახელმწიფოს მართვაში მათი მონაწილეობას იმ მიზნით, რომ გამოავლინონ სახელმწიფოს მხრიც სამართლის დარღვევის ფაქტები და მიაღწიონ მათ აღმოფხვრას.

შემდეგ, სახელმწიფო და მათ შორის ქართულიც, ხშირად არ არის დაინტერესებული მათ საქმიანობაში კვალიფიციური ადამიანების მონაწილეობით. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით იქმნება მაშინ, როცა სახელმწიფოს ემუქრება რეალური საშიშროება მოწინააღმდეგების მხრივ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას იღებს პირადი მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოების მართვაში ჩააბას განათლებული და ზნეობრივად სუფთა ადამიანები, რომლებიც შეძლებენ სახელმწიფოს მართვაში ეფექტური მონაწილეობის მიღებას.

მესამე. საერთოდ და კერძოდ, საქართველოში სრული „ბოლომდე", სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აგრეთვე, სოციალური ცხოვრების პოლიტიკურ სფეროში პლურალიზმის პრინციპების თანდათანობითი დანერგვა.

პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში მიმდინარეობს კანონიერი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სხვა გააფთრებული ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებისა და მისი გამოყენებისათვის ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ეს ბრძოლა მიმართულია ფუნქციონირებადი სახელმწიფოსა და ხელი-

სუფლების პარტიის წინააღმდეგ და ხორციელდება ხშირ შემთხვევაში კანონით აკრძალული მეთოდებით და საშუალებებით, როგორც სოციალური ბრძოლის სასტიკი ფორმა.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური მოწინააღმდეგე ცდილობს ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწეობაში აღმოაჩინოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, კონსტიტუციისა და სამართლის დარღვევის ფაქტები, წარმოადგინოს ის ანტიხალხურ სახელმწიფოდ, მოითხოვს და ცდილობს მის დათხოვნას. ზოგჯერ სახელმწიფოს ანატონისტები თხზაენ მითებს, ჭორებს სახელმწიფოს მოღვაწეობის შესახებ, ცილს სწამებენ მას.

ასეთ პირობებში ჩვენი სახელმწიფო იძულებულია თავი შეიკავოს კანონისა და სამართლის შესრულებისაგან ცდილობს დაფაროს და გაამართლოს მათი დარღვევის ფაქტები და დაიმკვიდროს სამართლებრივი სახელმწიფოს სახელი.

მეოთხე. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების და ფუნქციონირების მთავარი და ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვარია საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში რეალური დემოკრატიის პრინციპების დამყარება და განვითარება. ქართველი ხალხის თვითმმართველობის დამყარება ნიშნავს სახალხო ხელისუფლების რეალიზაციის ისეთ პროცესს და ფორმას, რომელიც ადეკვატურია მისი ინტერესებისადმი. სახელმწიფო მმართველობაში განათლებული და კულტურული ადამიანების მასობრივი ჩაბმის პირობებში იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ ხალხმა გაუწიოს ეფექტური კონტროლი სახელმწიფოს კანონიერების დაცვის სფეროშიც.

საერთოდ სახელმწიფო, მათ შორის ქართულიც იძულებულია შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელშიც დაშვებუ-

ლია პლურალიზმის ყველა ფორმა, მაგრამ ის იურიდიულად აღიარებული უფლებების რეალური განხორციელების გარანტიებს არ და ვერ ქმნის. პოლიტიკური განათლებისა და კულტურის დაბალი დონის გამო რაციონალურ დებულებებსა და იდეებს ვერ ექმნით და ვერ ვანხორციელებთ. უკვე თითქმის 27 წელია, რაც ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი ძირითადად მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, როგორც ყველა სხვა ხალხი თვითონვე არის საკუთარი დრამის ავტორი. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკურად უფრო კვალიფიციური, ხელისუფლების განხორციელებაში გამოცდილი დაწესებულება ხშირად აღწევს იმას, რომ სამართლებრივად წარმოადგენს მის ზოგიერთ ანტისამართლებრივ ქმედებებას და აღწევს ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილის დარწმუნებას. ის ყოველთვის ერთგულად ემსახურება ადამიანთა იმ ნაწილს, რომლებმაც ის შექმნა, წარმატებით მოქმედებს მისი საკუთარი ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

გ. ჰეგელის აზრით, სახელმწიფოს არ შეუძლია გამოხატოს ხალხის ინტერესები[21], ვინაიდან ხალხმა არ იცის, რა სურს „გონიერ ნებას", არ იცის რა სურს თვით მას[1]. ეს გენიალური იდეაა გენიოსი ფილოსოფოსისა, რომელმაც საქართველოში შეასრულა დამღუპველი როლი.

მეხუთე. ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი სამართალ-შემოქმედებითი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, სამართლებრივი აქტების მაღალი დონის მიღწევა, მათი სოციალური ეფექტურობის ამაღლება. ეს ქართული სახელმწიფოს ურთულესი პრობლემაა, რომლის რაციონალურად გადასაჭრელად საჭიროა წინასწარ შეიქმნას მთელი რიგი განსხვავებული ხასიათის პირობები და წანამძღვრები. ამ მხ-

---

21 Гегел Г. В. философия права, М. 1990. стр. 150.

რიე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებას სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, ვინაიდან ისინი სრულყოფილი სამართლებრივი აქტების მომზადების მეცნიერული საფუძველია. საკანონმდებლო ორგანოსა და მეცნიერთა ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს ის ფაქტორები, რომლებსაც გადაწმყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის ახალი ტიპის ფორმირებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა სასიათის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტორები. სამართალი უნდა შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს და იდეალებს. თუ ეს მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნები უგულებელყოფილია, მაშინ სამართალი ბალასტია და არაეფექტური, საზოგადოებრივი პროგრესის ხელშემშლელი ფაქტორია. დიდად სამწუხაროდ, საქართველოში სამართლებრივი სისტემები იქმნებოდნენ მეცნიერული მოთხოვნების უგულებელყოფით, სახელმწიფოს სუბიექტურობა და თვითნებობა ამ სფეროში ნათლად და აშკარად ვლინდებოდა. ამიტომ სამართლებრივი სისტემა და მისი ელემენტები არაეფექტური იყო და არის.

ყველა სახელმწიფო და მათ შორის ქართულიც თავის არასამართლებრივ საქმიანობაში იყენებს მის მიერვე შეგნებულად შექმნილ წინააღმდეგობრივ სამართლებრივ სისტემას, რომელიც შეიცავს იურიდიული დუალიზმის ელემენტებს, ურთიერთგამომრიცხავ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც შეიძლება გაგებული იქნან სხვადასხვაგვარად. რაც უფრო მეტად პარანორმიულია სამართლებრივი აქტი, მით უფრო ადვილია მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, რასაც ანხორციელებენ ამ საქმეში დახელოვნებული

იურისტები, სახელმწიფოთა აპოლოგეტები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა წინააღმდეგობრივი სამართლებრივი სისტემის ერთი იდეა გამოაცხადოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ჭეშმარიტი არსის გამომხატველად, მის კვინტესენციად და განახორციელოს მისი შესაბამისი ქმედებები. სამართლებრივი აქტის არსის გამომხატველი აზრი კი სულ სხვა არის, რომელიც უგულებელყოფილია. ასეთი გზით ხდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის იდეური შინაარსის ფალსიფიკაცია და სახელმწიფოსათვის სამართლებრივად სასარგებლო იდეის საფუძველზე ანტისამართლებრივი საქმიანობის განხორციელება. ამ მხრივ ქართველი მეცნიერ-იურისტები არ ჩამორჩებიან.

სახელმწიფოს არასამართლებრივ საქმიანობას უადვილებს სამართლებრივი ნორმის აუტენტური ინტერპრეტაციის უფლება. ამ უფლების გამოყენებით სახელმწიფოს ყოველთვის ეძლევა შესაძლებლობა სამართლებრივი ნორმებისა ინტერპრეტაცია მოახდინოს მისი დემიურგის-სოციალური ჯგუფის დირექტივებისა შესაბამისად. აუტენტური ინტერპრეტაციის უფლება სახელმწიფოს განუყოფელი პრეროგატივა არის. ამავე დროს, ის სახელმწიფოს მიერ სამართლის იდეური შინაარსის ფალსიფიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

თანამედროვე საქართველოს კულტურული განვითარების დონის პირობებში შეუძლებელია აშკარად რეაქციული სამართლის შექმნა და რეალიზაცია. ამიტომ სახელმწიფოს მიერ მოქმედების სამართლებრივად აღიარების ერთ-ერთ საშუალებად რჩება სამართლებრივი ნორმის ტენდენციური ინტერპრეტაცია, როგორც მისი არასამართლებრივი საქმიანობის გამართლების პირობა.

ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ სამართლის დარღვევა ხდება მისი ნორმების მოძველებულობის,

კონსერვატიზმისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტის მიზეზით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმების ოპერატიული განახლება.

სახელმწიფოს თეორიაში გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მოქმედი სამართლის მკაცრი დაცვის აუცილებლობის მოთხოვნა ხანდახან უპირისპირდება გარემოებებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინტერესებისათვის, თვით სახელმწიფოს არსებობისათვის. ასეთი სახელმწიფოსა და ქვეყნისათვის განსაკუთრებულად მძიმე, საგანგებო ვითარებაში მოთხოვნა, რომ სამართლის ბატონობას მიეცეს რაც შეიძლება მეტი სრული განხორციელება, ხშირად კიდევ უფრო ძლიერ ობიექტურ მოთხოვნას მისი გვერდის ავლით მოქმედების შესახებ. ამ თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ სახელმწიფოს მოღვაწეობაში სამართლის, როგორც ქცევის ფორმალური წესების ერთობლიობის მკაცრი დაცვა აუცილებელია. მაგრამ ამ საერთო იურიდიულ კანონზომიერებებს როგორც წესი, გამონაკლისიც გააჩნია. ქვეყნისათვის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში სანდახან ობიექტურად აუცილებელი ხდება სამართლის დარღვევა, ვინაიდან მისი ზუსტი დაცვა და განხორციელება უკიდურესად საზიანო ხდება ქვეყნისათვის. ამ შემთხვევაში სამართლებრივი ფორმალური წესების აბსოლუტიზაცია ხელს უშლის სახელმწიფოს თავისი შინაარსის რეალიზაციაში, მისი ფუნქციების განხორციელებაში. ქვეყნის და საზოგადოებისათვის მთავარია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარება, მათი დაცვა და არა თვით ამ სახელმწიფოს მიერ შექმნილი მკაცრად რეგლამენტირებული ნორმების განხორციელება, ფორმალური წესების დაცვა.

სახელმწიფო კონსტიტუციური სამართლის ნორმებს, როგორც წესი, არღვევს იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშო-

ბა საშიშროება იმ სოციალური წყობილების არსებობისათვის, რომელიც დაცული და განმტკიცებულია სამართლის ამ დარგის ნორმებით. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები დომინირებადს ხდიან აღმასრულებელ ხელისუფლებას, აძლევს მას კანონების გამოცემის უფლებას. საპარლამენტო რესპუბლიკებში აუქმებენ პრეზიდენტის ინსტიტუტს ან მის ფუნქციებს შეუათავსებენ პრემიერ-მინისტრს, აუქმებენ ან აერთიანებენ სახელმწიფო ორგანოებს, როგორც ეს მოხდა საქართველოში კონსტიტუციური ხელისუფლების შეთქმულებითა და ამბოხებით დამხობის შემდეგ 2003 წლის ნოემბერში აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებით, 1993 წლის 3-4 ოქტომბერს დახვრეტილი იქნა რუსეთის პარლამენტი[22], რომლის ინიციატორს პრეზიდენტ ბ. ელცინს ხელისუფლებამ რატომღაც ძეგლიც კი დაუდგა.

სახელმწიფო იძულებულია დაარღვიოს და ხშირადაც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს ომის საშიშროების, სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულების ცალმხრივი ანულირების აუცილებლობის, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშემშლელი პირობების წარმოშობისა და სხვა ანალოგიურ პირობებში.

სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის ნორმების დარღვევას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მაშინ, როცა უკიდურესად გაძნელებულია ან შეუძლებელიც კია სამართლით გათვალისწინებული მტკიცებულებების მოპოვება ჩადენილი დანაშაულის მოკვლევის, გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს.

სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური მავანი სახელმწიფოს მიერ სამართლის დარღვევის მიზეზად ყველა შემთხ-

22 М. Н. Маргенко. Теория государства и права. 2-ое издание, М, 2004, стр. 385.

ეკეა"ში ასახელებს სახელმწიფოს წინასწარ განზრახვას, თავისი ეგოისტური მიზნების მიღწევისათვის სურვილებსა და ზრახვებს, რაც სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს და მავანის კარიერისტული და მერკანტილისტური მიზნების მიღწევისათვის არის მოგონილი.

მეექვსე. მთლიანად „ბოლომდე" სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების არსებითი წანამძღვარი ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, ის წარმოადგენს სახელმწიფოს თავისებურ ანტიტეზას, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, კლასების და ფენების სახით ორგანიზებული არიან სპეციალურ ინსტიტუტებში და გაერთიანებებში. სამოქალაქო საზოგადოების მთავარი დანიშნულებაა ყურადღებით თვალყური ადევნოს სახელმწიფოს საქმიანობას, რომ ის არ გამოეიდეს კანონიერებისა და კონსტიტუციურობის ფარგლებიდან, გაანახორციელოს კანონით ნებადართული ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ აიძულოს სახელმწიფო და მისი ორგანოები მათ მიერ სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში დაუბრუნდნენ სამართლებრივ მდგომარეობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სამოქალაქო საზოგადოების არსის და ფუნქციონირების პრობლემებზე. საჭიროა ამ პრობლემის მეცნიერული კვლევა, ვინაიდან ისინი თანამედროვეობის მეტად აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებია.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობა მიჩნეულია დადებით მოვლენად, რომელშიც არის ჭეშმარიტების მნიშვნელოვანი მარცვალი[23].

23 М. Н. Марченко. Теория государства и права. М, 2004, стр. 442

საქართველოში კი ასეთი მდგომარეობა არ არის სახარგებლო ქართული საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან კატასტროფაში მყოფ საქართველოს სჭირდება მონოლითური საზოგადოება და ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება.

მეშვიდე. სახელმწიფოს სამართლებრივი საქმიანობის მისაღწევად საჭიროა სამართლის დაცვით დაინტერესებული ადამიანთა ჯგუფები თავიანთ მოთხოვნებში იყვნენ მტკიცე და თანმიმდევრულნი, პოლიტიკურად ნებისყოფიანი, ორგანიზებულები, დაძლიონ შიშის გრძნობა მოსალოდნელი საფრთხის გამო და სხვა. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოს თავისი ანტისამართლებრივი საქმიანობის გასამართლებლად შეუძლებელია გამოიყენოს მის განკარგულებაში მყოფ დიდ მატერიალურ და იდეური საშუალებები და შესაძლებლობები. სახელმწიფო შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები სამართლის დაცვის მიმხრეთა დეზორგანიზაციის, შანტაჟის, რეპრესიების და სხვათა სახით.

დიდია ქართული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა სამართლის ცხოვრებისგან მოწყვეტის თავიდან აცილებაში, სამართლის მოთხოვნების რეალიზაციაში. სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის ფორმირება, რომელიც მეცნიერულად ასახავს ობიექტურ და სუბიექტურ რეალობას, სამართლებრივი რეგულირების ობიექტების არსებას, განვითარების კანონზომიერებას და ტენდენციებს. სამართლებრივი რეგულირების ობიექტის მეცნიერული ანალიზი წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც განაპირობებს სამართლის აქტიურ მოქმედებას სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძლიერი ხელისუფლების, მისი ორგანოების რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა პოზიტიურად განაწყობენ ადამიანებს სამართლისადმი, კამოუმუშაებენ მათ სამართლის მოთხოვნების შესრულების გრძნობას.

პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, თითქოს სამართლებრივი სახელმწიფო არის სახელმწიფოს ტიპი[24].

აღნიშნული თვალსაზრისი ჭეშმარიტებულობას მოკლებულია. სახელმწიფოს ტიპის ცნების ძირითადი შინაარსია ეკონომიკურად გაბატონებული სოციალური კლასის და ფენის ინტერესების და ნების კონცენტრირებული გამოხატვა და დაცვა. ამასში მდგომარეობს სახელმწიფოს არსება და დანიშნულება, როგორც მისი ძირითადი და მთავარი იმანენტური ნიშანი. სახელმწიფოს ცნების მთავარი შინაარსია პიროვნების, გაერთიანებების, ორგანიზაციების და სამართლის სხვა სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების ყოველმხრივი პოლიტიკურ-იურიდიული დაცვა, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და მათი განუხრელი შესრულება. სამართლებრივი სახელმწიფო ტრადიციული კლასობრივი გენეზისის დიქტატორული სახელმწიფოს დემოკრატიულად ტრანსფორმირებული თანამედროვე და არა სახელმწიფოს ახალი ტიპი.

---

24 Политология. Издательство Норма. М. 2003. стр. 324

მეოთხე პარაგრაფი. პოლიტიკური პარტიები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში

ქართული პოლიტიკური პარტია შეიძლება დეფინირებული იქნეს როგორც მოქალაქეთა საზოგადოებრივი ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც შექმნილია იდეებისა და ინტერესების ერთობის საფუძველზე და მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლებას, თავისი პროგრამის რეალიზაციის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში, სამწუხაროდ, დარღვეული იქნა პოლიტიკური პარტიის წარმოშობის ზოგადსაკაცობრიო კანონზომიერება, რომლის მიხედვით მისი წარმოშობა ხდება საზოგადოებრივი კლასის წარმოშობის შემდეგ, რომლის ხანგრძლივი პერიოდის რეეოლუციური მოღვაწეობა წინ უსწრებდა პარტიის წარმოშობასა. თანამედროვე ქართული ნეობურჟუაზია კი წარმოიშვა დისიდენტური პოლიტიკური ორგანიზაციის – „ჰელსინკის კავშირის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ძირითადად პრივატიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად. საბჭოთა „ბურჟუაზია” მასში უმნიშვნელო ნაწილია. საქართველოში პოლიტიკური პარტია, როგორც ბურჟუაზიული პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო მას შემდეგ,როცა ქართული ბურჟუაზია ძირითადად მის მიერ პირადი შრომით შექმნილი კაპიტალისტური კერძო საკუთრების საფუძველზე ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწევდა, გახდებოდა და შეძლებდა პოლიტიკური ფაქტორის როლის შესრულებას. კლასების პოლიტიკური ბრძოლა პარტიულ ბრძოლაში უნდა გამოვლენილიყო, განვითარებულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას უნდა შეემუშაებია პარტიული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, პარტიის ორგანიზაცი-

ული წყობა და სხვა, რომლებიც კონკრეტულად უნდა ასახ-
ულიყვნენ პარტიის პროგრამასა და წესდებაში. წინა წყო-
ბილების წიაღში წარმოშობილ ქართულ ბურჟუაზიას უნდა
შეექმნა თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ბეჭდური
სიტყვის ორგანოები და სხვა მასობრივი ინფორმაციის სა-
შუალებანი. საქართველოში ასე არ მოხდა, რამაც გამოიწვია
ბურჟუაზიული პარტიების ორგანიზაციული, პოლიტიკური
და იდეოლოგიური სისუსტე, მათი არაკომპეტენტური და
არაკვალიფიციური საქმიანობა.

პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია
განსაზღვრული იდეოლოგია და მსოფლმხედველობა, სამ-
ყაროსა და ადამიანის განსაკუთრებული ხედვა და გაგება.

ეროვნულად დამოუკიდებელი და დემოკრატიული
საქართველოს წარმოშობისათვის საჭირო იყო საუკუნეების
განმავლობაში შექმნილი და განვითარებული მსოფლმხედ-
ველობრივ-იდეოლოგიური წყაროების საფუძველზე შექმნილი
თანამედროვე ქართული იდეოლოგია და მეცნიერება, რო-
მელთა მატარებლები გახდებოდნენ ქართული პოლიტიკური
პარტიები, რაც ჩვენდა საუბედუროდ, არ მოხდა. თანამედროვე
ქართულ პოლიტიკურ იდეოლოგიას და მეცნიერებას დაუ-
ფლებული პოლიტიკურ პარტიებს ეცოდინებოდათ, რომ კაპ-
იტალისტური წესწყობილების დამყარებისათვის, საქართვე-
ლოს ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, საზო-
გადოებრივი წყობილების დემოკრატიზაციისათვის და სხვა
ეროვნულ ღირებულებათა მისაღწევად საჭიროა აუცილებ-
ელი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ობიექტური
და სუბიექტური ხასიათის საფუძვლების და წანამძღვრების
მომზადება, მათი თანდათანობითი ფორმირება და მხოლოდ
მათი არსებობის პირობებში პრაქტიკული ბრძოლა. წინააღმ-
დეგ შემთხვევაში მიზანი მიუღწეველი დარჩება, დიდი რა-

ოდენობით ადამიანები დაიღუპება და ქვეყანა კატასტროფის განიცდის, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, რეალური ფაქტია. პოლიტიკურმა წინდაუხედაობამ და ჯიუტმა თვითდაჯერებულობამ დაგვღუპა ჩვენ.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური პარტიის ზოგიერთი ლიდერი მხატვრული ლიტერატურის ისტორიასა და მის თანამედროვე პრობლემებზე უფრო მეტად ზრუნავდნენ, ვიდრე მათზე გაცილებით აქტუალური და ამუამად საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ქართველმა პოლიტიკოსებმა არ გაითვალისწინეს და არც იცოდნენ, რომ ადრინდელი ქრისტიანობის ძირითადი დებულებანი და იდეები არის მარქსისტული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უძველესი იდეური წყარო. ამიტომ მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად არის ადრინდელი, ნამდვილი ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, იმ დედა ხის ტოტების მოჭრა, რომელზეც ჩვენი პოლიტიკანები იყვნენ და არიან წამოსკუპებული.

სოციალურ მეცნიერებაში მარქსიზმის იდეურ-თეორიული წყაროების განსაზღვრისას აღიარებული წყაროების გარდა აუცილებელია ადრინდელი ქრისტიანობის მსოფლმხედველობის დასახელებაც.

ქართული პოლიტიკური პარტიებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს აგრეთვე მისი წევრების ორგანიზებული ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც სტრუქტურირებულია პოლიტიკის სხვადასხვა დონეების მიხედვით ადგილობრივიდან საერთაშორისომდე.

აღნიშნული თვისებაც არ ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, ისინი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის, მტკიცე პარტიული დისციპლინის მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდიან. ძირითადად მაინც ნებაყოფლობით შექმნილი

პარტიების საქმიანობა ვლინდება არა იმდენად სოციალური და ეროვნული ინტერესების დაცვაში, არამედ უპირველეს ყოვლისა პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ქართული პოლიტიკური პარტიები პოლიტიკაში გამოხატავენ და იცავენ საზოგადოების განსაზღვრული სოციალური წარმონაქმნების ინტერესებსა და იდეალებს. ამ მხრივ გამოირჩევა ხელისუფლების პარტია, რომელიც ატარებს ოფიციალურ კურსს, მონაწილეობს სახელმწიფოს სტრატეგიის განსაზღვრაში, იცავს გაბატონებული, კლასის ინტერესებს მისთვის დამახასიათებელი ხერხებით და მეთოდებით.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური პარტიების მიზანია ხელისუფლების დაპყრობა და განხორციელება. ამ მხრივ, სამწუხაროდ, დიდი დოზით გამოიყენება არასამართლებრივი, პოლიტიკურ ეთიკას მოკლებული მეთოდები და ხერხები.

ქართული პოლიტიკური პარტიების შინაგანი ბუნება, სოციალურ ცხოვრებაში რეალიზდება მათ ფუნქციებში. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, საერთოდ პოლიტიკური პარტიების ფუნქციების მსგავსად ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებიდან გამომდინარე გააჩნიათ სპეციფიკური ფუნქციონალური თავისებურებანიც.

აღსანიშნავია სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობისათვის, მისი გამოყენებისა ან მასზე კონტროლის დამყარების ფუნქცია: საქართველოს საუკონოებრიემა ჩამორჩენილობამ, ისტორიულად ეროვნული პოლიტიკური პარტიების მცირერიცხოვნებამ, შემდეგ კი მათმა უმნიშვნელო როლმა და სხვა ანალოგიურმა ფაქტორებმა განაპირობეს თანამედროვე ქართული პოლიტიკური პარტიების ხელისუფლებისათვის

ბრძოლის ტექნოლოგიების უცოდინარობა, პოლიტიკური გამოუცდელობა, პოლიტიკური ეთიკის ხშირი დარღვევები.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სოციალური ჯგუფების ინტერესების გამოვლენის, ფორმირების და რეალიზაციის ფუნქციის შესრულების სრულყოფა, ვინაიდან პოლიტიკური პარტია არის სოციალური კლასის ან სხვა ჯგუფის ორგანული ნაწილი. ის ვალდებულია გამოაქვლინოს და დაასაბუთოს მისი სოციალური ბაზის და პოლიტიკური მოკავშირეების ინტერესები, სოციალური მიზნები და გაითვალისწინოს თავის მოღვაწეობაში. აღნიშნული ფუნქცია სრულდება არაკვალიფიციურად და ზერელედ, რაც ჩვენი ბევრი სოციალური უბედურების მიზეზია.

ქართული პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან შეასრულონ დიდი სოციალური ჯგუფების აქტივიზაციის და ინტეგრაციის ფუნქცია. ამ ფუნქციის ჯეროვანი განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს საზოგადოების სოციალური ჯგუფების აქტიურობის განვითარებას, მათ გაერთიანებას სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ისედაც სოციალურ აქტიურობას მოკლებული მასები აქტიური ზემოქმედების გარეშე დატოვეს, მათ შრომით, საბრძოლო და სხვა სახის აქტიურობის განვითარებას არ შეუწყვეს ხელი. ამიტომ შედეგებიც საეალალოა:

ქართული პოლიტიკური პარტიების ფუნქცია არის აგრეთვე მეცნიერული პოლიტიკური იდეოლოგიის, ფორმირება. ამ ფუნქციის შესრულების მაგივრად ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ლიტერატურულ-ჟურნალისტიკურ დონეზე, რეალობისაგან საესებით მოწყვეტილი, რაღაც სოფისტური იდეური კონგლომერატი შექმნეს. ასეთი პარტიული იდეოლოგიის რეალიზაციამ მძიმე შედეგები გამოიღო. საჭ-

ირო იყო წინასწარ შემუშავებულიყო პარტიების იდეოლოგიური, ორგანიზაციული, სტრატეგიული და ტაქტიკური საფუძვლები და სანკრძლივი პოლიტიკური ბრძოლის პროცესში მათ შესაბამისად შექმნილიყვნენ ისინი. ასეთ პირობებში შექმნილი პოლიტიკური პარტიები შეძლებდნენ მათი მისიის შესრულებას.

პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, მასების ისეთი ცნობიერების ჩამოყალიბება, რომელშიც ასახულია ინდივიდთა ნამდვილი დამოკიდებულება სოციალური სინამდვილისადმი. პოლიტიკურ პარტიებს უნდა გაეთვალისწინებინათ ის გარემოება, რომ ფორმირების პროცესში მყოფი ქართული საზოგადოებრივი აზრი დიდად არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია, რაც გამოწვეულია მოსახლეობის ახალ იდეურ თვისებრიობაში გადასვლისთვის მოუმზადებლობით, სოციალური, ნაციონალური, რელიგიური და სხვა კომპონენტების დიდი სიმრავლით და მკვეთრი ანტაგონისტური დაპირისპირებებით.

ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა საზოგადოებრივ აზრში უნდა შეიტანონ მეცნიერული ელემენტები და მიღწევები, აღმოფხვრან სიტუაციურობის, მოულოდნელობისა და განწყობის მომენტები. მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, როცა საზოგადოებრივ აზრს ექნება მტკიცე პრინციპული პოზიცია, საჭიროების შემთხვევაში კი დიქტატორული ხასიათი. საჭიროა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი საზოგადოებრივი აზრის შეფასებითი, ანალიტიკური, კონსტრუქციული და რეგულატორული ფუნქციების გაძლიერებისათვის.

საჭიროა საზოგადოებაში აღდგეს და ინტენსიურად ამოქმედდეს ხალხის პოლიტიკური აღზრდის ფუნქცია, რომლის არსი მდგომარეობს საზოგადოების პოლიტიკურ ცნო-

ბიერებაზე ზემოქმედებაში, პოლიტიკური კულტურის ფორმირების, თანამედროვე პოლიტიკური ცოდნის, ეთიკის, იდეალების გავრცელებისა მიზნით.

თანამედროვე საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც თვით განიცდიან პოლიტიკური ცოდნის დეფიციტს, ვერ შეძლეს მოსახლეობის პოლიტიკური განათლების დონის ამაღლება, რამაც გამოიწვია საკუთარი დრამის ავტორის როლის შესრულება უკიდურესად მძიმე შედეგებით.

საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა განახორციელონ აგრეთვე მათთვის სახელმწიფო სტრუქტურების და სხვა ორგანიზაციებისათვის კადრების მომზადების ფუნქცია. საჭიროა პარტიული და სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების შექმნა და სხვა ღონისძიებების განხორციელება იმ მიზნით, რომ მომზადებული იქნენ პოლიტიკურად განათლებული და პოლიტიკური კულტურის მქონე პარტიული კადრები, პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების კვალიფიციური, მართვის მეცნიერებისა და უნარის მქონე ხელმძღვანელები.

დიდად სამწუხაროდ, ყველა რევოლუციის ეს საერთო კანონზომიერება ქართულ რევოლუციას არ გააჩნია. არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური კადრების, ფაქტობრივად თვითდაჯერებული დილეტანტების მმართველობის მხრივ საქართველო პირველ ადგილზეა პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის, რამაც დიდად განაპირობა მისი სრული და შესაძლოა საბოლოო კატასტროფაც კი.

ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტიის ლიდერი და მისი პარტიული აქტივი მალავდნენ და მალავენ თავიანთ ჭეშმარიტ მიზნებს, ქმნიდნენ დემაგოგიურ პროგრამებს და პოლიტიკურ ლოზუნგებს, აძლევდნენ თავიანთ პარტიებს

სხვადასხვა ულერად სახელწოდებებს – „ეროვნული დამოუკიდებლობის", „დემოკრატიული", „სახალხო" და მისთანები, რომლებიც არ გამოხატავს და არ შეესაბამებიან მათი საქმიანობის შინაარსს და ხასიათს. ხელს უწყობენ მათ კარიერისტული და მატერიალური მიზნების მიღწევასა და დაკმაყოფილებაში.

ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიის სახელწოდების შეუსაბამობა მისი მოღვაწეობის ნამდვილ შინაარსთან გამოწვეულია იმითაც, რომ მის ხელმძღვანელებს ზოგჯერ არასწორად აქვთ გაგებული თავიანთი ქცევის შედეგები და ობიექტური მნიშვნელობა. პოლიტიკური პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელი და წევრი ფიქრობს, რომ თავიანთი იდეებითა და ქცევებით იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, სინამდვილეში კი ობიექტურად ასრულებენ სულ სხვა როლს. კერძოდ, საქართველოში ფუნქციონირებადი ბევრი პარტიის ბევრ წევრს და ხელმძღვანელს ეგონა, რომ მათი საჯარო გამოსვლები და მოქმედებები საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევას უწყობდა ხელს, სინამდვილეში კი დამოუკიდებლობისათვის საჭირო ობიექტური და სუბიექტური პირობებისა და ფაქტორების სავსებით მოუმზადებლობის გამო ისინი ერთი დამპყრობელი ბატონის მეორე ბატონით მაამიტურად შეცვლას უწყობდნენ ხელს.

საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი და წევრი დარწმუნებული იყო იმაში, რომ სოციალიზმის თეორიისა და სოციალისტური წყობილების უარყოფით ისინი პროგრესული, სახალხო წყობილების შექმნას ემსახურებოდნენ, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების რადიკალურ გაუმჯობესებას ცდილობდნენ. სინამდვილეში კი ველური კაპიტალიზმის დამ-

ყარებას, მოსახლეობის გაღარიბებას და სოციალურად დაუცველად გადაქცევას უწყობდნენ ხელს.

ქართული პოლიტიკური პარტიის ზოგიერთი ვაუბატონი ლიდერი და მისი წევრები საესებით დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ საქართველოში მუშათა კლასის დიქტატორული სახელმწიფოს ფუნქციონირებამ დიდად შეაფერხა ქვეყნის პროგრესული განვითარება, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის დამყარება. ეს აზრები სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს მუშათა სახელმწიფომ უკიდურესად ჩამორჩენილი ი. ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ ქვეყანა გიგანტური ტემპებით განაყითარა, ხოლო დემოკრატიული მმართველობისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელ საქართველოში ასეთი მმართველობის დანერგვის მცდელობამ ქვეყანაში სრული ანარქია და ქაოსი გაავრცელა, რომელიც მისი კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ზოგიერთმა პარტიულმა მუშაკმა საზოგადოებრივი ქონების პრივატიზაციის, ფაქტობრივად მისი მითვისების გზით ქართველ ახალმილიონერთა რიგებში წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა, პრიყილიგირებული „კომუნისტიდან“ სასწრაფოდ „აყვავებულ კაპიტალისტად“ გადაიქცა. სახეზეა აშკარა, თავხედი ცინიზმი, თანამდებობებისა და მათი მეშვეობით გამდიდრებისათვის მგლური მეთოდებით დაუნდობელი ბრძოლა.

საქართველოს მოქალაქეები თავიანთი მიმდობლობის გამო პარტიული ლიდერების საქმიანობას აფასებენ არა მათი კონკრეტული საქმეებით, არამედ მათი სახელწოდებებითა და დაპირებებით.

საქართველოში საზოგადოების არაბუნებრივი კლასო-

ბრივი დიფერენციაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, ახალი კლასების ხელოვნური ფორმირება შედარებით სწრაფად დასრულდა. არსებული პოლიტიკური პარტიები ამ პროცესს ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავენ. ქართული ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული განსხვავებანი აგრეთვე, განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიას შორის იწვევენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმოშობას, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის მასშტაბით. არსებობენ აგრეთვე მცირერიცხოვანი პროვინციალური, გაფორმებული და გაუფორმებელი პოლიტიკური პარტიები.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების მრავალრიცხოვნება განპირობებულია ქვეყნის მოსახლეობის სოციალური სიჭრელით. საზოგადოებაში გაბატონებული კლასიც ხელს უწყობს პარტიების რაოდენობრივ ზრდას, რითაც ცდილობს დაამტკიცოს პოლიტიკური წყობილების ჭეშმარიტი დემოკრატიულობა. მომავალში კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების კვალობაზე წარმოიშობა პარტიების რაოდენობის შემცირების აუცილებლობა. გაბატონებული კლასი შექმნის ერთ ან ორ ძლიერ პოლიტიკურ პარტიას, რომელთაგან ხან ერთს, ხან მეორეს გამოუშვებს პოლიტიკურ არენაზე.

საქართველოში ფუნქციონირებადი პოლიტიკური პარტიები კლასიფიცირებული უნდა იქნენ იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ახასიათებენ მათ ბუნებას და მოღვაწეობის მიმართულებას. მოქმედი პოლიტიკური პარტიებიდან პოლიტიკური აქტიურობის მხრივ გამოირჩევიან ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ავლენენ და იცავენ თანამედროვე ქართული მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებსა და იდეალებს, რაც არაბუნებრივი კაპიტალისტური წყობილების დამყარებასა

და განმტკიცებაში მდგომარეობს. ეს პარტიები პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას წარმოადგენენ. ისინი იყვნენ და არიან ყოფილი „ჰელსინკის კავშირის“ ბლოკში შემავალი პარტიები, „მოქალაქეთა კავშირი“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“,„ნაციონალური პარტია“,„ალორძინების პარტია“,„ქართული ოცნება“ და სხვა.

იდეოლოგიური მიმართულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს „კონსერვატიული პარტია“, „სოციალ-დემოკრატიული პარტია“, „მონარქისტული” და სხვა პარტიები.

რელიგიასთან დამოკიდებულების მიხედვით არსებობს პარტიები, მაგალითად, „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია“.

საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობის მიხედვით გამოიყოფა პარლამენტური და არაპარლამენტური პარტიები, რომლებიც პარტიების უმრავლესობას წარმოადგენენ. ამ მხრივ ამჟამად მთავარია ხელისუფლების პარტია „ქართული ოცნება”.

წევრობის თავისებურების მიხედვით არსებობენ მასობრივი და კადრობრივი პარტიები. მოღვაწეობის მეთოდების და სოციალურ სინამდვილისადმი დამოკიდებულების მიხედვით არსებობენ რევოლუციური და რეფორმისტული პარტიები, რომლებიც საქართველოში პარტიების უმრავლესობას წარმოადგენენ.

იზრდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, რომლის ხელმძღვანელობის დროს ი. ჭავჭავაძის შეფასებით, უკიდურესად ჩამორჩენილი „ბედნიერი ერი“ ისეთი გიგანტური ტემპებით განვითარდა, რომ ამჟამად მისი უმაღლური ხელმძღვანელები ნიდერლანდების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ცივილიზებული ქვეყნების გაერთიანებებში მიღების პრეტენზიასაც კი აცხადებენ.

თანამედროვე საქართველო გამოირჩევა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების სიმრავლით. მათ შემქმნელებს უნდა სცოდნოდათ, რომ როგორც ისტორიული გამოცდილება გვისვენებს, მაგალითად საფრანგეთის, ეს არის ქვეყნისა და საზოგადოების ერთიანობის დარღვევის, საზოგადოების წევრთა დაპირისპირებისა და ანტაგონისტური ურთიერთობების გამწვავების, საქართველოსა და ქართული სახელმწიფოს დასუსტებისა და კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზი.

ქართული პოლიტიკური პარტიების შემქმნელებს უნდა სცოდნოდათ და გაეთვალისწინებათ ამ ორგანიზაციების შექმნის ინტერნაციონალური ისტორია და თეორია. კერძოდ ის, რომ მსოფლიოს ისტორიის ახლო დროიდან დაწყებული სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული პარტიები წარმოიშობოდნენ და წარმატებით ფუნქციონირებდნენ თავისი ბუნებით და ხასიათით მყარი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, რომლებშიც აქტიურად იბრძოდნენ ჩაგვრის აღნიშნული ფორმირებისგან განთავისუფლებისათვის.

მათ უნდა სცოდნოდათ და გაეთვალისწინებინათ ისიც, რომ პოლიტიკური პარტიის წარმოშობისა და დადებითი მოღვაწეობისათვის საჭიროა აგრეთვე ძლიერი, პოლიტიკურად განათლებული, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, პოლიტიკურ ბრძოლაში გამოცდილი, სნეობრივად სუფთა და სხვა დადებითი თვისებების მქონე პოლიტიკოსების დიდი რაოდენობა. დიდად სამწუხაროდ, არც ერთი აღნიშნული და სხვა თვისება საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს არ გააჩნდათ და არ გააჩნიათ.

ამჟამად საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შემქმნელების, მათი წევრების გარკვეული ნაწილი არის მშრომელი ადამიანების მიერ შექმ-

ნილი ქონების მითვისებით გამდიდრებული ახალი ექსპლუატატორები. ამ ორგანიზაციებში თავი მოიყარა დისიდენტებად, „დემოკრატებად“, „მოქალაქეებად“, „ნაციონალებად“, „ოცენებისტებად“ და სხვაგვარად გადაღებილმა ადამიანებმა, რომლებმაც მათ მიერვე პრივატიზებული საზოგადოებრივი ქონება მითვისეს და გუშინდელი ღარიბ-ღატაკები სასწრაფოდ მილიონერები გახდნენ.

შემზარავი და მტრულია ჩვენი ზოგიერთი სახელმწიფო ღაწესებულების ხელმძღვანელის მიერ საქართველოს ოქროსა და ვერცხლის ნაწილის საზღვარგარეთ გატაცება, სახელმწიფო ბანკების ძარცვა და მათი მოქმედებების შედეგად ქართველთა დიდი და უშედეგო მსხვერპლი. საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მასის დეპარტიზაცია, გამოწვეულია ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის დემაგოგიურობით, დაპირებების სისტემატიური შეუსრულებლობით, ექსპლუატატორული ბუნებით, არაკომპეტენტურობით და არაკვალიფიციურობით.

მრავალ-პარტიული სისტემის ტრადიციების არარსებობის, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მძიმე შედეგების გამო ქართული პოლიტიკური ცხოვრება იღებს პერსონიფიცირებულ ხასიათს. საზოგადოება ძირითად ორიენტირებულია ცალკეული, სუსტი პარტიული ლიდერების პიროვნულ თვისებებზე, მოელის მათგან დადებითი და სასარგებლო ღონისძიებების განხორციელებას.

შეინიშნება განხეთქილება პოლიტიზირებულ დედაქალაქსა, მსხვილ ქალაქებსა და პერიფერიებს შორის. რეგიონალური პარტიული ორგანიზაციები მცირერიცხოვანი და ნაკლებგავლენიანია.

თეორიულად მრავალპარტიული სისტემა პოზიტიური პოლიტიკური მოვლენაა, მაგრამ მისი საზოგადოებისათვის

სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის საჭიროა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ფაქტორები და პირობები, რომლებიც ამჟამად საქართველოში არ არის მომზადებული. ამ გარემოებამ განაპირობა დეკლარირებული მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება, რაც გახდა საქართველოს სრული და შესაძლოა საბოლოო კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზი.

საქართველოში მრავალპარტიული სისტემა უნდა შეიქმნას მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების არსებობის ვითარებაში, როცა ის შეძლებს იფუნქციონიროს საქართველოსა და ქართველი ხალხის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. სხვა შემთხვევაში ის საჭირო არ არის. საზოგადოების ერთიანობის დარღვევის მიზეზია, როგორც საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს და სხვაგან იყო.

ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, თითქოს, პარლამენტებში მრავალპარტიულ სისტემებს სათავეში უდგას გაბატონებული პოლიტიკური პარტია.[25]

აღნიშნული თვალსაზრისი დაზუსტებას მოითხოვს. საზოგადოებაში, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში პარტიის ბატონობა აუცილებლად გულისხმობს იძულებისა და დათრგუნვის მეთოდების გამოყენებას. ანტაგონისტი საზოგადოებრივი ძალის წინააღმდეგ ბატონობა, იძულება და დათრგუნვა ახასიათებს ექსპლუატარული კლასების დამოკიდებულებას ექსპლუატირებულ კლასებთან და მას ანხორციელებს მხოლოდ სახელმწიფოს სპეციალური ორგანოები.

პოლიტიკური პარტიები, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები საზოგადოებაში ეკონო-

25 ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბ. 1990, გვ. 27.

მიკურად გაბატონებული კლასების ან ფენების ინტერესებისა და იდეალების გამომხატველნი და დამცველია. თანამედროვე საზოგადოებაში ისინი არჩევნების გზით ხდებიან საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალა. ამიტომ პოლიტიკური პარტიების ბუნებიდან გამომდინარე მეცნიერულად დასაბუთებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც უმრავლესობა აქვთ პარლამენტში, არბატონობენ სხვა პარტიებზე. ისინი ხელმძღვანელობენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობას საპარლამენტო დებატებში მონაწილეობით, პარლამენტის წევრთა უმრავლესობის ხმების მოპოვებით. არ არსებობს მიზეზი და აუცილებლობა იმისა, რომ უმრავლესობის მქონე პარტიამ იბატონოს მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე, რაც იძულების გამოყენებას გულისხმობს.

თანამედროვე პირობებში პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების სფეროში გამოიკვეთა საერთაშორისო კონვენციერება, რომელიც მდგომარეობს მათი მნიშვნელობისა და როლის გადიდებასა და ამაღლებაში. გამოჩენილი ფრანგი პოლიტოლოგი დიუვერჟე დასავლეთ-ევროპულ პოლიტიკურ სისტემებს უწოდებს „პარტიულ დემოკრატიებს". მისი აზრით, თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმების ფუნდამენტალური კლასიფიკაციის ბაზა არის განსხვავება ერთპარტიულ, ორპარტიულ და მრავალპარტიულ სისტემებს შორის.

პოლიტიკური პარტიების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა თანამედროვე პირობებში ობიექტური პოლიტიკური რეალობაა. ამავე დროს, ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემები დემოკრატიულობის ასპექტით არის და უნდა იყოს არა პარტიული დემოკრატიები, არამედ სახელმწიფოებრიული დემოკრატები. ვინაიდან პოლიტიკუ-

რი სისტემების ხასიათს განსაზღვრავს ფუნქციონირებადი სახელმწიფო ორგანიზაციების ბუნება და ხასიათი.

საქართველოს მრავალპარტიული სისტემა ჯერჯერობით მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე, საზოგადოებრივ პროგრესზე.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში პოლიტიკური პროცესი პირდაპირ დაკავშირებულია იდეოლოგიურ ფაქტორებთან. იდეოლოგია მნიშვნელოვანწილად აყალიბებს საზოგადოებრივ ცნობიერებას და საზოგადოების მართვის თეორიულ საფუძვლებს.

ამჟამად საქართველოში გაბატონების პროცესშია მსხვილი ბურჟუაზიის და მისი მრავალრიცხოვანი მოკავშირის – წვრილი ბურჟუაზიის იდეების სისტემა, რომელიც ასახავს მათი სინამდვილისადმი დამოკიდებულებას და წარმოადგენს საქმიანობის იდეოლოგიურ ბაზას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქართული პარტიული იდეოლოგიის ამოცანებია: მოსახლეობაში კონსტიტუციისა და სხვა კანონებისადმი პატივისცემის ფორმირება; შრომისადმი პოზიტიური დამოკიდებულების, სამსახურებრივი მოვალეობისადმი შემოქმედებითი და პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების ფორმირება; საქართველოს კულტურული ღირებულებებისადმი, ისტორიისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის აღზრდა; ჰუმანური მორალის ნორმების – პატიოსნების, ურთიერთდახმარების, ქართველებისადმი კარგ დამოკიდებულებაში მყოფი მათი ეროვნებებისადმი და სარწმუნოებისადმი პატივისცემის დანერგვა; საკუთარი ღირსებების ობიექტური თვითშეფასების, შინაგანი დისციპლინისა და სინდისის გრძნობის განვითარება; ფიზიკური უნარების განვითარება, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად; საერთაშორისო ჰუმანიტა-

რული ნორმების დაცვა ომისა და მშვიდობის დროს; გარემოს დაცვა.

საჭიროა განისაზღვროს ეფექტური ღონისძიებანი სხვა ერების წარმომადგენლების აღსაზრდელად ქართველებისადმი, მათი ეროვნული კულტურისადმი პატივისცემის გრძნობის გამოსამუშავებლად და დასანერგად. ქართველებისადმი, რომელთა ბუნებრივი სიმდიდრეების მოხმარებით ისინი ცხოვრობენ, მათი მხარდაჭერით გამრავლდნენ და ბევრი სხვა. უმადურობისა და სიძულვილის გრძნობის, გამოვლენა მათი მხრივ საკმაებით სამართლიანად იწვევს უპატივცემულო დამოკიდებულებას. როგორც საქართველოში ასევე სხვა ქვეყნებში ასეთი ადამიანების მიმართ საჭიროა განხორციელდეს აღმზრდელობითი სამართლებრივი და მორალური ხასიათის ზომები.

პოლიტოლოგიაში გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისი პოლიტიკური პარტიების სხვადასხვა სისტემებისა და მათ შორის კავშირების სხვადასხვა მოდელების კლასიფიკაციის პრობლემაზე. ზოგიეროი მეცნიერი, მაგალითად, პოლკომბი, დიუვერჟე და ეინშტეინი დასაბუთებულად თვლიან პარტიების სხვადასხვა სისტემების კლასიფიკაციას ერთპარტიულ, ორპარტიულ და მრავალპარტიულ სისტემებად. ლაპალომბარა და ვაინერი თვლის, რომ სინამდვილეს უფრო მეტად შეესაბამება სხვა, ბინარული კლასიფიკაცია, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს კონკურენტულ და არაკონკურენტულ პარტიულ სისტემებს.

ჩვენი აზრით, სინამდვილეს უფრო მეტად შეესაბამება პირველი თვალსაზრისი, მაგრამ თანამედროვე საქართველოში მრავალპარტიული სისტემის არსებობის. აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები არ არსებობს. არ არსებობს აგრეთვე პირობები მისი ქვეყნის ინტერესების სა-

სარგებლოდ საქმიანობისათვის, მათ შორის, დემოკრატიისა და მრავალპარტიული სისტემის ფუნქციონირების ისტორიული ტრადიციები, განვითარებული პოლიტიკური სისტემა, მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის განვითარების მაღალი დონე და სხვა ფაქტორები.

საქართველოში თანამედროვე მრავალპარტიული სისტემა წარმოიშვა მას შემდეგ, როცა მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა და მოღვაწეობდა ერთპარტიული სისტემა, საქართველოს მუშათა პარტიის დიქტატორული ხელმძღვანელობა, რომელმაც ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი, ნამგლისა და უროს, წერა-კითხვის უცოდინარ საქართველოში იმოღვაწა მასობრივი ეფექტით. საჭირო იყო ერთპარტიული სისტემიდან ორპარტიულ და მრავალპარტიულ სისტემაზე თანდათანობით გადასასვლელად აუცილებელი პირობების და საფუძვლების შექმნა, რომელთა არსებობის პირობებში შესაძლებელი გახდებოდა ისეთი პარტიული სისტემის წარმოშობა, რომლის ფუნქციონირებას დადებითი შედეგები მოჰყვებოდა, სასარგებლო იქნებოდა ქართველი ხალხისათვის. ასეთი პირობები კი არ არსებობდა. ქართველმა რეფორმატორებმა არ გაითვალისწინეს, არ იბრძოლეს მათი ფორმირებისათვის. მათ მრავალპარტიულობა ყოველგვარი მომზადების გარეშე ცარიელ ადგილზე გამოაცხადეს და ქვეყანა კატასტროფაში ჩააგდეს. პოლიტიკური გაუნათლებლობისა და წინდაუხედაობის ასეთი ფაქტები საქართველოსა და საზღვარგარეთის პოლიტიკურ ისტორიაში ძალზე ცოტაა, რაც ჩვენს პატრიოტებში საკვირველი სამართლიანად იწვევს დიდ გულისტკივილს, მწუხარებას და სევდას.

მეხუთე პარაგრაფი. სამართალი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში

ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ სისტემაში ფუნქციონირებს პოლიტიკური ნორმების ორი სახე. პირველი. პოლიტიკური ნორმები, რომლებიც შექმნილია ქართული პოლიტიკური პარტიების და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ და მოქმედებენ ამ ორგანიზაციების ფარგლებში. მეორე სახე. სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც ქმნიან ქართული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

ქართულ სამართლებრივ ნორმებს გააჩნიათ პოლიტიკური სახიათი. ისინი უნივერსალური და საყოველთაოა, უზრუნველყოფილნი არიან ქართული სახელმწიფოს მიერ. ქართული სამართალი, როგორც სახელმწიფოს მოღვაწეობის შედეგი ადგენს ჩვენი მოქალაქეების თავისუფლების ფარგლებს. ჩვენს სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში ასეთი საზღვრები დადგენილი არიან ოფიციალურ დოკუმენტებში და უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ძალით და საზოგადოების ავტორიტეტით. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სისტემის ყველა სტრუქტურული ელემენტი, მათ შორის სახელმწიფოც, ვალდებულნი არიან კორექტირება გაუკეთონ თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებს ამ ფარგლების გათვალისწინებით.

ქართული სამართალი შეიცავს სოციალურ-ღირებულებებია პოტენციალს, როგორც საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ნორმატიულ საფუძვლის ერთერთ შემადგენელ ნაწილს. მის ფარგლებში იქმნება პოლიტიკური ინსტიტუტები, განისაზღვრება პოლიტიკური სისტემის

სტრუქტურული ელემენტების უფლებამოსილებანი. სამართლებრივ ფორმას იღებს სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობანი სახელმწიფო ორგანოებსა, პოლიტიკურ პარტიებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობანი: ქართული სამართლის მოვალეობაა ყახდეს უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობების მაღალეფექტური და მიზანშეწონილი რეგულირების საშუალება.

ქართული სამართალი უნდა გახდეს ინდივიდების, სოციალური ჯგუფების კლასების მთლიანად საზოგადოების ნებელობით მისწრაფებათა თავისებური აკუმულატორი. ძალაში მაქსიმალურად მიღწეული უნდა იქნეს ყველა ნების კონსენსუსი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდებისა და გაერთიანებების თავისუფლების ზომას. ქართული სამართალი წარმოადგენს რელიგიური და ეროვნული გაერთიანებების სოციალურ-პოლიტიკურ ავტონომიის რეალიზაციის ფორმას.

ქართული სამართალი მოწოდებულია ასრულებდეს ქართულ პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას. ამ მხრივ ის კრებს და აბსორბირებას უკეთებს იურიდიულად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან ინფორმაციას, პოლიტიკური მოთხოვნები დაყავს სახელმწიფოებრივი, მკაცრად განსაზღვრული და უზრუნველყოფილი ქცევის წესებამდე, ქმნის საპროცედურო ფორმებს, რომელთა მიზანია მათი ადამიანის ქცევაში დანერგვა. ნორმატული სამართლებრივი აქტების ტექსტებში შერწყმული უნდა იყოს რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების პოლიტიკური და იურიდიული შეფასებანი, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონის სწორი გაგებისა და გამოყენებისათვის, ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

ქართული სამართალი უნდა გახდეს ქართული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის აუცილებელი ფაქტორი. პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგებულობა და სტაბილურობა, რომლებიც რეგულირდება სამართლით, უსრულყოფილია იმით, რომ სამართლის ნორმებს გააჩნიათ არაერთმნიშვნელური ხასიათი. ისინი შექმნილია დროში ხანგრძლივი არსებობისათვის და მათი რეალიზაცია უნდა ხდებოდეს მკაცრად რეგლამენტირებულ პროცესულ ფორმებში.

ქართული სამართლის წყაროებია არა მარტო სახელმწიფოს სორმატიული აქტები, არამედ ჩვეულებები, პრეცედენტები, ქცევის განვითარების კარდინალური პრობლემების შესახებ, სახალხო რეფერენდუმებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ შემთხვევაში სამართლის მარეგულირებელი და პრევენციული ძალა იძენს ზოგადსოციალურ და საერთო-სამოქალაქო ხასიათს, გამოდის პოლიტიკური მოვლენების ფარგლებიდან. ქართული პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაბატონებული კლასებისა და ფენების პოლიტიკური ორგანიზაციების მიმთვისებლურმა ბუნებამ, მათმა ნაკლებკვალიფიციურობამ და ნაკლებკომპეტენტურობამ გამოიწვია სამართლისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთდამოკიდებულების სფეროში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, შესაძლოა შეგნებულად მავნე შედეგებიც, რომლებმაც განაპირობა მათ მიმართ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება.

როგორც აღინიშნა ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონცეფციის თანახმად საქართველო არის ერთიანი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წელს ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით. ეს დიდად სასურველი, მაგრამ სინამდვილეში არ არსებული მდგომარეობა და მისი ამსახველი იდეა გახდა ქართული პოლიტიკური სისტემის მიღწაწეობის თეორიული და იურიდიული საფუძველი. სინამდვილეში კი არცერთი ტერმინი მისი ნამდვილი ეტიმოლოგიური შინაარსით არ არის გამოყენებული. ფაქტობრივად საქართველო არის დანაწევრებული, დამოკიდებული და გაყოფილი ქვეყანა. ასეთი ფაქტობრივად კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსვლის პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქართულმა სახელმწიფომ.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ადგილი აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში სამართლის როლის გადაჭარბებულ წარმოდგენას, რაც მეცნიერულად დასაბუთებული, საზოგადოებისათვის სასარგებლო არ არის. ასეთი ხასიათის იდეები გამოწვეულია მეცნიერთა მხრივ სამართლის ფილოსოფიის, დებულებების და სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობით. ასეთი მდგომარეობა გამოსწორებული უნდა იქნეს.

მეექვსე პარაგრაფი. საქართველოს პოლიტიკური სისტემის თავისებურებანი და პრობლემები

საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური სისტემა წარმოიშვა 1991 წლის ნეობურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების, სოციალისტური პოლიტიკური სისტემის აკრძალვის შედეგად. მისი ფორმირების პროცესი შედარებით ხანგრძლივი აღმოჩნდა, საქართველოში ჩვენს მიერ გაჩაღებული მკაცრი და ყოვლად გაუმართლებელი სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის, ქართველთა დიდი რაოდენობით დაღუპვით. ამ პერიოდში საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი კონცენტრირებული იყო პოლიტიკურ სფეროში და ვლინდებოდა დაპირისპირებაში ქართულ და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის, სოციალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ და მის მომხრე ძალებს შორის, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ და იმ პერიოდში დამოუკიდებლობის გამოცხადების მოწინააღმდეგე ადამიანთა ჯგუფებს შორის. ხელისუფლების მიერ მიღებულმა აქტებმა – სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტმა და საქართველოს კონსტიტუციამ შექმნა ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლები არსებული საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაციისათვის.

ამჟამად ქართული პოლიტიკური სისტემის ფორმირების ხანგრძლივი, უკიდურესად წინააღმდეგობრივი და მძიმე პროცესი ძირითადად დამთავრებულია. ეს პროცესები განაპირობა იმანაც, რომ ჩვენი საზოგადოება შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო რეფორმების პროცესში, მისი სტრუქტურა ამორფული იყო. საზოგადოებრივი ურთიერთობების არასტაბილურობა იწვევდა მოსახლეობის ნაწილის დაუინტერესებლობას სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაცია დაიწყო არა „ქვემოდან", ხალხის რევოლუციური მასების ინიციატივით, არამედ „ზემოდან" და ხორციელდებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ. ეს გახდა საერთოდ სოციალისტური პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაციის თავისებურება. მას ისტორიულად ანალოგი არ აქვს სხვა ქვეყნებში პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაციის კანონზომიერებასთან, როგორც წესი, არსებულ პოლიტიკურ სისტემებს სპობენ რევოლუციური კლასები, ქვემოდან პოლიტიკური რევოლუციის გზით. ეს გარემოება გამოხატავს ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნის კანონზომიერ სახეობას, მის მომზადებულობას, სტაბილურობას, პროგრესულ, საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათს და სხვა პოზიტიურ თვისებებს.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემა სრულებითაც არ არის შექმნილი თანამედროვე მოწინავე პოლიტიკური სისტემების ანალოგიურად ადამიანთა დიდი და უმშვენიერესი მისწრაფება – მისი წარმოშობისა და საქმიანობის მთავარი უმძიმესი შეცდომა, რაც ისტორიულად სხვა პოლიტიკური სისტემების შექმნას ნაკლებად ახასიათებდა.

აღნიშნულს თან ერთვის სახელმწიფო აპარატის გადიდება, მისი ბიუროკრატიზაციის გაძლიერება. ნაკლებკომპეტენტურად და არაკვალიფიციურად წყდება სოციალური პრობლემები, სრულად გამოვლინდა პრივატიზაციის ანტისოციალური ხასიათი, გაიზარდა მოსახლეობის პაუპენიზირებული ფენები გადიდდა სოციალური ფენებისა და ჯგუფების შემოსავლების პოლიარიზაცია. პოლიტიკური პარტიები სუსტია და არ გააჩნიათ სწორი, დასაბუთებული სოციალური პროგრამები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები

და მოძრაობები მცირერიცხოვანია. დაბალია მდიდართა და პოლიტიკოსთა ნაწილის პოლიტიკური კულტურა. უკიდურესად დაძაბულია შიდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი, ადგილი აქვს პარტიკულარიზმის გამოვლინებებს.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სისტემაში ადგილი აქვს პოზიტიურ ცვლილებებსაც. ხდება სახელისუფლებო ურთიერთობების სტაბილიზაცია, ოდნავ შესუსტდა დაპირისპირება პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, გაუმჯობესდა ურთიერთობანი ხელისუფლების შტოებს შორის და სხვა.

ქართული პოლიტიკური სისტემა, რომლის ფორმირება მოხდა, როგორც აზიური ხასიათის პოლიტიკური ფენომენისა, ცდილობს ინტეგრირებას ევროპულ პოლიტიკურ სისტემაში. ამას მოწმობს აქტიურობა გაეროს ფარგლებთან აქტიური საქმიანობა ევროპის პოლიტიკურ ორგანიზაციებში კავშირების დამყარება და თანამშრომლობა ევროპულ სპეციალურ ორგანიზაციებთან და სხვა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სისტემის განვითარებულ და მოწინავე პოლიტიკურ სისტემად ტრანსფორმაციის მიზნით საჭიროა არსებითი ხასიათის გარდაქმნების განხორციელება. საჭიროა მისი ფორმალური ხასიათის დაძლევა, გადაქცევა საქართველოში შექმნილი რეალური ვითარების შესაბამისი გარდაქმნების განხორციელების ეფექტურ საშუალებად. საჭიროა შეიქმნას და ფუნქციონირებდეს ისეთი მკაცრად დეტერმინირებული პოლიტიკური სისტემა, რომლის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ჩვენს საზოგადოებაში მომწიფებული არიან და რეალურად მოქმედებენ. ამჟამად სოციალური წყობილების პოლიტიკური სისტემა ასეთ ფაქტორებთან მიზეზობრივი საფუძვლით ნაკლებად არის დაკავშირებული.

საჭიროა აგრეთვე განხორციელდეს ღონისძიებანი, ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემის დინამიკური ხასიათის გასაძლიერებლად, მისი გამოყლენის ფორმების დადგენისა და სრულყოფის მიზნით. გამოყლენილი უნდა იქნეს ერთმნიშვნელოვანი კავშირები ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ელემენტებს შორის, განისაზღვროს მათ შორის ურთიერთკავშირის განტკიცების გზები და მეთოდები, შეთანხმებული თანამოქმედების მოქნილი მექანიზმები.

ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის არც თუ ღრმა პოლიტოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სისტემაში ბევრი აქტუალური პრობლემაა გადასაწყვეტი რისთვისაც თანამედროვე საქართველოში არ არსებობს შესაძლებლობანი და პირობები.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის ერთადერთი საშუალებაა საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარების მოთხოვნა და მისი პრაქტიკული განხორციელების მიღწევა.

მეხუთე თავი
პოლიტიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში

პირველი პარაგრაფი. პოლიტიკური პროცესის ლოგიკური ცნების შინაარსი და სახეები თანამედროვე საქართველოში

ქართული პოლიტიკური პროცესი წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალურ მახასიათებელს, რომელიც გამოხატავს მასში მიმდინარე პროცესების ერთობლიობას, პოლიტიკური მოვლენების თანმიმდევრობას და პოლიტიკის სუბიექტების მიზანმიმართულ ურთიერთმოქმედებებს.

საქართველოში პოლიტიკური პროცესები მოქმედებენ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, რეგიონალურ და გლობალურ მასშტაბებში. მასში ურთიერთქმედებენ განსხვავებული ფაქტორები, რის შედეგად ხდება ცვლილებები პოლიტიკურ სფეროში. ქართული პოლიტიკური პროცესის როგორც რთული ფენომენის ძირითადი კომპონენტებია: პოლიტიკის სოციალური და ინსტიტუციონალიზებული სუბიექტები, პოლიტიკური ურთიერთობების დინამიკა, პოლიტიკური ქცევა და პოლიტიკური მონაწილეობა. შინაარსობრივი თვალსაზრისით მასში შედიან: პოლიტიკური ინტერესების ინსტიტუციონალიზაცია, პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამომუშავება და მიღება, მიღებული პროგრამებისა და გადაწყვეტილებების რეალიზაცია.

ქართულ ერთიან პოლიტიკურ პროცესს ახასიათებს რიგი საერთაშორისო კანონზომიერებანი, რომლებიც ძირითადად განპირობებულია ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით, რომლებიც განსხ-

ეავებულად ელინდება საქართველოში მისი სპეციფიკური პირობების გამო, აგრეთვე პროცესის სუბიექტების მოღვაწეობის ამა თუ იმ სტადიაზე. ქართულ ერთიან პოლიტიკურ პროცესს ახასიათებს რევოლუციური და ევოლოციური საწყისების ორგანული კავშირი, ძირითადად მაინც მასების არააქტიური, სტიქიური მოქმედება, განვითარების აღმავალი და დაღმავალი ტენდენციები და სხვა.

პოლიტიკური ნების გამოყენების ობიექტის შესაბამისად პოლიტიკური პროცესები საერთოდ და საქართველოშიც იყოფა შიგაპოლიტიკურ და საგარეოპოლიტიკურ პროცესებად.

საქართველოში შიგაპოლიტიკური პროცესი ძირითადად არეობს პოლიტიკის სუბიექტების-სოციალურ კლასებისა და ფენების, ერების, პარტიების, საზოგადოებრივი მოძრაობების, პოლიტიკური ლიდერების და სხვათა შორის, რომელთა მოღვაწეობის მიზანია პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა, შენარჩუნება და თავიანთი ინტერესების შესაბამისად გამოყენება.

შიგაპოლიტიკური პროცესი მოიცავს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს – ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს, ეკოლოგიურს, დემოგრაფიულს, სამხედროს და სხვა სფეროებს. შიგაპოლიტიკური მიზნების მიღწევა ხდება არამშვიდობიანი და მშვიდობიანი მეთოდებით. საქართველოში შიგაპოლიტიკურ მიზნებს შორის ყველაზე მთავარი – პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა, შენარჩუნება და გამოყენება განხორციელდა ძირითადად არამშვიდობიან ფორმაში – ქვეყნის დამშლელ, ქართველთა დიდი მსხვერპლის მომტან სამოქალაქო ომში. ასეთი ტრაგიკული შედეგების მომტანი, აბსოლუტურად მოუმზადებელი შიგაპოლიტიკური პროცესები ქვეყნისათვის სასარგებლო

არ არის და ზოგიერთი გამოჩენილი მეცნიერის აზრით, მაგალითად, პროფესორი მარჩენკო მ.ნ. ატარებენ აშკარა რეაქციულ ხასიათს.[26]

ქართული საგარეოპოლიტიკური პროცესი ვლინდება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, მჭიდროდ არის დაკავშირებული არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებასთან და წარმოადგენს მას საერთაშორისო სარბიელზე. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კავშირი სხვა სახელმწიფოებთან დაპირისპირებული ინტერესებით და მოქმედების პროგრამებით ნაკლებ ტრადიციულია, ხოლო ზოგიერთთან კი – უკიდურესად დაძაბული. ამჟამად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი საგარეო-პოლიტიკური პროცესის გადაქცევა მოლაპარაკებათა ხელოვნებად, რაც მოითხოვს პოლიტიკოსისა და დიპლომატის პროფესიების ზედმიწევნით ცოდნას, დიდი ოსტატობით საგარეო-პოლიტიკური აქტების განხორციელებას. სამწუხაროდ, ჩვენი დიპლომატიური მუშაკები ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს, რაც ჩვენი ტრაგედიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

მსოფლიოში და კერძოდ, საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს მათში მონაწილე სუბიექტების თვალსაზრისით გააჩნიათ სახესხვაობანი.

პირველი. პოლიტიკური პროცესები, რომლებსაც ახასიათებს მოქალაქეების პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ინტენსიური იზოლირება. საქართველოში ასეთი პოლიტიკური პროცესი არსებობდა 1992 და 2003 წლების პოლიტიკური რევოლუციისა გადატრიალების დროს. მაშინ კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაციას თან ახლდა წარმომადგენლობითი და სხვა სახელმწიფო ორგა-

26 М. Н. Марченко. Теория государства и права. Из-во МГУ, 2004, стр. 208.

ნოების ფუნქციების შეწყვეტა, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მოქალაქეების იზოლაცია.

მეორე. პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი სახეობა არის პროცესი, რომელსაც ახასიათებს მოქალაქეთა სახელმწიფოსთან და სხვა ინტიტუტებთან თავისუფალი ურთიერთობა. სამწუხაროდ, ასეთი სახის პოლიტიკური პროცესი საქართველოში თითქმის 30 წელია არ არსებულა პროცესის ორივე მხარის მიზეზით.

მესამე. პოლიტიკური პროცესი, რომელიც ინიცირებულია მოსახლეობაზე პოლიტიკური ზემოქმედების იძულებითი და ტოტალიტარული მეთოდებით, რომლებსაც უპირატესად ახასიათებს მოსახლეობაზე თავმოხვეული პოლიტიკური მოვლენები და გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრალიზებული წესები. შექმნილ კატასტროფულ ვითარებაში ასეთ პროცესებს შეიძლება პოზიტიური შედეგებიც მოჰყვეს საქართველოსთვის.

მეოთხე. პოლიტიკური პროცესის სახესხვაობაა აგრეთვე პოლიტიკური მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმები, რომლებიც განპირობებულია სამხედრო ელიტების, ავტორიტარული ლიდერების და ქვეყანაში ერთადერთი პარტიის მმართველობით. პროცესების ასეთ ფორმებს შეუძლიათ ამჟამად შეასრულოს დადებითი როლი. აღნიშნული პოლიტიკური პროცესები, ბევრი პოლიტიკური და სოციალური რევოლუციის საერთო კანონზომიერებაა, მათ ბევრ თანამედროვე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი, რასაც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, მაგრამ გარკვეული ნეტაგიური მოვლენებიც თან ახლდა.

ჩვენმა ვაჟბატონმა პოლიტიკოსებმა პოლიტიკური პროცესები უნდა შეაფასონ არა იმის მიხედვით, თუ ვინ

ანხორციელებს მათ, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორი შედეგები მოყვება და მოჰყვა მათ. მათ მიერ ინიცირებულ პოლიტიკურ პროცესებს ქართველი ხალხისათვის უმძიმესი, კატასტროფული შედეგები მოჰყვა, მათი ლიკვიდაციის არავითარი შესაძლებლობა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში არ არსებობს. ამიტომ საჭიროა ძლიერი დიქტატორული რეჟიმის დამყარება და ვიშ-ვიშა, დანაშაულებრივი გზით გამდიდრებული „დემოკრატების" დიქტატორული წესით დასჯა.

დიდად სამწუხაროდ, ჩვენი დისიდენტების და „დემოკრატების" ორგანიზებული პოლიტიკური პროცესების უმრავლესობა არ იყო და არ არის დეტერმინირებული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით, არ ჰქონდა და არ აქვს საზოგადოებაში მისეზობრივი საფუძველი და ამიტომ მოჰყვა უმძიმესი კატასტროფული შედეგები. საჭირო კი იყო ასეთი სახის პოლიტიკური პროცესების ორგანიზება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების დამყარებას, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, საქართველოს განვითარებას.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ურთიერთკავშირების მდგრადობის თვალსაზრისით არსებობენ სტაბილური და არასტაბილური პოლიტიკური პროცესები. სტაბილურ პოლიტიკურ პროცესს ახასიათებს მოქალაქეთა მობილიზაციისა და ქცევის მყარი ფორმები, რომლებიც დადგენილია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებით. ასეთი სახის პოლიტიკური პროცესები ერთიან პოლიტიკურ პროცესში, სამწუხაროდ, უმნიშვნელოა.

არასტაბილური პოლიტიკური პროცესი წარმოიშობა კრიზისის პირობებში, როგორც პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამოვლენა. ასეთი პროცესები თანამედროვე საქა-

რთველოში დაიწყო ნეობურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და ძალზე ნელი ტემპით ვითარდებიან სტაბილურობის მიმართულებით.

საქართველოში უკანასკნელი ორნახევარ ათეულ წელზე მეტია მოქმედებს პოლიტიკური პროცესის განვითარების რადიკალური ფორმა, მისთვის დამახასიათებელი დამანგრეველი მოვლენებით. მას დასაწყისი მისცა 1991 წლის ნეობურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომლის მშვიდობიანი მომენტი იყო მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში გამარჯვება. რევოლუციურ პროცესში მისი შინაგანი პარამეტრების შეცვლა განხორციელდა შინაგანი წინააღმდეგობების რადიკალური გადაჭრის გზით. ამ მოვლენამ ვამოიწვია ძირეული ცვლილებები საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში: სოციალისტური პოლიტიკური ხელისუფლება შეიცვალა „ბურჟუაზიულით", გაბატონებული საზოგადოებრივი საკუთრებისა – კერძო საკუთრებით; სოციალისტური წყობილებისა – ველური კაპიტალიზმით და სხვა. განვითარებული კაპიტალიზმის პოლიტიკურ ურთიერთობათა დონის მიღწევამდე საქართველოს მოსახლეობას მრავალ უბედურებათა არსებობის საუკუნეები დასჭირდება.

დიდად სამწუხაროდ, 1991 წელს საქართველოს პოლიტიკურმა რევოლუციამ და შემდეგ სოციალურმა გარდაქმნებმა, რომელთა განხორციელებისათვის ქართულ საზოგადოებაში არც ერთი იმ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წინამძღვრებიდან, საფუძვლებიდან და შესაძლებლობებიდან არ იყო მომზადებული, ბოლო მოუღო ჩვენს საუკუნეებრივ ილუზიებს და იმედებს ფაქტობრივი ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან განთავისუფლების, სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციის, საერთო-სახალხო სახელმწიფოს შექმნის, სალ ხის

მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების და სხვა შესაძლებლობათა შესახებ.

ზოგადად, ევოლუციური პროცესი გამოწვეულია პოლიტიკური ურთიერთობების, ინსტიტუტებისა და სისტემების თანდათანობითი მონაცვლეობითი ცვლილებებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებმა, ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ, კომუნიკაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სრულყოფამ გლობალური პრობლემების წარმოშობასა და გართულებასთან ერთად გამოიწვია პოლიტიკური ურთიერთკავშირების და ურთიერთდამოკიდებულებების გაძლიერება და გაფართოებაც. ეს გლობალური პროცესები სპეციფიკურად ვლინდება საქართველოში, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ ზოგადსაკაცობრიო ნიშნებსაც.

მე-20 საუკუნის ბოლოს პოლიტიკური ევოლუციის შედეგად მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში მნიშვნელოვანწილად შეიცვალა ტრადიციული პოლიტიკური აზროვნება. ისტორიული პარადიგმების ცვალებადობა გამოიხატა მთლიანად თანამედროვე მსოფლიოზე, საერთაშორისო უშიშროების პრობლემებზე, მსოფლიო განვითარებაში პრიორიტეტების შერჩევის საკითხებზე და სხვა ახალი თვალსაზრისის ფორმირებაში. ევოლუციურმა კონცეფციამ აღმოაჩინა ახალი შესაძლებლობანი არაძალადობრივი მოქმედებების პოლიტიკურ პრაქტიკასთან მიმართებაში.

ზოგადად ევოლუცია არის განვითარების პროცესის ერთ-ერთი მხარე, რომელიც შეესაბამება მოვლენის განვითარებაში რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვებას ნელი, თანდათანობითი ხასიათის ცვლილება, განსაზღვრულ პირობებში იწვევს ახალი თვისებრიობის დადგომას ნახტომის გზით, რევოლუციას. ახალი თვისებრივი განვითარე-

ბის პირობებში, მეტი სრულყოფილებისკენ ხდება ისეთი განვითარებაც, როცა სახეზეა სვლა უფრო სრულყოფილიდან ნაკლებ სრულყოფილისაკენ ანუ რეგრესი. პროგრესს ადგილი აქვს, როცა ახალ სისტემას უნარი შესწევს გადაწყვიტოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ამოცანები.

პოლიტიკური რევოლუცია და ევოლუცია არის ქართული პოლიტიკური პროცესის ორი ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული ფორმები. ისინი თავიანთი ხასიათით უნიკალური ფენომენია, წარმოადგენენ ეროვნული ისტორიის ელემენტებს, განვითარების უმნიშვნელოვანეს ფორმებს.

ჩვენდა საუბედუროდ, ქართველმა პოლიტიკოსებმა მე-20 საუკუნეში ორჯერ „მოასწრეს“ საზოგადოების სოციალური ევოლუციის ობიექტურ კანონზომიერებათა უარყოფა, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა საქართველოს მოსახლეობისათვის.

1921 წელს მათ მოაწყვეს ძირითადად უცხოტომელთა ხელოვნური „რევოლუციური გამოსვლები“, რომლებმაც შეწყვიტა საქართველოს სოციალური განვითარების ნორმალური ევოლუციური პროცესი, განხორციელდა კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიაზე მყოფი ქვეყნისათვის შექმნილი პროლეტალური სოციალიზმის თეორიის იძულებითი რეალიზაცია კაპიტალიზმის დაწყებით სტადიაზე მყოფ გლეხურ-წვრილბურჟუაზიულ საქართველო'ში. ამიტომ ეს მცდელობა სავსებით ბუნებრივად მარცხით დამთავრდა. მოხდა მარქსისტული პროლეტარული სოციალიზმის, ადრინდელი ქრისტიანობის საუკეთესო და დიდებული იდეების დისკრედიტაცია, მათი წაბილწვა წვრილი ბურჟუა-ცეხავიკების იდეოლოგების მიერ.

1991 წელს კაპიტალიზმისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელ საქართველო'ში საზღვარგარეთიდან ორგა-

ნიშანდობლივი, ნეობურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუცია მოყალყეები, რომელსაც არავითარი წინასწარი ევოლუციური განვითარების პროცესი არ გაუვლია, პოლიტიკური და სოციალური ბურჟუაზიული რევოლუციისათვის საჭირო და აუცილებელი მრავალსახოვანი ფაქტორები და პირობები არ ჰქონდა მომზადებული. ამიტომ საქართველოში არ დამყარდა ნორმალური კაპიტალისტური წყობილება. მას ახასიათებს საზოგადოების ისტორიაში არსებული ყველა პროგრესული სოციალური წყობილების ნეგატიური პროცესები, პოზიტიური კი ცოტაა. ყველაზე დიდად უარყოფითია ადამიანთა დიდი მსხვერპლი მიზნების მიღწევის გარეშე, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ახალი ფორმა და საქართველოს დაშლა და დაქუცმაცება.

პოლიტიკური პროცესები, რომლებიც წარმოშობილია პოლიტიკის სუბიექტებს შორის კონფლიქტების და ანტაგონისტური წინააღმდეგობების შედეგად მიზნად ისახავენ მათი ინტერესების რეალიზაციას, რომლებიც მდგომარეობს პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობაში და გადანაწილებაში, საზოგადოებაში მათი სოციალური მდგომარეობის შეცვლაში, გაბატონებასა და გამდიდრებაში.

სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში წინააღმდეგობანი, რომლებიც წარმოშობენ პოლიტიკურ კონფლიქტებს, ხშირ შემთხვევაში არ არის გაცნობიერებული პოლიტიკის სუბიექტების მიერ, ხოლო კონლიქტები ყოველთვის გაცნობიერებულია და ახასიათებს მხარეებისთვის ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებები.

საქართველოში გამოიყენება პოლიტიკური კონფლიქტების სუბიექტების ქცევის ტრადიციული სახეები – მოწინააღმდეგის დათრგუნვა, კომპრომისი, კონსენსუსი, უკანდახევა. მოწინააღმდეგის დათრგუნვა კი დომინირდებადი

სახეა. თანამედროვე ქართული კონფლიქტოლოგიის ძირითადი პრობლემა არის პოლიტიკური კონფლიქტის პროგნოზირება, მისი თავიდან აცილების მეთოდების შემუშავება, თუ წარმოიშვება, მაშინ მისი რაციონალური გადაწყვეტა, ნეგატური შედეგების მაქსიმალური შემცირება, პოსტკონფლიქტური სინდრომების მოხსნა. სამწუხაროდ, ქართველმა პოლიტიკოსები არ ითვალისწინებენ მეცნიერული კონფლიქტოლოგიის მიღწევებს, რითაც დიდი ზიანი მიაყენებს თავის ხალხს. მათი შაბლონური პასუხი იყო და არის: „მე უკეთ ვიცი". ეს მაშინ, როცა ძლიერი პოლიტიკური პიროვნებების სამშობლოში უკვე დიდი ხანია არ ყოფილა ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე, ელემენტარულად რაციონალურ პოლიტიკურ საქმიანობას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს სრული და შესაძლოა საბოლოო კატასტროფაც კი პოლიტაკანების ნახელავია.

საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობასთან.

ქართული პოლიტიკური პარტიები, როგორც ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტები, ასრულებენ სპეციფიკურ ფუნქციებს. მათ შორის მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი, პოლიტიკური სოციალიზაციის, პოლიტიკური რეკრუტირების და იდეოლოგიური ფუნქციები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პოლიტიკური პარტიები ასრულებენ სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას.[27]

აღნიშნული თვალსაზრისი დაზუსტებას მოითხოვს. პოლიტიკური პარტიების ისტორიული და თანამედროვე მოღვაწეობა მოწმობს, რომ მათი პოლიტიკური მოღვაწეო-

27Политология, изд-во Норма, М, 2003, стр. 143.

ბის შედეგად ადგილი ჰქონდა და აქვს არა საზოგადოების ინტეგრაციას, არამედ მის დიფერენციაციას, დაყოფასა და დანაწევრებას მრავალგვარი, ერთმანეთისაგან განსხვავებულ და დაპირისპირებული ნაწილებად. ეს კი იწვევს ქვეყნისა და საზოგადოების დასუსტებას, უარყოფითად მოქმედებს მათ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნა, რომ საფრანგეთში 1789-1792 წლებში დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ბევრი პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობამ გამოიწვია საზოგადოების ერთიანობის დარღვევა, ქაოსი და ანარქია, საფრანგეთის დასუსტება. ეს ნეგატიური მოვლენები დაძლეული იქნა 1799 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, როცა ჭრანგული საზოგადოება გაძლიერდა, სამოქალაქო ომი და საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენცია შეწყდა, საფრანგეთმა გაიმარჯვა.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელისუფლებამ უნდა გათვალისწინოს ეს ისტორიული მოვლენა, რომლის ანალოგებს სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა და აქვს ადგილი.

სოციალური ინტეგრაციის ფუნქციის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც ერთადეროია დიქტატურის პოლიტიკურ სისტემაში და სარგებლობს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით. საჭიროა ასეთი მდგომარეობის შექმნა საქართველოშიც, როგორც უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ყველა სხვა პარტიას ახასიათებს თავიანთი წევრების გაერთიანების ნებაყოფილობა, სოციალური ინტერესების ჯგუფობრივი სასიათი, სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობისათვის ბრძოლა და მასთან შეჯამაელობითი ურთიერთდამოკიდებულება. პოლიტიკური პარტიების პრაქტიკა კონკრეტიზირებულია მათ იდეოლოგიურ პროგრამებში და პლათფორმებში, რომ-

ლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი მოღვაწეობის ძირითადი მიზნები.

თეორიულად მრავალპარტიულობა არის საზოგადოების პოლიტიკური სისტემის და მისი ატრიბუტების განვითარების ერთ-ერთი კრიტერიუმი. ქართულ საზოგადოებაში არ არსებობს პირობები და საფუძვლები რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ფუნქციონირებისათვის. ამჟამად საქართველოში ერთდროულად ფუნქციონირებს ათეული პოლიტიკური პარტია, სახელმწიფო მმართველობაში კი მონაწილეობს რამდენიმე.

ამჟამად ქართული პოლიტიკური ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საერთო-ნაციონალური იდეის ფორმირება, მეცნიერული და პროგრესული სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნა. მისი ძირითადი და მთავარი დებულება და პრობლემა უნდა გახდეს მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის ინტერესების დამცველი სოციალური წყობილების შექმნის, სოციალური ჩაგვრის მოსპობის და პიროვნების განვითარების იდეა.

ეს აზრი გამოიწვევს პოლიტიკანის საწინააღმდეგო რეაქციას და ბრალდებებს იდეოლოგიური პლურალიზმის კონსტიტუციური დებულების უარყოფის შესახებ, რომელიმე იდეოლოგიის ერთ სახელმწიფო სავალდებულო იდეოლოგიად გამოცხადების დაუშვებლობის შესახებ.

ასეთ პოლიტიკოსებს უნდა შევაგნებინოთ, რომ ქართველები, რომლებიც ათეული საუკუნეების განმავლობაში ერთი იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ფანატიკურად მატარებლები ვიყავით, მოკლე დროში არ შეიძლება გავხდეთ თანამედროვე იდეოლოგიური პლურალიზმის, იდეოლოგიური შერჩევითი მოძღვრებების მატარებლები და მათ საფუძველზე საზოგადოებისათვის სასარგებლო ქმედებების განმახორციელებელნი.

ამჟამად საქართველოში არ არის მომზადებული იდეოლოგიური პლურალიზმისთვის აუცილებელი მიზეზობრივი საფუძველი, არც ერთი წანამძღვარი და პირობა. სწორედ ამიტომაც იმყოფება თანამედროვე საქართველო სრულ და შესაძლოა საბოლოო კატასტროფაში.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლება ვალდებულია შეიმუშაოს და წარუდგინოს საზოგადოებას საქართველოს განვითარების მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული იდეოლოგიური პროგრამა განვითარების სწორი გზების, მეთოდების და საშუალებების მითითებით. ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტაში დახმარება უნდა სთხოვოს კვალიფიციური ინგლისელ პოლიტოლოგებს.

იდეოლოგიის ლოგიკური კატეგორიის შინაარსი აუცილებლად გულისხმობს პატრიოტიზმს, როგორც საუკუნებრივ ტრადიციას, იმ ადამიანთა ინტერესების ერთობის გაცნობიერებას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ განცალკევებულ სამშობლოში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის პატივისცემას, მისი წარმატებებით სიამაყეს და გულისტკივილს წარუმატებლობისათვის, წინაპრებისა და თანამედროვე ხელმძღვანელების შეცდომებისათვის, ახლის, პროგრესულის შექმნისათვის აქტიურ მოღვაწეობას, მზადყოფნას უყვარდეს და დაიცვას სამშობლოს ინტერესები.

ჩვენდა საუბედუროდ, სამხედრო საქმის უცოდინარმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არაკვალიფიციური ქმედებებით მნიშვნელოვნად დააასუსტა დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდის ქართველი მეომრების ძლიერი პატრიოტული გრძნობები, გარკვეულწილად განაპირობა საქართველოს ამჟამინდელი უმძიმესი მდგომარეობა. კონკრეტულად, ქართველი ხალხის, მისი არმიის ეს ტრაგიკული მდგომარეობა განაპირობა შემდეგმა ძირითადმა მიზეზებმა.

პირველი. ფორმირების პროცესში მყოფ კვალიფიციურ სარდლობას და თანამედროვე სამხედრო ტექნიკას მოკლებული, გამოუცდელი ქართველი მეომრები და სამხედრო კოლექტივები სხვა არმიების სარდლობის ცრუ დაპირების იმედით აბრძოლეს მოწინააღმდეგის ძლიერი არმიის წინააღმდეგ, რასაც უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც სამარცხვინო დამარცხება და მრავალრიცხოვანი ადამიანური მსხვერპლი, მიზანი კი მიუღწეველი დარჩა, საქართველო დამარცხდა. ის ახალ ბატონებზე კიდევ უფრო დამოკიდებელი გახდა. ამან გარკვეულწილად დააისუსტა მეომართა პატრიოტული გრძნობა.

მეორე. თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის ბრძოლაში დამარცხებული ქართველი მეომრები და მათი კოლექტივები აბრძოლეს საზღვარგარეთ სხვა ქვეყნის მსოფლიო ბატონობის მისაღწევად, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი და ნეგატიური გავლენა მოახდინა მეომართა პატრიოტულ გრძნობაზე, დაასუსტა ის.

მესამე. ქართული არმიის მეომრები გამოყენებულნი იქნა სამოქალაქო ომში ლეგიტიმური პრეზიდენტისა და მთავრობის დამხობის მიზნით, რამაც ნეგატიურად იმოქმედა ქართველი მეომრების მორალურ-პოლიტიკურ სულისკვეთებაზე. საზოგადოებაში ერთ-ერთი მებრძოლი მხარის სასარგებლოდ ბრძოლა არმიის კომპეტენციაში არ შედის, ცუდად მოქმედებს მის სულიერ მდგომარეობაზე. კარიერისტი პოლიტიკანი ამას ხელისუფლების დაპყრობისა და შენარჩუნებისთვის აკეთებდა.

მეოთხე. ქართულ არმიაში ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს ზოგიერთი მეთაურის მხრივ, უსნელო ქმედებებს, უსამართლობის, ნეპოტიზმის, პროტექციონიზმის და სხვა სახით, რამაც შეასუსტა ქართველი მეომრების პატრიოტული სულისკვეთება. ასეთ ვითარებაში მოწოდებები

მეომრის პატრიოტული მოვალეობების შესრულების შესახებ უშედეგო და უაზრო. აღშფოთებულმეომრებს შეუძლიათ სასტიკად დასაჯონ ასეთი მეთაურები და სხვები.

არმიის სულიერი პოტენციალი სტრუქტურულ ასპექტში არის უმაღლესი სამხედრო ღირებულებების და შესაფერისი გრძნობების, მორალური ნორმებისა და თვისებების ერთობლიობა, რომელშიც გამოიხატება მეომრისა და სამხედრო კოლექტივის მზადყოფნა და უნარი შეასრულოს სამშობლოს დაცვის ფუნქცია. ქართველი მეომრები მტკიცედ უნდა იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ იცავენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებულ წყობილებას. სხვა შემთხვევაში მათ თავიანთი პროფესიული შესაძლებლობებით დამოუკიდებლად შეუძლიათ იბრძოლონ ამ პრობლემების გადაჭრისათვის მოსახლეობის ინტერესების დამცველი გენერალიტეტის სარდლობით. ამის ობიექტური აუცილებლობა და შესაძლებლობა ამჟამად საქართველოში არსებობს და შესაძლოა რეალიზებული იქნას ახლო მომავალში.

ქართული პოლიტიკური ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შეიარაღებული ძალების აღზრდა პატრიოტული სულისკვეთებით, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გამოყენებით და მეურვე ქვეყნის სარდლობის დახმარებით.

ქართულ საზოგადოებაში სასარგებლო იქნება ჯონისძიებების განხორციელება მოსახლეობის პედაგოგიზაციის მიზნით. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმიანობა შეწყდა მშობელთა დაუინტერესებლობის გამო, ახალგაზრდობის აღზრდისთვის საჭირო ცოდნა ჩვენ გვაქვსო. სინამდვილეში კი ჩვენ საგრძნობლად გვაკლია აუცილებელი პედაგოგიური განათლება და საჭიროა მისი მიღება. მშობელმა თავისი ბავშვის აღზრდის

მეცნიერება აუცილებლად უნდა იცოდეს.

ქართული პოლიტიკური პროცესი, თავის განვითარებაში გაიარეს რიგ ეტაპებს – ჩასახვა, წარმოშობა, კონსტიტუირება, რომელიც ეხება პოლიტიკურ სისტემებს: სიმწიფე, სრულყოფილი ფუნქციონირება, დესტაბილიზაცია და კრიზისი. პოლიტიკური პროცესის განვითარება ნათელყოფს პოლიტიკის, როგორც სოციალური ძალების ძლიერი საშუალების, საზოგადოებრივი მოძრაობების სისტემა-წარმოქმნილი რგოლის, პოლიტიკური სისტემის ყველაზე არსებითი ელემენტის – პოლიტიკური ხელისუფლების სულ უფრო მეტად გაძლიერებულ როლს.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო ვალდებულია გააერცელოს მოსახლეობაში მეცნიერული იდეები იმის შესახებ, თუ რა სახის გარდაქმნებია ამჟამად საჭირო და სასარგებლო საქართველოსათვის, რომელთა რეალიზაცია გამოიწვევს საქართველოს ხსნას კატასტროფული მდგომარეობიდან და მომავალში მის კეთილდღეობას. ეს არის იდეები იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხი თავის სამშობლოში უნდა გახდეს ჰეგემონი, მან თავისი თავდადებული და პატიოსანი შრომით უნდა შექმნას საჭირო მატერიალური და სულიერი ღირებულებანი საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებით და იცხოვროს მათი გამოყენებით, სხვა ბევრი გონიერული იდეა არის დასანერგი ჩვენს საზოგადოებაში.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელისუფლებამ თავისი ქვეყნისათვის სასარგებლო იდეებით გამსჭვალული, შეცნებული ხალხის მობილიზაცია უნდა გააკეთოს ეროვნული მიზნებისა და მისწრაფებების რეალიზაციისათვის. ხალხმა ინტენსიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკური ინსტიტუტების მოქმედებასთან, რომლებსაც შეუძლიათ მხარი

დაუჭირონ მმართველ რეჟიმს ან იყვნენ მასთან ოპოზიციაში. ქართულ პოლიტიკურ პროცესში უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი სოციალური ფენები და მოძრაობები, მათ შორის პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, სტუდენტები და ახალგაზრდული ორგანიზაციები, ეროვნული ორგანიზაციები, კონფესიები, შემოქმედებითი კავშირები და სხვა.

ქართული სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილის, საზოგადოებრივი ფენებისა და ორგანიზაციების აღმშენებლობითი მოღვაწეობა საქართველოს სასარგებლოდ. მხოლოდ ასეთი საქმიანობა არის სასარგებლო, საჭირო და მხარდასაჭერი. ბოლო უნდა მოუღოთ მავნე და დამანგრეველ ქმედებებს, პარაზიტობას და მუქთახორობას.

ქართული პოლიტიკური გარდაქმნების დრამატული შედეგები მეტად აქტუალურს ხდის პოლიტიკური პროგნოზის პრობლემის მეცნიერულ კვლევას და გადაწყვეტას, პოლიტიკური პროცესის მომავლის, საბჭოთა წარსულის დადებითი ელემენტების კონვერგენციის, რეფორმებისა და საზღვარგარეთული გამოცდილების პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტას. ეს აუცილებლობა განსაზღვრავს თეორიული გამოკვლევების შედეგების შერწყმას გამოყენებითი კვლევის მიღწევებთან იმ მიზნით, რომ გამოვლენილი იქნეს საქართველოს პოტენციალი ისტორიული წარსულის, თანამედროვე სინამდვილის და XXI საუკუნის პროგნოზირებადი მსოფლიო რეალობის კონტექსტში.

საქართველოს პოლიტიკურ პროცესს გააჩნია რიგი თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრულია ისტორიული ტრადიციებით და განვითარების თანამედროვე პერიოდის თავისებურებებით. ამ თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია საბედისწერო შეცდომები და ნაკლოვანე-

ბები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს თანამედროვე მძიმე მდგომარეობა.

საქართველოში მიმდინარე პროცესების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მოუმწიფებლობამ განაპირობა მათი მნიშვნელოვანი ნაწილის სტიქიური, გაუცნობიერებელი ხასიათი. საქართველოს ბუნებრივი კაპიტალიზმისთვის ეკონომიკურად საესებით მოუმზადებლობას თან დაერთო პოლიტიკური პროცესის სუბიექტების არაკვალიფიციურობა და არაკომპეტენტურობა. სოციალური გარდაქმნების მეცნიერული თეორიის არარსებობამ გამოიწვია უკიდურესად ნეგატიური სოციალური შედეგები.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პროცესების მართვის უმთავრესი პრობლემა არის ამ პროცესების მეცნიერული პრინციპების საფუძველზე მართვა. ეს შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების მეცნიერული მართვის მეცნიერების შექმნით, საზღვარგარეთ საზოგადოების მართვის სპეციალისტების მომზადებით.

პოსტსოციალისტურ საქართველოში ადგილი ჰქონდა და აქვს შემდეგ მოვლენებს: ადრინდელი სოციალური ინსტიტუტებისა და მართვის სტრუქტურების დაშლა; სოციალური დეზორიენტაცია, ზნეობრივი ღირებულებების და სულიერი იდეალების დასუსტება; მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენების მარგინალიზაცია; ქვეანაში ინსტინქტებისა და ექსტრემიზმის გაღვივება და გავრცელება; სოციალური ურთიერთობების მნიშვნელოვანი კრიმინალიზაცია; ისტორიული წარსულის ფალსიფიკაცია მუდმივი მოხობისაგან გადამრჩენ, საბჭოთა ხალხების ყოველმხრივ განვითარებულ ისტორიულ პიროვნებებზე მონაჭორებისა და სიცრუის მასობრივი გავრცელება, შავი უმადურობა; სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტება და მისი ორგანოების დისკრედიტაცია; ეროვნული ღირსებების შელახვა, მიღებული რაციონალური გადაწყვეტილებების სისტემატური შეუსრულებლობა. ეს

უკიდურესად ნეგატიური მოვლენები გამოწვეულია მოსახლეობის საერთო, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დაბალი დონით, საზოგადოების მმართველი აპარატის არაკომპეტენტურობით, უპასუხისმგებლობით, უსამართლობით, შავი უმადურობით და სხვა მიზეზებით.

ჩვენი საზოგადოების გადაუწყვეტელი სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემების ერთობლიობა არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის ძირითადი ხელშემშლელი პირობა, რომელშიც პოლიტიკური პროცესები არ შეიძლება იყოს სტაბილური სოციალური განვითარების ეფექტური ძალა.

ქართული პოლიტიკური პროცესების ანალიზი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შემდეგი ორგანიზაციული პირობების დაცვაზე. მეცნიერულად დასაბუთებული, ექსპერიმენტალურად დადასტურებული, ქვეყნის განვითარების ხელშეწყობი რეფორმების პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფაზე, რომლის გარეშე შეუძლებელია სიახლეების სოციალური შედეგების პროგროზირება და მიღწეული შედეგების ადეკვატური შეფასება.

რეფორმების ცალკეული მიმართულებების პრიორიტეტულობის, დადგენაზე საკანონმდებლო, ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებების რეალიზაციის თანმიმდევრობაზე მათი განხორციელების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით.

სოციოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციაზე რეფორმების შედეგების, აგრეთვე პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების ეფექტურობის შეფასების მიზნით. რეფორმა უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა დადებითი შედეგები მოყვება.

საგანმანათლებლო მუშაობის მიზანმიმართულობაზე დაცვა პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების ეფექტურობის შესწავლაზე.

მეორე პარაგრაფი. პოლიტიკური მონაწილეობა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში

პოლიტიკური მონაწილეობა არის ინდივიდების და ორგანიზაციულ-ხელისუფლებრივი სტრუქტურების მრავალფეროვანი ურთიერთდამოკიდებულებების მეტად დინამიკური, მასობრივი ფორმა რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკურ ხელისუფლებისა მოღვაწეობასთან და მართვასთან დაკავშირებით. წარმოადგენს რა პოლიტიკური გასხვისების ანტიპოტს, პოლიტიკური მონაწილეობა არის ინდივიდების საქმიანობა პოლიტიკური ხელისუფლების ფორმირებისა და რეალიზაციისათვის.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ისევე, როგორც ყველგან პოლიტიკური მონაწილეობა გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით.

პირველი. ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით, რომლებიც არის მათი პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი ფაქტორი. მათი სოციალური საქმიანობის ძირითადი მიზანია ისეთი წყობილების შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს მათ კერძო-ეგოისტურ ინტერესებს.

მეორე. საზოგადოებრივი მოვალეობა, ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა. სამწუხაროდ, პოლიტიკური მონაწილეობის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იშვიათად მოქმედებს, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენი საზოგადოების დრამატული მდგომარეობა.

მესამე. ინდივიდების მისწრაფება, აიმაღლოს თავისი საზოგადოებრივი სტატუსი. ამ მხრივ ქართული პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთმა მონაწილემ დემაგოგიით, კარიერიზმით, კორუფციით და სხვა დიდად გაითქვეს სახელი.

მეოთხე. კოლექტიურობის გრძნობა, პოლიტიკური ურთიერთობების აუცილებლობა, რომლებიც ძლიერ განვითარდა სოციალიზმის დროს. ამჟამად, სამწუხაროდ, საქართველოში გავრცელებულია ასოციალურობა, ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი, რომლებიც დიდად უშლიან ხელს ქვეყნის პროგრესულ განვითარებას.

ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური მონაწილეობა ხორციელდება განსხვავებულ ფორმებში, ინტენსიურობის არაერთგვაროვანი ხარისხით, ხოლო მასშტაბის მიხედვით სხვადასხვა სოციალურ და ტერიტორიულ წარმონაქმნებში.

ჩვენს საზოგადოებაში საჭიროა განხორციელდეს სახელმწიფოსა და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების საქმეებში ინდივიდების შეგნებული ნებაყოფლობითი მონაწილეობა, რომელიც წარმოადგენს გაცნობიერებულ პოლიტიკურ მოქმედებას. ის უნდა ემყარებოდეს ზოგადი და პოლიტიკური განათლებისა და კულტურის აუცილებლად საჭირო მაღალ დონეს, მონაწილეობის განსაზღვრულ სოციალურ-ზნეობრივ ორიენტირებს, ლოიალურ დამოკიდებულებას კანონებისა და სამართლისადმი და სხვა.

ნებაყოფლობითი პოლიტიკური მონაწილეობის აქტიური ფორმა უნდა გახდეს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების, დეპუტატების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციონირება და პოლიტიკური კამპანიების – არჩევნების, რეფერენდუმების ორგანიზატორების საქმიანობა.

საჭიროა აგრეთვე ნებაყოფლობითი პოლიტიკური მონაწილეობის პასიური ფორმის განვითარება, რომელიც გულისხმობს მხოლოდ არჩევნებში, რეფერენდუმებში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში მონაწილეობას. როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც გამოიყენება იძულებითი

პოლიტიკური მონაწილეობა, რომელიც დამახასიათებელია ძალისმიერი მილიტარიზებული სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, იმ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წევრებისათვის, რომლებსაც ახასიათებს მკაცრი ცენტრალიზაცია და დისციპლინა. ცალკეულ შემთხვევებში იძულებითი პოლიტიკური მონაწილეობა გამოიყენება ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეების განხორციელებაში მონაწილეობით, რაც დადებითი მოვლენაა. მაგალითად, ქვეყნის განვითარებისა და თავდაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში იძულებითი მონაწილეობა და სხვა.

საქართველოში ტერიტორიული გაერცელების სფეროში პოლიტიკურ მონაწილეობას აქვს საერთო-ეროვნული, ადგილობრივი და ლოკალური ხასიათი. შეიძლება გამოიყოს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების – რეგიონალური, ადგილობრივი მუნიციპალური წარმონაქმნების და ლოკალური დონეები, რომელიც შემოსაზღვრულია ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფარგლებით.

საქართველოში ინტენსიურობისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს: მუდმივი პოლიტიკური მონაწილეობა – პარტიის წევრობა, მუშაობა პოლიტიკურ ორგანიზაციებში; ეპიზოდური ან რეგულარული – პოლიტიკური მონაწილეობა, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობა; ერთჯერადი პოლიტიკური მონაწილეობა – რეფერენდუმში მონაწილეობა კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით.

მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში არსებობს ლეგალური კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისი პოლიტიკური მონაწილეობა და არალეგალური, კანონების საწინააღმდეგო პოლიტიკური მონაწილეობა. ამ მხრივ საქართველო აშკარად გამოირჩევა, რაც მისი უმძიმესი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია.

მესამე პარაგრაფი. სოციალიზმამდელი სოციალური ურთიერთობების რესტავრაციული პროცესების აუცილებლობა თანამედროვე საქართველოში

მე-20 საუკუნის ოციან წლებში საქართველოში არ იყო მიმწიფებული მისეზობრივი საფუძველი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ფეოდალიზმის მრავალრიცხოვანი გადმონაშთების, განვითარების საწყის სტადიაზე მყოფი კაპიტალიზმის სოციალიზმად რევოლუციური გარდაქმნისათვის. ქართველ ხალხს ფეოდალიზმის რევოლუციურად ლიკვიდაციის მიზნით ბურჟუაზიული რევოლუციები არ მოუხდენია, მასში ძლიერი იყო ფეოდალური მსოფლმხედველობა და იდეოლოგია. კაპიტალიზმის განვითარების საკანონმდებლო წანამძღვარი გახდა რუსეთის ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივ-პოლიტიკური აქტი ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, რომლის შემდეგ დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობების დაბალი ტემპით განვითარება საქართველოშიც.

სამოცდაათი წლის განმავლობაში პროლეტარული სოციალიზმის აშენების იძულებითი და უშედეგო მცდელობის შემდეგ გამოვლინდა ობიექტური გარდუვალობა ადრე, 1921 წლამდე არსებული ფეოდალური და ბურჟუაზიული ურთიერთობების შერწყმის შედეგად შექმნილი სოციალური წყობილების რესტავრაციისა, რომლის ფუნქციონირებისათვის ამჟამად საქართველოში იქმნება შესაფერისი პირობები და ფაქტორები. ის შეესაბამება ქართველი ხალხის განვითარების დონესა და ხასიათს. ასეთ პირობებში შესაძლებელი იქნება საქართველოს ბუნებრივი, კანონზომიერი სოციალური მდგომარეობის მიღწევა.

თანამედროვე საქართველოში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი პოლიტიკური პროცესებიდან ერთ-ერთი ძირითადი და მთავარია კაპიტალისტური რესტავრაციული პროცესი, რომელიც წარმოიშვა ნეობურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი სახელმწიფოს „ზემოდან" და არა ხალხის მასების „ქვემოდან" ინიციატივით, რომელმაც თავისი მოღვაწეობა დაიწყო და განაგითარა სოციალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით.

სამოცდაათი წლის წინ რუსეთიდან სოციალისტური რევოლუციის ექსპორტის შემდეგ დაწყებული, უდიდესი წინააღმდეგობების გადალახვისა და დიდი შრომის შედეგად შემქმნელი სოციალისტური წყობილების კაპიტალისტურად ტრანსფორმაციის ძირითადი ფაქტორებია: სოციალიზმის არსებობისათვის აუცილებელი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წინამძღვრებისა და ფაქტორების აბსოლუტურად მოუმზადებლობა, მოსახლეობის უმცირესობის მიერ მისი იძულებითი დანერგვის მცდელობა; ქართული ბურჟუაზიის უკიდურესად მჩაგვრელი და მტაცებლური ბუნება; ექსპლუატაციის ახალი საბჭოთა ფორმის წარმოშობა, რაც სოციალიზმის ფანატიკოსმა ორგანიზატორმა ი.ბ. სტალინმაც აღიარა.

საქართველოში ამჟამინდელი კაპიტალისტური რესტავრაციული პროცესი სტრუქტურულად რთული სოციალური ფენომენია, თავისი ხასიათით განსხვავებული, მრავალრიცხოვანი კომპონენტების შემცველი, მაგრამ ის მაინც ძირითადად პოლიტიკური ხასიათის მოვლენაა, ვინაიდან მისი დემიურგია კაპიტალისტური სისტემის ორგანიზატორი ქართული პოლიტიკური სახელმწიფო.

კაპიტალისტური რესტავრაციული პროცესი უპირველეს ყოვლისა უნდა განვითარდეს და ვითარდება ეკონო-

მიკური ურთიერთობების დარგში: აუცილებელია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებით და სხვა აქტებით ნაციონალიზებული და რეკვიზირებული მემამულეთა, კაპიტალისტებისა და ეკლესიის საკუთრების — მიწების, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, ბანკების და სხვა დენაციონალიზაცია, მათი დაბრუნება ყოფილი ქართველი მესაკუთრეებისათვის. არაქართველი მესაკუთრეების ქონება, რომელიც შეძენილი იყო ქართველი ხალხის ძარცვის გზით, უნდა დაუბრუნდეს იმდროინდელი მშრომელი ადამიანების შთამომავლებს, შეიძლება გამოსყიდულიც იქნეს ძველი მესაკუთრეების თანხმობით.

საჭიროა განხორციელდეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ კერძო მესაკუთრეებისაგან ჩამორთმეული ქონების პერსონიფიცირება. აუცილებელია ზუსტად, სარესტავრაციო კომისიის მიერ დადგინდეს ყოფილი მესაკუთრეები და მათი მემკვიდრეები, ჩამორთმეული ქონების სახეობა და მოცულობა იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქონების არამესაკუთრეებისთვის გადაცემა, არ განმეორდეს სოციალური უსამართლობის ფაქტები, კიდევ ახალი მჩაგვრელების წარმოშობა.

რუსეთის ნახევრადფეოდალური, უკიდურესად ჩამორჩენილი იმპერიის შემადგენლობიდან გამოსულ საქართველოში არსებობდა პირობები ფეოდალური პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის არსებობისათვის — მონარქისტული ტრადიციები, ხალხის პოლიტიკური განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, გაბატონებული რელიგიური მსოფლმხედველობა, მემამულეთა კლასის საუკუნოებრივი პოლიტიკური ბატონობა; მეფის ილუზიები და სხვა.

ასეთ ვითარებაში არსებული პოლიტიკური სისტემის სოციალისტური რევოლუციური უარყოფა პოლიტიკური ავან-

ტურა იყო. ობიექტურად საჭირო იყო ბუნებრივი ხანგრძლივი, ევოლუციური განვითარების მთელი ეპოქა კაპიტალისტური პოლიტიკური ხელისუფლების ფორმირებისათვის, როგორც ეს გათვალისწინებული იყო მარქსისტული თეორიით. სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის ხელოვნურად ფორმირების მცდელობამ სასურველი შედეგები არ გამოიღო მისთვის საჭირო პირობების არ არსებობის გამო. ამჟამად ქართული საზოგადოების დონესა და ხასიათს შეესაბამება ფეოდალური ტიპის პოლიტიკური სისტემა ბურჟუაზიული პოლიტიკური დაწესებულებების შერწყმით. საჭიროა რესტავრირებული იქნეს ფეოდალური სახელმწიფოს ტიპი დუალისტური მონარქიის ფორმით, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით – სახალხო ნოსტალგია სამეფო ხელისუფლებაზე, მართლმადიდებლობის, როგორც ისტორიულად ფეოდალური სახელმწიფო იდეოლოგიის ტრიუმფალური აღორძინება, რელიგიური და თავადაზნაურთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა ადამიანების მიერ თავადაზნაურული წარმოშობის ღირსებად აღიარება, გლეხობისა და მუშათა კლასისადმი სოციალური კუთვნილების დამალვა და სამარცხვინოდ მიჩნევა და სხვა. ასეთ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში საქართველოში 1921 წლამდე ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემის რესტავრაცია ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს, ქვეყანაში სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

საქართველოში ამჟამად არსებული სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობების ხასიათი განაპირობებს საბჭოთა ხელისუფლებამდე ფუნქციონირებადი სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის რესტავრაციასაც. ქართული საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა უნდა გახდეს ისევ ქართველ მემამულეთა კლასი, მისი ინტელიგენცია, რომლებ-

საც დიდი დამსახურება აქვს ქართველი ხალხის კულტურის შექმნასა და განვითარებაში, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და ა.შ. მათი პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ქვეყანას გაუჩნდება განათლებული და კულტურული, ქვეყნისათვის თავდადებული პატრონი, რომელიც თავისი წინაპრების საგმირო საქმეებს გააგრძელებს, მოვლენებს ობიექტურად და პრინციპულად შეაფასებს, ქართველი ხალხის მტრებს ტრადიციულად გმირულად შეებრძოლება, ქართველი ხალხის ბუნებრივ სიმდიდრეებს არ გაყიდის, მათგან მატერიალურ დოვლათს აწარმოებს და თავის ხალხს მოახმარს; აღკვეთს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მანიპულაციებს მრავალრიცხოვანი უბადრუკი დემაგოგების, კარიერისტების, ცრუპანტელების და სხვათა მხრივ, რომელთა იდეალია გამდიდრება სახალხო ქონების მითვისება-მტაცებლობის გზით; აღკვეთს ქართული და საეროო – საკაცობრიო მორალის ნორმების დარღვევის უკიდურესად მახინჯ ფორმებს, რომლებიც საკუთარ დედაზე უხამსობამდეც კი მივიდა.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში სხვა სოციალურმა კლასებმა და ფენებმა უნდა დაიკავონ ის ადგილი, რომელიც მათ სამართლიანად ეკუთვნით ისტორიული დამსახურების, განათლების, კულტურის და თანამედროვე საქმიანობის მიხედვით. საქართველოს მეურვე სახელმწიფომ ქართველი მოწინავე ძალების მხარდაჭერით საზოგადოების ხელმძღვანელობას უნდა ჩამოაცილოს გუშინდელი პატიოსანი, მაგრამ ღარიბ-ღატაკი, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების ზოგიერთი ნაშიერები, რომლებმაც ახალი ჰაგარელი წყობილება შექმნეს, სახალხო ქონება მითვისების მტაცებლობის გზით გამდიდრდნენ. ზოგი მათგანი 21-ე საუკუნის მოხათმფლობელია, „კულტურული რევოლუციის“

დროს ხელოვნურად „გაკულტურულებული“ ადამიანები და მათი ნაშიერებია, რომლებსაც თავიანთი განათლებისა და ზნეობის მიხედვით არ ეკუთვნით საზოგადოებაში ხელმძღვანელი მდგომარეობა. საზოგადოებაში ასეთი ფუნქციის შესასრულებლად ჩვენ, გუშინდელი მთლიანად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების ნაშიერებს კულტურული განვითარების, სულიერი სიმდიდრისა და ზნეობრივი სიწმინდის მისაღწევად ევოლუციური განვითარების ხანგრძლივი დრო, საუკუნეები გვჭირდება. მაშინ დამსახურებულად დავიკავებთ ხელმძღვანელ თანამდებობებს საზოგადოებაში პატიოსნად უხელმძღვანელებთ მას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ფეოდალიზმის სულიერი კულტურის შეცვლის ობიექტური აუცილებლობა და საჭიროება არ არსებობდა, მას შეეძლო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საკმაოდ ეფექტურად ემოქმედა: ის განვითარების უმაღლეს და უკანასნელ სტადიაზე შეცვლიდა ბურჟუაზიულ კულტურას, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირების შემდეგ რევოლუციური გზით შეცვლიდა სოციალისტური კულტურა. საზოგადოების კულტურული ევოლუციის აღნიშნული საერთო კანონზომიერება დარღვეული იქნა და ამიტომ წარმოიშვა ფეოდალური კულტურის რესტავრაციის აუცილებობა.

ფეოდალური კულტურის სისტემის მთავარი ელემენტი საქართველოში მართლმადიდებელი რელიგია იყო, რომელსაც იმ პერიოდში ეფექტური მოღვაწეობის ყველა საფუძველი გააჩნდა. ამიტომ ქართველების უმრავლესობა ცხიარებდა მას. რელიგიური იყო.

ბოლშევიკებმა კი ევროპის კულტურული ქვეყნების, საფრანგეთის და სხვა ბურჟუაზიული რევოლუციების წა-

ბაძვით განახორციელეს ანტირელიგიური ღონისძიებანი, როდესაც მათთვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ მათ დადებითი შედეგები არ მოყვა. რელიგია როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა ხელს უწყობდა და უწყობს საქართველოში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, ქართველი ხალხის ერად ფორმირების პროცესის დაჩქარებას, ხალხში ზნეობრივი სიწმინდის ღანერგვას, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და სხვა დადებითი მოვლენების განვითარებას. ამჟამად საქართველოში გავრცელებული დამნაშავეობა და ამორალიზმი მართლმადიდებელი რელიგიის ყოვლადგაუმართლებელი, ბევრი ბოროტების მომტანი ხელყოფის შედეგია.

საჭიროა მართლმადიდებელი რელიგიური ორგანიზაციების მუშაობისათვის ხელის შეწყობა, ვინაიდან მხოლოდ მათ აქვთ შესაძლებლობა სრული დემორალიზაციისაგან გადაარჩინოს ჩვენი საზოგადოება.

აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ბრძნული აზრი იმის შესახებ, რომ ამჟამად საქართველოში რელიგიური მსოფლმხედველობის ფილოსოფიური და მეცნიერული მსოფლმხედველობით შეცვლის არანაირი პირობა და შესაძლებლობა არ არსებობს. ამიტომ ათეისტური ღონისძიებების განხორციელება უშედეგო იქნება და კიდევ უფრო გააძლიერებს რელიგიის გავლენას მასებში.

ფეოდალური სულიერი კულტურის უპირატესობანი აშკარად გამოვლინდა საზოგადოებრივი ცნობიერების ისეთ ფორმაშიც, როგორიც არის მორალი. საერთოდ ადამიანის ბუნებრივ ზნეობრივ ნაკლოვანებებთან ერთად, მემამულურ-თავადაზნაურულ მორალს გააჩნია ისეთი პროგრესული პრინციპები, როგორიც არის უანგარო პატრიოტიზმი და მეგობრობა, კეთილშობილების შინაგანი მოთხოვნილება,

სტუმართმოყვარეობა და პირადი პატიოსნება, ალალმართლობა და დახვეწილობა, შეურიგებლობა მომხვეჭელობისადმი, ყოფითი კულტურა, ურთიერთპატივისცემა და ჯენტლმენური ქცევა და სხვა.

სოციალური განვითარების ადრინდელ ეტაპზე ბურჟუაზიამაც წამოაყენა და შექმნა პროგრესული მორალის პრინციპები და ნორმები, რომლებიც არასდროს არ ყოფილა რეალიზებული მათი აშკარად ფორმალური, მოჩვენებითი ხასიათის გამო. ბურჟუაზიამ თავისი ზნეობა თავადაზნაურულ მორალს დაუპირისპირა და შეძლო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მისი გავრცელება.

ბურჟუაზიული მორალის ძირითადი ნიშნებია: აგრესიულობა, დაგროვების უსაზღვრო სურვილი, კარიერიზმი, დემაგოგია, სიძუნწე, ანგარება, უკიდურესი ეგოიზმი, უპრინციპობა და თვალთმაქცობა, ინდივიდუალიზმი, ექსპლუატაციის ბურჟუაზიული ფორმის გამართლება, უმადურობა. საფრანგეთში მისი რევოლუციის ბელადს რობესპიერსაც კი აკრიტიკებდნ და აკრიტიკებს.

პატიოსანი და მშრომელი ადამიანების წინაშე ჩადენილი უზნეობის მხრივ ამუამინდელმა ქართველმა „ბურჟუებმა" პირველი ადგილი დაიკავა საქართველოში ადამიანის სულიერი ჩაგერის ისტორიაში.

ისინი აბუჩად იგდებენ პროგრესული მორალის პრინციპებსა და ნორმებს, რომელთა იდეური საფუძველი 40-50 ათასი წლის წინათ წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში და რომელზედაც შენდებოდა უფრო გვიანი მორალური ღირებულებანი, მათ შორის – კომუნისტურიც. ჩვენში საქმე ისეთ სასეირო მდომარეობამდეც კი მივიდა, რომ ადამიანები თავის თავს ქრისტიანებად თვლიან და ამავე დროს კომუნისტურ მორალს აკრიტიკებენ. მათ არ

იციან, რომ კომუნისტური მორალის იდეური წყაროა ადრინდელი ქრისტიანობის ზნეობრივი კონცეფცია.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ხალხის მიერ შექმნილი უდიდესი ეკონომიკური და სოციალური სიკეთეებით სრულიად სარგებლობს „დემოკრატების" მცირე, სასწრაფოდ გამდიდრებული ადამიანთა ჯგუფები. იმ ადამიანთა თაობებს, რომელთა შრომის შედეგები მათ მიითვისეს და გამდიდრდნენ, ურცხვად ცილს სწამებენ, შეურაცხყოფენ. ეს არის მამების ღვაწლისადმი შვილების უკიდურესად უზნეო, უმადური, ყოველგვარ კეთილშობილებას მოკლებული დამოკიდებულება, რომელიც ჰგავს კრილოვის ცნობილი იგავის „ღორი მუხის ქვეშ" უმადურობით განოქმული ცხოველის საძაგელ ქმედებებს. ასეთი უკიდურესი უზნეობა ჯერ კიდევ არც ერთ სოციალურ-ბიოლოგიურ ჯგუფს არ ჩაუდენია მსოფლიო ისტორიაში.

საჭიროა საერთაშორისო მეურვემ, საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის ფრონტის გამგეობამ სასწრაფოდ ჩაანახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფოს ამჟამად მმართველ ზოგიერთ უზნეო ადამიანთა ჯგუფების ამორალიზმის აღსაკვეთად, მათი სულიერი სფეროს გასაწმენდად, თავადაზნაურული კეთილშობილი ზნეობის დასანერგად.

სამწუხაროდ, საქართველოში ბუნებრივი კაპიტალიზმის რესტავრაციის მაგივრად მიმდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალიზებული და კონფისკებული ქონების გაკერძოება, სოციალიზმის დროს უშრომელად და უკანონოდ გამდიდრებული ადამიანებისათვის ქონების ჩაბარების ფასად მიყიდვა, ფაქტობრივად კი დარიგება, რაც ახალი ექსპლუატატორული კლასის ფორმირების ეკონომიკური საფუძველია. ჭეშმარიტ, სამართლიან რესტავრაციას მხოლოდ

მაშინ ექნებოდა ადგილი, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალიზებული და კონფისკებული ქონება უსასყიდლოდ დაუბრუნდებოდა ძველ მესაკუთრეებს, რომლებმაც შექმნეს ეს ქონება და რომელთა კერძო საკუთრება იყო ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამჟამად კი ძველი მესაკუთრეების ქონების მფლობელები გახდნენ ადამიანები, რომელთაც მისი შექმნისთვის არავითარი შრომა არ გაუწევიათ, ახალი ტიპის უკიდურესად პარაზიტი მჩაგვრელები გახდნენ.

საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ანტისოციალისტური რევოლუციების გამარჯვების შემდეგ სხვა ქვეყნებშიც განვითარებული რესტავრაციული პროცესების მიმდინარეობა. ეს პროცესები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმოიშვა სოციალიზმის არსებობისთვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მოუმწადებლობის პირობებში. ამიტომ მოხდა კაპიტალისტური წყობილების აღდგენა მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლებით.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო წარმოადგენდა ქვეყანას, რომელშიც სოციალისტური გარდაქმნებისთვის საჭირო არავითარი საფუძველი და წინაპირობა არ იყო მომწადებული. კაცობრიობის გენიალური მოაზროვნეების ბრწყინვალე და დიდებულ მრავალ ქრისტიანულ იდეას ფანატიკოსი რევოლუციონერი – ბოლშევიკები აგიტაცია-პროპაგანდით და იძულებითი მეთოდებით ნერგავდნენ ანტისოციალისტურ მასებში. ასეთმა საქმიანობამ თვით ბოლშევიკების, კომკავშირელების და სხვა თავდადებული შრომის შედეგად გაანაპირობა უკიდურესად ჩამორჩენილი, ნამგალისა და უროს, წერა-კითხვის უცოდინარი, ქვეყნის ფეხშიშველა მოსახლეო-

ბის გიგანტური განვითარება. მაგრამ სოციალისტური განვითარების ბოლო სტადიაზე სავსებით კანონზომიერად და ბუნებრივად მაინც გამოვლინდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ფეოდალურ-ბურჟუაზიული ბუნება და სული, უდიდესი რევოლუციური გარდაქმნების – მრეწველობის შექმნა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მოსახლეობის უმძიმესი მატერიალური პირობებიდან გამოყვანა და სხვა ხელოვნურობა, მათი შედეგების დაუფასებლობა, შავი უმადურობა და მრავალი სხვა. სოციალისტური სოციალური განვითარება შეწყდა, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა, მისი მომავალი საეჭვოა.

სოციალიზმისთვის საქართველოს აბსოლუტურმა მოუმზადებლობამ, მისი იძულებითი მეთოდებით დანერგვამ, რაც განპირობებული იყო საქართველოს მოსახლეობის არასოციალისტური, წვრილბურჟუაზიული-გლეხური ბუნებითა და ხასიათით. საბჭოთა პერიოდის ანტიკომუნისტების აზრით გამოიწვია მისი სწრაფი ტრანსფორმაცია სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, ექსპლუატატორთა ახალი კლასის – საბჭოთა ბურჟუაზიის წარმოშობა და შესაბამისად, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის ახალი, საბჭოთა ფორმის შექმნა. საქართველოს ისტორიაში არსებულ მჩაგვრელ კლასებს – მონათმფლობელებს, ფეოდალებს, კაპიტალისტებს დაემატა ახალი, გლეხურ-წვრილბურჟუაზიული ბუნებისისა და ხასიათის ექსპლუატატორული კლასი და შესაბამისად, ჩაგვრის ახალი საბჭოთა ფორმა. ბოლშევიკების მიერ განხორციელებულმა ულრმესმა და სასტიკმა ზომებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობის მიზნით შედეგები არ გამოიღო. და არც შეეძლო გამოეღო...

2014 წელს თბილისში აკადემიკოს ვ. ვახანიას ავტორობით გამოიცა წიგნი „იოსებ ბესარიონის ძე სტალინის

პირადი საიდუმლო სამსახური (სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა) დოკუმენტების კრებული". ამ წიგნის დოკუმენტური ხასიათი თეორიულად და ოფიციალურად ნიშნავს, რომ მასში აღნიშნული მოვლენები და პროცესები წარმოადგენენ არა ლიტერატურულ ფანტაზიორობას, მითებსა და ჭორებს, არამედ სინამდვილეში მომხდარ ნამდვილ მოვლენებს. ტერმინ „დოკუმენტურის" შინაარსი, ალბათ, არ არის გაყალბებული.

წიგნის 393-394 გვერდებზე გადმოცემულია ი. ბ. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელის გენერალ-პოლკოვნიკ ა. ჯულას ი. სტალინისადმი გაგზავნილი საიდუმლო შეტყობინება, რომელშიც აღნიშნულია: „სრულიად საიდუმლოდ მხოლოდ ამხანაგ ივანოვისათვის[28] „საიდუმლო შეტყობინება. ბერია შეგნებულად ანაგვიანებს საქართველოს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს (პარტიულსა და საბჭოთა) უცხო ელემენტებით. აშკარად მიმდინარეობს მზადება საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფის შესახებ. ქართველი ნაციონალისტების დასავლეთისაკენ სწრაფვა განპირობებულია მათი გაუმაძღარი მისწრაფებით მომხვეჭელობისაკენ. მათ მოიპარეს ფულის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მის ისე დატრიალებას, როგორც სურთ, სოციალისტური წყობილების პირობებში ვერ ახერხებენ, ვერ ახერხებენ ნაქურდალი ფულის ისე ხარჯვასაც კი, როგორც სურთ. აქედან ჩნდება მისწრაფება საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფისაკენ, მისი დაახლოებისაკენ კაპიტალისტურ დასავლეთთან.

საქართველოში უხეშად ირღვევა საკოლმეურნეო ცხოვრების წესდება. ბევრ კოლმეურნეობაში კოლმეურნეები თითქმის არაფერს იღებენ, ყველაფერს ადგილობრივი

28 ამხ. ივანოვი ი. სტალინის ფსევდონიმი იყო.

უფრისები ართმევენ. მშრომელები მოითხოვენ ამ საქმის მიხედვას და მათ დაცვას თვითნებობისაგან, ქურდებისა და მექრთამეებისაგან... ბევრ კოლმეურნესა და მუშას საქართველოში არასწორად და უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმის გამო აპატიმრებენ, რომ მათ არ სურთ შეურიგდნენ გადაგვარებულთა თავგასულობას. მე რამდენჯერმე დავაყენე თქვენს წინაშე საკითხი ბერიას დაპატიმრებისა და აქტიური დაკითხვის შესახებ, მაგრამ დღემდე თქვეი სანქცია არ მიმიღია. კიდევ ერთხელ ვაყენებ საკითხს ბერიას დაპატიმრების შესახებ, დარწმუნებული ვარ, რომ თავის ნებაზე მიშვებული, იგი ფრიად საშიშია, როგორც პოტენციალური შეთქმული"[29].

ა. ჯუღა

ამ სპეციალურ შეტყობინებაში გამოთქმული აზრი სინამდვილეს ასახავს, ის იმ პერიოდში დიქტატორული ხელისუფლების მიერ რეალიზებული იქნა, დამნაშავეები სასჯელად დაისაჯნენ.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა საქართველოში შეიქმნა მე-20 ს. 90-იანი წლებში. საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობის გზით გამდიდრებულმა ადამიანებმა საქართველოში ყოელად მოუმზადებლად სსრკ გამოიყენეს და საბჭოთა პერიოდში ნაქურდალ ფულს პრივატიზებული სახალხო ქონებაც დაუმატეს.

---

[29] ვლადიმერ ვახანია, „იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის (სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა) დოკუმენტების კრებული", თბილისი-მოსკოვი, სვაროგი.2014 წ. მეორე გამოცემა, გვ. 406.

ამხ. სტალინის რეზოლუცია: ბერიას დაპატიმრება, რადგან იგი წარმატებით მუშაობს წყალბადის ბომბის შექმნაზე, ჯერ ნაადრევია; გააგრძელეთ მისი დამუშავება, თვალი არ მოაცილოთ რაც შეეხება სხვა პირებს, ვინც თქვენს შეტყობინებებშია ნახსენები, გულდასმით შემოწმების შემდეგ მათი დაპატიმრებისა და დაკითხვის ნებას გრთავთ. თავის დროზე საქართველოდან განიდევნა 1400 ადამიანი – კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრები და კარგა ხნის განმავლობაში არავითარი ანტისაბჭოთა გამოვლინება საქართველოში არ ყოფილა. ბოსტანი დროზე უნდა გაიმარგლოს. საქართველოში ახალი წმენდის ჩატარების ნებას გრთავთ.“[30]

ა.ჯუღა

ცნობა

„კავკასიაში დასასვენებლად მყოფმა სტალინმა მოისურვა მანქანით წასულიყო თბილისის რაიონში (ასეა ორიგინალში, მთარგმნ.). მიუხედავად დაცვის წინააღმდეგობისა, რომელსაც მთაგორიან ადგილებში მგზავრობა უსაფრთხოდ არ მიაჩნდა, მთის ფერდობებზე შეფენილი საქართველოს პარტიული და საბჭოთა ელიტის მდიდრული აგარაკები რომ იხილა, სტალინმა ჯუღას უთხრა: „სამას წელს ებრძოლა ქართველი ხალხი ფეოდალებს, უნდა ამოიძირკვოს ნარი“[31].

[30] იქვე, გვ. 407
[31] იქვე, გვ. 399

1952 წლის შემოდგომაზე, სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი წერდა: „საბჭოთა ხელისუფლებას ექსპლუატაციის ერთი ფორმა მეორეთი კი არ უნდა შეეცვალა, როგორც ეს ძველი რევოლუციების დროს ხდებოდა, არამედ ბოლო უნდა მოეღო ყოველგვარი ექსპლუატაციისათვის".[32]

(შემდგენელი)

აღსანიშნავია ის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ჩვენს საზოგადოებაში ექსპლოატატორები რაოდენობრივად ცოტა იყო, ვინაიდან შრომა სავალდებულო იყო, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი ასე თუ ისე მაინც მოქმედებდა. პარაზიტების წინააღმდეგ სახელმწიფო მკაცრ ზომებს ახროციელებდა,

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთაკავშირში, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის პერიოდში გრძელდებოდა ახალი ტიპის ექსპლუატატორებისა და ექსპლუატაციის ახალი ფორმის სწრაფი ტემპებით ჩამოყალიბების პროცესი. მათი შექმნის საფუძველი და პირობა იყო ბიუროკრატიული ბურჟუაზიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების სამართლიანი პრინციპის უარყოფა, რაც ელინდებოდა პარაზიტებისათვის საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ დარიგებაში, სოციალიზმის პრინციპების დარღვევით მრავალი

[32] იქვე, გვ. 427

უფასო მომსახურების განხორციელებაში; უფასოდ ბინების მიცემაში; უფასო სამედიცინო მომსახურების და სწავლების განხორციელებაში; საზოგადოებრივი ქონების მასობრივ მითვისებაში, მტაცებლობასა და ქურდობაში, მასობრივ ბიუროკრატიასა და კორუფციაში და სხვ.

ასეთი მდგომარეობა თვით სკკპ ცკ შეაფასა, როგორც ექსპლუატაციის ფასრული ფორმა. სკკპ ცკ აღნიშნა, რომ „მომხვეჭველები, მუქთახორები, ქურდები, სპეკულანტები, ბიუროკრატები ჩვენთვის უცხო ძალაა. ისინი თავიანთ კეთილდღეობას ქმნიან სხვისი შრომის ხარჯზე, სურთ წაელიტონ საზოგადოებას ის, რაც მათ არ შეუქმნიათ. საჭიროა, მათ წინააღმდეგ განვახორციელოთ დაუნდობელი ბრძოლა, გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საბჭოთა კანონების მთელი ძალა[33].

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ექსპლუატატორული ბიუროკრატიული ბურჟუაზიის ბატონობამ და მისი შესაფერისი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ახალი საბჭოთა ფორმის არსებობამ გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა ანტისოციალისტური ძალებისადმი, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობის ლოზუნგით მოქმედებდნენ. აბსოლუტურად მოუმზადებელი რევოლუციური სიტუაციის გარეშე ეს მხარდაჭერა პოლიტიკურ რევოლუციაში გადაიზარდა, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოყვა. მაშინ, როცა ნამდვილი, რეალური დამოუკიდებლობის მოღწევისთვის არავითარი აუცილებელი წანამძღვარი და პირობა არ იყო და არ არის მომზადებული.

არსებული სახელმწიფო წყობილების ფორმის გაუქმება სრულებით არ მოითხოვდა ფუნქციონირებადი სოციალ-

[33] სკკპ ცკ პლენუმის დადგენილება, ივნისი, 1963. სახპოლიტგამომცემლობა, 1963, გვ. 8.

ურ-ეკონომიკური წყობილების შეცვლას, ვინაიდან დეფორმირებული სოციალიზმის დროს მისი პრინციპები მაინც მოქმედებდა და მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურებოდა. საჭირო იყო მათი შენარჩუნება და სრულყოფა. დისიდენტებმა კი სასწრაფოდ განახორციელეს ღონისძიებანი სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლის – საზოგადოებრივი საკუთრების ლიკვიდაციისა და მისი კერძო საკუთრებით შეცვლის მიზნით და ხალხის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ქონება კერძო საკუთრებაში გადასცეს ადამიანთა ჯგუფს რომელსაც მის შექმნაში არასდროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო საზოგადოებრივი ქონების მითვისება-მტაცებლობისა და ქურდობით სოციალიზმის დროსაც გამდიდრდნენ, ექსპლუატაციის ახალი ფორმა შექმნეს. ამჟამად ახალი მჩაგვრელები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არიან, გალაღებული დანაყარდობენ ქვეყანაში და მის გარეთაც, მათი ურცხვი დემაგოგიით მოტყუებულ და გაბრიყვებულ ქართველ ხალხის ნაწილს საუბედუროდ კიდევ სჯერა მათი.

... ი.სტალინის დიქტატურის პირობებში მათ მითვისებული და მოპარული საზოგადოებრივი ქონება ჩამოერთვათ და კოლხეთის დაბლობის და ციმბირის ბუნებრივი სიმდიდრეების ასათვისებლად გაგზავნეს. ამჟამად კი სახელმწიფო ორგანოების მფარველობის გამო მითვისებული და მოპარული ქონება ახალი მჩაგვრელების საკუთრებაშია, ზღაპრული ქონება აქვთ დაგროვილი. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გაღარიბებული და დაჩაგრულია.

ამჟამად ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულია ახალი ტიპის ფსევდო-დემოკრატიული მჩაგვრელთა კლასი, არქიპარაზიტული ექსპლუატატორთა ჯგუფები, რომელთაც შექმნეს ჩაგვრის ახალი, სასტიკი ექსპლუატატორული ფორმა, რომელიც როგორც ნარი, სავსებით კანონსომიერად და სამართლიანად ამოძირკვლი იქნება სოციალური რევო-

ლუციის მიერ. მჩაგვრელებმა უნდა გაითვალისწინონ ასეთი ცუდი მომავალი, სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ მითვისებული სახალხო ქონება დაუბრუნონ მის შემქმნელებს.

დიდად სამწუხაროდ და ადამიანის სამარცხვინოდ საქართველოში და მთელ მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან თავისუფალი საზოგადოება. ასეთი საზოგადოება ალბათ საერთოდ არც კი შეიძლება არსებობდეს თვით ადამიანის მჩაგვრელი ბუნებისა და ხასიათის გამო, ქართული ჩაგვრის ფორმა არ არის გამონაკლისი. ექსპლუატატორებისა და ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა ისტორიაში ყოველთვის იყო, არის და იქნება, რაც საგებით კანონზომიერი და სამართლიანი მოვლენა არის. დადებითი შედეგი კი მიღწეული არ იყო. დაღუპულ ადამიანთა რიცხვი კი – კოლოსალური. ისტორიაში დაჩაგრული მასები კონკრეტულ მჩაგვრელებს ყოველთვის ფიზიკურად სპობდნენ და მომავალშიც მოსპობენ, მაგრამ მათივე მიზეზით ძველ მჩაგვრელებს ცვლიდნენ ახალი უფრო სასტიკი მჩაგვრელები, რომელთა ჩაგვრის მეთოდების გამომუღავნებას დიდი დრო სჭირდებოდა. ამიტომ იქნებ არც კი არის გამართლებული ჩვენი მჩაგვრელების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლა, ვინაიდან ბრძოლის შედეგი – ექსპლუატაციის მოსპობა მიუღწეველი დარჩება.

დიდი მწერლისა და მოაზროვნის ლევ ტოლსტოის ბოროტების წინაღუდგომლობის ფილოსოფიური კონცეფცია შექმნილია სოციალურ ცხოვრებაში დიდი ბოროტების, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის როგორც, ყოველთვის რეალურად არსებული, ადამიანის თანდაყოლილი და წარუვალი თვისებების აღიარების საფუძველზე და მისი მოსპობა შეუძლებელია, სანამ ადამიანი არსებობს. უნდა შეწყდეს ლ. ტოლსტოის ყოვლად დაუსაბუთებელი და უსამართლო კრიტიკა.

მეოთხე პარაგრაფი. საარჩევნო პროცესი, როგორც ქართული პოლიტიკური პროცესის სახე და პოლიტიკური მონაწილეობის ფორმა

ქართული საარჩევნო პროცესი პოლიტიკური შინაარსისა და ხასიათის მოვლენაა. მისი ორგანიზატორია ქართული სახელმწიფო და ხელისუფლების პარტია. აქტიურობით გამოირჩევიან ეკონომიკურად გაბატონებული ადამიანთა ჯგუფების და ფენების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიზანია არჩევნებში გამარჯვება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ხელმძღვანელი მდგომარეობის დაკავება, იმ ადამიანთა ჯგუფების ინტერესების წარმოდგენა, რომელთა პოლიტიკურ ორგანიზაციებს ისინი წარმოადგენენ. ქართული ნეობურჟუაზიის ინტერესების დამცველი სახელმწიფოს ტიპის და მისი შესაფერისი ფორმის შექმნა.

საქართველოს კონსტიტუციის ავტორებმა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციების წაბაძვით სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის პრინციპად აღიარეს თაეისუფალი არჩევნები და რეფერენდუმი, ხოლო ხელისუფლების მატარებლად და მის ერთ-ერთ წყაროდ ხალხი. პირველად საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივი განვითარების პრაქტიკაში ფორმირებულია, იურიდიზირებული და ინსტიტუციონალიზირებულია. ახალი სამოქალაქო წყარო, მისი ცხოველმოქმედებისა და გარდაქმნის საფუძველი.

მთელი კონსტიტუციური პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საარჩევნო პროცესი. ხელისუფლების ორგანოების არჩევნებიც პოლიტიკური პროცესია. ხელისუფლების ორგანოს დეპუტატობის კანდიდატის უკან დგანან პარტიები, მოძრაობები, დაჯგუფებები, მათ მხარს უჭ-

ერენ ან ეწინააღმდეგებიან გარკვეული სოციალური ძალები. ამჟამად საქართველოში არ არის შექმნილი სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო და ამიტომ არჩევნები გადაიქცა დიდ ლატარიად, სადაც მთავარ პრიზად გვევლინება საზოგადოების ფაქტობრივად აბსოლუტური და თითქმის უკონტროლო ხელისუფლება.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში დიქტატორული ხელისუფლების ინიციატივით მიმდინარეობდა სახელმწიფო მმართველობაში ხალხის ფართო მასების ჩაბმის უარყოფის პროცესი. 30-იანი წლების მეორე ნახევარში კონსტიტუციით დადგენილი შედარებით დემოკრატიული საარჩევნო სისტემა ფაქტობრივად ასრულებდა პოლიტიკური აღზრდის ფუნქციას და ამოწმებდა ნომენკლატურის უნარს, მიაღწიოს მოსახლეობის თანხმობას ტოტალიტარული სისტემის შენარჩუნებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენები ბოლშევიკური პარტიის მიერ არ იყო დაფარული და შენიღბული. ისინი თვლიდნენ, რომ დემოკრატიული მმართველობის პირობებში ეკონომიკურად უკიდურესად ჩამორჩენილ, ნამგალისა და უროს და 76% წერა-კითხვის უცოდინარ საქართველოში ამ სამარცხვინო მდგომარეობის მოსპობა შეუძლებელი იქნებოდა. მათი აზრით, საქართველოს საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სწრაფი ტემპებით ასეთი უმძიმესი მდგომარეობის გამოსასწორებად საჭირო იყო პროლეტარული დიქტატორული მმართველობა, მოსახლეობის თანდათანობით მომზადება დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, ხალხის პოლიტიკური კულტურის განვითარების ხანგრძლივი პერიოდი. ამ გარემოების გარეშე ხალხი მისთვის სასარგებლო საქმეს ვერ გააკეთებს, მასობრივი ანარქიას და ქაოსს დაიწერგავს. კულტურული განვითარების მაღალ დონეზე, როცა შეიქმნე-

ბა აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ხასიათის პირობები პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, წარმოიშობა საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის აუცილებელი პირობებიც, სახელმწიფოს კედომისა და საზოგადოებრივ თვითმართველობაზე თანდათანობით გადასვლის შესაძლებლობა.

1990 წელს უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა დემოკრატიული ძალების უპირატესობით, რომლებიც გამოვიდნენ ერთიანი ფრონტით საქართველოს კპ წინააღმდეგ და გაიმარჯვეს კიდეც. საქართველოს კპ, რომელიც არჩევნებში გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, ჩვენს მიერ წერა-კითხვის ნასწავლები ხალხი „არ დათმობსო". საარჩევნო ბლოკის გარეშე გამოვიდა და პარლამენტში 64 ადგილი მაინც მოიპოვა. ასეთი, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით მყოფი კომუნისტური პარტია ცოტა ხნის შემდეგ ხელისუფლებამ კანონის დარღვევით აკრძალა, რაც იმ ხელისუფლების კრახისა და ხალხის უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

საქართველოში პარლამენტარიზმის ერის დაწყებიდან განვლილ პერიოდში ჩატარებულ მრავალ განსხვავებული სახის არჩევნებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი გააჩნია. ამ მხრივ, აღსანიშნავია ელექტორატის ინდიფერენტულობა, ამომრჩეველი არ იყო დაინტერესებული საარჩევნო ბლოკების, პარტიებისა და მოძრაობების საარჩევნო პროგრამებით, მხოლოდ მცირე ნაწილმა გამოავლინა თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი. მნიშვნელოვანი ნაწილი არც ერთი პოლიტიკური პარტიის მიმართ არ იჩენდა სიმპათიას, ზოგი ვერც კი განსაზღვრავდა თავის პარტიულ ორიენტაციას.

საქართველოში ჩატარებულ მრავალრიცხოვან არჩევნების დროს ჩადენილი ყველაზე დიდი დანაშაული არის

ქართველი ისტებლიშმენტის ძლიერი ზემოქმედება ამომრჩეველთა ნებაზე, რამაც უზრუნველყო მისი გამარჯვება ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი.

ქართველი ხალხის საუბედუროდ, არჩევნებში ხშირად „იმარჯვებს“ პოლიტიკურად სუსტი, დემაგოგიაში დახელოვნებული არაქართველი და ქართველი პოლიტიკანი და კარიერისტი იმ საშუალებების გამოყენებითაც, რომლებიც გამოიყოფა წინასაარჩევნო კამპანიის მატერიალური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით. ელექტორატზე ასეთი უკანონო მეთოდებით, და საშუალებებით ზემოქმედება უკიდურესად ნეგატიური შემთხვევა არის ქართული პოლიტიკის ისტორიაში.

ბოლო წლებში საქართველოში არჩევნების ორგანიზაციის პროცესზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში პარტიების მონაწილეობის „მოდელები“, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ ამ პროცესის სამართლებრივი რეგულირების ახალ მიდგომებში.

ამჟამად არსებობს წინასაარჩევნო სტრატეგიის შემდეგი მოდელები:

პირველი, საარჩევნო გაერთიანების შექმნა წინასაარჩევნო ბლოკის სახით, ორი ან მეტი პოლიტიკური პარტიის, მოძრაობის ან ორგანიზაციის გაერთიანება, რომლებსაც არ აქვთ იურიდიული უფლება დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და შექმნან საარჩევნო გაერთიანება. **მეორე**, პარტიების დამოუკიდებელი მონაწილეობა არჩევნებში საარჩევნო გაერთიანების სახით. **მესამე**, არჩევნებში პარტიების მარტივი მონაწილეობა და ამ „მონაწილეობის“ უკიდურესი ფორმა ბოიკოტის სახით. ეს ფორმა საქართველოში ჯერჯერობით არ გვხვდება.

არჩევნები შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად ჩატარებულად იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩატარების პროცედურა – კანონმდებლობობა, ინსტრუქციები და სხვა, შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ოპოზიციასთანაც და მკაცრად სრულდება ყველას მიერ. ასეთ შემთხვევაში დამარცხებული მხარე სხვას ვერ დაადანაშაულებს დამარცხებაში და ადიარებს არჩევნების შედეგებს.

ქართულ საარჩევნო პროცესში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ელექტორალურ კულტურას. თავისი არსით ის წარმოადგენს ცოდნის შეფასებების და ელექტორალური ქცევის ნორმებისა და ურთიერთობების მთლიანად საარჩევნო პროცესის შედარებით მკაცრ სისტემას. ამომრჩეველთა ელექტორალური განათლების და კულტურის დაბალი დონე არის საქართველოს პოლიტიკური კატასტროფის ძირითადი მიზეზი. ჩვენ დემოკრატიული ნოვაციების გამოყენებით არჩევნები ჩავატარეთ და ვატარებთ მაშინ, როცა ჩვენი საზოგადოება არ არის მომზადებული თავისუფალი არჩევნებისათვის, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს საზოგადოების ზოგადი და პოლიტიკური განათლებისა და კულტურის ამაღლების ხანგრძლივი პერიოდი. ელექტორალურის მომზადება პოლიტიკურად განათლებული, სახელმწიფო მოღვაწეობის უნარის მქონე ადამიანის ასარჩევად.

ელექტორალური კულტურა უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებასა და კონკრეტული ადამიანის საერთო და პოლიტიკურ კულტურასთან. პოლიტიკური კულტურის ლოგიკური ცნების რთულ სტრუქტურაში ძირითადია ორი მაჩვენებელი: **პირველი**, პასუხისმგებლობა, რაც ნიშნავს საზოგადოების განვითარებაში არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობის ცოდნას, მათდამი ინტერესს და სურ-

ვილს გაერკვეს პოლიტიკურ სიტუაციაში. **მეორე**, ამომრჩეველის კომპეტენტურობას, რაც ნიშნავს სიტუაციის შეფასების უნარს, აგრეთვე კანდიდატის პოლიტიკური მოღვაწეობის უნარის დადგენას და გათვალისწინებას, მისი ზნეობრივი თვისებების აღმოჩენას და მორალური სიწმინდის გათვალისწინებას. ჩვენდა საუბედუროდ თანამედროვე ქართველი ამომრჩეველი ასეთნაირად სრულებითაც არ ემოქმედება, ჩვენი ელექტორალური კულტურის დონე ძალზე დაბალია, რამაც ბევრი უბედურება მოუტანა საქართველოს.

საქართველოში საარჩევო პროცესის კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის განუყოფარებლობის გამო, ამომრჩეველთა პასუხისმგებლობის დონის შეცვლის ტენდენციების შესახებ ერთმნიშვნელოვანი აზრის გამოთქმა ძნელია. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს არჩევნებზე კანდიდატების წარმოდგენებას და განხილვაში მონაწილეობას, არ იცის ან ზერელე წარმოდგენა აქვს თავისი საარჩევნო ოლქის კანდიდატების პოლიტიკური პლატფორმის შესახებ, ხმას აძლევს ნათესაობისა და ძმაბიჭობის ნიშნით, გადაწყვეტილებას თუ ვის მისცეს ხმა, იღებს უშუალოდ საარჩევნო უბანზე და კანონის დარღვევით თავს არიდებს არჩევნებში მონაწილეობას.

ამჟამად საქართველოში ჩამოყალიბებულია ელექტორატის პოლიტიკური ორიენტაციის ისეთი სტრუქტურა, რომელშიც ხელმძღვანელი მდგომარეობა უკავია ცენტრისტულ „ხელისუფლების პარტიას“, რომელიც ყველა და ყოველგვარ ხერხს იყენებს მისი ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივების მიზნით.

სამწუხაროდ, საგრძნობლად შესამჩნევია ელექტორატის არჩევნებისადმი ინტერესის დაცემის ტენდენცია, რაც გამოწვეულია საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში

წარმომადგენლობითი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის დაცემით. ამომრჩევლების აბსენტიზმი გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: **პირველი**, მიმდინარე საარჩევნო კამპანიის თავისებურებებით. **მეორე**, საზოგადოებაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით. **მესამე**, სოციალური კავშირებისა და ურთიერთობათა დაშლით და მათი კავშირებისგან გასხვისებით. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა არც ერთ პოლიტიკურ ინსტიტუტს, თვლის, რომ ისინი არ გამოხატავენ მის ინტერესებს: საქართველოში ამომრჩევლებთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერენ რადიკალიზმს, პრაგმატიზმს, ვოლუნტარიზმს, ურთიერთიზოლაციას და ანტაგონიზმს, რაც სრულებითაც არ არის მათთვის და ქვეყნისათვის სასარგებლო.

ჩვენი, როგორც, ქართველი ამომრჩევლების მოქალაქეობრივი მოვალეობაა: პოლიტიკური განათლებისა და კულტურის ამაღლება; საარჩევნო სამართლის დაუფლება და მისი ნორმების მიხედვით მოქმედება; დემაგოგების და კარიერისტების მხილება და მათი მხარდაჭერის, მათთან ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების შეწყვეტა. იმის შეგნება, რომ ქართველ ამომრჩეველზე არის დამოკიდებული ქვეყანაში ხალხის ინტერესების დამცველი კვალიფიციური და კომპეტენტური სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირება და ფუნქციონირება, საქართველოს ბედი.

მეხუთე პარაგრაფი. პოლიტიკური კონფლიქტები და კრიზისები საქართველოში და მათი გადაწყვეტის სახელმწიფო-სამართლებრივი მეთოდები და ხერხები

თანამედროვე პოლიტიკურ პროცესს ახასიათებს უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური კონფლიქტები, აშკარა კონფრონტაცია და მხარეთა ანტაგონისტური დაპირისპირება. კონფლიქტები ჩვეულებრივ წარმოიშობა და ვითარდება ქართული პოლიტიკის სუბიექტების ურთიერთმოქმედების პროცესში და გამოხატავენ დაპირისპირებული სოციალური, ეროვნული, რელიგიური, უწყებრივი, პროფესიული და სხვა ინტერესებს. მხოლოდ პოლიტიკის სუბიექტების პოლიტიკურ ნებას აქვს უნარი თავიდან აიცილოს კონფლიქტის გადაზრდა შეიარაღებულ ბრძოლაში, შეამციროს მისი ინტენსიურობა და დაძაბულობა, გამონახოს მისი შესუსტების ვარიანტები. დიდად სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკის სუბიექტებს ეს ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ და ამიტომ შედეგებიც უკიდურესად ტრაგიკულია.

საქართველოში ადგილი ჰქონდა და აქვს პოლიტიკური კონფლიქტების ფორმირების სხვადასხვა დონეებს, რომლებიც გამოწვეულია პოლიტიკური პროცესის სუბიექტების ფუნქციონირების თავისებურებებით. ამ მხრივ აღსანიშნავია პიროვნებათაშორისი და ჯგუფური პოლიტიკური კონფლიქტები, აგრეთვე კონფლიქტები საზოგადოების ქვესისტემების დონეზე, რეგიონალური და საერთო-ეროვნული პოლიტიკური კონფლიქტები.

პოლიტიკური კონფლიქტის პიროვნებათაშორისი დონე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული მყარი მრავალ-

პარტიული სისტემის ფორმირება. ამიტომ საზოგადოება უფრო მეტად ეყრდნობა პოპულარული და შედარებით ძლიერი პიროვნების გაცლენას, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური პარტიის ავტორიტეტს. ეს გარემოება განაპირობებს ამ პიროვნებების პოლიტიკურ აქტიურობას, ხელისუფლებისათვის გაცხარებულ ბრძოლას, კონფლიქტებს მათ შორის, რომლებიც საერთო-ეროვნულ კონფლიქტებშიც კი გადაიზარდა.

უაღრესად ტრაგიკულია საქართველოს პოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები. კერძოდ, ქართველთა დიდი რაოდენობით დაღუპვა, მატერიალური ღირებულებების განადგურება, საზოგადოების დეზინტეგრაცია და დესტაბილიზაცია, საზოგადოებრივი ცხოვრების მასობრივი ანარქია და ქაოსი, ქართველთა დიდი რაოდენობით ემიგრაცია. ეს ტრაგიკული მოვლენები ქართველთა ეროვნული კატასტროფის მაჩვენებელია, რომელთა ქართველი და არაქართველი ორგანიზატორები ჯერ კიდევ დასჯილი არ არიან, ზოგი კი ადამიანების მხარდაჭერითაც სარგებლობს.

პოლიტიკური კონფლიქტების მეცნიერული კვლევის პროცესში საჭიროა დადგენილი იქნეს არა მარტო მათი ნეგატიური, არამედ პოზიტიური შედეგებიც. ეს შედეგები კი საქართველოში მცირე რაოდენობით გამოვლინდა. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოვალეობა იყო და არის საზოგადოების მეცნიერული მართვის პრინციპების შესაბამისად, მიეღწია შესაძლებელი პოზიტიური შედეგების მაქსიმუმისათვის.

პოლიტიკური კონფლიქტებს ანტაგონისტური ძალების ძლიერების პროპორციული თანაფარდობის პირობებში შეეძლოთ შეესრულებინათ სტაბილიზირებადი როლიც, საზოგადოებაში მყარი მდგომარეობის შექმნა. შეიძლებოდა

მიღწეულიყო კომპრომისი ანტაგონისტურ ძალებს შორის, ვინაიდან ძალთა პროპორციული თანაფარდობა არ იძლევა კონფლიქტში ერთი რომელიმე მხარის გამარჯვების შესაძლებლობას. შესაძლებელი იყო სოციალური წინააღმდეგობების შესუსტება სოციალური მშვიდობის მისაღწევად.

იმ შემთხვევაში თუ საქართველოში პოლიტიკური კონფლიქტები წარმოიშვებოდნენ ანტაგონისტურ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების პირობებში, მათ რევოლუციის გზით შეეძლოთ შეექმნათ საზოგადოების გარდაქმნისა და განვითარებისათვის საჭირო პირობები და შესაძლებლობანი. სამწუხაროდ,ჩვენს ქვეყანაში ასე არ მოხდა.

პოლიტიკური კონფლიქტების პოზიტიური შედეგი შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე ღირებულებათა გადაფასების სტიმულაციაც, ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურების გამყარების მომენტის დაჩქარება, კონფლიქტის მონაწილეების უკეთ შეცნობის უზრუნველყოფა.

ქართული, ისე როგორც სხვა ეროვნული პოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრის რაციონალური პირობებიდან აღსანიშნავია მათი გამომწვევი მიზეზების აღმოჩენა და მეცნიერული ანალიზი. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა გარკვეული იქნას, არის თუ არა პოლიტიკური კონფლიქტი ობიექტური, კანონზომიერი მოვლენა, თუ ხელოვნურად გამოწვეულია დემაგოგებისა და კარიერისტების მიერ; როგორი სახის შედეგები მოყვება მას და სხვა. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ამ ურთულესი თეორიული პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდენ და ცდილობენ ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის დონეზე,რაც ხელს უშლის ჭეშმარიტების დადგენას. საჭიროა მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიერ დადგენილი გნოსეოლოგიური კვლევის

მეთოდების გამოყენება, მეცნიერებისა და ძლიერი პოლიტიკოსების ერთობლივი მოღვაწეობა.

ქართული პოლიტიკური კონფლიქტებისა და გაწყვეტის მნიშვნელოვანი პირობა არის აგრეთვე მათი მთლიანობაში სისტემური მეცნიერული კვლევა, რაც გულისხმობს მათ შემეცნებას მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიერ დადგენილი მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით, მეცნიერების ეთიკისა მოთხოვნების აუცილებლად დაცვით და სხვა.

ქართველი ხელმძღვანელი პოლიტიკოსები გარკვეულწილად მათი მისეზითაც წარმოშობილი პოლიტიკური კონფლიქტებისა და კრიზისების დაძლევის მიზნით, ვალდებული იყვნენ განეხორციელებინათ მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის აქტები, მათ შორის აღსანიშნავია პოლიტიკური კონსენსუსის დამყარება მისი მიღწევის რეალური პირობების შექმნით: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მზადყოფნის მიღწევამ მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს კანონებს და დადგენილებებს. მეორე, მათი პოზიტიური შეფასების მიღწევამ პოლიტიკური ინსტიტუტების უმრავლესობის მხრივ, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ ეს კანონები და დადგენილებები ცხოვრებაში. მესამე, სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების სოციალური ერთობისადმი, მაგალითად ერისადმი კუთვნილების გრძნობის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული შეხედულებებისა და ქმედებების შეთანხმებას მათივე ინტერესების შესაბამისად.

პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საზოგადოებრივი თანხმობის შესახებ ხელშეკრულების დადება, რომელიც განსაზღვრავს შეთანხმების მიღწევის გზებს, რომლებიც სჭირდება საზოგადოებას, რომელიც დაღლილია კარიერისტების მიერ მოგო-

ნილი, შეთხზული „მისვლებით“ გამოწვეული პოლიტიკური გარჩევებისაგან, ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტებისაგან, ოპოზიციის ხელისუფლებასთან საზოგადოებისათვის აბსოლუტურად არასასარგებლო ბრძოლით და სხვა.

პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოციალური დისპარიტეტის დაძლევა, რომელიც ამჟამად საქართველოში 1:30 მაინც იქნება და რომელიც გამოწვეულია საზოგადოებრივი საკუთრების მძაფრკველური პრივატიზაციით და სტიქიური ბაზრის მოქმედებით. საქართველოში შეიქმნა მძაფრი სოციალური აფეთქების საშიშროება, მოწოდებანი სოციალური მშვიდობის დასამყარებლად აბსოლუტურად უშედეგო არაეფექტურია. მძაფრი სოციალური უთანხმოება დაძლეული უნდა იქნეს სოციალური სამართლიანობის მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებებით, კერძოდ, ეროვნული ქონების დეპრივატიზაციით, ხალხისათვის დაბრუნებული ქონების მისივე მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის გამოყენებით და სხვა.

პოლიტიკური კონფლიქტების დაძლევაში დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია აგრეთვე კომპრომისების ტაქტიკას, რომელიც უნდა განხორციელდეს არა სიტყვიერი „კონსენსუსის“ საფუძველზე, არამედ რეალური ძალების ბალანსის გათვალისწინებით. ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ ამნისტიასაც, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი თანხმობის შესახებ ხელშეკრულების დადებას ხელისუფლების წარმომადგენლებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფკავშირებთანაც, რომლებიც თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ. აქტი საზოგადოებრივი თანხმობის შესახებ გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ სურვილს კონფრონტაციულობის თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე სახე-

გადღეების უკიდურესად გადაღლას კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ინტრიგებისგან, მტრობისა და შურლისაგან მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობის დაკავებისა და მისი მეშვეობით გამდიდრების მიზნით.

ქართველი პოლიტიკური თანამდებობის პირები არსებული პოლიტიკური კონფლიქტების და კრიზისების დაძლევის მიზნით ვალდებული იყვნენ და არიან განახორციელონ ისეთი პოლიტიკური აქტები, როგორიც არის – კონსტიტუციური შეთანხმების დადება, პირველი პირისადმი ნდობის რეფერენდუმის ჩატარება, ალტერნატიული კონსტიტუციური კომისიისა და კონსტიტუციური თათბირის შექმნა და სხვა აქტების განხორციელება. დადებითი პოლიტიკური შედეგების მოტანა შეუძლია გადაადგილებებს მმართველი გუნდის შიგნით, პოლიტიკური კურსის კორექტირებას და სხვ.

კონფლიქტური პოლიტიკური სიტუაციის გამოვლენის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა პოლიტიკური გადატრიალება, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური ხელისუფლება გაბატონებული კლასის ერთი ჯგუფიდან ან ფრაქციიდან გადადის მეორის ხელში, ხშირად ხელისუფლების ძალადობრივი დაპყრობის გზით.

საქართველოში პოლიტიკური გადატრიალებები განხორციელდა სამხედრო და სამოქალაქო ფორმებში 1991 წელს აშკარა სამხედრო ძალადობრივი გზით, ხოლო 2003 წელს შედარებით მშვიდობიან ფორმაში. 1991 წელს სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების გზით იქნა დამხობილი, რამაც გამოიწვია სამოქალაქო ომი, ადამიანთა დიდი მსხვერპლით და ეკონომიკური ნგრევით. არავითარი ხალხისათვის სასარგებლო შედეგი არ მოყოლია.

ამჟამად წამოიშვა სამხედრო გადატრიალების ობიექტური შესაძლებლობა, მომწადდა მისთვის საჭირო პირობები

შექმნილი უმძიმესი კატასტროფული მდგომარეობის სახით. ტოტალიტარულ სამხედრო ხელისუფლებამ შეიძლება გამოიყვანოს საქართველო კატასტროფიდან. ეს იქნება იმ სამი მომავლის ალტერნატივის ერთი გამოცდილება, რომელიც მთელი კაცობრიობის მომავალშია შესაძლებელი[34].

ხშირმა პოლიტიკურმა გადატრიალებებმა არ შეცვალა ფუნქციონირებადი სახელმწიფოს ტიპი და მმართველობის ფორმა, ისინი არ შეხებია სახელმწიფო ორგანიზმის არსებით მხარეებს.

პოლიტიკური პროცესის განვითარებაში გარდამტეხი მომენტია პოლიტიკური კრიზისი. ქართულ პოლიტიკურ პროცესში ის გამოიხატა პოლიტიკური სისტემის მოშლაში, მმართველ ჯგუფსა და მისდამი დამორჩილებულ ფენებს შორის ადრეარსებული ურთიერთდამოკიდებულების დარღვევაში. პოლიტიკური ვითარება, რომელიც წარმოიშვა პოლიტიკური კრიზისის შედეგად, ხასიათდებოდა საზოგადოებრივი ფენების მკვეთრი უკმაყოფილებით, რომელიც გამოწვეული იყო მმართველი ჯგუფის საქმიანობით. ქართულ საზოგადოებაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი გადაიზარდა კონფლიქტურ სიტუაციაში.

ქართულ პოლიტიკურ პროცესში ადგილი ჰქონდა და მომავალშიც შეიძლება განმეორდეს პოლიტიკური კრიზისის შემდეგი სახეები:

პირველი. სამთავრობო კრიზისი, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაზე, რაც გადაწყდა მთავრობაში გადაადგილებით ან მთავრობის

34 Введение в философию изд-во политической литературы. М. 1990, стр. 598-599

გადადგომით. ასე მოხდა რუსთავი-2-ის შენობაში ორგანოს თანამშრომელთა შეჭრის შედეგად შექმნილ ვითარებაში.

მეორე. საპარლამენტო კრიზისი, რომელიც წარმოიშობა საკანონმდებლო ორგანოში ძალთა თანაფარდობის ისეთი ცვალებადობის შედეგად, როცა მას არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი ან მისი აქტები ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის ნებას. ასეთი სახის კრიზისი უნდა გადაილახოს პარლამენტის დათხოვნით და ახალი არჩევნების დანიშვნით. სახალხო საკუთრებისა და ქონების კერძო საკუთრებად გადამქცევი, უფასო სამედიცინო მომსახურების, უფასო განათლების გამაუქმებელი და სხვა ანტიხალხური აქტების მიმღები პარლამენტი სავსებით სამართლიანად დათხოვილი უნდა იქნეს, ანტიხალხური კანონები კი ანულირებული, ხალხის ინტერესების დამცველი კანონები — რესტავრირებული.

პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი სახეა კონსტიტუციური კრიზისი, რომელიც წარმოადგენს კონსტიტუციის ძალმედების ფაქტობრივ შეწყვეტას იმ მიზეზით, რომ მან დაკარგა ლეგიტიმურობა. მისგან გამოსვლა შესაძლებელია კონსტიტუციის თვისებრივი განახლებით ან ახლის მიღებით.

ამ მხრივ უმძიმეს მდგომარეობაშია საქართველოს 1995 წ. მიღებული კონსტიტუცია, რომელშიც ცვლილებები შეაქვს ძველას, ვისაც კი მოეპრიანება. სურს აჩვენოს თითქოს სასარგებლო საქმეს აკეთებს, ძალზე ჭკვიანია. ჩვენ ბატონებო, მოწინავე კონსტიტუციას ვერ დავწერთ, მასში ცვლილებებს ვერ შეიტანთ ჩვენი გაუნათლებლობის გამო. საჭიროა მიეწვიოთ აშშ ან ინგლისის პოლიტოლოგებს გასანათლებლად და საჭირო განათლების მიღების შემდეგ დაიწყოთ კონსტიტუციის წერა, მასში ცვლილებების შეტანა.

ქართველმა პოლიტიკანებმა თავიანთი ეგოისტური ინტერესების შესაბამისად დაუსაბუთებელი და მავნე შესწორებები შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაში. ამ მხრივ აღსანიშნავია, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების ანულირება, რომელიც ამჟამად საქართველოს სრული კატასტროფიდან დახსნის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საშუალებაა. საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი ქვეყნის ძირითადი კანონის კერძო ინტერესებზე მორგების აღკვეთის მიზნით. მისი განმახორციელებლები კი მკაცრად დაისაჯონ. საქართველოს 1995 წ. საწყალი კონსტიტუცია ხმამაღლა მოთქვამს მისი გაუთავებელი ჯიჯგნის გამო, მიშველეთო.

ქართული პოლიტიკური პროცესის განვითარებაში მნიშვნელოვანი მომენტია სოციალურ-პოლიტიკური ან საერთო-ეროვნული კრიზისი, რომელიც აუცილებლად არ იწვევს მმართველი ელიტის შეცვლას. მისი დაძლევა შესაძლებელია ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ჯგუფში ხშირი გადაადგილებებით და პოლიტიკური კურსის კორექტირებით სოციალურ-პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული თანაფარდობის დარღვევის გარეშე. თუ ასეთი კრიზისი არ იქნა დაძლეული, ის შეიძლება გადაიზარდოს რევოლუციურ სიტუაციაში. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა საქართველოში 1991 წ. პოლიტიკური რევოლუციის წინა პერიოდში.

ქართულ პოლიტიკურ პროცესში ადგილი ჰქონდა და აქვს საგარეო პოლიტიკური ხასიათის კრიზისს, რაც გამოწვეული იყო და არის რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს ურთიერთობების მოშლით, მათ შორის წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავებით, რომლებიც ამჟამინდელ კონფლიქტში გადაიზარდა საქართველოსთვის უმძიმესი შედეგებით. საქართველოს მთავრობამ არ გამოიყენა დიპლომატიური და პოლიტიკური მეთოდები, ძლიერ ამჟამინდელ მოწ-

ინააღმდეგეს უკიდურესად სუსტი ძალებით ფრონტალურად ებრძოდა. არ გამოიჩინა სუსტისთვის აუცილებელი მოქნილობა, კომპრომისი, დათმობაზე დროებით წასვლა, გადაჭარბებულად შეაფასა საკუთარი შესაძლებლობანი, კრიტიკულად არ შეაფასა მოკავშირეთა ცრუ დაპირებანი, გამოიჩინა ზედმეტი მიმდობლობა, ტრაბახობდა და სხვა. აუცილებელია რუსეთ-საქართველოს 2008წ. ომის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შედეგების მეცნიერული კვლევა და ობიექტური შეფასება.

დემოკრატიულ ქვეყნებში კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციების ხელშემშლელი ძლიერი ფაქტორია ოპოზიცია, როგორც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. ქართული დემოკრატიის განვითარების საწყის სტადიაზე ოპოზიცია ამ დანიშნულებას ვერ ასრულებს, ის ხანდახან გვეულინება პოლიტიკური კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციების წამომწყების როლშიც.

პოლიტიკურ მეცნიერებაში ოპოზიცია, მათ შორის ქარიზულიც, ორი ასპექტით არის გაგებული. **პირველი**. როგორც იდეების, პოზიციების, პოლიტიკის, მოქმედებების დაპირისპირება. მათგან განსხვავებული იდეებისა და ქმედებებისადმი. **მეორე**. როგორც ადამიანების, პარტიების, ფრაქციების ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ გაბატონებული ოფიციალური თვალსაზრისის წინააღმდეგ.

საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში, არსებობს ოპოზიციის სხვადასხვა სახეები. კერძოდ, საგარეო და საშინაო, აშკარა და ლატენტური, ლეგალური და არალეგალური, კონსტრუქციული და დესტრუქციული, მარჯვენა და მარცხენა, საპარლამენტო და შიგაპარტიული.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებულ და მოქმედ ოპოზიციური დაჯგუფებებიდან არასდროს არცერთი მათ-

განი არ ყოფილა სახელმწიფო ხელისუფლებაზე ძლიერი, მეტად კვალიფიციური და კომპეტენტური. ამიტომ მათ საქმიანობას ქვეყნისთვის დადებითი და სასარგებლო შედეგები ჯერ არ მოყოლია. საკუთარი გამდიდრებისთვის მგლური მეთოდების გამოყენებით კი მთელს მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

საქართველოში ფუნქციონირებადი ოპოზიციის მრავალრიცხოვანი სახეებიდან წონადი და მნიშვნელოვანია საპარლამენტო ოპოზიცია. ფორმალურ-იურიდიული სილოგიზმებისა და სოფისტიკის მიმდევარ დეპუტატთა ჯგუფებს არ შეუძლიათ შეიმუშაონ კანონები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის თავიდან აცილება.

ქართულ საზოგადოებაში გარკვეულ სოციალურ ძალას წარმოადგენს პარტიული ოპოზიცია. საქართველოში მრავალი პარტია არსებობს და მოქმედებს, მაგრამ ისინი მცირერიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაციებია. მათი პოლიტიკური აქციები, განცხადებები, შეფასებები, მიტინგები, ფორუმები, „მრგვალი მაგიდები", თეორიული კონფერენციები, მათი ლიდერების გამოსვლები ტელევიზიითა და რადიოთი გარკვეულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, ადამიანთა პოლიტიკური ქმედებების ხასიათზე. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ღონისძიებების განხორციელება იმ მიზნით, რომ მათი პოლიტიკური იდეები და პრაქტიკული ქმედებები გახდნენ ობიექტური და საქართველოსთვის სასარგებლო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის მათი საჭიროება და აუცილებლობა. საზოგადოებისა და კერძოდ ქართველის პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე მძიმე მდგომარეობის მაჩვენებელია პოლიტიკური კატასტროფა, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკური ცხოვრე-

ბის სტრუქტურების ფუნქციონირების დარღვევა და შეწყვეტა, ქვეყნის პოლიტიკური დაშლა, ანარქია და ქაოსი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, მასობრივი პოლიტიკური აპათია, არსებული პოლიტიკური იდეოლოგიის. პოლიტიკური სტრუქტურების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებკვალიფიციური და ნაკლებპროფესიონალია და ამიტომ მათი საქმიანობის შედეგები უარყოფითია, ფაქტობრივად პოლიტიკური კატასტროფის ხელშემწყობია, მხარდამჭერებიც ცოტა ჰყავს. მათთვის დამახასიათებელია კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა, თანამდებობების შენარჩუნებაზე და მათი მეშვეობით გამდიდრებაზე დაუოკებელი სწრაფვა. ასე იყო, არის და იქნება ყველგან და ყოველთვის.

ქართული პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე მდგომარეობა სრული და შესაძლოა საბოლოო პოლიტიკური კატასტროფაა უმძიმესი ტრაგიკული შედეგებით. პოლიტიკური კატასტროფა არის საქართველოს საერთო კატასტროფის ძირითადი ფორმა შექმნილ პირობებში პოლიტიკის პირველადობის გამო.

მეექვსე თავი
თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური იდეოლოგია

პირველი პარაგრაფი. პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების ცნება და მათი მეთოდოლოგიური ფუნქცია ქართული პოლიტიკური ურთიერთობების შემეცნებაში

ქართულ, ისევე როგორც, საერთოდ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ნათლად ვლინდება ორი მხარის – მატერიალურისა და სულიერის არსებობა, მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. იმ მიზნით, რომ დადგენილი იქნეს კანონზომიერება, რომელიც არეგულირებს ამ კავშირსა და დამოკიდებულებას. საჭიროა გაანალიზებული იქნეს პოლიტოლოგიის ისეთი ძირითადი კატეგორიები, როგორიც არის „პოლიტიკური ყოფიერება" და „პოლიტიკური ცნობიერება".

პოლიტიკური ყოფიერების პოლიტოლოგიური კატეგორია მეცნიერებაში ძირითადად ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველი, ის საეროთდ აღნიშნავს, მატერიალური და სულიერის პოლიტიკურის პოლიტიკურის რეალურ ყოფას. ამ თვალსაზრისით მას მიეკუთვნება მთელი პოლიტიკური სინამდვილე, მათ შორის სულიერიც, ვინაიდან მისი მოვლენები – აზრი, ემოცია და წარმოდგენა გარკვეული წესით არსებობენ და ფუნქციონირებენ. ამ მნიშვნელობით იხმარება პოლიტიკური ყოფიერების ცნება ერთიანი პოლიტიკური სინამდვილის ანალიზის პროცესში. პოლიტიკური სინამდვილის ერთიანობა მდგომარეობს არა მარტო მის არსში, როგორც მისი ერთიანობის წანამძღვარში, ვინაიდან ის ჯერ

უნდა არსებობდეს, სანამ ერთიანი გახდებოდეს. ამავე დროს პოლიტიკური სინამდვილის ერთიანობა მის მატერიალურობაშია. ამ მხრივ, პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური მატერიის ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. პირველი მეორეზე უფრო ფართოა, მოიცავს მას.

მეორე. პოლიტიკური ყოფიერების კატეგორია აღნიშნავს აგრეთვე ადამიანის პოლიტიკური ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებულ პოლიტიკურ რეალობას. ამ შემთხვევაში ის ემთხვევა პოლიტიკურ მატერიას და უპირისპირდება პოლიტიკურ ცნობიერებას. პოლიტიკური ყოფიერება ნიშნავს მხოლოდ მატერიალური წესით არსებობას. ამ აზრით იხმარება პოლიტიკური ყოფიერების ცნება პოლიტოლოგიის ძირითადი საკითხის – პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების დამოკიდებულების საკითხის ფორმულირებისას.

პოლიტიკური ყოფიერება არის ობიექტური პოლიტიკური რეალობა მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მისი ლოგიკური კატეგორია მოიცავს საზოგადოების პოლიტიკური სფეროს შემადგენელი ნაწილების – საზოგადოებაში ფუნქციონირებადი პოლიტიკური ჯგუფებისა და ფენების მოღვაწეობის რეალურ პროცესებს, პოლიტიკური ურთიერთობების, პოლიტიკური კავშირების და სისტემის, პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირების თავისებურებებს, მთლიანად იმ ურთიერთობებს, რომლებშიც ადამიანები ჩაერთვებიან პოლიტიკურ-პრაქტიკულ მოღვაწეობის პროცესში.

ადამიანის პოლიტიკური ყოფიერების თავისებურება განსაზღვრულია საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურით. ადამიანის პრაქტიკული, პოლიტიკური ცნობიერების მქონე არსებაა, რომელიც თავისი აქტიური პოლიტიკური მოქმედებით ქმნის პოლიტიკურ კულტურას. ადამიანის პოლი-

ტიკურ ყოფიერებას გამოხატავს საზოგადოების პოლიტიკური ყოფიერების ცნება. მისი პოლიტიკური ყოფიერება განსაკუთრებული და სპეციფიკურია, მაგრამ მთელი პოლიტიკური ყოფიერების მასზე დაყვანა დაუშვებელია, ვინაიდან ის განსხვავდება პოლიტიკური ყოფიერების სხვა ფორმებისაგან.

აღნიშნული მნიშვნელობით გაგებულ პოლიტიკური ყოფიერების კატეგორიის შინაარსში პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულება წარმოდგენელია ისე, რომ პოლიტიკური ყოფიერება პირველადი და განმსაზღვრელია, ხოლო პოლიტიკური ცნობიერება – მეორადი და განსაზღვრული.

პოლიტიკური ყოფიერების განმსაზღვრელი როლი პოლიტიკური ცნობიერების მიმართ არის ქართული პოლიტიკური განვითარებისა და პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი კანონი. ქართული პოლიტიკური ყოფიერება პირველადია იმ აზრით, რომ ის განსაზღვრავს ქართული პოლიტიკური ცნობიერების იდეურ შინაარსს ფორმების ცვლილებებს, მისი პოლიტიკურ ცნობიერებაზე აქტიური ზემოქმედების მექანიზმს. პოლიტიკური ყოფიერება პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს ცვლილებებს პოლიტიკურ ცნობიერებაში. თავის მხრივ, პოლიტიკური ცნობიერება აქტიურ გავლენას ახდენს ქართულ პოლიტიკურ ყოფიერებაზე, ხელს უწყობს მის ფუნქციონირებას და განვითარებას. ქართული პოლიტიკური მეცნიერების კანონები ეყრდნობა პოლიტოლოგიის ამ ძირითად პრინციპს და მასში პოულობენ თავის მეცნიერულ ახსნას.

ქართული პოლიტიკური ყოფიერების ძირითადი ფორმებიდან აღსანიშნავია: ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის არსებული პოლიტი-

კურ ურთიერთობათა ყოფიერება; ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობების ყოფიერება; პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობათა ყოფიერება; სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა ყოფიერება; პოლიტიკურ ლიდერებს შორის ურთიერთობათა ყოფიერება; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ურთიერთობათა ყოფიერება; ქართული და საზღვარგარეთის სახელმწიფოების ურთიერთობათა ყოფიერება. ქართულ საზოგადოებაში არსებული ყველა სახის პოლიტიკურ ურთიერთობათა ყოფიერება, რომელიც დაკავშირებულია ქართული სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების, ფუნქციონირების და განვითარების პრობლემებთან.

პოლიტიკასა და პოლიტიკურ ურთიერთობებზე, როგორც ობიექტურ რეალობაზე ადამიანებს გააჩნიათ გარკვეული იდეური რეაქცია ანუ პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც წარმოადგენს ქართული პოლიტიკისა და პოლიტიკური პროცესების აუცილებელ თანმდევ მოვლენას.

პოლიტიკური ცნობიერება წარმოადგენს ქართული საზოგადოების ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს. გარკვეული თვალსაზრისით ის მატერიის კატეგორიის საწინააღმდეგო მოვლენაა, ამავე დროს მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული. პოლიტიკური ცნობიერება ჩვეულებრივ არ არსებობს წმინდა სახით, ის დაკავშირებულია სინამდვილის გაცნობიერების სხვა ფორმებთან და სახეებთან. ის ხშირ შემთხვევაში გადაჯაჭვულია მორალურ შეხედულებებთან, ვინაიდან ადამიანები პოლიტიკასა და პოლიტიკურ მოვლენებს აფასებენ ძირითადად სიკეთისა და ბოროტების მორალური კატეგორიების თვალსაზრისით, მაშინ როდესაც მათი

შეფასება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიისა და მეცნიერების კატეგორიების თვალსაზრისით.

პოლიტიკური ცნობიერება ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივ ცნობიერებასთან, ვინაიდან მრავალი პოლიტიკური ურთიერთობა რეგულირდება სამართლით. ხშირ შემთხვევაში კი სამართალთან დამოკიდებულება განისაზღვრება პოლიტიკური შეხედულებებით.

ქართული პოლიტიკური ცნობიერება არის შეხედულებების, ცნებების, წარმოდგენების, განწყობების და გრძნობების ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი მოქალაქეების სუბიექტურ დამოკიდებულებას ამჟამად მოქმედი და მომავალში სასურველი პოლიტიკისა და პოლიტიკური მოვლენებისადმი.

ქართული პოლიტიკური ცნობიერება, ისევე როგორც საერთოდ პოლიტიკური ცნობიერება სისტემური ფენომენია, ვინაიდან ის ასახავს საზოგადოების პოლიტიკურ სისტემის კანონზომიერებას, მისი როგორც რთული სისტემური წარმონაქმნის პირველი და გაერცელებული ელემენტია პოლიტიკური იდეოლოგია. ის შეიცავს აზრებს, ცნებებს და წარმოდგენებს პოლიტიკისა და პოლიტიკური ხელისუფლების, სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური მოვლენების შესახებ, აგრეთვე დიდი პოლიტიკური მოღვაწეების შეხედულებებს, მათ ფუნდამენტალურ პოლიტოლოგიურ შრომებს და სხვა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების სტრუქტურული ელემენტია აგრეთვე პოლიტიკური ფსიქოლოგია, რომელიც შეიცავს გრძნობებს, ემოციებს, განწყობებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ემოციურ ელემენტს. ემოციები ორგანულად არიან ჩართული ჩვენი პოლიტიკური ცნობიერების სტრუქტურაში, ვინაიდან ადამიანს პოლიტიკური

ურთიერთობების სფეროში არ შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ აზროვნებით, რაციონალური ელემენტით. ემოციური, დადებითი ან უარყოფითი ელემენტი არსებითად მოქმედებს პოლიტიკური სუბიექტის ქცევის ხასიათზე. მაგალითად, კონკრეტული ადამიანის კმაყოფილება ან უკმაყოფილება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკით. პოლიტიკური ფსიქოლოგია პოლიტიკური იდეოლოგიისაგან განსხვავებით, საზოგადოებაში, როგორც წესი, ვრცელდება სტიქიურად. მისი საინფორმაციო ბაზა შეიძლება გახდეს დაყრილი ხმები, არასწორად გაგებული პოლიტიკური მოვლენები, ჭორები და სხვა მსგავსი ქმედებები. ეს მოვლენები ქართული პოლიტიკური ფსიქოლოგიის მეტად დამახასიათებელი ნიშნებია. პოლიტიკური მოვლენების შემეცნებისა და შეფასების პროცესში ემოციური ელემენტი დაუპირისპირდა რაციონალურს და თითქმის გამოდევნა კიდეც, რაც საბედისწერო შეცდომის მიზეზი გახდა.

საერთოდ და კერძოდ, ქართული პოლიტიკური ცნობიერების ელემენტია ქცევითი ელემენტი, რომელიც შეიცავს ქცევის მოტივებს, შინაგან განწყობას და მოქმედებისათვის მზადყოფნას. ის თავის თავში აერთიანებს პოლიტიკურ იდეოლოგიას და პოლიტიკურ ფსიქოლოგიას, უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ნებელობით პოზიციასთან, მის მტკიცე რწმენასთან, ადამიანის დასახული მიზნის მისაღწევად პრაქტიკული საქმიანობის ფსიქიკურ მხარესთან. იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ელემენტები წარმოადგენენ საქმიანობის იდეურ-ფსიქოლოგიურ საფუძველს და წანამძღვარს, ხოლო ქცევითი ელემენტი არის მისი უშუალო შინაგანი სტიმული.

ქართული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში პოლიტიკურ ცნობიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ის

არა მარტო ასახავს პოლიტიკურ პროცესებს და მოვლენებს, არამედ კიდეცაც ქმნის მათ. ისინი იწყებენ ადამიანთა ცნობიერებაში, მათი ღრმა გააზრების გარეშე შეუძლებელია სწორი და ხალხისთვის სასარგებლო პოლიტიკის განხორციელება. ამიტომ სხვადასხვა სახის რეფორმატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ღირებულებითი ორიენტირები პოლიტიკური ცნობიერების ხასიათისა, საუკუნეობრივი ტრადიციებისა და სტერეოტიპების შეცვლა გარკვეულწილად და უფრო ძნელია, ვიდრე ობიექტური სინამდვილისა.

ახალი ქართული პოლიტიკური ცნობიერების შემქმნელები შეეცადნენ წინ გაესწროთ სოციალური პრაქტიკისათვის, გაეხადათ ცნობიერება პოლიტიკური პროცესების მასტიმულირებელ ფაქტორად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ტენდენციურობისა და არაობიექტურობის გამო არასწორად ასახავდა და ასახავს სოციალურ სინამდვილეს, რაც იწვევს ვოლუნტარიზმს პოლიტიკაში. პოლიტიკურმა სუბიექტებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, ხელმძღვანელობენ სუბიექტური მოსაზრებებით, იღებენ თვითნებურ და არასწორ გადაწყვეტილებებს.

ქართველი ხალხის საუბედუროდ უკანასკნელი სამოცდათეული წლის განმავლობაში მისი პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ მიღებული ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობები მომზადებული არ იყო მათი განხორციელებისათვის არანაირი შესაძლებლობა ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობდა. ამიტომ დასახული მიზნები ფაქტობრივად მიღწეული არ არის, ადამიანთა დიდი მსხვერპლი, გაპარტახებული და დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა გაღარიბებული და დამ-

შეულ ადამიანთა დიდი რაოდენობა კი სახეზეა. პოლიტიკური ქარაფშუტობის ერთი ტრაგიკული მაგალითიც შექმნილია, ჩვენდა საუბედუროდ.

პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების პოლიტოლოგიური პრობლემის მეცნიერულ გადაჭრას თეორიულ-მეთოდოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისიდან შეიძლება შეიქმნას აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს პოლიტიკური ყოფიერება უშუალოდ განსაზღვრავს პოლიტიკურ ცნობიერებას, რომ მატერიალური პოლიტიკური ურთიერთობანი წარმოადგენენ იდეური პოლიტიკური ცნობიერეიბის უშუალო საფუძველს, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს მისგან. ეს თვალსაზრისი წარმოადგენს აღნიშნული მოელენების ურთიერთკავშირის ეულგარიზაციას და პრიმიტულ გაუბრალოებას. პოლიტიკური ყოფიერებიდან ყველა პოლიტიკური თეორიის, მოძღვრების, შეხედულების გამოყვანა შეუძლებელია. მაგრამ ის და მისი შესაფერისი საგნობრივ-პრაქტიკული მოღვაწეობა წარმოადგენს პოლიტიკური ცნობიერების მთელი სისტემის განმსაზღვრელ ფაქტორს. პოლიტიკური ყოფიერება განმსაზღვრელად ზემოქმედებს ადამიანთა პოლიტიკურ ცნობიერებაზე ისეთი შუალედური რგოლების საშუალებით, როგორიც არის სახელმწიფო და სახელმწიფო ხელისუფლება, სამართლებრივი ურთიერთობანი და სხვა. რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებასა და განვითარებაზე.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების ფორმირების პირობების აბსოლუტურად მოუმზადებლობამ, განაპირობა მათი ფუნ-

ქციონირების უკიდურესად მავნე, კატასტროფული შედეგები.

პოლიტიკურ მეცნიერებათა ფუნდამენტალური კატეგორიების – პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკური ცნობიერების შინაარსის მეცნიერული კვლევის შედეგად შეიძლება გამოითქვას თვალსაზრისი მათი არსებითი თანაფარდობის შესახებ. აღნიშნული ცნებები პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც სინონიმები, მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის არსებობს ზოგიერთი განსხვავებაც. კერძოდ, პოლიტიკური აზროვნება ძირითადად აღნიშნავს პოლიტიკური ცოდნის ფორმირების პროცესს პოლიტიკური ყოფიერების შესახებ, აგრეთვე, პოლიტოლოგიური ცნებების, დებულებებისა და დასკვნების შექმნის პროცესს, რომელთა საწყისი ეტაპია შეგრძნებებისა და გრძნობითი აღქმების ფორმირება. ამ მხრივ, პოლიტიკური აზროვნება წარმოადგენს პოლიტიკური ცნობიერების პირველ საწყის ეტაპს.

პოლიტიკური ცნობიერება კი შეიცავს პოლიტიკური აზროვნების პროცესში მიღებულ შედეგებს, აგრეთვე საქმიანობას შექმნილი დასკვნების გამოსაყენებლად პოლიტიკური ყოფიერების შემეცნებისა და გარდაქმნის მიზნით პოლიტიკური ყოფიერებისა და პოლიტიკური ცნობიერების ცნებების თანაფარდობის პრობლემა პოლიტიკურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემაა და ამიტომ აუცილებელია მისი ინტენსიური მეცნიერული კვლევა.

მეორე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმები

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების არსის ღრმად და ყოველმხრივი გაგებისთვის საჭიროა მისი სახესხვაობათა ანალიზი. საერთოდ პოლიტიკური ცნობიერებისა და მათ შორის ქართულის სახეებად დაყოფის ერთ-ერთი საფუძველია პოლიტიკისა და პოლიტიკური ურთიერთკავშირის არსებაში ჩაწვდომის დონე. ამ ნიშნის მიხედვით ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში გამოიყოფა სამი დონე:

პირველი. ჩვეულებრივი პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც ახასიათებს ქართული საზოგადოების ძირითად მასას, რომელიც ფორმირდება ყოველდღიური ცხოვრების პირობებში. მისთვის დამახასიათებელია აშკარად გამოხატული სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნები – ემოციურობა, იმპულსურობა, პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობაზე სწრაფი, ხშირად დაუფიქრებელი რეაგირება. ჩვეულებრივი პოლიტიკურ ცნობიერებას ახასიათებს აგრეთვე, უსისტემობა, წინააღმდეგობრიობა, სტიქიურობა, რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკაზე ყოფითი წარმოდგენებისა და მსჯელობის შედეგად, იმის მიხედვით ხელს უწყობს თუ არა სახელმწიფოს პოლიტიკა ინდივიდის, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ჩვეულებრივი პოლიტიკური ცნობიერების მიერ შემუშავებული ქცევის სტერეოტიპები საკმაოდ მყარია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს სურთ გადაწყვიტონ პრობლემები ერთი ხელის მოსმით, ერთბაშად, პრობლემების გადაწყვეტის ტექნოლოგია კი გაცნობიერების გარეშე რჩება. ამიტომ ჩვეულებრივ ცნობიერებაზე ადვილად მოქმედებს დემაგოგი და კარიერისტი ლიდერების პოპულიზმი. რომლებიც ხელისუფლებისათვის ბრძოლის პე-

რიოდში პირობას დებენ შემოიღონ და დანერგონ სასურველი მომავლის იდეალური მოდელი სულ მოკლე ხანში. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ გარდაქმნის პერიოდის დასაწყისში შემუშავდა უტოპიური პროგრამა განეხორციელებინათ რეფორმები და გამოეყვანათ ქვეყანა კრიზისიდან 500 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ კი, ქართველმა პოლიტიკოსებმა უტოპიური პროგრამებით გააცვეს ქართული პოლიტიკური ცნობიერება, რომელთა საფუძველზე რეფორმებისა და რევოლუციების განხორციელებამ ქვეყანა პირწმინდად ჩააგდო კატასტროფაში. ამ მხრივ ჩვენებური პოლიტიკოსები, ალბათ პირველ ადგილზეც კი არიან თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

მეორე. პროფესიული პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც უნდა ახასიათებდეს სახელმწიფო აპარატის თანამშრომლებს და პოლიტიკოსებს. ზოგადად პოლიტიკური ცნობიერების ამ ფორმას უნდა ახასიათებდეს სისტემატიზებული ცოდნა სახელმწიფოს, მისი პოლიტიკისა და დემოკრატიის შესახებ, პოლიტიკური პროცესების მართვის უნარი. სახელმწიფო მოსამსახურების აუცილებელი პროფესიონალიზმის საფუძველია კომპეტენტურობა. ჩვენს სახელმწიფო აპარატში კი როგორც სხვა ქვეყნებში პროფესიონალიზმს აშკარად უპირისპირდება დილეტანტიზმი, რომელიც აგრესიულია, მაქსიმალურად თავდაჯერებულია და ავიწროებს პროფესიონალიზმს. პრაქტიკულად დილეტანტიზმი გამოიხატება გონივრული მართვისთვის აუცილებელი ცოდნისა და ორგანიზატორული საქმიანობის უნარის არქონაში, თავისი მოქმედებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შეცდომების გათვალისწინების უუნარობაში. ზოგიერთმა ქართველმა დილეტანტმა ბევრი აუცილებელი რეფორმის კომპრომენტაცია მოახდინა და ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

ამიტომ თანამედროვე პირობებში პროფესიული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მეცნიერებმა და პოლიტიკურმა მეურვემ. მისი არარსებობა ქვეყნის და საზოგადოების დიდად საზიანოა.

მესამე. საერთოდ პოლიტიკური ცნობიერებისა და კერძოდ ქართულის ძირითადი ფორმა არის თეორიული, მეცნიერული ცნობიერება. როგორც წესი, ის ახასიათებს მკვლევარებს, მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც იკვლევენ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. ზოგადად მისი ფორმირება ხდება პოლიტიკური სინამდვილის კვლევის და ღრმა მეცნიერული განზოგების საფუძველზე. ამიტომ პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მეცნიერული ცნობიერების მიღწევების საფუძველზე, რაც გარდაქმნების ეფექტურობის, საზოგადოებისათვის დადებითი შედეგების მიღწევის ძირითადი პირობა არის, ჩვენდა საუბედუროდ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში თეორიულ, მეცნიერულ ცნობიერების ფორმირებასა და განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცევა, დათარეშობს სხვადასხვა სახის დილეტანტიზმი -- საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ჩვენდა საუბედუროდ, უკანასკნელ თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში განხორციელებული ობიექტურად აუცილებელი ბევრი გარდაქმნის ეფექტურობის მისაღწევად მეცნიერული რეკომენდაციები არ იყო შემუშავებული რომელთა გარეშე შეუძლებელი იყო ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა, მართვის დემოკრატიული მეთოდების დანერგვა, ქვეყნის განვითარება.

ჩვენ ქართველ ხალხს ვაბრძოლებდით დასახული

დიდებული მიზნების მისაღწევად ისეთ პირობებში, როცა მეცნიერების მიერ დასაბუთებული არცერთი საფუძველი და წინაპირობა არ იყო მომზადებული მიზნის მისაღწევად. ჩვენმა ასეთმა საქმიანობამ განაპირობა საქართველოს კატასტროფული მდგომარეობა.

ეს შემზარავი ფაქტი არ შეიძლება გამოწვეული იყოს მარტო ჩვენი პოლიტიკოსის დილეტანტიზმით და პოლიტიკური ქარაფშუტობის მიზეზით. ის გამოიწვია აგრეთვე არაქართველ ადამიანთა ჯგუფების წინასწარ განზრახულმა მტრულმა ქმედებებმა იმ მიზნით, რომ მოისპოს ქართული ჯიში, ფიზიკურად განადგურდეს ქართველები. ამ მხრივ აქტიურად მოქმედებს ქართველთა სამხრეთელი მეზობელი. მისი ათმანეთად აქართველებული თანამემამულეების სახით. ამჟამად სომხების ერთმა ჯგუფმა მიმართა გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას თხოვნით სომხების კუთვნილებად აღიაროს საქართველოში არსებული ქართველების კუთვნილი 400 ეკლესია და მონასტერი. გაჩნდა კიდევ ერთი სომხური, ანტიქართული მონაზმახი.

ქართული პოლიტიკური ცნობიერებაშეიძლება დიფერენცირებულ იქნეს მისი სუბიექტების მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით არსებობს ინდივიდუალური, ჯგუფური, მასობრივი და საზოგადოებრივი ცნობიერება.

პირველი. ინდივიდუალური პოლიტიკური ცნობიერება შეიცავს ცალკეული ინდივიდების ინტელექტუალურ-ფსიქიკურ მოღვაწეობას, რომელიც შედგება შეგრძნებებისაგან, რომლებიც მიღებულია გრძნობის ორგანოების მეშვეობით, ტვინის ინტელექტუალური მოქმედებისა და ემოციებისაგან და მიმართულია პიროვნების მიერ პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ადგილისა და როლის გაცნობიერებისაკენ. ქართუ-

ლი იდივიდუალური პოლიტიკური ცნობიერება გულისხმობს აგრეთვე ადამიანის მიერ თავისი პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებათა შეთვისებას და უნარს უხელმძღვანელოს მათ კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში. აღსანიშნავია, აგრეთვე, პირადი თავისუფლება. ინდივიდუალიზმი, პიროვნების ავტონომია, რომელიც უარყოფს მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას. ჩვენი ინდივიდების ლიბერალური აზროვნების მიხედვით ადამიანი კი არ უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს, არამედ, პირიქით, სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს.

ქართული ინდივიდუალური პოლიტიკური ცნობიერების მთელმა რიგმა მცდარმა იდეამ განაპირობა თანამედროვე საქართველოს უმძიმესი მდგომარეობა. ამ მხრივ დრამატულია აზრი – თავისუფლება არს ვაკეთო ის, რაც მსურს პირადად მე. ბევრი სხვა იდეული „მარგალიტი"

მეორე. ჯგუფური პოლიტიკური ცნობიერება არის პოლიტიკური წარმოდგენები და გრძნობები, რომელთა მატარებლები არიან ჩვენი საზოგადოების კლასები, სოციალური ფენები და ჯგუფები, პროფესიული გაერთიანებები. ერთი სოციალური ჯგუფის პოლიტიკური ცნობიერება შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სხვა ჯგუფების ცნობიერებისგან. არსებითად განსხვავდება პოლიტიკური ცნობიერება იმ კლასებისა, რომლებიც არსებობენ და მოქმედებენ ჩვენს კლასობრივ-ანტაგონისტურ საზოგადოებებში.

განსხვავებული პოლიტიკური ცნობიერება აქვს აგრეთვე ჩვენი მოსახლეობის ასაკობრივად სხვადასხვა ფენებს და პროფესიულ ჯგუფებს.

ჯგუფური პოლიტიკური ცნობიერება არ არის მარტივი ჯამი იმისა, რასაც გრძნობს და ფიქრობს ცალკეული ადამიანები, რომლებიც ქმნიან ჯგუფებს. ჯგუფში, კოლექტივ-

ში ადამიანზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს გარემო, რის შედეგად ყალიბდება კონფორმისტული გუნება-განწყობილება. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა ჩვენი ადამიანი არ ცდილობს გამოიმუშაოს საკუთარი აზრი პოლიტიკურ მოვლენებზე. ბევრი ადამიანი ცდილობს გამოიყენოს სხვების პოლიტიკური შეხედულებანი და წარმოადგინოს ისინი როგორც საკუთარი. იმ შემთხვევაში, როცა ასეთ შეხედულებას იზიარებს ბევრი ადამიანი იქმნება „ჯოგური" გრძნობა. გარშემომყოფთა აზრები და განწყობილებანი არის ისეთი გადამდები, რომ ადამიანი იქცევა ისე, „როგორც სხვები".

უკვე თითქმის 30 წელია გვჯერა და პრაქტიკულ საქმიანობაში ვიყენებთ ჩვენი დისიდენტების, „ჰელსინკის კავშირის", „მოქალაქეთა კავშირის", „ნაციონალების", „დემოკრატების" და ბევრი სხვა ისტებისა და იზმების, სოციალურად ნაკლებსასარგებლო პოლიტიკურ შეხედულებებს, რომელთა მიმდევრობამ ქართველები თვითლიკვიდაციამდე მიგვიყვანა. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით ფიზიკური ლიკვიდაციისაგან თავის დაღწევას ვერ შევძლებთ, ჩვენ ჭაუის დამრიგებელი, პოლიტიკური მერუვე გვჭირდება, როგორც ბრძანებდა საქართველოს დიდი მოამაგე თავადი გიორგი ერისთავი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი არსებობის დღეები ცოტა დარჩა.

მესამე. მასობრივი პოლიტიკური ცნობიერება ახასიათებს ადამიანთა არასტაბილურ დროებით გაერთიანებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, მეამბოხე ბრბოებს.

თანამედროვე საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ჩვენს საზოგადოებაში შექმნილი სოციალურ-ფსიქოლოგიური ვითარება: სამწუხაროდ, ქართველი ხალხის მცირე ნაწილი დემოკრატიული ტრადიციების არქონისა და პოლიტიკური განათლების

დაბალი დონის გამო ბრბოს იდეურ დონეზე აღმოჩნდა. მას ახასიათებს ის თვისებები, რომლებიც დადგენილია გამოჩენილი მეცნიერის პროფესორ გ. ლებონის მიერ ნაშრომში „ხალხთა და მასების ფსიქოლოგია"[1].

უპირველეს ყოვლისა, ინდივიდების ნაწილი ფსიქოლოგიურად მთლიანად დათრგუნულები იყვნენ თავის ვნებებში, მთლიანად დამორჩილებული ბრბოსადმი. ქართული ბრბოს ელემენტებსაც მიუხედავად მათი ხასიათის თავისებურებისა წარმოექმნათ კოლექტიური სული, რომელიც განსხვავდებოდა მათი ინდივიდუალური სულისგან და ქცევისგან.

შემდეგ, არაცნობიერი თავისუფლად თარეშობდა და ბატონობდა ცნობიერზე. ინდივიდები სტიქიურად მოქმედებდნენ. პარალიზებული ჰქონდათ გააზრებული, ცნობიერი საქმიანობის უნარი. მათ სტიქიურად დაუჭირეს მხარი გიპნოზიორებს, არაკომპეტენტურ დემაგოგ-კარიერისტებს და დალუპეს საქართველო. ბრბოსთვის უცხო იყო იმის შეგნება, რომ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური წყობილება, ეროვნული დამოუკიდებლობა, დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობა და სხვა დიდი ეროვნული ღირებულებანი ცარიელ ნიადაგზე არ წარმოიშობა, რომ მათი მიღწევისათვის საჭიროა მრავალგვარი და მრავალრიცხოვანი წინასწარ შექმნილი წანამძღვრები და საფუძვლები, რომელთა არ არსებობის პირობებში რევოლუციურ გარდაქმნათა განხორციელების მცდელობა პოლიტიკური ავანტიურაა. მას ადამიანთა დიდი უშედეგო მსხვერპლი მოყვება. მიზანი კი მიუღწეველი დარჩება, ქვეყანა კატასტროფაში ჩავარდება.

ქართულმა ბრბომ, რომლის ხვედრითი წონა ჩვეულებრივზე მეტი იყო ქართულ მოსახლეობაში გამოამჟღავნა ბრბოს ისეთი საყოველთაო თვისებაც, როგორიც არის უხო-

---

1 Лебонт Г. Психология народов и масс. СПБ. 1895 с. 12

მო, გადაჭარბებული მიმდობლობა და შთაგონებაზე აღ-
ჭილად დამყოლობა. ბრბო დახელოვნდა არაცნობიერის
სფეროში, არ გაანდა აზროვნების ლოგიკა, მიდრეკილი იყო
სხვადასხვა ლეგენდების, მითების, მეტად არადამაჯერებე-
ლი მონანმახების შეთვისებისადმი, კოლექტიური პალუცინა-
ციებისადმი.

ობიექტური თვალსაზრისი ძლიერი ისტორიული პიროვნებების შესახებ ბრბოს წარმოსახვას სულ მოკლე დროში შეუძლია ნაწილობრივ მაინც შეცვალოს. ი. სტალინი საბჭოთა კავშირის არსებობის 30 წლის მანძილზე წარმოდგენილი იყო მოსახლეობის დიდი ნაწილის – ღარიბ-ღატაკი და ნახევრად მშიერი, ფეხშიშველა და ტყაპუჭიანი, მთლიანად გაუნათლებელი. წერა-კითხვის უცოდინარი, ნისლით და ყარვით დახურულ ქოხებში მცხოვრები, ადამიანური ჰიგიენის დაცვისათვის აუცილებელი საშუალებებს მოკლებული, თურქების მიერ დაპყრობილი, გერმანიის მთავრობის მიერ მუდმივ მონად გადასაქცევ ხალხის დამხსნელად და განმავითარებლად. წარმოადგინეს სისხლიან დესპოტად. დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართველები სრულებითაც არ იყვნენ უკიდურესად ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ხალხი. რომ თითქოს გერმანიის მთავრობა სრულებითაც არ აპირებდა ქართველების მუდმივ მონებად გადაქცევას ქართველების მსოფლიო კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურების გამო, რომ სტალინმა უხურპაცია გაუკეთა სახელმწიფო ხელისუფლებას და თავისი პატივმოყვარეობისთვის დაღუპა ქართველების დიდი რაოდენობა, ყველაფერი ის, რასაც წერენ დადებითს სტალინზე მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, დიდი მხედარმთავრები, მეცნიერები და ბევრი სხვა თურმე ბლეფია. 1937 წელს მოსკოვში თურმე არავითარი სამხედრო გადატრიალება

არ იყო მომზადებული ბოლშევიკური პარტიასა და საბჭოთა ხელისფულების ხელმძღვანელთა მოსპობის მიზნით ეს აზრი თურმე ხალხის მოტყუების მიზნით არის შეთხზული. გამდიდრებისთვის მგლურად მებრძოლი მჩაგვრელების, დემაგოგების, კარიერისტების, ფალსიფიკატორების აზრების გაელენით ბრბომ ახლო მომავალში შესაძლოა კითხვის ქვეშაც კი დააყენოს ი. სტალინის არსებობის ფაქტიც ასეთივე საშინაროების წინაშე უკვე რეალურად დგას იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტიც. მსოფლიოს ყველაზე დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, უდიდეს მხედარმთავარს უკვე ორი საუკუნეა ურცხვად კორტნიან ცილისმწამებელი კაცუნები. 150 მითი კი სტალინზე უკვე შეთხზულია ცილისმწამებლების მიერ მონაჭორების შეთხზვა გრძელდება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, საერთოდ ბრბოს და კერძოდ ქართულის მიდრეკილება უკიდურესობაში ჩავარდნისადმი, მიმდინარე მოვლენების ტენდენციური შეფასებისადმი, გრძნობებისა და აღქმების ცალმხრიეობისადმი. ბრბოს ეს საყოველთაო თვისება ქართულ ბრბოში გამოვლინდა იმაში, რომ მის მოქმედებაში არ ჩანდა ეჭვები და მერყეობანი, ყოველთვის ვარდებოდა უკიდურესობაში, გამოთქმული ეჭვები და მერყეობანი მაშინვე გადაიქცეოდა უეჭველ სიცხადედ, ჩასახვის პროცესში მყოფი ანტიპატიისა და მოუწონლობის გრძნობა მაშინვე გადაიქცეოდა აშკარა ზიზღად.

ქართულ ბრბოშიც ინდივიდები ნაწილი უახლოვდებოდა პრიმიტიულ არსებებს, კარერისტი უვიცი, შურიანი და ხარბი ადამიანები განთავისუფლებული იყვნენ თავიანთი არარაობისა და უძლურების შეგრძნებისაგან, უხეში ძალის შეგრძნება ჭარბობდა და უზომო იყო. ბრბოს ნიშნებიდან, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. აღსანიშნავია, სხვადასხვა სახ-

ის სამიტინგო ლოზუნგებით, მოწოდებებით გატაცება, მათი დიდი ძალის შეგნება, იმპულსურობა, გაღიზიანებულობა, შეხედულებებსა და განწყობებში არასტაბილურობა, კონსერვატიზმი და შეუწყნარებლობა.

ქართველი ბრბო გამოირჩეოდა ბრბოს ისეთი საერთო თვისებით, როგორის არის მსჯელობებში ავტორიტარულობა, ის არ ითმენდა არავითარ საწინააღმდეგო აზრს, არავითარ შეპასუხებას. ასეთ ადამიანებს დაუყოვნებლივ აძევებდა, აგინებდა და ლანძღავდა, მცირე შეპასუხებაც კი დაუყოვნებლივ იწვევდა ყვირილს და ბრბოში მძვინვარე ლანძღვა-გინებას, ორატორის გაძევებას, ცემა-ტყეპას, საცხოვრებელი ბინის ტყვიით დაცხრილვას, მოწინააღმდეგის მკვლელობას და მისთანებს.

ქართულ, ისევე როგორც სხვა ბრბოში გაერთიანებული ადამიანების სიმპათია მოძალადის მხარეზე იყო, მაგრამ მას სწრაფად ივიწყებდა, როცა ის ძალას კარგავდა. ამჟამად უკვე დავიწყებულია მრავალი მოძალადე უზურპატორი, ტერორისტი დემაგოგი და კარიერისტი რომლებმაც გამდიდრების მიზნით საქართველო დააქუცმაცეს, სახალხო ქონება დაირიგეს, მისი გადანაწილების მიზნით სახელმწიფო გადატრიალებები მოაწყვეს, რომლებსაც ისინი რევოლუციისგან ვერ ანსხვავებენ.

ქართული ბრბოს საქართველოსთვის მაინც საქმიანობას წარმართავდნენ საკუთარი გამდიდრებისათვის, ძალზე ოსტატურად იყენებდნენ სახელმწიფოს მართვის უცოდინარი, დემაგოგი, ჩვენი კარიერისტი ზოგიერთი თანამემამულეები, არაქართველი შინაგანი და გარეგანი მტრები.

აუცილებელია ღრმად გააზრებული და გათვალისწინებული იქნეს პროფესორ გ. ლებონის და სოციალური ფსიქოლოგიის სხვა სპეციალისტების აზრი იმის შესახებ,

რომ ცნობილ მოულენათა ზემოქმედების შედეგად მთელი ხალხიც შეიძლება გახდეს ბრბო[2]1. ასეთი ცნობილი მოვლენებია: ქვეყნის მოსახლეობის ზოგადი და სპეციალური პოლიტიკური განათლების დაბალი დონე; დემოკრატიული ტრადიციების არარსებობა, ოფიციალური იდეოლოგიისა და პროპაგანდის მიერ მასების ცნობიერებაზე მასირებული ზემოქმედება, მოსახლეობის გამოთაყვანება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვითნებური ზემოქმედებით, ტყუილებით და ჭორებით; გამდიდრებისათვის მებრძოლი დემაგოგების და კარიერისტების მიერ გავრცელებული მითები, ჭორები და სხვ.

სოციალური ფსიქოლოგიის თეორიულ დებულებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოს არსის გარკვევაში, იმის დადგენაში, თუ რა პირობებია საჭირო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის, რა განსხვავებაა დემოკრატიას და ფსევდოდემოკრატიას შორის, დემოკრატიას, „მასოკრატიას", „ბრბოკრატიას" და „ოხლოკრატიას" შორის.

ქართულ საზოგადოებაში მოქმედი მთლიანად უზნეო გაქცილი დემაგობებისა და კარიერისტების ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია ქართველი ხალხის ნაწილის გადაქცევა ბრბოდ. ჩვენ გვაკლია პოლიტიკური განათლება და პოლიტიკური კულტურა, არ გვაქვს დემოკრატიული ტრადიციები და სხვა. ასეთი ხალხი და მისი ხელმძღვანელები ამჟამად ჩვენი ქვეყნის განვითარების ურთულეს პრობლემებს. რაციონალურად ვერ გადავწყვეტთ, გარკვეულწილად ბრბოსაგით ვიმოქმედებთ; გვექნება არა ნამდვილი დემოკრატია, არამედ „ბრბოკრატია". ამიტომ აუცილებელია საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესის შესაბამის-

2 Лебонт Г. Указ. с. 181-182

ად მეურვედ მოვიწყიოთ ცივილიზებული ძლიერი და პრინციპული, თავისი დაპირებების შემსრულებელი სახელმწიფო.

ქართული პოლიტიკური ცნობიერება რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენაა, ვინაიდან ადამიანების გამოთქმული აზრები განსხვავებული, ხშირად უსაფუძვლოდ დაპირისპირებული და უკიდურესად ეგოისტურია.

საქართველოში პოლიტიკური ცნობიერების სირთულისა და წინააღმდეგობრიობის ერთ-ერთი მიზეზია მისი მოსახლეობის სიჭრელე და არაერთგვაროვნება, ცალკეულ შემთხვევებში ქართული ეროვნული ინტერესებისადმი მათი იდეური დაპირისპირება.

მასობრივი პოლიტიკური ცნობიერება აქტიური პოლიტიკური შინაარსის მატარებელია. ადამიანთა მასები თეორიულად და სახელმწიფოებრივად არ აზროვნებენ, ხოლო მათთვის სასარგებლო პოლიტიკური მოქმედებების დაუყოვნებლივ განხორციელებას მოითხოვენ.

მასობრივი პოლიტიკური ცნობიერების შინაარსი მითოლოგიურია. ის ხშირ შემთხვევაში ემყარება მცდარ შეხედულებებსა და მითებს: ზოგიერთი მეცნიერი-პოლიტოლოგის აზრით, მითების ფესვები ადამიანთა ცნობიერების ღრმა პლასტებშია და განმსაზღვრელ როლს თამაშობს ადამიანთა მასობრივ პოლიტიკურ ცნობიერებასა და ქცევაში.

პოლიტიკური მითი მისი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობით არის მცდარი პოლიტიკური რწმენა. მასში სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენები წარმოდგენილია. როგორც ჭეშმარიტი, თუმცა ისინი ხშირ შემთხვევაში სრულებითაც არ არიან ასეთები.

მსოფლიოს ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწის ი. ბ. სტალინის შესახებ თურმე ცილისმწამებლებს შეუთხზავთ 150 მითი. არცერთ დიდ, ისტორიულ პიროვნებაზე არ არის

შეთხზული ამდენი მონაჭორი, რომელშიც სიმართლის ნატამალიც კი არ არის.

ჩვენს რეალურ სოციალურ ცხოვრებაში ერთი სახის მითები იცვლებიან სხვა სახის მითებით იმ მიზეზით, რომ ისინი იქმნებიან საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების რეალურ ნიადაგზე. ქართულ მასობრივ ცნობიერებაში დიდი ხნის მანძილზე ბატონობს და დათარეშობს დისიდენტების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეთხზული მითი საქართველოში კაპიტალისტური წყობილების იდეალურობის შესახებ, რომ მას თითქოს კაპიტალისტური ბაზრის მეშვეობით შეუძლია კეთილდღეობა მოუტანოს საქართველოს მოსახლეობას. „დისიდენტ-დემოკრატების" მიერ ზევიდან რესტავრირებული ქართული კაპიტალიზმის დროს მოსახლეობა უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობაშია, სულიერად დაჩაგრული და დაბეჩავებულია, რაოდენობრივად ძლიერ შემცირებულია, საქართველო დაშლილი და დაქუცმაცებულია, აღნიშნული მითი იმდენად უსაფუძვლო და მცდარია, რომ მან ძალზე მცირე დროში დაკარგა ადამიანთა რწმენა.

დისიდენტებმა, „დემოკრატებმა" და მისთანებმა შეთხზეს მითი ქართული პოლიტიკური ქარიზმის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური მითოლოგიის ერთ-ერთ ვარიანტს. ჩვენმა ქარიზმატულმა ლიდერმა, მასობრივ პოლიტიკურ ცნობიერებაში თითქმის დაკარგა ცოცხალი ადამიანის თვისებები, შეიძინა სიმბოლური, საკრალური თვისებები. თავის დროზე, მასობრივი ცნობიერება ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირს საქართველოს მესიად თვლიდა, თუმცა, სამწუხაროდ, მას ცოტა ჰქონდა ამისთვის აუცილებელი, ძლიერი პიროვნების თვისებები.

თანამედროვე ქართულ მასობრივ ცნობიერებაში ავრცელებენ მითებს სოციალური და სამართლებრივი

სახელმწიფოს შექმნის, სახალხო დემოკრატიის დაფუძნების და სხვათა შესახებ, რომლებიც შექმნეს ათასობით მეცნიერებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა და მისთანებმა. სოციალური, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ არსებულა და არც შეიძლება არსებობდეს. ამის ძირითადი მიზეზია ფსიქოლოგიური ფაქტორი. კერძოდ ადამიანები, საერთოდ, თავიანთი ბუნებით და ხასიათით მსაგვრელები არიან, სასტიკი, მგლური მეთოდებით იბრძვიან ერთმანეთზე ბატონობისათვის, ერთმანეთის დასაგვრისთვის. ეს თვისება მათ ცხოველებისაგან მიიღეს. ამიტომ არავითარი, უსასტიკესი დიქტატორული მეთოდებიც კი ვერ აღმოფხვრის ამ თვისებას ადამიანთა თანდაყოლილი ცნობიერებიდან. ბრძნულია ასრი იმის შესახებ, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

პოლიტიკური მითი გარკვეული ზომით შეესაბამება ადამიანთა იმედებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მითი დიდი ბელადის, ბრძენი პოლიტიკოსის შესახებ, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სალხისათვის სასარგებლო გარდაქმნების შესახებ. სამართლიანობა კი მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მათ შორის ი. ბ. სტალინმა დიქტატორული მეთოდებით მართლაც ბევრი დადებითი ღონისძიება განახორციელა. მისი ხელმძღვანელობით მსოფლიოს თორმეტმა ხალხმა ფიზიკური განადგურებისაგან გადაირჩინა თავი, მსოფლიოს დანარჩენმა ხალხებმა კი გერმანელებისა და მათი მოკავშირეების მუდმივი მონობისგან დახსნა თავი, ბევრმა წერა-კითხვის უცოდინარმა ხალხმა, მთლიანად გაუნათლებელმა გარკვეული განათლება მიიღო, უბინაობმა კი ბინები, ბელადი თავის ჰონორარს ხალხის სასარგებლო ღონისძიებების განსახორციელებლად იყენებდა და სხვა. მისი ოჯახი მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, ღარიბად ცხოვრობდა.

აღნიშნული დიადი საქმეები რეალურად განხორციელდა და ამიტომ ისინი სრულებითაც არ არის მითი დიდ ბელად ი.სტალინზე. მის მიმართ ცუდი დამოკიდებულება მისმა გაკეთებულმა დიადმა საქმეებმა გამოიწვია სამწუხაროდ.

ბრძნული აზრი კარგისთვის კარგი ვის უქნიაო.

მითს ახასიათებს ცრურწმენის სიმტკიცე. მითი გაგლუნას ახდენს ადამიანის შინაგან სამყაროზე, ეხმარება მას გაიაზროს სინამდვილე; მითში ცოცხალი ადამიანების ბედი გაშუქებულია ემოციურად. მეცნიერებაში პიროვნება სქემატიზირებულია, მითში ის, თითქოს ცოცხლდება. მეცნიერება იყენებს ლოგიკურ არგუმენტებს, მითი კი ეყრდნობა ადამიანთა გრძნობებს.

სამყაროს მითოლოგიური გაცნობიერება შეზღუდულია. მითოლოგიურ აზრს არ შეუძლია შეაღწიოს სინამდვილის სიღრმეში, ქართული პოლიტიკური მოვლენების არსებაში. ის ძალზე სუსტად განასხვაევებს უშუალო რეალობასა და მის გაშაშუალებელ ცოდნას, სახეს და საგანს.

რეალურ სინამდვილეში მითები იცვლებიან, ერთი სახის მითი წყვეტს არსებობას და იცვლება სხვა სახის მითით, მაგრამ მითოლოგია რომელიც დამყარებულია აწმყოს აბსოლუტიზაციაზე არანაკლებ საშიშია მითოლოგიაზე, რომელიც; დაფუძნებულია წარსულის აბსოლუტიზაციაზე.

ქართული პოლიტიკური ცნობიერების სახეა აგრეთვე საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც თავის მხრივ შეიცავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებასაც. აშკამად, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის დამახასიათებელია, ის რომ მოკლებულია სოციალურ-პოლიტიკურ აქტიურობას, ფსიქოლოგიურად დათრგუნულია, პოლიტიკურად აპატიურია, არ გააჩნია არსებული სოციალუ-

რი სისტემის მომავლის რწმენა, არ არის დარწმუნებული თავისი სახელმწიფო აპარატის ზნეობრიობაში, განათლებასა და უნარში კვალიფიციურად მართოს ქვეყანა.

საქართველოს მოსახლეობის ძლიერმა ეთნიკურმა არაერთგვაროვნებამ ნეგატიური გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სულიერ მდგომარეობაზე. ქართველად გადაქცეული, ანტიქართული პოლიტიკური ცნობიერების მატარებელმა ადამიანებმა, რომლებმაც ქართველი ხალხის სისხლით მორწყული მიწა მიითვისეს სულიერად დაიპყრეს ქართველები, გული გაუტეხეს მათ. ანტიქართველებმა საზღვარგარეთაც ძლიერი მხარდამჭერები გაიჩინეს. ადამიანები, რომლებიც ადრე საზღვარგარეთ საშოვარზე გაიქცნენ, აყვავილობრივი მოსახლეობის ქონების მითვისებით გამდიდრდნენ.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს აგრეთვე ქართველი ხალხის ნაკლები ინტერესი პოლიტიკისა და პოლიტიკური ხელისუფლებისადმი, რაც გამოწვეულია მისი, პოლიტიკური ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. პოლიტიკის სფეროდან „გარიცხვით", დამპყრობლების ხანგრძლივი, სასტიკი მმართველობით. ამიტომ ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ხალხი, როგორც ფრანგები, ჩვენ ვართ ლიტერატორი ხალხი, პოლიტიკის ნაკლებად მცოდნე, პოლიტიკურად გამოუცდელი, ემოციური და მიმნდობი ხალხი. ქვეყნის ურთულესი თეორიული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო რეკომენდაციებს სახელმწიფოს ვერ ვაძლევთ. საჭიროა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ქართველი ხალხის პოლიტიკური ცნობიერების განვითარების მიზნით. ამ რთული და მეტად აქტუალური პრობლემის გადაჭრაში ძლიერი დახმარების აღმოჩენა შეუ-

ძლია საერთაშორისო მეურვეს, რომელიც მცდარი ცნობიერებიდან გადმოტანილ და ჩვენში ჩანერგილ ლიტერატურული დონის მითების, სიუჟეტებისა და სახეებისგან პოლიტიკურ ცნობიერებას გაწმენდს და განავითარებს.

ზოგიერთი 30 მანეთად გაქართველებული ადამიანის აზრით, თურმე საქართველოში არსებული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები შექმნილია არაქართველების, არამედ სომეხი ემიგრანტების მიერ, თურმე ოთხასამდე ეკლესია-მონასტერი სომხების აშენებული და მათი კუთვნილება ყოფილა და იუნესკოს თხოვენ ისინი სომხურად გამოაცხადინ. არაქართველების ანტიქართული პოლიტიკური ცნობიერება და ქმედებები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერების მთელი რიგი ნაკლოვანებებითაც არის გამოწვეული.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს ისტორიული, სოციალურ-კულტურული და ეროვნული ტრადიციები,– ჩვეულებები, ღირებულებანი, იდეები და სხვა. ისინი წარმოადგენენ ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც საზოგადოებამ შემოინახა დიდი ხნის განმავლობაში. ქართულ ტრადიციებთან დაკავშირებულია მენტალიტეტი, ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული, მტკიცე ინტელექტუალური და სულიერი სახე. მენტალიტეტი და ტრადიციები უზრუნველყოფენ თაობიდან თაობაზე ადამიანების მიერ შექმნილი სოციალური ღირებულებების, იდეებისა და შეხედულებების გადაცემას. ასეთი ფენომენია მართლმადიდებელი სულიერებაც.

თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების მნიშვნელოვანი თავისებურებაა, ისტორი-

ულად დემოკრატიული ტრადიციების და ამჟამად დემოკრატიული მმართველობისათვის ობიექტურად აუცილებელი მრავალრიცხოვანი, მრავალგვარი პირობებისა და ფაქტორების არარსებობის გამო დიქტატორული ცნობიერების მნიშვნელოვანი, არცთუ უსაფუძვლო გავლენა. აზრები ძლიერი პიროვნების დიქტატორული მმართველობის აუცილებლობის შესახებ არის გამოწვეული ადამიანებისათვის მოუმზადებლად საჩქაროდ მინიჭებული უგლებებისა და თავისუფლებების არასწორად გამოყენებით და შესაბამისად მასობრივი ქაოსით. არა მარტო საქართველოში, არამედ ზოგიერთ პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც.

ქართული პოლიტიკური ცნობიერების წარმოშობა განპირობებულია ჩვენი საზოგადოების განვითარების მოთხოვნებით და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია: ამავე დროს, ზოგიერთი დრომოჭმული ტრადიცია უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ საზოგადოება და სახელმწიფო ვალდებულია ჯანახორციელოს ღონისძიებანი ნეგატიური ტრადიციების აღმოსაფხვრელად, დადებითი მოვლენებისა და იდეების საზოგადოებაში დასანერგად მათი მომავალში ტრადიციებად ფორმირების მიზნით. დაუშვებელია სოციალური სკიზიურობა და თვითდინებაზე მიშვება, როცა მიმდინარეობს ახალი სოციალური ურთიერთობების ფორმირება, რომლებიც შესაძლებელია მომავალში ტრადიციებად ჩამოყალიბდეს. ასეთ პროცესებში სახელმწიფოს როლის უარყოფა, რასაც ადგილი აქვს ჩვენში დემოკრატიის, თავისუფლების და მსგავსი ამჟამად, არარეალური, მოდური ლოზუნგებით ყოველმხრივ გაუმართლებელი და პოლიტიკურად საშიშია. აქ შესაძლოა მტრული განზრახვაც მოქმედებდეს, იდეოლოგიური დივერსიის სახით.

როგორც აღინიშნა, ქართული პოლიტიკური ცნობიერება, რთული, მყარი და დინამიკური მოვლენაა. კვლევის შედეგები გამორიცხავს მისი დონეებისა და სახეების როგორც ერთნაირი შემეცნებითი ღირებულებების მოვლენად წარმოდგენას. კერძოდ, მასობრივი პოლიტიკური ცნობიერება თავისი არსით არ არის თეორიული, მეცნიერული მსოფლმხედველობის დონისა და მნიშვნელობის მოვლენა: მეცნიერული პოლიტიკური ცნობიერება წარმოადგენს ცნობიერების მაღალ დონეს, ხოლო მასობრივი – დაბალს. მეცნიერული პოლიტიკური ცნობიერება პოლიტიკური მოვლენებისა და ობიექტების არსებაში შეღწევის, მათი განვითარების კანონზომიერებათა დადგენის, ჭეშმარიტი ცოდნის შექმნის ერთადერთი საშუალებაა. პოლიტიკური ცნობიერების სხვა დონეები და სახეები ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ვერ ახორციელებენ, მათი დასკვნები ნაკლებჭეშმარიტია, მაგრამ იქაც არსებობს რაციონალური მარცვალი.

ამიტომ მეცნიერული არ არის სოგიერთი ავტორის აზრი, რომლის თანახმად პოლიტიკური ცნობიერების სახეების სისტემაში თეორიული, მეცნიერული ცნობიერება არ არის მაღალი დონე, ხოლო მასობრივი – დაბალი[3].

---

3) Политология. Учебник для вузов. Изд-во Норма. М. 2003, с. 167

მესამე პარაგრაფი
რელიგია და პოლიტიკური ცნობიერება თანამედროვე საქართველოში

საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში რელიგია როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმა ისტორიულად პოლიტიკურ ცნობიერებაზე ადრე წარმოიშვა. რელიგია ცდილობდა და აღწევდა კიდეც პოლიტიკური ცნობიერების სისტემაში შეღწევას, აძლევდა მას რელიგიურ ელფერს, გაბატონებული სახელმწიფო-პოლიტიკური იდეოლოგიისა და სახელმწიფო აპარატის ნაწილი იყო.

ადრინდელი ქრისტიანობის მსოფლმხედველობის ფარგლებში შემუშავდა და ქართული პოლიტიკურ ცნობიერებაში მყარად დამკვიდრდა სახელმწიფო ხელისუფლების საღმრთო წარმოშობისა და ხასიათის კონცეფცია. მართლმადიდებელი ეკლესია ქადაგებდა ადამიანთა უმაღლესი სახელმწიფო ხელისფულებისადმი უსიტყვო დამორჩილებას, გმობდა ძალადობისადმი წინააღმდეგობის გაწევას. აპოსტოლე პავლე „მიმართვაში რომაელებისადმი" აღნიშნავდა, რომ არ არსებობს ხელისუფლება ღმერთის გარეშე, ის ღმერთის დადგენილია. ვინც მას ეწინააღმდეგება ის ღმერთის დადგენილების წინააღმდეგია და თვითონვე დასჯის საკუთარ თავს. უფროსი ღმერთის მონაა და ამიტომ საჭიროა მისდამი დამორჩილება არამარტო შიშის გამო, არამედ შეგნებულადაც[4].

ადრინდელი ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა კომუნისტური იდეოლოგიის ფუნდამენტალური იდეები. კერძოდ, კერძო საკუთრების ლიკვიდაციისა და საზოგადოებრივი სა-

4 История политических и правовых учений Изд-во Норма. М. 2000, с. 58

კუთრების დამყარების აუცილებლობის იდეა; აზრი ადამიანთა საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ; შრომის ვალდებულების იდეა; შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის დანერგვის სოციალისტური იდეა და მრავალი სხვა. ეს პროგრესული იდეური პრინციპები შემდეგ გახდნენ უტოპიური სოციალიზმისა და მარქსიზმის ფუნდამენტალური იდეები ქვეყნების უკიდურესი ჩამორჩენილობის დაძლევის, მოსახლეობის მატერიალური სიდუხჭირისა და კულტურული ჩამორჩენილობის მოსპობის; პიროვნების ყოველმხრივი განვითარების და სხვა მრავალი პროგრესული და დიდებული იდეისა და ქმედებების საფუძველი. ეს იდეები ამჟამად შებილწულია გუშინდელი ღატაკი და დაჩაგრული, ახლა კი ახალი, სასტიკი მჩაგვრელების მიერ.

თანამედროვე მართლმადიდებელი ეკლესია, მათ შორის ქართულიც ვალდებულია თავის იდეურ და პრაქტიკულ საქმიანობაში გაითვალისწინოს ადრინდელი, ნამდვილი ქრისტიანობის აღნიშნული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური იდეები, როგორც მოწინავე და სამართლიანი, რომლებიც განათლებული და ზნეობრივად სუფთა პიროვნების ფორმირების იდეური საფუძველია.

თანამედროვე ქართული მართლმადიდებელი რელიგია და ეკლესია მოწოდებული არიან იმოღვაწეონ ძლიერი ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, აამაღლონ მისი პრესტიჟი, ხელი შეუწყონ საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, ურთიერთგაგებისა, მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას, მისცენ ქართველებს სულიერი საყრდენი ანტიქრისტიანული რელიგიების წარმომადგენლების შენიღბული და აშკარა ანტიქართული საქმიანობის უვნებელსაყოფად, მათ მხრივ მავნე ქმედებების თავიდან ასაცილებლად.

ქართული მართლმადიდებელი რელიგია და ეკლესია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოწოდებული არიან იზრუნონ მოსახლეობის ზოგადი კულტურის და ეთიკური პრინციპების განვითარებაზე, როგორც საერო ზნეობის, ტრადიციების, ჩვეულებების ფორმირების ძლიერ საშუალებაზე.

რელიგიური ცნობიერებისა და ეთიკის უმნიშვნელოვანეს ცნებებს, რომლებიც გმობენ მკვლელობას, ძალადობას, სიცრუეს საჭიროა მიეცეს პოლიტიკური ელფერი, უფრო მეტად დაინერგოს პოლიტიკურ ეთიკაში, რაც ხელს შეუწყობს ისეთი სოციალური ვითარების შექმნას, როცა პოლიტიკური ყაჩაღები ჯოჯოხეთში მოხვედრის შიშით თავს შეიკავებენ დანაშაულისა და რელიგიური ეთიკის ნორმების დარღვევისაგან, სახელმწიფო გადატრიალებისა და პოლიტიკური მკვლელობებისგან, დემაგოგიისგან, სიცრუის შეთხზვის და სხვა.

საქართველოში მომხდარი ზოგიერთი პოლიტიკური ხასიათის მოვლენის ობიექტური ანალიზი სამწუხაროდ ადასტურებს პროფესორ გ.ფ. შერშენევიჩის აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები არცთუ იშვიათად წარმოიშვებიან ყაჩაღების ხროვისგან. ეს შეიძლება ამჟამადაც მოხდეს ისეთ პირობებში, როცა სამართალს შეცვლის თვითნებობა[5].

თეოლოგიური ეთიკა ანტისოციალურია, ვინაიდან უარყოფს საზოგადოების უფლებამოსილებას მისი მორალური ნორმების შეფასებაში, მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოსაგებლისა და ცოდვილთა დასჯის იდეებს ადამიანური სამართლიანობა და სიკეთე შესაძლებელია მხოლოდ საიქიო ცხოვრებაში. ან ღვთის მეუფეების მოსვლის შემდეგ. მორჩილება, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა და ყოვლის პატიება განიხილება როგორც სათნოება.

5 Шершеневич Г.А. Общая Теория государства, Вын. 1. М. 1995, с. 263

სამწუხაროდ, პოლიტიკურ მეცნიერებაში მართლმადიდებელი რელიგიისა და ეკლესიის შეფასება უკიდურესად არაობიექტური იყო და არის. რელიგია განიხილებოდა მხოლოდ როგორც სამყაროზე და ადამიანზე არასწორი წარმოდგენების სისტემა, უარყოფილი იყო მისი კულტურული და ზნეობრივი ფუნქციები. სინამდვილეში კი რელიგია არის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური სოციალურ-კულტურული და საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რელიგიური ეთიკა. ქრისტიანული ეთიკა თანამედროვე ეთიკის თეორიულ-ზნეობრივი წყაროა.

ალბათ, ქართველი ხალხისათვის სასარგებლო იქნება ზოგიერთი ქრისტიანულ ქვეყანაში არსებული წესი, რომლის თანახმად პარლამენტის წევრები, სანამ შეუდგებოდნენ თავიანთი მოღვაწეობის შესრულებას ვალდებული არიან ფიცი დადონ ბიბლიაზე კონსტიტუციის ერთგულების შესახებ, ჩვენში კი დამატებით პატიოსნად მუშაობის შესახებ ყველა თანამდებობის პირმა.

ამავე დროს რელიგიისა და, კერძოდ, მართლმადიდებელი რელიგიის იდეა ზებუნებრივი მსოლფიო საწყისის შესახებ ეწინააღმდეგება მეცნიერებას, როგორც აზროვნების ძირითად ფორმას და ფილოსოფიას. მიუხედავად მრავალი ცდისა, არ მოხერხდა ღმერთის ყოფიერების დასაბუთება. დასაბუთების ყველა სახეობა ტელეოლოგიური, ონტოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა ლოგიკური შეცდომის შემცველია, კერძოდ წრე დასაბუთებაში. ისინი საბოლოო ანგარიშით ემყარებიან არა ცოდნასა და გონებას, არამედ ბრმა რწმენას.

ამჟამად რელიგიური იდეების გავლენა საქართველოს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მოსახლეობაზე დიდია. მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედი და ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილიც, რელიგიურია. ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესია არ საჭიროებს მისი მომხრეების გადიდებას მეცნიერებისა და ფილოსოფიის კრიტიკისა და შეიარაღების გზით, რომლებიც მსოფლიო სოციალური პროგრესის ეკონომიკური და ტექნიკურ-თეორიული საფუძველია. ადამიანის საარსებო საშუალებათა მწარმოებელია, ამიტომ საჭიროა ვთხოვოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას არ შეუშალოს ხელი მეცნიერული და ფილოსოფიური ცნობიერების განვითარებას, მათი მიღწევების სოციალურ პრაქტიკაში დანერგვას.

მართლმადიდებელი რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით იაკობინელებმა, ბოლშევიკებმა და სხვა რევოლუციონერებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, რამაც ძირითადად განაპირობა მათი ხელისფულების დამხობა. იმ ბოლშევიკებს, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიას ებრძოდნენ არ ჰქონდათ იმის შეგნება, რომ თავიანთ რევოლუციურ მოღვაწეობაში ფაქტობრივად იყენებდნენ ნამდვილი, ადრინდელი ქრისტიანობის ბევრ ფუნდამენტურ დებულებას, იბრძოდნენ იმ იდეების განხორციელებისთვის, რომლებიც ერთიანობაში ადრინდელი ქრისტიანობის იდეურ შინაარსს ქმნიდნენ. მათ გააჩნდათ ხელისუფლების შენარჩუნების, აუცილებელი გარდაქმნების განხორციელების უძლიერესი და ეფექტური საშუალება, რომელიც ვერ გამოიყენეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია ფაქტობრივად გამოდიოდა ექსპლუა-

ტატორული სოციალური წყობიელბის დამცველად, ჩაგრული კლასების ექსპლუატაციის თანამონაწილედ ცდილობდა განეხორციელებინა მონოპოლია საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე და აღწევდა მას. ის არსებითად მჩაგვრელი სახელმწიფო აპარატის ნაწილი იყო. საბჭოთა რუსეთიდან იმპორტირებული ბოლშევიკური ხელისუფლება ასეთ მდგომარეობას თვლიდა ჩამორჩენილი საქართველოს მოსახლეობის მიმართ მტრულ დამოკიდებულებად და ჩამორჩენილობის სასწრაფოდ ლიკვიდაციისთვის სასტიკი ანტირელიგიური მეთოდებითაც იბრძოდა.

ადრინდელი ქრისტიანობის პოლიტიკურ მოძღვრებას გარკვეულწილად სახელი გაუტეხა იმ გარემოებამ. რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მიმართულების, კათოლიციზმის ფარგლებში. XIII-XIX სს. მოქმედი ინკვიზიცია, როგორც საგანგებო-საეკლესიო სასამართლო „მწვალებლების" მიმართ ანხორციელებდა უკიდურესად სასტიკ ზომებს წამებისა და ცოცხლად დაწვის სახით. მარტო ესპანეთში 18 წლის განმავლობაში ცოცხლად დაწვეს 10 000 მეტი ადამიანი. იტალიაში კი ინკვიზიცია 1965 წელსაც განაგრძობდა არსებობას „რწმენის კონგრეგაციის" სახით ანხორციელბდა კომუნიზმთან ბრძოლის ფუნქციას[6].

ინკვიზიციის მიერ მოსპობილია ბევრი ფილოსოფოსი, მეცნიერი, მწერალი, კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები, ის კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-პოლიციური ორგანიზაცია იყო.

როგორც აღინიშნა, ი.ბ. სტალინზე 63 წლის განმავლობაში ციკლისმწამებლებმა 150 მითი შექმნეს. არცერთ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეზე ჯერჯერობით ისტორიაში ასე

6 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 165, თბილისი, 1980

ბევრი მონაჭორი არ შეუთხზავთ. ერთ-ერთი ასეთი ურცხვი ტყუილის თანახმად, თურმე, ი. სტალინი მართლმადიდებელი რელიგიისა და ეკლესიის შეურიგებელი მოწინააღმდეგე და დამანგრეველი ყოფილა. ამ მონაჭორის მხილება და გავრცელების თავიდან აცილება ძალზე გაძნელდა, მაგრამ ამჟამად თანდათანობით იქმნება პირობები და შესაძლებლობა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დასადგენად. როგორც აღინიშნა, 2014 წ. გამოიცა წიგნი „იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური. სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა დოკუმენტების კრებული", რომელშიც თავმოყრილია მასალები ი.ბ. სტალინის პირადი საიდუმლო არქივიდან, რომლებიც წიგნის 'შემდგენლის სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა მიაწოდეს. დოკუმენტების კრებულში აღნიშნულია, რომ 1952 წ. შემოდგომაზე სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე ი.ბ. სტალინი წერდა: „... რეფორმები გარდაუვალია, მაგრამ თავის დროზე და ეს უნდა იყოს ორგანული რეფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ტრადიციებზე, მართლმადიდებლური თვითშეგნების თანდათანობით აღდგენით[7].

მ. გორბაჩოვმა და მისმა თანამოაზრეებმა მოინდომეს ი. სტალინის გასამართლება. დაცვის ფუნქცია თავისთავზე აიღო ცნობილმა რუსმა ადვოკატმა ფიოდორე მარენკოვმა. როგორც ჩანს, დაცვითი სიტყვის ტექსტის გაცნობის შემდეგ, რომელშიც მოყვანილია ნამდვილი, უტყუარი ფაქტები და მათ საფუძველზე გამოთქმულია ჭეშმარიტი აზრები, მონა-

7 ვლადიმერ ვახანია, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური (სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა) დოკუმენტების კრებული, თბილისი – მოსკოვი, 2014 წ. მეორე გამოცემა, გვ. 227-228

ჭორების გამუღავნების შიშით სასამართლოს ჩატარება ვერ გაბედეს, თუმცა ი. სტალინის გასამართლება დააჩქარებდა მასზე სიმართლის დადგენის გახანგრძლივებულ პროცესს.

ი. სტალინის დამცველი ადვოკატის ფ. მარენკოვის დაცვითი სიტყვის შინაარსი, რომელიც მოსკოვში გამოქვეყნდა, შემდეგში მდგომარეობს: ი. სტალინისადმი წაყენებული ბრალდება რუსეთში მართლმადიდებულური რელიგიისა და ეკლესიის დანგრევაში, სამღვდელოების ამოწყვეტაში არის მცდელობა მიაწერონ ი. სტალინს ის ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია ბილწი ტროცკისტ-სიონისტების მიერ. 1922 წლიდან პარტიის ტროცკისტულ-სიონისტური ცკ-ში ფაქტობრივად მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებას ხელმძღვანელობდა ანტირელიგიური კომისია მინგი იზრაილის ძე გუბერმანის ხელმძღვანელობით, ტაძრების განადგურებას ხელმძღვანელობდა ტროცკად გადაღებილი ლევ დავითის ძე ბრონშტეინი, რომელსაც ვ.ი. ლენინი „იუდუშკა-ტროცკის" ეძახდა, ლაზარე კაგანოვიჩი და სხვები. ტროცკიმ და მისმა ცოლმა გაძარცვა ეკლესიები და საზღვარგარეთ აგარაკები აიშენა, ტროცკის ცოლმა ლავრის სიწმინდეებიდან მოიპარა ორი ტომარა ძვირფასეულობა და საზღვარგარეთ გაიტანა. კაგანოვიჩის განკარგულებით ააფეთქეს 1812 წლს სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად აშენებული ქრისტე მაცხოვრის ტაძარი და ბევრი სხვა ეკლესია. მანვე მოინდომა ვასილი ნეტარის ტაძრის დანგრევა, რისთვისაც ი. სტალინმა კაბინეტიდან გამოაგდო. მას შემდეგ როცა ი. სტალინმა განიმტკიცა პოზიციები და დარწმუნდა იმაში, რომ უკვე შეუძლია აღადგინოს მართლმადიდებლობა, მიიღო ეკლესიის

ხელმძღვანელი მოღვაწეები, რომლებიც თხოვდნენ მხოლოდ რამდენიმე ეკლესიის გახსნის უფლებას. ი. სტალინმა უთხრა მათ: „რატომ მხოლოდ ამას მთხოვთ, საჭიროა აღდგენილ იქნას ყველაფერი. გახსენით სემინარიები, სასულიერო აკადემია, აირჩიეთ პატრიარქი, აღადგინეთ ყველაფერი. რაც კი შეგიძლიათ. მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფო[8].

ამის შემდეგ დაიწყო მართლმადიდებლობის აღდგენის პროცესი, რომლის შეჩერება ი. სტალინის მოსპობის გარეშე არ შეეძლოთ. ი. სტალინის მოკვლის შემდეგ ხრუშჩოვის მმართველობის ათი წლის მანძილზე განადგურებული იქნა 13.477 ტაძარი. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ეკლესიას დაეკისრა დიდი გადასახადი. 1959 წ. კი არამზადა ხრუშჩოვმა პატრიარქი არ მიიღო. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ი. სტალინს არ შეეძლო გამოსულიყო მართლმადიდებლობის დასაცავად იმაზე ადრე, როცა ეს ფაქტობრივად გააკეთა. გორბაჩოვის, იაკოვლევის, ელცინის, პოპოვისა და სხვების „გარდაქმნით" მოიგო მხოლოდ სიონიზმმა.

1991 წელს გაეროს 46 სესიაზე რუსეთის წარმომადგენლობამ ბელგიელი გვარტომის წარმომადგენლის, საგარეო საქმეთა მინისტრის კოზირევის ხელმძღვანელობით ხმა მისცა 1975 ს. გაეროს ასამბლეის 30 სესიის მიერ მიღებულ რეზოლუციის გაუქმებას, რომლის თანახმად სიონიზმი ითვლებოდა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმად.

თეორიულად იუდეველმა სიონისტებმა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს „უღმერთობის" ყალბი ლოზუნგი, რომელსაც რუსების გასაბრიყვე-

8 Фиодор Маренков Государь и погань, Непроизнесенная речь адвоката в защиту И.Б. Сталина. Москва, 1995,Палея, стр. 149

ბლაღ იყენებდნენ. სხვადასხვა საბაბით სიძველეების დაცვა და სხვა ინარჩუნებენ იუდაიზმს, ანადგურებდნენ მართლმადიდებლობას და ეკლესიებს.

ი.ბ. სტალინის დასაცავად სასამართლო პროცესზე წარმოსათქმელი სიტყვის ეს შინაარსი საესებით შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს, დადასტურებულია, ისტორიული ფაქტებით და სამართლიანობის აღდგენას ისახავს მიზნად.

მრავალრიცხოვანი ანტიბოლშევიკური ფრაქციების იდეურ განადგურებამდე, მათი სახელმწიფო მმართველობიდან ჩამოშორებამდე, დიდი სამხედრო-პოლიტიკური გადატრიალების მცდელობის გამოვლენამდე საბჭოთა კავშირში, რომლის შემადგენლობაში 1921 წლიდან საქართველოც შედიოდა რელიგიური მსოფლმხედველობის სფეროში თვითნებურად დათარეშობდნენ იუდეველი ტროცკისტი-სიონისტები. ტროცკიზმი, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმართულება გავრცელებული იყო წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის მქონე საქართველოში, მის პარტიულ-სახელმწიფო აპარატში, რომელიც ეკლესიის რეაქციული ხუცების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით სჯიდნენ პატიოსან ღვთისმსახურებს.

სამწუხაროდ, საქართველოში ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში უხეშად ირღვეოდა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წ. 23 იანვრის (5 თებერვალი) დეკრეტი „ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან და სკოლის ეკლესიიდან".

მეოთხე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდეოლოგია

ქართული, ისევე როგორც საერთოდ პოლიტიკურ იდეოლოგია არის ფუძემდებლური, საბაზო იდეებისა და ცნებების სისტემა, რომლებიც მეტნაკლები სიზუსტით ასახავენ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და მოვლენებს, რომელთა შესაბამისად ხდება პოლიტიკური ცნობიერების (მსოფლმხედველობის) პიროვნების, სოციალური ჯგუფებისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირება.

მრავალფეროვანი პოლიტიკური მოვლენების შეცნების მიზნით ადამიანები ქმნიან შედარებით ძირითადი, საბაზო იდეების კომპლექსს, რომელიც შესაძლებელობას იძლევა შემეცნებული იქნეს პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესები. იდეების ასეთი კომპლექსი არის პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველი. ასეთი საბაზო იდეოლოგიური საწყისების გარეშე პიროვნება, სახელმწიფო და საზოგადოება ვერ იარსებებენ. არ არის შემთხვევით ისეთი მდგომარეობა, როცა საზოგადოების ცხოვრების კრიზისულ პერიოდში იკარგება იდეოლოგიური ორიენტირები და სულიერება, იწყება არეულობა და ქაოსი. ასეთ პერიოდში საზოგადოებაში მოდური ხდება მოწოდებანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დეიდეოლოგიზაციის შესახებ. ეს გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებაში ხდება ისეთი იდეების ექსპლუატაცია, რომლებიც მოწყვეტილია საზოგადოების პრაქტიკულ ცხოვრებას, სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესებს.

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ქართულ საზოგადოებაში მე-20 ს. 80-იან წლებში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ხე-

ლისუფლებაში მყოფი ადამიანების ჯგუფი ანხორციელებდა ღონისძიებებს სოციალური ცხოვრების დეიდეოლოგიზაციის მისაღწევად. ეს კონცეფცია ქართულ საზოგადოებაში მექანიკურად გადმოღებული იქნა მე-20 ს. 60-70 წლებში სახღვარგარეთ შექმნილი თეორიის საფუძველზე, რომლის ავტორები იყვნენ რ. არონი, ბელი, ლიკსეტი და სხვები. ამ თეორიის შემქნელები და მათი მიმდევარი ქართველი დემოკრატები იდეოლოგიას განიხილავდნენ როგორც ყალბ ცნობიერებას, რომელიც მეცნიერებას ეწინააღმდეგება და სოციალური ჯგუფები იყენებენ თავიანთი ექსპლუატატორული მიზნების მისაღწევად. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში კი თითქოს იდეოლოგია არ არის აუცილებელი, ვინაიდან თითქოს ისინი შევიდნენ „არაიდეოლოგიურ ერაში". კაპიტალისტური საზოგადოების ყველა პრობლემა თითქოს გადაიჭრება წმინდა ტექნიკური საშუალებებით, მასების ინიციატივისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე. თავისი არსებით ეს თეორია მიმართულია მარქსისტული პროლეტარული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელსაც „დეიდეოლოგიზაციის" თეორეტიკოსები უპირისპირებენ მეცნიერებას და აცხადებენ მას მოძველებულად. მოწინააღმდეგეები კი თვლიან, რომ კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები არ შეიძლება ლიკვიდირებული იქნეს „ტექნიკური" საშუალებებით. ისინი მოსპობილი იქნებიან რევოლუციური გარდაქმნებით ისე, როგორც მოსპობილი იქნა ყველა სხვა კაცობრიობის ისტორიაში არსებული ექსპლუატატორული წყობილება. კაპიტალიზმი გამონაკლისი არ შეიძლება იყოს.

აღსანიშნავია, რომ დეიდეოლოგიზაციის თეორია გაკრიტიკებული იქნა თვით ბურჟუაზიული იდეოლოგების მიერ. ისინი თვლიან, რომ ეს თეორია იწვევს ბურჟუაზიული

საზოგადოების გაბატონებული კლასების განსაკუთრებას მარქსისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში. წარმოიშვა გარეგნულად საწინააღმდეგო „რეიდეოლოგიზაციის" კონცეფცია, რომელიც ხელს უწყობს ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობის განმტკიცებას. ფაქტობრივად ორივე აღნიშნული კონცეფცია თავისი სოციალური არსებით ძირითადად ანალოგიურია და ბურჟუაზიულ-აპოლიგეტური ხასიათისაა.

სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საზღვარგარეთიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად შესაშური მონდომებით და გატაცებით გაჩაღდა ბრძოლა „დეიდეოლოგიზაციის" განსახორციელებლად. მარქსისტული, მუშათა იდეოლოგიის საფუძველზე და მეშვეობით „გაინტელიგენტებული" და გამდიდრებული გუშინდელი უმადური ღარიბ-ღატაკი, ახალი მჩაგვრელები თავმომწონედ „აძევებდნენ" საზოგადოებიდან თავიანთ მამა-მარჩენალ მარქსისტულ, მუშურ იდეოლოგიას. შავი უმადურობის კლასიკური მაგალითები ხდებოდა, არც ერთი უმადური „დეიდეოლოგიზატორი" ვაუბატონი ერთხელაც კი არ გაწითლებულა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად არ იქნა და არც შეიძლება ყოფილიყო „ამოღებული" იდეოლოგია ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან, მისი ადგილი არ გახდა და არც შეიძლება გამხდარიყო ვაკანტური: დროებით ფორმალურად წარმოქმნილი ვაკუუმი სასწრაფოდ დაიკავა ბურჟუაზიულმა და წვრილ ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, რომლებიც ამჟამად ჩვენ საზოგადოების გაბატონებული იდეოლოგიები არის.

„დეიდეოლოგიზაციის, საერთოდ იდეოლოგიას, როგორც რეაქციული მოვლენის, მისი ანტიმეცნიერულობის თვალ-

საზრისით მეცნიერებასთან არავითარი საერთო არ აქვს, აპოლოგეტური მოვლენაა. ისტორიულად კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-კლასობრივ ბრძოლას შეესაბამებოდა და შეესაბამება სპეციალური იდეოლოგიური ბრძოლა. არსებობდა მეცნიერულად დასაბუთებული, პროგრესული იდეოლოგიური სისტემები. მსოფლიო ფილოსოფიისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეების – დემოკრიტეს, არისტოტელეს, ფ. ბეკონისა რ. დეკარტის, ა. სმიტისა, დ. რიკარდოს, ი.კანტისა, გ. ჰეგელისა და ლ. ფოიერბახის გენიალური ეკონომისტის კ. მარქსის და მრავალი სხვა ფილოსოფოსისა და მეცნიერის მიერ შემქნილი იდეოლოგიური სისტემები არის და არც შეიძლება იყოს არამეცნიერული და სინამდვილის არაჭეშმარიტი ასახვა. ამავე დროს, არსებობს არამეცნიერული, ყალბი იდეოლოგიური სისტემებიც.

ქართველი და სხვა „დეიდეოლოგიზაციის" მომხრეების შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ეგონათ მარქსისტული იდეოლოგიის „აკრძალვა" ჩვენს საზოგადოებაში მარქსისტულ იდეოლოგიის მოქმედების შეწყვეტას, მის „მოცილებას" გამოიწვევდა, უიდეოლოგიო სოციალურ გარეშეს შექმნიდა. თავსართი „დე" ხომ „მოცილებას", დაშორებას ნიშნავს. მარქსისტული იდეოლოგია ადმინისტრაციული წესით აკრძალეს, მაგრამ მისი ადგილი სწრაფად დაიკავა იდეოლოგიის სხვა ფორმებმა, – რელიგიებმა, ბურჟუაზიულმა, გლეხურ-წვრილ ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ და სხვა. ფაქტობრივად მივიღეთ არა ქართული საზოგადოების განთავისუფლება იდეოლოგიისგან, არამედ მარქსისტული იდეოლოგიის შეცვლა. იდეოლოგიის სხვა ფორმებით, არსებული იდეოლოგიის ადმინისტრაციული აკრძალვა, რომელმაც შეკანასკნელ წლებში დაიწყო აღორძინება ადამიანთა ცნობი-

ერებაში. მისი „მოცილებისათვის" საჭირო იყო ადამიანების მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირობების მაქსიმალური გაუმჯობესებისათვის დამსაბუთებელი იდეოლოგის შექმნა ექსპლუატაციის ახალი ფორმისა და ახალი მჩაგვრელების წარმოშობის აკრძალვა.

იდეოლოგიასა და საერთოდ იდეებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა საზოგადოებაში, ხოლო როცა ისინი ეუფლებიან მასებს მატერიალური ძალაც კი ხდებიან. იდეები უშუალოდ დაკავშირებულია ინტერესებთან, როგორც კი იდეა მოწყდება ინტერესს ის სასწრაფოდ უფასურდება. ეს განსაკუთრებით ეხება საზოგადოებრივად მნიშვნელოვან იდეებს.

აღნიშნული დებულება მეცნიერულად ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველა კონკრეტულ სიტუაციას ვერ ხსნის. იდეები აუცილებლად წარმოიშობიან კონკრეტული ადამიანების გონებაში და მეტ-ნაკლები ადეკვატურობით ასახავენ მათ ინტერესებს. ამავე დროს, კერძო ინტერესები აუცილებლად უერთდებიან უფრო საერთო-ჯგუფურ, კლასობრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან ინდივიდებს გააჩნიათ საერთო, ობიექტური ინტერესები. თავისი არსების მიხედვით ისინი არ არიან შინაგანად მოხოლითური წინააღმდეგობრივი მოვლენებია, რაც იწვევს მათ ცვალებადობას. ამავე დროს ჯგუფური და საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგობას მივყავართ არამარტო კონფლიქტამდე, არამედ მათ დამთხვევებამდეც კი, რის შედეგად შესაძლებელი ხდება სოციალური სოლიდარობის მიღწევაც.

პოლიტიკური ინტერესებისა და იდეების თანაფარდობის პრობლემასთან დაკავშირებულია საკითხი: იმის შესახებ, რომ ინტერესის იდეაში ასახვისათვის საჭიროა მისი შეგნებული გააზრება ადამიანების მიერ. აქანტურისტული

იყო ბოლშევიკების პოლიტიკა. რომელიც საბჭოთა კავშირის კერძო მესაკუთრული ინტერესების მქონე მოსახლეობაში საზოგადოებრივი საკუთრების იდეის ჩანერგვას ცდილობდნენ. მოსახლეობამ საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების იდეა არ მიიღო, იძულებით მისი შრომით შექმნილი ქონება არ დაიცვა და შესაძლებლობა მისცა პარაზიტებს მისი ნაშრომი მიეთვისებინა და გამდიდრებულიყვნენ, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ახალი ფორმა შეექმნათ.

ობიექტური ინტერესის იდეაში ასახვა ხორციელდება ფსიქოლოგიისა და იდეოლოგიის დონეზე. ფსიქოლოგიის დონეზე მისი შეცნობა და ასახვა მიმდინარეობს გრძნობების, განწყობისა და ემოციების ფორმაში, ხოლო იდეოლოგიურ დონეზე – თეორიების, კონცეპციების და სხვათა სახით. ამასთან ერთად, ემოციური პროცესები წარმოადგენენ იმ ფონს რომელზედაც ხდება ყველა სახის პოლიტიკური იდეის რეალიზება. მაგრამ ემოციები მოქმედებენ როგორც ბრმა ძალა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ინდივიდის ქცევაში არ არიან შერწყმული სინამდვილის რაციონალურ ათვისებასთან: მისი მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერებების დაჯდგენასთან.

პოლიტიკური იდეოლოგიის დონეზე ობიექტური ინტერესის შეგნება და შეცნობა ჩვეულებრივ გამოიხატება გაანხრახვაში, მოტივებში და სხვა. პოლიტიკური ინტერესები წარმოადგენენ პოლიტიკური მიზნების წყაროს, რომელთა მეშვეობით ისინი ობიექტური მოვლენებიდან გადაიქცევიან სუბიექტურ მოვლენად. ისინი ინტერესების რეალიზაციის მიზნით გააზრებული და შეფასებული უნდა იქნენ მიზნის ფორმით. ცხოვრებისეული ინტერესები უმიზნო მოქმედებით არ შეიძლება რეალიზებული იქნან. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური ინტერესი არ არის შეცნობილი, მის არსებო-

ბას აუტომატურად არ შეეყავართ მიზნის ფორმირებამდე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტერესი თავის ზემოქმედებაში სუბიექტის ქცევაზე კონკურირებს გაზიარებულ ღირებულებებთან, რომლის გაცნობიერებაც ესა თუ ის ინტერესი გარდაიქმნება მიზნად.

დიდად სამწუხაროდ, ჩვენ და ჩვენმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ისეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობით, რომელსაც ახასიათებს ზღვარგადასული ემოციები მნიშვნელოვანი ადგილი დავიკავეთ პოსტსოციალისტური პერიოდის ხალხთა შორის. ჩვენ თავი გამოვიჩინეთ გარე-პოლიტიკური სინამდვილისა და თავის-თავისადმი დამოკიდებულების ემოციური გრძნობების-რისხვით, სიძულვილით, ზიზღით, მწუხარებით და სხვა. საერთოდ, ემოცია ჩვეულებრივი გრძნობისაგან მეტი სუბიექტურობით განსხვავდება ჩვენი გადაჭარბებული ემოციურობა მათი ბუნებრივი სამხრეთული ტემპერამენტითაც აიხსნება.

მეცნიერებაში ადამიანის ქცევის სტრუქტურაში ემოციების მნიშვნელობის პრობლემაზე დაპირისპირებული თვალსაზრისია გამოთქმული. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით ემოციები თითქოს ასრულებენ მარეგულირებელ და ქცევის მამოძრავებელ ფუნქციას. ზოგიერთი მკვლევარი კი თვლის, რომ ემოციებს გააჩნით დეზორგანიზაციის გამომწვევი გაგება. ემოციებს ხშირად ინფორმაციის დანაკლისის ცნებასაც კი უკავშირებენ[54].

თვალსაზრისი ემოციების, როგორც ნეგატიური, დეზორგანიზაციის გამომწვევი ფაქტორების შესახებ მეცნიერულად უფრო მეტად დასაბუთებული და ჭეშმარიტია. ეს თვალსაზრისი დადასტურდა საქართველოში თითქმის 30 წლის განმავლობაში განხორციელებული გარდაქმნების

54 პროფ. ნ. იმედაძე ემოცია. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, გვ. 139, თბ. 1979

პროცესში. საქართველოს წინაშე ურთულესი საარსებო პრობლემების მაქსიმალურად ეფექტურად გადასაწყვეტად საჭირო იყო და არის ინტენსიური გონებრივი, ინტელექტუალური მოღვაწეობა. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ბრძნული ფილოსოფიური ცოდნით გამდიდრებული და განყოთარებული აზროვნების დონიდან აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებზე დამოუკიდებლად შემუშავებული და მსოფლიო მეცნიერების მიერ შექმნილი ცოდნით საქართველოს ძირითადი პრობლემის,მისი სოციალური და ეროვნული ხსნის პრობლემის გადაწყვეტის გზების, საშუალებებისა და მეთოდების განსაზღვრა. მათ პრაქტიკულ რეალიზაციაზე უნდა იქნეს კონცენტრირებული ინტელექტუალური ძალების ყურადღება და საქმიანობა.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა პირებმა უნდა გამოიმუშაონ თეორიული აზროვნების უნარი და საზოგადოების ხელძღვანელობა განახორციელონ მეცნიერული მართვის თეორიის საფუძველზე და შესაბამისად რაც, სამწუხაროდ არ ხდება.

საჭიროა აგრეთვე სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი ჩვენი მოქალაქეების ინტელექტუალური დონის ასამაღლებლად. ჩვენი კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დონეზე ვდგავართ, რაც საქართველოს კატასტროფის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

მეხუთე პარაგრაფი. ძირითადი იდეოლოგიური მიმდინარეობანი თანამედროვე საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად ყველაზე დიდი რელიგიური იდეოლოგიური მიმდინარეობებია ქრისტიანობა, ისლამი და ბუდიზმი, რომლებსაც ადამიანებზე გავლენის ძალის მიხედვით მსოფლიოში თანაბარი არ ჰყავთ: ამჟამად საქართველოშიც მოქმედებს რამდენიმე სხვა მიმართულების რელიგია, რელიგიური ჯგუფი და ეკლესია. ყველაზე გაერცელებული და გაბატონებულია მართლმადიდებელი რელიგია და ეკლესია, რაც გამოიწვია საქართველოში ისტორიულად ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების დაბალმა დონემ, რელიგიის წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის გაუმართლებელმა მეთოდებმა. მოქმედებს აგრეთვე სომხურ-გრიგორიანული სამრევლოები, იუდაისტური რელიგია, კათოლიკური და მუსლიმანური გაერთიანებები, მრავალრიცხოვანი სექტები. ეს მიუთითებს ქართული პოლიტიკური და რელიგიური იდეოლოგიების ტოლერანტობაზე, რასაც არცთუ იშვიათად ქართველების ინტერესების წინააღმდეგ იყენებენ უმადური იმიგრანტები.

ქართული მართლმადიდებელი რელიგიის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თავისი არსით ის წარმოადგენს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის და ზნეობის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამ თვალსაზრისით გამოყოფილი და გაანალიზებული უნდა იქნეს ქართული მართლმადიდებელი რელიგიის ფუნქციები, რომლებიც ცლინდება მისი იდეოლოგიური არსი და დანიშნულება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი ილუზორულ-კომპენსატორული ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვყოთ მართლმადიდებელი რელიგია სოციალ-

დებრივი ცნობების სხვა ფორმებისაგან. აღნიშნული ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტური სინამდვილის საგნებზე და მოვლენებზე, მათ შორის პოლიტიკურზე უტყუარ ცოდნაში ხარვეზების „შევსება“ ხდება ილუზიებით, ლეგენდებით და მითებით. მართლმადიდებელი რელიგია ხშირად, წარმოადგენს მისტიკურ, ზებუნებრივ არსებებს და ძალებს, როგორც რაღაც რეალურს და არსებულს.

მეცნიერული ჭეშმარიტი ცოდნის შექმნა რელიგიის მიზანი და დანიშნულება არ არის, ამ მიზნის მისაღწევად მას არავითარი პირობა და შესაძლებლობა არ გააჩნია, ეს მეცნიერების დანიშნულებაა. რელიგიურ იდეოლოგიებში, მათ შორის მართლმადიდებლობაში თანამედროვე პერიოდში შეიძლება ადგილი ჰქონდეს უტყუარ, მეცნიერულ ცოდნასაც კი, მაგრამ ის განიხილება არა როგორც ადამიანურ შემეცნების მიღწევები, არამედ როგორც ღვთიური გამოცხადების შედეგი.

მართლმადიდებელი რელიგიის აღნიშნული ფუნქცია გამოიხატება იმასშიც, რომ ის შესაძლებლობას იძლევა „მოხსნას“ სოციალური დაძაბულობა, „გადაწყვეტის“ საზოგადოების ანტაგონისტური წინააღმდეგობისანი. ეს ბევრი ადამიანის ნუგეშის მიმცემია, განსაკუთრებით ფიზიკურად და სულიერად სუსტებისთვის, ღარიბებისა და ბედით დაჩაგრულებისთვის. მათ მომავალში უკეთესი ცხოვრების იმედს აძლევს: სამოთხეში მოხვედრით, სადაც თურმე საამური ცხოვრება ექნებათ, თუ ასე მოისურვებს ღმერთი.

რელიგიის აღნიშნულ ფუნქციას მჩაგვრელები და მათი სახელმწიფო ოსტატურად იყენებდნენ და იყენებენ ჩაგრული მასების წინააღმდეგობების შესასუსტებლად, თავიანთი ბატონობის გასამტკიცებლად და გასამდიდრებლად.

მართლმადიდებელი რელიგიის ფუნქცია არის მისი

აგრეთვე რეგულატორული ფუნქცია, როგორც პიროვნებაზე და საზოგადოებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი მიმართულება. ამ ფუნქციის განხორციელების პროცესში რელიგია წარმართავს და აწესრიგებს ადამიანთა ქცევას, აქტიურ გავლენას ახდენს ხალხის მასების ცნობიერებასა და ნებისყოფაზე, გრძნობებსა და სულიერ განწყობაზე. ქართული მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების რთული მექანიზმი, რომლის ძირითადი ელემენტებია რელიგიური განწყობები, დოგმები, ზნეობრივი ნორმები.

მართლმადიდებელი რელიგიის კომუნიკაციური ფუნქცია გამოიხატება მის უნარში შეასრულოს ადამიანებს შორის ურთიერთობების, მათი გაერთიანების ფორმებისა და საშუალებების როლი. ამ ფუნქციას მართლმადიდებელი რელიგია ახორციელებს შესაფერისი რელიგიური დაწესებულების მეშვეობით, რომელთა შორის აღსანიშნავია: ეკლესია, წმინდანთა კულტი, წმინდა ადგილების მონახულება, რელიგიური დღესასწაულები და სხვა. მართლმადიდებელი მორალის მიხედვით ეკლესიას არ გააჩნია საზღვარი, ის კი არ ყოფს, არამედ აერთიანებს ადამიანებს.

მართლმადიდებელი რელიგიის ჰუმანური ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის მთელი თავისი იდეური პოტენციალით ცდილობს დანერგოს ადამიანებში ზნეობრივი ნორმები განავითაროს მათი ჰუმანური საწყისები. ის ცდილობს ადამიანებში განავითაროს ცოცხალი არსებისადმი, გარესამყაროსადმი სიყვარულის გრძნობა, ურჩევს ადამიანებს პატივისცემით მოეპყრან ერთმანეთს, გამოიჩინონ გულმოწყალება პიროვნებათა შორის ურთიერთობებში. აღნიშნული ფუნქციის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა რელიგია აღიარებული იქნას, როგორც სოციალურად უმნიშვნელოვანესი ზოგადსაკაცობრიო იდეური ფენომენი.

აზროვნების ისტორიაში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა კონკრეტული მეცნიერებანი და მატერიალისტური ფილოსოფია უარყოფენ რელიგიის შემეცნებით ღირებულებას, ღვთისა და სხვა ზებუნებრივი ძალების არსებობას, მათ მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესაძლებლობას. ათეიზმი კონკრეტულ მეცნიერებათა და მატერიალისტური ფილოსოფიის მიღწევების საფუძველზე ასაბუთებს იდეას იმის შესახებ, რომ სამყარო და ადამიანი არ არიან შექმნილი ღმერთის მიერ, რომელიც თვით ადამიანის მიერ არის გამოგონილი, „შექმნილი", და არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამყაროს შექმნასა და განვითარებაში. ღმერთს, რომელიც ქრისტიანობაში გვევლინება ისტორიულად განუმეორებელი იესო ქრისტეს სახით არ შეეძლო შეექმნა სამყარო და ადამიანი, ვინაიდან ისინი ქრისტემდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ. იესო ქრისტე კი ცხოვრობდა და თავისი მოძღვრება შექმნა ოცი საუკუნის წინ. მეცნიერების, მატერიალისტური ფილოსოფიის მიხედვით ადამიანის ანტროპოსოციოგენეზი გრძელდებოდა სამნახევარი მილიონი საუკუნის განმავლობაში. რუსეთის 75% ნახევრად-ველურ, წერა-კითხვის უცოდინარ იმპერიაში, მის პროვინცია საქართველოში მოსახლეობის განათლების დაბალი დონის გამო თეიზმი მე-20ს. ოციან წლებშიც კი გაბატონებული იდეოლოგიური მოძღვრება იყო, მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფების ათეისტური მოღვაწეობა ნაკლებეფექტური იყო. მათ მიერ განხორციელებულმა იდეურმა იძულებითმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი არ გამოიღო. ამიტომ ამჟამად საქართველოში გაბატონებულია მატერიალისტური ფილოსოფიის და მეცნიერების მიერ ცივილიზებულ ქვეყანაში საუკუნეების წინ უარყოფილი თეიზმი. კულტურულმა ფრანგმა ხალხის უმრავლესობამ ის მე-18ს. პოლოს უარყო, ზოგიერთმა სხვამ

კი – გაცილებით ადრე. ათეიზმს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მართლმადიდებელი რელიგიის მნიშვნელოვანი ნაწილია დებულება ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ, რომელიც თანამედროვე მეცნიერებისათვის, როგორც სამყაროს ობიექტურად შემეცნებელი ცნობიერების ფორმისთვის მიუღებელი, არაჭეშმარიტია.

რელიგიურ თეიზმს საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიის ფუძემდებლები ფილოსოფოსებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ბრძოლა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციის შინაარსის ნაწილი იყო, რამაც დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებრივ პროგრესს, შუა საუკუნეების უკიდურესი ჩამორჩენილობის დაძლევას, საქართველოში კი 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში თეისტურ იდეებს ადამიანთა ჯგუფები დიდი მონდომებით ავრცელებენ, ადამიანებს მოძღვრავენ ღმერთმა შექმნა სამყარო და ადამიანიო. ადამიანები, რომლებიც მართლმადიდებლური თეიზმის ბატონობის დროს მთლიანად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი, ნახევრად მშიერი და ფეხშიშველები იყვნენ ათეიზმის ბატონობის პირობებში საბჭოთა ხელისუფლებამ ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოიყვანა. ისინი კი ათეიზმს გმობენ და თეიზმს ადიდებენ. ადამიანთა უმადურობას მართლაც არ ჰქონია საზღვრები (შაჰინ შაჰი აბასი).

მართლმადიდებელი რელიგია, როგორც ნაწილს შეიცავს მოწინავე მორალურ იდეების სისტემას, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა დამოკიდებულებას, პიროვნების ზნეობრივ თვისებებს, ხალხებს შორის ურთიერთობების პრინციპებს და სხვა. მართლმადიდებელი ზნეობის ერთ-ერ-

თი ძირითადი პრინციპია სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა. ჭეშმარიტი ქრისტიანები მოითხოვდნენ ადრინდელი ქრისტიანობის ზნეობრივი იდეების სასწრაფო რეალიზაციას, მონობის, კერძო საკუთრების და ადამიანთა უთანასწორობის მოსპობას.

თანამედროვე ქართული მართლმადიდებლობაც, თუ ის ადრინდელი ქრისტიანობის მორალური იდეების ერთგულია, მისი ზნეობრივი ტრადიციების გამგრძელებელია მოწოდებულია იბრძოლოს ჩვენს საზოგადოებაში წარმოშობილი ახალი ტიპის ექსპლუატატორული წყობილების და ექსპლუატაციის ახალი ფორმების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადრინდელი ქრისტიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტალური იდეის – კერძო საკუთრების კვიდაციისა და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარების იდეის დიდი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისთვისაც. ეს იდეა შემდეგ მაქსიზმის ფუნდამენტარული იდეა გახდა. კერძო საკუთრება ყოფს და უპირისპირებს ადამიანებს ერთმანეთს, სოციალური ჩაგვრის ეკონომიკური საფუძველია, ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის ხელშემშლელი პირობაა. კერძო საკუთრების ყველა ნეგატიური ნიშანი სრულად გამოვლინდა თანამედროვე ქართულ ექსპლუატატორულ საზოგადოებაშიც.

მართლმადიდებელ იდეოლოგის უნარი შეწევს განახორციელოს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხალხის მასებში საყოველთაო პატრიოტიზმის დანერგვის მიზნით, არა მარტო საშობლოს სიყვარულის აბსტრაქტული გრძნობის გამოსამუშავებლად, არამედ ქართველების მრავალრიცხოვანი და ვერაგი მტრებისგან პრაქტიკული დაცვისა და ქვეყნის განვითარების მიზნით.

მართლმადიდებელი იდეოლოგის საფუძველზე ჩვენს რელიგიურ ორგანიზაციებსა და ორგანოებს შეუძლით გა-

ნახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ადამიანებს გამოუმუშავებენ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის, ადამიანებს შორის ჰუმანური დამოკიდებულების, ურთიერთ-პატივისცემის, პატიოსნების, ალალმართლობის, თავმდაბლობის, უსამართლობისადმი, მუქთახორობის, მომხვეჭელობისადმი შეურიგებლობის გრძნობას. ამ მხრივ ჩვენ, ჩვენთა საუბედუროდ, მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით.

კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი თანამედროვე საქართველოს რელიგიური ორგანიზაციების, მართლმადიდებელი იდეოლოგიის ფუნქციების განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, იდეოლოგიური პროგრესი. ამჟამად ამ მხრივ რელიგიურ ორგანიზაციებს მეტი შესაძლებლობანი გააჩნია, ვიდრე პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ეს შესაძლებლობა გონივრულად და წინდახედულად უნდა იქნეს გამოყენებული ხელისუფლების მიერ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მარქსიზმის რელიგიისადმი დამოკიდებულების პრობლემა არ არის ღრმად და ყოველმხრივ გამოკვლეული, მეცნიერულად გადაწყვეტილი მკვლევარები, როგორც წესი, თვლიან, რომ მარქსიზმი ნეგატიურად არის განწყობილი საერთოდ რელიგიისადმი და ამის დასამტკიცებლად ეყრდნობიან მარქსიზმის კლასიკოსთა რელიგიის საწინააღმდეგოდ გამოთქმულ აზრებს. ამ პრობლემების მეცნიერული კვლევის პროცესში სამართლიანად ჩამოყალიბდა აზრი, რომლის თანახმად მარქსიზმი აკრიტიკებს მხოლოდ რელიგიის შემეცნებით შესაძლებლობებს, მის პრეტენზიებს სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის პრობლემაზე ჭეშმარიტი აზრის ფორმირების შესახებ. ამ მხრივ მარქსისტული თვალსაზრისი, ისევე როგორც ადრინდელი ბურჟუაზიული იდეოლოგებისა ობიექტუ-

რი და მეცნიერულია მარქსიტული იდეოლოგიის რელიგიისადმი სრული მოცულობით დაპირისპირება შეუძლებელია შემდეგი გარემოების გამო.

კერძოდ, ადრინდელი, ჭეშმარიტი ქრისტიანობიდან წარმოიშვა კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი, რომელიც მარქსიზმის თეორიულ წყაროს წარმოადგენს. მისმა ფუნდამენტურმა იდეებმა და დებულებებმა მომავალში მარქსიზმის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ამიტომ, გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ მარქსიზმი მთლიანად უარყოფს ქრისტიანულ მოძღვრებას არ არის ჭეშმარიტი.

რუსეთის არაცივილიზებული წერა-კითხვის უცოდინარ იმპერიაში მარქსიზმის დიდებული იდეების საფუძველზე სოციალისტური წყობილების შექმნის ავანტურისტულმა მცდელობამ გამოიწვია მრავალრიცხოვანი, ფორმარულად მართლმადიდებელი ხუცების სასტიკი წინააღმდეგობა, ბოლშევიკებისა და მათი მომხრეების ნაწილის განადგურებაში მონაწილეობა. ამან კი განაპირობა ბოლშევიკების დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რომლებსაც იდეურად არაფითარი საერთო არ ჰქონდათ მართლმადიდებლობასთან. რეაქციონერი, ბნელეთის მოციქული ხუცესები სრულებითაც არ იყვნენ ნამდვილი მართლმადიდებლები არსად, მათ შორის საქართველოშიც.

ჩვენდა საუბედუროდ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც თავს ქრისტიანებად თვლიან და ამავე დროს აცხადებენ, რომ შეურიგებელი ანტიმარქსისტები არიან. ამ ვაჟბატონებმა არ იციან, რომ ქრისტიანი ადამიანის სულიერ სამყაროში ბევრი დიდებული მარქსისტული იდეა უნდა არსებობდეს. ამიტომ ჭეშმარიტი ქრისტიანი არ შეიძლება ანტიმარქსისტი იყოს. ეს ვაჟბატონები ვერ ხვდებიან, რომ სრულებითაც არ არიან

ქრისტიანები. ჩვენში მომრავლდნენ ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ თავს ანტიმარქსისტებად თვლიან და ამავე დროს აცხადებენ, ქრისტიანები ვართო იმ იდეებს კი უარყოფენ, რომლებიც მარქსიზმში ადრინდელი ქრისტიანობიდან შეიღა, ამიტომ ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები არ შეიძლება იყვნენ.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, აღნიშნული ტიპის პოლიტიკოსები საკმაოდ მომრავლდა. ამ ადამიანებმა არ უნდა დაგვძრახონ, თუ ვეტყვით, რომ ადამიანის ღირსებაა მხოლოდ და მხოლოდ მოწინავე იდეების მატარებელობა, სულიერი სიმდიდრე და სიწმინდე.

სოციალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ იდეოლოგიას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მე-19 ს. ბოლოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „მესამე დასის" შექმნით. სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას საფუძვლად დაედო მარქსიზმის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზე ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობდა მენშევიკების პარტია. სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში გაერთიანებული იყო აგრეთვე ბოლშევიკური პარტია და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები.

მენშევიზმის ძირითადი იდეური პრინციპები მარქსიზმის შესაფერისი იყო სოციალიზმის გამარჯვებისთვის საჭიროა კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა, რომლის წიაღში მომზადდება სოციალიზმზე გადასვლისთვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობები. სოციალიზმზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთდროულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად. მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მარქსიზმის კვინტესენცია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ მენშევიზმში იყო განსახ-

იერებული. რუსეთის უკიდურესად ჩამორჩენილ იმპერიაში სოციალიზმზე გადასვლისათვის საჭირო და აუცილებელი პირობები და ფაქტორები არ იყო მომზადებული. ამიტომ ბოლშევიკების ფანატიკურმა ბრძოლამ რუსეთის იმპერიის, მისი კიდევ უფრო ჩამორჩენილი პროვინციების საუკუნობრივი ჩამორჩენილობის დაძლევისა და სწრაფი ტემპით განვითარებისთვის სტაბილური შედეგი არ გამოიღო. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ექსპლუატატორული წყობილება, პარაზიტ-მჩაგვრელთა სახელმწიფო ხელისუფლება.

თანამედროვე ქართული სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური იდეოლოგიის თეორიული საფუძვლებია ადრინდელი სოციალ-დემოკრატიული დოქტრინა და თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგია ამ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული იდეალის თანამედროვე სახელწოდებაა „დემოკრატიული სოციალიზმი".

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკურ დოკუმენტებში ტერმინი „დემოკრატიული სოციალიზმი" არ გამოიყენება. იქ გამოყენებულია ტერმინი „განვითარებული საზოგადოების სოციალური ღირებულებანი" და სწრაფვა ასეთი საზოგადოების შექმნისაკენ. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ არის მეცნიერული. სოციალურ-დემოკრატიული მოძღვრება სათავეებს იღებს კრიტიკული უტოპისებური სოციალიზმის იდეოლოგიიდან. მას გააჩნია მარქსისტული წარსული და ძლიერი იმპულსი მიიღო მისგან. სოციალ-დემოკრატული პარტიების წარმოშობის მიზეზი იყო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მუშათა კლასის წარმოშობა და მისი ბრძოლა სოციალიზმისთვის. ამიტომ არსებობს ყველა პირობა იმისთვის, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატული პარტიის

საპროგრამო დოკუმენტებში აუცილებლად ფიგურირებდეს ტერმინი „დემოკრატიული სოციალიზმი", მისი დამყარებისთვის ბრძოლა გამოცხადებული უნდა იქნეს რომელი ხალხის, მუშათა კლასის კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნად.

ეს საკითხი საესებით სწორად და სამართლიანად არის გადაწყვეტილი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო დოკუმენტებში, რომლებშიც „დემოკრატიული სოციალიზმისთვის" ბრძოლა გამოცხადებულია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის მიზნად.

სამწუხაროდ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დოკუმენტში არ არის ნახსენები მუშათა კლასი, როგორც ამ პარტიის ისტორიული სოციალური საფუძველი... ეს არის მნიშვნელოვანი ხელშემშლელი პირობა პარტიის წარმატებით მოღვაწეობაში. საქართველოს სოციალ-დემოკრატია, ისევე როგორც საერთაშორისო, წარმოიშვა მუშათა კლასის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, როგორც ამ კლასის ინტერესების გამომხატველი და დამცველი. ამიტომ ამ პარტიის ბუნებრივი ხელობრივი მოვალეობაა იყოს მისი ერთგული მჭაგრელების წინააღმდეგ ბრძოლაში, გამოიყენოს საჭირო მეთოდები დემოკრატიული სოციალიზმის დასამყარებლად, რაც შესაძლებელია მარქსიზმის საფუძველზე მისი გამარჯვებისათვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობების შექმნის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი საფუძვლების მომზადებისას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დოკუმენტში „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს განვითარებისთვის. პროგრამულ პრინციპები„ პარტიის იდეოლოგია სქემატურად, რეალობას მოწყვეტილად არის წარმოდგენილი. როგორც სოციალურ-პოლიტიკური იდეებისა და დებულებების სისტემა არაადეკვატუ-

რად ასახავს სოციალურ სინამდვილეს, მასში წარმოდგენილი ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა, მისი განვითარების გზების, მეთოდებისა და საშუალებების ჭეშმარიტებულობა დამსახურებულ ეჭვს იწვევს. წამოყენებულია და ადიდებენ მრავალრიცხოვან ფორმალურ, მატერიალურად არაგარანტირებულ უფლებებს და თავისუფლებებს, მაგრამ მთლიანად მივიწყებულია მთავარი და ძირითადი – ამ უფლების გარანტიების შექმნისათვის ბრძოლა, მოვალეობანი, ქვეყნისა და ხალხის გადარჩენისათვის ყველას თავდადებული შრომა და ბრძოლა.

თანამედროვე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ნიშნები საქართველოს სპეციფიკური პირობების გამო გამოვლინდება თავისებურ ფორმებში, ვადებსა და ტემპებში, მაგრამ თეორიული დებულებები: სოციალიზმზე გადასვლის ევოლუციური ფორმების შესახებ, რევოლუციური გარდაქმნების მხოლოდ მშვიდობიანი ფორმების, კლასობრივი ბრძოლის კლასობრივი თანამშრომლობით შეცვლის, სახელმწიფოსა და დემოკრატიის კლასობრივი ხასიათის შეცვლის და სხვა. დიდად საეჭვოა პრაქტიკულად რეალიზებული იქნეს ოდესმე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახელმწიფო მმართველობის და სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაცია. სოციალ-დემოკრატები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ამ მიზნის მიღწევის ძირითადი პირობა – ხალხის პოლიტიკური განათლების და კულტურის მაღალი დონე და იბრძოლონ მის მისაღწევად: წინააღმდეგ შემთხვევაში, დემაგოგების მიერ ორგანიზებული ოხლოვრატია ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანს ქართველ ხალხს.

სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში სადისკუსიო საკითხი დემოკრატიის საზღვრების შესახებ. კონსერვატორებისა და ლიბერალების აზრით, დემოკრატია შეიძლება გავრცელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ პოლიტიკურ სფეროზე.

სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგო აზრით დემოკრატია, თავისუფლება და თანასწორობა უნდა გავრცელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: პირველი თვალსაზრისი მეცნიერულად უფრო დასაბუთებულია, ვიდრე მეორე. დემოკრატია არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის მასების ჩასმის მეთოდი. ეს ფორმა და მეთოდი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში ისეთ პირობებში, როცა საზოგადოებაში მომზადებულია მრავალრიცხოვანი პირობები და ფაქტორები, რათა დემოკრატიულმა მმართველობამ შეძლოს ქვეყნისთვის დადებითი, სასარგებლო შედეგების მოტანა. ასეთი შედეგები კი ჩვენს საზოგადოებაში ფუნქციონირებად დემოკრატიის საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არ მოუტანია: ჩვენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის სფეროში რაციონალური, ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკური რეკომენდაციები არ წარგვიდგენია, მავნე იდეები და ქმედებები კი ბევრი გამოვთქვით და ჩავიდინეთ. ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ უნდა დააყენოს საკითხი მართვის დემოკრატიული ფორმის გადასინჯვისა და ძლიერი, მტკიცე დიქტატორული სახელმწიფო ხელისუფლების დამყარების შესახებ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება, თუ სოციალ-დემოკრატები დააყენებენ საკითხს საზოგადოების არაპოლიტიკურ სფეროში დაინერგოს ერთმართველობა, როგორც მმართველობის ორგანოების საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მართვის ორგანიზაციული პრინციპი.

როცა სათავეში დგას ერთპიროვნული ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს უწყების დანიშნულებისა, მისი ფუნქციის შესრულება.

ქართული სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ იდეოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის, კულტურის ამაღლების განხორციელების საკითხებს. ამ საკითხების გადაწყვეტაზე ზრუნვა სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა. ამ მხრივ, მისაბაძია სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა სკანდინავიის ქვეყნებში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი საგარეო პოლიტიკის პრინციპებად და ამოცანებად გამოაცხადა კეთილმეზობლური ურთიერთობები, ურთიერთსასარგებლო და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა, პარტნიორობა და დიალოგი პრაგმატულობა და მოქნილობა, ტერიტორიული მთლიანობისთვის აღგენისთვის ბრძოლა, საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზაცია და სხვა.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭიროა შესაფერისი პირობები და შესაძლებლობანი, რომელთა მომზადებისთვის ხანგრძლივი დაძაბული შრომა და ბრძოლაა საჭირო ამჟამად კი აუცილებელია მოვითხოვოთ საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარება, როგორც აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის ეფექტური საშუალება.

თანამედროვე პირობებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფართოდ გავრცელების პირობები და შესაძლებლობები გააჩნია; ვინაიდან მისი მატარებელი წვრილი ბურჟუაზია ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილია.

პროლეტარული, კომუნისტური იდეოლოგია საქართველოში ბუნებრივად არ წარმოშობილა და არ გავრცელე-

ბულა, როგორც კაპიტალისტური წარმოების პროცესში მუშის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამომხატველი იდეების სისტემა. მე-19ს. 40-იან წლებში გერმანიაში წარმოშობილი მუშათა იდეოლოგიას რუსეთის იმპერიაში და მის ქართულ პროვინციაში ხელოვნურად, ყოველგვარი საფუძველის გარეშე გავრცელებას შეეცადნენ ბოლშევიკები, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა. საქართველოს მცირერიცხოვან მუშათა კლასს არ ახასიათებდა პროლეტარიატისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისება, როგორიც არის წარმოების იარაღებისა და საშუალებებისაგან სრული მოწყვეტა, მათი საკუთრებით არქონა. მისი ფორმირება თანდათანობით ხდებოდა კაპიტალისტურად ძალზე დაბალი ტემპებით განვითარებად საქართველოში, რომლის მოსახლეობის მცირე მუშათა ნაწილი იძულებული იყო თავისი სამუშაო ძალა მიეყიდა ბურჟუაზიისთვის კაპიტალისტურ საწარმოში მუშაობით და, ამავე დროს, შეენარჩუნებინა წვრილი გლეხური მეურნეობა. ქართველი მუშების ძირითადი ნაწილი სოციალურად და იდეოლოგიურად სოფლის გლეხები იყვნენ. ამიტომ მათი იდეოლოგია წვრილბურჟუაზიული იყო და არა პროლეტარული.

ადამიანთა ასეთ ჯგუფებს ბოლშევიკები პროლეტარებად თვლიდნენ, ვინაიდან ისინი კაპიტალისტურ საწარმოში დაქირავებული მუშები იყვნენ. მათი პროლეტარობის კრიტერიუმად კაპიტალისტურ საწარმოში მუშაობა მიაჩნდათ, რაც სრულებითაც არ არის სწორი. მუშის პროლეტარიატისადმი მიკუთვნების მთავარი კრიტერიუმია არა მისი სამუშაო ადგილი, არამედ წარმოების იარაღებისა და საშუალებებისაგან სრული მოწყვეტა, პროლეტარული იდეოლოგია და პროლეტარული სოციალიზმისთვის ბრძოლა. საქართველოს მუშების უმრავლესობას ობიექტური მიზეზების გამო არ გააჩნ-

დაო, მაოი პროლეტარიზაციის პროცესი თანდათანობით გრძელდებოდა და ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკები კი ცდილობენ მუშების ცნობიერებაში ხელოვნურად შეეტანათ პროლეტარული იდეოლოგია, რომელიც მუშებმა არ მიიღეს, ისინი წერილი ბურჟუები დარჩნენ.

საქართველოში პროლეტარული იდეოლოგიის გავრცელების ძლიერი ხელშემშლელი ფაქტორი იყო აგრეთვე ქართველი მუშების კულტურის დაბალი დონე. ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ რევოლუციური სიტუაციის პირობებში საჭიროა პროლეტარული პოლიტიკური ხელისუფლების დამყარება და შემდეგ მის საფუძველზე უკულტურობისა და გაუნათლებლობის ლიკვიდაცია, სოციალისტური კულტურის სწრაფი ტემპით შექმნა. არნიშნული თვალსაზრისი თეორიულად და პოლიტიკურად მთლიანად არასწორია, ვინაიდან მუშაობა კლასის და ქვეყნის განვითარების კულტურის მაღალი დონის გარეშე სოციალიზმის აშენება შეუძლებელია, ეს მისი ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. ასეთია ამ პრობლემის მარქსისტული კონცეფცია.

ქართულ, ისევე როგორც მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში პროლეტარული იდეოლოგია წარმოდგენილია როგორც კომუნისტური იდეოლოგია, რომელსაც, თითქოს, განვითარების ორი ეტაპი აქვს – მარქსისტული და ლენინური.

აღნიშნული კონცეფციის მეცნიერული დასაბუთებულობა საფუძვლიან ეჭვს იწვევს. დებულება კომუნისტური იდეოლოგიის ორი ეტაპის შესახებ საზოგადოებრივ მეცნიერებაში შემოტანილია ი. ბ. სტალინის მიერ ლენინიზმის შესახებ ი. სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებში, რომლებშიც ი. სტალინი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ლენინიზმი წამოადგენს მარქსიზმის განვითარების ახალ ეტაპს იმპერიალიზმისა და პროლეტარული

რევოლუციის ეპოქაში. ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობის ახალ ეტაპად გამოცხადება აკადემიკოსმა ბ. ჩავინმა გამოაცხადა ი. ბ. სტალინის ისტორიულ დამსახურებად.

ვ. ი. ლენინის იდეების ერთიან მოძღვრებად და მარქსიზმის განვითარების ეტაპად გამოცხადება გამოწვეული იყო იმით, რომ ლენინის მოძღვრებას მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეები არ თვლიდნენ მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიად. იმ პერიოდში იდეოლოგიური ბრძოლის ძირითადი პრობლემა იყო ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პრობლემა, რომელსაც ვ. ი. ლენინი ახალ პირობებში შესაძლებლად მიიჩნევდა. თვლიდა რომ ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურად განუვითარებელ ქვეყანაშიც შესაძლოა შეიქმნას აუცილებელი საშინაო და საგარეო პირობები სოციალიზმზე გადასასვლელად. ასეთი პირობები თითქოს შეიქმნა იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთში. ლენინურ თვალსაზრისს მისი მოწინააღმდეგეები თვლიდნენ მეცნიერულად დაუსაბუთებლად და ანტიმარქსიტულად. თვლიდნენ, რომ კაპიტალისტურად განუვითარებელ ქვეყანაში არ არის მომზადებული სოციალიზმზე გადასასვლელად აუცილებელი, მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური პირობები და ამიტომ იქ სოციალიზმის აშენება შეუძლებელია.

ლენინიზმის მოწინააღმდეგეები ეყრდნობოდნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებას სოციალიზმის რამდენიმე, კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნაში ერთდროულად გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, თვლიდნენ, რომ სწორედ ასეთ ქვეყნებში არის მომზადებული სოციალიზმზე გადასასვლელად აუცილებელი ფაქტორები. ლენინიზმის მოწინააღმდეგეები აქტიურად იცავდნენ თავიანთ თვალსაზრისს და ინტენსიურად იბრძოდნენ მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის.

ვ. ი. ლენინს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა მარქსისტული იდეოლოგიის სხვა პრობლემებზეც. შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პროლეტარული იდეოლოგიის ლენინურ კონცეფციაში მეტია მარქსიზმისაგან განსხვავებული იდეები და დებულებანი, ვიდრე შესატყვისი და მსგავსი, ამიტომ მას გააჩნია მარქსისტულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შინაარსი, მასში ჭარბობს ვოლუნტარისტული და უტოპიური იდეები. მისი მარქსისტული მეცნიერული იდეოლოგიის განვითარების ეტაპად აღიარება არ შეიძლება; ის უკიდურესად ჩამორჩენილი რუსეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისა და მდგომარეობის ამსახველი, მათი ლიკვიდაციის მეთოდებისა და პირობების შემცველი პოლიტიკური დოქტრინაა. მსოფლიოს თოთხმეტ ჩამორჩენილ ქვეყანაში მისი გამოყენების მცდელობამ გამოიწვია მეცნიერული მარქსისტული მოძღვრების დისკრეტიზაცია სანგრძლივი დროით.

ამრიგად, ი. სტალინის თვალსაზრისი ლენინიზმის როგორც მარქსიზმის განვითარების ეტაპის შესახებ ნაკლებად დასაბუთებულია და მისი ბელადის სხვა რამდენიმე დიდ აღმოჩენებთან ერთად მოხსენიებისაგან თავი უნდა შეიკავოთ.

მიუხედავად აღნიშნულისა ი. ბ. სტალინის ინიციატივით უკიდურესად ჩამორჩენილ საბჭოთა კავშირში შეიქმნა მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, განვითარდა სოფლის მეურნეობა და კულტურა განხორციელდა და სხვა უღრმესი რევოლუციური გარდაქმნები. უმოკლეს დროში ქვეყანა განვითარდა. ქართული და სხვა ხალხების უმძიმესი მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად

გაუმჯობესდა გერმანიის ბატონობისგან მსოფლიო ცადარჩა, მსოფლიოს თორმეტი ხალხი, მათ შორის რუსები ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა[10].

ზოგიერთი გაუნათლებელი და უმადური ადამიანი ქართველ ხალხს ატყუებს გერმანელები დამოუკიდებლობას მოგვცემდნენო. სინამდვილეში კი „საბჭოთა ხალხის ფიზიკური განადგურების აპარატის ორგანიზაცია და მომზადება" ჰაინრიხ ჰიმლერს ჰქონდა დავალებული[11]. მაშინ საბჭოთა ხალხის ნაწილი ქართველებიც ვიყავით.

1941 წ. 29 აპრილს ჰიტლერთან გამართულ თათბირზე „ბარბაროსას" გეგმის დამატების შესახებ მიღებულ გეგმა „ოლდენბურგ'ში" აღნიშნულია: „სსრკ ოლქების გასაძარცვავად იქმნება ოთხი ინსპექცია... 4 ბაქო („ვესტფალენი") სამეურნეო რაზმები: კრასნოდარი, გროზნო, ეორონეჟი, თბილისი, ბაქო ერთი ფილიალი ბათუმ'ში"[12].

ი.ბ. სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში განხორციელებულ რევოლუციურ გარდაქმნებს კაპიტალიზმის წარმოშობის მიზეზების ლიკვიდაციის მიზნით სასურველი შედეგები არ მოყვა, მიზანი მიუღწეველი დარჩა. ამის მიზეზი იყო საზოგადოებაში კაპიტალიზმის არსებობისა, მისი განვითარების საფუძვლებისა ბუნებრივად, მყარად არსებობა და მოქმედება, ვიდრე სოციალიზმისა.

ი. ბ. სტალინი იძულებული იყო ელიარებინა: „საბჭოთა ხელისუფლებას ექსპლუატაციის ერთი ფორმა მეორეთი კი არ უნდა შეეცვალა, როგორც ეს ძველი რევოლუციების

55 ვ. ვახანია. აღნიშნული ნაშრომი, გვ. 98

56 ვ. ვახანია იოსებ ბესარიონისძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური, დოკუმენტების კრებული. თბილისი-მოსკოვი სეკრეტი 2014 წელი მეორე გამოცემა, გვ. 109

57 იქვე, გვ. 110.

დროს ხდებოდა, არამედ ბოლო უნდა მოელო ყოველგვარი ექსპლუატაციისთვის"[13].

აღნიშნული თვალსაზრისის ი.ბ. სტალინისადმი მიკუთვნების შესახებ შეიძლება წარმოიშვას ეჭვი, მაგრამ გათვალისწინებულმა ისიც, რომ ეს აზრი გადმოცემულია დოკუმენტების კრებულში მისი შემდგენლის მიერ, რომლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ქართულ საზოგადოებაში, მუშათა კლასის სოციალისტურ იდეოლოგიას ბევრი მიმდევარი და მომხრეც ჰყავდა სოციალიზმი, როგორც იდეათა სისტემა მოწინავე და ჰუმანურია. ეს იდეები არ არის ცუდი, როგორც ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი მჩაგვრელი წევრი ბრძანებს, არამედ თვითონვე არის ასეთი და ამიტომ მის მიერ მითვისებული საზოგადოებრივი ქონების რევერსირება ობიექტურად გარდუვალი და სამართლიანია.

საქართველოში მუშათა კომუნისტური იდეოლოგიის კრიზისი დაიწყო მე-20ს. ბოლო მეოთხედში, სწრაფი ტემპით განვითარდა და 90-იანი წლების ბოლოს, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიამ შეწყვიტა არსებობა. ამ პროგრესული იდეების საფუძველზე განვითარებულ საქართველოში მას მცირერიცხოვანი დამცველებიც კი არ აღმოუჩნდა, რაც სრულებითაც არ გვმატებს ღირსებას. ის ვინც კარგ იდეებს არ იცავს, სრულებითაც არ არის დადებითი პიროვნება.

მუშათა იდეოლოგიის საქართველოში ღრმა კრიზისის მიზეზი დიდი ხნის განმავლობაში იქნება მეცნიერული გააზრებისა და კვლევის ობიექტი. მის რღვევას მოჰყვა მილიონობით ადამიანის იმედების გაცრუება სამართლიანობისა და სიკეთის საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ,

58 ვ. ვახანია. ი.ბ. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური დოკუმენტების კრებული -- თბილისი-მოსკოვი სვაროგი. 2014წ. მეორე გამოცემა, გვ. 428.

რაც დადებითი მოვლენა სრულებითაც არ არის. საქართველოში მუშათა იდეოლოგიის ღრმა კრიზისი და რღვევა გამოიწვია იმან, რომ ის არ აღმოცენებულა საკუთარ, ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე. გერმანიაში წარმოშობილი და რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი და ნაწილობრივ საქართველოს მუშათა კლასში იყო გავრცელებული. ამიტომ დიქტატორული ხელისუფლების არსებობის შეწყვეტის შემდეგ სასწრაფოდ განვითარდა მისი კრიზისი და როგორც სახელმწიფო იდეოლოგიამ შეწყვიტა არსებობა.

შემდეგ, პროლეტარული იდეოლოგია მრავალრიცხოვანი, ნაკლებკვალიფიციური „კომუნისტების" მიერ სწრაფად დოგმატიზირდებოდა, სუსტად ეგუებოდა ცხოვრების შეცვლილ პირობებს, რომლებსაც ცდილობდნენ მოერგოთ იდეოლოგიაზე. განვითარებად, ცვალებად პირობებსა და დოგმატიზირებულ იდეოლოგიას შორის განვითარდა წინააღმდეგობა.

შემდგომ საბჭოთა კავშირში განხორციელებული უღრმესი რევოლუციური გარდაქმნების შედეგად შექმნილ წყობილებაში არ ყოფილა მიღწეული ძირითადი სოციალისტური მიზანი – ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობა. ჩამოყალიბდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ახალი ფორმა, რომლის საფუძველი იყო შრომის მიხედვით განაწილების სამართლიანი პრინციპის დარღვევა, სახელმწიფო ორგანოების მიერ უსამართლო განაწილება, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ქონების მასობრივი მტაცებლობა, მითვისება და ქურდობა. საზოგადოებაში შეიქმნა მჩაგვრელთა ახალი პარაზიტი კლასი. ასეთ პირობებში პოლიტიკური პროპაგანდა ცდილობდა გაეერცელებინა აზრი ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის ჩაგვრის არარსებობის შესახებ, რაც

ადამიანებს არ სჯეროდათ, იდეოლოგია მთლიანად სახელგატეხილი იყო.

პროლეტარული სოციალისტური იდეოლოგიის დისკრეტიზაციის მიზეზია აგრეთვე საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების მიზნით საბჭოთა ხალხის, მისი ბელადისა და სხვა ლიდერების მიერ მშვიდობიანი შრომისა და ომის დროს გაწეული უდიდესი შრომის დაუფასებლობა, მათზე ცილისწამება, შავი უმადურობა. იმ პერიოდში სოციალისტური იდეოლოგიის ერთგულ საბჭოთა ხალხს დისიდენტებმა და „დემოკრატებმა" უთხრეს არაფერი კარგი არ გაგიკეთებიაო. ცილისმწამებელთა მონაჭორმა ხალხს გული გაუტეხა, იდეოლოგიისადმი რწმენა დაუკარგა თვით იდეოლოგია კი არ იყო ასეთი მდგომარეობის მიზეზი, საჭირო იყო მისის დაცვა და განვითარება.

საქართველოში სოციალისტური იდეოლოგიის კრახის მიზეზია კაპიტალისტური სახელმწიფოების დივერსიული საქმიანობა. იდეოლოგიური მოწინააღმდეგე ყველა საშუალებითა და შესაძლებლობით ცდილობდა სახელი გაეტეხა სოციალისტური იდეოლოგიისათვის, დაეპირისპირებინა მისთვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და შეეცვალა ისეთი ხელისუფლებით, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა სსრკ უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეები, შეექმნა მისი პოლიტიკური საყრდენი საბჭოთა კავშირში, აშშ მსოფლიო ბატონობის მისაღწევად. მიზანი ძირითადად მიღწეულია.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში მუშათა სოციალისტურმა იდეოლოგიამ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და ნაწილობრივ საქართველოშიც დაიწყო აღორძინება. ამ მოვლენას ბევრი მიზეზი გააჩნია, რომლებიც სპეციალურ

კვლევას მოითხოვს, მაგრამ მათგან შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიზეზი მაინც.

პირველი, ბუნებრივი კაპიტალიზმისთვის, რეალური დამოუკიდებლობისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის მისაღწევად საქართველოში და სხვა ქვეყნებში არ იყო მომზადებული მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური პირობები. ამიტომ ასეთ პირობებში მათ მისაღწევად ბრძოლამ უკიდურესად ნეგატიური, კატასტროფული შედეგები გამოიწვია – მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება, ადამიანთა დიდი მსხვერპლი, საქართველოს დაშლა და დაქუცმაცება და ბევრი სხვა უბედურება. დადებითი მოვლენა კი ძალზე ცოტაა. ასეთ პირობებში ხალხებში, მათ შორის ქართველ ხალხშიც წარმოიშვა ნოსტალგია ცხოვრების კარგი პირობების დაკარგვის გამო, ის სულ უფრო მეტად საგანგებით სამართლიანად მოითხოვს სოციალური ცხოვრების წესის აღდგენას.

მეორე, სოციალისტური იდეოლოგიის მოწინააღმდეგეებმა მას იდეოლოგიური ბრძოლის ელემენტარული წესების და მარტივ მოთხოვნათა უგულვებელყოფით დაუპირისპირეს უხეში და პრიმიტიული ანტიკომუნიზმი. იდეოლოგიურ ბრძოლაში ჩაებნენ და მას ხელმძღვანელობდნენ საქმის მთლიანად უცოდინარი და გამოუცდელი დილეტანტები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ იდეოლოგიაზე და იდეოლოგიურ ბრძოლაზე; მათი ქმედებების მოსალოდნელ შედეგებზე. იდეოლოგიური ბრძოლის ველზე დათარეშობდა არაკომპეტენტური პროლეტარული იდეოლოგიის ბატონობის პირობებში სოციალისტურ ინტელიგენტად ბოლშევიკების მიერ „შექმნილი" გაუნათლებელი ვაიიდეოლოგები.

ასეთმა მდგომარეობამ საესებით სამართლიანად გააქტიურა მუშათა სოციალისტური იდეოლოგიის მომხრეები.

ანტისოციალისტმა დილეტანტებმა ისიც კი არ იცოდნენ, რომ იდეები შეიძლება დამარცხებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ უფრო პროგრესიული იდეებით. ამ საქმეში ჩირქის მოცხება და სახელის გატეხვა უაზრობაა, ისინი იწვევენ სასურველის საწინააღმდეგო შედეგებს. ანტისოციალისტ ვაჟბატონებს უნდა სცოდნოდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაშაეების მცდელობა, მასზე ცილისწამება, რომლის ინიციატივით მე-20ს. პირველ ნახევარში მუშათა კლასმა და მშრომელმა ადამიანმა გამოუშვა აუცილებელი სამრეწველო პროდუქცია, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი საპონი და ჰიგიენის სხვა საშუალებანი, მოსპო შუა საუკუნეების სამარცხვინო მოვლენა – უკიდურესი გაუნათლებლობა წერა-კითხვის უცოდინარობა და ბევრი სხვა საშინელებანი უშედეგო მცდელობაა, კრილოვისებური პირუტყვის შავი უმადურობა.

დაიწყო სოციალისტური წყობილების რესტავრაციისთვის მებრძოლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების აღორძინება. სავსებით შესაძლებელია ახლო მომავალში „დემოკრატებად", „ნაციონალებად", რესპუბლიკელებად და სხვა. გადაღებულ გამდიდრების მოყვარულ ვაჟბატონებს მოუწიოს მუშათა იდეოლოგიის მომხრე ორგანიზაციების კუდში ჩანჩალი, ზოგიერთს კი რევოლუციის ძლიერი ხელით სასტიკი დასჯა.

ამჟამად საქართველოში სოციალისტური იდეოლოგიის აღორძინება მისი რეანიმაცია მიუხედავად მრავალი მოსურნისა ბევრ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. ის არ შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო ბატონის ნებას. ადამიანთა ნაწილი დაარწმუნეს იმაში, რომ ბოლშევიკებს თურმე სავსებით უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ ბევრი პატიოსანი ადამიანი დაუსჯია, ქართველების რაოდენობა შეუმცირებია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და

კულტურული განვითარება შეუფერხებია, გერმანელი ფაშისტების დაპირებულ „დამოუკიდებლობაზე" უარი უთქვამს და სხვა. როგორც ამჟამად ირკვევა, არცერთი ეს ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება და იმ ადამიანების მონაჭორია, რომლებიც ბოლშევიკებმა ფეხშიშველა, წერა-კითხვის უცოდინარი, ღატაკი ადამიანებიდან თანამედროვე ადამიანებს ფორმარულად მაინც დაუვამსგავსეს. მაგრამ, სამწუხაროდ ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეს ეს უდიდესი მიღწევები და დაბსახურება ჯერ-ჯერობით, არ გაუცნობიერებია, ობიექტურად არ შეუფასებია. უმადურობის, ცილისწამების დაძლევა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს და თანდათანობით განხორციელდება შეუძლებელია სიმართლის უგზო-უკვლოდ გაქრობა. ასე ისტორიაში არ ხდება.

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური განვითარების სფეროში საჭიროა იდეოლოგიური პლიურალიზმის თანდათანობითი მომზადებული დანერგვა, ვინაიდან საზოგადოებაში წარმოშობა ახალი იდეოლოგიურ კონცეფციები, ადგილი აქვს ძველი იდეების რეანიმაციას კორექტირებული სახით.

ამავე დროს, თანამედროვე საქართველოს უმძიმეს მდგომარეობაში აუცილებელია ქართული ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის ფორმირება, რომელმაც წამყვანი მდგომარეობა უნდა დაიკავოს იდეოლოგიურ სფეროში. ამჟამად ქართულ საზოგადოებაში ფუნქციონირებადი მრავალრიცხოვანი იდეოლოგიური ხასიათის წარმონაქმნები – იდეები, დოქტრინები, კონცეფციები და სხვა. ასახავენ საზოგადოების სოციალური სისტემის ცალკეული ელემენტების – სოციალური ჯგუფების, ფენების, პოლიტიკური ორგანიზაციების და სხვა დამოკიდებულებას პოლიტიკური და სხვა სახის რეალობისადმი. საზოგადოებრივი იდეური წარმონაქმნები მათი თვისებრივი განსხვავებულობის გამო არ შეიძლება წარმოდგენილი იქნენ,

როგორც მთელი საზოგადოების ერთიანი ეროვნული იდეოლოგია, რომელშიც უნდა გაერთიანდეს ის საერთო, რომელიც ახასიათებს განსხვავებულ პოლიტიკურ მიმართულებებს, ჩვენს საზოგადოებაში ის ფაქტობრივად უნდა წარმოადგენდეს ქართველი ხალხის, როგორც ეროვნული ერთობის იდეოლოგიურ სისტემას, რომელსაც შეუძლია გახდეს ჩვენი ქვეყნის განვითარების ეფექტური საშუალება.

თანამედროვე ქართული ეროვნული იდეოლოგიის ფორმირების ძირითადი პირობა და მისი მასობრივი ეფექტის მიღწევის საფუძველი არის მაქსიმალური მეცნიერული ხასიათი. მის ფორმირებაში წამყვანი მდგომარეობა უნდა დაიკავონ გამოჩენილმა მეცნიერებმა, პოლიტოლოგებმა და გამოცდილმა პოლიტიკოსებმა. დიდად სამწუხაროდ, ჩვენში ეკონომიკურად და სხვა მხრივ გაბატონებულ ადამიანთა ჯგუფები ხელს უშლიან ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის ფორმირებას, რომელსაც შეუძლია შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ობიექტური შეფასება, მისგან გამოსვლის გზების, საშუალებების და მეთოდების შემუშავება.

ამჟამინდელი ქართული ეროვნული იდეოლოგიის თავისებურება იქნება მისი ინტერნაციონალური ხასიათი, რასაც ჩვენში ყოველთვის ჰქონდა ადგილი. მისთვის უცხო იყო და იქნება, არაქართველათა შევიწროება, მათი საქართველოდან გასახლება და სხვა. ზოგიერთმა არაქართველმა კი ქართული ინტერნაციონალიზმი, მიმდობილობა, მსოფლიოში განთქმული სტუმართმოყვარეობა კრილოვის პერსონაჟის მსგავსად არ უნდა გამოიყენოს, ასეთ შემთხვევაში მათ პასუხი უნდა ვაგებინოთ.

ქართული ეროვნული იდეოლოგია უნდა გახდეს შერეული ხასიათის სოციალური ფენომენი. მისი თავისებურება გამოვლინდება ქართული საერო და ქრისტიანული სოციალ-

ური, რესპუბლიკური და მონარქისტული იდეების შერწყმაში, ხალხურისა და სახელმწიფოებრივის შეერთებაში და სხვა. თანამედროვე ქართული, ეროვნული იდეოლოგიის ძირითადი, ფუნდამენტალური იდეები უნდა გახდეს საქართველოს, ქართველი ხალხის ხსნა-დაღუპვისგან, მისი ყოველმხრივი განვითარების, საქართველოში მოწინავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების შექმნის, ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციის და სხვა იდეები.

ქართული ეროვნული იდეოლოგიის ძირითადი და ფუნდამენტალური იდეა, მისი კვინტესენცია არის საქართველოს და ქართველი ხალხის ეროვნული ხსნისა და მისი ყოველმხრივი განვითარების იდეა, მისი მიღწევის პრობლემა. ეს არის ქართველი ხალხის მიზანი, მისი მთავარი პრობლემა. უპირველესად სარეალიზაციო იდეა. ამ იდეის რეალიზაციამ შესაძლოა შეძლოს საქართველოს კატასტროფიდან გამოყვანა, ქართველების ეროვნული გადარჩენა.

ქართული ეროვნული იდეოლოგია უნდა გახდეს საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის რესპუბლიკური ფრონტის საპროგრამო დოკუმენტი და მიღებული უნდა იქნეს მის ყრილობაზე.

საქართველოსა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიაში არასდროს არცერთ იდეოლოგიურ სისტემას, იმდენი მონაჭორი არ შეუთხზავთ, იმდენი ცილი არ დაუწამებიათ, რამდენიც პროლეტარულ იდეოლოგიაზე. არასდროს საქართველოში და სხვა ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის იმდენი კარგი საქმე არ გაკეთებულა ფუნქციონირებადი იდეოლოგიის საფუძველზე, რამდენიც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ. არასდროს ისტორიაში

უკიდურესი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანა არცერთი პოლიტიკური იდეოლოგიის წინაშე არ დასმულა და არ გადაწყვეტილა. მითებისა და სიცრუის შემთხვევლებმა დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინეს საზოგადოებაზე, რითაც გაახანგრძლივეს პროლეტარული იდეოლოგიის აღორძინების პროცესი. როგორც სჩანს მომავალში ჩვენი განახლებული იდეოლოგია თანდათანობით დაუახლოვდება სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, რაც ახალ პირობებში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება.

ანარქისტულ იდეოლოგიას საქართველოში ხანგრძლივი და ძლიერი ტრადიციები არ გააჩნია. ანარქისტები განსაკუთრებით აქტიურობდნენ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, აქტიურად იბრძოდნენ მარქისტელი ფილოსოფიის წინააღმდეგ. ბოლშევიკები შეურიგებლად ებრძოდნენ მათ რაშიც მნიშვნელოვანი წვრილი შეიტანა ი.ბ. სტალინის ნაშრომმა „ანარქიზმში თუ სოციალიზმი" საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანარქისტებმა გააქტიურეს ანტისაბჭოთა საქმიანობა, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებაში ვერ მოიპოვეს და დაიშალნენ.

ანარქიზმი მიეკუთვნება თანამედროვე პოლიტიკური მიმართულებების მემარცხენე ფრთას. ის აკრიტიკებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას და ამ მხრივ უტოპიური სოციალიზმის სახესხვაობაა. ამჟამად საქართველოში ანარქიზმის ფილოსოფიურმა საფუძველმა, წვრილბურჟუაზიულმა ინდივიდუალიზმმა გავრცელება ჰპოვა კერძო საკუთრების არაბუნებრივი წარმოშობისა და მისი „ზემოდან" დეკრეტირების გამო. ამ მოვლენას მოჰყვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულვებელყოფა, მათი დაუქვემდებარება კერძო ინტერესე-

ბისადმი და სხვა ანტისოციალური მოვლენა. ის უარყოფს ყველაფერს, რაც ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, რომელიც არასწორად გაგებულია, როგორც ყოველგვარი ინდივიდუალური სურვილის, მათ შორის, ანტისაზოგადოებრივის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება. თავისუფლების ასეთმა არასწორმა გაგებამ დიდი ზიანი მიაყენა თანამედროვე საქართველოს; ის მასობრივი ანარქიისა და ქაოსის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ქართულ საზოგადოებაში არსებობს, აგრეთვე, ანარქიზმის ძლიერი თეორიული საფუძველი სუბიექტივიზმისა ვოლენტარიზმის სახით. საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებების განმსაზღვრელი როლის უარყოფამ და სუბიექტური ფაქტორების აპოლიტიამ ძირითადად განაპირობა დასახული მიზნების მიუღწეველობა, განხორციელებულ გარდაქმნათა ფორმარული ხასიათი.

თეორიული მხრივ ანარქიზმი გამოირჩევა თავისი საფუძვლების უკიდურესი პრიმიტიულობით. მისი ზოგიერთი იდეოლოგი თეორიას ნიჰილისტურად ეპყრობოდა, ზოგი კი მთლიანად უარყოფდა და უარყოფს: აღსანიშნავია ანარქისტული თეორიის ეკლექტიზმი: მისი ზოგიერთი წარმოდგენილი ცდილობდა თავიანთ შრომებში დაყრდნობოდა ჰეგელის ფილოსოფიის ცალკეულ დებულებებს, კონტისა და სპენსერიის პოზიტივისტური მოძღვრებას და მარქსიზმის დებულებებსაც კი.

ანარქიზმის ძირითადი პრინციპია სახელმწიფოსა და საერთოდ პოლიტიკური ხელისუფლების უარყოფა, რომლებსაც მთლიანად განიხილავენ, როგორც ძალადობის ორგანოებს.

თანამედროვე ანარქიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: ბურჟუაზიული დემოკრატიის საფუძველზე პოლიტიკური ბრძოლის უარყოფა; მუშათა პოლიტიკური ხელისუფლების

მიუღებლობა; სახელმწიფოს მოსპობის მოითხოვნა ისეთ პირობებში, როცა ამისთვის არ არის მომზადებული აუცილებელი მრავალრიცხოვანი ფაქტორები. მათი აზრი, სახელმწიფოს გარეშე ფუნქციონირებადი ხელისუფლება იქნება საწარმოო ასოციაციების, კომუნების, პროვინციების და სხვა. სოციალური ერთობის ფედერაცია ყოველგვარი იძულებისა და დაქვემდებარების უარყოფამ უნდა წარმოშვას ნამდვილი საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც დამყარებული იქნება თავისუფალ თვითმართველობაზე. ანარქიზმის ამოსავალი დევიზია, „ანარქია – წესრიგის დედაა", მას თითქმის არ გააჩნია არც თეორიული და არც პრაქტიკული დასაბუთება. ამავე დროს, თემების, პროვინციების, კომუნებისა და სხვა იდეები მნიშვნელოვნად აახლოებს მას საზოგადოებრივი აზრის სოციალისტურ მიმართულებასთან.

ანარქიზმი მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიაა, ის ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ორგანიზებულ დაწესებულებად არ არის ფორმირებული, ინსტიტუციონალიზებული პარტიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით. ანარქიზმის იდეურ ელემენტებს შეიცავს ქართული სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ორგანიზაციების საპროგრამო და სხვა დოკუმენტები.

ქართული სახელმწიფოს დასუსტებისა და უარყოფის ანარქისტული მცდელობა ვლინდება შემდეგში: პირველი, ქართულ საზოგადოებაში მოქმედი პოლიტიკური ძალების ნაწილის საქმიანობაში. უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ქართული პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებადი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ ძირითადად იბრძოდა კანონისა და სამართლის ნორმების დარღვევით, ცილს წამებდა და სახელს უტეხდა

ხელისუფლებას, შეურაცხყოფდა სახელმწიფო მოღვაწეებს, დემაგოგობდა და დილეტანტობდა; მათი მიზანი თანამდებობის დაკავება და გამდიდრება იყო. ასეთნაირად დამყარებული ხელისუფლება წინანდელზე უფრო ანტიხალხური იყო პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილის ასეთმა საქმიანობამ გამოიწვია არამარტო არსებული სახელმწიფო ხელისუფლების სახელის გატეხვა, არამედ საეროოდ ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი დისკრედიტაციაც. მეორე. საქართველოში ანარქიზმის დანერგვასა და გავრცელებაში და ამ გზით ქართულ სახელმწიფოს დასუსტებაში აქტიურობს ქართველების მიერ საქართველოში ჩამოსახლებული და მათ მიერ მიღებული უცხო ტომების ზოგიერთი ნაშიერი, რომლებსაც არავითარი ადამიანური მადლიერების გრძნობა არ გააჩნიათ, ურცხვად და უტიფრად ცრუობენ-ქართული სახელმწიფო ქართველების შექმნილი არ არისო, მისი დამაარსებელი სომხები, ებრაელები და სხვები იყვნენო.

საქართველოში წერილბურჟუაზიული, ანარქისტული იდეოლოგიის მნიშვნელოვანი როლი განაპირობა წერილბურჟუაზიული მასების სიმრავლემ. მათთვის დამახასიათებელი თვისებები. გამდიდრებისთვის ფანატიკური ლტოლვა, ფულის ფეტიშიზმი, სიხარბე, ეგოიზმი, უდისციპლინობა, თავშეუკავლობა და მისთანები თანამედროვე საქართველოს კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზია.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის სტრუქტურაში არსებობს ტროცკისტური პოლიტიკური კონცეფცია, რომლის საფუძველია პერმანენტული რევოლუციის დოქტრინა. ლ.დ. ტროცკი რევოლუციური პროცესის პერმანენტულობის ფაქტორებად თვლიდა არა კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებს, არამედ საგარეო ფაქტორებს, მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას. აქედან წარმოიშვა

აზრი რევოლუციის ექსპორტის შესახებ ერთიანი მსოფლიო რევოლუციური ცენტრიდან. ასევე თანამედროვე ტროცკისტები თვლიან, რომ ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობა, თითქოს, მოწმობენ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ინტერნაციონალური ბაზისის წარმოშობას.

საქართველოში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ტროცკისტულ კონცეფციას მომხრეთა დიდი რაოდენობა ჰყავდა. ტროცკიზმთან წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში საქართველოდან განიდევნა 1400 ადამიანი, კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრები. მის თვალსაზრისს არცთუ უსაფუძვლოდ იზიარებდა კომპარტიის „მეშარცხენე" ნაწილიც.

ამჟამად ცნობილი გახდა ლ.დ. ტროცკის ანტისოციალისტური საქმიანობისა და გერმანულ ფაშიზმთან უშუალო კავშირის დამამტკიცებელი რამდენიმე დოკუმენტი. კერძოდ შემდეგი შეტყობინება: „სრულიად საიდუმლოდ მხოლოდ ამხ. იუანოვისთვის 1935 წ. დეკემბერში ტროცკი შეხვდა ჰიტლერის მოადგილე ჰესს. დაიდო შემდეგი შეთანხმება:

ა) გარანტირებული იქნეს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გერმანულ მთავრობისადმი და მასთან აუცილებელი თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ბ) დავთანხმდეთ ტერიტორიულ დათმობებს.

გ) კონცესიების ფორმით (ან რაიმე სხვა ფორმით) უფლება მიეცეთ გერმანელ მრეწველებს სსრკ-ში ექსპლუატაცია გაუწიონ ისეთ საწარმოებს, რომლებიც გერმანიის მეურნეობის აუცილებელი ეკონომიკური დანამატია (რკინის მადანი, შარგანეცი, ნავთობი, ოქრო, ტყე)

დ) სსრკ-ში შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კერძო გერმანული საწარმოების საქმიანობისთვის.

ე) ომის დროს გაიშალოს აქტიური დივერსიული

მუშაობა სამხედრო საწარმოებში და ფრონტზე. ეს დივერსიული მუშაობა უნდა განხორციელდეს ტროცკის მითითებით და შეთანხმებული უნდა იყოს გერმანიის გენშტაბთან[14].

ა. ლავროვი

1936წ. 2 თებერვალი

„შემდეგ, აუცილებლად მოგვიწევს დავთანხმდეთ ტერიტორიულ დათმობებს. იაპონიას დაეუთმოთ ხღვისპირეთი და ამურისპირეთი, გერმანიას-უკრაინა"[15].

უეჭველად უკიდურესი უზნეობაა, შავი უმადურობისაა ის, რომ აღნიშნული ერების წარმომადგენლები ცილს სწამებენ მათი ფიზიკური განადგურებისგან გადამრჩენს, უმაღლეს მთავარსარდალს გენერლის იმიჯს ი.ბ. სტალინს.

ამჟამად ქართული საზოგადოების „მემარცხენე" პოლიტიკურ სპექტრს განეკუთვნება დასავლეთის ქვეყნებში მე-20ს. 60-იან წლებში წარმოშობილი „ახალი მემარცხენეების" ანალოგიური ადამიანთა ჯგუფები. მისი იდეური ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ თანამედროვე მუშათა კლასმა დაკარგა თავისი რევოლუციური როლი და ამიტომ ინიციატივა გადავიდა რადიკალურ სტუდენტობაზე, ჰუმანიტარულ ინტელიგენციაზე და ღარიბ და დაჩაგრულ ბასებზე. საერთოდ და მათ შორის ქართული „ახალი მემარცხენეების" საქმიანობას ახასიათებს ბრძოლა უსამართლოების, კანონიერების და მორალის დარღვევის, ბიუროკრატიზმის; კორუფციის წინააღმდეგ, რაც საზოგადოების ინტერესების შესაბამისი და სასრგებლოა.

ამ მოძრაობის დამახასიათებელი ნაკლოვანებებია: სწორი, დასაბუთებული პოლიტიკური პროგრამის არქონა; კვალიფიციური და გამოცდილი პოლიტიკური ლიდერების

14 ვ. ვახანია, აღნიშნული ნაშრომი, გვ. 25

15 ვ. ვახანია. აღნიშნული ნაშრომი, გვ. 26.

არყოლა; ზღვარგადასული რადიკალიზმი; ემოციურობა; საზოგადოებრივი წესრიგის და დისციპლინის დარღვევა და სხვა. ამ მხრივ გამოირჩეოდა სტუდენტთა ორგანიზაცია „კმარა", რომლის წევრები უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების მაგივრად ლექციების დროს ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ, საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ და ერთი დადებითი საქმე არასდროს არ გაუკეთებიათ.

ჩვენი საზოგადოების თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური სახელმწიფოს უტოპიურ კონცეფციას. ასეთი, სახელმწიფოს დამკვიდრება, რომლის რეალური არსებობა შეუძლებელია საქართველოს კონსტიტუციის მიერ გამოცხადებულია მოქალაქეების ურყევ ნებად.

როგორც აღინიშნა სოციალური სახელმწიფოს იდეა ერთ-ერთი ყველაზე მეტად არარეალური, უტოპიური იდეა არის. მიუხედავად პროგრესისტთა ბრწყინვალე დაპირებისა, მეცნიერთა მიერ მისი მრავალი მოდიფიკაციების შექმნისა პოლიტიკურ აპოლრომეტთა ძლიერი პროპაგანდისა და სხვა. ის არასდროს არცერთ ქვეყანაში არ არსებულა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. სახელმწიფო თავისი არსითა და დანიშნულებით ყოველთვის იყო, არის და იქნება მხოლოდ და მხოლოდ თავისი, კერძო და მდიდართა ინტერესების დამცველი, ადამიანთა სპეციალური ფენა, რომელიც მდიდრების წრიდან არის გამოსული. ამ მხრივ არც ქართული სახელმწიფოა გამონაკლისი სამაგალითოა, მისი მჩაგვრელი ბუნება მოკლე დროში მთლიანად გამოაშკარავდა. ისტორიაში ცოტა თუ არსებულა სახელმწიფო, რომელიც ასე ფანატიკურად, დაუფარავად და შეუნიღბავად იბრძოდა და იბრძვის თავისი სიმდიდრის დაგროვების მიზნით.

მეექვსე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური იდეოლოგია

საერთოდ, პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური იდეოლოგია თანაფარდი პოლიტიკური მოვლენები და ცნებებია. მათ შორის არსებობს ერთობა, განსხვავება და მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულება. ერთობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დაკავშირებული არიან ინტერესებთან, რომელთა გარეშე იდეები უშედეგო და აბსტრაქტულია. პოლიტიკური მეცნიერება მოწყდება სოციალურ ცხოვრებას, თუ მასში არ მოენახება ადგილი მკვლევარის პირად ინტერესს. იდეოლოგია ამა თუ იმ ზომით შეიძლება იყოს მეცნიერულიც და ნაწილობრივ დაემთხვას პოლიტიკურ მეცნიერებას. ამიტომაც სრულებითაც არ არის მარტივი საზღვრის გავლება პოლიტიკურ მეცნიერებასა და იდეოლოგიას შორის. ეს საზღვარი გადის ხან მეცნიერების მხარეს, ხან კი იდეოლოგიის მხარეს, ხდება აგრეთვე ერთის შეცვლა მეორეთი.

პოლიტიკურ მეცნიერებას, როგორც ჰუმანიტარული ცოდნის დამოუკიდებელ დარგს გააჩნია იდეოლოგიური განზომილება. მკვლევარს, როგორც წესი, ახასიათებს იდეოლოგიური მიკერძოებულობა, მონაწილეობს იდეოლოგიურ დისკუსიებსა და კამათში. მისი მიდგომა პოლიტიკური მოვლენის კვლევისადმი მნიშვნელოვნად განისაზღვრება იდეოლოგიური ორიენტაციით. პრობლემა მხოლოდ ამ ტენდენციურობის მასშტაბებია.

აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მკვლევართა უმრავლესობა თავიანთი მიდგომების, პოზიციების, სიმპათიებისა და ანტიპათიებით ხასიათდებიან, როგორც

ლიბერალები, კონსერვატორები, სოციალ-დემოკრატები, მარქსისტები და ა.შ. ასეთი კლასიფიკაციის საფუძველია იდეოლოგიური შეფასების მომენტი. ამიტომ აუცილებელია არა მითიური დეიდეოლოგიზაცია, არამედ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების, მიდგომების, მეთოდოლოგიური პრინციპების პლურალიზმის დამყარება, პრინციპული იდეური კომპრომისები, ურთიერთობებში გახსნილობა.

პოლიტიკურ იდეოლოგიური მიკერძოებულობა, იდეოლოგიური დისპუტები და პოლიტიკურ დისკუსიებში ჩართულობა ობიექტურად, ფაქტობრივად ახასიათებს არამხოლოდ მკვლევარებს, არამედ მართმსაჯულების ორგანოების და საერთოდ სახელმწიფო აპარატის თანამშრომლებს. ამიტომ იმ ადამიანების და სპეციალისტების აზრი, რომლებიც მართმსაჯულებისა და სხვა ორგანოების წარმომადგენლებს აკრიტიკებენ პოლიტიკური იდეოლოგიის გავლენისა და მხარდაჭეროს გამო არის არაობიექტური და ტენდენციური. ყველა სამართალდამცველს ახასიათებს ბუნებრივი იდეოლოგიური და პოლიტიკური მიკერძოებულობა. სამართალდამცველი ხომ მთავარი პოლიტიკური ორგანოს – სახელმწიფოს მექანიზმის ნაწილის–სასამართლოს, პროკურატურისა და სხვა საკონტროლო, საზედამხედველო ორგანოების თანამშრომელია, სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკის განმხორციელებელია.

პოლიტიკური იდეოლოგიისა და მეცნიერების ცნებები იდენტური ცნებები არ არის. პოლიტიკურ მეცნიერებას შეუძლია შეასრულოს იდეოლოგიური ფუნქციაც, მაგრამ მისი დანიშნულება არის ჭეშმარიტების, პოლიტიკური კანონზომიერების აღმოჩენა როცა კონკრეტული ფაქტები არ შეესაბამება მეცნიერების დებულებებს, მაშინ დებულებები გადაისინჯება, იცვლება. პოლიტიკური იდეოლოგია ორიენტირებუ-

ლია იმ ფაქტებზე, რომლებიც მას ადასტურებს და უარყოფს ფაქტებს, რომლებიც მას ეწინააღმდეგებიან ის გაცილებით უფრო მიკერძოებულია, ვიდრე მეცნიერება, ხშირად ცალბი და აპოლოგეტურია. პოლიტიკური და საერთოდ იდეოლოგია არის ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების ეფექტური საშუალება, რომელსაც ხშირად იყენებენ დემაგოგები და კარიერისტები. ამ მხრივ არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა მთავრობებისა და მათი დაზვერის ორგანოების მიერ საქართველოში შექმნილი ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები ე.წ. „გარდაქმნის„ პერიოდში განსაკუთრებული აქტივობით „ქმნიდნენ" ახალ პოლიტიკურ იდეოლოგიას, მისი დიადი მთავარი იდეების — ეროვნული დამოუკიდებლობის, ცივილიზებული კაპიტალიზმის, სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციის, ადამიანის ღირსეული ცხოვრებისა და სხვა მოწინავე იდეების სახით. ჩვენმა ეაუბატონმა „ახალმა იდეოლოგებმა" ის კი არ იცოდნენ, რომ ამ დიდებული იდეების რეალიზაციისათვის მაშინ საქართველოში არავითარი აუცილებელი პირობები და შესაძლებლობები არ იყო მომზდებული და ამიტომ მათი განხორციელება შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში ანტისოციალისტური პოლიტიკური გარდაქმნები დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლებაში ლეგეტიმური გზით მოსული პოლიტიკოსების ინიციატივით „ზემოდან" მათ მიერვე შექმნილი უტოპიური პოლიტიკური იდეების საფუძველზე. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი თანამედროვე საქართველოს ტრაგიკულ მდგომარეობას. ჩვენ არ ვიცდით შესაძლოა შეგნებულად არ გავითვალისწინეთ პოლიტიკური ისტორიის ცნობილი დებულების შესახებ, რომ ისტორიაში რევოლუციური გარდაქმნები იწყებოდა „ქვემოდან" რევოლუ-

ცი'ური კლასების ხანგრძლივი დროის განმავლობაში რევო-ლ:ეციური ბრძოლის პროცესში პროგრესული პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე, რაც მათი სრული და საბოლოო ;ამარ%ვების პირობა იყო. რევოლუციების აღნიშნული საერთო კანონზომიერება დარღვეული იქნა საქარველო'ში, რასაც საცალალო შედეგები მოყვა: ასე მოხდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც, რაც ანტისოციალისტური რევოლუციების მიზანშეუწონლობაზე მიუთითებს.

თანამედროვე მოქმედი ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი იდეა არის ქართული კაპიტალიზმის იდეა. საქართველო'ში მის წარმოშობასა და ფუნქციონირების ძალზე ცოტა რამ აქვს საერთოდ კაპიტალიზმის წარმოშობასა და ფუნქციონირებასთან.

კერძოდ, მეცნიერების მიხედვით კაპიტალიზმის ეკონომიკური, სოციალური-პოლიტიკური და სხვა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წინამძღვრები უნდა შექმნილიყო. რევოლუციამდელი საზოგადოებრივი წყობილების წიაღში. იქ უნდა შექმნილიყო კერძო კაპიტალისტური საწარმოები, დაწესებულებანი და სხვა ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების ფორმას შექმნიდნენ და იმოქმედებდნენ არსებული ეკონომიკური სისტემის პარალ:ელ'ურად.

კაპიტალისტურ წარმოებას თავის განვითარებაში უნდა გაევლო მისი განვითარების სამივე სტადია, ახალ პირობებში მისი დამახასიათებელი თავისებურებებით. ქართულ საზოგადოებაში კაპიტალისტური წარმოების ფორმის შექმნის შემდეგ „ქვემოთან" ბურჟუაზიული რევოლუციის განხორციელების შედეგად ის გახდებოდა კაპიტალიზმის ეკონომიკური საფუძველი, მისი ძირითადი ნაწილი.

საქართველოში არსებული წყობილების გენეზისისა და არსის, კვლევას მეცნიერებაში ყურადღება არ ექცევა,

რამაც პოლიტიკურ მოღვაწეობაში გამოიწვია უმძიმესი შედეგები.

ახალი ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის მესვეურებმა მე-20ს. ბოლოს განზრახვით გამოიყენეს ექსპლუატატორული კლასის წარმოშობის უძველესი, მონათმფლობელური მეთოდის ანალოგიური ხერხი. ცნობილია, რომ ამ მეთოდის გამოყენებით ათეულო საუკუნეების წინათ პირველყოფილ – თემურ წყობილებაში სახალხო მმართველობის ხელმძღვანელებმა „ზემოდან" მოქმედებით მიითვისეს საერთო-სახალხო ქონება და კაცობრიობის ისტორიაში პირველი მჩაგვრელი მონათმფლობრლთა კლასი შექმნეს.

საქართველოში ახალი, მჩაგვრელი ადამიანთა ჯგუფები „საბჭოთა ბურჟუაზიის" სახით სოციალისტური პოლიტიკური იდეოლოგიის ფუნქციონირების პირებებში წარმოიშვა საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისა და ქურდობის გზით, მაგრამ მაშინ ამ ქონების გამოყენების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ისინი სასტიკად ისჯებოდნენ დიქტატორული მეთოდებით. საზღვარგარეთის ანტიკომუნისტების წაქეზებით და დახმარებით ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას თავიანთი გამდიდრების პილიტიკური პირობების შექმნისათვის. ამოფარებული იყვნენ მოწინავე იდეოლოგიურ ფორმებს ცხოვრების კარგი პირობების შექმნისა და სხვათა შესახებ. მათ შეძლეს „ზემოდან" მოესპოთ მათი გამდიდრებისათვის ხელშემშლელი პირობები, შეუზღუდავად გამოიყენეს მოპარული და პრივატიზაციით მითვისებული სახალხო ქონება, გამდიდრდნენ და ამჟამად ურცხვად იდეოლოგები „გარდაქმნების სიდიადეზე„ გაყვირიან.

2003 წლის ნოემბერში მსოფლიო სომხური დიასპორის მოთხოვნით და ფინანსებით საქართველოში სომხების პოლიტიკური გაბატონების მიზნით მოაწყვეს სახელმწიფო

გადატრიალება. ამ დროს ე. შევარდნაძის ორგანიზატორული და პოლიტიკური უნარები და შესაძლებლობანი უკვე ამოწურული იყო და ამიტომ მან ვერ შეძლო სომხური სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილება. წამყვანი ადგილები დაიკავეს ქართველებად გადაღებულმა თბილისელმა ათ მანეთად გაქართველებულმა სომხებმა. სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ მსოფლიო საზოგადოების წინაშე თავის გამართლების მიზნით არჩევნების გაყალბების პრეზიზებით, რაც ყველგან ჩვეულებრივი მოვლენა არის შეეცადნენ სახელმწიფო გადატრიალება წარმოედგინათ მშვიდობიანი ფორმის „ვარდების რევოლუციად„ რაც, მეცნიერების თვალსაზრისით, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხასიათის სრული სიყალბეა.

2003წ. ნოემბრის მოვლენებს არავითარი საერთო არ აქვს სოციალური რევოლუციის თეორიასთან. მეცნიერებაში აღიარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად რევოლუცია წარმოადგენს ღრმა თვისებრივ გადატრიალებას საზოგადოების მთელ სოციალურ სისტემაში ის გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების მშვიდობიანი ან არამშვიდობიანი დამხობას და ახალი ხელისფლების გამოყენებას პროგრესული სოციალური წყობილების შესაქმნელად.

საქართველოში 2003წ. ნოემბერში ადგილი ჰქონდა არა რევოლუციას, არამედ სახელმწიფო გადატრიალებას, რომელიც ორგანიზებული იყო სხვა ქვეყნის დაზვერვის ორგანოს მიერ ქართულ ხელისუფლებაში მისი ნების გამტარებელი არაქართველთა ჯგუფის ჩანერგვის, გაბატონების მიზნით, მაგ არ მოყოლია რევოლუციური ცვლილებები სოციალურ სისტემაში ვინაიდან არ გამომდინარეობდა ანტაგონისტუ-

რი სოციალური წინააღმდეგობის გამწვავებიდან, რევოლუციური სიტუაციიდან. იდეოლოგიურად ის წარმოადგენდა ანტიქართული იდეების ერთობას, რომლებიც გამოხატავდნენ ე.წ. „ნაციონალებისა" და მათი საყრდენი ძალების ინტერესებს – დაემხოთ ქართული სახელმწიფო ხელისუფლება და შეექმნათ ქართველებად გადაღებილი სომხების მმართველობა, რომლის მოვალეობა იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელზე მომსახურედ ყოფნა, უსიტყვო მორბედობა. მიზანი კი – კავკასიაში სომხების გაბატონება და ხალხების თანდათან გასომხება. როგორც ჩანს, მიზანი რეალობას მთლიანად მოკლებული არ არის.

აღინიშნა, რომ ნეგატური შედეგები მოჰყვა საქართველოში ფუნქციონირებადი პოლიტიკური იდეოლოგიის მოთხოვნას საქართველოს დამოუკიდებლობის მოუმზადებლად გამოცხადების შესახებ. საქართველო ნაადრევად და ნაჩქარევად გამოცხადდა დამოუკიდებელ ქვეყნად, მაშინ როცა მისი დამოუკიდებლობის მისაღწევად აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის საშინაო და საგარეო პირობები არ იყო მომზადებული. ამიტომ საქართველო ფაქტობრივად დამოუკიდებელი ვერ გახდა, მისი სახელმწიფო თავისი ნების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს დიქტატის გარეშე თავის ქვეყანას ვერ მართავს, თავისი ქვეყნის პრობლემებს ვერ წყვეტს. ის რუსეთზე ფაქტობრივი დამოკიდებულებიდან გამოვიდა, მაგრამ აშშ და მის პარტნიორებზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა. დამოუკიდებლობისათვის საესებით მოუმზადებელი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებით არსი და აზრი შეეცვალა დამოუკიდებლობის ლოგიკური კატეგორიის შინაარსს, მის

დებულებებსა და იდეებს მიეცა იდეოლოგიური პროპაგანდისტული ლოზუნგის ხასიათი. ამ მოვლენებს არავითარი საერთო არ აქვს პოლიტიკურ მეცნიერებასთან და ამიტომ შეიძლება კატასტროფულია.

აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ლოგიკური კატეგორიის შინაარსის მეცნიერული კვლევა, დამოუკიდებლობის მიღწევისათვის საჭირო წანამძღვარებისა და საფუძველის დადგენა და მათ საფუძველზე მეცნიერული პოლიტიკური მართვა, რაც პოლიტიკური იდეოლოგიის მცდარ და შავნე აზრებს და დებულებებს გამოავლენს, რეალური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის დებულება, თითქოს, ამჟამინდელი საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო არ ასახავს ადეკვატურად საქართველოს ფაქტობრივ მდგომარეობას და ჩვეულებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის მითია.

თანამედროვე საქართველო ერთიანი ქვეყანა იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენდა მისი შემდგენელი ნაწილების ურთიერთდამოკიდებულ მთლიანობას ერთიანი ტერიტორიით, ეკონომიკით და სახელმწიფო ხელისფულებით. საქართველოს, როგორც ერთიანი ქვეყნის ნაწილებს შორის უნდა იყოს ღრმა ურთიერთკავშირი, მათ შორის არ უნდა არსებობდეს ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, გაერთიანებული უნდა იყვნენ ერთიანი ამოცანებითა და მიზნებით. ასეთი ქვეყანა საქართველო ამჟამად არ არის.

საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალროცხოვან იმიგრანტ ხალხების ზოგიერთ წარმომადგენელს უმადურობისა და სხვა მიზეზების გამო არ აქვთ ქა-

რთველებისადმი მადლიერების გრძნობა. ქართველების ტერიტორიას თავიანათ „ძირძველ“ მიწად თვლიან. მე-20 საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში აფხაზი და ოსი კარიერისტების ინიციატივით მსოფლიოში აღიარებული ერთიანი საქართველოს ნაწილები აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადების არავითარი ობიექტური საფუძველი და იურიდიული უფლება არ ჰქონდათ. ამიტომ ისინი არავინ არ ცნო.

აფხაზ და ოს პოლიტიკანებს უნდა სცოდნოდათ მეცნიერების დებულება,რომ გაეროს წესდებით ცალმხრივად საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება აქვს ხალხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ავიწროებს იმ ქვეყნის მთავრობა, რომლიც შემადგენლობაში შედიან. საქართველოს მთავრობამ კი აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებშიც კი წერა-კითხვის უცოდინარი, მთლიანად გაუნათლებელი, ნახევარდ მშიერი, ფეხშიშველა და სხვა იყვნენ ამ საშინელებისგან გაანთავისუფლა და თანამედროვე ადამიანებს დაამსგავსა, თუმცა, მადლიერების ელემენტარული გრძნობის გამომუშავება მაოში ვერ შეძლო.

თანამედროვე საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთებული იქნას დასკვნა იმის შესახებ, რომ ამჟამად საქართველო არ არის ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო. ასეთი თვალსაზრისი სასურველის არსებულად გამოცხადება და აშკარა იდეოლოგიური, მითია.

უკვე აღინიშნა, რომ თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ იდეოლოგიაში გავრცელებული მითი თანამედროვე ქართული სახელმწიფო მმართველობის ფორმის დემოკრა-

ტიულობის შესახებ, სრულებითაც არ შეესაბამება რეალობას. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზია ის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არის მომზადებული მრავალრიცხოვანი საფუძვლები და პირობები დემოკრატიული მმართველობისთვის ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დემოკრატიული მმართველობისათვის არ გვიბრძოლია, ჩვენი ბრძოლით არ მოგვიპოვებია. დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი „ზემოდან დემოკრატიული განვითარების თანდათანობის, პრინციპის დარღვეეით მოგვცეს და ამიტომ მისი დანერგვის მცდელობას დადებითი შედეგები არ მოყვა[16] ქვეყანაში ქაოსი და ანარქია გავავრცელეთ, რაც დემოკრატია გვგონია.

პოლიტიკური მეცნიერების თანახმად, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების კომპლექსის სწორი, გონივრული გამოყენებისათვის საჭიროა ხანგრძლივი განვითარების პერიოდში, პოლიტიკური განათლებისა და კულტურის მიღება. დემოკრატიული ტრადიციების ფორმირება და სხვა ამის გარეშე ჩვენ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს სწორად ვერ შევარჩევთ, მისთვის აუცილებელი თვისებების მქონე ადამიანებს ვერ ავირჩევთ და ვერც ავირჩიეთ ჩვენი პოლიტიკური განათლებისა და კულტურის დაბალი დონის გამო შესაძლებელი გახდა დემოკრატიის ცნების ჭეშმარიტი შინაარსის გაყალბება. გამყალბებლებმა დემოკრატიის ცნების შინაარსში ჩადეს არა მოსახლეობის ყოველმხრივი განვითარების მიზნით განხორციელებული სახალხო მმართველობა, არამედ ახალი, უკიდურესად პარაზიტი ექსპლუატატორების პოლიტიკური ბატონობა მათი გამდიდრების მიზნით. დემოკრატიის ცნების შინაარსის ასეთი გაყალბება იდეოლოგიური გაყალბების კლასიკური მაგალითია.

16 საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1995, გვ.3

აუცილებელია გამყალბებლების მხილება და მათი მიზნების გამოვლენა.

თავისუფლების ლოგიკური კატეგორიის შინაარსის ფალსიფიკაცია ჩვენი პოლიტიკური იდეოლოგების ერთ-ერთი ანტიმეცნიერული და სოციალურად მაენე ქმედებაა. ფილოსოფიისა და მეცნიერების ამ მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიას გამოაცალეს ნამდვილი, ჭეშმარიტი შინაარსი და ჩადეს მასში გაუბრალოებით დამახინჯებული გაგება. მათი აზრით, თავისუფლება არის არადეტერმინირებული, რეალობით განუსაზღვრელი, უკიდურესად სუბიექტური თვალსაზრისი საგნებზე და მოვლენებზე. მათ თავისუფლება გაგებული აქვთ, როგორც სულის თვითგანსაზღვრა, ნების ისეთი თავისუფლება, როცა შესაძლებელია მოიქცნენ მის ისეთი კარნახით, რაც განსაზღვრული არ არის გარეშე პირობებით. მათი აზრით, მხოლოდ არაფრით განსაზღვრული და უპირობო თავისუფლება არის ადამიანის პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი.

მეცნიერებისა და ფილოსოფიის თვალსაზრისით თავისუფლება არის რეალური აუცილებლობის შემეცნება ადამიანთა მოღვაწეობაში, ობიექტური აუცილებლობის დადგენის პროცესის აზრობრივი ასახვა, უნარი გაანალიზებული იქნეს მოვლენების არსება, მათი გამომწვევი მიზეზები და განვითარების ტენდენციები.

თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიის დებულებებისა და იდეების გარკვეული ნაწილი მოწყვეტილია ობიექტური პოლიტიკურ რეალობას და ამიტომ მათ საფუძველზე განხორციელებული პოლიტიკური პრაქტიკა უსარგებლოა, მისი საჭიროება და აუცილებლობა არ არის.

ქართული კანონმდებლობით საესებით სამართლიანად აღიარებულია მთელი რიგი თავისუფლებანი – პოლიტიკური მოღვაწეობის, სინდისის თავისუფლება და სხვა, როგორც მოქალაქეთა უფლებები. მაგრამ ეს უფლებები ძირითადად ფორმალური ხასიათისაა, ვინაიდან საზოგადოებაში არ არის შექმნილი მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი მატერიალური გარანტიები. აუცილებელია ასეთი პირობების შექმნისათვის ბრძოლა, ხალხის შრომისა და მოღვაწეობის წარმართვა ამ მიზნით.

მთელი საზოგადოებისა და ყოველი ცალკეული პიროვნების ყოველმხრივი განვითარება არის მეცნიერების მიერ დადგენილი ნამდვილი თავისუფლება

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს პოლიტიკურ მოღვაწეობაში. თავისუფლებისა კატეგორიის მეცნიერული შინაარსით გამოყენების უზრუნველყოფა იმ მიზნით რომ აცილებული იქნეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენება საჭიროა სახელმწიფო ორგანომ საზოგადოების წარმომადგენელთა და მეცნიერთა მონაწილეობით განიხილოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის საკითხი. განუმარტოს მათ თავისუფლების ცნების ნამდვილი შინაარსი, არსებითი განსხვავება თავისუფლებასა და თვითნებობას შორის. კატეგორიულად აუკრძალოს თვითნებობის თავისუფლებად გამოცხადება, თვითნებური მოქმედება. დეზინფორმატორები, ყალბი ცნობების გამავრცელებლები ადამიანების შეცდომაში შეყვანის მიზნით დასჯილი უნდა იქნენ: ასეთი თანამშრომლები ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საკმარისზე მეტია სამწუხაროდ.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხასიათისაა აგრეთვე

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციაც, რომელის მეცნიერული ხასიათი, მისი ფაქტობრივი არსებობის შესაძლებლობა ძალზე საეჭვოა;

როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც ჩამოთვლილი და სხვა იდეოლოგიური ფალსიფიკაციების გამოვლენის ძირითადი საშუალებაა პრობლემებისადმი მეცნიერული მიდგომა და გადაწყვეტა, მეცნიერების გამოყენება პოლიტიკური იდეოლოგიის ყალბი და აპოლიმეტრული იდეების და დებულებების გამოვლენისა და მოცილების მიზნით.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში დაკნინებულია მეცნიერების, განსაკუთრებით პოლიტიკური მეცნიერების როლი და მნიშვნელობა. ფსევდოკაპიტალიზმის და მისი შესაფერისი სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესში პოლიტიკურ მეცნიერებაში დომინირებადი მდგომარეობა დაიკავა მრავალრიცხოვანმა ანტიმეცნიერულმა დებულებებმა და იდეებმა. ამიტომ ამჟამად ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მეცნიერების და, კერძოდ, პოლიტიკური მეცნიერების განვითარების პრობლემა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლია რეალობის ღრმა ანალიზის საფუძველზე შექმნას პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები, ჩვენი საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების ყველა სფეროში შეიმუშაოს რაციონალური პოლიტიკის განხორციელების გზები და მეთოდები, განსაზღვროს მათი რეალიზაციის საშუალებანი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების, საქართველოს განვითარების პოლიტიკური

ალტერნატივებისა და სხვა პრობლემების კვლევას. როგორც აღინიშნა, შეიძლება მეცნიერულად ჩაითვალოს თვალსაზრისი მომავალის ასეთი ალტერნატივის შესახებ: თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგების ბოროტად გამოყენებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ განხორციელებაზე დამყარდება გარკვეული კონტროლი შეუძლია გამოიწვიოს ტოტალიტარული ტექნოკრატიული პოლიტიკური წყობილების შექმნა, რომლის დროსაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შეიძლება აღმოჩნდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრივილეგირებული გაბატონებული ელიტის დაქვემდებარებაში. მოსალოდნელი მასობრივი ანარქიისა და ქაოსის აღკვეთის მიზნით შესაძლებელია მსოფლიო და ეროვნული სამხედრო დიქტატურის დამყარებაც.

აღნიშნული ალტერნატივა შეიძლება რეალიზებული იქნეს საქართველოს შორეულ მომავალში. ამჟამად კი ქართულმა პოლიტიკურმა მეცნიერებამ და ქართულმა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა აღიარონ თანამედროვე საქართველოს კატასტროფული მდგომარეობა და დააყენონ საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე საქართველოზე საერთაშორისო მეურვეობის დამყარების შესახებ, როგორც საქართველოს ხსნის ერთადერთი რაციონალური საშუალება.

ბევრი, აქტუალური პოლიტიკური პრობლემა არის გადასაწყვეტი ქართული პოლიტიკური მეცნიერების მიერ გამოყვლენილი უნდა იქნეს პოლიტიკური იდეოლოგიის ყალბი, მიკერძოებული იდეები, შემუშავდეს და დაინერგოს ქვეყნისთვის სასარგებლო ჭეშმარიტად მეცნიერული ეროვნული კონცეფცია, როგორც მეცნიერულ შეხედულებათა სისტემა.

მეშვიდე თავი
თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურა

პირველი პარაგრაფი. პოლიტიკური კულტურის არსი, სტრუქტურა და მნიშვნელობა ქართული საზოგადოების პოლიტიკური განვითარებისთვის

კულტუროლოგიაში და პოლიტოლოგიაში ფორმირებულია საერთოდ კულტურისა და კერძოდ პოლიტიკური კულტურის რამდენიმე ათეული დეფინიცია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეს მოვლენები წარმოადგენენ რთულ, მრავასპექტოვან და დინამიკურ და ამავე დროს მყარ ფენომენებს ისტორიულ, სივრცობრივ და დროულ განზომილებაში. მათი დეფინიციების მრავალრიცხოვნების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე სუბიექტური ხასიათის გარემოებანიც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ მკვლევარს კულტურისა და პოლიტიკური კულტურის ცნების შინაარსში შეაქვს თავისი სუბიექტური აზრი, ცდილობს შეიტანოს იმ ხალხების კულტურის არსებითი ნიშნები, რომელთა წარმომადგენლებიც თვითონ არიან, ცდილობენ მათ შესაბამისად გარდაქმნან და განავითარონ სხვა ხალხთა ეროვნული კულტურები.

საერთოდ პოლიტიკური კულტურისა და კერძოდ ქართულის არსების გაგებისათვის საჭიროა გათვალისწინებული იქნეს შემდეგი:

პირველი. პოლიტიკური კულტურა არის სოციალური მოვლენა, ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნაწილი, რომელიც ახასიათებს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ინტელექტუალურ-სულიერ მხარეს, საერთოდ კულტურისადმი დამოკიდებულება გამოხატავს ამა თუ იმ ხალხის განვითარების დონესა და დახასიათების ღირსებებს და ნაკლოვანებს.

მეორე. პოლიტიკური კულტურა არის ადამიანის თვისება, რომელიც განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას პოლიტიკისადმი, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. პოლიტიკური კულტურის მატარებლები, მისი სუბიექტები არიან ადამიანები და მათი გაერთიანებები. ამ თვალსაზრისით ადამიანის უნიკალური პოლიტიკური კულტურული ქმნილება არის სახელმწიფო.

მესამე. პოლიტიკური კულტურა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რაღაც საყოველთაო, კონკრეტული ადამიანისა და ორგანიზაციების მიმართ ობიექტური პოლიტიკურ მოღვაწეობაში ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევების შეთვისებისა და გამოყენების ხარისხზე. ამ მხრივ, ჩვენ და ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით.

მეოთხე. პოლიტიკური კულტურა ასახავს სოციალური ჯგუფებისა და გაერთიანებების, კოლექტივების, საზოგადოებრივი ჯგუფების, კლასების, ერების ინტელექტუალურ-ორგანიზებული მოღვაწეობის ხარისხს. ადამიანთა ყველა აღმშენებლობითი და დამაგრეველი საქმიანობა აისახება პოლიტიკურ კულტურაზე, მაგრამ თავის მხრივ დამოკიდებულია მის ტიპსა და დონეზე.

მეხუთე. პოლიტიკური კულტურა შეიცავს ადამიანთა თაობების მიერ დაგროვილ გამოცდილებას, ტრადიციებს, უნარსა და ჩვევებს, რომლებიც დაფიქსირებულია დოკუმენტებში, წიგნებში, პოლიტიკურ და სამართლებრივ კონსტრუქციებში და სხვა. ეს პროცესი მოიცავს პოლიტიკური კულტურის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საზოგადოებრივ დონეს. ადამიანები გამოიყენებენ რა აკუმულირებულ მიღწევებს და წარუმატებლობას, შეუფარდებენ რა თანამედროვე რეალურობას და სრულყოფენ მათ, გაკვალავენ გზას მომაველი-

საკენ ამა თუ იმ პოლიტიკური კულტურის ფარგლებში. ამ მხრივ პოლიტიკური კულტურა შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც ადამიანისა და საზოგადოების პოლიტიკური განვითარების შედეგი.

მეექვსე. პოლიტიკური კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული ყველა პოლიტიკური მოვლენის არსებით საზომთან – პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. ის არის ხელისუფლების მიღწევისა და განხორციელების საშუალება და ხერხი, მის ფარგლებში მიმდინარეობს პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმიზაციის ან მისი კრიტიკის და უარყოფის პროცესი.

ამრიგად, ქართული პოლიტიკური კულტურა არის ღირებულებათა, ცოდნისა და რწმენის, საშუალებისა და ხერხების სისტემა, რომლებიც შექმნილია ქართველი ხალხისა და მისი გაერთიანებების მთელ პოლიტიკურ მოღვაწეობაში მონაწილეობის პროცესში და ასახავენ მათ დამოკიდებულებას ქართული პოლიტიკური ხელისუფლებისადმი.

ქართული პოლიტიკური კულტურის სახეების დასადგენად საჭიროა განისაზღვროს მისი კლასიფიკაციის საფუძვლები. საერთოდ ყველა პოლიტიკური, მათ შორის ქართული პოლიტიკური კულტურის კლასიფიკაციის საფუძვლებია მისი ერთიანობის დონე და დამოკიდებულება პოლიტიკური ხელისუფლებისადმი.

პოლიტიკური კულტურის ერთიანობის დონე ვლინდება მისი გავრცელების ხარისხში ქვეყნის მასშტაბით და აგრეთვე საზოგადოების შემადგენელ ნაწილებში. პირველი თვალსაზრისით, მოქმედი პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს საქართველოს ერთიან პოლიტიკურ კულტურას. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ადგილი აქვს პარტიკულარიზმისა და პროვინციალიზმის მნიშვნელოვან გამოვ-

ლენებს. მათ დასაძლევად საჭიროა მასებში პოლიტიკური განათლების ინტენსიური გავრცელება, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ინიციატორი კარიერისტების მიმართ შესაფერისი ზომების განხორციელება.

ქართული ერთიანი პოლიტიკური კულტურა არის მისი სუბკულტურების იდეურ-თეორიული საფუძველი. მისი ერთიანობის ხარისხი დიდად დამოკიდებულია სუბკულტურის მატარებელი ინდივიდების იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე.

ერთიანი ქართული პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი სახეა სოციალურ-კლასობრივი სუბკულტურა. პოლიტიკური კულტურის ეს ფორმა შეიცავს მოვლენებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით დაკავშირებულია სოციალური კლასების არსებობასთან და მათ შორის პოლიტიკურ ბრძოლასთან სახელმწიფო ხელისუფლების მოსაპოვებლად. განსაზღვრულ პირობებში მისი შინაარსი შეიძლება გავიდეს საკუთრივ კლასობრივი ინტერესების ფარგლებიდან. ამ მხრივ, აღსანიშნავია განათლებისა და პუმანიზმის იდეა, დემოკრატიის ზოგადი პრინციპები, საქართველოს გადარჩენის პოლიტიკური კონცეფცია და სხვა. ქართულ საერო პოლიტიკურ კულტურაში კლასობრივ-პოლიტიკური და საერთო-ეროვნული კულტურის მაქსიმალურად დაახლოება ამჟამად უნდა გახდეს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ამოცანა.

ქართულ საერთო პოლიტიკურ კულტურას ახასიათებს ნაციონალურ-ეთნიკური, რელიგიურ-პოლიტიკური, რეგიონალური და სხვა სუბკულტურები. საქართველოში არაქართველ ეროვნებათა და განსხვავებულ რელიგიათა სიმრავლის გამო საზოგადოების პოლიტიკური კულტურა არ არის ერთიანი, ანტაგონისტურია, ქართულ ეროვნულ კულტურასთან მნიშვნელოვანწილად დაპირისპირებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სომხურ-ეროვნული სუბკულტურა.

ამ გარემოებამაც განაპირობა საქართველოს ეროვნული კატასტროფა.

სახელმწიფო ხელისუფლებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ქართულ პოლიტიკურ კულტურაში გამოიყოფა გაბატონებული პოლიტიკური კულტურა და კონტრკულტურა. თანამედროვე ქართული პოლიტიკური კულტურის გაბატონებული ფორმის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების მდიდარმა, ხელისუფლების სათავეში მდგომმა ადამიანთა ჯგუფმა შეიმუშავა პრივილეგირებული უპირატესად საკალდებულო იდეების, ღირებულებების, რწმენის და სხვა სისტემა, რომლის საფუძველზე ის მართავს საზოგადოებას თავისი ინტერესების შესაბამისად. ამ ფორმის პოლიტიკური კულტურის დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი აპოლომეტურია, გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის ინტერესების დაცვასა და განხორციელებას ემსახურება.

საერთოდ საზოგადოებისა და კერძოდ, ქართული პოლიტიკური კულტურის სისტემაში არსებობს პოლიტიკური იდეების სისტემა, რომლებიც ასახავს ექსპლუატირებული კლასების ინტერესებს და იდეალებს. ისინი გაბატონებული კლასებისა და მათი სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ანტაგონისტურად დაპირისპირებული არიან. ამიტომ კულტურის ეს ფორმა, სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით წარმოადგენს კონტრკულტურას.

პოლიტიკური კონტრკულტურის წარმომადგენლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მოღვაწეობის პოზიტიური შედეგებიც, ობიექტურად შეაფასონ ისინი. აუცილებლად გასათვალისწინებელია ობიექტური, სახელმწიფოს ნებისაგან დამოუ-

კიდებელი ფაქტორები და პირობებიც, რომელთა მოქმედების შეჩერების თავიდან აცილება ამჟამად სახელმწიფოს არ შეუძლია.

ქართულ სახელმწიფოს არ გააჩნია იმის ობიექტური შესაძლებლობა, რომ საქართველო გახადოს დიდი და ძლიერი სახელმწიფო, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი, მოსახლეობით მრავალრიცხოვანი და სხვა ქვეყანა, ვინაიდან ამისთვის აუცილებელი ობიექტური პირობები და შესაძლებლობანი ჩვენს ქვეყანაში არ არსებობენ. ქართულ სახელმწიფოს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმისათვის, რომ მან ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში ცალკეულ შემთხვევებში თავისი არაკომპეტენტურობის გამო ვერ შეძლო რაციონალურად გადაეწყვიტა სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემები და ამოცანები, რასაც მძიმე შედეგები მოყვა.

საერთოდ პოლიტიკური კულტურა ისევე როგორც ქართული რთული და მრავალასპექტოვანი მოვლენაა. ის შეიცავს მრავალრიცხოვან ელემენტებს, რომელთა შორის აღსანიშნავია პოლიტიკური ღირებულებანი, თანამედროვე პოლიტიკური ცოდნა, პოლიტიკური აზროვნება, იდეალები და რწმენა, გრძნობები და მოქმედებები, საშუალებები და ხერხები. ჩამოთვლილი სტრუქტურული ელემენტები ვლინდება სხვადასხვა სახის სუბკულტურებში, პრაქტიკულ და მსოფლმხედველობით დონეზე არიან ურთიერთდამოკიდებულებაში, იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას განსაზღვრულ პოლიტიკურ სიტუაციაში, დროის ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებში.

ქართული პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია პოლიტიკური ღირებულებანი, რომელთა შორის გამოიყოფა წარსულის პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც განხორციელებულია ისეთ რეალურ

და იდეალურ კონსტრუქციებში, როგორიც არის სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის ფორმები, პოლიტიკური რეჟიმების სახეები და სხვა.

ქართველ ხალხს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ძირითადად მაინც ჰქონდა მისი საერთო განვითარების დონისა და შესაძლებლობების შესაფერისი სახელმწიფო წყობილების ფორმა. მე-20 ს. პირველ ნახევარში მას სახელმწიფო წყობილების მარტივი ფორმა შეუცვალეს რთული ფორმით, ხელოვნურად შექმნეს სახელმწიფო წარმონაქმნები პოლიტიკური ავტონომიების – აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის სახით. აჭარა საქართველოს ისტორიული კუთხე ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფით, აჭარლებით დასახლებული, ავტონომიურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, რითაც აჭარლებს საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესაძლებლობის აზრი, ჩაუნერგეს ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური მოღვაწეობა სიერცე შეამცირეს და შეასუსტეს. აფხაზეთის ასსრ სამეგრელოს მიწები „მიუზომეს", რომლისგან ქართველები ამჟამად აყრილი და გამოძევებულია. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ქართლის ტერიტორიაზე წარმოქმნეს ოსი „ძმების" დაჟინებითი მოთხოვნით ქართველი ხალხის საზიანოდ. ამჟამად ქართველები ამ ტერიტორიიდან გამოძევებულია ოსების მიერ, რომლებიც თავისი ისტორიული სამშობლოდან აყრილები ქართულმა ხელისუფლებამ შეიფარა, გამრავლების შესაძლებლობა მისცა, წერა-კითხვა ასწავლა და ბევრი სხვა კარგი საქმე გაუკეთა. უზნეობის, უმადურობის და მისთანების შემაძრწუნებელ ფაქტებს აქვს ადგილი თანამედროვე საქართველოში.

ქართული, პოლიტიკურ ღირებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილია ცოდნა იმ პოლიტიკური მოვლენების შეს-

ახებ, რომლებსაც პოლიტიკური მოღვაწეობის სუბიექტები განუყრელად უკავშირებენ თავის არსებობას პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ.

ქართული პოლიტიკური კულტურის ღირებულებებია აგრეთვე პოლიტიკური ტრადიციები და ნორმები, რომლებიც წარმოიშენენ და განმტკიცდნენ ისტორიული განვითარების მსვლელობაში და რომლებსაც უნდა ითვალისწინებდნენ ქაროველი პოლიტიკური მოღვაწეები. ამ მხრივ აღსანიშნავია უხუცესთა საბჭო, უხუცესი დეპუტატის უფლება გახსნას საკანონმდებლო ორგანოს პირველი სხდომა. მათი აღდგენა ღირსებას შემატებს ქართულ პარლამენტს, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლო მოეპოვებინა კვალიფიციური და კომპეტენტური საკანონმდებლო დაწესებულების სახელი, საზოგადოებრივი აღიარება და პოპულარობა.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ღირებულებიდან აღსანიშნავია აგრეთვე პოლიტიკური სიმბოლოები და ძეგლები – დროშა, გერბი და ჰიმნი, დოკუმენტები და რელიქვიები. აუცილებელია პოლიტიკური საარქივო დოკუმენტების სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო არქივების „გამწმენდთა" სასტიკი დასჯა. ამ სამარცხვინო მოვლენას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი.

სრულებითაც არ არის გამართლებული სახელმწიფო გერბის ხშირი შეცვლა, რაც დაკავშირებულია პოლიტიკური წყობილების ხშირ ტრანსფორმაციასთან, რომლის საგნობრივი ელემენტები გამოსახულია გერბზე, როგორც პოლიტიკური იდეის სიმბოლო. საქართველოს სახელმწიფო გერბზე გამოსახული უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის ბუნების ყველაზე მეტად ტიპიური საგნები და მოვლენები, რომლებიც ხასიათდებიან სრულიად ცალსახად და შეიძლება გამოყენებული იქნენ ტიპიკურ-ეკოლოგიური ხასიათის სიმბოლოდ.

პოლიტიკურ ღირებულებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული პოლიტიკური კულტურის განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ორიენტაციულ და მოტივაციურ ბაზას. საყოველთაოდ ცნობილია თავისუფლების, წესრიგის, განვითარების, თანასწორობის, სამართლიანობის და სხვა ღირებულებანი. ღირებულებათა კულტივირება, მათი დაუფლება პოლიტიკური მოღვაწეობის სუბიექტებს აძლევს საშუალებას თავიდან აიცილონ ბევრი შეცდომა, ეფექტურად გამოიყენონ თავისი პოზიტიური პოტენციალი. მათი იგნორირება კი იწვევს უკიდურესად მაენე შედეგებს და ტენდენციებს, პოლიტიკური მოვლენების დეგრადაციას, ქაოსს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური მოღვაწეების მიერ პოლიტიკური ღირებულებების ზერელე წარმოდგენამ უარყოფამაც კი მნიშვნელოვანწილად განაპირობა თანამედროვე საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა.

თანამედროვე პოლიტიკური ცოდნა ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ის წარმოდგენილია თეორიებით, კონცეფციებით, იდეებით და პრინციპებით, რომლებიც ეფუძნებიან წარსულის პოლიტიკურ ღირებულებებს აგრეთვე მოპოვებულია ცოდნის თანამედროვე დარგების მიერ. ისინი ერთობლიობაში ქმნიან პოლიტოლოგიის მეცნიერებას, რომელიც თავის მხრივ იყოფა პოლიტიკურ ფილოსოფიად, პოლიტიკურ ისტორიად, პოლიტიკურ სოციოლოგიად და სხვა.

პოლიტიკური ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა ქართული პოლიტიკური კულტურის განვითარებისთვის იმაში მდგომარებს, რომ ის იკვლევს პოლიტიკურ კულტურას მთლიანობაში, მის არსს, ფუნქციებს და სტრუქტურას, ადგილს საზოგადოების კულტურის სისტემაში, განვითარების

ტენდენციებსა და მომავალს. ამიტომ მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენს საზოგადოებაში.

თანამედროვე საქართველოს კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ თავის დროზე არ შეიქმნა მისი განვითარების მეცნიერული თეორია, რომელიც საქართველოს მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მისი განვითარების თეორიული საფუძველი გახდებოდა. ფუნქციონირებადი პოლიტიკური თეორიის დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის არ შეიცავს იდეებსა და დებულებებს იმის შესახებ, რომ რეფორმაციური გარდაქმნების წარმატებითი განხორციელებისთვის საჭიროა წინასწარ მომზადებული იქნეს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის პირობები და წანამძღვრებები და მათ საფუძველზე განხორციელდეს გონივრული პრაქტიკული მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია. ჩვენი „დემოკრატების„ მიერ დასახელებული ფაქტორების მნიშვნელობა არ იქნა გამოკვლეული და გათვალისწინებული, როგორც ბრძოლის წარმატებით განხორციელების საფუძველი და წინაპირობა. ამიტომ ტრაგიკული შედეგები შემზარავია.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აუცილებელი იყო მისი მეცნიერული სურათის შექმნა იმ ცოდნის სინთეზის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია სხვადასხვა დარგის მეცნიეროა მიერ და ქმნის საერთო მეცნიერულ კონცეფციას საქართველოზე, მის საზოგადოებაზე. მეცნიერული სურათის ის ასპექტი, რომელიც შეიცავს იდეებსა და დებულებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე წარმოადგენენ ჩვენი საზოგადოების მეცნიერულ-პოლიტიკურ სურათს.

ქართული პოლიტიკური კულტურის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს პოლიტიკურმა აზროვნებამ, რომელიც გამოიხატება ცნებებში, თეორიებში და მსჯელობებში, პოლიტიკური ცხოვრების ასახვის აქტიურ პროცესში და დაკავშირებულია პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან. ის ადამიანთა პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში წარმოიშვა და პოლიტიკური სინამდვილის გაშუალედებულ ასახვას წარმოადგენს პოლიტიკურ აზროვნებას ახასიათებს ისეთი პროცესები, როგორიც არის აბსტრაქცია, ანალიზი, სინთეზი, გარკვეული პოლიტიკური ამოცანების დაყენება და მათი გადაწყვეტის გზების პოვნა, ჰიპოთეზა და სხვა. პოლიტიკური აზროვნების შეცდეგია ესა თუ ის პოლიტიკური აზრი. პოლიტიკური აზროვნების უნარი განზოგადოებულად ასახოს პოლიტიკური სინამდვილე ვლინდება პოლიტიკური ცნების შექმნაში, რომელიც წამოქმნა დაკავშირებულია შესაფერის კანონთა ფორმირებასთან, პოლიტიკური აზროვნების უნარი გაშუალედებულად ასახოს პოლიტიკური სინამდვილე გამოიხატება დასკვნების და ლოგიკური დასაბუთების აქტში. ეს უნარი ქმნის პოლიტიკური შემეცნების შესაძლებლობებს. იგი საშუალებას იძლევა შეცნობილ იქნეს ის, რაც მიუღწეველია აღქმისთვის, პოლიტიკური ცნებების სისტემები მეცნიერული თეორიის სახით ანზოგადებენ ქართველთა პოლიტიკურ გამოცდილებას, წამოადგენენ ადამიანთა პოლიტიკური ცოდნის კონცენტრაციას და პოლიტიკური სინამდვილის შემდგომი შემეცნების საწყის წერტილს.

სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკური აზროვნება ვერ აღმოჩნდა იმ თეორიულ დონეზე, რომელიც საჭიროა ურთულესი პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად, ამ საბედისწერო მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ

საქართველოში ისტორიულად არ იყო და არ არის განვითარებული პოლიტიკური ფილოსოფია და პოლიტოლოგია, ჩვენი პოლიტიკური ცნობიერების სფეროში დომინირებადი მდგომარეობა ეკავა მხატვრულ ლიტერატურას მისი წარმომადგენლები სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების კვლევასა და გადაჭრაში არ იყვნენ და არ არიან კომპეტენტურები. ქართული პოლიტიკური აზროვნების სფეროში ლიტერატურის დომინირებადმა მდგომარეობამ გარკვეულწილად განაპირობა თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების დაბალი დონე.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზროვნება და დიდად სამწუხაროდ ემპირიული აზროვნების დონეზე დგას. პოლიტიკური მოვლენების შემეცნება ხშირ შემთხვევაში გრძნობითი აღქმის დონით შემოიფარგლება. სათანადოდ არ არის დაფასებული თეორიული განზოგადეობისა და ლოგიკური აზროვნების მნიშვნელობა, მოკლებულია პოლიტიკურ სიბრძნეს, კერძოდ, არ განხორციელებულა პოლიტიკური მოვლენების ღრმა ანალიზი, არ დასმულა რეალური პოლიტიკური ამოცანები, არ გამონახულა მათი გადაწყვეტის რაციონალური გზები და მეთოდები, არ წამოყენებულა დასაბუთებული იდეები და პროგნოზები, არ გაკეთებულა მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები და სხვა. ამიტომ შედეგიც პოლიტიკური კატასტროფაა.

პოლიტიკური იდეალები და რწმენა, როგორც საერთოდ და კერძოდ ქართული პოლიტიკური კულტურის ნაწილები ემყარებიან პოლიტიკურ ცოდნასა და ღირებულებებს, ნორმებსა და ტრადიციებს. მათ ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენენ პოლიტიკური ფაქტორები, ისინი ახასიათებენ პოლიტიკური კულტურის სტაბილურ ნაწილს.

პოლიტიკური იდეალები თავიანთი არსებით წარმოად-

გენენ შეხედულებებსა და წარმოდგენებს ყველაზე სრულყოფილ პოლიტიკურ წყობილებაზე, რომელიც შეესაბამება რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან საზოგადოების პოლიტიკურ ინტერესებს და წარმოადგენენ მათი მოღვაწეობის საბოლოო მიზანს.

ამჟამად, როგორც წინათ, საქართველოში არსებობენ პროგრესული იდეალები, რომლებიც ასე თუ ისე შეესაბამებიან საზოგადოების განვითარების ობიექტურ ტენდენციებს და წარმოადგენენ პროგრესულ პოლიტიკურ მოძრაობათა იდეურ საფუძველს. საზოგადოებაში არსებული რეაქციული იდეალები ასახავენ ექსპლუატატორული კლასების ინტერესებს და ამიტომ მათი საზოგადოებაში არსებობა საჭირო არ არის.

საქართველოში ბევრი პოლიტიკური იდეალი ჯერ-ჯერობით განუხორციელებელია, საზოგადოებაში აუცილებელი პირობებისა და შესაძლებლობების არ არსებობის გამო. ასეთ იდეალების მიეკუთვნება სრულყოფილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების შექმნის სახალხო პოლიტიკური ხელისუფლების ფორმირებები სოციალური სამართლიანობის დამყარების, რეალური დამოუკიდებლობის მიღწევის და სხვა იდეალები.

ჩვენი საზოგადოებრივი იდეალების ფორმირება არ შეიძლება მიშვებულ იქნეს თვითდინებაზე. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მათ ჩამოყალიბებაზე სისტემური ზემოქმედება მათთვის პროგრესული, საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათის მიცემის მიზნით.

ჩვენ აუცილებლად უნდა შევითვისოთ და პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობაში გავითვალისწინოთ ბრძნული აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი იდეალების მისაღწევად საჭიროა საკუთარი მატერიალური შესაძლებლობების გა-

მოვლენა და მათზე დაყრდნობა, პოლიტიკური განათლებისა და კულტურის მიღება, თავდადებული შრომა, პატიოსანი ცხოვრება და ბევრი კიდევ სხვა. სხვისი იმედით ყოფნა უშედეგოა, თავის მოტყუებაა, ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად იბრძვიან.

პოლიტიკური რწმენა, როგორც პოლიტიკური კულტურის ნაწილი წარმოადგენს ადამიანის მიერ პოლიტიკურ წყობილებაზე შექმნილი აზრებისა და დასკვნების პროგრესულობაში დარწმუნების პროცესს და შედეგს შესაფერის ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით.

სოციალური წყობილების მოწინავეობაში პოლიტიკური რწმენა განაპირობებს ადამიანის პრაქტიკულ ქმედებებს მისი შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარწმუნებულობას სახელმწიფო ხელისუფლების მოწინავეობაში, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მოქმედებს და მასზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების და სხვა ჭეშმარიტების და სოციალური სარგებლობის რწმენას პოლიტიკური მოვლენებისადმი რწმენის ფორმირების საფუძველია ობიექტების ხასიათი, საზოგადოებრივი ღირებულება და პრაგმატულობა. ამ თვისებების არ მქონე მოვლენებისადმი რწმენა საზოგადოებრივად მიუღებელი და მავნეა.

თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური რწმენის მოსახლეობში გავრცელების ხარისხი და დონე საგრძნობლად დაბალია, რაც გამოწვეულია ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელების შეცდომებით, ეს გამოიხატა ღრმა, რევოლუციური გარდაქმნებისთვის აუცილებელი მრავალფეროვანი წანამძღვრებებისა და საფუძვლების მოუმზადებლობის პირობებში მათი განხორციელების მცდელობებში. შედეგები მძიმე და ტრაგიკულია, სახეზეა მრავალრიცხოვანი ურწყმუ-

ნო, მასობრივი, პოლიტიკური ურწმუნობა, პოლიტიკური რწმენის ადგილი დაიკავა რელიგიურმა რწმენამ, მესიის, როგორც ღვთაებრივი მხსნელის მიერ საქართველოს გადარჩენის შესაძლებლობაში დარწმუნებით. საეჭვოა ამ მოვლენამ საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს მსოფლიოს ისტორიაში ხომ ხალხების ხსნის ერთადერთი საშუალება იყო და არის ომში მტერზე მოწინავე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი შეიარაღებული ძალების გამარჯვება გამოჩენილი მხედართმთავრის სარდლობით. არ გვგონია თანამედროვე საქართველო გამონაკლისი იყოს.

ზოგადად პოლიტიკური და კერძოდ, ქართული პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია პოლიტიკური გრძნობები (ემოციები). ისინი ასახავენ ინდივიდების, სოციალური ჯგუფის და მთლიანად საზოგადოების მიერ პოლიტიკური მოვლენების აღქმის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, პოლიტიკას აძლევენ ზნეობრივ-ემოციურ მნიშვნელობას.

პოლიტიკურ ემოციებს გააჩნიათ ობიექტური ფაქტორები, რეალური ისტორიული, სოციალური, კლასობრივ-ჯგუფური და სხვა გარემოებათა სახით. ემოციებში არსებული სუბიექტური მომენტების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შეიძლება არსებობდნენ ინდივიდების უშუალო, სწრაფად ცვალებადი და ნახევრად შეგნებული რეაქციების სახით, აგრეთვე, კულტურის გაელენით ფორმირებული მიდრეკილებების, ადამიანური გრძნობების სახით. პოლიტიკური ემოციები არის ადამიანის მყარი დამოკიდებულების გამოხატულება პოლიტიკური კულტისადმი. ისინი აშკარა ან ფარული სახით შეიცავს შეფასების მომენტს და ღირებულებით კატეგორიებს. ამიტომ ემოციებს გააჩნია ობიექტური სოციალურ-ისტორიული შინაარსი და პოლიტიკურ კულტურას აძლევენ ზნეობრივ-ემოციურ მნიშვნელობას.

ქართულ პოლიტიკურ კულტურაში ემოციების როლი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართველი პოლიტიკოსების მიერ. სამწუხაროდ მათთვის დამახასიათებელმა ულტრაემოციურობამ, მტრისადმი საფუძვლიანი სიძულვილის უსაზღვრო ემოციური გამოვლენის მეთოდებმა და ფორმებმა ციცი გონებით მოქმედების უნარის არქონამ საქართველოს მძიმე შედეგები მოუტანა.

ქართული პოლიტიკური კულტურის დინამიკური და რეალური სტრუქტურული ელემენტებია პოლიტიკური მოქმედებანი, კერძოდ, დეკლარაციებისა და განცხადებების მიღება და გაკეთება, აქციების მოწყობა დემონსტრაციების და მიტინგების სახით, პოლიტიკური პროტესტის ნიშნად შიმშილობა და სხვა. ეს მოქმედებანი პოლიტიკური კულტურის სუბიექტებს აკავშირებენ პოლიტიკურ პრაქტიკასთან და პოლიტიკურ სტრატეგიასთან. პოლიტიკურ მოქმედებათა მეშვეობით ხორციელდება იდეალები და რწმენა, ცხოვრებაში რეალიზდება პოლიტიკური ცოდნა, მიიღწევა დასახული მიზნები. თავისი ერთობლიობით ასეთი მოქმედებანი წარმოადგენენ პოლიტიკურ მოღვაწეობას, მათგან ფორმირდება პოლიტიკური ურთერთობანი, განზოგადოებული და სისტემური სახით განახორციელებენ პოლიტიკას.

ქართველი პოლიტიკოსების უკეთური წამქეზებლების ინიციატივით საქართველოში ბევრი არარაციონალური, დამარცხებისთვის წინასწარ განწირული ულტრაემოციური მოქმედება განხორციელდა. თანამდებობების მიღებისა და მათი მეშვეობით გამდიდრებისთვის აწყობენ შიმშილობებს ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩვენში შიმშილობა თანამდებობის მიღების ქმედითი საშუალება გახდა. ბუნებრივი მოთხოვნილების შეგნებულ დაუკმაყოფილებლობას არავითარი საერთო არ აქვს პოლი-

ტიკასთან და მოშიმშილის მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის კი პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

ქართული პოლიტიკური კულტურის სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრის საშუალებანი და ხერხები. ისინი პოლიტიკური კულტურის მექანიზმის რეალიზაციის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ. ამ მექანიზმის სტრუქტურაში შედიან პოლიტიკური მოლაპარაკებები, კონსულტაციები, კრებები, არჩევნები, კომპრომისები და სხვ.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თავის მოღვაწეობაში ეფექტურად არ გამოიყენა მოლაპარაკების მეთოდი სადაო საშინაო და საგარეო საკითხებზე შეთანხმების მისაღწევად, მოხერხებული და მოქნილი მეთოდები და ხერხები, შორსმხედველობა და წინდახედულობა. მათი პოლიტიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელი იყო უკიდურესი ემოციურობა და პოლიტიკური მოუქნელობა, ტრაბახი, პოლიტიკური მამლაყინწაობა და მისთანები. საჭირო იყო კომპრომისების პოლიტიკის განხორციელება, ხასღვარგარეთის გამოჩენილი პოლიტიკური სპეციალისტების მოწვევა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება.

ქართული პოლიტიკური კულტურის ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია, მოქმედებენ თანმიმდევრულად და სისტემურად: სხვადასხვა ობიექტური ფაქტორების-ეთნიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, აგრეთვე ადამიანების მიერ არჩეული ღირებულებითი ორიენტაციების გაელენით ისინი შეიძლება ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა სუბკულტურებად. ამ მხრივ, აღსანიშნავია რელიგიური, ნაციონალური, ტერიტორიული, ლიდერების ელიტის, ქალთა, ახალგაზრდობის და სხვა სუბკულტურები.

მეორე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკური კულტურის ტიპი და ფუნქციები

ქართული პოლიტიკური კულტურის ტიპი ასახავს ადამიანთა პოლიტიკური აზროვნებისა და ქცევის ყველაზე ზოგად ნიშნებს ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არსებულ ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოში ქართული სახელწიფოს ფარგლებში. პოლიტიკური კულტურის ტიპის გამოყოფის საფუძველი არის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

საქართველოში შეიძლება გამოყოფილი იქნეს სამი ტიპი:

პირველი. პატრიარქალური ტიპი, რომლისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური ცხოვრებისადმი მოქალაქეთა ინტერესის არქონა; ეს ნიშანი ქართული პოლიტიკური კულტურისთვის არ არის დამახასიათებელი, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესი შეზღუდული ზომით მაინც გააჩნიათ.

მეორე. ქვეშევრდომული ტიპი, რომელსაც ახასიათებს მოქალაქეების პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ორიენტაცია და ინდივიდუალური აქტიურობის დაბალი დონე. ამ ტიპისთვის დამახასიათებელი ორივე ნიშანი ჩვენს მოქალაქეებს გააჩნიათ.

მესამე. აქტივისტური ტიპი, რომელსაც ახასიათებს მოქალაქეთა დაინტერესება პოლიტიკური ინსტიტუტისადმი და პასიური მონაწილეობა მათ საქმიანობაში. ორივე ნიშანი საქართველოს მოქალაქეებს ნაწილს ახასიათებს.

ამჟამად საქართველოში მოქმედი პოლიტიკური კულტურის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია პოლიტიკური ინტიტუტებისადმი სუსტი ორიენტაცია და მოქალაქეთა ინდივიდუალური აქტივობის დაბალი დონე.

თანამედროვე მსოფლიოს საქართველოს პოლიტიკურ კულტურაშიც პოლიტიკური სისტემების ტიპებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით არსებობენ შემდეგი სახის პოლიტიკური კულტურები:

პირველი. ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის სახე,რომელსაც ახასიათებს მმართველი ხედაფენის მიერ მოსახლეობისთვის ბრმა დამორჩილების იდეის თავზე მოხვევა, პოლიტიკური ინფორმაციის ცენზურა, პოლიტიკური მითების გავრცელება, ძალადობისა და სისასტიკის გამართლება.

მეორე. ავტოკრატიული პოლიტიკური კულტურა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ბელადიზმისა და ქარიზმატული ლიდერების ღირებულებით ორიენტირებსა და სტანდარტებს, ინფორმაციის დოზირებას.

მესამე. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა, რომელსაც ახასიათებს მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი, გააჩნია მათი განხორციელების გარანტიები, რწმენისა და წარმოდგენების ფორმირების, კონფლიქტებისა და უთანხმოებათა გადალახვის დემოკრატიული მექანიზმები.

მეოთხე. საბაზრო პოლიტიკური კულტურა, რომლის ფარგლებში ადამიანების მიერ პოლიტიკური კულტურა გაგებულია, როგორც ბიზნესის სახესხვაობა, როგორც მოქალაქეთა საქმიანობის თავისუფალი გაცვლის აქტი.

მეხუთე. ეტატისტური პოლიტიკური კულტურა, რომელიც აღიარებს სახელმწიფო ორგანოების დომინირებად როლს პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციაში და მასში ინდივიდების პოლიტიკური მონაწილეობის პირობების განსაზღვრაში.

ქართულ პოლიტიკურ კულტურას ძირითადად მაინც გააჩნია ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის ნიშნები,

ბელადიზმისა და ქარიზმატული ლიდერობის ღირებულებითი ორიენტირები და სტანდარტები, პოლიტიკური რადიკალიზმი, სისასტიკისა და ძალადობის გამართლება, პოლიტიკური მითების შექმნა, ინფორმაციის დოზირება.

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობის, ისტორიული განვითარებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გავლენით ჩამოყალიბდა ის ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ქართულ პოლიტიკურ კულტურას.

ქართულ საზოგადოებაში და მის პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობა ვლინდება მისი ფუნქციების განხორციელებაში. ისინი თავიანთი ხასიათით არიან ძირითადი და დამხმარე, ზოგადი და კონკრეტული, ასახიათებენ ინდივიდებისა და საზოგადოების წარმომადგენლების პოლიტიკურ მოღვაწეობას.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართული პოლიტიკური კულტურის შემეცნებითი ფუნქცია, რომელიც მოიცავს მთელი პოლიტიკური ცოდნის ფორმირებას, მის ერთობლიობას, რომლითაც ხელმძღვანელობენ პოლიტიკური კულტურის მატარებლები. მის ფარგლებში სორციელდება ტრანსლიაციური ფუნქცია, რომლის მეშვეობით თანამედროვე ადამიანებს გადაეცემა წარსული თაობების პოლიტიკური გამოცდილება. ხორციელდება აგრეთვე, საგანმანათლებლო ფუნქცია, რომელიც შეიცავს მოქალაქეთა პოლიტიკური განათლების ყველა სახესა და საშუალებას. მოქმედებს ინფორმაციული ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური ინფორმაციის მიღებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციული ინსტიტუტების დიაპაზონიდან არაფორმალური წყაროებამდე ჩვეულებრივი ცნობების, დოკუმენტების, ციფრების, ნიშნების, სიმბოლოების და სხვათა სახით.

ქართული პოლიტიკური კულტურის სოციალიზაციორული ფუნქცია ცხადყოფს კულტურის მნიშვნელობას, როგორც იმ საშუალებების ძლიერ არსენალს, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ცალკეულ პიროვნებებს გამოიმუშაონ პოლიტიკურ სივრცეში ორიენტირების უნარი, გამოვიდნენ კონფლიქტური პოლიტიკური სიტუაციიდან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეასრულონ განსაზღვრული ხელისუფლებრივი უფლებამოსილებანი და ფუნქციები.

აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში შეიძლება აღნიშნული იქნეს აგრეთვე იდენტიფიკაციური ფუნქცია, რომელიც ეხმარება მოქალაქეს გააცნობიეროს მისი კუთვნილება რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი, შეარჩიოს მისი ინტერესების დაცვის საჭირო საშუალებანი და ხერხები. მოქმედებს აგრეთვე ადაპტაციური ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანს შეეგუოს შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკური გარემოს, აითვისოს შესაფერისი პირობები და საშუალებანი თავისი უფლებისა და თავისუფლების განსახორციელებლად.

ქართული პოლიტიკური კულტურის აქსიოლოგიური ფუნქცია ასახავს ყველაფერ იმას, რაც პოლიტიკურ სფეროში შეიძლება წარუვლად ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ინდივიდებს, სოციალურ ჯგუფებს ჰქონდათ და მომავალშიც ექნებათ თავიანთი წარმოდგენები პოლიტიკური ღირებულებების შესახებ. ამ მიმართულების ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ორიენტაციული ფუნქცია, რომელიც ასახავს ადამიანის მისწრაფებას შეარჩიოს შესაფერისი ღირებულებანი იდეალური და რეალური საშუალებების სახით მისი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისას. მოტივაციუ-

რი ფუნქცია აჩვენებს ამა თუ იმ ღირებულების მნიშვნელობას პიროვნების პოლიტიკური ქცევისთვის.

ქართული პოლიტიკური კულტურის ინტეგრაციული ფუნქცია ასახავს სისტემურ-ორგანიზაციულ მაჩვენებლებს, რომლებსაც შეიცავს პოლიტიკური კულტურა, სხვა პოლიტიკური მოვლენები და მთლიანად საზოგადოება. ეს ფუნქცია განაპირობებს კომუნიკაციური ფუნქციის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის კავშირს და ურთიერთზემოქმედებას, რომელიც ხორციელდება ქართულ კულტურაში საერთოდ აღიარებული ცნებების, სიმბოლოების, ნიშნობრივი აღნიშვნების საფუძველზე. რეგულაციური ფუნქცია გამოხატავს პოლიტიკური სახეების მეშვეობით მიზანშეწონილი ზემოქმედების მოხდენას ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე.

აღმზრდელობითი ფუნქცია არის ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი ფუნქცია, მისი ჰუმანიტარული მიმართულების ამსახველი. ადამიანი ფლობს წარსულის პოლიტიკურ გამოცდილებას და თანამედროვე პოლიტიკურ ცოდნას, აზროვნებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში გამოიმუშავებს უნარსა და ჩვევებს მათი რაციონალური გამოყენებისათვის, რომლებიც განუწყვეტელ სრულყოფას განიცდიან სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. ამით ის, როგორც პოლიტიკის სუბიექტი აღზრდის თავის თავს და გარკვეულ ზემოქმედებას ახორციელებს სხვის აღზრდაზეც. პოლიტიკური კულტურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ვლინდება გარკვეულ უნიფიკაციური და გარდამქმნელ ფუნქციებში. პირველი ასახავს ზოგად, გარკვეული ზომით ერთნაირ პოლიტიკურ პარამეტრებს და სტანდარტებს, რომლებიც სჭირდება ადამიანებს სხვებთან პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობისათვის,

მეორე კი ახასიათებს პოლიტიკური მოვლენების და მთლიანად პოლიტიკური გარემოს შემოქმედებით და ცვალებად პოტენციალს, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური სუბიექტების სრულყოფის აუცილებლობას, წარმართავს გარდაქმნელ მოღვაწეობას იმ მიზნით, რომ უკეთესი გახადოს თავისი პოლიტიკური უფლებების და ამბიციების განხორციელების პირობები.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში კულტურის პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებას სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. აუცილებელია დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის მიზნით. ჩვენმა სახელმწიფომ ეს ფუნქცია აუცილებლად უნდა შეასრულოს პირადი მაგალითის ჩვენებით, რომელსაც შეიძლება მოყვეს და დადებითი შედეგები.

ქაროული პოლიტიკური კულტურის ფუნქციებს გააჩნია ობიექტური ხასიათი, ისინი წრმოიშობიან და ვითარდებიან საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. პოლიტიკური ფუნქციები, მათი ნაკრები, ქართულ პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება შეიცვალოს, ზოგმა ფუნქციამ შეწყვეტოს არსებობა, ზოგი კი წარმოიქმნას.

მესამე პარაგრაფი. პოლიტიკური სოციალიზაცია თანამედროვე საქართველოში

საერთოდ და კერძოდ, ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური სოციალიზაციის ფორმირება და განვითარება ხდება ადამიანების მიერ განსაზღვრული ნორმების, სტანდარტების და ტრადიციების შეთვისების გზით. ადამიანები, რომლებმაც აითვისეს კულტურული ღირებულებანი ორიენტირები და დაიკავეს შესაფერისი ადგილი და როლი, პოლიტიკაში პოლიტიკურ კულტურას ხდიან საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენად. ამავე დროს, პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქცია, რომელიც ჩვენს ადამიანებს ეხმარება იმის გარკვევაში, თუ როგორ და რა საშუალებებით არის შესაძლებელი ნორმალურად იცხოვროს თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში.

მეცნიერებში პოლიტიკური სოციოლიზაციის პრობლემაზე გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისი. ზოგი მეცნიერი, მაგალითად მ. ხაბერმასი და კ. ლუმანი მას განიხილავენ როგორც, ადამიანის მიერ ახალი ღირებულებების შეთვისებას. სხვები კი, მაგალითად, რ. ლინტონი, ტ. პარსონსი თვლიან, რომ პოლიტიკური სოციალიზაცია არის ადამიანის მიერ გარკვეული პოლიტიკური როლების შესწავლის პროცესი. ე. ფრომი თვლის, რომ პოლიტიკური სოციალიზაცია არის ადამიანის შინაგანი პროცესი, რომლის შედეგად ხდება ადამიანის გრძნობების, ემოციების, შეხედულებების პოლიტიზაცია. პოლიტიკურ მეცნიერებაში გვხვდება უფრო კომპლექსური ხასიათის დეფინიციებიც, რომელთა ავტორებია ა. სოლოვიოვი და კ. გაჯიევი.

პოლიტიკური სოციალიზაციის ცნების მეცნიერულ განსაზღვრებად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი დეფინიცია: პოლიტიკური სოციალიზაცია არის ცალკეული ადამიანის მიერ საზოგადოებაში დაგროვილი კულტურული ღირებულებების ათვისების, მასში აუცილებელი სოციალურ-პოლიტიკური თვისებების ფორმირების პროცესი,რომელიც საშუალებას აძლევს ადაპტირებული იქნეს მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში და ორიენტირებული სასარგებლო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

კონკრეტულ პიროვნებებთან მიმართებაში სოციალურ პოლიტიზაციას გააჩნია შინაგანი (პიროვნული) და გარეგანი (სოციალური) ასპექტები.

შინაგანი ასპექტი შეიცავს პიროვნების იდენტიფიკაციას, ადაპტაციასა და ორიენტაციას. პიროვნების იდენტიფიკაცია ნიშნავს ადამიანის განსაზღვრული ქმედებისადმი – პარტიისადმი და სხვა კუთვნილების შეცნობას, რომელიც ეხმარება მას აითვისოს პოლიტიკური ნორმები და ღირებულებანი. ადაპტაციას ახასიათებს ინდივიდთა შეგუება შეცვლილი პოლიტიკური სინამდვილისადმი, გარემომცველი სამყაროს ათვისების ხერხებისა და მეთოდების გამომუშავება. ორიენტაცია ადამიანს შესაძლებლობას აძლევს თავისი უნარის ფარგლებში განსაზღვროს თავისი როლი და სტატუსი პოლიტიკურ სისტემაში, შეუსაბამოს ისინი სხვა ინდივიდების სტატუსს.

პოლიტიკური სოციალიზაციის შიგაპიროვნული ასპექტი დაკავშირებულია ადამიანის ბუნებრივ-ბიოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, ახასიათებს პიროვნების თვითშემეცნების, თვითაღზრდისა და თვითორგანიზაციის პროცესს. ადამიანის ისეთი შინაგანი ნიშნები, როგორიც არის ნებისყოფა, სიმტკიცე და მიზანმიმართულე-

ბა განსაზღვრავენ მის როგორც პოლიტიკური აქტივისტისა და ლიდერის მიდრეკილებებს და რეალობას.

პოლიტიკური სოციალიზაციის საგარეო ასპექტი ახასიათებს პიროვნებაზე ზოგადსოციალური ზემოქმედებას და მოიცავს სწავლებას, ინტეგრაციას და პიროვნებად ქცევას. სწავლება ერთდროულად არის პოლიტიკური განათლებაც. გარკვეული ჩვევებისა და უნარების გამომუშავება და აღზრდა შესაფერის პოლიტიკურ ტრადიციებზე: ამჟამად საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ განათლების დონე დაბალია, რაც გამოიხატება იმ ღონისძებების განხორციელების აქტიურ მხარდაჭერაში, რომლებმაც მათი რეალიზაციის, პირობების და შესაძლებლობის არ არსებობის გამო საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაიგდეთ. დიდად სამწუხაროდ, დადასტურდა გენიალური ფილოსოფოსების ბრძნული აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი თვითონვე არის საკუთარი დრამის ავტორი, რომლის ტრაგიკულ შედეგებს სხვას აბრალებს. სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი ჩვენი ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკური განათლების დონის ასამაღლებლად. ლიკვიდირებული უნდა იქნეს ყველაფერი ის, რაც ხელს უშლის ამ პრობლემების გადაჭრას.

ინტეგრაცია ასახავს სოციუმის დადებით რეაქციას ინდივიდის მიმართ, თავის რიგებში მიღებას, ინდივიდის აღზრდას იმ პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების სულისკვეთებით, რომელშიც ის არის ინტეგრირებული. ამ შემთხვევაში ქცევა გაგებულია, როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის მთელი რიგი ფაქტორების ურთიერთმოქმედების ასახვა და ახასიათებს ინდივიდის აქტიურ და შეგნებულ პოლიტიკურ მოღვაწეობას. გარეგნულად პოლიტიკური გაწვლენა ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოე-

ბის სხვადასხვა ინსტიტუტების რთული ქსელის მეშვეობით, რომლებიც სოციალიზაციის აგენტებს წარმოადგენენ. მათ შორის დიდი მნიშვნელოვანი ენიჭება ოჯახს, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, პოლიტიკურ პარტიებს და სახელმწიფო სტრუქტურებს. აუცილებელია ჩვენს საზოგადოებაში ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ამ ორგანიზაციების და დაწესებულების პასიურობის დასაძლევად, პოლიტიკური სოციალიზაციის მაღალი დონის მისაღწევად.

საერთოდ, ადამიანის პოლიტიკურ სოციალიზაციას სხვადასხვა ეტაპები გააჩნია. პირველი ეტაპი მოიცავს ადამიანის საბავშვო ასაკს. აქ ჯერ ინტუიტირებული, ხოლო შემდეგ შეგნებულ დონეზე მიმდინარეობს ადამიანის პირველდაწყებითი ადაპტაცია პოლიტიკური მოვლენებისადმი. მეორე ეტაპი შეიცავს პოლიტიკური რეაგირების სავსებით გაცნობიერებულ აღქმას, უნარს გადამუშავებული და გადახედილი იქნეს საკუთარი პოლიტიკური პოზიციები, პოლიტიკური ქცევის არჩევანი. საჭიროა განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი ჩვენი და ჩვენი ხელმძღვანელობის ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო პოლიტიკური თვითდაჯერებულების აღსაკვეთად.

პოლიტიკური სოციალიზაცია წარმოადგენს პოლიტიკური კულტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, პოლიტიკურ მონაწილეობას უმნიშვნელოვანეს წანამძღვარს, რაც ჩვენ დიდი რაოდენობით გვაკლია.

მეოთხე პარაგრაფი. თანამედროვე ქართული პოლიტიკური კულტურის ზოგიერთი თავისებურება და პრობლემა

თანამედროვე ქართული პოლიტიკური კულტურა განხილული უნდა იქნეს შემდეგ ასპექტებში:

პირველი. მის წარმოშობის სათავეების გამოვლენა, წარსულის პოლიტიკური გამოცდილების, ტრადიციებისა და მენტალიტეტის ანალიზი.

მეორე. მისი თანამედროვე სტრუქტურის ანალიზი, ღირებულებითი ორიენტირების განსაზღვრა, საზოგადოებაზე გავლენის ფორმების და ზემოქმედების პრობლემების კვლევა.

მესამე. პოლიტიკური კულტურის განვითარების ტენდენციებისა და პრიორიტეტების გამოკვლენა, მისი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა მსოფლიოს პოლიტიკურ ურთიერთობებში.

საქართველო პოლიტიკურ-ისტორიული თვალსაზრისით უნიკალური და თვითმყოფადია. მას ახასიათებს მრავალი სუბკულტურა, რომელიც განპირობებულია გეოგრაფიული, ეთნიკური და კონფესიონალური ფაქტორებით. ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დამარცხებებმა გამოიწვიეს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში უცხო და მტრული პოლიტიკური დაწესებულებების ძალდატანებითი შემოტანა, მაგრამ ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტები ყოველთვის არსებობდა. წარსულში პოლიტიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი ღირებულების სახით ჩვენამდე მოაღწია დამოუკიდებელი ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს იდეამ, რომელიც განიხილებოდა საქართველოს განვითარების ძირითად პირობად.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელი იყო ეკლესიის სახელმწიფოსთან შერწყმა, რომელიც წარმოადგენდა ქართული სახელმწიფო აპარატის ერთერთ ელემენტს. მართლმადიდებელმა ეკლესიამ დადებითი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. საჯარო, სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელობით, ქართული მესიანელობის სულის ფორმირებაში, რომელიც გახდა იმ დროის პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი ნიშანი.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ქართველ გლეხების ცხოვრების წესის ინდივიდუალურმა ფორმამ, რომელიც ხელს უშლიდა კოლექტიური საწყისების ფორმირებას პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის უკიდურესად ჩამორჩენილ იმპერიაში, რომლის ერთ-ერთი პროვინცია საქართველო იყო. შეიქმნა ხელშემწყობი პირობები პოლიტიკურ კულტურის განვითარებისთვის – გაუქმდა ბატონყმობა. დაიწყო ახალი სოციალური ძალის – ბურჟუაზიისა და მისი ინტელიგენციის ფორმირება, განხორციელდა სამართლებრივი რეფორმა და სხვა.

1917 წ. სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის გამარჯვებისთვის არცერთი აუცილებელი მრავალრიცხოვანი პირობებიდან და ფაქტორებიდან რუსეთში და მის პროვინციებში არ იყო მომზადებული, შეაჩერა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. კაპიტალიზმის ხანგრძლივი განვითარების პროცესში უნდა შექმნილიყო სოციალიზმის დიდებული იდეების განხორციელებისთვის, მისი ბრწყინვალე პოლიტიკური კულტურის შექმნისთვის, აუცილებელი საჭირო პირობები, რომლებიც რევოლუციამდელ რუსეთში არ არსებობდა.

ბოლშევიკებმა შეიმუშავეს კურსი სოციალიზმისა და პროლეტარული სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც მათ მიერ განიხილებოდა უკიდურესად, ყოველმხრივ ჩამორჩენილი, 19-ე ს. 30-იან წლებშიც კი მთლიანად გაუნათლებელი წერა-კითხვის უცოდინარი, ნამგალისა და უროს ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, რომლის განხორციელების, შედეგად შეიქმნა პირობები ხალხების მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის, მსოფლიოს თორმეტი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენისთვის, დანარჩენების კი გერმანული რაიხის მუდმივი მონობისაგან თავის დაღწევისთვის. სლავი ხალხების ფიზიკური განადგურებისგან, სხვა ხალხების კი გერმანული რაიხის მუდმივი მონობისგან გადარჩენის ერთადერთ პოლიტიკურ საშუალებად. ბოლშევიკებმა ისაიათ მიზანს მიაღწიეს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უამრავი ანტისოციალისტი თვლის, რომ ბოლშევიკების მიერ საზოგადოების ცხოველმოქმედების ყველა სფეროში გასახელმწიფოება მიყვანილი იქნა უკიდურესობამდე, პოლიტიკურმა კულტურამ შეიძინა ავტორიტარული და ეტატისტიკური ხასიათი, როლი და ფუნქციები, რომლებსაც ქართული სახელმწიფოებრიობის დაფუძნებაში ადრე ასრულებდა მართლმადიდებლობა. ის გადაიქცა მარქსიზმ-ლენინიზმზე, რომელიც გახდა ერთადერთი გაბატონებული იდეოლოგია. ცალკეული ადამიანის ინტერესი მთლიანად ემორჩილებოდა სახელმწიფოს ინტერესებს.

ჩვენი ვაუბატონი ანტისოციალისტი ცდილობს უარყოს ის, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მიზანი იყო

უკიდურესად ჩამორჩენილი საქართველოს სწრაფი ტემპებით განვითარება ამ მდგომარეობიდან, მისი გამოყვანა. ამჟამად, გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი და ნახერად მშიერი ადამიანები რომ არ ვართ, სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამსახურება არის. ისტორიაში არც ერთ სახელმწიფო ხელისუფლებას არ გაუკეთებია ასეთი დიადი საქმეები ხალხისთვის.

უმადური ანტისოციალისტი ამტკიცებს, რომ საბჭოთა სამართლებრივი სისტემა მთლიანად დაფუძნებული იყო სახელმწიფოს წინაშე ადამიანის ვალდებულებების იდეაზე, მაგრამ ანტისაბჭოელმა არ იცის ან შეგნებულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ მაშინ აუცილებელი იყო ადამიანის ქცეველმხრივი განვითარებისთვის პირობების შექმნა, მისი ფაქტობრივი განხორციელების მატერიალური გარანტიების იურიდიული დაფუძნება, რაც ხორციელდებოდა ფაქტობრივად. კანონის დამრღვევი კი სამართლიანად, სასტიკად ისჯებოდა.

ჩვენი „დემოკრატი" ანტისოციალისტები თავგამოღებით ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები იმაში, რომ თითქოს სოციალიზმის დროს კანონის როლი ფაქტობრივად უარყოფილი იყო, ვინაიდან პრინციპული დებულებანი დადგენილი იყო პარტიული დირექტივებით, ხოლო სამართლებრივი რეგლამენტაციის კონკრეტული საკითხები წყდებოდაო მმართველობის ორგანოების უწყებრივი ნორმატიული აქტებითო.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში ახალი სოციალისტური კანონების შექმნის აუცილებელი ფაქტორები – საზღვარგარეთული და ქართული გამოცდილება, სოციალისტური იურისპუდენცია, სოციალისტ-იურისტთა

კადრები, სახელმწიფო მმართველობაში გამოცდილი ხელისუფლება და სხვა არ არსებებდა. რაც შეიძლება არსებულ სოციალისტური კანონების შექმნას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეები, ასეთ პირობებში მიღებულ კანონებს მრავალი ნაკლი გააჩნდა. ამიტომ სოციალისტური სამართალდამცველი, ასევე როგორც ყველა სხვა ასეთ პირობებში თავიანთ საქმიანობაში იყენებდნენ პარტიული და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტებს. ასეთი ფაქტები ბევრია ბურჟუაზიული სამართლის ისტორიაში. ჩვენ კი საქართველოში მასობრივი ანარქიისა და ქაოსის გამვრცელებლებს კანონების დაცვის საკითხზე სხვისი კრიტიკის მორალური უფლება ნამდვილად არ გვაქვს.

სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იყო მოსახლეობის უმძიმესი მატერიალური ცხოვრების პირობების ლიკვიდაცია, წერა-კითხვის უცოდინრობის სამარცხვინო, მოვლენის მოსპობა და ბევრი კარგი სხვა საქმის გაკეთება საქართველოს ჩამორჩენილობის მოსასპობად. ამ მთავარი ამოცანის გადაწყვეტის ყველა ხელისშემშლელი ბიზეზი უარყოფილი იყო: მათ შორის არასრულყოფილი და ხელშემშლელი კანონებიც, საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დამცველი კანონების მოწინააღმდეგეებით.

მე-20 ს. 50-იანი წლებიდან გაძლიერდა სოციალიზმის წინააღმდეგ საზღვარგარეთული ანტიკომუნისტების მიერ ორგანიზებული ბრძოლა, რომელსაც საქართველოში ხელმძღვანელობდნენ „დემოკრატებად", „სახალხო რევოლუციონერებად" გადაღებილი, უშრომელად, საზოგადოებრიეი საკუთრების მტაცებლობისა და მითვისებით გამდიდრებუ-

ლი ადამიანთა ჯგუფები. მათ დაშალეს საბჭოთა კავშირი, გააჩაღეს სამოქალაქო და ეროვნებათაშორისი ომები რომლებსაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა, გააღატაკეს საზოგადოებრივი ქონების შექმნელი მშრომელი ადამიანები და ქვეყანა კატასტროფაში ჩააგდეს. ურცხვად და თავხედურად გაყვირიან: „დემოკრატები", ხალხის ერთგული პატრიოტები და ჰუმანიტარები ვართო. მათ უზნეობასა და უსამართლობას მართლაც არ აქვს არავითარი საზღვარი.

საქართველოში ბურჟუაზიული პოლიტიკური კულტურის სისტემური სახით ფორმირების პროცესი დაიწყო ამჟამად მოქმედ კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ეს პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს. ქვეყანაში შექმნილია უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივ-სულიერი მდგომარეობა. დაბალია მოსახლეობის პოლიტიკური კულტურა, სახელმწიფოს მართვის არავითარი გამოცდილება არ აქვს, გავრცელებულია მასობრივი პოლიტიკური აპათია.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ კულტურას ახასიათებს ანტინომიურობა, ვინაიდან მის ყველა საბაზო ელემენტს გააჩნია ანტითეზა – ატატიზმი და ანარქიზმი, ხელისუფლების, კანონების დარღვევის შიში ეროვნული ქვეშევრდომობა და უკიდურესი რადიკალიზმი. ის წინააღმდეგობრივია, ვინაიდან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებული კოლექტივიზმის და ჯგუფური სამართლიანობის ღირებულებების შემდეგ ამჟამად დადგინდა ნორმები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ინდივიდუალური ინიციატივის განვითარებაზე. ქართული პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია, აგრეთვე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ორიენტაცია პოლიტიკური მოღვაწეე-

ბის პიროვნებაზე, პოლიტიკური პროცესების არასანქციონირებულ ფორმებზე, პოლიტიკური პრობლემისადმი კამპანიურ მიდგომაზე და სხვა.

საქართველოს პოლიტიკური კულტურის განვითარებაში გამოყენებული უნდა იქნეს მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ის მიღწევები, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების გონივრულად წარმართვას შეუწყობენ ხელს, სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ არ უნდა დავუშვათ მათი მექანიკური გამოტანა, რაც არც თუ იშვიათად ხდება ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაში. ისინი ანულირებული უნდა იქნენ როგორც საქართველოსთვის ზიანის მომტანნი.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი პოლიტიკური კულტურის სფეროში ოპტიმალური პროგნოზის შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ შექმნილი უმძიმესი, კატასტროფული მდგომარეობა, მისი შეზღუდული შესაძლებლობანი ამ მდგომარეობიდან საკუთარი ძალებით გამოსვლის შესაძლებლობას არ იძლევა. საჭიროა საერთაშორისო პოლიტიკური მეურვის გამოცდილი, პრინციპული და მტკიცე ხელი.

მერვე თავი
თანამედროვე საქართველოს ეროვნული ურთიერთობანი და ეროვნული პოლიტიკა

პირველი პარაგრაფი. ქართული ეროვნული მოძრაობის მოძღვრებების განვითარების ისტორიული ასპექტები

საქართველოსა და ქართველი ხალხის აგრესორების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის პერიოდში დაგროვდა საკმაოდ მდიდარი ისტორიული გამოცდილება, რომლის თეორიული გამოხატულება არის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცნობილი იდეურ-თეორიული ხასიათის მოძღვრებები, კონცეფციები და თეორიები, რომელთა მიზანი იყო და არის მეცნიერულად დაესაბუთებინა საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლისა და დამოუკიდებლობის მიღწევის გზები, საშუალებები და მეთოდები.

საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მოძღვრებათა ასპექტების მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული მოძრაობის სათავეში მყოფი განმანათლებელი დემოკრატების მხატვრულ და პუბლიცისტურ ფორმაში შექმნილი რაციონალური თვალსაზრისი, რომლის თანახმად საქართველოში შეიარაღებული ბრძოლა არის რუსეთის საერთო მოძრაობის შტო და დამოკიდებულია რუსი ხალხის პროგრესულ ძალთა მხრივ თვითმპყრობელობის დამხობაზე. ქართველ ხალხს რუს ხალხთან განუხრელი კავშირი უნდა ჰქონდეს. განახლებული რუსეთი იქნება თავისუფალ ერთა ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც საქართველო გაერთიანდება „დემოკრატიული ავტონომიის" უფლებით. ქართველი ხალხის საშინაო მმართველობა იქნება მის მიერ დადგენილი და

განხორციელებული. ი. გოგებაშვილი წერდა: „საქართველო განუყოფელი ნაწილია რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური, საკუთარი ენით, კულტურით, თვითმმართველობით.„[17]

მე-19 ს. სამოციანი წლების განმანათლებელი დემოკრატების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და დამოუკიდებლობის კონცეფციის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის ფორმირებულია მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიერ დადგენილი თეორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით და ითვალისწინებს იმ დროინდელ საქართველოს ფაქტობრივ საშინაო და საგარეო მდგომარეობას, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას. ამ ვითარების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე მათ შეიმუშავეს რაციონალური კონცეფცია, რომლის რეალიზაცია აუცილებელი იყო იმ პერიოდში მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის. ამ კონცეფციისათვის უცხოა ვოლუნტარიზმი, და ავანტიურიზმი, და პოლიტიკური ქარაფშუტობა. ის მოითხოვდა საქართველოსა და მისდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ურთიერთობაში ძალთა თანაფარდობის აუცილებელ გათვალისწინებას და თვლიდა რომ სუსტი, პატარა და ჩამორჩენილი საქართველო რუსეთის მფარველობის გარეშე ვერ შეძლებდა მტრებისგან თავის დაცვას.

ქართველი განმანათლებელი დემოკრატების ეროვნული დამოუკიდებლობის თავისებური კონცეფცია მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ფორმირებული გენიალურ პოლიტიკურ ტრაქტატებში და არსებობდა ლიტერატურულ-პუბლიცისტიკურ ნაწარმოებებში, წარმოადგენდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მნიშვნელოვან იდეურ-თეორიულ

---

17 ი. გოგებაშვილი, თხზ. ტომი 4, გვ 327

საფუძველსა და შეიცავდა ბევრ ღრმა აზრს დამოუკიდებლობის მიღწევის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე. ამ მხრივ, ის ფუნდამენტალური და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი იყო. რუსეთის შემადგენლობაში ფართო ავტონომიის შესაძლებელი გახდებოდა ველურ სახელმწიფოთა აგრესიისაგან დაცვა, საქართველოს განვითარება და, რაც მთავარია, ქართველების ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენა. მათი აზრით, მხოლოდ ასეთი ხასიათის იდეებსა და ღონისძიებებს ჰქონდა ღირებულება და მნიშვნელობა ქართველი ხალხისთვის.

სამწუხაროდ, განმანათლებელი დემოკრატების შექმნილი საქართველოს დამოუკიდებლობის კონცეფცია მომავალში პრაქტიკულად განხორციელებული არ იქნა, რამაც განაპირობა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს უმძიმესი მდგომარეობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოძღვრებათა ისტორიული აღსანიშნავია რსდმპ-ში ჩამოყალიბებული მენშევიკური ფრაქციის ეროვნული კონცეფცია, რომელიც შემდეგ მენშევიკური პოლიტიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის თეორიული საფუძველი გახდა.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მენშევიკურმა კონცეფციამ მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია განიცადა, მას თეორიული ევოლუციის რამდენიმე ეტაპი აქვს.

პირველ ეტაპზე, 1902-1918 წწ. ეს კონცეფცია ეროვნული პრობლემის მარქსისტული თეორიის ფუნდამენტალური დებულებების – ერთა თვითგამორკვევის, უფლებას ეყრდნობოდა და თვლიდა, რომ ეს უფლება რეალიზებული უნდა ყოფილიყო კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ ეტაპს მიღწეული რუსეთში და მის ნაწილ საქაროველოში მუშათა კლასის პოლიტიკური ხელისუ-

ფლების მიერ, სოციალიზმის პირობებში კაპიტალისტურად განვითარებად რუსეთში კი ეროვნული უმცირესობანი უნდა განვითარებულიყვნენ მის ძირითად მოსახლეობასთან ერთად და პარალელურად ფართო ავტონომიის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ მენშევიკური ეროვნული კონცეფცია პირველ ეტაპზე პოლიტიკურად და სოციალურად სასარგებლო იყო რუსი და ქართველი ხალხებისთვის.

მეორე ეტაპზე, 1918-1921 წწ. საქართველოს ეროვნულმა მენშევიკურმა კონცეფციამ მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია განიცადა, რაც გამოვლინდა საქართველოს რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლისა და მისი დამოუკიდებელების გამოცხადებაში, რაც განხორციელდა კიდეც 1918 წლის 26 მაისს.

1917 წ. რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციების გამარჯვების შემდეგ საქართველოში შეიქმნა უკიდურესად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომელიც ნ. ჟორდანიამ ასე დაახასიათა: „რადგან ჩვენ მიტოვებულნი ვართ ბედის ამარა, რადგან რუსეთმა, რომელიც 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ და ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა, ამაზე უეცრად უარი თქვა, ამით მან უარი თქვა საკუთარ ორიენტაციაზე, და ამით მიგვითითა, რომ თვით ჩვენვე დავდგეთ ფეხზე და თვითონვე დავიცვათ ჩვენი თავი... როცა არის არჩევანი რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსეთს ვარჩევთ, მაგრამ როცა არის არჩევანი თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიას.[18]

ნ. ჟორდანიას ამ განცხადებაში თუ სამართლიანად და ობიექტურად ვიმსჯელებთ, არ არის აღფრთოვანება და

---

18. Закавказский (стоногпафический отчет), стр. 206 1918

სიხარული, სინანული და წუწუნია რუსეთის მიერ საქართველოს „ბედის ამარად" მიტოვების გამო.

ისტორიულ, რეალურ ფაქტებს ასახავს აზრი იმის შესახებ, რომ „რუსეთი 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ, ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა„ ელემენტარული ზნეობა მოითხოვს ეს სიტყვები გამოვიყენოთ მათი ნამდვილი მნიშვნელობის, მათი სხვა აზრი არ ჩაედოთ, არავინ არ დაგვიჯერებს, რომ რუსეთს კარგი საქმეები არ გაუკეთებიაო, ყველაფერი ცუდი გააკეთაო.

საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად თურქეთისა და გერმანიის მთავრობის აქტიურობა გერმანელი გენერლის ფონ ლოსოვის სახით, რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობის იურიდიული გამოცხადების შემდეგ საქართველო ცნობილი იქნა რიცი საბჭოთა რესპუბლიკის მიერ, რომლის ინიციატივით 1920 წ. 7 მაისს დადებული იქნა რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების და შინაგან საქმეში ჩაურევლობის შესახებ.

ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის რეალურად უსარგებლო, ფორმალური აქტი იყო. საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა არც ობიექტური მატერიალური შესაძლებლობანი და არც ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ეს, როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობის მიერ კარგად მოფიქრებული „ხრიკი" იყო. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს „დასჯა" ანექსიის სახით ნაკლებად დასაგმობი მოვლენა იქნებოდა. საქართველოს მაშინდელ მთავრობას სუსტი, ბრძოლაში გამოცდილი შეიარაღებული ძალების არქონის გამო არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია იმ სახელმწიფოს-

თეის, რომლებიც მისკენ მოისწრაფოდნენ – ოსმალეთი მიწასთან გასასწორებლად, რუსეთი კი – შურის საძიებლად.

საქართველოს მაშინდელ მთავრობას არც ხელშეკრულების საიდუმლო დამატების შესრულება შეეძლო, რომელიც მოითხოვდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბოლშევიკური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების ნებართვას, ვინაიდან ისინი საქართველოს საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის დაძლევის ერთადერთ საშუალებად თვლიდნენ ქვეყანაში სოციალიზმის დაუყოვნებლივ დაჭყარებას მთავრობის თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ და აქტიურად იბრძოდნენ ამ მიზნის მისაღწევად.

საქართველოს მთავრობა ვერ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ხელშეკრულების დადებამდე საქართველოს მთავრობამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა – მონაწილეობა მიიღო რუსეთში პროლეტარული რევოლუციის მიერ დამოხობილი მჩაგვრელი კლასების მიერ გაჩაღებულ სასტიკ სამოქალაქო ომში ექსპლოატატოროა დასახმარებლად და უ. ჩერჩილის მიერ ორგანიზებულ საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენციაში, ინტერვენტებს ეხმარებოდა, როგორც რიგით მე-14 სახელმწიფო ვ. ი. ლენინმა პირდაპირი დაასახელა საქართველო, როგორც მე-14 ინტერვენტი სახელმწიფო. 1918 წ. 18 დეკემბერს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისის მთავრობას ოფიციალურად შეატყობინა: „ჩვენი პატარა სახელმწიფო მზადაა თქვენი მოწოდებით დადგეს შეთანხმების სახელოვანი დროშის ქვეშ"[19] ეს მაშინ, როცა საქართველოს მთავრობას უნდა გამოეცხადებინა ნეიტრალიტეტი არ მიეღო რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სამხედრო ინტერვენციაში. საქართველოს ტერიტორი-

19 იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузииб 1919, გვ.483

აზე იმყოფებოდნენ თეთრგვარდიელთა ნაწილები. მუშაობდა მოხალისეთა შემკრები ბიურო, რომელმაც 1919 წ. მარტში თბილისში 4000 თეთრგვარდიელი ოფიცერი აღრიცხა. მალე თბილისში გაჩნდნენ გრანგელის ბიუროებიც.

რუსეთის საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა საქართველოს სასტიკად დასჯას. მან შური იძია საქართველოზე, სამაგიერო გადაუხადა მას რუსეთში სასტიკი და მძიმე სამოქალაქო ომში და საზღვარგარეთის სამხედრო ინტერვენცის პერიოდში ინტერვენტების დახმარებისთვის, რაც 1921 წლის თებერვალში საქართველოს ანექსიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში, 1917 წლიდან 1921 წლის თებერვლამდე დამოუკიდებლობისთვის აბსოლუტური მოუმზადებლობის გამო, რამაც გამოიწვია მისი ომში დამარცხება, მოხდა ტრაგიკული, უკიდურესად დრამატული მოვლენებიც. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თურქეთის მთავრობის ულტიმატუმის გამო საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა დაედო ხელშეკრულება თურქეთის მთავრობასთან, რომლის თანახმად თურქეთის ხელში გადავიდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურმალოს მაზრა. ბათუმის 1918 წ. 4 ივნისის ხელშეკრულებით საქართველომ ისედაც მცირე ტერიტორიის ქვეყანამ დაკარგა 10 000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 350 ათასი ადამიანით. საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს განეიარაღებინა მის განკარგულებაში მყოფი ფლოტიც.

უკიდურესი ველურობით გამოირჩეოდა და შემზარავი იყო თურქეთის ბატონობა ჯავახეთის სოფლებში, რომლებმაც „ქონება მთლიანად დაიტაცეს, ათი წლის ქალები

მთლიანად გააუპატიურეს, ბევრი წაიყვანეს. ასობით ხალხი დახოცეს და განაგრძნობენ ველურ სისასტიკეს. გთხოვთ სასწრაფო ზომებს საშველად".[20]

ახალქალაქში თურქთა ბატონობის ბარბაროსება და მხეცობა აღწერილია იქ ნამყოფი კომისრის ანგარიშში: „თითქმის ყოველ სახლში შიმშილისგან ლოგინზე დავარდნილს, უმეტესად დედაკაცებსა და ბავშვებს ბალახის ჭამით ყველას ტუჩები დახეთქილი და ღრძილები ჩაშავებული აქვთ. აუარებელ ოჯახში მთლიანად გაწყვეტილია მამაკაცობა. ყოველ დილას აუარებელი ხროვა მშიერი ხალხისა აწყდება ქალაქს, რომ ერთი ლუკმა პური იშოვოს".[21]

საქართველოს „დამოუკიდებლობის დასაცავად" მისი მთავრობის მიერ მოწვეულმა გერმანელებმა გერმანიაში გაიტანეს ქართველების კუთვნილი ბევრი ნივთი და სხვა ფასეულობანი.

1921 წლის თებერვალში საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მისედვით საქართველო იყო თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. ეს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეკლარირებული გამოცხადება არ შეესაბამებოდა რეალობას და ჩვეულებრივი კონსტიტუციური ქიმი და ილუზია იყო.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მისი სუვერენიტეტი, როგორც ქვეყნის ისეთი ხელმძღვანელობა და მმართველობა, რომლებსაც ანხორციელებს მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფო, და მასზე მაღლა მდგომი ხელისუფლება ქვეყანაში არ არსებობს მაშინ მიღწეული არ იყო. მენშევიკების ოფიციოზმა გაზეთმა „ერთობამ„: ასე შეაფასა ქართული სახელმწიფო ხელისუფლების მდგო-

20 იხ. სსცია, ფ. 1878, საქ. 388, ფურც. 12-13
21 იხ. სსცია, ფ. 1825, საქ. 142, ფურც. 1-4

მარეობა: „ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილი ერების ბედი დიდი სახელმწიფოების ხელშია; ამიტომ სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია ... ქართველი ერის პოლიტიკა, პირველყოვლისა, მის საკუთარი ძალებს უნდა ემყარებოდეს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ძალები არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისთვის. საჭიროა კიდევ გარეშე ძალა, რომელიც ზურგს გაუმაგრებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიერკავკასიაში მოისწრაფიან ოსმალეთის გარდა გერმანია, ინგლისი, რუსეთი. ოსმალეთს ჩვენი მიწასთან გასწორება უნდა, ინგლისი შორს არის, ბოლშევიკური რუსეთი ჩვენზე მოდის მხოლოდ შურის საძიებლად, დარჩა ... გერმანია"[22]

ეს ობიექტური წინდახედული თვალსაზრისი შეიცავს რაციონალურ აზრებს, ყველაზე ბრძნული აზრი დამოუკიდებლობის მიღწევისათვის საჭირო პირობების „საკუთარი ძალების„ არსებობის შესახებ, რომლებიც მაშინ, „არ იყო საკმარისი„ ქვეყნის თავდაცვისათვის არცერთი სხვა პირობა და წანამძღვარი არ იყო მომზადებული საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, ამიტომ დაემარცხდით, ბევრი უბედურება შეგვემთხვა, უშედეგოდ ადამიანთა დიდი მსხვერპლით.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მენშევიკური პარტიის ბრძოლის გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე შესაძლოა ჩამოყალიბდეს იდეები და დებულებანი, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საქართველოს დამოუკიდებლობის მენშევიკურ კონცეფციას, მისი ძირითადი იდეებია არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაზე დამყარებული პროლეტარული ხელისუფლების პირობებში უკვე მომზადებული აუცილებელი

22 იხ. გაზ. „ერთობა", 26 მაისი 1918

წანამძღვრებების საფუძველზე შესაძლებელი იქნება საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა. მცდარია იდეა იმის შესახებ, რომ ერთა თვითგანადგურების უფლების საფუძველზე განხორციელდეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საჭირო პირობების შექმნა რუსეთის შემადგენლობაში. იდეა იმის შესახებ, რომ მე-20 ს. 20-იან წლებში შესაძლებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა; იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში უმნიშვნელოა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების გაუარესება; დამოუკიდებლობის პერიოდში უკეთესი პირობები შეიქმნება; იდეა იმის შესახებ რომ ისეთი პატარა „წვრილი" ერის დამოუკიდებლობა, როგორიც იყო საქართველო შეუძლებელია თავდაცვისთვის საჭირო ძალების უკმარისობის გამო; იდეა საკუთარ ძალებზე დაყრდნობის აუცილებლობის შესახებ, ისტორიულად რუსეთის პოზიტიური როლის შესახებ. იდეა „გარეშე ძალის" დახმარების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განახორციელდა უღრმესი სოციალისტური რევოლუციური გარდაქმნები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ეროვნული უროიერთობების დარგშიც. მან ფორმალურად აღიარა დამოუკიდებლობის 1918 წ. აქტით და 1921 წ. თებერვლის კონსტიტუციით გათვალისწინებული დემოკრატიული იდეები და პრინციპები. ისინი აისახა 1922 წ. 2 მარტს მიღებულ საბჭოთა საქართველოს პირველ და სხვა კონსტიტუციებში, რომლებშიც საქართველო გამოუცხადებელი იყო დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, სინამდვილეში მაშინ მას სოციალიზმის არცერთი ნიშანთვისება არ გააჩნდა, მისი მშენებლობის პირველი წელი იყო.

აღსანიშნავია ის, რომ ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ კონსტიტუციებში და სხვა საკანონმდებლო აქტებში დაჯიქსირებული დამოუკიდებლობის პრინციპების უკიდურესი ფორმალიზმით და მოჩვენებითობით. ამას ამართლებდნენ იმით, რომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისათვის საჭირო და აუცილებელი წანამძღვრებები და პირობები არ არსებობდნენ, რომლის გამო საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მიღწევა შეუძლებელი იყო. მათ სურდათ დაერწმუნებინათ მოსახლეობა არსებული დიქტატორული ხელისუფლების აუცილებლობაში და დემოკრატიულობაში, გამოეყენებინათ მისი შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ზოგადად დამოუკიდებლობისა და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობის ლოგიკური ცნების ბოლშევიკური ფალსიფიკაცია გამოიხატა იმაში, რომ მის სტრუქტურაში საქართველოს ფორმალური დამოუკიდებლობის იდეა გახდა მთავარი და შეცვალა საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის ძირითადი იდეა, რომელშიც მდგომარეობს დამოუკიდებლობის ცნების არსი.

საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლშევიკურ კონცეფციაში პანადეა იყო უკიდურესად ჩამორჩენილი 1877 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 76% წერა-კითხვის უცოდინარი ქვეყნის ყოველმხრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების იდეა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ამ იდეის რეალიზაციას, თუ სამართლიანად განვსჯით, მოყვა დიდი პროგრესული ეფექტი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გერმანელების და თურქებისაგან ქართველების მონის მდგომარეობის თავიდან აცილება და ბევრი სხვა პოზიტიური შედეგები.

ამრიგად, ბოლშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობის ლოგიკური ცნების ძირითადი შინაარსი, მისი რე-

ალური პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა შეცვალეს საქართველოს პროგრესის ცნების შინაარსით, რომელიც ბოლშევიკების აზრით, საქართველოს განვითარებისა და მის მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოსგან ხსნის ერთადერთი პირობა და საშუალება იყო.

საბჭოთა კავშირში, რუსეთის იმპერიის ნახევრად ველური ქვეყნის მემკვიდრე სახელმწიფოში ეროვნებათა განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი ვარიანტი იყო „ავტონომიზაციის" სტალინური იდეა, რომლის მიხედვით ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხები უნდა გაერთიანებულიყვნენ რსფსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსით.

ი. სტალინი და მისი თანამოაზრეები თვლიდნენ, რომ უკიდურსად ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირის სწრაფი ტემპით განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში ავტონომიური ეროვნულ-პოლიტიკური წარმონაქმნების შექმნით ერთიანი ცენტრალიზებული სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში. „ავტონომიზაციის" დოქტრინა არ იქნა მიღებული, მაგრამ რეალურად არცერთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მათ შორის რსფს რესპუბლიკა დამოუკიდებელი სუვერენური სახელმწიფო არასდროს ყოფილა, მათ ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსით მიაღწიეს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების მაქსიმალურად შესაძლებელს, სლავი და ზოგიერთი სხვა ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადარჩა, სხვები კი გერმანული, რაიხის მუდმივ მონობას ი. სტალინის ეროპიროვნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა ავტონომიების პირობებში.

მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს, გენიალურ მხედარმთავრის, შესაძლოა ყველაზე დიადს კაცობრი-

ობის ისტორიაში[23] ი. სტალინს უკიდურესად ჩამორჩენილ საბჭოთა კავშირში ავტონომიური ეროვნულ-ტერიტორიულ წარმონაქმნების შექმნის მოთხოვნით და პრაქტიკული განხორციელებით შეცდომა არ დაუშვია, რასაც ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ „აღმოსავლეთის" გეგმით მოსასპობად გათვალისწინებული ხალხებიდან ამჟამად ზოგი ცოცხალია, ზოგი კი გერმანელებისა და თურქების მონები არ არიან და თანამედროვე ადამიანებს გვანან.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ადრინდელი, ისტორიული ხასიათის თეორიების, მოძღვრებების და კონცეფციების ანალიზი შესაძლებლობას აძლევს შერჩეული და გამოყოფილი იქნეს მეცნიერულად ჭეშმარიტი, თანამედროვე პირობებში ქართული ხალხისთვის სასარგებლო იდეური მოძღვრებები, რომლებიც უნდა განახორციელონ ქართველმა პატრიოტ-პოლიტიკოსებმა პრაქტიკულ საქმიანობაში.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ძირითადად ლიტერატორი განმანათლებლები საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემებზე თავიანთ თვალსაზრისს გამოთქვამდნენ ლიტერატურულ-მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში მათთვის დამახასიათებელ დონეზე. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, ძალზე ცოტა ფუნდამენტალური, ზოგად-თეორიული და კონკრეტულ-მეცნიერული ხასიათის შრომები საქართველოს ეროვნული განვითარებისა და მისი დამოუკიდებლობის პრობლემებზე, რამაც ძირითადად განაპირობა მეცნიერულად ნაკლებად დასაბუთებული იდეების ფორმირება და მათი პრაქტიკული რეალიზაციის უარყოფითი შედეგები.

23 ვ. ვახანია: იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური. დოკუმენტების კრებული თბილისი. მოსკოვი. 2014 წელი. მეორე გამოცემა, გვ. 286

ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად საჭირო იყო ზოგად-თეორიული და კონკრეტულ-სოციალური მეცნიერების შექმნა და მის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ზოგადი თეორიის ფორმირება, ქვეყნის საერთო მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზი, მისი მომავლის რაციონალური რეკომენდაციების შემუშავება. საჭირო იყო სპეციალური მეცნიერული შრომები, რომელთა ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ობიექტური ასახვა, აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს განვითარებისა და მისი დამოუკიდებლობის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ქართველი ხალხის მობილიზაცია და დარაზმვა გამარჯვებისთვის აუცილებელი მრავალრიცხოვანი პირობებისა და ფაქტორების შესაქმნელად, კერძოდ, ეროვნული ეკონომიკის შექმნა და განვითარების საკუთარი ბუნებრივი რესურსების საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის აუცილებელი შეიარაღებული ძალების შექმნა, ძლიერი და პრინციპული საერთაშორისო მეურვე, ძლიერი პოლიტიკური ლიდერები და მრავალი სხვა.

დიდად სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოს კატასტროფული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა აგრეთვე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში საკმაოდ გავრცელებულმა, ჩვენი პოლიტიკური მოძრაობების მესვეურთა ისეთმა უარყოფითმა ფსიქიკურმა თვისებებმა, როგორიც არის ავანტიურიზმი და ჰოლუნტარიზმი, ამბიციურობა და მედიდურობა, ბაქიაობა და კუდაბზიკობა, ზერელობა, ფანტაზიორობა და სხვა. ამ თვისებებს ავლენდნენ თურმე ქართველი დეპუტატები რუსეთის იმპერიის სათათბიროებშიც და უზენაეს საბჭოში და საქართველოს პარლამენტში. რეაქციონერებმა დეპუტატ-

მა შულგინმა რუსეთის საათაბიროში განაცხადა „ლურჯი ვირის ნახვა უფრო ადვილია, ვიდრე ჭკვიანი ქართველისო.“ თურმე დაბადებით ენაჩლუნგი ნ. ჟორდანია ტრიბუნას არ ეკარებოდა, ხოლო ნ. რამიშვილი ნამეტანი ქართული აქცენტით დეპუტატებს აცინებდაო.

მე-20 საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ორგანიზაციებისა და მათი მესვეურების ორჯერ გამოცხადებული დეკლარირებულ დამოუკიდებლობებს შორის რამდენიმე ანალოგიური ნიშანთვისება არსებობს, რომლებიც დეტერმინირებულია რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის კონკრეტულ-ისტორიული პირობით და გარემოებით. მათ შორის ძირითადია შემდეგი:

პირველი. ორივე შემთხვევაში დამოუკიდებლობა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცხადებული იქნა დამოუკიდებლობის მიღწევისთვის აუცილებელი მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი საშინაო და საგარეო, ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების და პირობების მოუმზადებლობის პირობებში და ამიტომ რეალური დამოუკიდებლობა მიღწეული არ იქნა, დამოუკიდებლობის აქტები ფორმალური-პოლიტიკური, და ილუზიურებული აქტები აღმოჩნდა.

მეორე. ორივე შემთხვევაში ილუზორულ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის შედეგები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს კატასტროფული მდგომარეობა. მისი სახელმწიფოს თვითლიკვიდაციამდე მისვლა. განსაკუთრებით მძიმეა ქართველთა დიდი რაოდენობით დაღუპვა, მიზნის მიღწევის გარეშე.

მესამე. ორივე შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი

გახდა საქართველოში მცხოვრები უცხოტომელთა მტრული დამოკიდებულება ქართული ხალხისა და მისი სახელმწიფოსადმი. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურ, ანტიქართულ საქმიანობას ეწეოდნენ და ეწევიან საქართველოს სომხები, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობასაც შეეცადნენ პირველი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ხოლო მეორედ გამოცხადების შემდეგ მოაწყვეს კიდეც. ორივე შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება იყო და არის სუსტი, არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური, რის გამოც მას მართავდა და მართავს მსოფლიო ბატონობისთვის აქტიურად მებრძოლი სახელმწიფოები, როგორც წესი არაქართველი თანამდებობის პირების მეშვეობით.

... აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვს იწვევს ამჟამად სრული და საბოლოო კატასტროფისთვის განწირული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების რაციონალურობა და სარგებლიანობა ქართველი ხალხისთვის. ჭეშმარიტად ბრძნულია აზრი, რომლის თანახმად ცუდად გამოყენებული თავისუფლება, თავისუფლობის უქონლობაზე უარესია.

ამ ბრძნული პოლიტიკური დებულების ჭეშმარიტებულობა გამოვლინდა იმაში, რომ ჩვენს მიერ მე-20 ს. ორჯერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის შედეგად ისეთ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, რომლებიც ფორმალური და არარეალური იყო და არის. პირველ შემთხვევაში ადრე ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინამღდეგე რუსეთს, „მოავრობა წავიდა" საქართველოდან რუსეთ-საქართველოს 1920 წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთის მოწინააღმდეგეებს არ მისცემდა საქართველოში შეიარაღებული ძალების განლაგე-

ბის უფლებას, არ დაეხმარებოდა მათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულება ან შეგნებულად არ შეასრულა ისინი. ეს გამოიხატა რუსეთში სამოქალაქო ომისა და საზღვარგარეთული თოთხმეტი სახელმწიფოს ინტერვენციის დახმარებაში, საქართველოს მე-14 ინტერვენტ სახელმწიფოდ გადაქცევაში. საქართველო დაიკავა თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც მთელ საქართველოს და რუსეთის სამხრეთ ტერიტორიებს თურქეთის ტერიტორიად თვლიდა. ამისთვის რუსეთის მთავრობამ შური იძია საქართველოზე, სამაგიერო გადაუხადა მას.

მეორე შემთხვევაში კი საქართველოს მთავრობა გამოვიდა კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებიდან და გადაწყვიტა გაერთიანებულიყო სამხედრო დაჯგუფებაში, რომელშიც ნატოს მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ.

ეროვნულად მავნე და ანტიქართული იყო და არის აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს რუსეთის მტერი სახელმწიფოები დაეხმარებიან საქართველოს სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის მიღწევაში და ამიტომ მან სანაცვლოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა მათ მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, სინამდვილეში კი ჩეჩნმა ე. წ. „დამცველებმა" მიაღწიეს თავის მიზანს მსოფლიოში გააბატონეს აშშ, არ დაიცვეს საქართველო, რუსეთმა კი უკვე მეორედ შური იძია საქართველოზე, სასტიკად გადაუხადეს სამაგიერო თავისი მტრების მხარდაჭერისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად მავნე და არაჰუმანურია აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში ქართული სახელმწიფოს საქმიანობა მთლიანად წარმართული უნდა იყოს მხოლოდ

და მხოლოდ დამოუკიდებლობის მისაღწევად. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, აგრეთვე, სახელმწიფოს ზრუნვა მისი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისავის. საქართველოში დამოუკიდებელი ეროვნული ხელისუფლების ფუნქციონირება მხოლოდ მაშინ აქვს ღირებულება და აზრი, როცა მისი მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესია იმ პირობებზე, რომლებშიც ცხოვრობდნენ დამოკიდებულობის პერიოდში. საქართველოში კი დამოუკიდებლობისთვის აბსოლიტურად მოუმზადებელ ბრძოლას ქვეყნის კატასტროფა, მისი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების უკიდურესი გაუარესება და სხვა ბევრი უბედურება მოყვა.

საყოველთაოდ ცნობილია ისტორიული ფაქტი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხის ინტერესების შესაბამისად ი. სტალინის ინიციატივით ომისგან დანგრეულ და გაპარტახებულ ქვეყანაში 1947 წლიდან ექვსჯერ შემცირდა ფასები, რამაც გამოიწვია ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ჩვენმა დისიდენტ-დემოკრატებმა კი მრავალი უფასო მომსახურება ფასიანი გახადეს, ყველა სფეროში ასტრონომიულად გაზრდილი ფასები, გააუვარგისეს ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობები. ისინი კი ურცხვად აცხადებენ ჩვენ ბოლშევიკებზე ბევრად უკეთესები ვართო. ეს ვაჟბატონები სირცხვილისგან ერთხელაც არ გაწითლებულან.

საქართველოს კატასტროფის ავტორები, ქართველი ხალხის ბუნებრივი და სოციალური სიმდიდრეების მიმთვისებლები, პატიოსანი ადამიანების ნაშრომების მითვისების შედეგად გამდიდრებულები, არსებითად ქართველი ავის მჯდომი ადამიანები, თავისუფლად დათარეშობენ ხალხის

კეთილდღეობის იდეებს ამოფარებულნი. საქართველოს სოციალური და ეროვნული ხსნის ფრონტმა ეს ადამიანები ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად უნდა დასაჯოს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების ორივე შემთხვევაში მიღწეული „თავისუფლება" ანუ ფორმალური დამოუკიდებლობა გამოყენებული იქნა „ცუდად", რასაც მოყვა რუსეთ-საქართველოს ომი და მასში საქართველოსა და მისი არმიის დამარცხება, ქვეყნის დაქუცმაცებულობა და დაშლა. ჩვენს მიერ ცუდად გამოყენებული „თავისუფლება" უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა აგრეთვე ხალხის ეკონომიკური ცხოვრების დონის მკვეთრ დაცემაში, მისი სულიერი ცხოვრების დეგრადაციაში. სწორედ ამიტომაა ბრძნული უკვე აღნიშნული გამოთქმა „ცუდად გამოყენებული თავისუფლება, თავისუფლების უქონლობაზე უარესი არის." ეს ქართული ბრძნული აზრი მსოფლიო ეროვნულ-განვითარებული მოძრაობისა და რევოლუციების ლიდერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რაც ქართველი სიბრძნის მოყვარულთა მსოფლიო აღიარება იქნება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ქართველი და არაქართველი ექსპლუატატორების მიერ ქართველი ხალხის ქონების დატაცებასა და მითვისებას.

მეორე პარაგრაფი. ქართული პოლიტიკური ხელისუფლება და ეროვნული ერთობანი თანამედროვე საქრთველოში

საზოგადოების, მათ შორის ქართულის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ეროვნული ერთობანი, რომლებსაც ჩვადიციულად მიეკუთვნებიან ერები, ეროვნებები, ტომები, ეროვნული უმცირესობანი. მათ უწოდებენ აგრეთვე ხალხებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მრავალი ეროვნული ერთიანობები, მათ შორის ქართველებიც. ეროვნულ უმცირესობებს ეწოდება ეროვნული ჯგუფები.

ეროვნული ერთობანი წარმოადგენენ ადამიანთა ბუნებრივ-კულტურულ გაერთიანებებს, რომლებიც არ არის პერსონიფიცირებული ერთ რომელიმე პირში, ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ისინი თავიანთი ინტერესების რეალიზაციას ახდენენ მრავალრიცხოვანი ინდივიდებისა და ორგანიზაციული ჯგუფების მეშვეობით, მაგრამ რეალიზაციის ასეთი ფორმა არ ნიშნავს იმას, რომ ის შეიძლება დაყვანილი იქნეს ინდივიდუალურ ან ერთობათა ჯგუფურ აქტივობამდე. ეროვნული ერთობების სოციალურ მოთხოვნათა ფორმირების ერთ-ერთი სფერო არის ინდივიდებისა და ჯგუფების ზეინდივიდუალური საქმიანობა, რომელთა ფარგლებში ინდივიდები და ჯგუფები მოქმედებენ არა თავიანთი სახელით, არამედ იმ ერთობების სახელით, რომლებსაც ისინი აკუთვნებდნენ თავიანთ თავს.

ქართველი ხალხის მრავალი თაობის სულიერი და მატერიალური მოღვაწეობის შედეგია ქართული ეროვნული კულტურა და ეროვნული თვითშეგნება. ისინი დაფუძნებულია ინდივიდუალური და ჯგუფურ თვითშეგნებაზე.

მეცნიერულად დასაბუთებულია აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანში არის ორი სახის ცნობიერება: ერთი, საერთო ცნობიერება, რომელიც არ წარმოგვადგენს ჩვენ, არამედ იმ საზოგადოებას, რომელიც ცხოვრობს და მოქმედებს ჩვენში. მეორე კი – პირიქით, წარმოადგენს იმას, რაც ჩვენში არის პირადი და განსხვავებული და რომელიც ჩვენგან ქმნის ინდივიდს. ეს ორი ცნობიერება ორგანულად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს თვალსაზრისი სრული უფლებით შეიძლება გავრცელებული იქნეს ქართულ ეროვნულ თვითცნობიერებაზეც. მათი მატარებლისთვის ეროვნული კულტურა და თვითცნობიერება გადაიქცევა ღირებულებითი აღქმის, შეფასების და კლავწარმოების ობიექტად, მისი ეროვნული ერთობის სხვა ერთობისგან განსხვავების საშუალებად. ეროვნულ გარემოში ხდება ეთნოცენტრალიზმის ფორმირება, როგროც ადამიანის მიდრეკილება შეაფასოს სხვა ხალხების ცხოვრებისეული მოვლენები, ეროვნული კულტურა თავისი ეროვნული ერთობის ტრადიციების თვალსაზრისით, რომელიც წარმოადგენს რაღაც საყოველთაო ეტალონს, ოპტიმუმს. ღირებულებით-ემოციალური საწყისი წარმოქმნის ეროვნულ ცნობიერებას, გარდაქმნის მას აქტიურ პროცესად, ნამდვილ თვითცნობიერებად, როცა ეროვნული ერთობის სხვადასხვა წევრები იწყებენ თავიანთი ერთობის შერძნებას და განამტკიცებენ მას ცნებაში „ჩვენ", თავისებური კოლექტიური „მე-ში", რომელიც ახდენს ერთობის ინდივიდუალიზებას, მაგალითად, ჩვენ ქართველები, ჩვენ გერმანელები. ამის შედეგად ეროვნული ერთობები არამარტო ფორმირდებიან, არამედ ახდენენ თავიანთი თავის ფორმირებას, კულტურული გარემოდან გადაიქცევიან სოციალურ სუბიექტებად შექმნილი საწყისიდან შემქმნელ საწყისად „თავის თავში ერთობიდან თავის ერთო-

ბად, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს და ცდილობენ მათ რეალიზაციას.

ქართულ პოლიტიკურ პროცესში ერები, ეროვნებები. ეროვნული უმცირესობები მონაწილეობენ არა უშუალოდ, არამედ საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მეშვეობით – სახელმწიფო, პოლიტიკური სისტემა და სხვა.

ეროვნული თვითგამორკვევა გადაიქცევა პოლიტიკური გაცნობიერების ასპარეზად, რომელიც რეგულარულად წარმოქმნის რეფერენტულ ჯგუფებს, ეროვნულ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმართავენ ადამიანთა ქცევებს, პოლიტიკურ-სახელმწიფო ორგანიზაციების მოღვაწეობას მათთვის პრიორიტეტული მიმართულების მისაცემად. ეროვნული ერთობები ასეთი სახით ზემოქმედებენ სახელმწიფოზე იმ მიზნით, რომ გაიტანონ შესაფერისი ეროვნული პოლიტიკა და იდეოლოგია, მონაწილეობენ იმ კანონმდებლობის შექმნაში, რომელიც არეგულირებს ეროვნულ ურთიერთობებს, აღწევენ ისეთი სახელმწიფო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც საკუთარი ინტერესების განხორციელებას ემსახურებიან.

საქართველოში მოქმედებს ეროვნული ერთობების სოციუმში, მის პოლიტიკურ მექანიზმში ჩაბმის სამი ტიპი:

პირველი. თავის სოციუმში დომინირებადი ქართველი ერი.

მეორე. ერები და ეროვნებები ჩაბმული სოციუმში პერიფერიულ-თვითმყოფადი ქვესისტემის სახით, ხშირად ეს არიან ხალხები, რომლებიც დომინირებენ პერიფერიებში, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში.

მესამე. სოციუმში ჩაბმული უმცირესობები მაღალ კულტურულ-სპეციალიზებულ როლში, რომელიც ტერიტორიულად არ არის დაფუძნებული ქვესისტემებში.

დომინირებადი ქართული ეროვნული ერთობა არის თავისი სოციუმის საფუძველი მას თავის მხრებზე გადააქვს სოციალურ-სახელმწიფო მმართველობის მთავარი ტვირთი და გადამწყვეტ გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკასე, რომელიც დიდად სამწუხაროდ ყოველთვის არ არის გაცნობიერებული. ის ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური მექანიზმისადმი დამოკიდებულია როგორც თავისი სოციალური ნაწილისადმი, ახდენს თავის იდენტიფიცირებას სახოგადოების სახელმწიფო ინსტიტუტებთან.

პერიფერიულ-თვითმყოფადი ერთობები ცდილობენ მონახონ საზომი დომინირებადი ხელისუფლების საერთო-სოციალურ მექანიზმთან დაახლოებისა, მაგრამ შინაგან თვითგამორკვევაში ეყრდნობიან საკუთარ ინტერესებს. ისინი ქმნიან ტერიტორიული ავტონომიების მრავალრიცხოვან ფორმებს, აგრეთვე რეგიონალურ სახელმწიფო წარმონაქმნებს. ეროვნული უმცირესობანი მიისწრაფიან ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ფორმირებისაკენ.

საქართველოში მცხოვრები პერიფერული ხალხები და უმცირესობანი მონაწილეობენ სოციუმის ცხოვრებაში იმ მიზნით, რომ მიიღონ მაქსიმალური სარგებლობა და გამორჩენა საერთო-სოციალურ სივრცეში ყოფნით, გარემოს უარყოფითი გავლენის მინიმალიზაციით. მთლიანად საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში ისინი გამოდიან ერთდროულად როგორც თავისი და როგორც სხვისი, რომელიც ეკუთვნის მიცემულ საზოგადოებას და აგრეთვე სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კულტურებსაც.

ამჟამად საქართველოში მცხოვრები აქტიური პერიფერიული ადამიანთა ჯგუფები ანტიქართული საქმიანობით ინტენსიურად მოქმედნი – სომხები, ოსები და მისთანები საქა-

რთველოს განაპირა მხარეებში ზომაზე მეტად მომრავლდნენ. ისინი ქართულ მატერიალურ და სულიერ კულტურას თავისად თვლიან, თავიანთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კულტებად აცხადებდნენ.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ეროვნული ერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფო წყობილების ფორმის არჩევაზე. ქვეყანაში ერთი ერის დომინირების შემთხვევაში სახელმწიფო წყობილების ბუნებრივი ფორმა არის უნიტარული სახელმწიფო, რომელიც პოლიტიკურ-ტერიტორიული ასპექტით იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებად, ხოლო იდეოლოგიური თვალსაზრისით თავიანთ თავს თვლიან სახელმწიფოდ, რომლებიც რეალიზაციას უკეთებს დომინირებადი ერის ეროვნულ სუვერენიტეტს.

საქართველოს მოსახლეობის მრავალფეროვნების პირობებში აუცილებელია მეტი ინტენსიურობით გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო მოწყობის ახალი ფორმების აღმოსაჩენად. მრავალფეროვანი სახელმწიფოს ორგანიზაციის ტრადიციული ფორმაა უნიტარული სახელმწიფო ტერიტორიული ავტონომიითა და ფედერაციით. პირველი, როგორც წესი, არის ეროვნული სახელმწიფო. ფედერაცია შეიძლება იყოს როგორც ნაციონალური, თუ მასში გამოიყოფა დომინირებადი ერი სხვა ხალხების უმნიშვნელო რაოდნობით, ასევე ფუნქციონალური, როცა ის არ ადგენს რაღაც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას არცერთ ერთან, რომელიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეროვნული უნიტარული სახელმწიფო რომელსაც გააჩნია ტერიტორიული ავტონომიები არის საქართველოც.

თანამედროვე საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებულია იმით,

რომ მისი ეროვნული ერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით არაქართულია. ამ ეროვნულ ერთობებს ძირითადად შეადგენენ დამპყრობი სახელმწიფოების მიერ საქართველოში ჩამოსახლებული საყრდენი. ჯგუფების შთამომავალნი, ქართულ არმიაში მოქმედი, შემდეგ კი საქართველოში საცხოვრებლად დატოვებული ადამიანების მრავალი ნაშიერი, ქართველი ექსპლუატატორების მიერ საქართველოში იაფ სამუშაო ძალად ჩამოყვანილი უცხოტომელების წარმომადგენლები, ასევე, ბევრი ქართველად გადაღებილი არაქართული და ანტიპატრიოტი ქართული. განსაკუთრებით საშიშია ქართველი ბერეების მიერ ვაჭრობის განვითარების მიზნით შემოზიდული სომხები.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ურთიერთობანი შეურიგებელ წინააღმდეგობათა გამო უკიდურესად ანტაგონისტურია, ფეთქებადია. არსებობს მკვეთრი, შეიარაღებული დაპირისპირების შესაძლებლობა, რომელიც ქართველების სასარგებლოდ არ დამთავრდება. შექმნილი უმძიმესი საშინაო და საგარეო პირობები საქართველოში მოქმედი ათმანეთიანი სომხების გაბატონებას უწყობს ხელს მთელ კავკასიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

პოლიტიკურ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა აიგივებენ ნაციონალური და ნაციონალისტურ სახელმწიფოებს, განიხილავენ მათ როგორც იდენტურ ცნებებს. ასეთი თვალსაზრისი მეცნიერულად დაუსაბუთებელია, ვინაიდან ეს ცნებები განსხვავებული შინაარსის ცნებებია.

ნაციონალური სახელმწიფო არსებითად განსხვავდება ნაციონალისტურ სახელმწიფოსგან.

პირველი. ნაციონალური სახელმწიფო უზრუნველყოფს კონკრეტულ ეროვნულ კულტურას, პრიორიტეტს მისი

მატარებლის ეროვნული კუთვნილების გათვალისწინების გარეშე, ხელს არ უშლის სხვა კულტურის და ეროვნული ტრადიციების განვითარებას თავის ტერიტორიაზე.

მეორე. მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულების დონეზე საკადრო პოლიტიკის სფეროში არის ეროვნულად განურჩეველი.

მესამე. უარყოფს ოფიციალურ ეროვნული კულტურის მოსახლეობის თავზე მოხვევას.

საწინააღმდეგო მდგომარეობაა ნაციონალისტურ სახელმწიფოში. იქ ადგილი აქვს ეროვნული უმრავლესობის არა უბრალოდ ბუნებრივ დომინირებას, არამედ მათ ჰეგემონიას ეროვნული უმრავლესობის წარმომადგენლები იმყოფებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში სხვა ეროვნებათა წარმომადგენელთან შედარებით, რომელთა სოციალურ ჩაგვრას აქვს ადგილი.

ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოს სიდიადე იმაშიც ვლინდება, რომ ისინი არასდროს არ ყოფილან და არ არიანს ნაციონალისტები, რასაც აღიარება და დაფასება სჭირდება. იმიგრანტების მხრივ, მათი უმადურობის მიზეზით არ ხდება.

მესამე პარაგრაფი. ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შედეგები და პრობლემები თანამედროვე საქართველოში

ხალხთა დამოუკიდებლობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის მნიშვნელოვანი მიღწევაა ხალხთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება, რომელიც მიღწეული იქნა ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების განხორციელების შედეგად. მომდევნო საუკუნეებში ხალხთა ეს მეტად მნიშვნელოვანი უფლება მათი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პოლიტიკური-იურიდიული საფუძველი გახდა და ამჟამადაც არის.

ხალხთა თვითგამორკვევის უფლება აღიარებული გაეროს წესდებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით, სუვერენულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით: სამწუხაროდ, საქართველოს 1995 წ. კონსტიტუციაში ხალხთა თვითგამორკვევის უფლება არ არის აღიარებული, რაც მრავალეროვან ქვეყანაში არაფრით გამართლებული არ არის, მისი ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად საზიანოა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები თვითგამორკვევის უფლებას უშუალოდ ანიჭებს არა ერებსა და ეროვნებებს, არამედ მხოლოდ ხალხებს. ამ ცნების ნამდვილი და სრული სახელმწოდებაა „ხალხთა თვითგამორკვევის უფლება". ამავე დროს ტერმინი „ხალხი" საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკის კონტექსტში გულისხმობს ეროვნულ ერთობებსაც.

თვითგამორკვევის უფლება არის უფლება, რომლის თანახმად ყველა ხალხი თავისუფლად აღგენს თავის პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფს თავის ეკონომიკური, ნაციონალური და კულტურულ განვითარე-

ბას. ადამიანის უფლების პაქტების შესაბამისად ეს არის უფლება უ'ხრუნველყოფილი ექნეს ყველა ხალხს განვითარდეს მის მიერ არჩეული ეკონომიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-კულტურულ ფორმებში. ამრიგად, თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის სფერო ფართოა და მოიცავს სოციალური საქმიანობის ყველა დარგს.

თვითგამორკვევის უფლება მთელი მოცულობით არ ვრცელდება ეროვნულ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებზე. უმცირესობათა თვითგამორკვევითი აქტიურობა გათვალისწინებულია სამოქლაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, რომლის 27 მუხლში აღნიშნულია: იმ ქვეყნებში, რომლებშიც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი, უმცირესობები, პირებს, რომელებიც ეკუთვნიან ამ უმცირესობებს არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე თავისი ჯგუფის სხვა წევრებთამ ერთად ისარგებლოს თავისი კულტურით, გამოიყენოს თავისი რელიგია და მისი წეს-ჩვეულებანი, აგრეთვე იხელმძღვანელონ მშობლიური ენით.

ვინაიდან თვითგამორკვევითი მოღვაწეობა ემყარება სახელმწფოს მოვალეობას თავის ტერიტორიაზე ხელი შეუწყოს უმცირესობების კულტურულ თვითგამორკვევას აზრი დაფიქსირებული აღნიშნულ 27 მუხლში გაგებული უნდა იქნეს როგორც უმცირესობების დაცვის უფლება.

საჭიროა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი იქნეს დებულება ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ.

ეროვნულ უმცირესობების უფლებათა დაცვა შეზღუდულია კულტურული თვითმყოფადობის სფეროთი თვითგამორკვევის უფლებებისგან განსხვავებით, რომელიც ხალხებს აძლევს შესაძლებლობას თავისუფლად დაამყარონ ურთიერთობანი სხვა ხალხებთან და სახელმწიფოებთან, თავისუ-

ფლად შეარჩიონ საკუთარი პოლიტიკური თვითორგანიზაციის ფორმები. თვითგამორკვევის უფლება არის ეროვნული სუვერენიტეტის იურიდიული გამოხატულება, ხალხის ფაქტობრივი უმაღლესობა საკუთარი პრობლემების გადაჭრაში, მათი დამოუკიდებლობისა და სხვა ხალხთან ურთიერთობაში. მოცემული უფლება და სხვა იურიდიული საშუალებანი აწესრიგებენ ეროვნული სუვერენიტეტის რეალიზაციას, ქმნიან მას ნამდვილად თავისუფლად.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ხელს უშლის ხალხის სუვერენულ თვითგამორკვევას, მაშინ სუვერენიტეტი ხორციელდება როგორც უშუალო სოციალური მოთხოვნა, სამართლებრივი ფორმების გვერდის ავლით. ასეთ პირობებში ცდილობდნენ მიეღწიათ თვითგამორკვევისთვის ქარიშხალებიც.

ხალხის თვითგამორკვევის უფლების – კვინტესენცია. მისი იურიდიულ-პოლიტიკური დანიშნულებაა მისცეს ხალხებს ყველაზე დიდი და საარსებო უფლება შექმნან საკუთარი ეროვნული სახელმწიფოები, მათი ნების შესაფერისი სოციალური სისტემით. ეს უფლება გულისხმობს დომინირებადი ხალხის სახელმწიფოსთან შეთანხმებას, გმობს სეპარატიზმსა და ძალადობს.

ხალხთა თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს ცალმხრივად ეროვნული უმცირესობის სახელმწიფოს შექმნის უფლება.

ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ცალმხრივად უმცირესობის სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას აღიარებს, მაგრამ ამავე დროს განსაზღვრავს პირობებს, როცა შესაძლებლობა საჭიროა იქნეს რეალიზებული: ამ მხრივ, დადგენილია მხოლოდ ორი პირობა.

პირველი. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ცალმხ-

რიად საკუთარი სახელმწიფოების შექმნის უფლება გააჩნია დამოკიდებული ტერიტორიების ხალხებს, რომლებიც მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდნენ და იმყოფებიან. სახელმწიფოები, რომლებიც პასუხს აგებენ დამოკიდებული ტერიტორიების მართვისთვის ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ხალხები თვითგამორკვევის უფლებით. ამავე დროს, დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს შეძლიათ აირჩიონ არამარტო სუვერენული სახელმწიფოების შექმნის ვარიანტი, არამედ თვითორგანიზაციის სხვა მეთოდებიც – სუვერენული სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა, მათთან გაერთიანება და სხვა.

სოციალისტური წყობილებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომლებსაც ყველა სფეროში საფუძვლად ედო ამჟამად თანამედროვე ადამიანის ბუნებისთვის აბსოლიტურად მიუღებელი, არარეალური და უტოპიური, თუმცა პროგრესული იდეები, საჭირო იყო რესპუბლიკებზე საერთაშორისო მეურვეობის დაწესება. მეურვე სახელმწიფოს ხელმძღვანელობით მათი ევოლუციური განვითარება, რაც უზრუნველყოფდა დასახული მიზნების მიღწევას სამეურნეო ნგრევისა და ადამიანთა დიდი მსხვერპლის გარეშე. მიზნები მიღწეულია, ქვეყნები უმძიმეს მდგომარეობაშია. საქართველოზე მეურვის მოვალეობის შესრულება შეეძლო გერმანიას ან ესპანეთს, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მეორე. სახელმწიფო განცალკევების უფლება გააჩნია იმ ხალხებს, რომლებიც სუვერენულ სახელმწიფოში ცხოვრობენ და რომელთა მიმართ შეგნებული დისკრიმინაციის პოლიტიკას ახორციელებენ მოცემული ქვეყნების მთავრობები. პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური და სოციალური ნიშნით თვითგამორკვევის უფლების ჩამორთმევა

ან შეზღუდვა დამოკიდებული სახელმწიფოს შექმნისთვის ეროვნულ უმცირესობათა ბრძოლის გაერცელებული მოვლენა არის.

საქართველოს სახელმწიფოს არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს მთავრობას არასდროს არ განუხორციელებია მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნულო უმცირესობების დისკრიმინაციის პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკის განხორციელებაში მას სდებენ ბრალს იმიგრანტი უცხოტომელები. პირიქით, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთი და ავტონომიური ოლქის შექმნით საფუძველი ჩაეყარა მათ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას, უსწრაფესი ტემპით განვითარდა მათი უკიდურესად ჩამორჩენილი ეკონომიკა და კულტურა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის 90% მთლიანად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ხოლო სომხების – 92% საქართველოს მთავრობამ დევნილი სომხები შეიფარა. თავის საუკეთესო მიწებზე დასახლებისა და გამრავლების უფლება მისცა საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში ნახევარ მილიონამდე სომეხი ცხოვრობდა. გაიხსნა სომხური სკოლები, სომხური თეატრი, დიდია საქართველოს მთავრობის დამსახურება ქართველთა მიწა-წყლის მიმთვისებული უმადური ოსების წინაშეც.

საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა დემაგოგი და კარიერისტი, გამდიდრებისთვის მგლური მეთოდებით მებრძოლ ქართული გვარ-სახელის მატარებელი ადამიანებს შეცდომაში შეჰყავთ თავიანთი ძლიერი და მიმნდობი ხალხები ცდილობენ უარყონ ქართველი ხალხისა და მისი მთავრობების გაკეთებული ბევრი უაღრესად კეთილი, მათთვის საარსებო საქმეები.

ქართველი ხალხისა და მისი მთავრობების საბედისწერო შეცდომა იმაში მდგომარეობს,რომ მათ ზღვარგადასული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს უცხოტომელ იმიგრანტთა მიმართ, ვერ გაითვალისწინეს ის რომ კეთილშობილი საქმეებისთვის სიძულვილისა და მტრობის მიიღებდნენ მაგან, როგორც ყოველთვის ხდებოდა და ხდება საქართველოში დათარეშობენ ბოროტი და გულშავი ანტიქართველები.

პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა თანაფარდობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი.

მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ერთა თვითგამორკვევის უფლებას თვლის სუვერენულ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე პოლიტიკურად უფრო მნიშვნელოვან,მასზე უპირატესობის მქონე მოვლენად.

აღნიშნულ პრობლემაზე 1970 წ. 24 ოქტომბერს მიღებული იქნა დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად.[24]

საერთაშორისო სამართალში დაკანონდა პრინციპი, რომლის თანახმად ორი შემთხვევის გარდა, კერძოდ, როცა დამოკიდებული ტერიტორიები იმყოფებიან მეურვეობის ქვეშ და მეორე, როცა ეროვნული უმცირესობანი განიცდიან შეგნებულ დისკრიმინაციას სუვერენული ქვეყნების მთავრობების მიერ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება ჩაითვალოს სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე უპირატესობის მქონე მოვ-

24 Международное право в документах, М, 1982

ლენად. აღნიშნული დებულება მეცნიერულად დასაბუთებულია, ადეკვატურად ასახავს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს, მსოფლიო განვითარების ტენდენციებს.

ეროვნული კონფლიქტების კვლევის პროცესში საჭიროა დაცული იქნეს მეცნიერების მოთხოვნები, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი წინააღმდეგობისა და ფაქტორის აღმოჩენის აუცილებლობის და გათვალისწინების შესახებ, აგრეთვე პოლიტიკური მართვის ძირითადი რგოლის აღმოჩენის მოთხოვნა, რომლებიც სხვა პრობლემის გადაწყვეტის საფუძველია.

თანამედროვე მსოფლიო მეცნიერებაში ეროვნული კონფლიქტების ფაქტორების კვლევა ცალმხრივად ხდება, ნაკლები ყურადღება ექცევა მათი წარმოშობის ძირითად ტერიტორიულ ფაქტორების დადგენას. ადამიანებისთვის ათეული საუკუნეების განმავლობაში სისხლ-ხორცში გამჯდარი მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულის გრძნობა არის, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ისინი თავგანწირვით იბრძვიან მისი შენარჩუნებისა და დაცვისთვის. ამიტომ აუცილებელია ამ სფეროში ჭეშმარიტების დადგენა, სიმართლის თქმა, პრაქტიკული ღონისძიების განხორციელება სამართლიანობის აღსადგენად. არავითარი მოწოდებები შეთანხმებისაკენ შედეგებს არ გამოიღებს. აღმაშფოთებელი უსამართლობის შესასუსტებლად და შესაზღუდავად საჭიროა ღრმა გარდაქმნების განხორციელება ადამიანის აგრესიული ბუნების გარდაქმნისათვის მკაცრი ბრძოლა, რაც მისდა საუბედუროდ შეუძლებელია.

მეოთხე პარაგრაფი. ეროვნებათაშორისი წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მათი გადაწყვეტის გზები და მეთოდები თანამედროვე საქართველოში

თანამედროვე პირობებში გამოვლინდა, რომ ურთულესი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის წინანდელმა ვარიანტმა ამოწურა თავისი თაეი, რომ ეროვნული შუღლი, სიძულვილი და მტრობა არის არა მარტო ადამიანის ბუნებრიეი, თანდაყოლილი თვისებები, არამედ საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების შედეგიც. ეს შეცდომები დაშვებულია, როგორც დომინირებადი, ასევე ეროვნული უმცირესობაში მყოფი ხალხების ხელმძღვანელობის მიერ.

ეროვნული კონფლიქტი არის სოციალური კონფლიქტის სახეობა, რომლის თავისებურება სოციალურ-ეთნიკური და ეთნო-სოციალური ფაქტორებისა და წინააღმდეგობების გადახლართვა.

საქართველოში ეროვნული კონფლიქტების წარმოშობის უშუალო მიზეზი არის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სუბიექტების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების, ერების, ეროვნებათა და ეროვნული ჯგუფების ინტერესების განსხვავება და დაპირისპირება. კონფლიქტები წარმოიშვა ასეთი წინააღმდეგობების არათანმიმდევრული და არადროული გადაწყვეტის შედეგად. პოლიტიკურ კონფლიქტების ძლიერი კატალიზატორი გახდა ეროვნული ინტერესების პოლიტიზაცია, ეროვნულისა და სახელმწიფოებრივის გადაჯვარედინება: პოლიტიკური ინტერესების ეროვნულში ჩაწვნით პროეოცირებული კონფლიქტი აღწევს დაძაბულობის უმაღლეს სტადიას და გადადის ეროვნულ ანტაგონიზმში.

საქართველოში ეროვნულ კონფლიქტებს საფუძვლად უდევს, მთელი რიგი ეროვნულ-ტერიტორიული პრობლემები, რომელთა ობიექტური კვლევა ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შიგასახელმწიფოებრივი პრობლემები. ის გარემოება, რომ საქართველოში სახელმწიფო სუვერენიტეტის აბსოლუტიზაციის შედეგად მოყვა ეროვნული უმცირესობების სეპარატისტული მისწრაფებები. ამის მაგალითია აფხაზური და სამხრეთ-ოსური კონფლიქტები, რომლებსაც თან ახლავს ადამიანთა დიდი მსხვერპლი და სხვა მატერიალური ხასიათის უბედურებანი.

ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ქართველი ხალხისადმი ხელისუფლების კუთვნილება საყსებით სამართლიანად უნდა იყოს მოლიანად აბსოლუტური, უპირობო და შეუზღუდავი. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ეროვნული სამართლისა და ზოგადსაკაცობრიო ზნეობის მიხედვით ვალდებულნი არიან შეასრულონ ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოს ნება, იმოქმედონ ამ ნების შესაბამისად.

სამწუხაროდ, ეროვნულ განცალკევებას მივყავართ იქამდე, რომ მოსახლეობა იყოფა „ძირეულ" და „არაძირეულ" ნაწილებად, რაც საყსებით უსამართლოდ და უსაფუძვლოდ ამწვავებს ეროვნულ წინააღმდეგობებს. არაყითარი არც ზნეობრივი და არ სამართლებრივი საფუძველი უკმაყოფილებისა ეროვნულ უმცირესობას არ გააჩნიათ, ვინაიდან ქართველები მართლაც საქართველოს ძირეული მოსახლეობა არის. ქართული მიწა-წყალი მათ მიერ არის დაცული და შენარჩუნებული, ისინი კი ნაწილი მტრების მიერ არის ჩამოსახლებული, ნაწილი კი თვითნებურად შემოჭრილი თავიანთი მიწა-წყლიდან გამოძევებული და ქართველების მიერ

თავშესაფარ მიცემულნი, ნაწილი კი თვით ქართველი ხელმძღვანელობის მიერაა ჩამოსახლებული. არცერთი მათგანის ისტორიული მიწა-წყალი ქართული ტერიტორია არ არის. ამიტომ, ისინი საესებით სამართლიანად არიან არაძირითადი მოსახლეობა და საკაცობრიო ზნეობის მიხედვით ვალდებულნი არიან ჭეშმარიტება, სიმართლე აღიარონ, საგნებს თავიანთი სახელი უწოდონ, ისტორიამ ეს უკვე დიდი ხნის წინ დააწესა საესებით სამართლიანად.

